



ტენი



პილოტაჰო ახალ ნაღს!



1988

ტექნიკა

366

გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი



იანვარი

1988

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუენალი

უ ი ნ ა ა რ ს ი

კომეზია და კროზა

3. მორის ფოცხიშვილი — ლექსები
7. რევაზ ინანიშვილი — სასამბალო კვეთილადან
18. რომან მიმიწოშვილი — ლექსები
20. ნოდარ წულეისკირი — ავთარი. რომანი. დასაწყისი
42. ნოზადი ბარათია — ლექსები
44. თეიმურაზ ქუარყვანიძე — ...მწვე ჩემდა ხარ. რომანი. დასასრული
63. ზურაბ ლომახიძე — ლექსები
64. კობა ძაღვაძე — შოკინის ნოტიურანი. მოთხრობა
72. ვახა ძაცანაშვილი — ლექსები
73. ოთარ შუაშვილი — მოთხრობები

შთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

ახალი თარგმანები

78. ვლადიმერ გუბარაშვილი — სარკოვები. პიესა. თარგმანა გურამ გოგიაშვილმა

ბარდაყვან დროის მოთხროვნა

110. ჯანსუღ ღვინჯილია — ჩვენი ლიტერატურული აბოცოვარი

ბახსენება

119. ავთანდილ ჩხიკვიშვილი — გული

წერილები

121. სულხან შოკლანიძე — „არაბისატის“
125. ვიორა ჯიალაძე — ვიორა ავღღანი — ლიტერატორი
135. ვიორა ჯიალაძე — კომბის სტუდენტური დღეების ბახსენება
145. ბ. მ. შუბინი — მგზავის ფორცელი ან ალექსანდრე პუშკინის ავღღმყოფის ისტორია. თარგმანა ცოტნე ჩიქოვანმა
154. ნანა ჩხეიძე — ჩართული ნოვლა ბრ. აბაშიძის ისტორიულ რომანში „ცოტნე, ანუ მართვალთა დაცემა და აგაღება“

რეცენზია

157. ბაღრი გუგუშვილი — „ჩემი სიყვარულის თანსასთუმალთან“

159. ქრონიკა

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაიშვილი
თედო გაქიშვილი
(შთავარი რედაქტორის
მოადგილე)
გივი გეგეჭორი
გურამ გეგეჭორი
გიორგი გუგუშვილი
თეიმურაზ
დომინიანი
მერაბ ელიოზიშვილი
ველია ქახიძე
შოთა ნიშნაძე
გურამ ფანჯიქიძე
მორის ფოცხიშვილი
ალექო შარაშიძე
ნუგზარ შატაძე
ავთანდილ
ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წარეთელი
ტარიელ ტანტუნიანი
გაფრი შოხონელიძე
მეკა ჯონაძე

შორის ფოცხიშვილი

მღერის საქართველო, მღერის

ანზორ ერქომაიშვილს

სალამურის შვიდი კრილი,
შვიდი სიმი, შვიდი ფერი, —
ენაწარე, ენატკბილი,
მღერის საქართველო, მღერის!

ღუმს და უხმოდ ამხელს სურვილს,
წერტილს არ სვამს კალმის წვერი, —
ჯერ შორს არის დასასრული...
მღერის საქართველო, მღერის!

ათასწლეულების ცეცხლში
ცხვება მისი ობლის კვერი, —
ჯერ არ დაუკარგავს გეში,
მღერის საქართველო, მღერის!

ღმერთი სწამს და ბედი სწყალობს,
მტერი ჰყავს და არ ჰყავს მტერი, —
„ოქროს საწმისს“ უთმობს „არგოს“...
მღერის საქართველო, მღერის!

უყვარს წლებთან შეჯიბრება,
ჯერ არდამდგარ წლებს წერს
წერილს, —

ტირის და არ ეტირება...
მღერის საქართველო, მღერის!

გაყოფილა გული ორად,
ხატებს დასდებიათ მტვერი,
სისხლი თვლემს და დარდი
გეტბორავს...
მღერის საქართველო, მღერის!

ზეცა ითალხება ღრუბლით,
ტყვიას აუხდია ჭერი, —
ახდილი აქვს პოეტს შუბლი...
მღერის საქართველო, მღერის!

მიდის სიყვარული სადღაც,
დგება ჩემი წასვლის ჯერიც.
„რაც გინახავს, ველარ ნახავ!“ —
მღერის საქართველო, მღერის!

თავს იჩინავს, ჩაგრულს არ ჰგავს,
უკვდავია, როგორც ერი.
თავი სტკივა, სტკივა, რადგან
გული სტკივა, მაგრამ მღერის...
მღერის საქართველო, მღერის!

ს ა ხ ვ ე ლ უ რ ი

რა შორს არის სიჭაბუკე,
რა ახლოა სიბერე, —
რატომ? რატომ? რატომ? რატომ?
რატომ არ დამიჯერე?!

სასწაული თოვლი მათოვს,
შუქი გასდით იარებს, —
რატომ? რატომ? რატომ? რატომ?
რატომ არ შემიყვარე?!

ერჩები მარტო, როგორც ვატყობ,
უნდა ავყვე ჩანჩქერებს, —
რატომ? რატომ? რატომ? რატომ?
რატომ არ შემაჩერე?

მარტო მივეძალე ტატნობს,
რა გზა, რა ცა, რა ჰუნე, —
რატომ? რატომ? რატომ? რატომ?
რატომ არ დამაბრუნე?!

ის რაც აქ გკირდებოდა,
იქ არ დაგკირდება:

არ დაგკირდება პირადობის მოწმობა,
არც ფოტო-სურათების სტანდარტული სერია,
შენი დახასიათება არავის უნდა,
არც ხელფასის ცნობაა საჭირო
და არც სახლმმართველობის ბეჭდით
გვერდგამაგრებული დავთარი.

ეს არი, რაც არი, —
ამოწერით ამოგწერენ, ადრე თუ გვიან,
მაგრამ ჩაწერით,
ალარაინ არ ჩაგწერს არსად.
ყველაფერი დახიე და მოიცილე,
ისე თითქოს, ყველაფერი გზაში დაგიკარგია.

განმეორდება ეს ყველაფერი?

დაკემსილი გაქვს სიმწრის ძაფებით
ფიქრი, ვედრება, კენესა, გოდება, —
განმეორდება ეს ყველაფერი,
ეს გაგიყება განმეორდება?

განმეორდება ძველი ზღაპრები,
ჩამოცვივდებით ციდან ფოთლებად,
განმეორდება ეს ყველაფერი,
ეს წვა, ეს ლეღვა, ეს შეშფოთება?

გულზე გადაგვდის იჭვის ნამქერი,
ღრო ლექსებს გვაყრის ტანზე
ცოდვებად, —
განმეორდება ეს ყველაფერი,
ეს სიმღერები განმეორდება?

კვლავ იყვავილებს სული მარხული
მთებად, ჭალებად, ტბებად,
კორდება, —
განმეორდება ეს სიყვარული,
განმეორდება ეს შეცოდება?

ქურდებთან ერთად

თითქოს დასრულდა დადი ხნის
ტანჯვა,
ო, წვეთი სისხლიც არ დარჩა გულში,
მაგრამ რად მტკივა ორივე მახა,
რომლებშიც ლურსმნებს მიყრიდნენ
გუშინ?!

განუსჯელ განსჯით, —
ვაითუ, ნამდვილ ქურდებთან ერთად
ჯვარზე გაკრული ჯვარზევე დავრჩი.

წლები ლეგენდებს ღრუბლებად
ღვრიან,

რაც მოხდა, იქნებ არ იცის ღმერთმა,
ვგრძნობ რომ კვლავ მსჯიან

ახლოა ცა და შორს არის ღმერთი,
მაგრამ მე ვიცი, ადრე თუ გვიან,
რომ ვილაც მაინც ილოცებს ჩემთვის.

ბოშა ქალმა მიმკითხაბა, კარტში გზა ამოვიდა. —
რა ვქნა, ახლა მაინც წავალ ამ პატარა სოფლიდან.

უფრო დიდი სოფელია ო, ეგების იმ მხარეს
და ვინც აქ ვერ გაიხარა სწორედ იქ გაიხარებს.

ბოშა ქალმა მიმკითხაბა, წერილს ველი შორიდან,
წერილი რომ არ მოვიდა, სინანული მოვიდა.

მიმკითხაბა ბოშა ქალმა, დარღმა ხელი მომკიდა. —
შავი ეტლით გამოყვანენ ჩქარა შავი მორგიდან.

მიმკითხაბა ბოშა ქალმა, ყელზე მხვევდა ხვიარებს. —
თქვა, „ვინც შევიყვარებს ახლა, აღარ გადაგიყვარებს!“

რაც თქვა, სრული სიმართლე თქვა,
რად მეტყოდა ტყუილებს, —
„სიკვდილამდე იცოცხლებო!“ — გამიხარა გული მე.

ბოშა ქალმა მიმკითხაბა და კარტს
ველარ მომღლიტა,
ღმერთი თუა, ღმერთთან წავალ
ამ უღმერთო სოფლიდან.

წავალ, წავალ, მართლა წავალ,
განა დიდი დრო მინდა, —
ბოშა ქალმა მიმკითხაბა, კარტში გზა ამოვიდა.

პალატის მარტვილი

პალატაში მარტვილივით
მარტო ვმღერი,
არსთგანმრიგე მარტოობას
ცოდვად მითვლის ადამს, —
სიყვარული —
ერთადერთი ჩემი მტერი,
მკლავს და თავზე
ეკლის გვირგვინს მადგამს.

ტახტზე ვლპები, როგორც ლეში,
გაზაფხული უჩხულებით მიტეცს, —

და ზეცაში, ვით რენტგენის
კაბინეტში
ვარსკვლავები მიშუქებენ
ფილტვებს.

ჩქარა ცარგვალს
გზნებად მივედ-მოვედები. —
მგონი მეყო რაც ღრუბლები
ვკემსე. —
სად არიან ახლა ჩემი კოლეგები,
რატომ აღარ მიკითხავენ ლექსებს.

პალატაში
მარტვილივით
მარტო ვმღერი.

ცოცხალი სიკვდილი

გზისპირ მიგდებული მანქანა დგას,
მგზავრი ესიზმრება დათოვლილ გზას.

ის კი, ის,
ის კივის,
ის ისევ თოვს, —
თუმც ისევ შორს არის, შორს არის,
შორს...

არავინ, არავინ არ მოვა დღეს, —
დუმილი უაზრო ძაღლივით ყეფს.

ტრასა ესიზმრებათ დაცვეთილ
თვლებს, —
ცოცხალი სიკვდილი ბორბლებში
თვლემს.

მგზავრი ესიზმრება დათოვლილ
გზას, —
გზისპირ მიგდებული მანქანა დგას.



სამაბილო რეჟულიდან

...იგი კარგად წერს დღეისთვის სა-
კირბორტო საკითხებზე, ყოველი ნა-
წარმოებისთვის მოძებნილი აქვს სათა-
ნადო კომპოზიცია, ხედავს პერსონა-
ჟებს, მათ მოძრაობებს. ესმის ხმები.
მსუბუქია, ძალდაუტანებელია მისეუ-
ლი თბრობა, თითქოსდა მთლად უმნი-
შვნელო მოვლენებიდანაც კი აკეთებს
საინტერესო დასკვნებს, მაგრამ მაინც
ბევრს არ შეეხარბება მისი.

მას არა აქვს „იდუმალი ძალა, რო-
მელსაც ყველა გრძნობს და ვერცერთი
ფილოსოფოსი კი ვერ ხსნის“ (გოეთე),
მას არა აქვს „დღუენდე — უძველესი
კულტურა შემოქმედებითი ნიჭისა, რო-
მლისკენ მიმავალი გზა არ აღინიშნება
არცერთ რუკაზე, არცერთ წესდებაში
არაფერი წერია მასზე“ (გარსია ლორ-
კა). მას არსად არ უჭირს, მისთვის ყვე-
ლაფერი ნათელია, ის მუდამ გამარჯვე-
ბული დგას.

პ რ ა მ ა რ ა — II

ქალაქის ამ უბანს ბებერი მთა ადგას
თავს, ალაგ ბუჩქნარიანი, ალაგ ფლა-
ტებიანი, ხავსებიანი. ხან და ხან ნის-
ლებიც არის ხოლმე მიმოპნტილი ზედ
მთის ძირას ძველი სახლებია, მკვიდ-
რად ნაგები, ქვის ვარდებით და გირლია-
ნდებით შემკული. მათ ხუროთმოძღ-
ვებს უთუოდ წვრთნიდნენ ევროპელი
უმკაცრესი მასწავლებლები. ამოად
ცდილობდნენ იმ მასწავლებელთა პირ-
ქუშობის გადაშლას დღევანდელი მღე-
ბავები. მუდმივად გრილ ქუჩებშიც ძვე-
ლებური ხეები დგას — ცაცხვები, ნე-
კერჩხლები, თელები. თელები ხმებიან.
ცაცხვებსაც უჭირთ, ნეკერჩხლებსაც,
მწვანე ფოთლებს შორის, მთლად უდ-

როდ, ყვითელი ფოთლებიც თრთიან.
მაგრამ ხეები მაინც ღამაზები არიან
სევდისმომგვრელი ნატიფი სილამაზით.

ტროტუარებს რწყავენ და სუფთად
გვიან ამ უბნისვე მკვიდრნი, ქურთი მე-
ეზოვეები, კაცები ყალიონის ბოლებით,
ქალები ნაირფერი კაბების რხევით. მი-
მოდის რალაცნაირად ძველი ყაიდის
ხალხიც, თვით პატარებიც კი. გოგო-
ნებს აცვიათ გრძელი, თითქოსდა ფეხ-
ების შემბორკავი კაბები, ბიჭებს, უმთა-
ვრესად, გრძელსახელოებიანი თეთრი,
ქათქათა პერანგები...

და როცა ის ორნიც გამოჩნდებიან
ქუჩაში, ის ძველებურად თმაშეთრთვი-
ლული ქალი და კაცი, ღამაზნი და ძლი-
ერნი, გეჩვენებათ, რომ ქუჩა ინაბება
მათი მაყურებელი, გეჩვენებათ, რომ
ნაბიჯს ანულებენ ყველანი. ქალი მტკი-
ცედ მოადგამს ნაბიჯებს მალალი ღონი-
ერი ფეხებით, მოანათებს თეთრი საყე-
ლოთი, თეთრივე სავე თლირი ყელ
ით, თვალების მოციხფრო ყუყუნით,
სრული ჩალი ტუჩებით, რომლებიც
ცდილობენ შეაკავონ მშვენიერი ღიმი-
ლი, აკავებენ კიდევ, მაგრამ ბოლომდე
ვერა, მაინც გამოეჩვენება ოდნავ დარჩ-
დილულ ბოლოებზე. მამაკაცსაც უნდა,
შეაჩეროს ქალარა ჯიუტი ქოჩორის
თრთოლვა, ვერ აჩერებს. თვალები თი-
თქოს კარგავენ ძალას, მიორჩილად ელ-
იან ყველაფერს. ფრთხილი თავდახ-
რით, ფრთხილი ღიმილით მიესალმებიან
და გასცდებიან ერთმანეთს, და როცა
გასცდებიან, აშკარად იგრძნობა, რომ
განიმუხტება ქუჩაც.

უთუოდ ქალიც ფიქრობს და კაციც,
რომ ერთმანეთისთვის არიან დარჩენი-
ლნი ქვეყანაზე. მარტო ისინი კი არა,

სხვებიც ამას ფიქრობენ, ვინც კი ერთ-მანეთის სიახლოვეს დაინახავს მათ. მაგრამ ძველებური ქუჩა და სახლები ფიქრობენ სხვანაირად... ისინი ფიქრობენ, რომ ასე უნდა იყვნენ, ცალ-ცალკე, ქალი თავისთვის, კაცი თავისთვის. ამიტომ არიან ესოდენ კარგნი, ლამაზები. ამიტომ ცდილობენ, იყვნენ ყოველთვის ღირსეულნი, ძლიერნი, არაფერი შეემჩნეთ ერთიმეორის გულსგასატეხი.

ქალი შინ ნაღვლიანი შეჩერდება ხოლმე სარკესთან. წარმოიდგინეთ, კაციც და როცა ისინი ასე დგანან, სახლებიც მკვიდრად დგანან, ხეებიც.

შვილიშვილი: პაპა, იცი, რა? რა და, იცი, როგორ უნდა დამყარდეს მშვიდობა მთელ დედამიწაზე? როგორა და, სუყველა ოჯახს, სუყველას უნდა ჰყავდეს პატარა ბავშვები, იმ ბავშვებს კიდევ — დედები, მამები, ბებიები, პაპები. იმათ ხომ ყველას ძალიან ეყვარებათ ის ბავშვები, როგორც თქვენ გიყვარვართ მე და ჩემი ძმა, ჰოდა, როცა ყველას ასე ეყვარებათ ბავშვები, ვიღას მოუწდება, ვიღა დაიწყებს ომს?! და დამყარდება სუყველგან მშვიდობა.

მ. ჯ.

თითქოს დამოუკიდებლად არსებობენ მისი დახვეწილი თითები. ისინი რაღაცას ელაპარაკებიან, ერთმანეთს, თანხმდებიან, სიყვარულით ჰუბლმბიჯნილნი, და უცებ, გამწყარლნი, ცალ-ცალკე მიჰქრიან ცისკენ უნატიფესი ბალერინების გრაციოზულობით... თვით მისი დიდი, შუქიანი თვლებიც კი გაოცებით აჰყურებენ მათ.

— მოიცათ, ყველანი ერთად ნუ ჩამოხებით, — ქვეყანა წაწყდა, დამყადა, ინგრევა, თავს ვუშველოთ! მე ვერსად გავიქცევი, მე ხვალაც უთენია ვარ სამუშაოზე წასასვლელი, ლობიო და სიმინდი მაქვს მოსარწყავი, ნება-ნება უნდა მოვრწყა, თორემ თავქვეა და დახრავს

მავს წყალი. არ მოვრწყა ლობიო და სიმინდი, ხალხო?! თქვენი საქმისა თქვენიცოდეთ, მე კი მითხარით, არ მოვრწყა ლობიო და სიმინდი?!


კარგი მწერლები თითქოს ყოველთვის სხვაგან არიან, სხვა მიწაზე, სხვა აღმართა შორის. თვით იმათაც კი, ჩვენს გვერდით რომ ცხოვრობენ, თავიანთი სული, თავიანთი ნამდვილი რაობა გადასახლებული ჰყავთ ჩვენგან შორს და იქიდან გველაპარაკებიან რაღაც იღუმალეობით მოსილი ხმით.

ლ. ბ-ლი:

გადაუშვა შაქრიამ არაყი.

— კონტა იყო? — ეკითხება ილო.

— ჩაიარა როგორც ბრიგადელმა.

ზ-მ-ლის ვარიანტი:

— ჩაიარა, როგორც ახალმა ბრიგადელმა.

სოფლური ბალადა

ჭკვიან მალხაზას კოლმეურნეობის თავმჯდომარისგან გაბახებული ქალი შერთეს. ხალხი ამბობდა, არაფერია, მალხაზა მინც მჭადიდან ნახშირის გამომრჩევი არ არისო.

ქალი სიგანეში იყო წასული, დააბგუნებდა დაბერილ თეძობებს, თვალი ზედ რჩებოდათ კაცებს. მალხაზა კი ჩიაკაცი იყო, წვერთხელი, თვალგნადელიანი. საითაც თავმჯდომარეს მოუწოდებოდა, იქით მიუკადებდა მალხაზას ლელის წყალსავით. ზაფხულში ვენახების მეველედ ნიშნავდა, — ფხიზელი კაცი ხარ, პატიოსანი, ფეხმარდი, შენისთანად ვერავენი შეინახავს ჩვენს ვენახებსაო. გადაიკიდებდა მალხაზაც ქანგ-მოდებულ ორლულიან „ტულას“ და მიუყვებოდა ვენახების გზებს. დაჯდებოდა საყარაულო გორაზე, წამოიწევდა ქუდს თვალეზზე და იყო. დღისით მაინც რამდენჯერმე მიდიოდა შინ, ღამით — იშვიათად. ღამით, შიგა და შიგ, მის მაგივრობას ისევ თავმჯდომარე სწევდა, გასუქებული, გალალეული კაცი, ფულიანი.

ბიჭები დასცინოდნენ მალხაზას, — ემაგ თოფმა ძალიან დაკვრა იცის მხარში, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გაისროლოო. არც გაუსროლია. ერთს შეატოკებდა მხრით, ცოტას შეიმსუბუქებდა და წავიდოდა თავისი გზით. თოფი დიდც კი ჩანდა მალხაზაზე. ცოლი ივსებოდა, მალხაზა დნებოდა. უფრო უწვრილდებოდა ხმა.

ერთ საღამოს, ცოლი რომ მეზობლებში იყო გასული, მალხაზა ფრთხილად ავიდა თავისი სახლის სხვენში. ჭერს ჭრილი ჰქონდა საკვამლე მილისთვის, ზაფხულობით ზედ კრამიტი ეფარა. ის კრამიტი გასწია, დაჯდა, ცდა დაიწყო... ცოლი დაბრუნდა, რალაცას ფაცურობდა, სარკეში იყურებოდა, იღლიებს იწმენდა. მერე კარი ჩაკეტა. გასაღები გამოაძრო, სინათლე ჩააქრო, დაწვა. შუალამე იქნებოდა გადასული, რომ თავმჯდომარემ ფრთხილად მოარგო გასაღები კარს, შემოვიდა. ქალმა ღიმილით უთხრა, სადა ხარ აქამდე შე საზიზღაროო. ოთახში ბნელოდა, მაგრამ მთვარიანი ღამე იყო და მანცა ჩანდა: კაცმა სწრაფად დაიწყო გახდა, ლოგინში წამოძვარი ქალიც მთლად გამოიშვლდა. მალხაზას ძაგძაგი დააწყებინა. კაცმა ქალს საბანი გადააძრო. ქალი თერთი იყო, კაცი მუქი, გველებივით დაიწყეს გრეხვა. მალხაზა ძაგძავით მიადვენებდა თოფის ლულას. გამოსწია სასხლეტს, ერთს, მეორეს, მარტო ქალმა იკივლა. მალხაზა სხვენიდან ჩამოვიდა, დერეფნის სინათლე აანთო და თოფდაბჯენილი გაჩერდა.

სოფელი წამსვე დაეცა თავს, თრევით მიჰყავდათ სადღაც. მალხაზა იცინოდა, — დაიცათ, რა იყოთ, ხო მოვდივარო!

— ორივენი, კაცო, ორივენი ერთი ტყვიით! — გადდიოდა სოფელში ხმა. სოფლის ბრძენკაცმა კი, ძველმა მასწავლებელმა, თქვა, — ეგეთმა სუსტებმა იციან მაგნაირი გამეტებაო.

მალხაზა გადასახლეს. სასამართლოშიც სიცილით მიდიოდა, მაგრამ მერე იტირა. გადასახლებიდან შინ აღარ

დაბრუნებულა. მალხაზას დედა, რომელიც ძველ ამბარში ცხოვრობდა, ცდიდა, მალხაზას გადასახლების შემდეგ თავის სახლში დაბრუნდა, იყო მარტო და ღამ-ღამობით ტურასავით კიოდა. ერთ დღეს კი მკვდარი ნახეს. შუა ეზოში პირქვე იყო ჩამხობილი და ხმელი თითებით ნაფხოპნი მიწა ჰქონდა ჩაბლუჯული.



თქვენი ნაწერები უცნაურ სიარულს გავს, — ხან ცალი ფეხით ხტუნავს, ხანაც თავდაყირა დგომას. კაცმა, მწერალმა, ადამიანთა წინამძღოლმა ღვთით, შესაძლოა ამგვარი სიარულითაც მიიქციოს ყურადღება **ერთხანს**, შესაძლოა ვიღაცანი გაჰყვენ კიდევაც მისეული უცნაურობით, მაგრამ მხოლოდ **ერთხანს**, მერე ისევ ათადან-ბაბადან ჩვეულ სელას ამჯობინებს ყველა.

პ ა უ ს ტ ო ვ ს კ ი

ო, იყო ასეთი დღეც. საათზე მეტ ხანს ვიდექით მე და სეგზის პირას და მანქანას ველოდით. თებერვალი იწურებოდა, გზას, ორივე მხრივ, ჭუჭყიანი, ყინულად ქცეული თოვლი გასდევდა. სავალც გაყინული იყო შავად. ცაც ცივი იყო, ცრიატი, დაწეული...

ბოლოს მოახლოვდა, მოვიდა ერთი ტენტისანი „გაზ-51“, მე ხელმეგაშლილი გადავუდექი წინ. მძღოლმა დაამუხრუქა, ყინულის ნამსხვრევები შხრიალით გაცვივდა აქეთ-იქით. სამგორამდე წაგვიყვანეთ-მეთქი. მძღოლს არაფერი შეეტყო, გვერდით მჯდომი კაცი დამმარდარატომლა. მე მას მოუხხადე ბოდიში, მოვიკდე ს-ს ხელი, გაუქციე. მანქანის უკანა ბორტზე რკინის პატარა კიბე ექიდა, იმ კიბეზე ასვლა ვუშველე, მეც ავედი. ძარა საეხე იყო მოკლედ დახერხილი, დაპობილი შეშებით. იმ შეშებზე დავსხედით, წავედით. ეს უკვე ბედნიერება იყო. უკან რჩებოდნენ სახურავებზე თოვლდაყინული სახლები, გაკირჩხლული ხეები. ტენტში წინიდან

შემოდოდა გამოთზავი ქარი. ისედაც გათოშობები, კანკალით ვეკვროდით ერთმანეთს. მანქანა ზაყუნობდა, ღიმილით ავდეგდით და ჩავდეგდით ამ ზაყუნს, ვაწყდებოდით აქეთ-იქით, ძალიან რომ ჩავგაზაყუნებდა, გაგვყრიდა, მაგრამ ჩვენ ისევ მივეკვრობოდით ერთმანეთს.

გავედით სოფლიდან, გზა ცოტა გასწორდა. სამაგიეროდ შემოჭრილი ქარი გამკვირვდა და გაძლიერდა. ვცდილობდით, ის ქარი ს-თვის ამერიდებინა. ბეჭებზე ვაფარებდი ბუშლატის კალთას. ის უარობდა, შენ გაცივდებოი, მაგრამ მე მაინც არ ვუშვებდი მის მარჯვენა მხარს.

ასე ვიარეთ სამგორამდე, ხუთმეტრი კილომეტრი. სამგორში ჩამოვედით, სიცივით დამონავებულები, მაგრამ მაინც გაღიმებულები. ს-ს ძლივს მიპქონდა ცხვირსახოცი ცხვირთან. მძლოლს სამი მანეთი მივეცი (ძველი ფულისა), წავიდა ის მანქანა ქალაქისკენ. ჩვენ მარტონი დავრჩით ტრიალ მინდორში, თოვლში. მხოლოდ ორი ზოლი მოჩანდა შავად და სწორად გზისა. ჭირხლით იყო გათეთრებული აქა-იქ მდგარი ბერტყენებიც. თითქოსდა ძლივს დაფრინავდნენ ყვავები. ვაბაკუნებდით ფეხებს, ხელებით ვუთბობდით ერთმანეთს ხელებს. მაინც არ გვეცილდებოდა ღიმილი.

ნამდვილად ბედზე გვევლო. ოციოდ წუთში ავტობუსი მოვიდა, დანჯღრეული, დანჯღრეული, მაგრამ მაინც ავტობუსი, თანაც ხალხით +სავსე, თბილი. როგორც იყო, შევიჭყყუნეთ ჩვენც ს-ე კოშკსავით ასცქეროდა ვიღაც ვეება კაცის ზურგს, ის კაცი თავს ღუნავდა, ავტობუსის სახურავი არ აენგრო ჩაზაყუნების დროს. მაინც აარტყა რამდენჯერმე. აარტყამდა და გაიცინებდნენ სხვები. ჩვენც ვიციხოდით ჩუმად, და ამგვარი სიცილ-სიცილით მივალწიეთ რაიონულ ცენტრს.

რაიონულ ცენტრში... ო, კიდევ უფრო დიდი საოცრება! განათლების განყოფილებაში, სადაც ს-ე იყო დაბარე-

ბული, ბინის ქირის თუ რალაც ასეთის ფული მისცეს, თანაც რამდენიმე თვეს მთელი ოთხას ორმოცდაათი მანეთი (ესაც ძველი ფულით), თან გაუთბით. ს.-მ მთლად მე „მაჩუქა“ ის ფული. ეს ძალიან კარგი საჩუქარი იყო იმ დროს ჩემთვის. მე სასადილოში დავპატიყე. გვახელით ცხელი, ძალიან ცხელი „სოუზი“, ბლომად თბილი პურიც, სასადილოდან რომ გამოვედით, ამინდი ჩამომწუხრებული დაგვხვდა, ცივი ბურუსი იწვა.

დიდ ხანს ველოდეთ აქედან ჩვენკენ მიმავალ მანქანას, მაგრამ მაინც სულ კარგ გუნებაზე მყოფნი. ბოლოს წავედით სართიჭალის მანქანით, ძარალია მანქანით. ხან ჩავცუტკედებოდით კაბინის უკან, ხან ავდგებოდით, გმირულად ვებრძოდით ქარადმოჭრილ ბურუსიან ყინვას, წითლად აეტკრიცა, აეშუშხა ს-ს სახე, თვალები ხომ სულ სველი ჰქონდა ცრემლით. მაინც ყოჩაღად ჩავხტით სართიჭალაში.

გაყინულები, გათოშობები, უფრო გასათბობად შევედით სოფლის მალაზი-აში. ეს იყო ნამდვილი სოფლური მალაზია — თასმებით, ქვამარილით, რკინეულობით, ერთ კუთხეში უწესრიგოდ მიყრილი წიგნებით. და მე იმ წიგნებში დავინახე... პაუსტოვსკის „რჩეულის“ მეორე ტომი, მწვანე სქელ ყდაზე ნეკერჩხლის დიდი ფოთლები რომ აქვს ამოტვიფრული. ნოქარმა ისე მომაწოდა ალტაცებულს, აშკარად მეუბნებოდა, ეს მტერიანი წიგნი კი არა, თბილი პალტო უნდა უყიდო მაგ გოგოს, ძმარო. მე მაინც იქვე გადავშალე წიგნი და... «Ручьи, где плещется форель!» ეს მოთხრობა იყო ჩემი ოცნება. კიდევ — «Телеграмма», და კიდევ — «Дождливый рассвет».

უკვირდა, ისეთი სიამოვნებით გადავუხადე ფული ნოქარს. ს-ც ისე მომყავდა, თითქოს დიდი ქონების პატრონებზე გავმხდარიყავით. ცა კი იღუშებოდა და დაბლა იწვევდა თანდათან — ვიაროთ, აქ დაცდა არ ღირს-მეთქი. ვიარეთ მუდანილოზე ამავალი გზით. ველში გასუ-



ლი, ხმამალა ვუკითხავდი ს-ს: „Судьба одного наполеоновского маршала — не будем называть его имени, дабы не раздражать историков и педантов, — заслуживает того, чтобы рассказать ее вам, сетующим на скудность человеческих чувств»... თან ვუთარგმნიდი ადგილ-ადგილ. თელავის გზიდან ისევ წავედით ღია ძარით. მკვრივი ფიფქები გვიწეპავდნენ სახეს.

და ბოლოს, რბილად საღამოვდებოდა ჩვენი ძველი სახლის სიბოშო. სანამ კარგად არ დაბნელდებოდა, სინათლეს არ გვაძლევდნენ. მე ვიჩქეი ფანჯარასთან, რაფაზე იდაყვებდაყრდნობილი, და იქ ნელ-ნელა, ტკბობით, უკვე მესამედ ვკითხულობდი მთლად პატარა მოთხრობას „გამოთხოვება ზაფხულთან“, რომელიც დღესაც შეუცნობელი ძალით მიზიდავს თავისკენ. გარეთ თოვდა, თეთრად იცრიცებოდა ძეძვის შავი ღობე იქვე ფანჯარასთან ახლოს. ს-ე სქელ ტაფაზე წვადა წვრილ, მრგვალ-მრგვალ კარტოფილებს. ჩვენს სქელკედლებიან მყუდრო სახლს კიდევ უფრო მყუდროს ხდიდა სიბნელე. მარტო ღუმელი ანათებდა სამი ცეცხლის თვალით, და რა ბედნიერები ვიყავით!.. იმ საღამოს ჩვენი სტუმარი იყო გასაოცრად ლამაზი სულის კაცი პაუსტოვსკი. ის ჩვენ გვიყურებდა. საიდან, როგორ, არ ვიცი. ჩვენი შემბრალებილი კი ეფინა ღრმად დაღარულ, ტანჯული კაცის სახეზე...

... იგი ამბობდა:

წერის მანერით მე ახლა ყველაზე მეტად ენდრიუ უაიეტს ვგავარ. ენდრიუსა და მეც თითები გვტკივა დაძაბულობისაგან.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენ გვქონდა ერთმანეთისკენ მიმზიდველი რალაც და დავკარგეთ. ამას მეც ვგრძნობდი და ისიც. ახლა მივდიოდით ხეობაში, ვათვალიერებდით სოფლებს, ნანგრევებს,

და იმედი გვქონდა, რომ აქ ვიპოვიდით იმას, რაიც დავკარგეთ. მაგრამ ამას ვხელახლა ვიპოვეთ ერთმანეთი... მე იგი — უემოციო, დალილი. მან მე — „როგორ გეზარება ყველაფერი“...

ეს უკვე სხვაა: „ჩემად ტირიან დალილი ძვლები“... ეს სიტყვები რომ თხუთმეტი წლისამ დასწერო, ვერავინ გაგიბედავს, ახალგაზრდა პოეტი ხარო.

იური ოლეშა:

«Кто этот однорукий чудак, который сидит на лавке под деревянным навесом и ждет, когда ему дадут пообедать две сворливые бабы: жена и дочь. Это Сервантес. Лмერთო, ეს ხომ გრანდიოზულია. გრანდიოზული...»

... იგი ამბობდა:

— ჩემი გზა ახლა გვიანი შემოდგომის ერთფეროვან ტრამალში მიდის. მივუყვები ამ გზას, მივფრატუნობ. ნაცრისფრად გამტკნარებული ცა მადგას თავზე. გზაც ნაცრისფერია, გრძლად წასული. თავდახრილი ხმელი ბალახები მიხმობენ აქეთ-იქიდან, დავჯდე, დავისვენო. მე მაინც მივდივარ, მივფრატუნობ. მეჩვენება, რომ ამგვარი სვლით გავურბივარ უამურ ფიჭებს. მაინც მეჩვენება, რომ ეს არის ჩემი უქანასკნელი გამირობა.

— ბედო, მსახვრალო, მუხანათო!.. ჭერაც ისევ დიდი და დაბერილი მისი ძუძუებით ბავშვებია ერთობიან და თამაშობენ, — ნესვები! ნესვები! ნესვებად ყიდიან მისი პატარა შვილიშვილები.

კახეთი. მოსაღამოვდა და საღლაჯ ქვემოდან ამოდიან ჭლიანი ორთვალეები. მუცელგაბერილი ყურებპანტურა ცხე-

ნი კუნთების დაუნდობელი დაძაბვით წინ გაგიტარებს ორთვალას კოფოზე კერპებივით შავად გაქვავებულ მოხუც კაცსა და ქალს...

შვილებდალუპული დედა და მამა იმ- ედგაცრუებულნი ბრუნდებიან საიჭიო- დან.

ხომ კარგი იქნება, მოთხრობა დაიწყო, ანდა დაამთავრო ასე: „მაშინ ჭერაც ისევ მიმზიდველ რალაცებს ვხედავდით სიღარბეში“...

„ორიათას წლამდე ცამეტი წელიწადილა დარჩა. ხან აქ, ხან იქ ქარბორბალსავით ავარდება ხმა, მათუწყებელი იმისა, რომ დედამიწა საფრთხის წინაშე დგას, რომ შესაძლებელია, ხვალ, ხვალ კი არა, დღესვე...“

იჯექი შენ და წერე, იმაშვრალე მშვენიერების შექმნისათვის“...

ჩავწერე ეს, ავდექი, გავედი ივრის პირას და გავჩერდი. წყალს იქით, ლაფიანხევის რიყეზე, ჩემი საყვარელი დიდი წნორის ქვეშ, — რომელიც აქედან ისე მოჩანს, თითქოს საგანგებოდ გადაუმრგვალებიათო, ვარჯის ფუძე კი წაუჭრიათ სწორად, — მკიდრო წრედ დგას ხაშმელების ნახირი, მოთეთრო, მოწითალო, მოშავო ძროხები. და დგანან ეს ძროხები დაფიქრებულები, დამწუხრებულები. აქედან ისე ჩანს, კუდსაც არ ატოვებს არცერთი. ზის კბოლის თავზე, მუხასთან. მენახირე, ისიც დაფიქრებული, დამწუხრებული... ბიბლიიდან დღემდე.

და ისევ ვუბრუნდები რვეულსა და ფანქარს.

„—ა? სახელი? სახელი. ჩემ სა... არა: შენი სახელი... ოხ! (კეფაზე დაიტყლაშუნა ხელი, კოდოს შეაგინა ალბათ). პური, ხო, პური გქვია შენ. პური! მაგ-

რამ... სად ხარ, ვერ გხედავ, რაღაც... თან შუბლი დამაფარა თვალმბრუნვით — პო, ჭუჭყიანი ჰქონდა ოფლი იმ შუბლს, — და რალაცნაირი, თითქოს შიშით გატიკნული ჩურჩულით დამიყვავა: — პური, მამო, პური, ძამიკო... სად გაქვს-თქვა ვეკითხები. აბა, ეს... ფურცლები, ფურცლები, ნაჯღაბნი ფურცლები. — რა ფეხებად მინდა! ა. შეხედა: ფრრ!.. ფრრ!.. კიდევ — ფრრ!.. წაიღო ქარმა!“

მაგრამ მთელი რომანი ასე, ამგვარი აგონიით?! და დაეიჯეროთ, ჩვენს დროში, ჩვენს მკითხველს აღმოაჩნდება საამისო ნერვები და გულმოდგინება, ყოველ წამს აკოწიწოს ეს ნაფლეთები, გაშიფროს, სიტყვების უკანაც ამოიკითხოს რალაცები?! გვიფიქრია, — დამსახურებული გვაქვს, თუ არა, ასეთი ყურადღება?! და საზოგადოდ — მკითხველმა უნდა წაიღოს მწერლის სათქმელი ფრაზიდან ფრაზამდე, თუ ჩვენს ფრაზები უნდა ეწეოდნენ მკითხველს წინ?!

ზამთრის პირი

— მივალ და დავვდები. ისიც დაჯდება, ჩემსკენ გვერდმოქცეული. ქსოვს. მე ვლუმვარ, ისიც სღუმს. ბოლოს, მე მაინც ვამბობ რალაცას, ის ქსოვს, თითები სიბრაზითა აქვს დამუხტული. მე ისევ ვიტყვი რალაცას, ის ისევ ქსოვს. მე ერთხელაც ვიტყვი ჩემსას. ის ნერვიულად იხვევს თითებზე ძაფს და მერე ისევ ქსოვს. თითები ხმელი აქვს, მთოთოლი და ცივი. ტუჩებიც ცივი, ცივი...

ზ მ ა ნ ე ბ ა

ჩემს სოფელში ვარ, ჩემს ეზოში. ლამეა, რალაცნაირად მქრქალად ბნელი, უძრავი. ჩაბნელებულია ჩვენი სახლი, ვყვირი. ხმას არავინ მცემს, არაფერი იძვრის. ისევ ვყვირი. ისევ არავინ მცემს ხმას, არაფერი იძვრის. მოვდივარ შიშის ქრუანტლით. ჩაბნელებულია მეზობლის სახლიც, მეორე მეზობლისაც, ირგვლივ ყველასი. ცა არის ცივად ნათე-

ლი, უძრავი... ვარსკვლავები, და ვხე-
დავ, ზემოდან მოდიან ბებრები: ბები-
ჩემი ნინო, დედამისი კატო, დათიას და
გოგის დედა ნატო. სამივენი უსინათ-
ლონი, უძლურნი, პაერში ხელების ცე-
კებით. მოდიან ჩემსკენ, მოქანაობენ სა-
ცოდავად. სამივეს პირი აქვს ღია. ალ-
ბათ, შეძახიან. შე არაფერი მესმის, შე
არაფერი მესმის...



ეზოში მარტო დაცანცალებს ორი
წლის გოგონა, დაცანცალებს და დრო-
გამოშვებით ამოიძახებს — დედაა!
დედიკოო!..

დედას არ ეძახის, ესაა მარტოობას-
თან ბრძოლა ცუდად მდუმარე ამოდენა
სამყაროში. უმტყუნებს მუხლი, წაბო-
რძიკდება და, ოთხზე დამდგარი, საბ-
რალობელი თვალებით აპყურებს ზეცას.

შვიგულავის უკანასკნელი დღე

ექვსზე გამეღვიძა. ბნელოდა. მამლე-
ბი ყიოდნენ. გამოვედი გარეთ. თითქმის
ციოდა. მთვარე მთების წვერებთან იდ-
გა. აღმოსავლეთი ლურჯებოდა. იმ სი-
ლურჯეში მოციხფროდ ჩახჩახებდა ცი-
სკრის ვარსკვლავი. ონკანზე დავიბანე
პირი, მერე შევეშვირე დგრილა წყალს
მხრები. შევეშრალდი. ჩავიცვი, ჩავი-
ცი ქურთუკიც, ავიღე წალდი და პაპის
ნაქონი ფიწალი. წავედი ძეძვზე. გორა-
ზე რომ ავდიოდდი, თითქმის გათენდა.

დავიწყე ძეძვის ქრა. მივაწვებოდი
ფიწლით სწორად ასულ ტოტებს, ჩა-
ვარტყამდი წალდს და ფრთხილად გად-
მოქმონდა ბალახიანზე. მოვჭერი ერთი
დიდი კონა, თავბოლო შევეუკარი.
ღრმად ჩავასვი ფიწალი, ავწიე, მიწლო-
და ასე წამომელო, მაღლა აწეული, მა-
გრამ ძალიან მძიმე იყო. დავითრიე, ბუ-
წქანარებს ედებოდა, არ მომყვებოდა.
მანც ჩამოვათრიე გზამდე. გზაზე ისევ
შევეცადე ფიწლით თავს მაღლა აწევას,
ვერ ავწიე, წამოვკიდე. სანამ შინამდე
მივალწევდი, კინაღამ ლავიწი ჩამიბტე-

რია ფიწლის ტარმა. მანც კმაყოფილ
დავრჩი.

შინ ის ერთი კონა ორად გავყავი. და-
ვადე ბალის ბოლოში ჩატეხილ ლობეს.
არ ეყო. ისევ რჩებოდა ჩადაბლებულ-
ები. ისევ წავედი გორაზე, ისევ შევკა-
რი ერთი დიდი კონაც. სისხლი მდიოდა
ნაკაწრებიდან. ზედაც არ ვუყურებდი.
ჩამოვათრიე ის კონაც, ისიც ორად გა-
ვყავი. ისინიც დავადე ლობეს, ახლა
მთლად კმაყოფილი დავრჩი.

ამოვიდა მზეც, ცელი და ნამგალი გა-
მოვიტანე, მივდექი ლობეების ძირებს,
გამოველე ჭინჭრები, ჭინჭრიდედები.
სადაც ცელით ვერ ვუღაგებოდი, ნამგ-
ლით ვთიბავდი, რომ დამეტოვებინა ჭი-
ნჭრები და ჭინჭრიდედები, დაიწყებო-
და წვიმები, ლობისძირები მალე არ გაშ-
რებოდა და დაღებოდა.

ცოტა წავიხეძე — ნიგვზით. პამი-
ლორით, ხმელი პურით, ისევ დავიწყე:
ავიღე საღებავი, დაშაშრული, ძველსა-
ლებავაყრილი ადგილები გადავუღებე
ჩემი სახლის ფანჯრებს. აქედან წვიმა
ესხურება ხოლმე. უშნოდ გამომივიდა,
ჭრელად. მივდექი, მთლად გადავღებე
ორივე ფანჯრის ჩარჩოები. დავჭექი ცო-
ტა ხნით. კმაყოფილებით გვერდზე გა-
დახრილი ვუყურებდი ჩემს გაკეთებულ
საქმეს.

შემდეგ მივადგი მაღალი კიბე სახლის
სახურავს. ვერ ათი კრამიტი ავიტანე
მაღლა, მერე ავედი, კრამიტებს გასწო-
რება დავუწყე, გატეხილებს — გამო-
ცვლა. მზე უკვე მომძლავრებული იყო.
კარგი იყო ვრილ სახურავზე თბილი
მზე. ალბათ, ამიტომ უყვართ სახლების
სახურავეები კატებს. სხედან თვალებდა-
ხუჭულნი. ვიჭექი მეც, საქმემორჩენი-
ლი, თვალბმოკუტტული გავყურებდი
ქვეყანას. ქვეყანა იყო მშვიდი, მშვიდ
მზეში ჩაყურებული. ზემოთ, გორისკენ,
კუთავდნენ კვირონები. წავეჭქი კრა-
მიტებზე, ზურგი მივეუშვირე მზეს. ასე
მთლად კარგი იყო. აქედან აღარსად
წავიდოდი, აქედან აღარსად წავიდო-
დი... მაგრამ ეს იყო ჩემი შვებულების

უკანასკნელი დღე, ოცდარვადღიანი
შეებულების უკანასკნელი დღე.

კიდევ კარგი, რომ მამაკაცებს უმეტე-
სად უკან გადაგვდის ცრემლი.

**შილიამ შოლქნერი — ერნესტ
ჰემინგუეის „მოხუცსა და
ზღვაზე“**

„ეს მისი ყველაზე კარგი მოთხრობაა.
შეიძლება დრომ ისიც კი დაგვანახოს,
რომ ეს ყველაზე უკეთესი რამ არის,
რაც კი ჩვენ დაგვიწერია. მასაც და ყვე-
ლა ჩემს თანამედროვესაც. ჰემინგუემ
აქ ღმერთს მიაგნო, არსთავანმრიგეს.
აქამდე მისი ქალები და მამაკაცები თვი-
თონ ქმნიდნენ თავიანთ თავს, თვითონ
ძერწავდნენ საკუთარი თიხისაგან. იმა-
რჯებდნენ ერთმანეთზე, მარცხდებოდ-
ნენ ერთმანეთთან, და ამას იმისთვის
სჩადიოდნენ, რომ თავიანთივე სიმედგ-
რე დაემტკიცებინათ. ამჟერად კი ჰემინ-
გუემ გულმოწყალებაზე დაწერა, რა-
ღაც იმაზე, რამაც ყველანი შექმნა: მოხ-
უციც — თევზი რომ უნდა დაეჭირა და
მერე დაეკარგა, თევზიც — მოხუცის
მანადირევად რომ უნდა ქცეულიყო და
მერე გამქრალიყო, ზვიგენებიც — მო-
ხუცისთვის ის თევზი რომ უნდა წაერ-
თმოთ, — შექმნა ყველა ესენი მან, უყ-
ვარდა, ებრალებოდა... ყველაფერი სწო-
რია, ზუსტია, და მადლობა ღმერთს,
მანვე, არსთავანმრიგემ, ჰემინგუეიც
რომ უყვარს და მეც, ისიც რომ ებრა-
ლება და მეც, ნება არ მისცა ერნესტს,
რაც არის, იმაზე მეტი ელაპარაკა აქ“.

ამას ფოლქნერი წერს, დიდი ეპიკოსი
ფოლქნერი შედარებით პატარა მოთხ-
რობაზე. არაფერს ვიტყვი ჰემინგუეის
შემოქმედების მისეულ უბრწყინვალეს
აღქმაზე. მაჩვენეთ ჩვენს მწერლობაში
სხვის მიერ შექმნილით ასეთი გახარება
და სიამაყე.

ბერეტინი უმშვენიერესი გოგონა,
ალბათ თორმეტი წლისა, ხელებუკან-
შემოწყობილი დგას კედელთან და გამ-

წყრალი უყურებს ქვეყანას. დალონებუ-
ლი კი არა, გამწყრალი.

სულ პატარა თამუნია:
— რატომ არ გიჭირავს ჯოხი?

ამას წინათ კი: ჩვენს ზემოთ, მავთუ-
ლის ლობესთან, მომდგარი იყო სამი პა-
ტარა ბავშვი და შეფიქრიანებულები მი-
ყურებდნენ მაღალი ჯოხის ბჯენით ტყი-
საკენ მიმავალს. ყველაზე დიდმა, გო-
გონამ, ალბათ, ექვსი წლისამ, გაბედა
და მკითხა:

- ძროხებს ეძებთ. ბაბუა?
- არა.
- აბა, ეინა ხართ?
- აეიწიე შავი ქურთუკის კალთები.
- გუდიანი კაცი.

იმ გოგონამ არა და, ორმა პატარა ბი-
ჭმა იბრუნა პირი და გაუზუზუნდა სახ-
ლისკენ.

არ გასჭრა ჩემმა სიცილმა და ალერ-
სმა:

— არა, კაცებო! განა მართლა გუდი-
ანი კაცი ვარ, პატარა კაცებო! მე კარგი
პაპა ვარ, ძალიან კარგი პაპა.

პატარა ბიჭები შეშინებულნი იჭვირ-
ტებოდნენ კიბის რიკულებს შორის.

გოგონა ექვსიანი ღიმილით ტკეპნიდა
მიწას.

დილაადრიან გავედი მინდვრებისკენ.
რაღაც ნაყარზე შემიჩერდა თვალი. ვნა-
ხით, პატარა ლეკვი გამებლართა ფეხე-
ბში. შავია, თათები წაბლისფერი აქვს,
შუბლიც. ალერსით შემომყურებს თვა-
ლებში. ჩვენი მაღაზიიდან იყო გამოყო-
ლილი: დაეტუქსე, დაეურტყი ასფალტ-
ზე ფეხი და ჯოხი, — წადი, გაბრუნდი
ახლავე! შეფიქრიანდა, მაგრამ ისევ
ალერსით შემომყურებდა. მეტი გზა არ
იყო, წავედი. მომყვებოდა ისიც, პირ-
ველად თამაშითაც კი. მაგრამ გორაკს



რომ შეეყუყვი, დაიწყო ტირილი, ვერ ამოდოდა მტკაველის სიმაღლე კბო-
 დეზე. ავიყვანე, სიამოვნებით აკრუსუ-
 ნდა. ისევ დავსვი. გადავედი შარაზე,
 ცოტა ხანს კი მდია, მერე კვლავ ტირი-
 ლი დაიწყო. რომ მივებრუნდი, დაწვა.
 ეტყობოდა, მეტი სიბილის თავი არა
 ჰქონდა. ამომხედავდა საბრალოდ და
 დახრიდა თავს. იქ ხომ ვერ დავტო-
 ვებდი! ავიყვანე. ვატარე ერთხანს დი-
 დად კმაყოფილი. გადავედი ნაყანევებ-
 ში, რბილ გზაზე. ახლა დაჭექი-მეთქი.
 სულ ცოტაა იარა და ისევ დაიწყო
 ტირილი, დაწვა. ისე ტიროდა, ისეთი
 თვალებით შემომყურებდა, ღიმილით
 ავიყვანე. მაშინვე გაჩუმდა. მიმყავდა
 მკლავსა და ფერდს შორის ჩაყუჩებუ-
 ლი. ეტყობოდა, საზღვარი არ ჰქონდა
 მის კმაყოფილებას. მეც კმაყოფილებამ
 შემიბყრო. მივდიოდი გრძელი ნაბიჯე-
 ბით, მივიბჯენდი ღონიერ ჯოხს, ნიავი
 მიფრიალებდა შავი ქურთუკის კალ-
 თებს. მეჩვენებოდა, რომ ასე უნდა მეც
 ლო დაუსრულებლივ, მარცხენა ფერდ-
 ზე მიხუტებული თბილი ლეკვით. და
 სულ არ მაშფოთებდა ეს. გაოცების
 კრიახით მოგვედევდნენ ტოროლები...

**მოთხავე ძველი ქართული ხილისა
 ბაჟი**

მას შემდეგ, რაც ბებრული გულმოდ-
 გინებით მოვიარეთ ჩვენი ვენახები —
 ყორიანები, თოკები, ზევითვენახები,
 კორძიანები, — ორი ბუზლუნა ბებერი
 ვსხედვართ ხევის პირას, კლდის ქიმზე,
 და მოვთქვამთ უცრემლოდ. მაგრამ გუ-
 ლმსუღარედ:

— თურაშაული... სადღაა ქართული
 ვაშლების გვირგვინოსანი, ბავშვების
 სანატრელი ლოყებლადღაჲა, რბილი,
 წვნიანი თურაშაული! ან ყინულა სად-
 ლა, დიდ-დიდები, ცოტა მოგრძონი,
 ისინიც წითლები, გული რომ მართლაც
 ყინულოვით ჰქონდათ. გამჭვირვალე,
 ტკბილი, თაფლივით. ეანგურა სადაა,
 მას რაღა დაემართა, იმ შეუხედავს, მა-
 რთლაც ეანგისფერს, გემოთი განუმეო-

რებელს. ან ხურდა ვაშლს რაღა ღმერ-
 თი გაუწყრა, ზღვად რომ იცოდა დაყრ-
 არაინ რომ არ გვიშლიდა იმ ვაშლებით
 ჯიბეების გატენას, „კაპლივით“ გემო
 რომ ჰქონდათ! ხომარდულები? ადრე-
 ული ყვითელი ხომარდულები რაღა მი-
 წაში ჩაძვრნენ?!

მსხლები?! ღიმილი მსხალი ვინ გააქ-
 რო, სიცხიანი ავადმყოფის გულის მპო-
 ვნელი, ნაღვინევთა მსხნელიც! ვინ გაა-
 ქრო კალოს მსხალი. ანდა იაზლუხი, ნა-
 თლისმცემლობა დღეს რომ ყვითლად
 დაამშვენებდა სუფრას! რა დღეში არი-
 ან ქართული გულაბები, გადაჭამეს შავ-
 მა ხალებმა და ეგ არის! რამ დააბეჩავა
 ნამდვილი ხეჭქურებიც! აფსუს! თრთვ-
 ილდადებული ფოთლების ქვეშ რომ
 იყვნენ ჩაყუჩებულნი — ყვითლები,
 ცოტა მაგრები, მაგრამ ტკბილები, ტკბი-
 ლები! კუნწულა პანტებს რაღა დაემ-
 რთათ, მუხებრივით დიდებს?!

ყველაზე მეტად მაინც ატმები შემოგ-
 ვწყრნენ, თვითონვე რომ ავსებდნენ
 ჩვენს ვენახებს, ფერად-ფერად რომ
 იყვნენ გადაგრაგნილები, ქვეშ გავლა
 რომ გვიკირდა, აღარ ვიცოდით, ფეხი
 სად ჩაგვედგა, კალოებივით რომ ჰქონ-
 დათ დაგებული ნაყოფი! აფსუს, ატლა-
 სივით სუფთა, ლოყებაალისფრებულ
 საპობებო! ბებიების სიხარულებო, თა-
 ნაც მტანჯველნო, წელი რომ სტკიოდათ
 თქვენი ჩირვით. აფსუს, ზამთარში კი-
 დობანიდან ამოთრეულ სურნელოვანო
 ატმის ჩირო! აფსუს, ყვითელი ატმებო,
 აფსუს, წითლებო, ღვინისფერშერეუ-
 ლნი! სადა ხართ, მსხვილ-მსხვილო, თე-
 თრო, სახრავებო! ან თქვენა, ხავერდო-
 ვანო მკათათვის ატმებო, თან ცოტა
 „მარახოშებო“, თან მდიდრულად ტკბი-
 ლებო! ან თქვენა, ლეღატამებო, ან
 ვაშლატამავ, ტიტველა ატამსაც რომ
 გეძახდით... სადა ხართ, მთლად გვიანა
 ყვითლებო, დიდო ძირებო, ვენახების
 დაკრეფის შემდეგ რომ გვიხარებდით
 გულს. სადა ხართ ბადაზშოვანო მსხვი-
 ლო გორულებო!

ქლიავენს რაღა დაემართათ! სადღაა
 მსხვილი თეთრი ქლიავი, თაფლი, თაფ-

ლო! ან შავი ქანჭური! ან ნამდვილი პაპასხილი!

ნუთუ სამუდამოდ წახვედით და აღარ დაბრუნდებით, ჩვენი მამა-პაპის გამზრდევები! ნუთუ ეკრე უომრად დაუთმეთ თქვენი ადგილები უცხოობიდან მოსულებს: კალილებს, რანეტებს, ანტონოვურებს, შაფრანებს, სემირენკოებს! ალექსანდროულ მსხლებს, ვილიამსებს, სენეერმენებს, ეოზეფინებს! ატმებო, მშობლიურო, კეთილო ატმებო, — ტყემლის საძირებზე დამყნობილ დაბერილებს! ჩვენც ხომ არ წამოვიდეთ, სადაც თქვენ წახვედით? სადა ხართ, სად!



იგი ამბობდა:

— ო, რა სიფხიზლით სდარაჯობენ თავიანთ „საკარმიდამოებს“ (ტერმინი ეკუთვნის ოთარ ჩხეიძეს) ჩვენი ყანყანა მწერლები და პოეტები! სასიკვდილოდ გაიძეტებენ, თვით ფითრის ერთი ტოტიც კი რომ წაატეხოს ვინმემ მათ უძლურ ხეხილს. მეველებიც ჰყავთ დაქირავებული. ამ მეველებს უხდინა რაიმე „საქმეების ჩაწყობით“.

კიდევ კარგი, რომ ხანდახან მაინც ეთვლიშებათ მეველებს.



ხნიერი ქალი:

— ევ არის ჩემი სამშობლო, მანდ ცხოვრობს ჩემი საწყალი გვარი.



მიამბო რევაზ ჯაფარიძემ:

— ნოდარ დუმბაძესთან გიყი ქალი იყო, ნამდვილი გიყი. აჩვენებდა აბურდულ ფურცლებს და უკითხავდა ვითომდა რაღაც ლექსებს. ნოდარი მშვიდად უსმენდა, მშვიდად არიგებდა, მშვიდი, სიყვარულიანი დაიმედებით გაუშვა, გააცილა. ქალი სულ მადლობა-მადლობებით წავიდა.

მე გაკვირვებულმა ვკითხე ნოდარს,

— როგორ ახერხებდა გიყებთან უღრტივინველ საუბარს. და რა მიზანს ხა, იცი? — სულ მეჩვენება, ხომ შეიძლება, დედაჩემი იყოს, ბიჭო, ამგვარ დღეშიო...

აღანი და ევა

მე ვეშვებოდი ლაფიანხევის რიყერიყე, ისინი ამოდიოდნენ ამ რიყეზე ქვემოდან — კაცი, ქალი და ბავშვი, სამივენი შიშვლები, გარუჯულნი, მზის სხივებით გაბრწყინებულნი (ამის გამო თუ ვერ შევამჩნიე, რომ კაცსა და ქალს საბანაოდ ეცვათ). კაცი იყო მალალი, მხრებგანიერი, დაკუნთული, გრძლად მოშვებული თხელი თმა ოდნავ უტოკავდა ქვიდან ქვაზე ხტომისას. ქალიც იყო მალალი, ისიც მხრებგანიერი, წელწრილი, ძლივს ემჩნეოდა თეძობის სისქე. სამაგიეროდ, მკერდი ჰქონდა ღონიერად გამობერილი. მასაც უტოკავდა ხშირი, მხრებზე დაფენილი თმა. თმაცა და მკერდიც, ქალი და ბავშვი უკან რჩებოდნენ. ქალი იხრებოდა, ფეხის გულს ისინჯავდა. კაცი მიუბრუნდებოდა, რაღაცას ეუბნებოდა. ქალს ელიმებოდა. მივიდა კაცი, დასწვდა ჩახრილ ქალს და მსუბუქად აიყვანა. პატარა ბავშვი დედის ასხმარტალებული ფეხებისკენ იშვებოდა ხელებს...

რიყის აქეთ-იქით წამომართული იყო დიდი, მწვანედ აბოლქვილი ხეები. ხეების მალა იდგნენ თეთრი ქულა ღრუბლები, მზე აკაშკაშებდა ყველაფერს პირველყოფილი სიცხოველით...

ცოტაზე ატარა კაცმა ქალი და დასვა. ქალი ქვაზე დაჯდა თითქოს საბოლოოდ ნიათგამოცოლილი. მივიდა ბავშვი და მიეხუტა დედას, მკერდზე მიედო თავი. კაცი იდგა და სიცილით გაბრწყინებული დაჰყურებდა ორივეს მადლიდან.

რიყის იქით, ბებერი მუხების კორომიდან, თითქოს ღვთის სამსხვერპლოდან, ზეავიდა მალალი ცისფერი კვამლი...

პოეტ ქალს. ძვლები მტკიოდა მისი
ღვთი...

რამდენი ლიტერატურული გმირი წა-
მძლიოდა წინ! რამდენს გავყოლილვარ
ნაბიჯ-ნაბიჯ! ყველაზე სულგაკანკული
კი მაშინ ვიყავი, ვაყას თვალებით რომ
შევდიოდი ვენახებსა და ჭალებში! რო-
გორ დავყურებდი ხოლმე იებს! „იას
უთხარით ტურფასა, მოვა და შეგჭამს
ჭიაო“... მთის წყარო? ხმელი წიფელი?
მთანი მაღალნი? არა, ჩემთვის ცნობილ
მწერლობაში ვერავინ შეედრება ვაყას
— დედამიწაზე სიცოცხლის არსის ყვე-
ლაზე მტკივნეულად შემგრძნობს. შეი-
ძლება ვაყა (ქვეშეცნეულად) ჯერ კი-
დეც ასი წლის წინათვე გრძნობდა, რომ
რალაც გლობალური საფრთხე მოელო-
და ამ სიცოცხლეს!

ლამით მეტროს ვაგონში ვხედავდი
მარტო მიმჯდარ დაღონებულ ქართველ

ნუთუ მართლა არაფერს კითხულო-
ბენ ერთმანეთისას ჩვენ სამშოში? და
თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღა-
ფრთოვანებთ?

აი, „ლიტერატურულ საქართველო-
ში“ დაიბეჭდა ჯემალ თოფურაძის უმშ-
ვენეიერესი მოთხრობა „მათთვის, ვინც
მამებმა მიატოვეს“, ეს მოთხრობა გაუ-
ძლებს უმაღლესი დონის ევროპულ ან-
თოლოგიებს. ვეკითხები ხან ერთს, ხან
მეორეს, — წაიკითხეთ? წაიკითხეთ?
ერთნი: გამომრჩა. მეორენი, — წასა-
კითხი იყო? მესამენი, — არა უშავს,
არა?! — ესაა და ეს.

ვაი, საბრალო, საცოდავო ჯემალ!



წყალდიდობა

ზღვაო — აკვარელო,
 ცაო ფერნაცვალო,
 რაო, საყვარელო,
 რაო, გენაცვალე?!
 მზეც, ნუ გამიწყრები —
 დედას ვეფერები...
 ზეავმა, გამეწყრებამ
 შექმნა ეგ ფერები.
 თოვლის ცვენაც არის,
 მოსკდა ზემო ღელე...
 არა, გენაცვალე,
 არა, შემოგველე!...
 გააქვს რია-რია,
 ქარი მისისინებს:
 „რაა, რიონია,
 ზღვა თუ მისისიბი?“
 მგლურად გადაივლის
 ვაკეს,

ტალღებს ახლის,
 პირით ნადავლივით
 მიაქვს ოდა-სახლი...
 როგორ მოაოხრებს,

წყალში მოაგორებს
 შენს პატარა ძროხებს,
 შენს ულლიან ღორებს...
 შეარყევს და შეძრავს
 აყვავებულ მხარეს
 და მღვიმეში შემძვრალ
 ციკლოპს ახარხარებს...
 მაგრამ გული გულობს,
 რამდენ ერთგულს ხედავ,
 ძუძუდაკაწრულო,
 ცრემლიანო დედავ!
 დღეს ვინც კივის, ყველა
 ჩემი კივილია,
 თურმე საქართველო
 ერთი ტკივილია!
 არა მხოლოდ ქართველს —
 მთელს ქვეყანას სტკივა!
 ახლა უნდა დათბეს,
 ახლა შეწყდეს წვიმა.

არა, შემოგველე,
 არა, გენაცვალე!..

აკოკალიონი

ძველი ერა და ახალი ერა,
 გინდ საუკუნე, წუთი და წამი
 ჩვენ მოვიგონეთ და თვითონ გვჯერა,
 რომ იზომება დრო მხოლოდ ამით.
 მანძილი — მეტრი, ადლი და ფუტი,
 სიბო — ცელსიუსს, რეომიური,
 წონა — მისხალი, გრამი და ფუთი
 ჩვენ შევეფარდეთ ერთიმეორეს.
 საწუთროს გზებზე ჩვენც დავიქანეთ.
 დედამიწასაც ჩვენგანვე სტკივა.
 რისთვის? მსურს ვკითხო პრემიერს,
 კანცლერს,
 რისთვის? მსურს ვკითხო პრეზიდენტს,
 მდივანს.

შეება მოსდევდა გაუგებარი
 ძვლების ნამსხვრევებს, სისხლის
 ნატბორებს,

ჩვენი სიცოცხლე რატომ ებარა
 მეფეებს, შაჰებს, იმპერატორებს?
 ვეძებთ, სულ ვეძებთ სიმშვიდის
 კონცხებს,
 ვთქვათ, ეს ლექსია, ვთქვათ, მიუსვამ
 რატომ იტაცებს იგი სიცოცხლეს,
 ვისაც სიცოცხლე არ მიუცია?
 „საწუთროს გზაზე თაობას არცერთს
 არ ღირსებია მხოლოდ მშვიდობა...
 რისთვის? მსურს ვკითხო პრეზიდენტს,
 კანცლერს,
 რისთვის — დასჯა და არა შენდობა?
 თუ საუკუნე ოცდამეერთე-
 არ მოვა (ხომ ჰგავს ეს კარტის
 თამაშს?),
 ზედ გადაგვივლის როგორც მეეტლე,

უგნურ შვილებზე გამწყრალი მამა,
ვერ ვნახავთ ცეცხლის სიდიადესაც,
როცა ატომი მარაოს გაშლის...
ამას დავარქვით ხე ცნობადისა,
ამას დავარქვით ადამის ვაშლი?
და ჩვენთან ერთად დროცა და
სივრცეც

გაქრება: არვინ აღარ აზომავს.
აღარ იქნება სუსტი და მტკიცე,
არც სიბერე და ახალგაზრდობა.
იქნება დილა, იქნება ღამე,
იქნება წყალი, იქნება ქვიშა...
და არა სივრცე და არა ქამი
და ქარს გაჰყვება ბოლო აფიშა...

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

მე რომ ცაცხვის ბუტკო ვიყო
და ფუტკარი მესეოდეს,
ფურცელ-ფურცელ თუნდ გავიყო,
მოვძებნიდი ჰესიოდეს.
მე რომ ღვინის თასად ვიქცე
და წყურვილი დავიამო,
არვინ იტყვის არსად ისე,
როგორც იტყვი, ხაიამო!
მე რომ გოგოს ვიყო მკერდი,
მარმარილო და ტიტველი,
ჰადესიდან იკანკლედით
მოაღწევდა პრაქსიტელი.
მე რომ დილის ჰანგი მომცა,
მთვარეს როცა ვეთხოვები,

მაგ სიცოცხლეს დაგილოცავ:
მოვა თვითონ ბეთჰოვენი.
მე რომ ვიყო ერთგულება...
(როგორ ელის რუს თაველი!)
მხოლოდ ერთი მეგულება,
მხოლოდ ერთი — რუსთაველი!
მე ვარ ცაცხვი, მე ვარ დილა,
მე ვარ თასი, ერთგულება,
არაფერი მივარდნილა,
არაფერი მერთულება.
რა აზრი აქვს ახლა ძებნას,
რა აზრი აქვს, ჩემო კარგო?
მთავარია, არ დამეხნას,
მთავარია, არ დავკარგო!

ორი ირონიული

ვ ა რ დ ე ნ ი

ისწავლა წერა ვარდენმა,
წერა და წერა ლექსები,
მუზა ნახირში გადენა,
სკივრი აავსო სესხებით:
ერთს აზრი თხოვა, სხვას რითმა,
სხვას — მასობრივი ტირაფი
და წიგნი, როგორც ჩიხირთმა,
შეკმაზა სულ ერთ კვირაში.

წერე, წერე, ჩემო ვარდენ...
* * * * *
დაგვეყვივებენ საყენით
მოკუნტრუშ-მონაფარდენი...
წავიდა ერთი აკაკი,
მოვარდა ათი ვარდენი!
ო, თვალო პატიოსანო,
რა ცოდვა გექონდა ამდენი,
რომ დაგვიდუმდი, მეოსანო,
და წააქეზე ვარდენი!

ს ა ვ ა რ ძ ე ლ ი

დგას თავისთვის სავარძელი
და არ იცის სავარძელმა
არც ქამთა სვლა და მანძილი,
არც ბრძოლა და დამარცხება.

არც ის იცის სავარძელმა,
რატომაა სავარძელი,
რა ზრიკებით გააძევა
ამ ახალმა გავა ძველი...

აზთარი

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, საყოველთაოდ აღიარებულ ფილმს „მონანიებას“ გარკვეულწილად საფუძვლად დაედო ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ წულეისკირის სცენარის სიუჟეტი.

მწერალმა წარმოადგინა ამ სიუჟეტზე შექმნილი რომანის პირველი ნაწილი, რასაც ვთავაზობთ მკითხველს.

რომანი

პირველი ნაწილი

მარლამ არაპიძის დაბრუნება

ვარლამ არავიძე გარდაიცვალა. არავიძეთა ცისფერი რკინის კარიბჭე გააღეს და ღიად დატოვეს. კარიბჭეო ვამბობ, რადგან ჩვეულებრივ უიშვარს ის არ ჰგავდა, ჩვეულებრივი, სხვათა მსგავსი, ამ არე-მარეში არაფერი იყო.

სოფლის ბოლოს, ნაკრძალის ზონაში, არავიძეთა სასახლე იდგა, დიდი გალავნით გარსშემოზღუდული და რკინის თაღოვანი კარიბჭით დაგვირგვინებული.

კარიბჭიდან სასახლის კიბემდე, მწვანე თალარის გაყოლებით, ძვირფასი ხალიჩები დააგეს მიწაზე. სასახლის მაღალი კიბე და ფართო აივანი ყვავილებით მორთეს. შავი ძაბა უწარწეროდ გადმოფინეს და შავი ბაფთები სასახლის ტერის საყრდენ ბოძებს შეაბეს.

სიკვდილმა გაახსენა სოფელს ვარლამ არავიძე. ყველას მიერ, თვით სიკვდილის მიერ, მივიწყებული კი არ მოკვდა, გაცოცხლდა თითქმის. ვარლამ არავიძე გარდაიცვალაო, სოფელშიაც გაიგო და ქალაქმაც.

არავიძეთა სახლელული კარგა ხანია ელოდა ვარლამის თვლის დახუჭვას, როცა ეა დღე, ბოლოსდაბოლოს, დადგა, მისი მიწაში ჩამარხვა გაჭირდა. ვარლამის ერთადერთ შვილს — აბიას, (საბუთებით აბელს) სასახლედ უნდა დაემარხა მამა. ვარლამ არავიძე ცოტა ადრე რომ გარდაცვალილიყო, მთელ დედამიწაზე თუ არა, მის პატარა სოფელ-კუთხეში, არავსა და არავიძეთაში, საყოველთაო გლოვა გამოცხადდებოდა. შა-

ვება ჩაიცმევდა დიდი და პატარა, თვით დედაქალაქში — არაუშო გამოფენდნენ შავ დროშებს.

„მაგრამ ის დრო წავიდა“ — ფიქრობდა კუბოს თავთან მდგარი ვარლამის ერთადერთი ვაჟიშვილი, აბია. სახეზე ღრმა მწუხარება აღბეჭდოდა, დინჯად და ღირსეულად ართმევდა ხელს მოსამძიმრეთ, დროდადრო კარიბჭისკენ გაიხედავდა და თვალს შეეველებდა ეზოში ახალშემოსულ მოტირალთ, თან საათს დახედავდა.

„არ მოვიდა“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა ერთხელაც. კუბოსთან მსხლმ შავით მოსილ ქალებში, თავისი შეუღლე, ცისმარე, მოძებნა თვალეებით, თითქმის მისგან ნუგეშს ელოდა. „არ მოვიდა“ — შეაფეთა ასევე შეშფოთებულ-შეშინებული თვალები ცისმარემ ქმარს.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა, ცნობისწადილი მეტი იყო, ვიდრე გლოვა და მწუხარება.

სამი დღე იღო ცხედარი „ზალაში“ ისე, აბია ვერც პანაშვიდებს ნიშნავდა და ვერც დასაფლავების დღეს, კუბოც კი ვერ შეუყვება.

ვარლამ არავიძის დასაფლავებას მარტო ივისიხი ნესტორის ძე ვერ გადაწყვეტდა, ლოდინი გაჭიანურდა. ბოლოსდაბოლოს, აღიარეს და ვარლამ არავიძის პატივით დაკრძალვა ბრძანეს, ოღონდ არა არაუშო, როგორც ეს აბიას უნდოდა, არამედ არავიძეთაში, სოფელში.

საიდნ მოვიდა ეს ბრძანება, ვინ ბრძანა, ვინ გადაწყვიტა?.. — ამის თა-

ობაზე აბიამ არაფერი იცოდა და არც ამბის მომტანს შეეძლო მინიშნებით მანც რაიმე ეთქვა.

გაზეთში ნეკროლოგი გამოქვეყნდა. ნეკროლოგს ხელს აწერდა „ამხანაგების ჯგუფი“. აბიას აზრით თავშეკავებულიად წერდნენ ვარლამზე ამხანაგები, ვარლამ არავიფე მეტის ღირსი იყო.

ასე იყო თუ ისე, ნეკროლოგი გაზეთში გამოქვეყნდა, ეს ბევრს ნიშნავდა, აბიას ხელ-ფეხი გაეხსნა, მამას წესისამებრ დასაფლავებდა. მართალია, ქალაქში დასაფლავება სხვა იყო და სოფელში სხვა, აბიას აზრით, მაგრამ რაკი ასე ბრძანეს, ასე იყო საჭირო.

ოღონდ აბიას ეთქვა და ბიჭები გაუჩენელს გააჩენდნენ, შეუძლებელს შეძლებდნენ. მოუსწრებს მოასწრებდნენ.

აბიამ დილით რომ დანიშნა დასაფლავების დღე, ჳირისგამრიგეთ სალამოს თითქმის ყველაფერი მზად ჳო-ნდათ. მუხის კუბოც მოიტანეს და ეზოში ხუთასკაციანი ქელეხის სუფრაც გაშალეს, მუსიკოსები იჭირავეს და მესაფლავეებიც შეარჩიეს...

აბიას არავიფეთი და მთელი არავი პატივს სცემდა, მის დაწინაურებას ყოველ დღე მოელოდნენ, მამამისის, ვარლამ არავიძის, შიში არავსა და არავიფეთში ჳერაც ძველი თოვლივით იყო. ვარლამის გამო აბიასაც განსაკუთრებული რიღითა და კრძალვით შეს-ცქეროდნენ, არავინ იცოდა ხვალ რას იზამდა აბია.

მართალია, აბიას მამის სახელი და დიდება აყლდა, მაგრამ ის მანც ვარლამის შვილი იყო, კვიცი გვარზე ხტო-და, — ხვალ-ზეგ ეგებ მთელ არავს დაპატრონებოდა. წინასწარ იჭერდნენ თადარიგს აბიას ნაცნობ-მეგობრები, ხელს არავის გაანძრევიებდნენ. სასახლოდ ჩადებდნენ ვარლამს სამარეში. აბიას სხვა რამ აღარდებდა და აშფოთებდა — მოვიდოდა თუ არა დასაფლავებაზე ივსიხი ნესტორის ძე?

ივსიხი თავის ჳეშმარიტ მემკვიდრედ აბიას თვლიდა, მის შემდეგ არავ-

სა და არავიფეთს აბია უნდა ჩადგომო-და სათავეში. ივსიხს ეს საჯაროდ ჳე-ნდა ნათქვამი. აბია და მისი მეუღლე, ქალბატონი ცისმარე, მოუთმენლად მოელოდნენ იმ დღეს, როცა ივსიხი პენსიაში გავიდოდა და მის ადგილას აბია გამოიჭიმებოდა. თუ ვარლამის დასაფლავებაზე ივსიხი არ მოვიდოდა, ეს „არ მოსვლა“ ავის მაუწყებელი იქნებოდა. რატომ არ უნდა მოსულიყო ვარლამის დასაფლავებაზე ივსიხი ნესტორის ძე? რატომ დაიბადა ეჭვი? ეჭვი დაიბადა იმ დღეს, როცა ვარლამი გარდაიცვალა. აბიამ ივსიხთან კაცი აფრინა და ვარლამის გარდაცვალება შეატყობინა. კაცი მართლაც გაფრინდა ივსიხთან, მაგრამ მობრუნება და ამბის მოტანა გაუჭირდა. ასე და ისეო, მივედიო, დიდი პატივით მიმიღოო — ჳყვებოდა ამბის მიმტან-მომტანი. — თქვენო, ბატონო აბიავ, სიყვარულით მოგიკითხათო... ამის შემდგომ აბუნდოვანებდა სათქმელს, რალაცას არეულ-დარეულად ჳყვებოდა, ახლა ხომ იცით რა დროაო, ფრთხილად უნდა ვიყოთო...

ვერას გზით, ვერა ხერხით. აბიამ იმ კაცს სიტყვა ვერ დააცდენინა თუ რას ამბობდა ვარლამზე და ვარლამის დაკრძალვაზე ივსიხი ნესტორის ძე.

წესით და რიგით ივსიხს თვითონ უნდა გამოეგზავნა კაცი, ვინც ვარლამის დაკრძალვას გაუძღვებოდა. ეს ასე არ მოხდა, ეჭვიც ამან დაბადა, სამწუხარო და სავალალო ის იყო, რომ ეჭვი მართლდებოდა. ივსიხი ნესტორის ძე ვარლამის დასაფლავებაზე არ აპირებდა მოსვლას.

თანდათან აივსო მოტირალეებით სასახლის აივანი და ეზო, კარიბჭესთან და კარიბჭის გადაღმაც, შარაგზაზედ, მოჯარდა ხალხი.

ჩამოვიდნენ მთებიდან, ბარიდან, ქალაქებიდან, სოფლებიდან...

ჳირისგამრიგენი, მოწესენი, დამტირებელნი, ქელეხის მსახურნი, ეზოში ტრიალებდნენ და ბეჯითად უძღვე-ბოდნენ ტირილს.

ლენინისაგან წამოჭარხლებული, ოდნავ ფეხბარეული მოწესენი შორიდან ჩამოსულ სტუმრებში ტრიალებდნენ და სეფისკენ ეპატიებოდნენ.

დამტირებლები ჭიჭართან ხვდებოდნენ ახალმოსულთ და ტანის ამოხედნილი რხევით, ზელების ოდნავი შეტოკებით პატივისცემას გამოხატავდნენ სტუმართა მობრძანების გამო, მიაცილებდნენ და მოაცილებდნენ ჩამოსულთ.

— თანგული! თანგულია სად არის? — იკითხა უცებ აბიამ და წელში გასწორდა, მოსამძიმრეთა შესახვედრად მოემზადა. ეზოში არავიდან ჩამოსული ხელმძღვანელები შემოპყვნენ მოტირალთ.

ხალხი მიდგა-მოდგა და საპატიო სტუმრებს განგებისად თავმოდრეკით შეხვდნენ.

აბიამ შორიდანვე, ეზოში შემოსვლისთანავე, შეამჩნია, რომ ივსიხი ნესტორის ძე არ იყო მოსულთა შორის, გული ჩაწყდა. ისედაც მწუხარე სახესულ მთლად ჩამოექუფრა.

— სად წავიდა თანგულია, მომიყვანეთ აქ! — გასძახა შავით მოსილ ქალებს აბიამ.

გვერდითი ოთახის კარი გაიღო და ოჩოფეხებზე შემდგარივით, გრძელფეხება, წელში ოდნავ წახრილი ბიჭი შემოვიდა ზალა-საცხედროში და მამას სწრაფად ამოუდგა მხარში.

არავიდან ჩამოსულებმა ხალხის ცოცხალი ღერეფანი ჩქარი ნაბიჯებით გაიარეს, დამტირებლები მათ კარიბჭესთან შეეგებნენ და ცოცხალი ღერეფნის გაწვევ-გაწვევით კიბემდე მიჰყვნენ.

არავიდან ჩამოსულებს თეთრი კოსტუმები ეცვათ. თეთრი კოსტუმი ყველას როდი ეცვა არავსა და არავიძეთში. აქაური გლეხკაცის სამოსი ოდითგან ღართი და კვართი ყოფილა. შიგნით კვართი ეცვათ, გარეთ ღართი ემოსათ. დღეს, რალა თქმა უნდა, კვართსა და ღართს არავინ დაგიდევდათ, ზოგს ამერიკული ჭინსი ეცვა, ზოგსაც ამერიკული ჭრელი პერანგი, არავიძეთში

ისეთ გლეხკაცსაც ნახავდით მექსიკური სომბრერო რომ ეხურა, მაგდანი თეთრი კოსტუმის ჩაცმა, არავიდან ჩამოსულებს რომ ეცვათ, ყველა არაველი ჭაბუკის ოცნება იყო. თეთრკოსტუმიანებს თავიანთი თერძი ჰყავდათ და თავიანთი თეთრი მუდის საქსოვი საამქრო ჰქონდათ.

ასეთი კოსტუმები მხოლოდ მათ ეცვათ. თეთრკოსტუმიანები არავიძეთა მსახურები იყვნენ, ასე იყო დადგენილი ამ კუთხე-მიდამოში, არავიძეთა მსახურთ კი არავის ძენი პატივსა და თაყვანს მიაგებდნენ.

აბიასაც ეცვა ის თეთრი კოსტუმი, ოღონდ შავი არშია ეკეთა მარჯვენა მკლავზე გლოვის ნიშნად.

თეთრკოსტუმიანები „ზალაში“ შემოლაგდნენ, შემოუარეს ცხედარს ირგვლივ, თავი დაუქნიეს შავით მოსილ ჭირისუფლებს და სათითაოდ ჩამოართვეს აბიას ხელი, ზოგი მათგანი გადაეხვია კიდევ. აბიას ცრემლი მოერიდა, მეგობრების თანაგრძნობამ გული აუჩუყა.

ერთი თეთრკოსტუმიანი შეჩერდა და ხმადაბლა უთხრა:

— ავადაა.

იგულისხმებოდა ივსიხი ნესტორის ძე. აბიას გაუხარდა, გულის სიღრმეში იმედიც კი მოეცა. უნდოდა ეკითხა: „ვინ გითხრა, თუ თვითონ დავირეკაო?..“ მაგრამ თავი შეიკავა, სულსწრაფობა არ შემატყონო. მადლობა გადაუხადა სტუმრებს. თანაგრძნობისათვის, ლხინში და ქორწილში გადამეხადოსო — გააყოლა ყველას.

თეთრკოსტუმიანები აივანზე გამოვიდნენ, იქ სკამები იდგა, შორიდან ჩამოსული სტუმრები ისხდნენ და ხმადაბლა მუსიფობდნენ. თეთრკოსტუმიანები რომ დაიანახეს, წამოუდგნენ ფეხზე და მიესალმნენ, თან კედელ-კედელ, შეუმჩნევლად და მორიდებულად, გაეცალნენ იქაურობას.

აივანი სულ მთლად დაიცალა. არავის უთქვამს მათთვის წადითო, უნებურად გაიკრიფნენ.

თეთრკოსტუმიანების მოსვლა იმის ნიშანი იყო, რომ ვარლამს მალე გამოსვენებდნენ ეზოში. ჭირის მოზიარენი ჯგუფ-ჯგუფად, კუთხე-კუთხე იდგნენ, ზოგი ცნობისმოყვარე, სასახლის, სამზადისა, სასიმიინდის უკან, ხეხილის ბაღის ბოლოს, ცალკე მდგარ თავშესაფარში, როგორც ვარლამი ეძახდა ამ რკინის ხუხულას, მიმდგარიყო და არავიძებებს ხმადაბლა ჭირდავდა.

— აი, იმ ბუნჯერში ამოხდა სული, — ბერკაცი ნაბღისქუდიან წვერმოშვებულ მოხუცს შორიდან უჩვენებდა ვარლამ არავიძის თავშესაფარს — შვილიშვილი რომ ჰყავთ ერთი, თანგულია, ხომ გინახავს? — ა, იმის მეტს არავის იკარებდა თურმე, არ ენდობოდა არავის. შვილზე და რძალზეც ეჭვიანობდა მომწამლავენო, იქ დაიმწყვდია თავი... ააფრინა ბოლოს, აფსუსს ვარლამ არავიძე!..

— კი, იმ ბიჭის ხელში მოკვდაო, ასე ამბობენ, — დაუდასტურა მოხუცმა.

— იმის ხელში, ჰო, ის ბიჭი ნამდვილად კარგი ჰყავთ არავიძებს. ისეთებს ღმერთი აჩენს...

თავშესაფარი ეკლიანი მავთულით იყო შემოღობილი, ღობის გადაღმა არავიძეთა ავი ძაღლი ჰყვებდა, ძაღლი ჯაჭვით იყო დაბმული და თავშესაფარის არე-მარეზე ადამიანს თვალს რომ მოკრავდა, ტოტზე დგებოდა, ავად იღრიწებოდა შორიდან.

ცნობისმოყვარენი თავშესაფარს არ ეღვოდა, ვინც სამძიმრისთვის მოვიდა, აქედ ყველამ გამოისიერნა, ვითომ სხვათაშორის, ვითომ ისე, ღროის გასაყვანად მობაასობდნენ.

ცალი თვალთ იქით, რკინის თავშესაფარისკენ იყურებოდნენ, თან ათასგვარ ჭორებს თხზავდნენ ვარლამ არავიძეზე, მის წარსულზე, აბიაზე, ცისმარეზე, თანგულიაზეც კი.

თეთრკოსტუმიანების მოსვლისთანავე შემცხადებლები ნელა დაიძრნენ წინა ეზოსაკენ. მიცვალეზულს მალე გამოსვენებდნენ, შესახვედრად ემზადებოდნენ. წამით შეწყდა სამგლოვიარო

მუსიკა. თმაქოჩორა ბიჭმა გამოიტანა პირველი თავიგული.

— მოითმინეთ! — ამოიჭრა აივანზე ნოვე — მთავარი ჭირისგამრიგე.

იქ კვლავ მოეყარა ხალხს თავი, თეთრკოსტუმიანები ეზოში ჩასულიყვნენ. ნოვემ ხალხი მიარღვ-მოარღვია და აბიასთან მივიდა.

— აბიავ, ბატონო, ვიცი რომ თქვენც არა გწამთ არაფერი, ვარლამსაც არ სწამდა, ჩვენც არა ვარტ მთლად ყრუები, ჩვენც არა გვწამს, მაგრამ წესი წესია, ნუ დავარღვევთ მამა-პაპურ წესსა და რიგს... გავიყვანოთ ჭირისუფლები და დაეხუროთ კარები.

— კი ბატონო, — უთხრა აბიამ ნოვეს — ჭირისგამრიგე შენ ხარ და გააკეთე ისე, როგორც საჭიროა.

ნოვემ ჭირისუფალი ქალების გაყვანა ბრძანა. აბია აივანზე გადადგა, ზენონს ეძებდა. ზენონს სიტყვის წარმოთქმა ევალა. რამე სისულელე არ წამოროშოსო, წინასწარ უნდა გაეგო რის თქმას აპირებდა.

ზენონი აბიას თანამშრომელი იყო. სატირლებში გამოსათხოვარი სიტყვის თქმა ეხერხებოდა. ზეპირად წარმოსთქვამდა სამგლოვიარო სიტყვებს. აბიამ გააფრთხილა, დაწერე და წამაკითხეო. ზენონს გამოსათხოვარი სიტყვა ოთხად გაკეცილი ელო ჯიბეში.

ზენონმა აივანზე გადმომდგარი აბია რომ დაინახა, მაშინვე მისკენ გაეშურა.

ზენონი იყო მალალი, მკვრივად ჩასხმული წითური კაცი, სამრეწველო საქმეებს ხელმძღვანელობდა არავში, „დიდ მრეწველს“ ეძახდნენ.

ზენონი კიბეზე ჩქარი ნაბიჯებით ამოიბოდა, აივანზე რომ დადგა ფეხი, კიდევ უფრო აჩქარდა. შორიდანვე შეატყობდა ადამიანი რომ მდევით ვაჟკაცს ნემსის ყუნწში ძრომის დიდი გაკვეთილები მიეღო, ქლესა-მლიქვნელობის აკადემია დაემთავრებინა.

ქუდმოშვლებილი დაუდგა წინ აბიას, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქალაღი ამოიღო და კითხვას შეუდგა: „პატივცემულო საზოგადოება...“

— მომეცი, მე წავიკითხავ! — უთხრა ცივად აბიამ და ქაღალდი გამოართვა.

ზენონი გვერდით დაუდგა და თვითონაც ჩაჰყო ცხვირი ნაწერში. აბიამ ზურგი აქცია, შენი დახმარება არ მჭირდება, თვითონაც კარგად წავიკითხავო. ზენონმა ირგვლივ შემოუარა და კვლავ ჩაუყო ცხვირი ნაწერში. აბიამ სიტყვის ბოლომდე წაიკითხვა ვერ მოასწრო. ნოვემ დაუძახა. აბიამ ნაწერი ზენონს დაუბრუნა და ზალაში შევიდა. ნოვეს იქიდან ჭირისუფალი ქალები გაეყვანა, მამაკაცები დაეტოვებინა კუბოს ამწევად. აბიამ პირველმა მოკიდა მამამისის კუბოს ხელი, მიეშველნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები, თანგულიც მოიყვანეს, წინ წარიმძღვარეს და კუბო სამჯერ შემოატარეს ზალაში, სამჯერ ჰკრეს კუბოს ცხვირი ჩაეკეტილ კარებს და გახსნეს კარი. კარებში პირველი თანგულია გამოჩნდა, კუბოს წინ ის მოუძღოდა. შავით მოსილ ქალებში, ვიღაცამ შეჰკვილა: „დიდუჰ, ვარლამი, შენს სახლკარს სტოვებო?“ — ცისმარე არ კიოდა. კივილი და მოთქმა არ შეეძლო, არც სთვლიდა საჭიროდ. მისი აზრით სოფელი დედაკაცები ჰკიოდნენ და მოთქვამდნენ, კულტურული ქალაქელი ქალები ჩუმად ისხდნენ კუბოსთან და სასაფლაოსკენაც ჩუმად მიაცილებდნენ მიცვალებულს.

ციმარე შავით მოსილ ჭირისუფლებს შორის იდგა ეზოში და ვარლამის გამოსვენებას ელოდებოდა, მართალია, უპირველესი ჭირისუფალი სწორედ რძალი — ცისმარე იყო, მაგრამ იკვლავ დისშვილმა, მთიდან ჩამოსულმა ხანს მიღწეულმა გაჭაღარაგებულმა ქალმა. რაკი არავინ აჰყვა, მოთქმაზე გადავიდა, ნამეტანი წივილ-კივილის მასაც შერცხვა.

როცა ვარლამი ეზოში ჩამოსვენეს, მემანეტიოფონემ ხმას აუწია, „სულო ბოროტოს“ მელოდით აიგსო არავიძეთა ეზო-მიდამო.

ჭირისუფლებს კუბოს წაღებაში ახლობლები და ნათესავ-მოყვრები შეე-

ნაცვლნენ. აბიამ გულზე ხელბრუნებას დაიწყო და კუბოს უკან მიჰყვა.

ვარლამს პირისახე მთლად გალურჯებოდა, დაემახინჯებინა სიკვდილს. თანასოფლელებს ვარლამი წარმოსადგეგი, ლამაზი ვაჟკაცი ახსოვდათ. დასიებულ, დაუშნოებულ ვარლამს თვალს რომ მოჰკრავდნენ, თავს დანანებით აქნევდნენ და ერთმანეთს შესჩიოდნენ:

— დეთა, დეთა, ვარლამი, უბედური, ვარლამი, საცოდავი!.. რავა გოუთელია და გოუთახსირებია სიკვდილს ვაჟკაცი კაცი!

ჭიშკარში რომ გადავიდნენ და სასაფლაოს გზას დაადგნენ, ნოვე მოვარდა აბიასთან და საყვედური უთხრა:

— ეზოში უნდა დაგვესვენებია, აბიავ, ბატონო, — ვიჩქარით ნამეტანს სამარეში ჩადებას, არ შეიძლება ასე.

— მერე რატომ არ დავასვენეთ?

— მეც იმას არ ვჩივი? ზენონს ებარა ეს საქმე!

ნოვემ თვალთ მოძებნა ზენონი. წინ მიდიოდა, კუბოს ახლოს მისდევდა, ბიჭებს კუბოს წაღებაში ეხმარებოდა.

ნოვემ ზენონი დაიმარტოხელა და დატუქსა:

— ყველაფერი მე გავაკეთო? — თან აბიასაკენ იყურებოდა, იმის გასაგონად ამბობდა ამ სიტყვებს.

ნოვეს მართლა დიდი საქმე ებარა, — ვარლამის დასაფლავება, მთავარი ჭირისგამრიგე ის იყო. აბიამ ხეირიანად არც იცოდა ქელების სუფრა მის ეზოში ასე ლაზათიანად, შნოიანად ვინ გაშალა, ვინ მოიტანა ამდენი საწოვაგე. ვინ გააკეთა ხაშლამა და სად იშოვეს ზუთხი. ნოვე იყო შემოქმედი ქელებისა, ნოვე გახლდათ რეჟისორი ტრაგედიისა — „ვარლამ არავიძის დაკრძალვა“. ნოვეს მოსწონდა უფროსობა, წარა-მარა ვიღაცას მიუთითებდა, ვიღაცას ტუქსავდა:

— როგორ მიგაქვთ კუბო! — გაური-სხდა ახალგაზრდებს ნოვე. ზენონთან საუბრისას მან თვალი მოკრა რომ კუ-

ბო ერთ მხარეს დაქანდა. უმაღლესი მიატო-
ვა ზენონი და კუბოს წამლები დაუცა-
ცხანა:

— მალეები გვინდა, მალეებმა შეც-
ვალეთ! ვერ ხედავთ ცალ მხარეს მალ-
ლები უდგანან კუბოს, ცალ მხარეს და-
ბლები. ყველაფერი სხვამ როგორ უნდა
გასწავლოთ! — ნოვემ კვლავ გახედა
აბიას.

რასაკვირველია, საგანგაშო არაფერი
ხდებოდა, კუბო წესისამებრ მიჰქონ-
დათ, თუ კარგად დააკვირდებოდით,
ეგებ შეგემჩნიათ, რომ ცალ მხარეს მა-
რთლა იყო კუბო დაქანებული, ნოვე კი
ამას არავის აპატიებდა.

ნოვე სულ მთლად უმიზნოდაც იძ-
ლეოდა რჩევებს და ჭკუას არიგებდა
ხალხს. სამსახურში ეს მას არ შეეძლო,
იქ ყველანი მრჩევლები და დამრიგებ-
ლები იყვნენ, ამიტომ მთელ თავის
ჭკუა-გონებას აქ ხარჯავდა. აბიას მა-
ინცა და მაინც არ მოსწონდა ნოვეს
საქციელი, მაგრამ ითმენდა. ნოვე მა-
რთლა ერთგულად ემსახურებოდა, რა
ფუყოთ თუ აჭარბებდა. ასეთი ბუ-
ნების კაცი იყო ნოვე, მას მოიქნელო-
ბის ასეთი, ფორმა აერჩია, ჭკუას სხვას
ასწავლიდა, სხვას მიუთითებდა და ამით
თავის უფროსს ერთგულებას უმტკი-
ცებდა. ჰიშკარს გადაღმა, ასიოდე ნა-
ბიჯზე, იდგა შავქსოვილგადაფარებული,
წითელი მიხაკებით მორთული ბალდა-
ხინი, კუბოს წინ მიუძღვოდნენ დამჭირ-
ველები და სამხედრონი, რომელთაც
წითელი ბალიშებით ვარლამ არავიძის
ორდენები და მედლები მიჰქონდათ.
გზის პირებზე ჩამეწყრივებინათ ხალხის
გადასაყვანი ავტობუსები და მსუბუქი
ავტომანქანები. აქ ბრძანებებს ზენონი
იძლეოდა. მძღოლებში იდგა და ხელებს
იჩენვდა.

სამგლოვიარო სვლა ზენონის ზურგს
უკან შედგა. კუბოც შეაჩერეს ჰაერში.
საიდანღაც ნოვე მოვარდა და ზენონის
გადაწყვეტილება კუბო ბალდახინზე
დაესვენებინათ და. სასაფლაოსკენ გზა
ასე განეგრძოთ, შეცვალა.

— არ გვჭირდება ბალდახინი, ვარ-

ლამ არავიძე იმის ღირსია. კუბო საფ-
ლავემდე ხელით მივიტანოთ!.. — ხმა
მალა, ყველას გასაგონად თქვა ნოვემ.
მართლაც, სასაფლაო იქვე იყო. ორი
ფეხის ნაბიჯზე, კუბოს წაღება ახალგა-
ზრდებს არ უნდა დაზარებოდათ, ბევრი
ფიქრობდა ასე და ნოვემ უმეტესობის
აზრი გამოხატა. სასაფლაო მართლაც
ახლოს იყო. თუ პირდაპირი გზით წა-
ხვიდოდით, არავიძეთა ეზოს გადაღმა,
ვიწრო შუკას რომ აუყვებოდით, იქვე,
ტყის პირას, ფერდწალეწილი თეთრი
საყდარი შეგხვდებოდათ, იმ საყდრის
ეზოში ემარხნენ არავის ძენი და ვარ-
ლამიც იქ უნდა დაესაფლავებინათ.

სამგლოვიარო სვლა შუკაში გაიჭიმა,
ხალხი ვიწრო გზაზე ვერ დაეტია, უვალ
ადგილებში გაიბნენ, ზოგი ფერდობს
აეკიდა და მოკლულე მოჭრა. ავტობუსე-
ბი და ავტომანქანები შემოვლით, საავ-
ტომობილო გზით დაიძრნენ სასაფ-
ლაოსაკენ. მალე ყველანი ერთად შეიკ-
რიბნენ ვარლამ არავიძის გათხრილ სა-
ფლავთან. მემუსიკენი ცალკე დადგნენ
და თავიანთ საქმეს შეუდგნენ.

კუბო საფლავის კიდეზე დაასვენეს,
თავსარქველიც იქვე, გვერდით დაუდეს.
წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვა-
რდა.

— ბატონებო და ქალბატონებო! —
სიტყვა აიღო ზენონმა, — დღეს ჩვენ
ვეთხოვებით დიდ აღამიანს, დიდ მოქა-
ლაქეს, დიდ ვაჟაკს, სათაყვანო მამუ-
ლიშვილს.

ზენონს ხელში რვეული ეჭირა, მაგ-
რამ, რასაკვირველია, შიგ არ იყურებო-
და, ზეპირმეტყველებას უპირატესობას
ანიჭებდა. რვეული აბიას ხათრით ეჭირა
ხელში, აბიამ უთხრა: წაიკითხო, თო-
რემ წარმოსათქმელი სიტყვის წაიკითხვა
ზენონისათვის დამარცხებას უდრიდა.
მთელ ამ კუთხეში თავისი ზეპირქადა-
გებებით იყო განთქმული. სათქმელი
მუდამ წყალივით იცოდა. შედგებოდა
ტრიბუნაზე — დაუმტკიცებელს დაამ-
ტკიცებდა, გამოვიდოდა ხალხის წინა-
შე — გასახლებდა, სუფრის თავში თუ
სამარის პირას სიტყვის მთქმელს, ზე-

ნონზე უკეთეს ვერსად იპოვიდით, ასე სწამდა არავიძეთს და ასეც იყო სინამდვილეში.

ოლონდ ერთი სიტყვა უშლიდა ხელს, ხანდახან აეკვიტებოდა და მთელ მის მკვერბეტყველობას ანგრევდა. მართალია, ის სიტყვა აზრის მოკრეფაში ეხმარებოდა, მაგრამ სიმკვერეს სცემდა ლახვარს, ეს სიტყვა გახლდათ „მამდამე“.

აბიას არ მოსწონდა, როცა ზენონი „მამდამეს“ კორიანტელს დააყენებდა, ამიტომ უთხრა წაიკითხო. ზენონს რვეული, მართალია, ხელში ეჭირა, მაგრამ სიტყვას ზეპირად ამბობდა. პირველი წინადადებები მაღალფარდოვნად, მკაფიოდ და შთამბეჭდავად წარმოსთქვა. „სათაყვანო მამულიშვილს — ვარლამსო რომ თქვა, იქ შეისვენა. ამის შემდეგ აბზაცით გრძელდებოდა სათქმელი, „ვარლამ არავიძე იყო პატიოსანი მშრომელი აღამიანი...“ — ზენონს ეს მშვიდი წინადადება აღარ გაახსენდა, რატომღაც ბინდი ჩამოეფარა გონებას, და „მამდამე“ იხმო მშველელად. პირველი „მამდამე“ „მამულიშვილს ვარლამს“ მოაყოლა. „მამდამე“, როგორც მოსალოდნელი იყო, რაკი სადინარი იბოვა, ნიაღვარივით მოსკდა.

„ვეთხოვებით მოღვაწეს, მამდამე, ვინც შორს გასტყორცნა სახელი არავისა და არავიძეთისა, მამდამე, უკანასკნელ გზაზე მივაცილებთ რაინდს, მამდამე, ვინც არავიძეთა გვარი დიდების შარავანდელით შემოსა, მამდამე...“

აბიას შერცხვა თეთრკოსტუმიანების, ხალხის და ადგილზე აწრიალდა, არ იცოდა როგორ შეეჩერებინა ზენონი. ნოვე მიუხვდა უფროსს, ვითომ დეპეშების გადასაცემად გვერდით ამოუდგა ზენონს და უჩურჩულა:

— დამთავრე!..

ზენონმა იაზრა, რომ მისი სიტყვა არ მოეწონათ და უფრო აირია, უფრო უმატა „მამდამეს“, ხელათ მოამრგვალა სათქმელი, დაე, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, მამდამეო, — ჩასძახა კუბოში და გაჭარხლებული გვერდით მიდგა.

დეპეშებიც ზენონს უნდა წაეკითხა! მაგრამ რახან სიტყვის თქმისას ჩაფლავდა, დეპეშებთან არ მიუშვეს. დეპეშები ნოვემ ლიტერატურის მასწავლებელს, კალისტრატეს, ვადასცა. კალისტრატემ დეპეშები მკაფიოდ და გამოთქმით წაიკითხა. მუსიკოსებს ანიშნეს და სასაფლაოს მწუხარე ჰანგები მოეფინა.

დაიწყო გამომშვიდობება. ხალხი სამარის გარშემო იყო შემოკრებილი. მოშორებით, ხის ძირას, იდგა ერთი შუა ხნის კაცი და დამბული შესცქეროდა ვარლამ არავიძის ცხედარს. უცნობი ყურადღებას იქცევდა იმით, რომ მარტო იდგა ხის ძირას. მასთან არავინ მიდიოდა... სასაფლაოზე იმდენი ხალხი მოსულიყო, ნაცნობები და უცნობები ერთმანეთში ირეოდნენ, აბიას იმდენმა უცნობმა მიუსამძიბრა, ხის ძირას მდგარი უცნობის თავი ვის ჰქონდა. აბიას არც დაუხახავს ის კაცი. მისი შემჩნევა მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვინც სეირის საცქერლად მოსულიყვნენ, ჭგუფ-ჭგუფად დასეირნობდნენ და საფლავის ქვებზე წარწერებს კითხულობდნენ.

კუბო საფლაოში ჩაუშვეს. ჭირისუფლები გვერდით გაიყვანეს... მესაფლავნი დატრიალდნენ, დაპკრეს მიწას ბარი და კუბოს ბრაგუნ-ბრაგუნი აუტეხეს.

თანგულიას გაყვანა დავიწყნოდით. ჭაბუკი სამარის პირას, ნოვეს, ზენონის და სხვა ჭირისგამრიგეთ შორის იდგა და პირდაპირ სამარეს ჩასცქეროდა.

— წადი, ბიძა, შენ, იქით! შენი ადგილი აქ არ არის! — უთხრა ნოვემ თანგულიას. თანგულიამ ადგილი მოინაცვლა, მაგრამ სამარეს არ მოშორებია, შორიახლოს დადგა, ყველაზე საზარელი ახლა ხდებოდა — სამარე მის თვალწინ ივსებოდა მიწით. მის საყვარელ ბაბუას მიწას აყრიდნენ.

ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა სასაფლაოდან.

სასაფლაოს წინ, გზის პირას, ავტობუსები და მსუბუქი მანქანები იდგნენ. ყველა, ვინც ვარლამი უკანასკნელ გზა-

ზე გააცოლა, უკან, ქელების სუფრაზე, უნდა მიბრუნებულიყო, — ასეთი იყო ბრძანება. ზენონი ასრულებდა ამ ბრძანებას. ხალხს ავტობუსებში ეპატიყებოდა.

ჭირისუფალი ქალები მსუბუქ ავტომანქანებში ჩასხეს და შინისკენ გაგზავნეს.

მესაფლავებთან აბია, ნოვე და თანგულია დარჩნენ.

სამარე მიწით ამოავსეს, ამობორცვეს... ნოვემ წითელი მიხაკები მოიტანა და საფლავის ბორცვს გადააყარა.

მესაფლავებები გვერდით მიდგნენ და სახელდახელო სუფრა გაშალეს მწვანეზე, ჭიქას თავი წაუქციეს, ვარლამ არავიძის შესანდობარი თქვეს.

აბიამაც დააწვეთა პურზე ღვინო, ნოვემაც, თანგულიამაც...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო. სასაფლაოზე საღამოს ბინდი წვებოდა.

ზავი დღე და ზავი ღამე

ქელები გვიან ღამემდე გაგრძელდა; თეთროსტუმშიანებისთვის ცალკე სუფრა იყო გაშლილი, — სასახლის პალატში, დიდ საბანკეტო დარბაზში. ისინი დიდხანს არ დარჩენილან. მართლაც თითო ჭიქა აიღეს; გარდაცვლილის ხსოვნისა თქვეს, დარჩენილებში აღდგრძელეს, თავდაჭერილად, ზომიერად გამოუცხადეს თანაგრძნობა აბიას, მოწიწებით დაემშვიდობნენ ცისმარეს. ჩასხდნენ თავიანთ მანქანებში და წავიდნენ.

ეზოში, დიდ სეფაში, სამასამდე კაცი მიუჯდა ჭირის სუფრას. სუფრა ხუთასი კაცისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ყველა არ დაბრუნდა სასაფლაოდან.

ჯარასავით ტრიალებდა ნოვე, სირცხვილი არ ვჭამოთო თეთრხალათიან გოგო-ბიჭებს აფრთხილებდა წარამარა.

აბია, თანგულია, ცისმარე, მამიდა-შვილ-ბიძაშვილები ჭირისუფლებიც მიუსხდნენ დიდ სეფაში შავ სუფრას.

ზენონი თამალობდა.

სადღეგრძელოები წესისა და რიგისამებრ შეისვა.

ჩამოსული სტუმრები, შორეული ნათესალები, ვარლამის ძველი მეგობრები და თანამშრომლები, აბიასა და ცისმარეს თანამშრომლებიც დიდხანს არ დარჩენილან. ნელ-ნელა წამოიშალნენ, ბოდიში მოუხადეს თამადას, ღმერთმა ღვინოში და ქორწილში შეგვავხედროსო უთხრეს ერთმანეთს. დალოცეს აბია, ცისმარე და შინისაკენ გზას გაუდგნენ.

სუფრასთან ოჯახის ახლობელ-მეზობლები, ჭირის მსახურნი, მესაფლავენი, მწვინ-მერიქიფენი დარჩნენ. ადრე დილიდან დაღამებამდე ნაშრომ-ნაჯაფართ, ლუკმის გასატეხად მოუცლეთ, მშვირთა და მწყურვალთ ღვინო ადვილად მოეკიდათ.

სადღეგრძელოები უსაშველოდ გაგრძელდა. სიყვარულის გამოვლენას, ერთგულების დამტკიცებას დიდი დრო დასჭირდა.

ცისმარემ სუფრის პირველი წამოშლით ისარგებლა და დამხმარე გოგობიჭებს ანიშნა მილაგ-მოლაგებასაც ერთდროულად ხელი მიეყვით, თორემ დაგვათენდებაო.

ვარლამ არავიძის ფართო ეზო-კარი ელექტრონის შუქით იყო გაჩირადნებული. სასახლის წინა აივანზე, უკანა აივანზე, პალატის კართან, სამზადის წინ, ეზოში მდგარ ყოველ ხეზე ნათურები ეკიდა, კუნაპეტ ღამეში, ვარლამ არავიძის ეზო ისე იყო განათებული, ნემსი რომ დაეარდნოდათ, იპოვიდნენ. თეთრხალათიანი გოგო-ბიჭები ჯარასავით ტრიალებდნენ სეფაში, სამზადისში, ჭის თავზე...

სეფიდან უკვე ყაყანი მოისმოდა.

აბიამ სუფრა მიატოვა, სუფრის გარეთ დადგა, მოფუსფუსე ჭირის მსახურთ შეერია.

ზენონმა სადღეგრძელოები დაამთავრა. ისიც წამოდგა, და აბიას დაუდგა გვერდით. სუფრას ღომენტე თამალობდა, მისი გამყივანი ხმა არავიძეთა ეზოს გაღაღმა, შორს გაისმოდა: „უი-

ტიოვო. ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვაო..."

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა მოთმინებადაკარგულმა ზენონმა.

— ეს დომენტიეა, — მიუგო ნოვემ, — მეზობელია აქ...

— თუ ნებას მომცემთ, ბატონო აბი-ავ, მოვიკიდებ ხელს და წავიყვან თავის სახლში, — უთხრა ზენონმა საიდუმლოსავით აბიას ხმადაბლა.

ზენონსაც ბლომად დაელია, მაგრამ არაფერი ეტყობოდა, ოდნავ წამოწითლებულიყო, სიმთვრალის გამო სიბრახეს მისი მშვიდი ბუნების შეუფერებლად ამკლავებდა.

— მე მაკალეთ, — უთხრა მათ ნოვემ და სეფაში შევიდა. სუფრასთან არავინ იჯდა, ოცდაათიოდე მთვრალი მამაკაცი სეფის ერთ კუთხეში შეყრილიყო და უთავბოლოდ კამათობდა.

— მომისმინეთ! — შესძახა ნოვემ, საესე ჭიქა აიღო და დომენტიეს შეხედა:

— სადღეგრძელოები მოთავებულა, აბიას სახელით, ცისმარეს სახელით უღრმეს მადლობას გიხდით ყველას პატივისცემისათვის, ახლა წაბრძანდით თქვენ-თქვენ სახლებში, დავასვენოთ ჭირისუფალი, გვიანაა უკვე... — ნოვემ საათს დახედა, ამით ნათქვამს დამაჯერებლობა შესძინა.

გაჭრა ნოვეს პირდაპირობამ. მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა სეფაში და სწრაფად დაიშალნენ კიდევ.

ჭიშკარში ვილაც ღიღინ-ღიღინით გადავიდა.

ქალებმა ხელათ აალაგეს სუფრაზე დარჩენილი ჯამ-ჭურჭელი და სანოვაგე. მოავარი საქმე ხელისთვის გადასდეს და გაიკრიფნენ.

სულ ბოლოს ნოვე დაემშვიდობა აბიას.

მიჩუმდა არავიძეთა შავად ახმაურებული კარ-მიდამო.

ნაშუალამევი გადასული იყო, როცა დალილ-დაქანცული ცისმარე, აბია და თანგულია დასაძინებლად მიეყარნენ თავიანთ საწოლებში.

თანგულია გაქათქათებულ ქვეშევსი ჩაწვა თუ არა, იმ წამს ჩაეძინა ტკბილი ფშვინვა ამოუშვა.

ცისმარეცა და აბიაც დამდურებულბივით ჩაესვენენ თავიანთ თეთრ საწოლებში, ტუტუნ-ჭორაობისთვისაც კი არ შესწევდათ ძალა. ქანცგაწყვეტილებმა ახ-ოხ ამოაყოლეს მოქნარებას და ძილს მისცეს თავი.

დამშვიდდა, დაწყნარდა არავიძეთა კარ-მიდამო.

აულაგებელ სეფაში, სამზადში, თავშესაფარში, კაჭიჭისა და ბეოლის თალარ-საჩრდილობებში, ტრიფოლიატის მალა გადაბელილ ღობესა და სამზადის უკან გამართულ ვენახში ღამის ღუმილი ჩამოწვა.

ეზოს მყუდროებას ხანდახან ფაჩუნშარიშური არღვევდა. კუთხე-კუთხე დაბორილობდა ახალაშვებული ვარლამის ავი ძაღლი — მგელია. მართლაც რომ მგელივით ავი იყო. მთელი ღამე ერთს არ დაიყეფებდა უმიზეზოდ, არც გამოჩნდებოდა ეზოში, მოფარებულში იწვა ან სიბნელეში ელოდებოდა მსხვერპლს. მხეცივით ფეხაკრფიფი დადიოდა, თუ საფარიდან გამოვარდებოდა და ღრენა-ყეფას ასტეხდა, უსათუოდ ან ძაღლი მიდიოდა გლავნის გადაღმა, ან ღამის სტუმარი იყო მომდგარი ჭიშკართან.

დაწოლის წინ მგელია აბიამ აუშვა. ის დადიოდა თავის სამფლობელოში. ახალაშვებულზე იცოდა „შემოვლა“, ზოგჯერ შემობრუნაც კი. შემდეგ სადმე, მყუდროზე, დაწვებოდა და ღამეს გაყურსული დარაჯობდა, ერთი შეხედვით, იფიქრებდით სძინავსო, ნურაჰ უკაცრავად — ეზოში ფოთლის ჩამოვარდნას იგებდა, თავს უმაღ ასწევდა და ვეფხვის ნახტომით იქ გაჩნდებოდა. საიდანაც ხმა შემოესმა, რომ დარწმუნდებოდა, ფოთოლი იყო და მეტი არაფერი, კუდამოძუებული უკან ბრუნდებოდა საფარში.

არავიძეთა კარ-მიდამოს, კაცმა რომ თქვას, ავი ძაღლი არც სჭირდებოდა, ორი მეტრის სიმაღლის ძველებური



ციხე-სიმაგრეების გალავანთა დარი, დულაბით შეკრული ქვის გალავანი ერთყა, გალავანზე ეკლიანი მავთულის ღობე დაფუძნებინათ და ზედ ეკლბარდიც მიეშვათ, ისე ჩახლართოდა ერთმანეთს ეკალბარდი და ეკლიანი მავთული, ვერა კაცი, ვერა სულდგმული ამ გალავანზე ვერ გადაძვრებოდა, ჩიტი ვერ გადაფრინდებო — თამამად შეგვეძლო გვეთქვა.

წინა მხარეს, გზის გაყოლებაზე, ჭიშკრის მარჯვნივ და მარცხნივ, ალბათ სოფელ-ქვეყნის დასაზანხად, ეზოს ძველებური ციხე-სიმაგრის გალავანი არ ერთყა. ტრიფოლიატის ღობე აერთებდა გალავნის კედლებს ერთმანეთთან, ამრგვალედა და ამშვენებდა ეზოს ეს ღობე, ტრიფოლიატის ღობეც არ იყო მეზობელ ღობეთა მსგავსი, პატრონს ზომაზე მალა გადაებელა და განზეც გაეშვა, მიუყარები რომ ყოფილიყო, ძუნწად გაეკრიჭა. ცისფერი რკინის ჭიშკარი სავანგებოდ, იყო ჩამოსხმული, ორსართულიანი, ორმაგად ნაქსოვ-ნაგრეხი, თითქოს ორი რკინის ჭიშკარი ერთმანეთზე დაუდუღებიათო, რკინის გასაღებით რომ ჩაქვავდნენ, ტანკითაც კი ვერ შეანგრევდით. მძლავრი რკინის მოწყობილობა დულაბის დიდი თალით იყო გადახურული, რითაც ის კარიბჭეს ჰგავდა.

ვარლამ არავიძე სხვა კაცი იყო, მისდღემში სხვანაირ სამსახურში იღვა. სხვანაირ საქმეებს აკეთებდა, სახლკარიც სხვანაირი ჰქონდა, ძალიც კი სოფლის სხვა ძაღლებისაგან გამოირჩეოდა. სოფელი ამას შეგუებოდა და არც კითხულობდა რატომ იყო ასე. არავიძეთა კარ-მიდამო ნაყრძალს ჩამოჰგავდა. სულ მუდამ ასე იყო, აბია ხომ არ ცხოვრობდა არავიძეთში, ვარლამმაც მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ამ ეზო-მიდამოში, როგორც აბია ამბობდა: უაზროდ ჩაყარა. დიდძალი ფული, ეს გალავანიც მაშინ ააშენა და ძვირადღირებული რკინის კარიბჭის და რკინის თავშესაფრის დადგმაც მაშინ აიხირა.

აბიას აზრით, სულ მეტი იყო ორსართულიანი, მრავალ ოთახიან-აივნისა სასახლის წამოჭიმვა ამ ტყე-ღრეში. აბია, ცისმარე და თანგულია არავში დაიბადნენ, იქ გაიზარდნენ, იქ ჰქონდათ ბინა. ვარლამი კიდევ სიბერეში რატომღაც ტყისკენ მიისწრაფოდა, მაინცა და მაინც ტყისპირას უნდოდა სახლი წამოეჭიმა და წამოჭიმა კიდევ. აბიას ცოლ-შვილი არავიძეთში არ იცხოვრებდა, ვარლამს კი სხვა მეგვიდრე არავინ ჰყავდა. ვარლამი ამბობდა, არა უშავს, თანგულიას მოვუყვან ცოლს და ჩემთან ის იცხოვრებსო, აღარ დასცალდა, ვეღარ მოესწრო თანგულიას ცოლს.

ახლა აბიას უნდა ეპატრონა აქაურობისათვის. ვათენდებოდა ხვალინდელი დილა, სეფას დაშლიდნენ, ნაჭირავებ მაგიდებს, სკამებს, ჯამ-ჭურჭელს თავიანთ პატრონს ჩააბარებდნენ, მიალაგმოალაგებდნენ, მგელიას ვინმეს აჩუქებდნენ, გამოკეტავდნენ სასახლეს, პალატს, სამზადს, სალორესა და საქათმეს (ვარლამს არც ღორი ჰყოლია და არც ქათამი. სალორე, საქათმე და ბედელმარანი სილამაზისთვის ააგებინა არავიდან ჩამოყვანილ ხელოსნებს). რკინის ჭიშკარს გირის ბოქლომს ჩამოჰკიდებდა და ქალაქის გზას გაუდგებოდა.

აბიას სახლუფულს ეს კარ-მიდამო აგარაკადაც არ გამოადგებოდა. არავიძეებს აგარაკიც ჰქონდათ და ზღვისპირას მანდარინისა და ფორთოხლის ბაღებიც.

სახლი თვითმიზანი ხომ არ იყო?.. ბოლოსდაბოლოს გაყიდა ყველაფერს, ფულს ჭიბეში ჩაიდებდა და მორჩა და გათავდა, დაისვენებდა.

ასე ფიქრობდა აბია წუხელ, როცა ტანთ იხდიდა, როცა გაქათქათებულ ქვეშაგებში რბილად ჩაესვენა და ძილს მისცა თავი. დილა-სისხამზე, როცა მგელიას ყეფამ გამოაღვიძა, მაშინაც ეს აზრები უტრიალებდა თავში. „რად მიწადა სამი აგარაკი, გავყიდი და ფულს მოვიხმარ“, — მძინარე ცოლს უფხრავითომ, თან ფლასებში ჩაჰყო ფეხები, საცვლებისამარა ფანჯარას მიადგა. „ეს ძაღლი ვის მივცე...“ — მგელია ჭი-

შეკრთნა, ტრიფოლიატის კედელს მიღ-
გომოდა და უყუფდა, უღრუნდა. „ნოვემ
მისცეს ვისაც უნდა...“

მურთუყვი სინათლე ჩამოსულიყო ზე-
ციდან, ჯერ ბინდ-ბუნდი იდგა ეზოში,
კარგად არ ჩანდა რას უყუფდა ძაღლი.
„მგელია ტყუილ-შებრალოდ არაფერს
შეუყუფებს“... — დასცეცხლა უცებ
აბიას და ფანჯარა გამოაღო, თავი გაპყ-
ყო, ჭიშკარს გახედა, ტრიფოლიატის
ღობეზე რაღაც იდო, ვერ გაარჩია რა
იყო. წინკარი გააღო და აივანზე გავიდა.
ძაღლმა პატრონის გამოსვლა იგრძნო
და ყუფას უმატა. „რა უნდა იყოს“ აწ-
რილდა აბია აივანზე. ღობეზე ადამიანი
იყო გადმოკიდებული. „ნუთუ მართლა
ადამიანია?“ იფიქრა, მეჩვენებო და
თვალი მოარიდა ჭიშკრის მიდამოს,
სხვა მხარეს მიაპყრო მზერა, სახეზე ხე-
ლისგულეები ჩამოსვდა, საფეთქლები და
შუბლი მოისრისა, თვალეები მოიფშვნი-
ტა და ფრთხილად, უფრო დაკვირვებით
და ნაძალადევი სიმშვიდით გახედა მო-
ჩვენებას: ტრიფოლიატის ღობეზე, ზე-
მოდან კაცი იდო, ფეხები ეზოსკენ გა-
დმოეფშვიკა. აბიამ მაინც არ დაუჯერა
თვალეებს და შინ შევიდა, ჩავიცვამ და
ახლოდან შევხედავო. საქციელი წაუხ-
და აბიას, ტანმა თუ გულმა ავი უაზრა,
სიჩქარეში ძიქვა ვერ ჩაიცვა, ფეხი
ცალ ტოტში ჩაპყო, მეორეს ააცდინა და
კინაღამ ზედ დეცა მძინარე ცისმარეს,
ფეხსაცემელს რომ წაეპოტინა, სკამს
ჰკრა ხელი უნებლიეთ და წააქცია. ცის-
მარეს გამოეღვიძა და ლოგინზე წამოჯ-
და, რა ამბავიაო შეშფოთებულმა იკით-
ხა, კისერწაგრძელებული ფანჯარაში
იყურებოდა, ძაღლის ყუფა იქიდან მო-
ისმოდა.

— კაცი დევს ციტრუსებზე, იმას
უყუფებს ძაღლი, — თქვა დამნაშავესავით
აბიამ.

— კაცი? — ფეხზე წამოიჭრა ცისმა-
რე ღამისპერანგის ამარა და ფანჯარას-
თან მივიარდა.

— თუ მოჩვენება არ არის, კაცია ნამ-
დვილად, — თქვა აბიამ და ცოლს გვე-

რდით ამოუდგა. დასტურს ელოდა მი-
სგან, მართლა კაცი იდო, თუ ენებო
ბოდა. ცისმარე ვაფითორდა, ქმარს სა-
სოწარკვეთილმა შეხედა და ისიც აივან-
ზე გავარდა, იქიდან დააკვირდა ღო-
ბეს, ნელა მოიხარა, მოიხარა წელში,
მოიჩვიარა, დაპატარავდა ერთ წამს,
— ის კაცი მამაშენიაო — ამის თქმა
მოასწრო, გადაატრიალა თვალეები და
გულწასულმა ზღარათანი შოადინა აივ-
ნის იატაკზე.

— ცისმარე! ცისმარე! — შესძახა
აბიამ, თითქოს იმ ქვეყნად მიმავალს
ეძახის, უკან უნდა დააბრუნოსო, იატა-
კზე დავარდნილს თავი აუწია. ნჯღრევა
დაუწყო, მოსულიერება სცადა, — რა
მოგივიდა, შე ქალო, მამაჩემი კი არა,
ის არ გინდა!.. — დაბნეული, უაზროდ
ისროდა სიტყვებს, — თანგულია! თან-
გულია! — ყვირილი ასტეხა, შვილს უხ-
მობდა საშველად. — თანგულია, წყა-
ლი!

თანგულია მამის ყვირილმა გამოადვი-
და, დაფეთებული გამოვარდა აივანზე.

ვიდრე თანგულია წყალს მოიტანდა,
ცისმარე მოსულიერდა, აბიამ წყალი
მაინც შეასხურა. ცისმარემ ცივად მო-
იშორა ქმრის სველი ხელები, მკვირცხ-
ლად წამოდგა, აივანის სვეტს მოებლაუ-
ჭა, კვლავ არ დავეცეო, ერთხელაც გა-
ხედა შეუსვენებლად მყუფარ ძაღლს და
ციტრუსებზე გადმოკიდებულ ადამიანს.

— მამაშენია ნამდვილად! — შეჰკიე-
ლა და ლოყაზე მთელი ძალით იტკიცა
გაშლილი ხელისგული.

თანგულია ახლა-ღა მოეგო გონს,
ახლა-ღა მიხვდა რატომ წაუფიდა დედას
გული, რატომ ჰყუფდა მგელია, და მა-
მაც რატომ იყო ასე არეულ-დარეული,
ადგილს მოწყდა და კიბე თვალის დახა-
მხამებამი ჩაირბინა, შუა ეზოში შედგა
წამით, გადმოკიდებული მართლა ბა-
ბუას ჰგავდა, ბიჭი შიშმა აიტანა და მა-
მას მოხედა. აბია შვილს უკას მოსდევ-
და, რაც უფრო უახლოვდებოდნენ
ტრიფოლიატის ღობეს, მით უფრო
რწმუნდებოდნენ, რომ მართლა ვარლა-

მი იყო გადმოკიდებული ციტრუსებზე, მაგრამ იმედს მაინც იტოვებდნენ, ეგებ ვინმე სხვა იყოსო.

— შენ შეგჭამა მგელმა! — დაუცაც-ხანა ძალღს აბიამ და ქვა ესროლა, გაჩუმდი, ნუ ჰყეფ, გული ნუ წაიღო. მგელია მაინც არ სცხრებოდა. შორიდან უყეფდა თავის პატრონებს, მკვდარსა და ცოცხლებს.

აბია სულ ახლოს მივიდა ცხედართან, ფეხსაცმელებს ხელიც კი შეახო, — მამამისის იყო, ძიქვაც — მამამისის, პირი-სახე არ უჩანდა და იმას დაეძებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რასაც საკუთარი თვალებით ხედავდა; წუხელ კაცი დასაფლავეს, ღღეს აგერ იდო ღობეზე.

ამასობაში ჭიშკარს ცისმარეც მოადგა, ხალათის გადაცმა მოესწრო და წინ იკრავდა, ისე გამორბოდა, თან ხმამალლა მოთქვამდა, ახლოს რომ მივიდა შეჭკივლა:

— ვარლამი საცოდავი!.. ვარლამი!.. ჩეფნი ბატონი ვარლამი!

— ჩუმად! — გონს მოეგო აბია, — ნუ გავაგებინებთ მეზობლებს, თავი მოგვეჭრება!..

სოფელს ეძინა. რომც ჰღვიძებოდა, გარედან, თუნდაც შარა-გზიდან, აბიასა და მისი ცოლ-შვილის წიოკობის დანახვა მაინც არავის შეეძლო, კარის მეზობელიც არავინ ჰყავდათ, ვინმეს ცისმარეც შეიკვლება რომ გაეგონა. თუ კაცს არ გააგზავნიდი და არ შეატყობინებდი, მეზობელი ვარლამისას არავინ შემოვიდოდა.

— მიმტრო ვილაცამ, — ჩაიდუდუნა აბიამ დამნაშავესავით.

ცისმარე გაჩუმდა, პირზე ხელს იფარებდა და ქმარს შესცქეროდა რას იზამდა. თანგულიას ჩაცმა ვერ მოესწრო და საცვლის ამარა, წელს ზევით მთლად შიშველი იდგა შორი-ახლოს, დილის სიგრილისგან თუ შიშისგან გული უკანკალებდა.

რა ექნა აბიას? ნოვე მაინც არ მოეხმო? ახლა ნოვესიც კი შერცხვებოდა, ნოვე კი არა, ნეტავ ცისმარე და თანგუ-

ლიაც არ ყოფილიყვნენ აქ! ცისმარეს მკვდრის ეშინოდა, იმ ოთახში ვერ შედიოდა, სადაც მიცვალებული ესვენა, როგორ ეთქვა მომეხმარე, მკვდარს ხელი მოკიდო. ჭიასავით ბიჭი თანგულია ჰყავდა დამხმარე და ისიც შიშისგან ცხცახებდა.

თვით აბიაც ყოყმანობდა, უჭირდა მკვდარ მამას ფეხებზე მობლაუჭებოდა და გადმოეთრია ციტრუსებიდან. ვინ იცის როგორ წამოვიდოდა მაღლიდან, ეგებ ვერ შეემარებინა... აბიამ ცხედარს გაფშვიკლ ფეხებზე მოკიდა ხელი და შეატოკა, შეამოწმა ჩამოცურდებოდა თუ არა, თითქოს ზედ დაწებებულაო, არ იძროდა ცხედარი, ეკლები ჩასკიდებოდნენ სამოსს და არ უშვებდნენ.

აბიამ მკვდარს ფეხები შეუტყუშა, მკლავები მოხვია და აწევა სცადა, ეგებ ეკლებიდან აეპარო, მერე ადვილად ჩამოცურდებოდა. ძვრა ვერ უყო. ვარლამი ტანსრული, წარმოსადეგი ვაჟაკი იყო, ტყვიასავით დამძიმებულიყო, მღვივით იდო ტრიფოლიატის ეკლიან ღობეზე. სიმწრის ოფლი მოიწურა კაცმა შუბლიდან. ჯერ არაფერი გაეკეთებინა და უკვე ქშინავდა და ქსიტინებდა, ოფლად გაღვრილიყო და გული ბაგა-ბუგით უცემდა. მღელვარებამ დღალა, თავზარმა დაასხა სიმწრის ოფლი, ელდამ შეუბოქვა ხელ-ფეხი. როცა მამა ვერ ჩამოაცურა ღობიდან, ისეთი უმწეო და უსასოო აღმოჩნდა, ლამის იქვე; ღობის ძირას, ჩაკეცილიყო. საქციელწამხდარი რას იქმოდა, რას ბურტყუნებდა, კაცი ვერ გაიგებდა. ისევ ცისმარემ იმარჯვა, ქმარს ის ამოუდგა მხარში.

— კარგი, აბია, გაანებე თავი, ბიჭები მოიყვანე და ჩამოალებინე, სასაფლაოზე მაინც ვერ წაიღებ მარტო...

აბია გონს მოეგო, ცოლი მართალს ეუბნებოდა.

ახლობლებს მაინც უნდა გაეგოთ ვარლამის საფლავიდან ამოგდების ამბავი. მაშ, ღობეზე გადაკიდებული მამა მიეტოვებინა და ნოვესთან წასულიყო?..

უკვე ფართოდ გათენებულიყო. ვი-



ლაც გამოივლიდა შარა-გზაზე, ნახავდა ლობეზე გადაკიდებულ ვარლამს და მთელი სოფელი გაიგებდა არავიძეების შერცხვენის ამბავს.

ამ კუთხე-ქვეყანაში საფლავიდან მკვდრის ამოღება ჯერ არავის გაეგონა. აბიაც პირველად ხედავდა საფლავიდან ამოგდებულ მკვდარს. სხვას, არავის არ უნდა გაეგო ეს საზარელი ამბავი. ამდენი ფიქრისა და განსჯის დროც აღარ იყო, აბია ყველაფერ ამას გუმანით ხვდებოდა. არც ფიქრობდა და არც არაფერს ამბობდა ამაზე, გულით გრძნობდა, გული ეუბნებოდა: ახლავე, ამ წუთას, ჩამოილე ცხედარი ციტრუსებიდან და შინ შეიტანე, დამარხვაზე მერე იფიქრო.

— ბიჭები კი არა, თქვენც არა ხართ აქ საჭირო, ხელს მიშლით, — უთხრა აბიამ ცოლ-შვილს, — შედით სახლში, დამტოვეთ ჩემს მკვდართან მე!..

აბიას ფიცხი კაცი არ ეთქმოდა, არასოდეს დაკარგავდა სიმშვიდეს. მაგრამ ახლა ხომ აბია ის აბია აღარ იყო. რამდენიმე წუთში სულ სხვა კაცი იდგა ტრიფოლიატის ლობის ძირას და სხვაგვარად იქცეოდა, სხვა კილოზე მეტყველებდა, გარეგნობაც კი შეცვლოდა.

როცა აბიამ პირი ცისმარესაკენ მიაბრუნა და დაუყვირა: ჩემს მკვდართან დამტოვეთო, ქალი ქმრის ისეთ შეცვლილ სახეს გადააწყდა, შეეშინდა, თანგულის მოხვია ხელი და ჩუმად უთხრა: წავიდეთ, შვილო!

ცისმარე და თანგულია უკან-უკან ყურებით სასახლის კიბეზე ავიდნენ, აბიამ მკვდარი მიატოვა და სამზადისაკენ გაემართა. გამოიტანა კიბე, ტრიფოლიატის ლობეს მიადგა, ავიდა კიბეზე, ცხედარს ილღიის ქვეშ შეუტყურა ხელი, გადმოაბრუნა, ზურგზე მოიკიდა მდაბიორივით და ნელა იწყო დაშვება საფეხურებზე.

ცისმარემ ზურგზე მკვდარმოკიდებული ქმარი რომ დაინახა, კვლავ წელანდებურად აღელდა, ვერ უყურა შორიდან, თავი ვერ შეიკავა, ჩამოირბინა სასახლის ქვის კიბე, შემცხადებელივით

დაიწყო ვიშვიში, ქმარს ხან წინ შეგონდა ფეთა, ხან გვერდ-გვერდ გასლია, დაბადა, თითქმის ჩურჩულით მოთქვა მდა:

— ვაიმე, ჩემი სიკვდილი, აბია! ვაიმე, ნეტა ცოცხალი არ ვიყო, აბია, ეს რა დღეში ჩამიგდეს ქმარი, ვაიმე, ვაიმე!..

თანგულიამაც ჩამოირბინა სასახლის კიბე და გაფიქრებული მიჰყვა დედამამს უკან. რა ექნა, რით დახმარებოდა მამას, როგორ ენუფეშებინა დედა, ხანდახან წაეპოტინებოდა მკვდარს, ვითომ ავწევ და წელში მოხრილ მამას ტვირთს შევუმსუბუქებო.

— ვაიმე, ეს რა დაგემართეს, თანგულია! — მიუბრუნდა შვილს ცისმარე; — ვინ დამიჩაგრა ასე ოჯახი.. ვაიმე! ვაიმე!.. — ქმარს ლამის შეუძვრა ცხედრის ქვემოთ. აბია შედგა, პირი-სახე მიღრიჯა ცოლისკენ და ზომავე მეტად ქედში მოხრილმა ცხედრის ქვემოდან გამოსძახა:

— ჩუმად-მეთქი, ხომ გითხარი!

ცისმარემ პირზე იტაცა ხელი და გაჩუმდა. გულმკვდარი მისდევდა უკან ქმარს. რით ეშველა აბიასათვის? მკვდარ მამას საკუთარი ზურგით მიათრევდა თავმოყვარე, ზვიადი აბია. გული გაუსკდება, ვერ გადაიტანს ასეთ შეურაცხყოფასო, ფიქრობდა ცისმარე.

აბიას არასდროს, ბავშვობაშიც კი არაფერი მოუკიდებია ზურგზე, არ დასჭირვებია, მუდამ მანქანა ემსახურებოდა, მუდამ სხვა ვინმე ჰყავდათ ოჯახში, ვინც აბიას ხელს არ გაანძრევინებდა. დღესაც ასე ცხოვრობდა, მაგრამ სასწაული დატრიალდა არავიძეების თავზე, არნახული, არგავიანი უბედურება დაატყდათ თავს. წუხელ ამას ვინ იფიქრებდა, თორემ ვინმეს, ნათესავთაგანს დატოვებდნენ, ან მძღოლს არ გაუშვებდნენ შინ და თავმომწონე ვაჟკაცს საფლავიდან ამოგდებულ მამის ცხედარს ზურგით არ ათრევინებდნენ. ცისმარეს უტრიალებდა ეს აზრები თავში. ცისმარე ფიქრობდა ასე, წუხდა, დარდობდა, რომ განსაცდელს აბია მართლაც შეეგება.

აბიას კი მოსწონდა სწორედ სიმარტოვე, მძლოლი და ნათესავთაგანი კ არა, ცოლსა და შვილს ვერ ჰგუობდა გვერდით რომ ჰყავდა. სწორედ მათი რცხვენოდა, მათი ერიდებოდა, საფლავიდან ამოთხრილ მამის გვამს ქურდით რომ მიარბენინებდა სამალავისაკენ.

ცისმარე ჯერ სამზადისაკენ გაიქცა, ეგონა, იქით მიათრევდა გვამს აბია. აქეთ, აქეთო — გამოსძახა ქმარმა ცხედრის ქვემოდან და მანქანის სადგომისაკენ გადაუხვია. ცისმარემ და თანგულიმ მანქანის სადგომის რკინის კარები ხმაურით გააღეს. აბია შიგ ნელი ნაბიჯებით შევიდა, ერთ კუთხეში მიდგა და ცისმარეს გასძახა:

— დავუგოთ რამე ძირს!..

იქვე, ახლოს, მანქანის გადასაფარებელი სელისა ეგდო, თანგულიმ თრევით გაშალა სელისა, დულაბის იატაკზე დააგო. აბიამ ზედ დაიჩოქა, ცისმარესა და თანგულის გვამის გადმოღება გაუადვილდებათო. მართლაც დედამ და შვილმა მარჯვედ ჩააგლეს ცხედარს ხელი, სხვა გზა არ ჰქონდათ: მუხლებზე დაჩოქილ აბიას მხრებზე და თავზე აწვა გვამი, ცოლი და შვილი უნდა მიხმარებოდა, სხვა ვინ იყო ხელის გამწვდენი? გადმოიღეს ცხედარი, დაასვენეს სელისაზე და ზედაც სელისა გადააფარეს. გაფითრებულები გამოვიდნენ იქიდან და მანქანის სადგომის კარები მაგრად ჩაკეტეს უნებურად, თითქოს მკვდარი სადმე გაიქცეოდა.

— აწი მე ვიცი! — შვებით ამოისუნთქა აბიამ გარეთ რომ გამოვიდა, ცოლ-შვილს იმედიან, თვალები მიაპყრო.

— კაცი ვერ გაიგებს ისე დავსაფლავებ, ამ საღამოს!.. — თქვა და იქვე, ხის ძირას, ძელსკამზე სულსმოსათქმელად ჩამოჯდა. ჯერაც ხშირ-ხშირად სუნთქავდა, ოფლის ცვარს გამოეყონა შუბლსა და კისერზე და ცხვირსახოციით იმშრალებდა.

ცისმარე ქმარს გვერდით მიუჯდა, მას დიდი ჯაფა არ დასდგომია, მაგრამ

ცხვირსახოცს ისიც იფრიალებდა პირისახეზე, ცხელოდა იმასაც.

თანგულია უცებ მოწყდა ადგილს და ტანთ ჩასაცემლად ოდაში ავარდა.

ცისმარემ ბიქს თვალი გააყოლა, როცა თანგულიმ კიბე ორი ფეხის დაკვრით აირბინა, აივანზე გაილანდა და თავის ოთახში შეიმალა, აბიას გამომცდელად მისო თვალები და ხმადაბლ: საიდუმლოდ ჰკითხა:

— მტერი ვინ არის, აბია, მეც არ მეტყვი?..

— მტერი კი არა! — ჩაიციხა აბიამ ნაძალადევად, — მაიმუნია ვილაცაა, ამოთხარა, რა, ვერ დავმარხავ?..

წამოდგა, ცოლს მკლავზე წაავლო ხელი, წამოაყენა და უთხრა:

— გავანებოთ ახლა მაგაზე ფიქრს თავი, ვითომ არაფერი მომხდარა...

აბია წინ წავიდა, სააბაზანოსკენ გაემართა, ცისმარე უკან მიჰყვა. აბიას უნდა ებანავა, ტანთ გამოეცვალა და საქმეს შედგომოდა. თავს დატეხილი უბედურება ვერ შეარყევდა, ვერ დააფრთხობდა, ვერც ვერაფერს დააკლებდა. ორი-სამი კაცი გაიგებდა სულ ამ ამბავს არავსა და არავიძეთში და ამით დამთავრდებოდა, მიფუჩქიდებოდა უაზრო შურისძიება.



ნელ-ნელა გაიღვიძა არავიძეთმა. აბია არავიძის ჭიშკარს პირველი მისი მძლოლი დურო მოადგა.

დურო მარტო მძლოლი კი არ იყო არავიძეებისათვის, დუროს მამა ვარლამთან იყო ნამსახური, ბიძაც ვარლამს დაუყენებია გზაზე, თვითონ დუროც ვარლამს ემსახურებოდა. გადადგომის შემდეგ, ისევ ვარლამმა მიაღებინა აბიას სამსახურში. რალა თქმა უნდა, დუროს ძვირად დაუჯდა ვარლამის გარდაცვალება, ის ჩემი მამა იყო, მე დამავალეთ, მე მოვიტან, მე გავაკეთებო — გაიძახებოდა.

ნოდარ ფულენისკირი
აფთარი



ამ დილითაც ყველაზე პირველი მოვიდა. მანქანა ზედ ჭიშკართან მოაყენა, შინაურით მიადგა კარიბჭეს, ჯიბიდან გასაღები ამოიღო. ერთი-ორჯერ გააჩხაკუნა და გააღო.

ათას დავალებას მოელოდა, ათას გაგზავნა-გამოგზავნას.

ღურო ვარლამის ერთგული რომც არ ყოფილიყო, მძღოლს ევალებოდა თავის პატრონს ასეთ დროს მხარში ამოდგომოდა, ღურომ ეს კარგად იცოდა და ამიტომ დაასწრო ყველას, პირველი მოვიდა დილაადრიანად.

ჭიშკარი კი გააღო, მაგრამ ეზოში შესვლა ვერ მოასწრო, არ ათქმევინა აბიამ დილა-მშვიდობისა. კაცმა თავისი სასახლის კიბე ბიჭივით ჩამოიბრინა, ჭიშკართან მოიჭრა, აფორიაქებულ-აღელვებული ჩაჯდა მანქანაში და ნოვესთან წავიდეთო უთხრა. „წავიდეთო“ არ უთქვამს, როცა მანქანის კარი მიიხრავებოდა, სიტყვა „ნოვესთან“ მიუგდო. წელში გასწორდა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

ღურო ამ დილა-ბნელზე სხვაგან წასვლას არამც და არამც არ მოელოდა, რა დროს წასვლა იყო, ჯერ აქ ჰქონდათ უამრავი საქმე, „ნეტა რა უნდა ნოვესთან“ მორჩილად ფიქრობდა ღურო და შეკითხვას ვერ უბედავდა, ნოვე აქეთ უნდა მოსულიყო, სახლ-კარის მილაგებ-მოლაგებაში უნდა დახმარებოდა აბიას.

— წუხელ მამაჩემი ამოიღეს საფლავიდან — თქვა მოულოდნელად აბიამ. ღურო გაილურსა, ვითომ ვერ გაიგო რას ეუბნებოდნენ. უფროსს მორიდებით შეხედა და სრულიად უაზროდ გაეღრიალა.

— იცინის!.. — თვითონაც ჩაეცინა. აბიას, — სასაცილოა შე უმგვანო, მამაჩემი ვარლამი ამოიღეს-მეთქი საფლავიდან და ჭიშკართან მომიგდეს.

ლობეზე გადმოკიდესო ვერ თქვა, რატომღაც „ლობეზე გადაკიდება“ უფრო სამარცხვინოდ მიიჩნია, ვიდრე საფლავიდან ამოღება.

ღურომ უცებ მთელი ძალით დაპკრა მუხრატის ფეხი, საჭე გვერდით მიღრიალა

და მანქანა ხრჭილ-ჩოჩილით გზის ბორცვს გააქევა, აბიამ მანქანის წინა მელს მოაწყდა.

— რას შობი, ბიჭო. მეც მკლავე?.. — შესძახა შეშინებულმა.

— რა გავიგონე ეს! მართლა ამბობთ მაგას!.. წუხელ დამარხული ვარლამ ბიძია საფლავში აღარ წევს?.. — ყვიროდა ღურო.

— ჰო, მიმტრო ვილაცამ... — დამანავესავით წაიდუღუნა აბიამ, სასო მთლად წარეკვეთა. არ ეგონა, თუ ასე მღელვარედ შეხვდებოდა ღურო ვარლამის საფლავიდან ამოღებას.

— დედა, დედა! ეს რა გავიგონე! ეს რა მითხარი, ვარლამიჩ! ახლავე ლიკვიდაცია, ახლავე!.. — შესძახა ღურომ, მანქანიდან გამოვარდა, გახსნა საბარგული, შიგ დიდხანს ბუჯარობდა. ბოლოს, მათუბერის მსგავსი, უცხოური მარკის რევოლვერი გამოათრია და აბიას ჩაწეულ სარკმელთან მიუტანა.

— აა, ეს თქვენ! მე მაქვს!..

— კარგი, ახლა, ღურო, გეყოფა, ჩაჩქეი მანქანაში და წავიდეთ! მკაცრი კილოთი უთხრა აბიამ, რევოლვერისთვის არც შეუხედავს.

ღურომ საბარგული დაკეტა, რევოლვერი აბიას ჯიბეში ძალით ჩაუღო.

— რას ჰქვია, მეყოფა, ვარლამიჩ, ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოიღეს? — აბა მე რისთვის დავდივარ ამ ქვეყანაზე!.. — ღურომ მანქანის გასაღები გადაატრიალა, ძრავა ჩართო, ჯერ უკან სვლით გაასწორა მანქანა და გზას მერე დაადგა.

— ვარლამი მარტო თქვენი მამა კი არ არის, ჩემიც არის!.. ჩემიც!

აბიამ არაფერს ამბობდა. გაჩუმებული იჯდა. ღურო არ აჩერებდა ენას.

— მინც როგორ ამოთხარეს, კაცო!.. იყავით სასაფლაოზე?.. ვარლამია ნამდვილად?..

„არ უნდა მეთქვა“ — გაუელვა თავში აბიას. სიტყვის დაძვრაც კი ჭირდა ამ საგანზე, მკვდრის საფლავიდან ამოღება და ლობეზე გადაკიდება იმდენად დაუჯერებელი, გაუგონარი რამ იყო, თუ

საკუთარი თვალით არ ნახავდა, არ ირწმუნებდა ადამიანი. ზოგი ალბათ საკუთარ თვალისჩინსაც არ ენდობოდა, მელანდებამეჩვენებო იფიქრებდა, თვითონ აბიასაც ხომ ასე მოუვიდა, ვიდრე ცისმარემ არ იცივლა, მამაშენიო, არ სჯეროდა.

გაბორტებული ღურო ორივე ხელით ჩაფრენოდა მანქანის საჭეს და შუბლზე ამხტარი თვალები აბიასთვის მიეპყრო.

— გზას უყურე! — კვლავ მკაცრ-კილოთი უთხრა აბიამ, — ღურო, ჩვენ ახლა ლაყბობის დრო არა გვაქვს, ჩქარა მივიდეთ ნოვესთან!

ღურომ გზას გახედა, გზა თავისუფალი იყო, დილაუთენია გზაზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა შემხვედრი მანქანა.

— წუხელ დამარხული მკვდარი საფლავეში არ წევს? — კვლავ უაზროდ იკითხა ღურომ.

— არ წევს, ღურო, არ წევს!.. — მოთინების ფილა აევსო აბიას, არ სურდა ღუროსთან საუბრის გაგრძელება.

— ნოვესთან რა გვინდა!.. მე ვიცი, სადაც წავალ, ყველას ხუთ წუთში... — ხელი გამოისვა ყელში, ვითომ თავებს დავაჭირო.

— ვის ყველას? — გაოცდა აბია.

— ვინც ამოთხარა, — მიუგო დაჯერებულად ღურომ.

— რა იცი ვინ ამოთხარა? — ჰკითხა აბიამ.

— თქვენ თუ მაგის გაგება გავიჭირდებოთ, მაშინ მართლა არ ყოფილა საშველი! — უკმაყოფილოდ გააქნია თავი ღურომ.

— ჰო, კარგი, კარგი... მივიდეთ ნოვესთან. — უთხრა აბიამ.

ნოვეს სახლამდე ათი წუთის გზა იყო, ცხარე საუბარში გზა ხელათ გაილია და ნოვეს ჭიშკარსაც მიადგნენ.

არავიძეთის ბოლოს, სასაფლაოსთან ახლოს, კოხტა ეზოში, ედგა ნოვეს თავისი ორსართულიანი სახლი.

ნამძინარევი თვალების ფშვნიტით გამოვიდა აივანზე. ნეტავ რა ვასჭირებიათ

დილა-სისხამზე კარზე რომ მომადგნენო, აკვირდებოდა მოსულთ.

აბია მანქანიდან არ გადმოსულა. ჩაიცივდა და წამოდიო — შორიდან დაუძახა.

ნოვე ცივად შებრუნდა, ცოტა ხანში კვლავ გამოჩნდა აივანზე. გზადაგზა იცვამდა სამოსს და მორბოდა.

მანქანაში რომ ჩაჯდა, მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, იმდენი ეჩქარა, ერბინა, ძორძოყინა ტანი უთახთახებდა და მსუქან ლოყებზე ოფლის წვეთები ეყარა.

— წუხელ მამაჩემი ამოთხარეს საფლავიდან! — მოსვლისთანავე უთხრა აბიამ და გაჩუმდა. დაელოდა ნოვე რას იტყოდა.

— აჰ! — შესძახა ნოვემ და გაოცებული მიაჩერდა აბიას თავ-კისერს. აბია მძლოლის გვერდით იჯდა, წინ იყურებოდა. როცა აბიამ მეტი არაფერი უთხრა, ნოვემ მზერა ღუროს თავ-კისრისკენ გადაიტანა. ეგებ ამან გამაგებინოს ჩვენს თავს რა ამბავიაო. ისიც გაჩუმებული იჯდა და მანქანას გულმოდგინედ მართავდა, აბიას ნათქვამი, თითქოს არ გაუგონიაო, არც ნოვეს შეძახილს — „აჰ“-ს მოუხდენია ზემოქმედება. ნოვემ მძლოლის სარკეში დაიწყო ყურება, სურდა ღუროს მზერა დაეჭირა და თვალეებით ეკითხა: რას ამბობს ეს კაცი, ხომ არ მომეყურაო. ნოვემ შეატყო, რომ მეტის თქმას არავინ აპირებდა. ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლიანი სახე შეიმშრალა, შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა, წინ გადაიხარა და აბიას ჰკითხა:

— ვერ გავიგე, რა მითხარით?

— მამაჩემი ამოიღეს საფლავიდან და ლობზე გადამიკიდეს... — მოურიდებულად თქვა ამჯერად აბიამ, — ახლა წავიდეთ, ამოთხრილი საფლავი ენახოთ, სალამოს კი მომეხმარეთ და მკვდარი დამამარხიეთ.

ნოვე ცოცხალ-მკვდარი იჯდა მანქანის სალონში და კვლავ და კვლავ აბიას თავ-კისერს მიჩერებოდა. რა ეთქვა? რა მოემოქმედა რომ თანაგრძნობა გაეწია მეგობრისათვის და ერთგულედა გამოეხატა?.. დამუნჯდა კაცი, რაიმეს თქმა

სიხებრედ ჩათვალა, ნუგეშისცემაც კი უხერხულად აჟღერდებოდა, გაჩუმება სჯობდა.

თითქოს მანქანაში კი არ ისხდნენ, კუბოში იწვნენ და არავის გზაზე შავი კუბო მიგორავდა. სამარესავით გაჩუმებული შავი „ემოცდაცხრა“ არავიძეთის სოფლის სასაფლაოს მიადგა.

აბია მანქანიდან პირველი გადმოვიდა. დელავდა, ფერი დაკარგოდა, იქით იყურებოდა, სადაც მამამისის შებილწული საფლავი ეგულებოდა. ნოვეც უშაღადმოვიდა მანქანიდან და გვერდით ამოუდგა. დურომ ნოვესაც ჩაუჩურთა რევოლვერი ჯიბეში. ნოვემ გაიკვირვა, რა ჩამიდე ჯიბეში — ხელით მოსინჯა. დურომ გაუღიმა და უთხრა:

— ეგებ ლიკვიდაცია დაგვკირდეს!..

სოფლის სასაფლაო მდუმარებას მოეცვა. ადრიანი დილა იყო, სოფელი ჯერ იღვიძებდა, სასაფლაოსკენ ვინ წამოვიდოდა, მკვდრისთვის საღამო ხანს მოიცილიდნენ, საღამო ხანს ამოდიოდნენ მკვდრის პატრონები. ახლა აქ მკვდრულ სიჩუმეს დაესადგურებინა. მხოლოდ ერთი სტვენია ჩირტი იჭდა ელექტრონის ბოძზე და იმის სტვენა არღვევდა მყუდროებას.

დურო აბიას და ნოვეს სასაფლაოზე შეუძღვა, წინ მიდიოდა, თან უკან-უკან იყურებოდა, ცალი ხელი ჯიბეში ედო, უფროსებს უჩვენებდა საბრძოლველად მზადა ვარო. დუროს ორი-სამი შეიარაღებული ბანდიტის მოგერიება მართლაც შეეძლო, არავიძებების მძღოლს ევალებოდა ასეთი ორთაბრძოლების მოგება. აბიას გამოცდილიც ჰყავდა დურო ასეთ საქმეში, ამიტომ ბრმად ენდობოდა, ახლა დურო რასაც უბრძანებდა, იმას იქმოდა.

— ადგილზე ლიკვიდაცია სჯობია! — კვლავ მიუბრუნდა დამფრთხალ მამაკაცებს დურო.

დუროს სიტყვა „ლიკვიდაცია“ მოსწონდა. ვარლამ არავიძის სიტყვა იყო, მისგან ესწავლა. „ლიკვიდაცია“ მოკვლაზე მეტს ნიშნავდა, „მოსპობა“, „განადგურება“ ვეღარ იტყვდა იმ აზრს,

რასაც სიტყვა „ლიკვიდაცია“ მოიცავდა, — ასე ფიქრობდა დურო. ვარლამი რომ იტყოდა, იძულებული შევიქნებითელი სოფლის ლიკვიდაცია მოგვედინათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ სოფელში ისპობოდა ყველაფერი, ყოველი სულიერი არსება. შეიძლებოდა სულ მთლად გადაებუგათ სოფელი, ნახშირად ექციათ ხე და ბუჩქიც კი, ბოლოს გადაეხნათ, მხოლოდ შავი ხნულები დარჩენილიყო ოდესღაც მრავალკომლიანი სოფლისაგან. ამას ეძახდა ვარლამ არავიძე ლიკვიდაციას. დუროს ეს მოსწონდა. სრული განადგურება, მოსპობა, მტვრად და ნაცრად ქცევა, ეს იყო დუროს აზრით, ლიკვიდაცია.

თვალეებს აქეთ-იქით აცეცებდა, საფლავებს შორის, ოდნავ წინ წახრილი მიიკვლევდა გზას, ვითომ შურისმაძიებელი, — ვარლამის საფლავიდან ამომთხრელი არ გამეპაროსო, დაძაბული მიდიოდა, კარგად იცოდა, ღია სამარის მეტი წინ არაფერი და არავინ დახვდებოდა, მაგრამ აბიას აჩვენებდა, ვითომ თავგადადებული იყო მისთვის, შურისმაძიებელს პირველი შეხედებოდა და პირველი აუტეხავდა სროლას.

თვალიწინ ის სურათი გადაეშალათ, რასაც მოელოდნენ; ვარლამის სამარე ღია იყო, ბოროტ ხელს საფლავი აფთარივით ამოეთხარა, ამოეყარა წუხელ ჩაყრილი მიწა, აეგლიჯა კუბოს თავსარქველი და ამონაყარ მიწაზე დაეგდო, ცარიელი კუბო სამარის ფსკერზე ედო, თეთრ აბრეშუმის ქსოვილზე, ქალებს შიგ გულდაგულ რომ ჩაეფინათ, ჩამონაცვენი ქვიშა-მიწა და ქვა-კენჭი ეყარა.

ნოვემ სამარეს გარს შემოუარა, ვითომ კვალს ვეძებო, — აბიას უჩვენა.

არავიძეთის სოფლის სასაფლაო ძველისძველი დიდი სასაფლაო გახლდათ, ამ სასაფლაოზე იროდის თურ არავიძეებს საგანგებო კარგი სამარხი ადგილები ეკავათ.

იროდრ ვარლამის პაპა ყოფილა, გავლენიანი კაცი სოფელში და სამარხიც კარგა ბლომად მიუზომია. დიდი სამარხი ვარლამს, თავის დროზე, რკინის დო-

ბურთი შემოუღობია, მაშინ დაბალ ლობებს აგებდნენ თურმე, — ვარლამის სამარესაც დაბალი რკინის ლობე ერტყა. კარი ჩაეკტილი რომც ყოფილიყო, სულ თავისუფლად შეეძლო ადამიანს ფეხი გადაედგა და გადასულიყო სამარხში. რაც მთავარია, წუხელ ნოვემ და ნოვეს კაცებმა კარიც ღიად დატოვეს, რას იფიქრებდნენ, თუ მკვდარს ამოთხრიდნენ. აბიამ ბოქლომი, იქვე რკინის ლობის ძირას მიგდებული იპოვა, კარი გულდაგულ ჩაეკტა, თუმცა ახლა აზრი არ ჰქონდა ამას, მკვდარი იქ არ იყო. რატომღაც ბოქლომი ჩამოჰკიდა და პირველი თვითონ გაეცალა შებილწულ საფლავს. ნოვე უკან გამოუდგა, ნოვეს ღურო მოჰყვებ.

— სად გისვენია მკვდარი? — ჰკითხა ნოვემ.

— გარაჟში შევიტანე, რა მექნა, სად წამელო? — დამნაშავესავით აღუღლულდა აბია.

— ახლავე წამოვიღოთ და დავმარხოთ, სალამომდე ვერ მოიციდის, ზაფხულია, წახდება გვამი... — უთხრა ნოვემ.

— დაგვინახვენ, აყაყანდება სოფელი... — თქვა ნაღვლიანად აბიამ და შუა სასაფლაოზე შეჩერდა, აქეთ-იქით გაიხედა, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებდსო.

— ვინ დაგვინახავს ამ დილა-ადრიაანად! თუ გამხელას არ აპირებთ, ახლავე წავიდეთ და წამოვიღოთ, ასე სჯობია.

ამისთვის გარბოდა: დილაადრიაანად ნოვესთან, აბიას მოსწონდა მისი ნააზრევი, მართლაც ლოდინი უაზრო იყო, ახლავე უნდა დაემარხოთ მკვდარი, ოჯახიც მოისვენებდა და გვამისთვისაც მიწაში ყოფნა სჯობდა, ოღონდ სწრაფად და ჩუმად უნდა აღესრულებინათ განაზრახი.

— ვითომ სასახლე დაგვჭირდება?.. — უკან მიიხედა და ჰკითხა აბიამ ნოვეს.

— არა, არ გვინდა სასახლე! — მიუგო ღურომ.

— აბა, როგორ წამოვიღოთ მკვდარი?.. — გაიცან აბიამ.

— მაგ მე ვიცოი... — უთხრა ღურომ. ახლა ის დაწინაურდა და სასაფლაოდან პირველი გამოვიდა.

— მართლას ამბობს, — უთხრა ნოვემ აბიას, — კუბო-დიდ ადგილს დაიჭერს...

ღურო მანქანაში ჩაჯდა, აბიას კარი გაუღო და ძრავაც ჩართო.

— „ემცხრათი“ უნდა წამოვიღოთ! — თქვა ღურომ, როცა მანქანა ადგილიდან დაძრა.

ვარლამის ძველი „ემცხრა“ მარკის ტანკივით მანქანა შინ ეყენა, საკუთარივით ამუშავებდა. აბიას, რა საკვირველია, არ სჭირდებოდა ძველი მანქანა. ახალი „ემოციდაცხრა“ ემსახურებოდა. „ემცხრა“ მართლაც უფრო დიდი, სრული და, რაც მთავარია, კარგად „შენიღბული“ მანქანა იყო. სულ არ ახსოვდა აბიას ვარლამის ძველ „ემცხრა“, ღურომ გაახსენა და კარგი ქნა, რომ გაახსენა, იმ მანქანით მართლაც სჯობდა უჩუმრად მკვდრის სასაფლაოზე წახლება.

ღურომ ხელათ მოაგელვა შავი „ემცხრა“, შემოიყვანა ეზოში, უკან სვლით მიადგა მანქანის სადგომის კარს და პირველი თვითონ მივიდა ვარლამის გვამთან. ცისმარე და თანგულია არ ჩამოსულან, ვითომ არც გაუგიათ კაცების მოსვლა. აბიამ ისურვა ასე, თქვენი ჩამოსვლა საჭირო არ არისო, — გააფრთხილა ცოლ-შვილი. ცისმარე და თანგულია ფანჯრიდან, ფარდას ამოფარებულნი შესცქეროდნენ ჯერ არნახულ სურათს: შავ სუდარაში გახვეული, როგორ გამოიტანეს მანქანის სადგომიდან ვარლამის გვამი, ვითომ ცოცხალივით დააჩინეს „ემცხრის“ უკანა სალონში და ნოვე მიუჩინეს, გვერდით მოუსვენეს, ცხედარი თავზე არ დაგვეცესო. წინ ღურო და აბია დასხდნენ და წავიდნენ.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — შესძახა ცისმარემ შვებით და ჰირჯვარი გადაისახა.

მკვდრის საფლავიდან პირველი ამოთხრა

სათქმელად აღვილია — მკვდარი საფლავიდან ამოთხარეს და კირისუფალს ღობეზე გადაუყიდესო. აღსრულება აღმოჩნდა ძნელი: მინცა და მინც იმ ღამეს ამობრძანდა საესე მთვარე. მთელი კვირა კუნაპეტი ღამეები იდგა, ვარლამ არავიძის დაკრძალვის ღამეს კი ამობარჩხალდა, არავის მთიდან ამობრძანდა ბადრი მთვარე, გაანათა ყველა ცა, მთელი ქვეყანა, თუთარჩელა ჩააყენა არავისწყლის ხეობაში. მთვარის შუქით ისე გააკაშა ღამე, თითქოს მეცხრე ციდან სხვა მნათობნიც ჩამობრძანდნენ დამხმარედ მთვარისა, მანათობლად არავიძეთისა, რათა საოცარი სანახაობა: მკვდრის საფლავიდან ამოთხრა მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინათ.

ასეთ მთვარიანში მოდიოდა ამაყად, ზვიდად, ფრთხილად, აუჩქარებლად. გვერდით მოსდევდა საკუთარი გრძელი ლანდი და ესმოდა საკუთარი ნაბიჯების ხმა. შორიდან მაცქერალი იფიქრებდა. მწირი ვინმე, ზურგჩანთააკიდებული, სამოგზაუროდ აყრილა.

სასაფლაოსკენ რომ გადაუხვია, უცებ აჩქარდა, ასწრაფდა, იმით-ღა, მიხედვით, მოგზაური არ იყო, — სასაფლაოს გზა სხვაგან არსად მიდიოდა, არც მოგზაური ასწრაფდებოდა ამგვარად.

სასაფლაოს შესასვლელთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, კარი არ გაუღია, კარის გვერდით კირისუფლებისთვის განკუთვნილ ალაგზე გადაალაჯა და ჩქარი, მაგრამ აკრფილი ნაბიჯებით, საფლავებს შორის გაილანდა, თითქოს ეშინია მკვდრები არ გააღვიძოსო.

ჩეგე ხალდანი გახლდათ ეს ახირებული, ღამეული ლანდი!

როგორც აფთარი ქარიანი ღამით ტყიდან გამოსული, მშიერი, ლეშს მოწყურებული, ახალდამარხული მკვდრის სუნს იკრავს და მისკენ ისწრაფვის. ისე ილტვოდა ხალდანი ვარლამ არავიძის საფლავისაკენ.

ეტყობოდა, ყველაფერი წინასწარ

გულდაგულ მოეფიქრებინა. ვლა აქაურობა, აეწონა-გაეზომა, საფლავთან რომ მივიდა, იცოდა სად რა დაედო, სათხრელი იარაღები რისთვის რა დასჭირდებოდა. წვრილმანებისთვის დრო არ უნდა დაეკარგა, ასაწყობი ბარი და ნიჩაბი ზურგჩანთიდან ბოლოს ამოიღო. ხელის სიმარჯვე, მკლავის ძალა გადაწყვეტდა ამ ღამით ყველაფერს.

ვარლამ არავიძის საფლავს პირველი ბარი რომ დაჰკრა, უმაღ შევება იგრძნო. მრავალი წლის ბოღმა და ბაღდაში წვეთწვეთად გულში დაგროვებული, შხამი სულში ჩაგუბებული, აქ უნდა დაენთხია ამ ღამით, ამ საფლავზე. დაჰკრა ბარი, გადაყარა მიწა, დაჰკრა, — გადაყარა. დაჰკრა — გადაყარა...

ელვაზე სწრაფად მოქმედებდა, ელვასავით მოძრაობდა. მუხლამდე ისე ჩავიდა, ერთხელაც არ შეუსვენია, არ უგრძენია ეს „ჩასვლა“. მუხლამდე რომ ჩავიდა, ნიჩაბი მიუმარჯვა ნაყარ მიწას და ნიჩბით ამოწმინდა.

დაჰკრა ისევ ბარი და ქვევით წავიდა, დაჰკრა ბარი... თითქოს სამართლიანობა გააღვიძა...

გააფთრებით ჩადიოდა მიწაში და აფთრის ყმული შემოესმა. თავი აიღო, ღამეს დააყურა, მომესმაო — იფიქრა და ბარს კვლავ ნიჩაბი შეუნაცვლა, დიდ კოღობნებს დასტაცა ფართი ხელები, საფლავიდან შიშველი ხელებით ამოყარა მიწა. კვლავ შემოესმა აფთრის ყმული და მიხვდა, რომ ამ ხმას თვითონ გამოსცემდა.

განა რა განსხვავება იყო მასსა და აფთარს შორის! არაფერი, მაგრამ ეს ვერ შეაკრთობდა. „აფთარი იყავ, აფთარივით უნდა ამოგთხარო საფლავიდან!“ — ჩასძახა საფლავში ვარლამ არავიძეს და თხრა განაგრძო. უკვე ხვითქი გადასდიოდა შუბლზე, საკუთარი გულის ძეგრაც ესმოდა, მაგრამ დაღლა რა იყო იმ სიხარულთან, რასაც არავიძის კუბოს თავსარქველის აგლეჯა მონიჭებდა.

მოკვლა უნდოდა და ვერ მოკლა, კა-



ტორიდან დაბრუნებულმა დიდხანს გარს უარა ვარლამ არავიძის სასახლეს, და ბოლოს თავი მიანება, ვერ იძია შური, ვერ მოკლა. ამას კი უსათუოდ აღასრულებდა, ვერავინ გადაათქმევიანებდა, თუ ვინმე უცებ თავზე წამოადგებოდა, ხელს შეუშლიდა, აგერ, სასაფლაოს ღობის გადაღმა იწყებოდა ტყე, იმ ტყეს შეაფარებდა თავს დროებით. საფლავს არამცდარამც არ მოსცილდებოდა, არ დააყენებდა ვარლამ არავიძეს საფლავში, თითქოს ზეცას გამოეტანა განაჩენი.

თეთრი მთვარე სასაფლაოს კუთვნილ ცაზე შემოცურებულყო, ზედ თავზე ადგა ვარლამ არავიძის საფლავს, იფიქრებდით შურისმძიებელს ეხმარება დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზა გაუნათოსო, — ამოთხრილ საფლავში კენჭი რომ ჩაგვედოთ, იპოვიდით.

მხრებამდე ჩავიდა მიწაში, წესითა და რიგით, უკვე კუბოც უნდა გამოჩენილიყო. ბარს ფეხი მძლავრად დაჰკრა, კუბოს ფიცრის ხმის გაგონება სწადდა. მეტისმეტი მოუვიდა, თურმე მიწა კუბოს ორი თითის დადებაზე ეყარა. ბარი სამარის კიდევ ჩამოღო, მოკლეთარიანი თოხი მოძებნა ხელის ფათურით, თოხით მოფხიკა მიწა, ერთ კუთხეში შეაქუჩა ერთად და ნიჩბით ამოყარა. ახლა ჩაქუჩი და მარწუხი გადმოიღო სამარის კიდიდან. კარგი დურგალივით ჩაქუჩის კაკუნით გადაუარგადმოუარა კუბოს, თავსარქველი მაგრად იყო დაჭედებული, ნაპრაღს ეძებდა. მარწუხის ტარით სცადა, ვერ მიუღდა ვერსაიდან. ცული გადმოიღო, ცულს უფრო თხელი პირი ჰქონდა, ღრიჭოს ადვილად იპოვიდა, გრძელტარაც იყო მარწუხთან შედარებით, მისი ბერკეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და თავსარქველი ღრჭილივით აგლიჯა. დასტაცა თავსარქველს ხელი, სამარიდან ამოაგდო, ნაყარ მიწაზე თავსარქველი პირაღმა დაეცა, ოდნავ შექანდ-შემოქანდა, ერთ მხარეს დაყირავდა და ასე დარჩა.

მთვარის შუქი ვარლამ არავიძის ჩაღურჯებულ სახეს უფრო ჩამუქებულად, და თითქოს უფრო საშიშადაც კი წარმოაჩენდა. ხალდანს მისთვის არც დაუხედავს, როცა თავსარქველი ააგლიჯა, უნებურად ჰკიდა თვალი. საყურებლად, ამ ყურებით გულის მოსახებლად, არ ეცალა. მთავარი საქნარი წინ ედო; როგორღა ამოეღო ამხელა კაცი საფლავიდან, აქედან მიუდგა, იქიდან მიუდგა. ჯეგე ხალდანი ღონიერი, ძვალმსხვილი, ბუჭანიერი ვაჟაკი იყო, მაგრამ ცხედრის თავს ზემოთ აწევა და სამარიდან ამოგდება ძალზე გაუჭირდა, სამარის კედელი დაიხმარა, მკერდამდე აწეული ცხედარი კედელს მიაკრა და შეისვენა, გულშიც კი ჩაიხუტა საძულველი გვამი არავიძისა და, ბოლოს და ბოლოს, ამოაგდო საფლავიდან. როცა თვითონაც ამოხტა, ქშინავდა, თითქოს რეკდა, გული ისე უცემდა. ჩამოჯდა საფლავის ქვაზე და შეისვენა. მთავარი მიღწეული იყო, — ვარლამ არავიძე საფლავში აღარ იწვა...

სული მოიბრუნა, ჭუჭყიანი ხელით ოფლი შელდიდან მოიწურა და წამოედგა. აკრიფა სათხრელი იარაღები, იქვე, სასაფლაოზე, ფულურიანი ასწლოვანი ბუჩოლა მდგარა, იმ ბუჩოლის ფულურაც წინასწარ მოეძებნა, მოემზადებინა იარაღების შესანახად, დინჯად ჩაალაგა შიგ ბარ-თოხ-ცულ-მარწუხ-ჩაქუჩი, ჩანთა სასაფლაოს ღობის გადაღმა მოისროლა და უკან მიბრუნდა. თავზე დაადგა ცხედარს, თვალით გაზომა, თითქოს აწონა კიდევ, აზიდა გვამი, მოწყვიტა მიწას. ზურგზე მოვდება არ გაჭირვებია. ტანი რამდენიმეჯერ მოიქნია, — შეისწორა ზურგზე ტვირთი, გვამს ხელები წინ, ჯეგე ხალდანის თავს ზემოთ, ჰქონდა გადმოშვებული და შურისმგებელს თავპირი არ უჩანდა.

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, კაშკაშა მთვარიან ღამეში, სასაფლაოს მკედრულ სიჩუმეში, ნაბიჯების ხმა გაისმოდა. საფლავებზე დაფენილ ხეთხრდილებში წამით შეიმალებოდა ლან-

დი და უმალ მთვარის სხივთა ნაკადში გაკრთებოდა თავისი უჩვეულო ტვირთით. შორიდან მაცქერალი თმების გათეთრებამდე შეშინებული, იფიქრებდა: ამდგარა საფლავიდან მკვდარი და სხვა მკვდარიც ზურგზე მოუყიდიანო.

ვარსკვლავებსაც კი მომატებოდათ კაშკაში, თითქოს ღიად დარჩენილ სამარეში ჩაცვენას აპირებენო, ხომლად შეკრებილიყვნენ და მიწისკენ იყურებოდნენ. ცათა შინა არაფერი ხდებოდა აღმატებული, ვიდრე პატარა სამარეში არავიდისა.

ჯეგე ხალდანი სასაფლაოს ალაგეზე გადადიოდა, მთვარის შუქზე შორიდანაც კარგად ჩანდა მისი ტვირთისაგან მორკალული ზურგი, ხოლო როცა არავიძეთა სასახლისაკენ თავდაღმართზე დაეშვა, მთვარე და ვარსკვლავებიც უკან გამოჰყვნენ. ხეებიც სასაფლაოზე ჩუმად მდგარნი, დაიძრნენ შეშფოთებულნი ადგილიდან. — სად მიაქვთ მკვდარი, მისი ადგილი სხვაგან არსად არისო.

მართლაც საკვირველი ღამე იყო ის ღამე, უეცარი, მოულოდნელი, ჯერ არნახული და არაგაგონილი; წუხელ და მარხული მკვდარი ნაშუალამევს უკვე აღარ იწვა საფლავში.

რატომ ამოთხარა? ვინ ამოთხარა? სად მიჰქონდა? რას უპირებდა გვამს?.. ეთერში დასრიალებდნენ ეს კითხვები და პასუხად მხოლოდ ქშენა და ნაბიჯების ხმა გაისმოდა.

წელში მოხრილი, თავჩაღუნული მიათრევედა ტვირთს, მკვდრის წინ გადმოყრილი მკვლავებისათვის ჩაეგლო ტორები და ნაბიჯებს ერთნაირად, წონასწორობის დაცვით ადგამდა, ვინძლო უნებურად არ შეეკანდე და არ გადმომივარდესო. მთელი სიმძიმე თავსა და ბეჭებზე აწვა, გვამის სიმძიმისაგან ნიკაპი მკერდს ლურსმანივით დაბჯენოდა, სტკიოდა ნიკაპიცა და მკერდიც. ხვითქი გადასდიოდა შუბლსა და გულისპირზე, გრძნობდა, როგორ უსველდებოდა ცხელი ოფლით მაისური, როგორ ეტყეპებოდა ტანზე. ვარლამ არავიდის სასახლემდე შორი გზა არ

ილო, მაგრამ თრევა მიინც ვაუქიოდს. მძიმე აღმოჩნდა გვამი.

როგორც იქნა, გამოჩნდა არავიძეთა ცნობილი თაღოვანი რკინის კარიბჭე. კართან დაეგდო? თუ აეყუდებინა? თუ ჩაეგდო ეზოში? არა. ყველაფერი წინასწარ გაეთვალისწინებინა, გაესიგრძეგანებინა: საფლავიდან ამოგდებულ მკვდარი სოფელს უნდა ენახა. თვალსაჩინო ადგილას, ყველას დასანახად ტრიფოლიატის ღობეზე უნდა გადაეკიდა. ტრიფოლიატის ეკლიან ღობეზე გადაკიდება დაამშვენებდა საფლავიდან ამოგდებულ ვარლამ არავიდის გვამს. ამისთვის საგანგებოდ მოემზადებინა ღობეცა და ზედ მისადგომიც. — ლოდი მოეგორებინა წინასწარ, ვითომ აქ, ღობის ძირას, ეგდო დასაბამიდან, იმ ლოდზე შედგებოდა და ზურგიდან, პირდაპირ ტრიფოლიატის ღობეზე გადადებდა ცხედარს. ჩანაფიქრი იოლად ვერ განხორციელდა. — ვერ შესწვდა ღობეს, აქაც ბევრი იწვალა. შარიშური, ქშენა და გინება რომ ასტეხა, არავიძეთა ძალი მგელია მოვარდა ღობესთან კბილების ღრქენით. ძაღლის ყეფამ და ღრენამ ხალდანი უფრო ასწრაფა და ააჩქარა. ამისთვისაც მზად იყო, კარგად იცნობდა მგელიას, — ჯიბეში ძეხვის ნაჭერი ედო, საგანგებოდ მის გასაჩუმებლად წამოღებულ, ტრიფოლიატის ღობის გაღაღმა, შორს გადაუგდო, ჰაერში ძეხვის ნაჭერს რომ გაისრიალა, მგელიამ უმალ იყნოსა მისი გერში, — სხვა დროსაც, ღამით, მიუღია ასეთი საჩუქარი, — იქით გავარდა, სადაც უნდა დავარდნილიყო ძაღლის ლუქმა. დიდად არ შემეცდარა, სადაც დავარდა, იქ აღმოჩნდა, ღამის ჰაერში დაიჭირა ძეხვი. ხელათ გადაყლაპა და გაჩუმდა კიდეც. წავიდა და ხის ძირას დაწვა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ტრიფოლიატის ღობის გაღაღმაც და გადმოდმაც. ჯეგე ხალდანს თავისი საქმე მოემთავრებინა, ქვაზე იჯდა თავჩაღუნული და სიგარეტს აბოლებდა, ისვენებდა. ცაზე მთვარე მიცურავდა. ტრი-

ფოლიატის ღობე გადადმა, შარა-გზის-
კენ, ფენდა ჩრდილს, იმ ჩრდილს შეფა-
რებოდა ხალდანი და ეზოდან არ ჩან-
და. როცა წამოდგა და გზას გაუდგა,
ფეხისხმამ ძალლი წამოაგდო და ყეფით
გაეკიდა მიმავალს, ღობე-ღობე სდია,
ბოლოს, როცა ღამის სტუმარი არავი-
ძეთა კარ-მიდამოს გაეცალა, მთვარია-
ნში დიდხანს გაისმოდა ძაღლის ყეფა.

ჯგეგ ხალდანმა მთვარიაში ღობე-
ღობე, შუქა-შუქა იარა, იარა, ალაგე-
ზეც გადახტა, მოკლზეც ჭრიდა თუ, მა-
ღვით მიიპარებოდა, უგზო, უვალ ად-
გილებში მიიკვლევდა გზას, ბოლოს,
ბაღში ჩამჯდარ ორსართულიან სახლს
უქნიდან მიადგა. არავიძეთა ცნობილი
მძღოლის — დუროს კარ-მიდამო იყო.
უქანა კარებზე დააკაკუნა. ხმა არავინ
გაიღო, ეძინა დუროსაც და მის ცოლ-
შვილსაც, შუალამე გადასული იყო,
ვინ უნდა ყოფილიყო ამ უდროო
დროს? საცვლებისამარა დურო ჯერ
წინკარისკენ გაქანდა და იქ იკითხა
რომელი ხარო. შემდეგ უქანა კარსაც
მოადგა და გაჯავრებულმა დაიჩურჩუ-
ლა:

— რომელი ხარ?

— შენი „ემცხრა“ მჭირდება სასწრა-
ფოდ. — ჩურჩულითვე შესძახა კარის
ღრიჭოში მოსულმა.

— მერე? რომელი საათია ახლა?
— დუდუნ-დუდუნით წავიდა უქან,
თან იცვამდა, თან იმაზე ფიქრობდა გა-
ელო კარი თუ არა. ეშინოდა, აყოვნებ-
და... ასეთ დროს მოსული მუშტარი,
როგორც წესი, ბევრ ფულს იძლეოდა,
სიფრთხილისათვის კითხულობდა რო-
მელი ხარო, სიფრთხილისათვის აყო-
ვნებდა, თორემ ასეთ მუშტარს უქან
გააბრუნებდა?..

დურო თავისი „ემცხრათი“ არავესა და
არავიძეთში სასწაულებს ახდენდა. ამ
მანქანით საქურდავადაც წასულან და
ქალის მოსატაცებლადაც, სავაჭროდაც
და საბანდიტოდაც, ყველა გაუკეთებე-
ლი საქმე ამ მანქანით გაკეთებულა,
შეუძლებელი, აკრძალული, კანონგა-

რეშე გამოცხადებული, შესაძლებელი,
დასაშვები, კანონიერი გამხდარა.
ხომ ვარლამ არავიძის მანქანა იყო,
ვინ გააჩერებდა ღამით მიმავალს! ვინ
გაუბედავდა შემოწმებას! დურო ამით
სარგებლობდა და დიდ ფულს შოულ-
ობდა — ამით მიდგას სულიო, ამბობ-
და. მართლაც, ერთ ღამეში, ერთ გზო-
ბაზე, ორას-სამას მანეთს აძლევდნენ,
ამაზე სარფიანი საქმე რა უნდა ყოფი-
ლიყო? დურომ უცნობს კარი დაუფა-
რავი სიხარულით გაუღო. კარში მდე-
ვივით ვაჟკაცი შემოიზღაზნა. ეს სიდი-
დე მაინცა და მაინც არ მოეწონა, თვი-
თონ დაბალი, ჩაგვირისტებული მოკლე
ხელემა კაცი იყო. შუქი სასტუმრო
ოთახში ანთო და მოსული იქ შეიყ-
ვანა.

— მაგ სავარძლებში ვერ დავჯდები,
სველი ვარ... — შემოსვლისთანავე ჩა-
იდუდუნა ხალდანმა და შუა ოთახში
დადგა. დაბალი გუგუნა ხმა ამოსდიო-
და ხორხიდან. ჯიშინ მალაღ, სქელ,
მოწითალო, ყელ-კისერზე ნაოქა ხორ-
ხი ეკვეთებოდა საუბრისას, ახლავო
—უთხრა დურომ, ოთახიდან გავიდა,
უმალ რევოლვერი მოძებნა, ყოველ
შემთხვევისათვის საშინაო ხალათის
ჯიბეში ჩაიღო. დასტაცა ხის ტაბურეტს,
ხელი, ვითომ აქ არაფერი მომხდარაო,
შებრუნდა უქან და სტუმარს სკამი
სავარძლების წინ დაუდგა.

მოსულს ხვითქი გადასდიოდა შუბლ-
ზე, სველი სამოსი ტანზე ეკვროდა,
ოფლისა და კაცის სუნი შემოეტანა,
— ოთახში უსიამოვნო სუნი იდგა.
დურომ აიენის კარი გამოაღო, ოთახში
მთვარიაზე ღამემ შემოიხედა და გრი-
ლი ჰაერიც შემოვიდა.

სტუმარი შუა ოთახში, ტაბურეტზე
დაჯდა, გამართული იჯდა, თითქოს სა-
უბრის დაწყება ეძნელებო, დინჯ,
გრძელ საუბარს თუ აპირებდა, სიგარე-
ტი ამოიღო, ასანთიც მოიხზრიკა ჯიბე-
ებში, მშვიდად გააბოლა, მთელი ამ ხნის
მანძილზე მასპინძლისთვის არ შეუხე-
დავს, განზე იყურებოდა.

ჰაერი
 გაზაფხულით სუნთქავს,
 რომელიღაც
 ფრინველი მღერის.
 რა კარგია
 ამის განცდა,
 რომ ვწერ
 ისტორიას ერის.
 ყველაფერი
 რასაც ჰხედავ,
 არის
 ახალი და ძველი.
 გულზე
 მალამოდ მედება,
 რომ წერ
 ისტორიას ერის.

— გამარჯობა!
 — გაგიმარჯოს!
 აი, მისალმება ჩვენი.
 ჯეჯილს
 ქარი გადაუქროლებს,
 ის წერს —
 ისტორიას ერის.
 ჰაერი
 გაზაფხულით სუნთქავს,
 რომელიღაც
 ფრინველი მღერის
 რა კარგია
 ამის განცდა,
 რომ ვწერ
 ისტორიას ერის.

კიდეც
 ცოტა ხანი დარჩა,
 ცოტა წუთისოფლის ბრუნვა,
 ვიზეიმებ
 გაზაფხულის მოსვლას,
 თავს დავაღწევ
 ზამთრის ბუნავს.
 ველოდები
 იმ დღეს,
 იმ წუთს,
 როგორც მხსნელს და
 როგორც
 მკურნალს,

მერცხლები რომ
 მოფრინდებიან,
 ცის შეჰქმნიან
 ლამაზ სურათს...
 კიდეც
 ცოტა ხანი დარჩა,
 ცოტა
 წუთისოფლის ბრუნვა,
 ვიზეიმებ
 გაზაფხულის მოსვლას,
 თავს დავაღწევ
 ზამთრის ბუნავს.

გოგონამ,
 ვისაც
 სულ არ ვიცნობდი,
 რაღაცნაირად

გამითბო გული,
ნოემბრის
ცივი ამინდი იყო,
მარცხენა ხელით
მიჰქონდა პური.

მივდიოდით დაღესტანში,
თაკარა მზე ენთო ცაზე.
არაფერი არ მომხდარა
ჩეჩენ-ინგუშეთის გზაზე.
მოგონება იმ ზაფხულის
სიხარულით ეგზომ მავსებს,
ნეტავ,

კიდევ თუ გავივლი
ჩეჩენ-ინგუშეთის გზაზე.
მივდიოდით დაღესტანში,
თაკარა მზე ენთო ცაზე,
არაფერი არ მომხდარა
ჩეჩენ-ინგუშეთის გზაზე.

მე თავლით უნდა ვირჩინო თავი,
ქართული ფუტკრის მარჩინოს

თავლმა.

ბედნიერი ვარ, თუ დამიჯერებთ,
არ შემიძლია ახლა ეს არ ვთქვა.

მე ვიცი ჩემი თავის ამბავი,
მე ჩემი თავის არა ვარ მტერი.
ყველაფერი რომ გაწყდეს

ამქვეყნად,

მე, ოჯახს მირჩენს ყვავილის მტვერი.

ქუჩაში ვილაც შემხვდება,
კარგი ნაცნობი არც კია,
გამაჩერებს და მეუბნება:

„გივი ელიავა რა კარგი კაცი!“

ზოგი არც მომესალმება,
მოვა ისე და მეტყვის:

„შენს რაიონში ვიყავი,

კაცი გავიცანიო ერთი!“

მარტვილის მხარეთმცოდნეობის

მუზეუმის ეზო რა კარგია,

ორმოცი ჯიშის გადარჩენილი

ვახის ლერწებით ნაქარგია...

ქუჩაში ვილაც შემხვდება,

კარგი ნაცნობი არც კია,

გამაჩერებს და მეტყვის:

„გივი ელიავა რა კარგი კაცი!..“



...მნელ ჩემს სარ

რომანო

— უთხარი, ავად არის-თქო, — დააბარა დალიმ მეზობლის გოგოს და მართლა ჩაწვა ლოჯინში, ავადმყოფობა მოიგონა. დარწმუნებით იცოდა, აიას მასთან სტუმრობა უშედეგოდ არ ჩაივლიდა და ეშინოდა, სიმართლის ყველას თანდასწრებით შეტყობა.

აიას წასვლის შემდეგ ვერა და ვერ დამშვიდდა. ბევრი კარგი ჰქონდა გაგებული აიაზე, ახლა თითქოს თვითონაც მიეცა ამ სიმართლეში დარწმუნების საშუალება, მაგრამ მაინც ვერ იჭერებდა, რომ აიამ იმაზე ილაპარაკა რასაც ფიქრობდა. დალი მიხვდა, აიას ისევე ძალიან უყვარდა ქმარი და ეს აფიქრებდა. მიუღწევი და მიწის ზურგზე არ ეგულებოდა ქალი, თავის ჭიანჭკაპს რომ მისცემდა, არათუ ოთარისთანა ქმარს. უკვე მერამდენედ იმეორებდა აიას სიტყვებს, წასვლის წინ ნათქვამს, და დარწმუნებული იყო, თვალთმაქცობდა აია, სინამდვილეში კი ჭკვეუანას თავზე დახვევდა, თუ მილიციონი არ გაასახლებდნენ ის საჭილიდან, ქალებს მიუსხვედა და თითო ათრეგინებდა, როგორც უწმინდურსა და კაცების მომჯადოებელს, ოჯახის დამნგრევს. ასე ფიქრობდა თავის პატარა ოთარში გამოკეტული დალი და სჭეროდა, სწორად სჭრიდა, რადგან აიასაც იმას მიაწერდა, რასაც ქალებზე თავისი ცოდნა ჰკარანახობდა. არა ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა წარმოდგენა იმაზე, ვინ იყო და რა შეეძლო იმ სიტუაციაში, უსიყვარულოდ დაგდებულ ქალს. აიას წასვლის შემდეგ დალიმ უცებ დაკარგა ყველაფრის იმედი, გაუჭრა ის მოჩვენებითი სიამაყეც, რომლითაც, თავის ბეჭეში, აჯობა აიას და ისეთ უმწირობას გრძნობდა, როგორც თავის დღეში არ განუცდია. ებრალებოდა თავი ოთარისგან უარყოფის მოლოდინში და თუმცადა მიჩვეული იყო მიტოვებას, ახლა, პირველად თავის ცხოვრებაში, უჭირდა. მართალია, არავინ ეციხებოდა სახის შეშუპებისა და „გახუქების“ მიზეზს, მაგრამ ეტვი არ ებარებოდა, ხვდებოდნენ. ბევრჯერ შეუნიშნავს მისი წამოშრდილი მუცლისაკენ გამოპარული მწერა, მისი გამოჩენისას სიტყვის პირზე შეყინვის შემთხვევებაც ახსოვს. იცოდა, თუ ქალები ცნობისწადაღს ვერ იკმაყოფილებდნენ, მხოლოდ

ოთარისა ერიდებოდათ. თვითონაც უფრო თბილედებოდა ოთარის სახელს. ამიტომ იყო, სანამ ბავშვი გაიწეროდა, მაგრამ იყო ავად. მუცელს, მაგრამ მერე ეცოდებოდა და ვეღარ იმეტებდა გასაკრებლად იმას, ვისი გამოჩენის იმედი აქამდე იმდენად გადაწურული ჰქონდა, აღარც კი ოცნებობდა ხოლმე.

დალი დარწმუნებული იყო, ოთარს მოსწონდა, მაგრამ ახლა ეს აღარ იყო მისთვის საკმარისი. კაცს ამდენი ხნის მანძილზე ერთბაშად, ერთადერთბაშად კი არ დასცდენია სიტუაცია სიყვარულზე. მაშ რის იმედით უნდა უოფილიყო, რა ჰქონდა საიმედო? კარგი, ამასაც შეედეგებოდა, მაგრამ ოთარი რომ არაფრით შავდა ისეთ კაცს. ვინც ოჯახს დაანგრევდა, უარს იტყუდა შვილიშვილზე, წყალში გადაყრიდა ყველაფერს, რასაც ამდენი ხანი თავის ხელით ქმნიდა. თანაც ვისი გულისთვის? „გულისრეზი ამდენად?“ — ეციხებოდა თავს, მაგრამ პასუხის გაცემა უჭირდა. არ შეეძლო სიმართლის მოხსენება. ბევრს ოცნებობდა, მაგრამ თან ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ოთარს შეეძლო ოჯახის მიტოვება, იმ ტრადიციის დარღვევა, რომელიც დროს დემკვიდრებინა და, ავი იყო თუ კარგი, მაინც ცოცხლობდა. „მეა ჭამაში მოდი სო“, — ნათქვამია და დალისაც სწორედ ასე დემართა. ჭერ ოთარის ყურადღების მიპყრობა ჰქონდა მიზნად დასახული, მერე სიხლოვე და როცა ორივე შეისრულა, ახლა უკვე კაცის მთლიანად დასაყურებებს უტრიალებდა მისი ფიქრი. დალი ერთხელაც არ შეუწუხებია თავის ამ სურვილს, პირიქით, უკანასკნელ ხანს მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. მას თვალსაც არ ახამხამებინებდა ის გარემოება, რომ ოთარს მარტო ცალი კი არა, შვილიშვილიც ჰყავდა, თავისი ცხოვრება ჰქონდა, თავისი ჩვევები და მოთხოვნები გააჩნდა. დალისთვის ცხოვრებას ეწველებინა, რომ მხოლოდ თავისი სურვილისათვის უნდა გაეწია ანგარიში, შეუბრალებლად უნდა გადაეკეთა ყველა და ყველაფერი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე და, რადაც უნდა დასჭდომოდა, მაინც მიეღო თავისი. დალის არ აინტერესებდა, რა საწინაო ეტევა ამ სურვილს. ამაზე ვისაც უნდა, იმას ედონა, სახელზე ვისაც უნდა, იმას ემტვრია თავი, მას მხოლოდ ის აფიქრებდა, რაც უნდოდა და ეს ამჟამად ორი რამ იყო: ოთარის ცოლობა და შვილის გაჩენა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციკარი“ № 11, 12.



უცნობია კი ოდესმე ოჯახზე დაღიწ? არა, არ ახსოვდა. ოცდაათმეტი წელი იხე იცხოვრა, ეს სურვილი არ იცოდა, რა იყო. არ უფიქრია არც მაშინ, როცა ოთართან სიახლოვე ენატრებოდა, მაგრამ აი, ფეხმძიმედ შეიქნა და... თავად იგრძნო, ზოგი რამ შეიცვალა მის არსებ-
 მაში. გონება გაუწმინდა იმ ნაყოფებს, რომელიც ყოველ წამს ახსენებდა თავს. ეს დაღიწთვის ახალი, აქამდე უცნობი საზრუნავის საფუძველი გახდა და დალი იქამდე მივიდა, ფიქრი დაიწყო არა საკუთარ ბედზე, არამედ ბავშვზე. ეს ფიქრები სევდასავით მოაწებოდა ხოლმე და ისეთ მგრძნობიარე ქალად აქცევდა, რომ თავდაც უქვირდა. რა ემართებოდა. დალი ხშირად ფიქრობდა იმაზე, რომ მის შვილს არასოდეს გაჰყვებოდა გვერდით მამა. ბავშვს არასოდეს არ მოასვენებდა იმის შეგრძნება, რომ არ უყვარდა იმ ძლიერ და ღამაზე კაცს, ვისი მიწვევითაც მოვიდა ამ ქვეყანაზე. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად უყვარდებოდა დაღიწ ჭირ კიდევ თვალთ უხილავი არსება, რომელსაც გულის ქვეშით გრძნობდა. ბავშვის ყოველ გაფართხალებასზე უფრო უძლიერდებოდა ხოლმე შინი ოთარის დაკარგვისა, ხვდებოდა, როგორ აფაქივნებდა ერთმანეთში შერწყმული შინი და სიყვარული მის გაუხეშებულ, უთვალავებრ გაქედილ და დამცირებულ სხეულსა და ხულს. ზოგჯერ, როცა აიყოლიებდა სათიღებზე ფიქრი, გრძნობდა, როგორ ცველებოდა გუნება. მაშინ აღარ იცოდა ხოლმე, რა ექნა იმისთვის, რასაც წარსული ერქვა და რომლის წყალობით გამოუმუშავებული ჩვევები, ხასიათი და სურვილები ჭირ კიდევ ვერ ებუზოდნენ ამ ახლად გაჩენილ სიფაქიზებს. წარსული. ცხოვრება იყო და არა ნივთი, რომელსაც ტახტის ქვეშ შეადგებდი, ფანჯრიდან გადაუძახებდი ან მინიარეს გაატანდი. ეს იცოდა დაღიწ, იხიცი იცოდა, რომ წარსული იხე იყო მასში, როგორც გული, ღვიძლი ან ფილტვები, მის ნაწილად ქცეულიყო და, უნდოდა თუ არა, თან უნდა ეტარებინა, როგორც უკვლად დაკიდებული ხორკლიანი ლოდი, თავისი უნდა დაერქმია და ვერ მოეშორებინა. დაღიწ კი მისი დავიწყება გადაეწყვიტა, რადაც უნდა დასჭლოდა, უნდა ჩაეკოლა. ახე იყო საჭირო მისთვის, ან შეიძლება მისთვის კი არა, უფრო ოთარისთვის, რადგან ჭირ არ იცოდა, რას გადაწყვიტდა ის კაცი, ვისზედაც მისი მომავალი ეკიდა.

ოთარისთან დაახლოვების შემდეგ, როცა დაღიწ პირველად გაუჩნდა თავის ძველ ცხოვრებასთან გაურის სურვილი, გაიხსენა ერთი მხიარული პოეტისაგან გაგონილი ნათქვამი — საკუთარი თავისაგან გაქცევა ადვილია, მთავარია, სხვას გაექცეო. ამ აზრს დაუწყო ტრიალი, ყველა მხრიდან შეამოწმა და ბოლოს მართალი გამოყოფა ის მხიარული პოეტი. რაიმეს დავი-

წყების ცდა უკვე იყო საკუთარი თავისაგან გაქცევის გზაზე დაღიწმა, მაგრამ სხეები? შეუნი მებხიერება თუ მოგიუბუჯავდა თვალს, სხეები რას იზამდნენ, ხალხის თვალგაჰყუებულ მებხიერებას რას მოუხერხებდი, იხინი ხომ მუდამ ფხიზლობდნენ. მუდამ იმის ცდაში იყვნენ, ფეხს წამოგეტრა გვერდულად დაღეუბული კენჭისათვის, ქვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. და მაშინ შენს სულში რაღაცა მანქანებით გაჩენილი სათნოება, თვალის ჩინივით რომ უფრთხილდები, სახნის ბუშტივით გაიკსებება, ამ საუნჯეს თვალსა და ხელს შუა გამოგიფარებენ დაღარაჭებულნი, რათა გაიძულონ იხეც იხად დაჩრტი, ვინც უხავი, რადგან ეს იყო შენი ბედი, რადგან ამ ნიღბით დაიბადე.

„მანც რა არის ჩემთვის ოთარი?“ — უკვე მერამდენედ ეკითხებოდა დაღიწ თავს. ამ შეკითხვას იხეც წარსულთან მიჰყავდა. დაღიწ თვალს აწივდა განვლებულ ცხოვრებას და აღმინდელ ნაცნობთაგან ოთარს გვერდით ვერავის უყვანებდა. დაღიწ გრძნობდა, სხვაგვარი გახდა ოთარი. მართალია, ეს სიტყვაძუნწი კაცი მას მაღალ მატერიებზე არ ელაპარაკებოდა, როგორც მის ნაადრევად გამშობებულ პროფესორი, ბინა რომ უქირავა და კვირაში ორჯერ, — სამშაბათს და პარასკევს მოდიოდა მასთან, მაგრამ ზემოქმედება კი ჰქონდა. ოთარის გვერდით ყოფნა, მისი შემოხედვაც საქმარისი ხდებოდა, რომ დაღიწს სურვილი გასჩენოდა, უკეთესი ყოფილიყო. იგი გადაეჩვია ხმამალა სიცილს, ტყუილის თქმას და ბევრ ისეთ რაფეს, რაც წინაო არასოდეს ჩაუთვლია უხამსობად. ახლა კი აღარ მოსწონდა. შინ ჯდომა და მოლოდინი ისწავდა და, რაც ყველაზე მეტად სიამოვნებდა, ოცნება დაიწყო. ადრე ვერც წარმოადგენდა, რომ ამდენი საოცნებო იქნებოდა ქვეყანაზე, ან თუ შეიძლო მას კაბისა და ფეხსაცმლის ან დროსტარების გარდა, სხვა რამეზე ეფიქრა. ამ ცვლილებებს დაღიწ სიყვარულს მიაწერდა, პირველ ნამდვილ სიყვარულს, რომელმაც მისთვის ასე დაავიანა. დაღიწ ცხოვრებაში პირველად ირწმუნა, რომ თურმე ორმოცდაათ წლამდეც შეიძლებოდა იხე მოსულყო კაცი, არაფერი ჰქვებოდა აღამიანური, მაგრამ მანც ისეთი სუფთა ყოფილიყო, როგორც ოთარი აღმოჩნდა. დაღიწს უყვარდა, ენატრებოდა, შურდა თავისი საყვარლის სიწმინდე, რომელიც, მართალია, მასთან გაქუქიანდა, მაგრამ ვერ წაიბილწა, რადგან, ეჩვენებოდა დაღიწს, რომ ოთარი თავის სულამდე არ უშვებდა მას, ბევრი რამის უფლება მისცა, მაგრამ სულიერი კავშირს ცხრაკლბტულში ინახავდა. დაღიწ გრძნობდა ამას და სწორედ იქ შეღწევაზე ოცნებობდა, იქამდე ამაღლება ენატრებოდა და იმედით ცხოვრობდა, რომ ოდესმე, დიდი ხნის ერთად ცხოვრების შემდეგ მანც მიუახლოვდებოდა მისთვის ასე ხანატრელი კაცის სიმაღლეს.



დალი უკველ ხადამოს შინ იქდა. არასოდეს არ იცოდა, როდის მოუნდებოდა ოთარს სტუმრობა და ელოდა ქალი ჯერ დაბინძვებას, მერე კიბის ფიცრების ტრაილის ხმას და ბოლოს, კარზე დააკუსუნებას. გვიან ღამით, უკვე იმედგადაწყვეტილი ჩურჩულით ევედრებოდა ღმერთს, მეორე დღეს მაინც მოეყვანა ოთარი, მაგრამ, როცა არც მეორე, არც მესამე დღეს მოდიოდა კაცი, დალი იმაზედა ფიქრობდა, რომ დამთავრდა მისი დღესასწაული და ოთარი აღარასოდეს შემოაღებდა მისი ოთახის კარს. „უკვე მყოფრქვა ჩემთან თრევა. — ფიქრობდა დალი. — ძალად შემოვიტყუე და ის არ ვაკმარე, რომ პატიოსანი კაცი დამიწვა გვერდზე, შვილის გაჩენაც მოვიინდოე, უფრო მეტიც, მისი ცოლიმაც მინდა... როდის იყო, — განაგებობდა ფიქრს დალი. — წესიერი ოჯახებიდან გამოზობდნენ და ჩემისთანებთან იწყებდნენ ცხოვრებას? ჩემისთანა ქალთან თინის მოსაკლავად წვებიან ერთორჯერ და სხვა სურვილი არ უნდა მქონდეს, არა...“

ახეთ დროს დალი წყევლით იგონებდა თავის მშობლებს, რომლებსაც ეგონათ, მარტო საქმელი სჭირდებოდათ ბავშვებს და ფულის საშოვნელად დილიდან საღამომდე ქარხანაში იყვნენ, არ იცოდნენ და არც კითხულობდნენ, ხად იყო ან რას აკეთებდა მთელი დღე მათი შვილი. წყევლიდა თავის სუფელი, ქარხნებში თავს. მაინც რა ღვთის რისხვა დაატყდა ჯერ კიდევ ბავშვს, რატომ იყო აცეტებულნი, რატომ ვერ იოკებდა წადილს, რაშიც მაინცდამაინც ხერხიანად ვერ ერკვეოდა. ქრთხვებ მაინც რად არ დაფიქრდა, რას აკეთებდა, რისთვის, რატომ? ებ, ამდენი განსჯა რომ ჰქონოდა მაშინ, ან ვინმე ღვთისნინიერი მდგარიყო მის გვერდით, შეიძლება... იქნებ კი ვერც ვერავის ეშველა, რადგან ზოგჯერ ფიქრობდა, რომ ის ეწერა შუბლზე, თითქმის აუცილებელი იყო თანმომღვდრობის დაცვა, დალის ჯერ დახლზე გამოწყობობის ლაქის უცხოური ფეხსაცმელები ახსენდებოდა. ხოლმე და შემდეგ თავისი პირველი მამაკაცი — ფეხსაცმელის მაღაზიის საწყობის გამგე. ეს ძვირად ღირებული ფეხსაცმელები ისე სჭრიდა თვალს გოგონას, სკოლიდან უკველადღე მიდიოდა მისთვის ხელის შესავლებად. ზოგჯერ, როცა ხალხი ცოცხა იყო, შედგებოდა ერთ ცალ მაღალ ქუსლზე და ფიქრობდა მათ დასაკუთრებაზე, თუმცა იცოდა, არც ისე ადვილი იყო მისთვის ორმოცდახუთი მანეთის შოვნა. ფეხსაცმელები კი ელავდა მის თვალგება და გონებაში, ელავდა ძილსა და ღვიძილში და ისე ჰქონდა მოსვენება დაკარგული, აღბათ, მოკვდებოდა, ერთ დღეს გაუიღწილი რომ დახვედროდა. დალის ახსენდებოდა ტყავის სუნით გაღვნილი სარდაფი, მძიმე ურდულით კარის შიგნიდან დაკეტვა და გარეთ დარჩენილი წარწერა — „ბაზაში წავედ“. რაც უსაფრთხოხს ხდიდა სკოლის მო-

წადის ამ ნესტიან სასახლეში უფნას. მარტო თექვსმეტი წლისა ხდებოდა. ერთ-ერთი სახს ფეხსაცმელებით ხელში მდგარმა დალიმ იგარძნო, ვიღაც კაცი კი არ უფურებდა, დიდრონი თვალებით ხდიდა ფორმის კაბას. ისედაც აცეტებულნი გოგო ფეხებმა შეუცნობლად წაიყვანეს ხარისთვალემა კაცისკენ, რომელმაც ფეხსაცმელი გამოართვა, დახლზე დააგდო რადაც უთხრა. კაცს ვიღაც დაელაპარაკა. დალი მარტო დარჩა და თითქოს რტემაც გალაუარა, რადგან უკვე ესმოდა, რას ეუბნებოდა უკან მოზრუნებული მოდიმარი ხარისთვალემა კაცი. შემდეგ სარდაფშიც ჩაპყვა უფრო ლამაზი ფეხსაცმელების სანახავად და მუყაოს უთიებზე გადაწოლილს, გაქცივის მაგივრად, ერთი სული ჰქონდა, როდის მოხდებოდა სასწაული... დალიმ მარტოაც უთქვინი ფეხსაცმელი მიიღო საჩუქრად, ვიდრე მისი ამორჩეული იყო. ხარისთვალემა კაცი შეშინებული ჩანდა, თუმცა კრინტი არ დაუძრავს გოგოს უბიწოებაზე, დალი ანას მაშინვე მიხვდა. ნირწამდარ კაცს იქნებ ნახევარი საწყობის ჩუქებაზეც არ ეთქვა უარი, მაგრამ დალიმ თავისი მიიღო და აღარაფერი ჰქონდა სადავო.

მერეც კარგა ხანს დალიოდა „ღამაში გოგო“ იმ სარდაფში და უკველთვის გულუხვად დასაჩუქრებული ბუნდებოდა როგორც სიყვარულით, ისე რაიმე ნივთით. სკოლა რომ დაბთავრა, მამა მოუყვდა და თავისუფლება მოიპოვა, აღარავისი ეშინოდა, პოულობდა თუ პოულობდნენ, მაგრამ მამაკაცთა და სიტუაციითა განსხვავების მიუხედავად, ყველაფერი ერთმანეთს მგავდა, ვიდრე ღამაში, ახალგაზრდა მხატვარი არ გამოჩნდა. იგი უზრუნველად ცხოვრობდა და შიშველი სხეულის ბატვასა და დაკაცებაში ვარჯიშობდა. მხატვარი არწმუნებდა, სხვადასხვა ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი მხატურის ხატვა მინატრებოდა. აიძულდა და მასთან ერთად ეთამაშა ძალადობა, სცემდა, ათრობდა, და შიგადაშიგ ხატავდა კიდევც, მერე, როცა შეიტყობდა, დალი ორსულად იყო, საათობით ცხელ აბაზანაში ამყოფებდა, თან ხატავდა, ან ლექსებს უთხოვდა და თან მუცილს აწვდიდებდა. დალის მოწონება მხატვრის ღამაში სახლი და მისი შერთილი პატრონი, სიამოვნებით ცხოვრობდა ამ მისთვის მანამდე უცნობ სამყაროში, სადაც მუდამ რაღაცით იყვნენ გატაცებულნი, ღამის ათი საათის შემდეგ გროვდებოდნენ და ღამაარაკობდნენ, სვამდნენ, ყირამაღა გადიდოდნენ, ეწყოდნენ. მაგრამ ერთ დღეს ჩაიკეტა მისთვის ამ სახლის კარი და დალი ისევ მარტო დარჩა. მერე მის ცხოვრებაში შემოდიოდნენ და გადაიოდნენ სხვები, ცოლიანები და უცოლონი, ფულიანები და მათზე ატორღალიბულნი. იყო მთვრალეების ხორბოცით ხავსე რესტორნები, კისკისი და თავის მოწონება, გიჟური ღამები ბუნების წია-



ღში და სიმთვრალისგან უღონო, მაგრამ გაუინფანტებული კაცებისაგან გაქცევა, პანდურები და შავი მანქანებით სიერობა. უკველადური იყო, ვიდრე ერთ ხანში შესულს თავისი ბოლო ამოსუნთქვის გასაღამაზებლად არ დასჭირდა დალი და არ დისაკუთრა ორწლიან საბუნდოლო კურსებზე მოწყობისა და მატერიალური უზრუნველყოფის ფასად. ამ დროისათვის დალის ცხოვრება მოქმედი და მობეზრებული ჰქონდა, ეგონა, რომ სიმშვიდე ენატრებოდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვე გაუძლო კარჩაკეტილობასა და ერთი ბებრის შემყურეობას. დალის არ უჭირდა თავისი ახალი პატრონის მოტყუება, მაგრამ მალე აშანაც დააღალა და იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ მთლად აედო ხელი ქალაქზე, ისეთ ადგილას გადახვეწილიყო, სადაც არავინ იცნობდა და კურსები რომ დაამთავრა, შორეულ სოფელში მოითხოვა განაწილება.

ოთარმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ დალი გრძნობდა, მასა და ოთარს შორის, აიას გარდა, მისი წარსულიც ახდუღიყო კლდედ; რომლის ვადღაზვა უჭირდა პატიოსანი ბუნების კაცს. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ არასოდეს ელაპარაკებოდა ოთარი დალის თავის გრძნობებზე.

21.

— ეხეც ასე. — თქვა აიამ და ცხელი უთო რკინის დაჭრულებულ სადგამზე დააუქდა, ოთარის პერანგი საუთოებელი მაგიდიდან აიღო, ფაქიწად დაეკვა და ჩემოდანში ჩაღო. მესამე ჩემოდანში გვერდზე მიუდგა დანარჩენებს იმის მოლოდინში, რომ მეზობელი კაცი, ტყუპ ძმების მამა, გამოივლიდა და წაუღებდა ოთარს. აიამ უკვე მესამე დღე იყო აშაღებდა ქმრის „მოითვისეს“, ყველაფერს საგანგებო გულისხურით ერთ მუთარა. უხმარი საცვლები და პერანგებიც კი დარეცხა და დააუთოვა. ოთარს თავად არაფერი მოუთხოვია, რაშიც იყო, ისე წავიდა შინიდან, მაგრამ აიას გულმა არ მოუსვენა, ოთარი სისუფთავის იყო ჩვეული და სანამ ახლგობით შემოსებოდა, ნახმარიც გამოადგებოდა. აიას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს სამი დღე ოთართან გაეტარებინა და თვითონვე უკვირდა, რომ უკვე ქმარყოფილისადმი ძველებური სიყვარულის გარდა, არაფერს გრძნობდა. ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, აღბათ, ქალის ბუნება არა მაკვსო, რადღაც არ იცნობდა თავისავით სხვაზე ცაცვილის, წყველა-კრულვა რომ არ ეგზავნა ქმრისათვის, დღეში ათჯერ არ ჩაედო მიწაში მოღალატე, ზიზლითა და სიკვდილის ნაკვრით არ ეხსენებინა თავისი გამამწარებელი. აიას მხოლოდ გულისტკივილი, წყენა დარჩა ოთარისაგან და შეეძლო ხატზე დევნივა, რომ ერთხელაც არ გაუვლია მისდამი ავი წრახვა. არ შეეძლო ცუდი ესურვა იმისთვის, ვინც მთელი ცხოვრება უუვარდა, ვისზე ზრუნვაშიც

გაეტარებინა ამდენი წელი. ცხადად ედგა თვალი ლწინ ოთართან ცხოვრების ყოველი წვილდნა, კარგიც და ცუდიც, უმეტესად კი კარგი, და გრძნობდა, ოთარი ისევე ძვირფასი იყო მისთვის. მართალია, თავის მაგივრად მხოლოდ დაუპურებული ტკივილი დაუტოვა, სხვაზე გაცვალა, მაგრამ შეურაცხყოფილად არ გრძნობდა თავს, ვერ გაბოროტდა, ვერ სწიპოდა. რაკი იმ ქალთან არჩია ულფა, აღბათ, ბედნიერი, ფიქრობდა აიამ, და არ შეეძლო თავისი მიზეზით გამეწარებინა მისთვის ეს სიხარული.

ერთადერთხელ, შეკირვების დროს, ტირილი რომ უნდოდა და ცრემლი არ ჰქონდა, ეხვეწებოდა დღეროს, გაეჩინა მისთვის ოთარისადმი სიძულვილი, მიეცა ძალა, ამოეყარა გულისკავარი, დაეწყევლა მისი ბედნიერება, მაგრამ ღვეანი დაუდგა თვალწინ. შერცხვა. ღვეანს რომ იგივე ჩაედინა, არც მისი საქციელი მოეწონებოდა, მაგრამ განა შეიძლებოდა? არა, და ვერც მისი ნაპოვნი ბედნიერების მოსაბაზე იოცნებებდა.

შერე იმაზე ფიქრობდა, შვილთან ქმრის გათანაბრება შეეძლოო. შვილს სხვა თვალით უყურებსო ქალი, ქმარს — სხვათი. აღბათ, ეგრე. თორემ ამ დიდ ქვეყანაზე ამდენი ბოღმა და სიძულვილი ვერ იბოგინებოდა. იქნებ ქე-შმარიტი სწორედ ის იყო, რომ სიყვარულიდან სიძულვილამდე მართლა ერთი ნაბიჯის გადადგმა ყოფნიდა ადამიანს? ან შეიძლება ეს იმათი სიმართლე იყო, ვისაც ნამდვილად არასოდეს ჰყვარებია, ვისაც ანგარიშზე ჰქონდა აგებული სიყვარულიც და სიძულვილიც? თავგვა ჰქონდა აბნეული ამდენი კითხვით. პასუხი, ერთი და საბოლოო პასუხი, ვერ ეპოვა, ანდა როგორ იპოვიდა როცა რამდენი ადამიანიც იყო, იმდენი ხასიათი და სხვისადმი დამოკიდებულება არსებობდა, ყველას თავისი სიმართლე ჰქონდა და პასუხსაც უნ სიმართლიდან გამომდინარეს იძლეოდა.

ვერც ადრე და ვერც ახლა ვერ აეხსნა, რატომ თვლიდა ხალხი ცოლ-ქმარს ერთმანეთის შეუცნობელ მტრებად, რად მიჩანდათ, რომ ცოლ-ქმრის ცხოვრება განუწყვეტილი ფარული და აშკარა ომი იყო. არ სჭეროდა ამ სიმართლისა, რადგან თვითონ არასოდეს ებრძოდნენ ერთმანეთს. არც იმისა სჭეროდა, რომ ოთარი მისადმი სიძულვილმა გააქცია, რომ ახლა იგი აიას დაუბინებელ მტრად გადაქციულიყო და არ აღარღებდა მისი ბედი. იცოდა, ოთარი წუხდა. აიამ თავს არ უტყუებოდა, თორემ იმაზედაც თანახმა იქნებოდა, ოთარს ყოველდღე მასთან ესაღილა, მას გაერეცხა ოთარის სხვაგან გაუჭყუნიანებული სარეცხი და თუ თავი ასტკივდებოდა, გულში ჩაეკრა, რომ მის სიბოხს გაექრო ეს ტკივილი.

განა სიყვარული არ იყო მიზეზი იმისა, რომ თვითონ გაუგზავნა თავისი ქმარი სხვა ქალს?



მაგრამ არ ექვიანობდა. ღმერთის წინაშე შეძლო დაფიცვა, რომ მუხის დაცემაზე მეტი იყო უოთაროდ დარჩენა, რადგან ყოველთვის ეგონა, რომ ერთად დიხადნენ, ერთად გაიზარდნენ, ერთად უნდა მომკვდარიყვნენ, მათი კავშირი ცაში იყო გაზიგებული და სხვაგვარად ვერ იქნებოდა. სტანკავდა ოთარისგან უარუფა, გულს უხეტოვდა მისი გაქცევა, იმასაც წარმოადგენდა, როგორ აბედნიერებდა იმ ქერათმიანს, მაგრამ ეჭვი, შური, ზიზღი არ თრგუნავდა და უფერადა, ვერ გაეგო, ექვიანობის გრძნობა მაინც ხად გაქცობოდა ან რატომ, აქ მთელი ცხოვრება ფარულად უნოსავდა ხოლმე მის ტანსაცმელსა და თმას, როცა რამდენიმე დღით სხვაგან წასული ბრუნდებოდა მაშინ, და როცა აქ იყო, ნაშინაც, თუმცა იცოდა, მისი ქმარი არ მკვავდა იმ წარამარა კაცებს, ვისთვისაც მთავარი იყო ქალს საღმე გადასწყდომოდნენ. ერთხანს აია იმასაც ფიქრობდა, ოთარს თუ შევიჭავრებ, იქნებ ტკივილიც გამიუჭადღესო, მაგრამ ვერ ახერხებდა იმის შეჭავრებას, ვინც მარტო ქმარი კი არ იყო მისი, შვილივით გაეზარდა, სიყრმის შვილივით ეგლოიავებოდა მთელი ცხოვრება, უვლიდა, აპურებდა გემრიელი კერძებითა და თავისი სითბოთი. წავიდა ოთარიც, წაიყოლა თან მარადიული სიყვარულის რწმენა და აიას ახლა მხოლოდ ის სტკიოდა, როგორ ეცხოვრა საყვარელი ადამიანებისგან უსახოოდ დაგდებულს, რას ჩასჭიდებოდა, რა მოენახა ამ ქვეყანაზე კიდევ ისეთი, რომელიც ძველებურად დაარწმუნებდა, რომ არსებობდა ერთგულება, ურთიერთგატანა, რომ სიცოცხლე იმიტომ იყო სანატრელი. სიკეთის მიწაზე აეშენებინა გამჩენს.

ოთარის წასვლის შემდეგ აია როგორღაც დამშვიდდა. მას, საერთოდ, გაურკვეველობა უფრო აგიჟებდა ხოლმე, ვიდრე უველაზე საშინელი სინამდვილის პირისპირ დგომა. აი, გადაწყდა მისი ბედი და სიმშვიდეც თავისით მოვიდა, თუ აიას სიმშვიდე შეიძლებოდა რქმეოდა. ახლა აია მხოლოდ გიოს ეკუთვნოდა, გიოზე ზრუნავდა ჰქონდა საქმედ გახდილი, თუმცა ვერც იმას უმსუბუქებდა ბალღურ ქირს, დედაც მეტი იყო შვილიშვილისთვის, მაგრამ მაინც არ შეეძლო დედის შეცვლა. აია გრძნობდა, გიოს უკვე ძალიან ენატრებოდა დედა. ბავშვი თითქმის არ ახსენებდა ნანას, მაგრამ მის თვალებში ჩამდგარ სევდიან მონატრებას ხედვდა და ღმერთს ევედრებოდა, როგორმე გადაეღახვიებინა გიოსთვის დედასთან განშორების სიძნელე.

ყოველდღე აღარ დადიოდა ლევანის საფლავზე. ერთხელ ნანას წასვლიდან კარგა ხნის შემდეგ, სასაფლაოზე აიას მოეჩვენა, რომ გიო ტიროდა, ცრემლები არ ჩამოსდიოდა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, აიას შეეშინდა. მაშინ გადაწყვიტა, აღარ ამოეყვანა აქ, მაგრამ უკვე

დაჩვიული გიო თვითონ ითხოვდა წაყვანას და აია იძულებული იყო, ათასგვარი მიზეზი გონებინა, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებდა დღესხვადღობით გიოს დაყოლიებას ან მოტყუებას და ისინიც შეუდგებოდნენ ხოლმე გრძელ აღმართს სოფლიდან სასაფლაომდე.

ერთ დღეს ხელჩაკიდებულები მილიოდნენ. მათ დანახავზე წყაროსთან შეყრილმა ქალემმა ლაპარაკი შეწყვიტეს, სალამი მისცეს აიას და თვალი გაყოლებს. ერთი სახლის კიშკართან ახალგაზრდა დედა ძძუს აწოვებდა ჩვილს. მეორე, სამოედ წლის გოგონა გვერდზე ედგა. გიომ თვალმოუშორებლად უყურა ქალსა და ძძუთა ბავშვს და როცა გამოსცდნენ იქაურობას, აიას ჰკითხა:

— ბაბო, დედაჩემიც ეგრე მაწოვებდა ძძუს?

— ჰო, — უპასუხა აიამ და მიხვდა, სხვა რამეზე უნდა გადაეტანა საუბარი. — ისეთი ღრმუცელა იყავი, ქვაბში გვიძვრებოდი. ჩვენც საკმეილი გინდოდა.

გიომ კმაყოფილებით გაიცინა.
— იმიტომ გავიზარდე დიდი, არა?
— იმიტომ გაიზარდე, მავ.

მივედნენ ლევანის საფლავზე, აია ჯვრის პირდაპირ ჩამოქდა და გარინდებული უყურებდა მიწას. აქამდე კიდევ ესაუბრებოდა ხოლმე შვილს, მაგრამ ოთარის შინიდან წასვლის შემდეგ აღკვეთა ლევანთან ლაპარაკი, სიტუცა არ დასცდენია, თითქოს ეშინოაო, რამე არ შეეცტო ლევანს მისთვის, არ შეეწყუბინა იმით, რაც მოხდა და რასაც აღარაფერი ეშველებოდა.

— ბაბო, აქ რას აკეთებს მამა? — უტყებ ჰკითხა გიომ და წინ დაუქდა პასუხის მოლოდინში.

აიამ არ იცოდა, რა ეთქვა გიოსთვის, მაგრამ გრძნობდა, შვილიშვილი უპასუხოდ არ დაეხსენებოდა, გრძნობდა, აინტერესებდა გიოს, რატომ იყო მამა აქ გადმოსახლებული, რას აკეთებდა, რა უნდოდა აქ, სადაც ასე ზნირად დადიოდნენ, სადაც ლევანის გარდა, სხვებიც იყვნენ, რატომ ეძახდნენ უფროსები ამ ადგილს უკეთეს ქვეყანას, რომელიც სოფლიდან ასე მოშორებით იყო და სადაც, ალბათ, ღამღამობით ძალიან ბნელოდა, რადგანაც არც სინათლის ბოძები იდგა და არც ნათურები ჩანდა.

— აქ ცხოვრობს... — ძლივს თქვა აიამ და წაოგდა, გაეცალა გიოს, მაგრამ გიო წინ დაუდგა და ხელი ჩაჰკიდა.

— რას აკეთებს?
— ვუყვარვართ ოთარი-მამა და მე, დედა...
— კიდევ?
— არავის არ მტრობს, არვისი ცული არ უნდა...
— კიდევ?

— დედაშენი უყვარს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს...
 — კიდე? — არ ქურდობს...
 — კიდე?
 — უცილს არავის სწამებს.
 — კიდე?
 — სხვისაზე თვალი არ რჩება, თავისიც ჰყოფნის.
 — როდემდე უნდა იყოს ეგრე?
 — მუდამ ეგრე იქნება.
 — რომ აღარ მოუნდეს?
 — არ შეიძლება. ის ხომ ქარგი ლევანია... აია თავჭვეზე დაეშვა.
 გიო უსიტყვოდ მოსდევდა ბებიას, მაგრამ აია გრძნობდა, კიდე ჰქონდა პატარა გიოს კითხვები, კიდე ბევრი რამ აინტერესებდა. აიამ არ იცოდა, ვაგებინა თუ არა რაიმე გიოს, მაგრამ შეუცდომლად სჭეროდა, რაც უთხრა შეილიშვილს. უველაფერი მართალი იყო. მხოლოდ ლევანისა და იმის ბედში მყოფებისთვის იყო შესაძლებელი ამისთანა ცხოვრება, თუ იმათ იქ უოფნას ცხოვრება შეიძლებოდა დარქმეოდა. მხოლოდ მათ შეეძლოთ ამ თითქოს მარტივი და სიკეთით სავსე მცნებაზე შესრულება, რომლებიც ადამიანებისათვის გამოგონებისათვის, მათ სათნოებაზე წრუნვით შეექმნათ წინაპრებს, მაგრამ იმისთვის, ვინც მზეხ შეჭხაროდა, სული ედგა. ცოცხლობდა, უცხო იყო ეს შეგონებები. რატომ, რატომ არ შეუძლია ადამიანს არა კაც-ჰელს, არა იმრუშოს, არა იპაროს, არა ცილი სწამოს... — ფიქრობდა აია და შეუჩერებლივ მიიწევდა წინ, თუმცა გზას ველარ ხედავდა, ცრემლებისგან სველი, აჭარბებული სახე ეწვოდა: „რატომ, რატომ არის ასე მოწყობილი ადამიანი, რატომ?“ — ისევე კითხულობდა მისი გონება. მაგრამ კითხვა უნასუხოდ რჩებოდა.
 ... გიო არ კითხულობდა ოთარს.
 აია თავად არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ის უკვირდა. გიო რომ არ ახსენებდა. ერთ საღამოს, ვახშობის დროს გიომ საქმლის დამატება მოითხოვა. აიამ სულ გადაუღო, ქვაბში რაც დარჩენილიყო.
 — ოთარს აღარ დარჩა? — იკითხა უცებ გიომ.
 — პაპა შინ არ ივახშმებს, სხვაგან ვაგზავნის სამუშაოდან. — მშვიდად უთხრა აიამ.
 — საღ?
 — არ ვიცი.
 — როდის მოვა?
 — დიდი ხნით ვაგზავნის. — უთხრა და სამზარეულოში გავიდა, თევზებს დაუწყო რეცხვა, რომ გიოს აღარაფერი ეკითხა.
 გიომ უხმოდ დაამთავრა ვახშამი და, როცა აია ღამის პირანგს აცმევდა, ისევ ჰკითხა:
 — ქრამდენჯერ უნდა დავიძინო, რომ მოვიდები?

— ბევრჯერ...
 — ოცჯერ?
 — ჰო.
 — თუ ოცჯერ, მაშინ რატომ არ დამემშვიდობა?
 — ეჩქარებოდა, — უთხრა აიამ და მეორე ოთახში გავიდა, გიოს გაერიდა.
 — ბაბო! — დაუძახა გიომ.
 — დაიძინე, გიო! — გამოსძახა აიამ. გიო გაჩუმდა.
 აია თავის საწოლზე იქდა და უცდიდა გიოს ჩაძინებას.
 გიომ საბანი გადაიფარა და გაისუსა.
 როცა გიოს მიუჩრებიდან ხანი გამოხდა, აიამ ფრთხილად შეიხედა საძინებელში და მის ბრიალა თვალებს რომ შეხედა, გაუღიმა.
 — არ დაიძინე, გიო? — ჰკითხა.
 — გელოდები, — უთხრა გიომ ჩუმად.
 აია დაწვა და სინათლის ჩაასრობად რომ ასწია ხელი, გიოს უყვირილი მოესმა:
 — არ ჩააქრო!
 გააკვირვა გიოს მოთხოვნამ. სხვა დროს სინათლე თვალს სჭრიდა, ძილს უფრთხოებდა. „ეშინია“... — გაიფიქრა, ხელი მოხვია შეილიშვილს. გიომ ისარგებლა ამით. ბებიასთან გადაძვრა და ისე ჩაქერა, თითქოს სულში უნდა ჩაუძვრესო.
 აია ჰკიცნიდა გიოს თმას და ვერ გარკვეულიყო, ხვდებოდა რამეს გიო თუ ინსტიტუტურად გრძნობდა, რაც მოხდა.
 დიდხანს აღარ დალაპარაკებიათ ერთმანეთს. თუმცა არ კი ეძინათ. აია ახლა იმაზე წუხდა, რა ეშველებოდა ასეთ მგრძნობიარე ბავშვს ცხოვრებაში? და როცა ისევე მოეფარა ძილგა მერთაღას, რამე მომიყვებო, — სთხოვა შეილიშვილმა.
 აია წურგზე დაწვა, გიომ მკლავზე დაადო თავი და ყურადღებად იქცა.
 — იყო და არა იყო რა, იყო ერთი ოქროს ბიბილიონი მამალი...
 — ეგეთი არ მინდა! — დაიწროპინა გიომ.
 აია გაჩუმდა.
 — მელია და დათვი დამშობილდნენ და...
 — სხვა მომიყევი, ბაბო... — შეევედრა გიო.
 — სოფლის მოშორებით, ტყეში, ცხოვრობდა ერთი მგელი თავისი ხუთი ლეკვით. — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ისევ ამოიღო ხმა აიამ. — ოთხი თვის შესრულდნენ ლეკვები და დედა მგელმა ვარჯიში დააწყებინა შვილებს. ასაუწმებდა თუ არა, შეიყვანდა ტყის შუაგულში და ასწავლიდა ხტომას, სირბილს, უყვითარებად ყნოსვას. სულ მაღე უნდა წაეყვანა საშოვარზე და იმიტომ წვრთნიდა. კმაყოფილი იყო მგელი თავისი ლეკვების სიმარჯვით. მაგ-

თეიმურაზ ძარდოვანიძე
 ...მწიფ ჩემდა ხარ

რამ მებნუთე, ნაბოლარა აფიქრებდა. ჭერ ერთი, თავის და-ძმებზე სუსტი იყო და, მეორეც, ნიშნით დაიბადა. თავზე შავი ზოლი დასდევდა, გამოჩრქეული იყო დანარჩენებისაგან და მარტო და-ძმების შურს კი არ იწვევდა, მამაც აღდრე-ნილი უყურებდა. ამას როგორღაც კიდევ შეე-გუებოდა დედა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ნაბოლარას ვერა და ვერ ჩაუწერდა სისხლის სიყვარული. როგორც კი სისხლს დაინახავდა, საბრალოდ აწქმუტუნდებოდა ხოლმე და აკანკა-ლებული ნაპრობა თავისიანებისაგან შორს. წუ-ხლა დედა მგელი, უკვირდა თავისი ნაბოლა-რას ეს ახირება, მაგრამ იმის იმედოდა დარ-ჩენოდა, გაიზრდება და დაავაჟცდებოდა. დრო გადიოდა, მაგრამ ნაბოლარა მაინც ვერ შეეგუა სისხლს. არც თავის და-ძმებთან თამაში უყუა-რდა, განმარტოებით იქდა თვალბეზიმოღუდული და ოცნებობდა. ერთხელ დედამ ნაბოლარას მა-შინ მიუხწრო, როცა იქდა და ნეტარი სახით უხმენდა შაშვის გალობას. მაშინ კი ვეღარ მოი-თმინა დედამ და მარტო ცემა კი არ აკამარა. უვასშეოდ დატოვა. მთელი ღამე სორშიც არ შეუშვა, თუ სასიკვდილო ხარ, ბარემ ახლავე მოკვდი, სანამ სირცხვილს გვაქმევო. ნაბოლა-რას ცრემლიც არ გადამოუგდია, მარტო დარ-ჩენილს ძალიან ეშინოდა, მაგრამ შაშვის სიმ-ღერის ხმა ედგა ყურებში და, რაც მთავარია, მთვარეს ეფერებოდა.

მეორე დღეს მთელი ოჯახი ნადვალზე უნდა წახულიყო. მთელი დღე სამადადისი ჰქონდათ. როცა დაბინდა, მგელმა ნაბოლარა სორში დატოვა და პირობა დაადებინა, რომ ფეხს არ გადაგამდა ვარეთ. ნაბოლარამ ცოტა ხანს იცა-და, მერე გამოვიდა სოროდან და ისეთი სიმშვი-დე დახვდა მთვარით განათებულ ტყეში, უცებ დაიფიქრა დედის დარიგება და ხტუნვა-კოტირი-ალით გასცდა სორს. ტყიდან გამოსულს უფრო ვაუადვილდა სიარული მთვარის შუქზე და მა-შინდა გამოერკვა, ხმაური რომ მიქსნა. ასეთი ხმები მას აღრეც გავგონა. პირველად ეგონა, დედას და და-ძმებს გადავეყარეო, მაგრამ ცო-ტა ხანში მიხვდა, ვინც ხმაურობდა. მგავდენენ მის და-ძმებს, მაგრამ ისინი არ იყვნენ. ნაბო-ლარა ყურადღებით ათვალიერებდა გარემოს, ესმოდა ყუფა და უკვირდა, როგორი განსხვავე-ბული იყო ის ადგილი იმისაგან. სადაც თვითონ ცხოვრობდა. სახლიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ნაბოლარამ პირველად გაიგონა ასეთი ხმები, იღუბალი, გულამდე ჩაღწევი და სიამოვნებე-ბისაგან რტეტი დაესხა. განათებული ეწო შინიდან გამოსულმა უმაწვილმა გადაჭრა და ძალღებთან მივიდა. კულის ქიცინითა და ლაქუციით შეეგე-ბნენ პატრონს ძაღლები, აღარ აცდიდნენ საკ-მლით სავსე ჭამის მიწაზე დადგმას. უმაწვილმა პატარა, მთლად ნაბოლარას მსგავსი ლტკვი ხე-ლში აიყვანა. აკოცა და ხელიდან აჭამა.

ნაბოლარა ღობის ძირში ჩაცუტული უცქე-

როდა თავის მსგავსებს და უცებ ძალიან მოუ-და მათ ბედში ყოფნა, თავზე ხელის გუნდს მო-მოალერსება. ხან ერთის ნაცვლად წარმოიდგი-ნა თავი, ხან მეორის და მენახისა. უკვირდა, რატომ უღრმედნენ პატრონს მოფრებებსას. რად ცდილობდნენ კბილის გაკვრას. თვითონ რომ მათ ადგილზე ყოფილიყო, დაღრენას და ხაკ-ბენად გაწვას როგორ იფიქრებდა?

უმაწვილი წვიდა, მუსიკის ხმაც მიწყდა. კიდევ დედანს იქდა გაუნძრევლად ნაბოლარა ღობის ძირში, ძალიან უნდოდა მათთან მის-ვლა, მაგრამ ეშინოდა ფეხის გადადგმა. ამ წუ-თში ყველაფერზე მეტად უღიროდა მათ გვერ-დით ცოტა ხანს მაინც დადგომა, მის მსგავს, მაგრამ მაინც განსხვავებულ არსებობთან გათა-ნაბრება. ვერ კი ბედავდა მიახლოვებას. ძალ-ზე მოსწონდა ვრელაფერი. რასაც ხედავდა, თუმცა ვერ მიმზღვარიყო, რა იყო იმის იქით და ეს ბორკავდა. როცა იმ ეწოს ბინადარნი, საქმლითა და აღერსით გამაძღრებო, მოსასვე-ნებლად გაუჩნდნენ. გაბედა ნაბოლარამ და ფრთხილად მიიპარა მათთან. შორიასლს შე-ჩერდა, ჩაცუტკდა და დაელოდა, როდის შეამ-ჩნევდნენ. პირველად ნაბოლარა ტანით ყველა-ზე დიდმა დაინახა, თავი ასწია ყურებედაცკვეტი-ლმა, თითქოს დაუცვლადს აპირებო, მაგრამ გადაიფიქრა, ისევ ჩარგო ცხვირი წინა ფეხებ-ში და გაიტრუნა. ნაბოლარა გათამამდა. თუმცა ჭერ კიდევ ეშინოდა, მაგრამ მაინც მიღო-ღავდა წინ. სულ უფრო უახლოვდებოდა იმთ, ვისაც ჩამოგავდა და აი, უცებ თავი წამოყუ-სულ პატარამ, დაინახა ნაბოლარა, გამოიქცა მისკენ და სახე აულოკა. მოულოდნელი სიხარ-ულისაგან თვალბეზიმოღუდა ნაბოლარამ. უცებ თავით ეტგერა გვერდში პატარა და გაიქცა. შეტორტმანდა ნაბოლარა, მაგრამ თავი შეიკავა. პატარა ისევ მობრუნდა, უკანა ფეხებზე შედგა და თათბი დააწყო ზურგზე თავის ტალს. მიხ-ვდა ნაბოლარა, სათამაშოდ იწვევდა პატარა და აღარ დააყვანა. აჰყვა, იმდენი ეთამამა, სანამ ჭანცი არ გამოეღია ორივეს. მერე პატარამ თავისი ახალი მეგობარი საქმელთან მიიყვანა, თვითონ გვერდით დაუჭადა და გაუმასპინძლა. საწვლარი დაკარგა ნაბოლარას სიხარულმა. როგორ წარმოიდგენდა, რომ ასე მალე აუხდე-ბოდა ოცნება, ასე ადვილად იპოვიდა მეგობარს, რომელთანაც ყოფნას, აღმათ, არაფერი შეედ-რებოდა ამქვეყნად.

პატარამ ნაბოლარას თავისი თბილი ადგილი დაუთმო დასაჭოლად. — თვითონ მუცელზე დააღო თავი, ტბილად დაიძინა. ნაბოლარასაც ეძინებოდა, მაგრამ ვერა და ვერ მოხუტა თვა-ლი. ისე იყო აღფრთოვანებული პატარაბით, ისე ახარებდა აქ ყოფნა, ძილი რაღა სახსენე-ბელი იყო? ნაბოლარა ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, იმ სიამოვნებაზე, რომელსაც დილით არგუნებდა ბედი — უმაწვილი ისევ გამოვიდო-



და. საქმელს მოიტანდა და უცხოზს რომ დინა-
ხავდა, გაუკვირდებოდა, მოეფერებოდა, მხასაც
ხელიდან აქმევდა. პატარასავით და ასე ბედ-
ნიერი იცხოვრებდა აქ, ერთგულად და იცავდა
ამ სახლს, ხადაც კეთილი, აღერისიანი აღაშინა-
ნები ცხოვრობდნენ.

პატარას მშვილად ეძინა და ნაბოლარა, თუმ-
ცა ფეხები მთლად დაუბუჟდა, მაინც არ ინ-
ძრეოდა, ეშინოდა, ძილი არ დაფრთობოდა მე-
გობარს. კიდეც ბევრი იოცნება ნაბოლარამ და
გარიჟრაჟე თვითონაც ვერ გაიგო, როგორ ჩა-
ძინა იმედით სავსეს.

შემწარავმა კვილმა გამოაღვიძა ნაბოლა-
რა. უკვე გათენებული იყო. ეშოში იდგა ქალი
და კიოდა, ხელების ქნევით ეუბნებოდა რაღა-
ცას აივანზე მდგარ კაცს. როცა კაცი ისევ გა-
მოჩნდა აივანზე, ახლა უკვე თოფით ხელში,
კვილი შეწყვიტა ქალმა. ნაბოლარა მისვდა,
უფრო სწორედ დაინახა, კაცმა თოფი მისთვის
აღმართა. აცხცახებული კაცმა შეგობრისკენ,
მაგრამ პატარამ ზურგი უჩვენა და ბუნავში
შეძვრა თავისიანეთთან. ნაბოლარას ეგონა, აღ-
ბათ, მეც უნდა გავუყო და მიეტანა ბუნავს,
მაგრამ ტანით უველაზე დიდმა ჩაუხიდა შესა-
ხვლელი და ავად დაუღრინა. ქალი ისევ აკივ-
ლდა. თოფმოღერებულმა კაცმა ნაბოლარასკენ
გადადგა ნაბიჭი, ის კი, რატომღაც არ ფიქ-
რობდა თავის შეველაზე, არ გარბოდა, არც ილ-
რინებოდა. მხოლოდ ქალის ცივი ხმა სჭრიდა
ყურს. არც მაშინ განძრეულა ნაბოლარა. რო-
ცა სულ ახლოს დაუდგნენ ქალი და კაცი, მხო-
ლოდ სახეში შეხედა ჭერ ქალს, მერე კაცს და
თავი ჩაღუნა, ვერ გაუღლო ამ სახეების ცქერას.
იდგა ნაბოლარა თავჩალუნული და ეყოლა გა-
ნაჩენს, მაგრამ თოფის ქუხილის ნაცვლად სი-
ცილი ისმოდა, უფრო შემწარავი, ვიდრე თო-
ფის გავარდნის ხმა შეიძლებოდა უოფილიყო.
ჩხვლიტა იგრძნო გულში. სხეული დაეკრუნ-
ჩხა ტკივილისაგან. დავარდა და როგორც გაიჭი-
მა, ისევე დარჩა.

აიხა გაჩურჩხა. გიოს არაფერი უკითხავს ბები-
ასათვის. თავის საწოლში გადავიდა, თავვექმ
შეიწყო ხელები და ჰერს მიაშტერდა.

22.

— ო, ეგვანი, შე მეღავ, შენა! — ბუტბუტ-
ებდა ოთარი თავის კაბინეტში, წინ გადაშლი-
ლი ზოლოდქექიკური ფურნალი ელო და, ვინ იცის,
მერამდენად კითხულობდა თავისი ნაცნობის
სტატის იმ მეთოდის შესახებ, რომელიც დუ-
ბროვსკის ცხენსაშენ ქარხანაში შეიგეშავებინა
(იქვე დაბეჭდილი სარდაქციო მინაწერი იუწყ-
ებოდა, რომ ამ მეთოდის ეფექტურობას უვე-
ლა მხოლოდინისთვის გადაეჭარბებინა და ევ-
როპის სახელმწიფოებიც დაინტერესებულიყ-
ვნენ). ოთარისთვის მძიმე დღეები იდგა ახლა,
რატომღაც წამოხული სახსარში აღაშენდა და

ათენებდა, რადგან თავად მოეშალა ბუდე და
ამ სტატისაც უფრო შურით კითხულობდა, ვინ
დრე ინტერესით, ხელმოცარულად გრძნობდა
თავს და თავისი ცხოვრება იმაზე უარესი ეჩვე-
ნებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. გვარის
წაკრთვითსადავე მისვდა ოთარი, ეს ის ეგვანი
კოროვინი იყო, მწითლური გენია. კოტირა თი-
თების მალავში რომ იყო მუდამ, თითქოს ეშინ-
ოდა, ესეც არავინ წამაჭრასო. გაახსენდა სტავ-
როპოლი, ოთახი, სადაც ცხოვრობდა გენიასა და
კიდეც ორ კაცთან ერთად ამ თორმეტობდემ
წლის წინ. მაშინ ძნელი დასაჭერებელი იყო,
გენიას სახელი ევროპაზედ მიაღწევდა. მართო
ოთარი კი არა. თვითონაც ვერ წარმოიდგენდა,
აღბათ, რომ ამისთანა დღე გაუთენდებოდა
ჩუმ, მუდამ კუთხეში მიუუქული ეგვანი კორო-
ვინს.

სიამოვნებით შეხვდებოდა ახლა, რომ შეე-
ხედა თერთ-წითელ სახეში, ჩაზედა მის ქრო-
ლა თვალეში, იქნებ დაენახა, საიდან ანათებდა
მისი ვარსკვლავი, როდის გამოანათა. რომელი
ტოშილები ჩამოეცალდნენ, რომლებმაც დაუ-
თმეს გზა, ნებით თუ სხვისი თხოვნით ან დაძა-
ლებით, ან რატომ მოუწდათ იმ სხვებს თხოვნა
ან დაძალება გენიასთვის, რომელიც სულ უთ-
ხეში იყო მიუუქული და ისევე მალავდა თავის
თავს, როგორც კოტირა თითებს. აღბათ, ცაშიც
არ არის უამისობა, იქაც ვიღაცები აწერსიგე-
ბენ ვარსკვლავებებს: გადააღგიღებს, ერთი
გამოჩნას და მეორის ჩრდილში დატოვებს,
როგორც აქ, დღემამინაზე, ფიქრობდა ოთარი
და ისევ გრძნობდა მურს, რომელიც აღაშინებს
უჩნდებათ ხილმე წარმატებულებიხაღმი. შეი-
ძლება ეს შური არც იყო და უფრო საკუთარი
უშვირობის შეგრძნება ეტქმოდა. ოთარი იცო-
და, შურის გრძნობას მტკნალეზად უველა იც-
ნობდა, რადგან მჭობზე მჭობი არ ილეოდა ქვე-
ყანაზე. ისიც არ ეშლებოდა, საკუთარი შეხა-
ლებლობებისაღმი რწმენა ადვილად ეცლებოდა
კაცს ხელიდან, როცა ცალრქა ხარისით ბრძო-
და ცხოვრების აღმასის კლდეს, ხელის შემ-
შველებელი ან წინ წამგდები, აგრერიგად
საჭირო ამ ქვეყანაზე, არავინ ეგულეობდა, რომ
აღმასის კლდეზე პატარა ნაკაწრი მიინც დაემ-
ჩინა. ასეთ კაცს რაიმე ფასეულის შექმნის დი-
ლი სურვილის მეტი არაფერი არჩებოდა. თუმცა
თავის თავში უნარსაც გრძნობდა და ძალაც
საქმარისი შესწევდა. იქნებ იმით უნდა დაკმა-
ყოფილებულიყო, რაც გააკეთა, მაგრამ რომ არ
ჰყოფნიდა მიღწეული, მეტოსკენ რომ ეწეოდა
გული, ოცნება კიდეც რომ შეიძლო? ძნელი იყო
უკვე ორმოდება წელს მიღწეული კაცისთვის
მართო ოცნებებით დაუბრება, სიძულვილი, მო-
საბეზრებელიც კი ხდებოდა ეს ოცნება, რადგან
ხორცს ვერ ისხამდა, აუსრულებელი რჩებო-
და. ეს იყო, არ უნდოდა ამის შეგნება მეო-
ცნებებს, თორემ ხვდებოდა კი. განწირული იყო

იგი დავიწყებისთვის, რადგან არც ფაფარაყ-რილი თეთრი რაში მოქროდა მის გზაზე, რომ ზედ მოხტამოდა და არც მის ვარსკვლავს ანებებდა ცხოვრება ჩანდიდან გამონათებას.

ახლა, როცა მარტო იქა და ცარიელიებულ შენობაში, როცა ყველანი ილი ხანია გაქრეფილყვენ სახლებში, მას კი არხად წახვლა არ უნდოდა, იქა სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახში, ძლივს არჩევდა წერილი შრიფტით ნაბეჭდ სიტყვებს და მაინც არ დგებოდა სინათლის ახანთებად, ეტყობა, არ უნდოდა, არ შეეძლო თავისებულ შექმნილი სინამდვილისთვის ანებევა, თვალის გასწორება. მარტო ის კი არ იყო დახანანი, რომ ცხოვრების მტვერს შერეოდა მისი კვაბუკობის დროის ოცნებები, როდესაც არანაკლებ უპირდა, მაგრამ მაინც ხავსე იყო მათი, არამედ ისიც, რომ ბედისწერა თუ თავისი ხასიათი ახლაც, შუახნობის უმასაც არ ასვენებდა, თითქოს იმიტომ ვაჩინილიყო, რომ ვერ დაწყნარებულყო, თავის ნაჭფარში ვერ გაეხარა, ვერ დაქმყოფილებულიყო იმით, რაც სიყვარულით შექმნა და რითაც სიამოვნება უნდა ეგრძნო. ოთარმა იცოდა, ეს უკუღმართობა მის სისხლში ჩქეფდა, იმ სისხლში, რომელიც მამამ ჩაუსხა სხეულში. იმასაც უსამართლობად თვლიდა, რომ იმ საქულველი კაცის გენები ისეთი ძლიერი გამოდგა, მშვიერი ნადირივით გადასახსნა დედისგან გაღმოცემული სიკეთე და მხოლოდ ის დატოვა, რაც მის პატრონს არ გააჩნდა — ტანჯვის უნარი.

„ღამურასავით არც თავჯად გამაჩინეს, არც ჩიტად“, — გაიფიქრა ოთარმა. რა გზას დასდგომოდა? ხუთმა უძილო ღამემ მთლად გამოუფიტა გონება. ინტუიცია ვერაფერს კარნახობდა, გამოსავალი არ ჩანდა. ძილგატეხილი, რადაცინარად მოღუნებულ-მოშვებულ ბორჯადღა მთელი ღამე, ვიდრე გათენების ხანს ჩაეძინებოდა და მაშინაც ისეთ სიწმრებს სინჯავდა, ისეთი არეული წმანებები ჰქონდა, აზრი ვერ გამოჰქონდა.

... ვითომ უსიერ ტყეში დაეხეტებოდა. უცებ ხეები დაპატარავდნენ, ბალახებად გადაიქცნენ. ტყის მაგივრად ტრიალ მინდორში აღმოჩნდა. მინდვრის შუაგულში თეთრ კაბაში გამოწყობილი აია ვახურებული თონის გარშემო დარბოდა. ცეცხლის ალი ზეცამდე სცემდა. აიამ ციცილს შეუბერა, გააქრო. ხელიში ზევით ახწია, ციდან ჩამოსულ ორომს შეევადა. გრძელ ვიწრო ორომზე თოვლივით თეთრი ცომის გუნდები ეწყო. აია ჩაპრავდა თონში თეთრ გუნდას და ცოტა ხნის შემდეგ შავი პური ამოჰქონდა. უყურებდა თონიდან ამოყრილ ტალახის პურებს და კისბილდა, კვდებოდა სიცილით.

... ვითომ მინდორში წყალსავსე მდინარე მოდიოდა. მოგრობ მერჩეზე, ხასხასა ბალახი რომ ფარავდა, ცულის ტარზე იწვენ დეღამი-

სი და ლუკა და ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, აქეთ მოიწიე. ჩემკენ უფრო მეტი ადგილია...

ნაცივივით იღვიძებდა ოთარი, ანთებდა სინათლეს და სკამზე დამჯდარი ელოდა გათენებას. სხვა წმანებებიც ჰქონდა, მაგრამ ვეღარ იხსენებდა. არც იმაზე ფიქრობდა, რომელიც ცხადად ჩაებეჭდა გონებაში. არაფერზე არ უნდოდა ფიქრი, რადგან შეურყევლად იყო დარწმუნებული, რომ მარტო აია კი არა, დალიც არ უყვარდა. უსიყვარულად და კერის გარეშე იყო დარჩენილი. ამ ხუთმა გრძელმა ღამემ, ხავსემ ფიქრებსა და საკუთარი ნაბიჯის განსჯით, უფრო გაუშქარდა მარტოობის შეგრძნება, თითქმის სასოწარკვეთამდე მიიყვანა. მეხუთე ღამეს ოთარი მიხვდა, ზღვართან იდგა. იგრძნო, აღარ შეიძლებოდა ამჟამინდელი განწყობილების ტყვეობაში დარჩენა. უნდა გასცლოდა ამ წყვილად და რაც შეიძლება მალე. ადგა, სინათლე აანთო, გარეთ გავიდა. დიდხანს იარა მთვარით განათებულ, დაცარიელებულ ეზოში. გრძნობდა, თანდათან როგორ უვსებდა ფლტვებს ღამის განდღე-ბული მარეი, როგორ უფრილებდა სახესა და გახურებულ შუბლს. თანდათან ქრებოდა ის სიმძიმე. ის დაძაბულობა, რომელმაც ღამის იყო დააძაბუნა.

„ტყუილად ავეყვი ქავრს, — ფიქრობდა ოთარი. — მოსახლენი მოხდა... გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს...“

დალიოდა ეზოში და ჩაავივნებდა თავს, რომ ტყუილად არ იყო დამურა, კლანჭები იმიტომ ჰქონდა ღონიერი, რამეს ჩაბღაუბებოდა. მაგრამ რა ეძიებოდა ახლა ასეთი? აია მიატოვა, დალი არ უყვარდა. გიო? გიო გულის წვირზე ეკიდა. მაგრამ მას არ ეუთვნოდა. შვილიშვილის შორიდან სიყვარული ვერ აავსებდა მის დაცარიელებულ არსებობას. იგი ცხოვრების ისევ ხელახლა ავსებისთვის გამოექცა აიას, ეგონა, დალი მოუტანდა აღტქმულ ბედნიერებას, მაგრამ ახლა არც დალისკენ მიუწევდა გული, ვეღარ ხიბლავდა მისი სიყვარული. ოთარი გრძნობდა, რაღაც სხვას ეძებდა, სხვა რამ სჭირდებოდა. რეალური, ხელშეხატება, თავისი საკუთარი, ის, რაც ხალისს შესძენდა, აამოქმედებდა, ძველებურ ძალას დაუბრუნებდა.

ამ ხუთი ღამის მანძილზე სულ იმის შეგრძნება ჰქონდა, რომ ვიღაც სჭირდებოდა, ვინც ამ მოკადღებულად გამოიყვანდა. ასეთ თავის გარშემო ვერავის ხედავდა. ერთხელაც არ უფიქრია, იქნებ მე ვჭირდებიო ვინმეს? ამის შეგნებაც ხომ აამოქრავებს ხოლმე, გააძლიერებს აღამიანს. მან იცოდა, რომ თვითონ სჭირდებოდა აიას, სჭირდებოდა პატარა გიოს, სჭირდებოდა დალის, მაგრამ თავად აღარ აინტერესებდა ისინი და ამიტომ ვერ ფიქრობდა მათზე, ვერ უწევდა ანგაროშს მათ სურვილს. ეძებდა მხოლოდ იმას, ვინც თვითონ გამოადგებოდა.



„მე, მე, მე“ — დაძაბულად იმეორებდა თავისთვის და უცებ გაუნათლა გონება, სხვა თვალით დაინახა ის, რაც დიდი ხანია იცოდა.

დალი ელოდა ბავშვს, მის შვილს ქერ ისე შორს იყო იმის დაბადებამდე! ოთარს ახლავთ სჭირდებოდა ეს მაცოცხლებელი ძალა. იმდღით ყოფნა, მოლოდინი არ ახარებდა.

გონების თვალი კიდევ ბევრ საგანს მოავლო, მაგრამ ვერსად ვერაფერი იპოვა სათავისო. ისევ ბავშვს დაუბრუნდა ფიქრით. „არც ისე შორსაა იმის გაჩენამდე“, — გააწყვიტა და ნამდვილი დამურავსავით ჩაეკოლა ამ იმედს.

ახლა ეს იმედი იყო ამ ქვეყანაზე ერთადერთი რამ, რომელიც თავისივე ეძახდა, რისკენაც თვითონ მიისწრაფოდა, აღარ უნდოდა სხვა რამეზე ფიქრი, რადგან არაფერი გააჩნდა ამ შორეული იმედისა და თავისი თავის გარდა.

მეტივე დღეს, როცა დალი კიდევ არ გამოჩნდა სამსახურში, ოთარი წავიდა მის სანახავად და როცა გაბადრული ქალი კისერზე ჩამოვიდა, ოთარმა იგრძნო, როგორ ძველებურად დაახვია თავბრულ დალის სურნელმა. ოთარი დალის დაპირდა, ბნის დავიქარავებ და ჩემთან გადგიყვანო.

28.

— ჩვენთან გაჩერდა მანქანა. — უთხრა გიომ ბებიას.

ორჯერ ზედიზედ გაისმა საყვირის ხმა.

გიომ დედის დანახვაზე შეცბა, მაგრამ როგორც კი ნანას მომღიმარი სახე დაინახა, მივარდა გულში ჩაეკრა, კოცნა დაუწყო.

გიოს აია გამოჰყვა უკან და როდესაც სიხარულით ატირებული შვილიშვილი დაინახა, გვერდზე მიდგა. არ ენათქვამა რძლის დანახვა იცოდა, არც არას მოახწავებდა მისი სტუმრობა. თანაც, ნანას გარეგნობამ და, რაც მთავარია, მანქანამ სისხლი წამოუთოთ თვალეში.

ვერ გაძღა გიომ დედის აღერხით, ხან სახეზე მკოცნიდა, ხან ყელზე, ხან თმაზე ავლებდა ხელს, ყუთინებდა. აიას მოეჩვენა, რომ ნანა სახეს არიდებდა შვილს. გიომ კი, დიდი სიხარულიანად თავგააბნეული, ეკვროდა დედას, სახეს უყოფდა მკერდში. უცებ მოუნდა აიას შუაში ჩახვდომოდა დედა-შვილს, გამოერდებინა „ქალაქში ნათრევი“ ქალისთვის უმანკო კრავი, მაგრამ შერცხვა, მით უმეტეს, რომ ნანა თავად ერიდებოდა აღფრთოვანებული გიოს აღერხს.

გული რომ იჭერა. გიომ მანქანას მიუბრუნდა.

— გამახიარნე რა, დედა? — ზვეწნით უთხრა.

— კი, დედა, — უთხრა ნანამ და ახლავდა დაინახა აია, მიესალმა.

აიამ ჭიჭერის კარი ხელით დაიკავა, ნანას ეროში შეუძღვა.

— მე მანქანაში ვიჯდები. — დაადევნა გიომ.

— არაფერს ახლო ხელი!

ნანას უცხო სტუმარივით ეჭირა თავი. გულგრილად, სრულიად უინტერესოდ მიმოიხიდა ეროში და დერეფანში დაჭადა.

— როგორ ცხვარობ? — მკითხა აიამ.

— არცაღ, — ცივად უპასუხა ნანამ.

მეტი აღარაფერი უთქვამთ.

ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ და დუმდნენ. ამ აუტანელი მდუმარების დარღვევა ისევ ნანამ სცადა.

— გიოს წასაყვანად ჩამოვედი, — თქვა მან. აია ნანას ქალაქში წასვლის შემდეგ მუდამ ამ დღის მოლოდინში იყო, მაგრამ ახლა, როცა დადგა ის წუთი, გული შეიკუმშა. მიხვდა, თურმე ბოლომდე მინც არ სერგოდა ამ ერთადერთი იმედის წართმევისა.

ნანას არ შეუხებდავს აიასთვის და არც არაფერი უგრძენია. პასუხი რომ ვერ მიიღო, მაშინდა მიიხედა დედამთლიისკენ, მაგრამ არც აიას სახემ აგრძნობინა არაფერი და უფრო ცივი, გაუმინავი ხმით გაიმოწმა:

— გიომ უნდა წავიყვანო!

— გიოს აქ არაფერი აკლია, — ცოტა შეყოვნების შემდეგ გაისმა ყრულ აიას ხმა.

— არც დედა? — გამომწვევად იკითხა ნანამ.

— შენ, ალბათ, სამსახურში იქნები დილიდან საღამომდე, ცოლდა ბავშვი...

— ჩარხებობს გახანგრძლივებული ჭგუფები... იქ მივაბარებ.

— დეიტანება, სილადესაა მიჩვეული, — შთამაგონებელი ტონით უთხრა აიამ. — შენც გააგწავლებ...

— რატომ მაყენებ შეურაცხყოფას? — წამოერთო ნანა.

— მე როგორ შემიძლია შენი შეურაცხყოფა?

— ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე.

— მე შენზე არა ვფიქრობ, გიომ მაფიქრებს.

— ჩემს შვილს მე მოვუვლი.

— ნუ წაიყვან გიოს... დამიჭერე, აქ უკითხვად იქნება.

— მავიანდებამ! — თქვა ნანამ.

— მაშ აღარ იშლი? — კიდევ სცადა ბედი აიამ.

— შენთვის რომ მეკითხა, მეც აქ უნდა დავრჩენილიყავი... — თქვა და წამოდგა.

აია გააშმაგა რძლის სიჭიურტემ, უფრო კი თავისმა უმწირობამ. ენაჩავარდნილი იდგა, თუმცა ისეთი შეგრძნება მქონდა. თითქოს კოლა, ხმაგაბმით კოლა, მაგრამ ვინმეს კი არ უხმობდა საშველად, თავის სახოწარკვეთობებს ახშობდა. თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ დავარდა ნანას წინ, როგორ შემოხვია ფეხებზე ხელები, როგორ შეევედრა:

— ნუ წაიყვან გიოს.



— ჭარა, — თქვა ნანამ და სწრაფად გაეცა-
ლა დედამთილს. კიშკრისაკენ გაემართა.

— მოიცადე! — დაუძახა აიამ, წამოდგა.

ნანა შედგა.

აიამ ოთახში შევიდა, ჩემოდნები გამოიტანა,
წინ დაუწყო.

— აქ გიოს ტანსაცმელი და წიგნები... —
უთხრა და გაჩუმდა. მერე ბრძანებით დაუმატა:

— წადი!

ნანამ აიღო ჩემოდნები და ეზოდან გავიდა.
ჩემოდნები მანქანის საბარგულში ჩააწყო, კარი
გამოაღო და გიოს უთხრა:

— დამსვი!

გიოს სწრაფად გადაჯდა მეორე სავარძელზე.
ნანამ მანქანა დაძრა.

გიომ ფანჯრის მინა ჩამოსწია, თავი გაუო
მანქანიდან და გალიმებული ელოდა გზაზე თა-
ვისი ტოლების შეხვედრას, რომ თავი მოეწო-
ნებინა.

— დედა, დიდხანს მასეირნებ? — ჰკითხა
გიომ.

ნანას ხმა არ გაუცია.

მანქანა უკვე შორს გახვდა სახლს, როცა
გიომ ისევ ჰკითხა დედას:

— სად მივდივართ?

— თბილისში... ჩემთან მიმყავხარ.

— აიკო ბაბო?

ნანამ არაფერი უპასუხა.

— რომ არ დავემშვიდობებ?.. გააჩერე მან-
ქანა! — თქვა და კარის გაღება დაიწყო.

— ჭარ გაალო! — დაიუვირა ნანამ და მანქანა
გააჩერა.

გიოს ვაღმობტა მანქანიდან და უკანმოუხე-
დავად მოკურცხლა წინისკენ.

— აიკო ბაბო!.. აიკო ბაბო! — უვირილით
მირბოდა, ბებიას სახელის დახილი ეზოშიც არ
შეუწყვეტია, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა.

პირველი ხართულის დერეფანი და ოთახე-
ბი ცარიელი დახვდა გიოს. კიბეზე ავიდა, მე-
ორე ხართული მოირბინა — ვერც იქ ნახა
ვერავინ. გიოს აივანზე გამოვიდა და კვლავ გა-
ხანა ბაბოს, მაგრამ პასუხი არხადან არ მი-
უღია.

გიოს ახლა საბძლისაკენ გაიქცა ბებიას
ძახილით, შვალე კარი. კედლე შეიძახა, მაგრამ
არც იქიდან გაუცია ხმა ვინმეს.

გიომ კარი ისევ გაიხურა, ვერ დაინახა
საბძლის კუთხეში დაგდებული, თითქმის გონ-
წართმეული აიამ.

გაიანეს იმავე საღამოს უთხრეს, ნანა ჩამო-
ვიდა და გიოს ქალაქში წაიყვანაო. ერთი კვირა
იყო, გაიანე დახუთული იწვა ლოგინში. ამ ამ-
ბავმა ფეხების ტკივილი დაავიწყა, მაშინვე
უნდოდა წამოდგომა და აიასთან ასვლა. მაგ-
რამ მერე ამჯობინა ცოტა დაეცადა, ვიდრე აიამ
გონს მოვიდოდა. „აღბათ, პირმოკუმული წის.

— ფიქრობდა გაიანე, — არ ტირის, ვინ იქნა-
რაზე ფიქრობს და ასეთ დროს ხმის
ნუგეშისმცემი არავინა ჰყავს გვერდით... თვი-
თონ არ ეძებს ნუგეშს, კრინტს არა სძრავს
თავის გასაკვირზე იმ ტკივილზე, ერომანეთზე
მიწყობილი რომ ახვევია თავს. არავის ნახვა არ
უნდა და თუ ვინმემ გახედა მიახლოება. კით-
ხვას მაინც ვერ გაუბედავს. თანაგრძობის გა-
მობატვაზე ხომ ღაპარაკიც ზედმეტია...“

გაიანემ თავის თავზე აიღო მთელი პასუხის-
მგებლობა და ჩერკვე სექტემბერში აიას
სკოლიდან განთავისუფლებაზე ბრძანება არ
დაწერა. მართალია, აიას უკან დაბრუნების
დიდი იმედი არა ჰქონდა, მაგრამ ფიქრობდა,
სანამ მოახერხებდა, შეენახა მისთვის სამსახუ-
რებრივი სტაფი. ახლა კი შესაძლებლობა გაუჩნ-
და ისევ ეთხოვა აიასთვის სკოლაში დაბრუ-
ნება.

მეორე დღითადრე ადგა გაიანე, შვილი-
შვილი გაგზავნა უმცროს ვაჟთან და მანქანით
ზემო უბანში აუვანა სიხოვა, მაგრამ როცა მან-
ქანა მოვიდა, აღარ წავიდა, მიხვდა, უაზრო-
ბა იყო ახლა აიას ნუგეშისცემა.

24.

— შეუძლოდა ვარ, დავწვიები. შენ თუ არ
გეწყინება, — უთხრა დალიმ ოთარს და როცა
თანხმობა მიიღო, დაწვა.

ოთარმა დიდხანს იწრიალა, ხან წიგნი იკი-
თხა, ხან კრივს უუყრა ტელევიზორში, მაგრამ
დრო მაინც მიიწვალა უნებოდა. ძილი არ უნდო-
და და ლოგინშიც არ წვიბოდა. აივანზე გა-
ვიდა სიგარეტის მოსაწევად. ზამთრის მოწმენ-
დილ-ცაზე ვარსკვლავები აქა-იქ ჩანდა. ოთარ-
მა ცას ახედა და გაახსენდა, ახალგაზრდაში
როგორ ეძებდა ბოლმე ვარსკვლავებს შორის
თავიხას. ახლა ძებნაც არ დაუწყია, თავისი
უბნისკენ გაიხედა და მიადგა სახლს, რომელ-
შიც ოცდასამი წელი იცხოვრა. რატომღაც გა-
იფიქრა, აღბათ, აიასაც არ სძინავსო. თით-
ქმის მას დაუწყო ძებნა, უყვდა ოთახი მძინარე
გონებით და, პირველ ხართულზე დაინახა ტან-
ტზე გაუბედულად მიგდებული აიამ. უფრო მე-
ტად მოეშხამა გუნება. სადღაც, მეზობლად
ძალიდ აუბუღვდა. ოთარი გამოერკვა, ახლად
იგრძნო, შესცვივოდა უინვაში პერანგის ამარა
გამოსულს. კრამად შევიდა ოთახში, გაიანდა და
დაწვა უშფოთველად მძინარი დალის გვერდით.
როგორც კი ჩათბა, მაშინვე ჩაძინდა, დაე-
ნიწმრა, დალის სცემდა. ის კი იცინოდა, რაც
ძალი და ღონე ჰქონდა ურტყამდა ქალს, დალი
ეცემოდა მისწაზე, მაგრამ მაშინვე დგებოდა და
კი არ გარბოდა ან ტიროდა, იდგა და იცინო-
და...

ოთარმა ოფელში გახვითქულმა გამოიღვინა
და შვებით ამოიხუნტა, როცა დარწმუნდა,
სიწმარში ნახა უოველივე. აღარ უცდია დამი-



ნება. მას შემდეგ, რაც აიხსნა წამოვიდა, ოთახი დაიქირავა და დღისითან დაიწყო ცხოვრება, მთლად დაკარგა მოსვენება. ვერ იტყობა, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ აიას სიმტკიცემ გადაადგმევინა. თვითონაც გრძნობდა, ცალი მიუხვდა წადილს და აღარ დაიქირა თავისთან პატიმარივით, მაგრამ მაინც სწყინდა, ასე ადვილად რომ შეეღია. ოთარი თვლიდა, რომ აიას ყველა ღონე უნდა ემხროა, გვერდიდან არ უნდა მოეშორებინა. რადგან მაშინ გზააბნეული იყო და ხეივის შემშველებელი სჭირდებოდა. კალთაზე უნდა გამოეხრა და ისე ჰყოლოდა, ვიდრე მისი გონება ისევ არ განათლებოდა. აიას არ უნდა მიეცა მისთვის ფიცის გატეხის საშუალება. ოთარი ნანობდა, რომ ასევე გულისთქმას, იმ უსიამოვნოდ გასახსენებელ წუთებში დაუჭერა ცოლს თუ თავის გულისთქმას, რომ ერთადერთი გამოსავალი სახლიდან წასვლა იყო. გრძნობებზე იმ დღეს ლაპარაკი, მართალია არ ყოფილა, ანდა საიდან იქნებოდა, როცა ყოველივეს სათავეს სწორედ გრძნობათაგან დაცულად უდებდა, მაგრამ ოთარი დარწმუნებული იყო, რომ თავად აიასაც აღარ უნდოდა იგი. მხოლოდ ხანგამოსულს მიხვდა ოთარი, თვითონ შეთხზა ასეთი აზრი და ირწმუნა კიდევ მისი ტემპარიტება. იმასაც მიხვდა, რომ ყოველივე საკუთარი თავის გასამართლებლად მოეგონა. ასეთ წუთებში გრძნობდა თავის თავკერძობას და უფრო მეტად სძულდა თავიცა და ის კაციც, ვისმა სისხლმაც გაუზიარა ეს თვისება.

ერთხელ დალიმ უთხრა, აიამ შენ წამოსვლამდე დღის ხნით ადრე იცოდაო ჩვენი ამბავი. ერთხანს ოთარი თავს ირწმუნებდა, რომ ცოლი სიასხოვეზე უარს მისი დაღატაკის მიზეზით ეუბნებოდა. მაშინ აიას ფიქრსა და განწყობილებას, სიტყვასა და მოქმედებას ისე იგებდა, როგორც მისთვის იყო ხელსაყრელი, ყველაფერს თავის თარგზე სჭრიდა. ოთარისთვის ცოლთან სიასხოვე, ასაკისაგან სიმძაფრედაკარგული და მარტოოდენ ჩვეულებად ქცეული, ერთად სადილობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიამოვნებას. ეგონა, უფრო მეტაც. დარწმუნებული იყო, რომ აიაც ასევე ფიქრობდა. მოგვიანებით აღივლიდა აიას ხმა, დახრილი თავი, გაიხსენა ზოგი წვროლმანი და მიხვდა, მაშავე და ქალი თავის გრძნობას. ახლა ოთარს სჭეროდა, რომ აიასათვის მასთან ყოფნას ყოველთვის ბედნიერება მოჰქონდა, რომ ამ ბედნიერებას იგი ლევანის სიკვდილის გამო შეეღია.

დალის ეძინა. ოთარმა კარგა ხანს უყურა დაუწონებულ, გასუკეულებსა და შემუშებულ ფეხმძიმე ქალს, რომელსაც მთლად გასცრტვოდა ის მაკდუნებელი ეშვი, რამაც აქ მოიყვანა. სიამაგიეროდ, იგი შეიღბს ელოდა. ოთარს უკვე სიხარულს ჰგვრიდა შვილის მოლოდინი, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რა ძვირად დაუჭდა ეს სიხარული. დალი სულიერად ისევე უტყობ დარჩა

მისთვის, როგორც მანამდე იყო, ოღონდ ახლა უფრო მძაფრად შეიგრძნობდა ოთარი ამას.

დალის შვილად ეძინა, მაგრამ ამ სიმშვიდესაც იკეთებოდა მის სახეზე ის უსიამოვნო. რასაც თვია და ვერ შესჩვეოდა ოთარი. ახლაც სწრაფად აარიდა თვალი ქალის სახეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვერ უყურებდა, არ უნდოდა შეეინხნა. აშკარა იყო, გამაღვიანებელს დიდად აჰარებდა ის საამო, რომელიც გონების არ ექვემდებარებოდა. ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ შვილს ელოდებოდა. ეს კი მისთვის სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავდა. სჭეროდა, ბავშვის დაბადება გამარჯვება იქნებოდა ბედისწერაზე, რომელმაც მრავალჯერ გაუმრულა გზა, მაგრამ ვერ დასცა მიწაზე, ვერ გათელა, ეტეობა იმიტომ. რომ მასში ყველაფერს სჭარბობდა სიცოცხლის სიყვარული. ოთარი განწუხვებულად ოცნებობდა იმ მომავალ ბედნიერებაზე, რასაც ბავშვი მოუტანდა, ზოგჯერ იმასაც გაიფიქრებდა ხოლმე, ბავშვის დაბადების აიასთან განშორებაც იმოვისო გამართლებას. ამ დროს აღარც დალის წარსული აღონებდა ხოლმე. იმედი შვილის ხილვისა ყოველსიმომცველი იყო.

დალი შეიშმუნა და გაიღვიძა, ხელით მოძებნა კაცის გულმკერდი და მოეფერა.

საწოლის კუთხეში მიუყულებს ოთარმა ასეთი მოიძინარა.

25.

— თქვენც დაგაბრათ გაზაფხულში. ჩემო კარგებო? — ეფერებოდა აია სამი დღის ყვითელ წიწილებს, რომლებიც ჰერცა ვერ იღვინე გამოართულად ფეხზე, აცხადა დაბორიანობდნენ კრუხის გარშემო. ეცემოდნენ, მაგრამ ისევ დგებოდნენ, ისევ ვარდებოდნენ და მაინც ფეხზე დასადგომად ძეკლუელაობდნენ, რადგან ნაუჭუში მყოფებსვე ესწავლათ. რომ წაქცეულებს წამოდგომა ევალებოდათ, რაც უნდა ძლიერ დაიჭულიყვენენ, რაც არ უნდა სტიკებოდათ. წიწილების ცქერამ გაახსენა აიას, ადამიანებს და ცხოველებს ერთნაირად ჰქონდათ შესისხლხორცეული ეს ინსტიქტი. ახა სხვა რა ეთქმოდა კრუხის დასმას?

გატყდა ზამთარი, გაზაფხულის სუნმა გატეხა. ჰერ, მართალია, დილა-საღამოს სუსხიანი იყო ჰაერი. მაგრამ აიას ბაღში ნუშის ხემ მაინც იძალა და კვირტები დაიბერა, საქმროს მომლოდინე გოგონასავით გასაფურჩქნად გაემშადა და საამური სანახავი გახდა. პირველი გაზაფხული დგებოდა აიასთვის, თუ მისი ცხოვრების ახალ ერას იმ გაზაფხულიდან დაიწყებდით. როცა ლევანმა მიატოვა. ლევანის წასვლამ ნანა გააქცია, მერე ოთარმა დაიწყო თავისი ახალი ცხოვრება, ნანამ გიო წაიყვანა და ჯაჭვი ახა მარტო აიხსა, შეიკრა კიდევ. მთლად გამოყრუვდა აიას დიდი სახლი. რომელიც აქამდე



კრად მაინდა, ამ კერის ანგელოზი ეგონა თავი, დაუზოგავად შრომობდა მისი ავსებისა და მოგიზიგეე ცეცხლის შენახვისათვის.

მოკვდა აიას სახლი. ღამიერივით დაძინებულა ქალი ზევით-ქვევით, უკვლავური რადაცას აგონებდა, უკვლავური სხვანაირი ეჩვენებოდა თუ სხვა თვალთ ხედავდა. უპურებდა ნოვთებს, რომლებიც უხმარებლობისაგან დაშლულად იდგნენ. დაკარგვოდათ დანიშნულება და ძველი ეშხი, იხსენებდა, რომელი როდის შეიძინა, როგორ, და უსჯობდა, რად იკლებდა თვითონ უკვლავურს, რისთვის იძენდა. რატომ არ ჰქონდა საკუთარი თავის მიხედვის სურვილი, სულ იმაზე რატომ ფიქრობდა, იკაბს ეს აკლია და ისო. არ იცოდა აიამ, რა იწვევდა ადამიანში ამ დაუოკებელ სწრაფვას — ქალური საწყისი, კერის სიუვარული თუ სხვა რამ? იქნებ შური? აია გულისწყრომით ფიქრობდა იმაზე, რად მოეწყო გამჩენს ცხოვრება ისე, რომ ვერ ძღებოდა ადამიანის თვალი და გული, თუ უნდა დამდგარიყო დღე, როდესაც არი წაერთმეოდა უკვლავურს? რატომ ბავშვობიდან არ იცოდა კაცმა, რომ ქვეყნად უკვლავე ძვირფასი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება იყო? რატომ განკითხვის დღის დადგომ, ამდენ ვერ ხვდებოდა ადამიანი, რომ უკვლავურს მათი ურთიერთობა ააზრიანებს და ადამაზებს, თორემ თავისთავად არსებულ საგნებს არავითარი აზრი არ გააჩნიათ. „რატომ? — ფიქრობდა აია. — რატომ უგზავნის გამჩენი ამდენ განსაცდელს ადამიანს? რაკი მოავლენა ქვეყანაზე. რაკი გაახარა მზის ხილვით, რადღა სტაქვას, რატომ არ ზრუნავს იმის სიკეთეზე, იმაზე, რომ იხაროს, სანამ იქნება?“

თუ მართლა ადამიანთა ცოდვები იყო ტანჯვის მიზეზი, რატომ არ იყო ერთმანეთისაგან გამიჩნული ცოდვა შეგნებული და ცოდვა უმეცარი. გამჩენმა ისე რატომ არ მოაწყო ადამიანი, რომ გაუცნობიერებელი ცოდვისაგან მანიც თავისუფალი ყოფილიყო? „რად ურისხდება თავის გაჩენილს, რად ავსებს სამუდამო დარღობით იმას, ვისაც თავად ჩაუდგა სული, თუ თვითონვე დაუწესა უმეცრება?“ — ფიქრობდა აია. მაგრამ იცოდა, თვითონ არ იყო პირველი, რომელსაც ეს და მსგავსი კითხვები აწუხებდა შეჭირვების წუთებში და გაჩუმდა, როგორც უძლური, თავი გაანება ფიქრს, რადგან ქარის დევნად მოეჩვენა იმის ჩხრეკა, რაც მუდამ იყო და იქნება მზის ქვეშეთში.

აღდა, ხელსაქმე დაიწყო, თუმცა არ იცოდა, რას აკეთებდა, ვისთვის ან რატომ? გონება კი არ უუჩრდებოდა, ფიქრს ფიქრზე აწყობდა და აიას გაახსენდა რომელიღაც გაწეთში ამოკითხული ცნობა: ერთ ტყეში, თურმე, მგლებს გაწვეტას ირმები გადაუშენებინა. „ადამიანთა მოდგმაც ვერ გამარადლებოდა, დათაფლული ცხოვრება რომ გვეოდეს“, — გაიფიქრა აიამ

და უკვე მშვიდად განაგრძო ქსოვა, თან ქალაქის ქუჩებში აედევნა ფიქრით თავის სიხარულსა და დარდს. მასთან ერთად მოიარა თავის წარმოდგენაში შექმნილი გიოს ქალაქური ოთახი, საბავშვო ბაღი, მუშტაიდი და ფუნუკულიანი.

უბიდან ძალით მოწვეტილ გიოს ვერ ეხსენებოდა აიას ფიქრი. ეკვი არ ეპარებოდა გიოს ხალხი ნანას სიუვარულში, მაგრამ კარგად იცნობოდა რძლის აღუვსებელ ბუნებას და ფიქრობდა, იქნებ თავის თავს გადაყოლილმა ქალმა გიოს რამე მოაკლესო. ამიტომ აამოქმედა ნანას ჩამოსვლისა და გიოს წაყვანის მოლოდინმა, ამიტომ დაუხვავა ტანსაცმელი წლივანდელი, მომავალი და იმის იქითა ზამთრისა და ზაფხულისთვის. დარეცხა თეთრეული, დაუთოვა, ჩემოდანებში ჩააწყო და შეინახა იმ დღისთვის, როცა ის ქორი დააცხრებოდა თავს და ნუგეშად დარჩენილ ერთადერთ არსებას მოსტაცებდა.

ისე იყო ალიონზე გაღვიძებას შეჩვეული რომ ახლა, როცა აღარც ჰქონდა გადაუღებელი საქმე და აღარც შუადღისას, მინც ასწრებდა მზეს წამოდგომას. მწვანელი, ნიორი და ხახვი ძველებურად ბევრი დაეთესა და ზედ ფიჩხი დააწყო, რომ ქათმებს არ ამოეცნათ. უკველ დღე დახვდავდა ხოლმე ბოსტანს, ჩამოუვლიდა მწვანელების კვლეში, ზოგან მიწას გაასწორებდა, ზოგან კვალზე დაწყობით ფიჩხს. სულ მოძრაობდა, მაგრამ მინც ვერაფერს უხერხებდა ზღაპრით მიმავალ ერთფეროვან დღეებს. თავს იმტყრევდა საქმის გამოგონებით, იწყებდა კიდევ კეთებას, მაგრამ დიდხანს ვერ იტყუებდა თავს. იმ დღესაც, თავს რომ ვერაფერი მოუხერხა, სამწარეულოს კარადღან გადმოაწყო სუფთა ქვაბები, ეწოში გამოიტანა და ხეხვა დაუწყო. შემდეგ საითათოდ გაავლო წყალი და დახარტება დააწყო. დაიღალა, მაგრამ კმაყოფილი კი დარჩა, ერთი დღეც როგორღაც გადააგორა. საღამოს შემოპარვა ძროხამ მოსვლამ ამცნო. ჭიპანგატენილმა ძროხამ კიშკარი შემოხსნა და ეწოში შემოვიდა. აიამ თეთრი ვედრო გამოიტანა, წყალი მოავლო, თოკზე გამობმული ბზა აუშვა. ბზო ხარბად მიეტანა დედის ჭიქანს და სულმოუთქმედა დაიწყო წოვა. აია ხზოსთან მივიდა, რომ დედისთვის მოეწორებინა, სანამ მოწველიდა ძროხას, მაგრამ ბზომ ისეთი თვალბებით ახედა, აღარ მოაკლდა ჭიქანს, იქვე ჩამოვდა და მანამ უუყურა ბედნიერ ბზოს, სანამ დაღლილმა და კმაყოფილმა, თავად არ გაანება თავი დღესა.

ახალმა მთავრემ მარტის ბოლოს წვიმები მოიტანა. გადაუღებლად, გულის გამაწვრილებლად თინელავდა და წვიმდა მთელი კვირა. დაწრაილებდა თავის დიდ, დარტყმულ სახლში აია უმიდებობისა და უხანგობისაგან გულგახიებული. ხან რას მიადგებოდა, ხან რა საქმეს გამოიწყო.



ბდა. მაგრამ გულს ვერაფერს უღებდა. ბოლოს ძველი ჭებარები მოძებნა. გადაარჩია, დაარღვია და ხელის ქსოვა დაიწყო.

უკვე მესამე დღე იყო, მეზობლის ტყუპები არ გამოჩენილიყვნენ. ბოლო დროს ისინი და ესტუმრებოდნენ ზოლში, უყვებოდნენ თავიანთ ამბებს, გიოს სათამაშოებით ერთობოდნენ.

ჭიჭკრის გაღების ხმამ გამოიყვანა დერეფანში. აიას დანახვაზე მეზობლის ნინო თავისი დახეული ქოლგით შუა ეზოში გაჩერდა.

— ზოდი, ნინო, — ნინობატია.

— დღემ ბაზარში ლობიო წაიღო... — ძლივს ამოიღო ხმა გოგომ.

— ლობიო?

— ჰო. თუ დამაგვიანდეს, ვინმეს პური ეხსებო...

— რომ არა მაქვს, — შეწუხდა აია.

ნინო უკან გაბრუნდა.

— დაიცადე! — დაადგენა და ოთახში შებრუნდა, ფული გამოიტანა, — ჩაირბინე მაღაზიაში და ამოიტანე.

გახარებული გაიქცა გოგონა.

— ბიჭები გამომიგზავნე და შენც აქ მოდი! აიამ წყალი შედგა გასაცხლებლად. მსუქანი დედალი დაიჭირა, დაკლა და გააუტვა დაიწყო. ეზოში სირბილით შემოვიდნენ და დერეფანთან დადგნენ ტალახში ამოგანგლული ძმები.

აიამ სიცილი ვერ შეიკავა მათ დანახვაზე.

— როგორ ამოთხვერილხართ, თქვე კარგებო! — უთხრა, — თმაც სველი გაქვთ? შემოდით დერეფანში, გაცივდებით! აი. დაგინახოთ დედოქვენმა.

აიამ დედალი მრგვალად მოსახარშად ჩაადგა და ბიჭებს ხელპირის დაბანა დაავალა. ბიჭებმა წყალთან თამაში დაიწყეს და წყობაში მთლად გაილუმინენ. აიამ ოთახში შეყარა ტყუპები და საგულდაგულოდ გაუმშრალა სახე და თმა.

— გახადეთ, — უთხრა ბავშვებს, თვითონ ტახტის ქვეშეიდან ჩემოდანი გამოაძვრინა, გაბნა და გიოს ნახმარი ტანსაცმელი ამოაწყო.

უცებ გაატეტლებული ბიჭები ისევ თამაშობდნენ.

აიამ ორივენი თავისთან დააუნა და რიგრიგობით დაუწყო ჩაცმა. დაბანილი და ჩაცმული ტყუპები ისევ გალამაზდნენ. აია ვერ იკავებდა თავს, ხან ერთს ეხვეოდა, ხან — მეორეს.

ბიჭებმა უფინა ატებეს — ოთახში ნინო შემოვიდა თავისი დახეული ქოლგითა და პურით ხელში.

ეზოს გვიდა, გაიანე რომ ესტუმრა. გაიხარდა გაიანეს დანახვა, ცოცხი იქვე დააგდო და ღიმილით შეეგება. აიას ღიმილმა ცოტა დაამშვიდა გაიანე, ისიც კი იფიქრა, რა გადარეული ვარ, როგორ ვაწვივდებდი აიას მდგომარეობას, მაგრამ როცა მიუახლოვდა და სახეში ჩა-

ხედა, დარწმუნდა. აიას დარღისაგან ჩალამებულ თვალეში სასოწარკვეთის სიმშვიდე ედგა. ცხადია გაიანე, მიხვდა, რა სისულელი იყო შინ გიგმების დაწყობა. იმის იმედით ყოფნა, მივალ და ნუგეშით ავაგვებო.

— რა უსრცხვილო ხარ, ერთხელ არ მომიკითხე ეს დავრდომილი დედაბერი, — ხუმრობის კილოთი უთხრა გაიანემ, გადაკოცნა და დასძინა: — სულ არ გახსენდები...

აიამ ორნავე გაუღიმა გაიანეს და მობოღიშებით უთხრა:

— არსად არ დავდივარ.

ოთახში შევიდნენ, სადაც ისე იყო დაკრიალებული ყველაფერი, სისუფთავისაგან გაიანემ სიცივე იგრძნო.

— სულ ტყუილად. ამ სულელურ ცხოვრებას სამეფო წასვლით თუ გამოგმტეგავ რაიმე ნიაშგენებას, თორემ სხვა... — თქვა გაიანემ და ხელჯობი კედელზე მიაყუდა, შემდეგ აიას ახედა და ხელები გაასავსავა:

— არა, გეთყუა, დავრწმუნდი, დიდი შეცდომა ყოფილა ამ ცხოვრებაზე სერიოზულად დაფიქრება, უნაყოფო, — გაიანემ აიას შეხედა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა: — ზედ ვაკვდებით. ველოლიავებით, გვიანდა რითიმე გავალამაზოთ, ის კი თავისას მირეკავს, ზედაც არ გვიყურებს. აიამ მზერა მიაპყრო გაიანეს, არაფერი უთქვამს.

— მე ის მაკვირვებს, კეჟას რით ვერ ვსწავლობთ, რად ვეკიდავებით ჩვენზე ძლიერს, როცა ვიცით, ძვრასაც ვერ ვუწამთ.

— ეგრე ყოფილა ადამიანი, — ხმა ამოიღო აიამ, — თავის ძალას სცდის, იქნებ მოხდეს სასწაული და აქობოს.

— იქნებ... იქნებ... ვაი, რომ არავითარი სასწაული არ ხდება.

— ერთხელაც იქნება, მოხდება. განა ცოტა მოლოდინი?

— მე ვეღარ მოვესწრები და თქვენ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — გაიცინა გაიანემ. — მე ის ვიცი, რომ ცხოვრებასთან კიდილს სიკეთე არავისთვის მოუტანია.

— არც თქვენთვის? — ჰკითხა აიამ.

— მე რა ანგარიში ჩასაგდები ვარ, — გაიცინა გაიანემ. — ერისკაცებზე ვოქვი.

— იმათ საქვეყნო ტვირთი მუცლადყოფნისა და ეისრებათ. შეგუბულნი არიან, თავიანთ თავს რომ არ უნდა ეკუთვნოდნენ.

— მძიმე, უმადური ტვირთია. მთელი კვირა ვიწქვი დახუთული. ძლივს მეღირსა ილიახ გადაკიბვდა და იცი, რას მივაქციე უურადლება?

— რას?

— ჭერ ის მოთხარი, მოგწონს ილია?

— მიყვარს.

— მაგისთანა ძარღვიან სიტყვას სხვასთან ვერ იბოვი, ტყუილია. რა საწყენია, აია, რომ ამ კაცის ლექსები და მოთხრობები ორ ტომს

გასწავდენია მხოლოდ. დანარჩენ რვა ტომში დაბეჭდილი წერილები, სისხლით, ნერვებით დაწერილი წერილები... შემოქმედებისთვის ვერ იტყობა, გესმის?

— მესმის...

— შედეგი?

— ილია ნაძირალებმა მოკლეს!

— რაც გინდა ის დარჩევი მკვლელებს. ფაქტს ვერაფერს მოუხერხებ.

— ეგ სამარცხვინო გამონაკლისია.

— კარგი გამართლებაა, ღმერთმანი. ჩვენი ანგემა მოკლეს. აი, რა შარავს.

— თითო-ორმოლა მახინჯი ერს ვერაფერს დააკლებს.

— გინდაც ერის მამა მოეკლა?

— ხო.

გაიანე გაჩუმდა.

— დამიჩერე, ეგ ლაქა, რაც დრო გავა, უფრო გამუქდება, — თქვა შენდევ.

— შეიძლება, — თავისთვის | ჩაილაპარაკა აიამ, არ შეუხედავს გაიანესთვის.

გაიანე ისე გაიტაცა კამათმა, სულ დაავიწყდა აქ მოსვლის მიზანი. აიას აულღელებელმა წინააღმდეგობამ წონასწორობა დააკარგინა და ისიც კი მოეჩვენა, აია აუბრალდებდა მისი საწუხარის მნიშვნელობას. არ უტყვავს, მაგრამ უხედავად, აიასაც მასავით დაეგმო ერის შემადგენელი, აღშფოთებულიყო, ხატეე გადაეცა მისი წინაარები და შთაშოშვლოდა; მაგრამ ვერ აიყოლია მასპინძელი, ვერ ააფეთქა მისი სიმშვიდე და ამიტომ, დაცნობის მაგივრად, უფრო გაკანასდა.

— ერთი, სიტყვით ცაცის კვლაც გამოწკლი-სად მიგაჩნია?

— ეგ მარტო ჩვენ არა გვეჩირს. ეგეც საზოგადო სატიკვარია, ქალბატონო გაიანე. აღამი-ანს, თუშემ, ორი თვალი იმიტომ მქონია, ერთით მზისკენ იუფროს, მეორეთი — წყვდადის-კენ.

— გამოდის, რომ შემოქმედცი ორბუნებო-ვანი უოფილა. აკი აღამიანი თავისი მსგავსი შექმნაო?

— ეგ აღარ ვიცი, მაგრამ მარცვალი, აღბათ. იმან ჩააგდო. მერე აღამიანმა თვითონ გააღვი-და და გაახარა ის მარცვალი, როგორც წვიმამ სოკო.

— რისთვის?

— ცხოვრებისთვის... ნათელი უწყვდაადაოდ ვერ იქნებოდა ისეთი მშვენიერი, რომ საფიც-რად გაგვცხადა.

— ისე მშვიდად უძებნი ყველაფერს ახსნას და გამართლებას, თითქოს გვერდზე ჩაეველოს შენთვის ცხოვრებას, შენ ღბინში დეტოვებინ-დე და ყველაფერი დანარჩენი სხვებს მისწეოდათ.

— უფრო გავადა გაიანე.

— ხუნებაში ყველაფერი კანონზომიერია... — თქვა აიამ მშვიდად.

— გამაგიებებს ეს ქალი — დაიყვირა გაიანე/რადგან მოეჩვენა, რომ აიას ხელი მქონდა... ბული ცხოვრებაზე. — მაშ რატომ არ გაბდე-ბი უგრძობი, რატომ არ დაემსგავსე იმათ. ვი-საც თავის თავის მეტი არავინ ახსოვს, რატომ არ გაბოროტდები, რად იგდებ გულიდან შურს?

— შე ევეთი გავჩნდი, სხვა — სხვაწარი. — ისევე მშვიდად თქვა აიამ. — ღმერთმა დაიფაროს, ყველა ჩემწარი იყოს. ქვეყანა გაობად გადი-ქციეოდა.

— ქვეყანა მაშინ მთის ტახავით გაშვარა-ლე და ანკარა იქნებოდა...

— თქვენ კეთილი ბრძანდებით და ვერ ამჩნევთ ან არ გინდათ დინახბოთ ჩემი ნაკლი.

— რომელი, მაგალითად?

— რომელი ერთი ჩამოგითვალთო... მოუქ-ნელი ვარ, უხასიათო, მეტისმეტად ბევრს მო-ვითხოვ სხვებისგან.

— იმიტომ მოითხოვ, რომ შენ უფრო მეტს გასცემ. ხასიათი... ხასიათი კი, ღმერთმა ყვე-ლა დაიფაროს! — ხმამაღლა გაიცინა გაიანე.

— მიყვარს, რატომ არ გაიმეტა ღმერთმა შენ-თვის | ცოტა ეგოიზმი?

— ეტყობა, ეძინა ჩემი დაბადებისას, — გა-იხუმრა აიამ.

— მორიელო, ამოიპაზე თავი! — უთხრა გაიანემ და ღმილით დაუშატა: — ამას იმიტომ გინებდა, შენვე თქვი... ბუნება შეუცდომელია, მეც ეგრე მჭერა. იმიტომ დაუწინა აღამიანს საკუთარი თავის სიყვარული, გაუშკლავდეს ცხოვრებას, მეტრს და მოყვარეს. შენ რა გა-მხოველ ასეთი? როცა შენვე ვფიქრობ, დეი-დაჩემი მაგონდება ხოლმე. ლამაზი, ტანადი ქალი იყო, ოთხი შვილი ჰყავდა. უმცროსი ბიჭი, აღექსი, ჩემზე ორი წლით იყო უფროსი. ერთ დღეს, მაშინ მე თოთხმეტისა ვიქნებოდი, აღექ-სი ტყვიდან ცოცხალ-მკვდარი მოასვენეს. ექიმ-ბაშმა ხელი არ ახლო, ამ ქვეყნისა არ არისო. შესაბარალისად ტაროდა დეიდაჩემი საყვარელი შვილის ფეხებზე დაჩოქილი. მღვდელი რომ მოიყვანეს. მღვდელმა დახედა აღექსის, უარე თქვა ზარებაზე და ხმამაღლა დაიძახა: იცოც-ხლებს, თუ დედა შეენაცვლებო! ყველა გაჩუ-მდა, აღარც ტროდენენ. სუნთქვისაც კი ეწინო-დათ. უფურცდენენ დეიდაჩემს, რომელიც წა-მომადგარიყო, თავჩალუნული იდგა გაქვავებუ-ლივით და არ აპირებდა საყვარელი შვილის შენაცვლებას. მღვდელმა ისევე გაიმეროა: — დე-დას შეუძლია გადაარჩინოსო. როცა მღვდელმა მესამედ დაიძახა: გესმის, რა ვქვია, დედაკა-ცოკო, მაგრამ დეიდაჩემი ადგილიდან არ დაიძ-რა, მაშინ ჩემმა უმცროსმა დეიდამ ძუძუთა ბავშვი გვერდზე მდგომს მიაჩეხა ხელში და მღვდლის წინ დაიჩოქა — მე შეენაცვლებო. მღვდელმა წამოაბრძა ჩემი უმცროსი დეიდა, მო-ცილია სულთმაობრძავ დემიშვილს, ერთხელ კი-დეუ შეხედა აღექსის დედას და ზარება დაიწ-



ყო. ხალხი აჩოქებოდა. ზოგი ლამის აფურთხებდა დეიდაჩემს. რომელიც სიმწრისაგან თმას იგლეჯდა, სახეში მუშუტებს ირტამდა და ცივი ხმით კიოდა. შვილის მაგიერ სიკვდილი კი არ უნდოდა. არავინ მისულა მის გასაჩერებლად. ქალები სწყევლიდნენ. ლამის ჩაეკოლათ. მღვდელმა დედის გარდა, ყველანი დაითხოვა, უმცროს დეიდას კი შუბლზე აუკცა. მაშინ გავიგე, რას ნიშნავდა სული ტკბილიაო. აია, და სანამ ვიცოცხლებ, ვერ დავივიწყებ...

გვიან წავიდა გაიანე.

აია თავიდან ჩამოუყვანა გაიანეს ლაპარაკს, გამოარჩია მის გასაგონად და უურადსაღებდ ნათქვამიდან მთავარი. ხვდებოდა, ბევრ რამეში მართალი იყო გაიანე და ახლა, მარტო დარჩენილი. ქედს იხრდა ამ სიმართლის წინაშე. იცოდა, ეს სიმართლე ცხოვრებას შეექმნა, კერძო მარტო სიმართლე იყო და გვერდს ვერ აუვლიდი. თუკი სიცოცხლე გინდოდა, მაგრამ აია მაინც მიერე მხარეს იხრებოდა. იმ ცხოვრებას, ადამიანთა შორის იმ ურიტრობას აღმერთებდა, რომელიც მარტო მაქსიმუმს კი არ თხოულობ, თავად აძლევ, პირველი გასცემ დაუწოგავად შენს სულს და დანარჩენ ყველაფერს, რაც გაგაჩნია. ცხოვრებაში კი თურმე ცოტა შეგვხვდება ისეთი, ვინც დაინახავს, შეიგრძნობს შენს თავგანწირვას.

აია მდლიერი იყო გაიანეს სტუმრობის მიხვდა, მოხუცმა რისთვისაც გაიხსენა ეს ძველი ამბავი, რომლის მთავარი გმირი აიასთვის იცნებდა ქვეყლი უმცროსი დეიდა იყო, ძუძუთა ბავშვის დედა, მაგრამ ის ვერ განსაზღვრა გაიანეს, როგორ ატყინა გული აიას იმ უმწველობის ხელაბლა განცდით, რომელსაც ცნება „სული ტკბილია“ ასაზრდოებდა. სძულდა აიას ეს ადამიანური სისუსტე, ვერ ატანდა უნიათობა სიკვდილის წინაშე, უნდოდა ეგრძნო თავის თავში ძალა ამ უღონობასთან შეხამებლად. ეჩვენებოდა, რომ მამაზეცოცრის წინაშეც შეეძლო დავიციო, აღარ იყო მისთვის სული ტკბილი, არ უნდოდა იმთ გვერდით დგომა, ვინც ჩაბლაუტებული იყო ამ სიტკბოს. მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებდა, რადგან, თურმე, მხოლოდ ეჩვენებოდა, ადამიანი იყო და მოსწონდა თუ არა, მისთვისაც ტკბილი იყო სული.

აიამ იგრძნო გულნატკენი იყო მასზე ქალბატონი გაიანე. სწყინდა მოხუცს, რომ მასთანაც კი არ დასცდენია სიტყვა ოთარის სახელთან წასვლაზე. არც გიოს წაყვანაზე ჩამოუგია გაიანეს სიტყვა, მაგრამ აიამ იგრძნო, ამიტომ ესტუმრა. მხოლოდ მან გაბედა ფარულად გამოეხატა თავისი თანაგრძობა, სიყვარული და ზრუნვა, რომელსაც აია გაურბოდა, მაგრამ თურმე სჭირდებოდა. გაიანეს თავის მეგობრად თვლიდა აია, დედაშვილივით უუყარდაო ერთმანეთი. იცოდა, ეს სიცოცხლით სავსე მოხუცი უველაფერს გაუგებდა, გულთან მიიტანდა

მის საწუხარს, მაგრამ თავის პირად ამბებზე ჯიუტად იმიტომ დუმდა, დარწმუნებული იყო, ყოველგვარი სიტყვა აუბრალოებდა ტკივილს, ტკივილს კი იმიტომ უგზავნიდა გამჩინი ადამიანს, ტკივილი ყოფილიყო.

25.

— გიო როდის მოვა? — ჰკითხა აიას ეწოში შემოსულმა ტყუპის ცალმა.

— მალე, მალე ჩამოვა, — უთხრა აიამ ბიჭს.

— მერე ხო აღარ წავა?

— არა, აღარ წავა. სულ აქ იქნება.

ბიჭი გაჩუმდა. ორჭოფობდა, ეთხოვა თუ არა, რისთვისაც მოვიდა.

— რომელი სათამაშო მოგცე? — ჰკითხა აიამ.

— მანქანა, — თავი არ აუწევია ბიჭს.

აია შევიდა ოთახში, მანქანა გამოუტანა და მისცა.

— არ გავაფუტებ. სანამ გიო მოვა, მოვიტან, — პირობა მისცა ბიჭმა და გაიქცა.

„მოვა. მოვა... როდის მოიყვანს?“ — ფიქრობდა აია. ახლა მხოლოდ ამავე ოცნებობდა, მხოლოდ ის უნდოდა ჰყოლოდა ვეგრდით, თავად კი ხევე არაფერი იცოდა შვილიშვილზე, და, რაც მთავარია, ამბის გაგების შესაძლებლობაც არა ჰქონდა. არც მათი მისამართი იცოდა, არც ნანახ რომელიმე მოკეთისა იმ დიდ ქალაქში, სადაც ზშირად შეულობებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს. მაშინ, გიოს წაყვანის დღეს, აია ისეთ ვაებაში იყო, ვერ მოიფიქრა ეკითხა მათი ასავად-დასავალი. ნანახ კი, ნანახ, აღბათ, არც გაახსენდებოდა აია, სანამ ისევე თვითონ არ დასტურდებოდა და არ მოაკითხვდა. აია ღმერთს ევედრებოდა, მალე დამდგარიყო ეს დღე, მაგრამ არავის ეუყრებოდა მარტოსულის ფიქრი. აია ამხსაც განგების ნებად თვლიდა და ელოდა... ელოდა ლევანის წლისთვის მოახლოების. იმედი ჰქონდა, ნანახ ნაშუი ნებას არ მისცემდა, ასე მალე დავიწყებინა ეს დღე...

სახლისა და სასაფლაოს გარდა, სხვა აღარაფერი დარჩა აიას, იმთ კი უღალატოდ ემსახურებოდა, როგორც იცოდა, როგორც შეეძლო.

ახლა, ამ მარტოობის დროს, უფრო ზშირად ფიქრობდა ხოლმე საკუთარი თავისთვის გამოტანილ განაჩენზე, ყველას და ყველასგან დავიწყებაზე, სურვილთა გაქრობაზე. იმ უსაგნოდ და უსარგებლოდ ცხოვრებაზე. რაც ვერ უთავსდებოდა მის ბუნებას. აია ხვდებოდა, თვითონაც ერია ხელი ამაში, იქნებ აღარც უნდოდა ეს უაზრო არხებობა, მაგრამ რკალი, რომელიც მჭიდროდ იყო ჩაჭვდილი მისი ცხოვრება, ისეთი ფოლადისაგან იყო გამოკედილი, ადვილად ვერ გაიარდებოდა.

აღრე ამისთანა ფიქრებს ახლოსაც არ გაიკარებდა, ახლა კი თავი წამოყვეს და აია, მარტოობით სულშეკმული, ვეღარ თუ აღარ ებ-



რძოდა მათ იმიტომ, რომ იხინი თავიანთთვის უფოფუთებდნენ, არაფერს აკლებდნენ ლევა-ნის სიყვარულს. ეს კი ყველაზე მთავარი იყო მისთვის. აია ხვდებოდა, დრომ მოიტანა თან ეს ცვლილება, დრომ, რომელიც ერთდროულად საშინელიც იყო და მშვენიერიც. დამკვირვებელიცა და გამფურჩქვენიც. მკვლელიცა და უებარი მკურნალიც. იგი შეუჩერებელი მიჰქროდა და თავის გზაზე ყველას თავისას უნაწილებდა. ერთხელ გულდაწყვეტილად დაჯდებულთან მორადე და მესამედ ბრუნდებოდა, არ იცოდა ვინმესთან უმძრახობა, ვინმეს მთლად უსახოდ დასვება. აია გრძნობდა, ჭერ კიდევ არ იყო მისი დრო მომწიფებული, მაგრამ აუცილებლად გაიხსნებოდა მისი ცაც და ამიტომ ელოდა, ჭერ კიდევ შეუცნობელ რადაცას ელოდა.

სადილმა გადასული იყო, ოთარი რომ მოვიდა. ფრთხილად შეიმოსნა სასადილო ოთახის კარი. რაც სახლიდან წავიდა, აიას აღარ ენახა ოთარი და მისმა სახემ, აფორიაქებულმა, დაღლილმა და გაშავებულმა, შეაკრთო. აიას ფიქრი მაშინვე გიოს მისწვდა და ერთ წამში გაჩნდა კართს, შეისმინა ენაჩაფარდნილივით მიაშტერდა კაცს, ასე ახლახნადა და შორეულს.

— აია... — დაიწყო თავჩაღუნულმა ოთარმა, მაგრამ ვერ განაგრძო სათქმელი.

აიას გულზე მოეშვა, — ასეთი ხმით ოთარი გიოზე ვერ ილაპარაკებდა და დაელოდა.

— ... დალი ... ამშობიარე.

აიას ეგონა, მომწიფაო და ერთხანს გაოგნებული უყურებდა ოთარს.

— რაიონში ვერ მიმყავს... — თქვა ოთარმა.

აიას გაეცინა, მისდაუნებურად, მოულოდნელად.

ოთარი უჩქურდად გაბრუნდა.

აიამ იგრძნო როგორ გამოეცალა ძალა ფეხებში. კედელს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო და უაზროდ მიაშტერდა სივრცეს. აი, თურმე რას ელოდა, თურმე რას უმზადებდა ბედნი.. თანდათან დაშვიდდა, არეული ფიქრებიც დააბლავა და თავი იმიტად ინუგეშა, რომ ადამიანის ბუნებაში იყო ჩამარსული უღმრთელობა და მართო ის კი არა, ვერავინ ვერაფერს გახდებოდა. „ღმერთო, მომეცი ძალა,“ — გაიფიქრა და სწრაფად ავიდა მეორე საართულზე. კარად გამოხსნა, ტანსაცმელი გამოიღო, ჩაიცვა. სარკესთან მივიდა, ხელი ასწია თმის დასავარცხნად და თავისი თავი რომ დაინახა, ატირდა, მწარედ, გულსაკლავად. იქვე სკამზე ჩამოჯდა ღონემიხილი. „ტირილის დრო არ არის, უნდა წავიდე.“ — გაიფიქრა, როცა ცრემლი გაუშრა.

— „დავვირდი... უნდა მივეხმარო...“ — ჩაავრუნებდა თავს, მაგრამ ვერ დაეკვირა, მთლად წართმეოდა ძალა ფეხებში. „ვის უნდა ვუშველო?“ — უცებ, მისდაუნებურად გაუჩნდა კითხვა. — „ოკაბი დამოქცია... მეწილეობა...“ წამოდგა. ღაბაღაში გაყო ხელი და კიბეზე ჩავი-

და. „იქნებ იმიტომ მოეწყო ყველაფერი ამა, რომ ჩემში ეპარება ეკვი ღმერთს?“ — აიას უყურებდა ოთარის სახლისკენ მიმავალი აია. — „არჩევანის წინაშე დამაყენა... მცდის... უნდა ვუშველო... უნდა ვუშველო... შემიძლია რამე? რისთვის მცდის, ვანა განჯრახ ჩამიდინა რამეც უფიცილად ცხოვრებაში?.. რად არ ეკმარა ჩემი ტანჯვა?... რით ვერ მოუხერხდა შიტევება ჩემს უნებლიე ცოდვას?... ჩემგან არაფერის ღირსები არ არიან... უფლებია არა მაქვს გაბირებული მივადლო... უფლებია არა მაქვს... მე, მე ვინ მომხდება?... ღმერთო, მასატი, მისახალურ, ოღონდ კეთილ ანგელოზად ექვც ჩემ გიოს, გაათავისუფლე ჩვენი ცოდვებისაგან... მივალ და ყველაფერს გავუკეთებ, ოღონდ კი გადარჩე, ოღონდ ვიო მყავდეს კარგად... სიკეთე... სიკეთე...“ — ჰქმენდა სიკეთე და ნურაფერისა გეშინიაო...“ — რამდენ ხანს მტვინა, სულელის, რომ მართალი იყო ამისი მთქმელი... რამდენი სიკეთე შემოშიტრიალდა სიავედ, რამდენი...“

ბინდი შემოსარულიყო, როცა ოთარის ნაქირავებ სახლს მიღწია. სახლი რომ დაინახა, როგორცდ შეიბორკა, ვერ შევიდა ევოში. ცოტა ხანს იდგა, მერე ვასცილდა იჭარბრობას და მოპირდაპირე მხარეს დადგა ხეს ძირას. ნატრობდა, ვინმე ნაცნობს გადასწყდამოდა ან ოთარის დაენახა და შეეუყვანა შინ, მაგრამ არავინ ჩანდა.

... მოსახვედრად გამოვარდნილი, მანქანის სინათლემ გამოაკრვია. მანქნა მიხვდა, სადაც იყო. ვერ კი გაიხსენა, როდის გამოიქცა უკან. მანქანამ ჩაიარა და ისევ ჩამოხნულდა. ოთარის ნაქირავები სახლიდან შორს გაცდრინილმა აიამ იგრძნო, უკვე მშვიდდებოდა.

ვილაციის ღიღინი და ფეხის ხმა მოესმა. შეერთა, შუა გზაზე გადავიდა და ნახიჭს აუჩქარა. დააღლას გონიობა, კუნთები სტკიოდა, მაგრამ მაინც არ შეუწივლებია ნახიჭი.

არჩევანი გააკეთა. ახლა არ შეეძლო იმის გახინჯვა, სწორად მოიქცა თუ არა. ეს კი იყო, თავს ძველებურად ზედმეტად აღარ თვლიდა. ძალა დაუბრუნდა, დარწმუნდა, რომ ისევ შეეძლო წინააღმდეგობა, თავისი გზა ამოერჩია.

მაგრამ, რომელი იყო ეს გზა? ვინ დააყენა მასზე? საით მიიჩქაროდა? რისთვის?

აიამ არაფერი იცოდა. იგი მიდიოდა უკაცრიელ შარაზე და ფიქრობდა იმაზე, რამდენ მისთანას გაევილო აქ ამ დროს და უფრო ვინაწი, მართლს და სატრფოსთანაც, მწუხარებნაც და გაცივებულსაც. მანავლი მისხალ-მისხალ ჩიოვავებინა ეს გრძელი და თან მოსულე გზა. რადგან გახავილი მქონდა, მას უნდა გაევილო, სხვა ვერავინ გაივლიდა მის მაგიერ.

მიდიოდა აია ბნელ, ოღორილოდ გზაზე, რომელსაც ისევ არ უჩანდა დახსბრული, როგორც უკუნეთს, რომელიც თითქოს იმისთვის



ჩამოწოლილიყო. უფრო გაადვილებოდა ადამიანის ტანჯვა სულის სრულყოფამდე.

მიანც რა იყო ეს სულის სრულყოფა? რისთვის სჭირდებოდა კაცის სულის სრულყოფა განგებანს თუ ადამიანს არ აწუხებდა თავისი ნაკლი, თუ ის ისედაც კმაყოფილი იყო თავისი მცირედი ბედნიერებით, იმით, რომ ცოცხლობდა, ვინ მოიგონა ან რატომ? რა იყო სხვა სრულყოფილი ქვეყანაზე, რომ სული ყოფილიყო? ვითვის იყო საჭირო ეს სრულყოფა, თუ ადამიანს რაღაც სამოცი წელი ჰქონდა მისჯილი მზის ყურება და ამ სამოცი წლიდან ერთ მეოთხედს შეუფენებლად ატარებდა, ხოლო იმდენივც ძილი?

აიამ არ იცოდა, რა პასუხი შეიძლებოდა ვასცემოდა ამ კითხვებს. არც ის იცოდა, ვის შეიძლება შეკითხვოდა, სად გაეგო იმ სრულყოფის არსი, რომელზედაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ არავინ კი უწყობდა, ვის დასჭირდა მისი გამოგონება, რას გულისხმობდა, რისთვის იყო დანიშნული, თუკი ცხოვრება თავად იყო მიზეზი ყოველგვარი ბიწიერებისა.

არაფერი აღარ იცოდა აიამ. იგი მიდიოდა წინ, მხოლოდ წინ და თვალისმომუშორებლად უტყერდა ღამიერულ სიბნელეში გამოშვრთად სინათლეს. იქამდე გზა ჯერ ვერ გრძელი იყო, მაგრამ ეს ცაში გამოკიდებული ნათურა უკუნეთს იმედივით ანათებდა და აიასაც აღარ ეშინოდა მარტოობისა და სიბნელისა.

27.

დალის მშობიარობამდე მარჯვენა ფეხზე თრომბი გაუნდა და სისხლძარღვთა საშინელი ტკივილი დაეწყო. ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა.

ექიმი გვიან ჩამოვიდა რაიონის საავადმყოფოდან, გახიზნა მშობიარე, ჯერ კი უარი თქვა, ამ პირობებში ხელს ვერ ვახლებო, მაგრამ მშობიარობა უკვე დაწყებული იყო და საერთის მხოლოდინი არაფერს ცვლიდა.

გათენებისას გაჩნდა ბიკი. გადარჩა დალიც.

... მესამე დამეს ოთარი გვიან დაწვა. ძალიან ეძინებოდა, მაგრამ გულში ჩაიყოლა, ცეცხლი არ გაჰქარებოდა და სამწერ მაინც ადგა. ბოლოს რომ წვეებოდა, საათს დახედა. ხუთის ნახევარი იყო. მშვიდად ეძინათ პატარა ამირანსაც და დალისაც.

გამკრთალ ძილთან მიბრუნება არ ვასჭირვებია ოთარს. როგორც კი ბლიშზე დაღო თავი, დაღლილმა სხეულმა მაშინვე დაიწყო მოდუნება და ძილიც მოეახლა, როგორც თბილი და მზრუნველი ძიძა. არც სიხმარს დაუხანებია.

... ვითომ ქორწილში იყო, ოღონდ კარგად არ იცოდა თვითონ იწერდა ჯვარს, მამამისი თუ ორივენი. თვითონ ჭარბსკაცის ტანსაცმელი ეცვა, ლუქას — შავი კოსტიუმში. თვითონ გო-

სი ცხენზე იქდა, როგორც ბავშვობაში, მამამისი — შავ ბედაურზე. თვითონ დალის ირთავდა და ცოლად, მამამისი — წითელი ნაჭრისგან შეკერილი თოქინას... ქორწილი ერქვა. მაგრამ არც პურ-მარინი გაეშალათ და არც ხალხი ირეოდა. ეზოს შუაგულში მიდღუდუკები ისხდნენ სრიოკ მიწაზე და უკრავდნენ.

... ვითომ დალი, ხაქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილი, სუფრაგადაუფარებელ მაგიდაზე ახტა და ცეკვა დაიწყო, თანდათან იხიდა ტანსაცმელს და შიშვლდებოდა, ვითომ ოთარს რცხვინოდა, უჯვრდებოდა დალის, მაგრამ პატარაძალი არ უხმენდა, ყუინით ტრიალებდა, ბუქნავდა, ზტეობდა მაგიდის ერთი კუთხიდან მეორისკენ და როცა ოთარი მივარდა, რომ ჩამოყვანა მაგიდიდან, დალი თვითონ გაჩერდა და ოთარის თვალწინ საშინელ ურჩხულად იქცა: მარგალიტივით კბილები ჩაუშავდა და დაეკრიჭა, ადგილები გაცვალეს სახემ და ეცვამ, მუცელმა და ზურგმა, მუხლებმა და კოჭებმა. მკლავები ამოუტრიალდა და ზურგზე გამოესხა, ტერფები ამოუბრუნდა, თმიდან სისხლი ჩამოსდიოდა. დალი ოთარისკენ მოიწევა, უნდოდა ჩახვეოდა. ერთ ადგილზე გაშეშებული ოთარი კი მარტო იმას ახერხებდა, რომ ხმაგაბით უვიროდა...

თავისივე უვირილმა გამოადვილა.

უკვე გათენებულიყო. ოთარში ციოდა. მისინვე გამოფიხლდა, წამოადგა, ღუმელში ცეცხლი განაახლა და ყმაწვილისკენ გაემართა. სახეზე ხელი შეახო. უნდულივით ცივი დახვდა ამირანი. გაიფიქრა, გათებოა და სივარტის მოსაწევად გაემართა, მაგრამ შედგა, უკან დაბრუნდა, სწრაფად დაიწყო ჩილის გახსნა, დედისთვის უნდოდა შეეწვინა თბილ ლოგინში. ოთარმა მოაშორა ბავშვს სახვევი, ხელში აიყვანა და მაშინდა მიხვდა, მიმკვდარიყო.

ძალა წართვა უმწეობამ იმის წინაშე, რაც მოხდა, რისი დაბრუნებაც აღარავის შეეძლო. არ მოელოდა ასეთ დასასრულს. ვერ წარმოიდგენდა, ასე უშუბთლებდა ბედი. იქდა თავწარდაცემული მამა ვაციებული შეილის გვერდით, ფიქრი არაფრისა შეეძლო, ანდა დარჩა კიდევ რამე საფიქრლო? თვალის დახამხამებაში დაინგრა შუახინება აშენებული კოშტში, სანისს ბუშტივით გაუსკდა ოცნება, როგორც კი ცხოვრების ჰაერი მოხვდა.

ოთარი გრძნობდა, ვეღარ შეძლებდა ბედის დაცივნის ატანას. სძულდა საკუთარი თავი და მთელი ქვეყანა. სძულდა დალი, რომელსაც უდრტყეველად ეძინა და რომლის გაღვიძებისაც ეშინოდა, შეეძლო, იქვე, ლოგინშივე მიეხრჩო ეს ბილწი დედაკაცი, რომელიც სიხარულს მპირდებოდა, ბედის სამახარაოდ კი აქცია.

ვერ გაძლო ოთარში. აივანზე გავიდა. ეწოში მოხუცი კაცი შენიშნა, რომელიც

სკამზე იჯდა ხელჯობს დაპრდნობილი და აივ-
ნისკენ იუფრებოდა. ოთარმა ვერ იცნო მოხუცი.

— გვიან იღვიძებ! — დაუძახა ქვემოდან მო-
ხუცმა დამცინავი ხმით.

ოთარს ხმა ეცნო, სახე მაინც ვერ გაარჩია
და ნელა ჩავიდა კიბეზე.

— მამაშენი ვარ, მამაშენი. — გამოსძახა
მოხუცმა ოთარს. — ვერა მცნობ თუ არ გინ-
და მიცნო?

ოთარი გაბევაბული იდგა და უყურებდა ამ
მოჩვენებას, მოხუცს, რომელიც სკამიდან წა-
მოდგა, ხელები გაშალა, რომ შვილს მოხვეო-
და.

მოხუცი ოთარის გამომეტყველებამ მიახვე-
დრა, მასპინძელს არც მისალმება უნდოდა და
არც გულში ჩაქვრა და შეჩერდა, ხელები და-
უშვა.

— ძალიშვილი! — აღმოხდა მოხუცს, მა-
გრამ უცებ დადუმდა. — ისევ გეჭაქვრები? —
პკითხა დუმილის შემდეგ.

ოთარმა არაფერი უპასუხა. ახლა შეგრძნე-
ბები მთლად გაქრობოდა, მაგრამ იმას მაინც
მიხვდა, მამა ისევ ძძულდა.

— გიპოვე, — ისევ დაიწყო მოხუცმა ლაპა-
რაკი. ხმა დაუბრბილდა, გამომეტყველება აღარ
ქონდა ისეთი შემტევი. — მემალებოდი, გამე-
ქეცი, მაგრამ მაინც გიპოვე... რატომ არაფერს
მეტყვი?

— წუხელ შვილი მომიყვდა... — წაილულღუ-
ლა ოთარმა.

— შვილები თვითონ ირჩევენ მშობლებს, —
თქვა მშვიდად მოხუცმა. — რაკი მოკვდა, ესე
იგი, არ მოსწონდით მშობლებად, — ღიმილით
დაამთავრა მოხუცმა სათქმელი. — სხვას, უფ-
რო ღირსეულს მოძებნის...

ოთარმა ძლივს ახედა მოხუცს.

— შენ, მგონი, ორმოცდაათის უნდა
თუ არ მიშლებია... რაკი ცოცხალი და
და ვიფიქრო, რომ უარს არ იტყვი მშობელზე...
ჩემი შვილი ხარ და უნდა მომიარო, სანამ ვი-
ქნები. შენ უნდა დამიბუქო თვალები, შენ უნ-
და მიმადბრო მიწას... ამიტომ მოგნებ ამდენი
ხნის მერე, — თვითდაჭერებული ელაპარაკე-
ბოდა მოხუცი ოთარს და რაკი შვილის მღუმე-
რე სახეზე აწრი ვერ ამოიკითხა, როცა სათქმე-
ლი დაამთავრა, ხელჯობი მოუღერა და დააუო-
ლა: — აბა, გაბედე და თქვი უარს!

ოთარმა ყველაფერი გაიგო, რაც მოხუცმა
უთხრა, მაგრამ მხოლოდ იმას მიხვდა, დიდ-
ხანს ვერ გაუძლებდა ამ კაცის ლაპარაკს, საე-
რთოდ იმის გვერდით უოფნას და ასე დაწაფ-
რულს რომ არაფერი შეემთხვია მისთვის, სიტ-
ყვის უთქმელად გაეცალა და ეწოდან გავიდა.
მოდოდა ოთარი გზაზე, ძლივს მიათრევე-
ქვა-ლორღე უცებ დაჩაჩანაკებულ სხეულს და
ვერ გაეგო, რატომ მონახა მამამ, რა უნდოდა
მისგან, რა ძალამ მოიყვანა? რაღა მაინცდამაინც
დღეს გამოეცხადა?

ოთარს მამის წინაშე ბალღობისდროინდე-
ლი შიში გაახსენდა და ახლაც იგრძნო ეს ში-
ში მისმა სხეულმა. ნაბიჯს აუჩქარა, უკან მოუ-
ხედავად მიატოვა მამა, რომელიც ამ დიღას
ბედის ქარს გაღმეგდო მის ეწოში და მოით-
ხოვდა იმას, რასაც ოთარი მთელი ცხოვრება
ერთიღებოდა, მაგრამ მაინც ვერ მოუხერხებინა
მისგან გათავისუფლება.

... მოდიოდა ოთარი გზაზე, მიათრევედა
გრძელ ფეხებს ქვა-ლორღე, უნდოდა გაჭკეცე-
ოდა საკუთარ მუხსიერებას, ლევანსა და დალის,
თამროსა და აიას, მთელ თავის წარსულსა და
აწმყოს, რათა სადმე შეხვედროდა მყოფადს,
რომელიც უცდიდა, თუმცა ოთარმა ჯერ არა-
ფერი იცოდა მის შესახებ.

დასასრული

მე მომენატრა პატარა სახლი,
შორს, დაყუნცული მივარდნილ
მთებში,
რალაცნაირად გულთბილი ხალხი,
როგორც მაისის წვიმა და თქეში...

შენზე ნაღველი შინისკენ მიხმობს,
დილის ცასავით წმინდავ, კეთილო,
შენი დაღლილი ხელების სითბო,
შენ მომენატრე, ჩემო დედილო.

ზღვისპირა ბაღში აგვისტოს დამლევს
ბინას ვეძებდით, არ გვქონდა ბინა,
თან ვუყუარებდით ამვლელს და
ჩამვლელს,
ეს იყო თითქმის ათი წლის წინათ.

მერე მოვიდა მოხუცი ქალი,
ერთხანს გვიყურა და წყნარად გვკითხა:
„ვინ ხართ, შვილებო, ცოლი და ქმარი,
თუ... მოწყენილი ასე რად ზიხართ?“

მზე ჩადიოდა სრული და თბილი,
ზღვა იყო სუფთა და ძლიერ მშვიდი,
სახლებს ფარავდა მსუბუქი ჩრდილი,
მთებს ედებოდა საღამოს ბინდი.

თან წაგვიყვანა. ზღვისპირას მდგარი
თეთრი, ქათქათა პატარა ბინა...
„ვინ ხართ, შვილებო, ცოლი და
ქმარი“...?
ეს იყო თითქმის ათი წლის წინათ.

მე ის არა ვარ, ვინც უნდა ვიყო

მე ის არა ვარ — ვინც უნდა ვიყო...
ვინც უნდა ვიყო... და სული დნება...
რისთვის ვიცოცხლო, რისთვის გავიყო
ამაოების ღზინი და ვნება...

თუკი დღეები ვერ დამამშვიდებს
და ვერ მივხვდები, თუ ვინ ვიქნები...
კაცს ვერასოდეს ვერ განადიდებს
აუხდენელი მისი ფიქრები.

როცა მტანჯველი ფიქრების შემდეგ
გამოფხიზლდება ჩემი გონება,
დასაბამიდან რაც იყო დღემდე,
ერთ დიდ ტკივილად შეიკონება.
ათას ტკივილში შენ ხარ პირველი,
შენ დგები თვალწინ ნათლით ბურვილი,
უცხო მგზავრავით საწყლად მზირველი,

რომელსაც არ აქვს ბინა-ხურვილი...
დავხუჭავ თვალს და მძიმედ ავახელ,
შენი ხატება დამყვება დარდად...
ამ ქვეყანაზე განშორების მეტი რა
ვნახე,
რა დამრჩენია შენი შორი ღმილის
გარდა!

ბედს ვემდუროდი, უკვე მასაც აღარ ვემდური,
სული მოეშვა, სულერთია მისთვის ყოველი,
სიკეთისათვის ანთებული, ნათლით მეგზური,
დაშვრა, მცირედი თანადგომის ვერსად მპოველი,
ახლა სიჩუმის და სიწყნარის გახდა მთხოველი.



შოკენის ნოქტიურნი

მოსხრობა

რამდენიმე დღეა ძალზე ცხელა ზღვისპირა ქალაქში. სამებრო განყოფილების მეორე სართულზე, მთავარი გამოძიებლის ოთახში, სულს ვერ მოითქვამს კაცი. ფანჯრიდან შემოსულ მცხუნვარე შუხს აქაურობა ერთიანად გაუფრთხილებია, იატაკზე შტამბილებად დაწყობილი საქაღალდეებიდან მარში ძველი, გახუნებული ქაღალდის სუნი და ბული ტრიალებს. მაიორ კაბუ შელიას მუნდირის საყელო ფართოდ ჩაუხსნია, შიგ ხელსახოცი ჩაუფენია და მაღიმალი იშველიებს მაცივრიდან გამოღებულ ბორჯომის წყალს. ფანჯრის ღია კრილიში პლაჟის ნაწილი და პალმების მწვანე ხეივანი მოჩანს. კაბუ ხშირად იხედება ფანჯარაში და პრელაქრულა ტილოს სოკოებს შეფარბულ გარუჭულ სხეულებს შურით შესცქერის.

მაიგრო რასაც ეძებდა, კაბუს გამოხედვაში ოდნავ შესამჩნევი კმაყოფილება გამოკრთა, თუმცა, მალევე გაუჩინარდა ჭროლა თვლების მრუმე სიღრმეში, როგორც შეშინებული კუ ბაკანში. იშვიათად შეამჩნევს კაცი გამოცდილ გამოძიებელს გახარებასა თუ წყრომას, შემფოთებას ან განრისხებას — თავდაპირველი, ფრთხილი და ეშმაკი კაცია კაბუ შელია.

შერქდა, ახალ სიგარეტს მოუყიდა და სიამით გააბოლა. კარგა ხანს შესცქეროდა როგორ მიიკლაკნებოდნენ კვამლის გროლები ზევით, მერე ჰაერის გამჭოლ ნაკადს უფრთხილდებოდნენ, ზანტად იწველებოდნენ ჭერის გასწვრივ და ფანჯრის კრილიდან გარეთ მიიჩქაროდნენ.

კაბუმ რაღაც ჩაინიშნა უბის წიგნაკში, მიკლდებული საქაღალდე წითელი ფანქრით გახაზა და საგულდაგულოდ ჩაეკტა რკინის დიდ სეიფში. უფეროდ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, ელექტროლიტას თითი დააპირა და შემოსულ მდივანს ნაჩქარევად გასძახა, — „ბუჭაღს უთხარი, გამოვიდეს“.

სანამ კიბეს ჩაირბენდა და პალმის ჩრდილს შეეფარებოდა, ბუჭგაც გამოსრიალდა თავისი ვილისით.

— სადილობის დროა! — დამაჭერებლად თქვა შელიამ და ბუჭგამაც დასწავლილი მისამართით აიღო გეზი.

ფაცხაში გრილოდა და შემწვარი კუპატის საამო სუნი იდგა. ტანდაბალი, სხარტი და ეშ-

მაკურად მომწირალი ჭოტო გაგუა სწრაფად ტრიალებდა, უფროსისათვის ღომი, პილპილიანი კომბოსტოს მწნილი და ცხელ-ცხელი კუპატები მოჰქონდა. შელია მადიანად ილუქმებოდა და საჭმელს წითელ ღვინოს აულებდა. უყვარდა კაბუ შელიას, მადიანად და მადლრისად ქამა. არც სიხარბითა და ღორმუცელობით მოსდოდა ეს, არც დიდი მადიანობით. ეს იყო ინსტიქტი, ბავშვობიდანვე თანდაყოლილი შიში შიმშილისა. ოდესღაც მისდა უნებურად და მყარად გამჭდარი მთელ მის არსებავში.

ექვსი წლის იყო კაბუ, მამამისი ომში რომ წაიყვანეს. ის და ახალგაზრდა დედა მარტონი დარჩნენ სახლში. ნებიერი ქალი იყო ელეენე, ძარღვიანი გლეხის შვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლი. ქალიშვილობიდან ანებივრებდნენ ოჯახში. წვივმალასა და ცისფერთვალებს ვინ აკადრებდა საოჯახო საქმეს. ამავე რწმენით შეიბაჟა შელეების ოჯახშიც.

მალე მოილია მამის დანატოვარი ღომი თუ მჭადის ფქვილი. ხანდახან ისევ ნათესავები თუ გაუმართავდნენ ხელს. მერე ომი რომ უსაშველოდ გაგრძელდა და გაიწვია, უკელას თავისი გასაჭირი დაადგა და შელეებისათვის აღარავის ეცალა. მათი სახლი განმარტოებით, თხილნარს გადადგმა იდგა სოფელში. ახლა ისე გავიდოდა რამდენიმე კვირა, არავინ გამოიხედავდა აქეთ. იყვნენ ასე, სრულიად მარტონი და მივიწყებულინი, სასწაულისა ელოდნენ. შიმშილით სული რომ გასძრომოდა, ელენე სახლგუნელად თავისით ნაბიჯს არ გადადგამდა. არადა, მარაგი თანდათან ელეოდა და შელეის ცოდვით აღარ იცოდა რა ექნა. მერე საბოლოოდ რომ გადაიწურა იმედი, ადგა. თავისი საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა და რაიონის ცენტრში წავიდა. შუადღისთვის უკან ამობრუნდა, სახე გამტკნარებული ჰქონდა და თვალები სევდიანი, მაგრამ შელეისათვის არაფერი უთქვამს. ცოტაოდენი საჭმელი ამოეტანა, ბავშვს აჭამა და უმიზნოდ დაიწყო ხეტიალი ცარიელ ეზოში. საღამო ხანს სტუმარი მოვიდა, რაიკოპერატორის თავმჯდომარე ჰქონდა, სპირი დონ ბოლოკია, ქრომის კრიალა ჩექმები და იისფერი გალიფე ეცვა, მაღალი, მოხდენილი კაცი იყო. ფართოდ გადმოაღაჟა ალაგზე,



თეთრ კატელზე შემორტყმული უკეთობადათ-
იანი ბრტყელი ტყავის ქამარი გაისწორა და
პირდაპირ ოდაში ავიდა დაუკითხავად. ხელში
მოზრდილი ჩანთა ეკავა, საიდანაც მსუგულუნ
ამოეწყო მადიანი, მსუყურ თავი. ეს მსუგულუნ ბე-
დისწერას მგავდა. იცოდა ეს ელენემ. ამიტომ
შეხვდა მორჩილად სპირიდონს. არც ხმა ამო-
ულია, არც ხელი უქრავს. მხოლოდ ერთხელ
გადახედა ჯაბუს გაცივებისა და შიშილისაგან
გამოყვებელი თვალებს და ჩანთის გახსნას
შეუღღა. სპირიდონი მოწინააღმდეგე იქნა სა-
პათიო სტუმარივით, „უაზბეგს“ აბოლებდა და
დაძაბული მოთმინებით ელოდა ელენეს, ქალი
არ ჩქარობდა, ღობი ჩაიხილა, სუფრა გააწ-
ყო, ჯაბუს ხელ-პირი დააბანინა და წინ ღობი-
თა და სულგუნით სავსე ჯამი დაუღღა. სპირი-
დონს პირი არ დაუყარებია საქმლისათვის და
ჯაბუს გამუდმებით მისი სავსე თევზისაკენ
გაუბრბოდა თვალი. სპირიდონი ნერვიულად ქა-
ჩავდა პაპიროსს პაპიროსზე და მუავე ღვივოს
წრუთავდა. მერე დედამ ჯაბუ ბაბუსი დაცა-
რელებულ ოთახში გაიყვანა და ბაბუსსავე
ლოგინში ჩააწვინა. საბანი რომ გაუსწორა ერ-
თხანს დაკვირვებით დასცქეროდა, მერე მშვი-
ლად გაუღიმა და სწრაფად გავიდა.

კარგა ხანს ვერ დაიძინა ჯაბუმ. მეზობე-
ლი ოთახიდან რაღაც გაურკვეველი ხმები და
ჩურჩული მოისმოდა. არ იცოდა რა ხდებოდა
იქ და გული გამაღებით უცემდა. რაღაც, მი-
სთვის უცხო, მაგრამ საშიშსა და საიდუმ-
ლოს გრძნობდა ჯაბუ. შეუცნობელი შიშმა
თავით-ფეხებამდე დაუარა. მთლად გაეყინა ფე-
ხის თითები. გაიღურსა. მეზობელი ოთახიდან
ისევ დაიძრა შეუცნობელი, შიშის მომგვრე-
ლი, საიდუმლო ტალღა და ადგილზევე გააშე-
შა. გაფართოებული თვალებით შესცქეროდა
ქერს და გათენებას ნატრობდა. მერე ველარ
სძლია შიში, ფანჯრიდან გარეთ გადახტა და
ეწოში დაიწყო ბორიალი თავგააბნეული, და-
მფრთხალი ხბოსავით. დარბოდა ეწოში და ხან
რას მიეხეთქებოდა, ხან რას. ვერ იქნა და
ვერ დაიშვიდა აფართხალებული გული. ამას
ირგვილე გამეფებული მყუდროება და ღამის
სინდელიც უწყობდა ხელს. დაიქანდა, გაიხვი-
თქა, ძლივსდა სუნთქავდა, არადა, ის შიში არ
აჩერებდა ადგილზე. მერე, როგორც იქნა, მო-
ძებნა ნალია, შიგ შეძვრა, გამზმარი ჩალა
გადაქაქა, ღრმად შერგო თავი და, ქანცაწ-
ყვეტილმა, უგონოდ დაიძინა. დილას რომ გა-
მოეღვიძა, უკვე კარგა ხნის გათენებული
იყო. ის იყო, თვალი გაახილა, რომ ნალიის კა-
რიც გაიღო და ვიღაც უხეშად სწვდა ფეხში,
გარეთ, დღის სინათლეზე გამოათრია. მუშტებით
იწეღდა თვალებს და შიშინებულ, თვალცრემ-
ლიან ელენესა და რისხვით მთლად გადაჟღაფე-
ბულ ბოდოკიას გაცივებით შესცქეროდა. ეტყო-
ბოდა, დიდხანს ეძებებს და როგორც იქნა, მი-
აგნეს. ბოდოკიას აღარ დაუხანებია, უკეთელ-

ბალთიანი ქამარი შეიხსნა, თავი ფეხებით დაუქი-
რა და გამეტებით დასცხო ზურგსა და გავაზე-
ჯაბუ ხმას არ იღებდა, კრიკაშერული ზღუტუ-
ნებდა და დედას შესცქეროდა. ელენე ტრი-
ნელი დასვივლულ ტუჩებს გამწარებით იკენ-
ტდა და ხმას არ იღებდა. ჯაბუს გაცივებას
საწვდარი არა ჰქონდა, ტკივილიც კი დაავიწყ-
ა დღის უმოკმელობამ. არ ესარჩლებოდა
შვილს ელენე. უძრავად შესცქეროდა როგორ
სცემდნენ მის ერთადერთს. ჯაბუს მარტო ის
აკვირვებდა, საიდან გაუნდა დედას მორჩი-
ლების ასეთი გრძობა ამ უცხო კაცისადმი. არ
იცოდა, რას ერჩრდა ბოდოკია და უკვირდა
მისი ასეთი გახელება.

სამუდამოდ დარჩა ჯაბუს მეხსიერებაში ეს
დღი და სპირიდონის ქამარის სიმწარე. სპირი-
დონის დანახვას კარგა ხანს ვერ იტანდა.
სპირიდონი რომ გამოჩნდებოდა, ღობეს გადა-
ხტებოდა და თავქუდმოგლეჩილი გარბოდა
თხილნარისკენ. თავს თხილის ბუჩქებში შერგავ-
და და იქვე იძინებდა. თანდათანობდა დაკარგ-
ა შიში ღამისა და ღამეული ხმებისადმი.

ბოდოკიამ ორი კვირის შემდეგ სამი მეწვე-
ლი თხა ამოიყვანა რაიონიდან. ამის შემდეგ
უშეტესად დღისით მოდიოდა. ჯაბუ თხებს
რომ აძოვებდა, მაშინ. ეს, აღბათ ელენეს პი-
რობა იყო. იმ ღამის შემდეგ შვილის თვალე-
ბში ველარ უყურებდა, მაგრამ ღრმად მიინც
თავისი ქნა, ეხლა შინ საქმელი თავსაყრელად
ჰქონდა, ჯაბუც თანდათან შეერჩია სპირი-
დონს და უკვე შინაურ კაცად თვლიდა. ერთი
იყო, შეუცნობელი შიში და მორჩილების
გრძნობა სამუდამოდ დაჟვია მის მიმართ. უკვე
დიდი ბიჭი იყო, ომის შემდეგ, სპირიდონმა
ქალაქში რომ წამოიყვანა დედა-შვილი და ქა-
ლაქგარეთ დაახლოდა, საკუთარი ოჯახიდან მო-
შორებით. ჯაბუს ენაებოდა მშობლიური სა-
ხლისა და სოფლის მიტოვება, მაგრამ სპირი-
დონის სურვილს წინ ვერ აღუღდა და უთ-
ქმელად წამოჰყვა აქეთ.

ბუჩქა მეზონიას თავთხელში, მდინარის პირას
ჩაუყენებია თავისი ვილისი, თვითონ დედიშო-
ბილა გართხმულა წყალში და მანქანის ძარას
უკარკიტებს. ძრავიდან ჩამონალენითი ზეთი
წვეთ-წვეთად ეცემა მდინარეში, ზანტად იშ-
ლება წყალზე, იზრდება და ფუცვდება, მზის შუ-
ქზე ნაიფფერად იღებება, მერე უშველებელი
მედუზასავით დინება მიირწევა პლაჟის გას-
წვრივ. ჯაბუ ქვიშაზე წის, ზღვის პირას,
გრძელი მოუხერხებელი სატინის ტრუსების
ამარა და ფეხებს ქაფში ისევლებს. ხანდახან
წამოიწევა, სწრაფად, კეშვით იღებს ზღვის
მლაშე წყალს და გაოფლილ სხეულზე ის-
ხამს.

კობაძე პალატიძე
შოკანის ნოტიორნი

უცნაური კაცია ბუჭგა. მაინცდამაინც აქ მო-
უნდება ხოლმე მანქანის შეკეთება, თითქოს
გარკვეული მანერა ნაკლებ გრილობდეს, ყველა
საქმრო ხელსაწყო გვერდით არა მქონდება და
დამხმარეც იქვე არა მყავდეს. მაგრამ არა, ოფ-
ელში გახვითქულ და მყარად ნახადილებს ჩა-
ბუს რომ მოიყვანს პლაჟზე, მაშინ აეშლება
მანქანის შეკეთების სადგურები — გლია აგერ
დღეღმობილა დღეღმში, არც მანქანის რეიდება და
არც შორიხლო ნებისით მოთვევაზე ბიჭებს.
კიდევ კარგი, ეს პლაჟი ქალაქიდან შორსაა,
მდინარის შესართავთან. წყალი აქ საკმაოდ
ცივია. ნაკლებად ეტყება ხალხი. ჯაბუსაც
უფრო ამიტომ უყვარს ეს ადგილი.

უსიტყვო და ტლუ კაცია ბუჭგა მებონია.
ოცდაათ წელს იყო გადაცილებული მექანი-
ზატორობას თავი რომ დაანება და ჯაბუსთან
წამოვიდა ქალაქში შოფრად. არც ჯაბუს უყ-
ვარს ყბედი ხალხი, ამიტომაც ადვილად ეგუება
ბუჭგას უხეშ ბუნებას. საქმე ისაა, რომ უსი-
ტყვო ბუჭგა საათის მექანიზმებით ზუსტია, საქ-
მეში დაუწარმელი და უტყუარი. დღე იქნება თუ
ღამე, ბუჭგა ყოველთვის მზადაა მოგვესახუ-
როს. ხუთი წუთითაც რომ დატოვოს მანქანა-
ში, უკან მობრუნებულს უეჭველად ჩაძინე-
ბული დახვდება. მაგრამ საქმარისია, ხელი ოდ-
ნავ შეახოს მანქანის სახელურს, რომ ბუჭგამ
მაშინვე გაიღვიძოს და ძრავა ჩართოს. ასეთ
კაცს იშვიათად შეხვდები ადამიანი. ისეთ რთულ
საქმეში კი, ჯაბუ შელია რომ ემსახურება, ბუ-
ჭგა ნამდვილი აღმოჩენაა.

ცურვა არ იცის შელიამ, ვერ მოასწრო. სპი-
რიდონმა აქეთ რომ გადმოიყვანა, უკვე ექვსი
თხა მყავდა ჯაბუს. იმათ მოვლა-პატრონობას
ანდომებდა მთელ დროს. იქდა მთის კორტოხ-
ზე განმარტოვებით, თან თხებს მწყემსავდა და
თან შურითა და ნატვრით შესცქეროდა ზღვაში
მოხანავე ბავშვებს.

ეს ყოველდღიური მარშრუტია: ბუჭგა ჭერ სა-
ნაპიროს გაჰყვება პლაჟის ვანსწვრივ, მერე ქა-
ლაქის ცენტრს რომ დაუპირისპირდება, შადრე-
ვნებიან მოედანს წრეს დაუვლის და ეკვალი-
პტის ხეივანს გაჰყვება, ჩაუვლის რამდენიმე
დასახვენიველ კორპუსს და ახლა მარცხნივ უხ-
ვივს. ეს ადგილები ყოველთვის ხალხმრავალია.
ერთმანეთს მიუღობაზე აქ კაფები და სხვა-
დასხვა პროფილის რესტორნები. აქვე მრავა-
ლი სვაპრო და საუკვეებიცაა. რესტორნები
მოცეკვავე ხალხითაა სავსე. ძირითადად თანა-
მედროვე ცეკვინა ცეკვავენ. ცეკვა არ იცის
შელიამ, არ მქონია შესწავლის დრო. ბუჭგა
რომ ბუჭგაა, ისიც კი თავისუფალ დროს აქ ატა-
რებს და ტურისტ გოგონებთან შეიკ ცეკვავს.
იქნება ამიტომ არ უყვარს რესტორნები ჯაბუს.

ეს დაღამებისწინა რიელი ძილის ადგილით
აუცილებელია ჯაბუ შელიასათვის. ჭერ ერთი,
ქალაქის ოპერატულ სიტუაციის ანსებებს და,

რაც მთავარია, ზოგ-ზოგებს იმასაც ახსენებენ/
ჭერ აქა ვარ და ფრთხილად იუავითო. ბეჭვების
მქმნელს კუყუაზე მოიყვანდა საღამო ხანს შე-
ლიას გამოჩენა.

ორმოცდახუთ წელს ისე მაღლია, ცოლი არ
შეურთავს. არც არავის მყვარებია ოდენსე და
არც თვითონ იკლავდა სიყვარულისთვის თავს.
საქმე იყო მისი სატრფო და საყვარელი. მის
სულსა და სხეულში გაბნეული, მომარტოლები-
ლი და ყველაზე მნიშვნელოვანი. უცნაური
ნიჭი მიუზიმა მას ბუნებამ, რაღაც ზებუნე-
ბრივი უნოსვა და ალღო. საქმარისი იყო კვალი
დაეღწა, რომ დანაშაუვ ვეღარსად წავიდო-
და. ვერც პრაქტიკულად და ვერც მეცნიერულად
ვერ აგხსნიდათ ჯაბუ შელია თავის სამებრო
მეთოდებს. ეს მისი შინაგანი ბუნება იყო, რა-
ღაც განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭი.
მიჰყვებოდა ერთხელ დაღმადულ კვალს და
შეუცდომლად მიადგებოდა დანაშაუვს. კაცმა
რომ თქვას, თვითონაც არ იცოდა როგარ
ხდებოდა ეს. რაც მთავარია, და ყოველთვის
უტყუარად. რამდენ საქმეს გაუვლია მის ხე-
ლში, რამდენი დანაშაული გაუხსნია, ვერც კი
დაითვლის. მთელი ოლქის არამზადები მისი
სახელის უბრალო ხსენებაზეც კი შიშით
თრთოდნენ. კონტრბანდისტები და შუღერე-
ბი, ნარკოტიკებით მოვაჭრენი და აფერისტე-
ბი, ბინის ქურდები და სპეკულანტები, მსხვილ-
მსხვილი ჯიბიერები და კაცისმკვლელები.

ბუჭგას ვილისი ბულვარს რომ გაუყვა,
ფრთხილად შეირჩა შელია. აქ, ჩამოვლის გარ-
და სხვა საქმეც მქონდა დღეს. თითქოს პი-
რდაპირ იყურებოდა, სინამდვილეში კი მთე-
ლი ეს ყვავანები თვალთახედვის არეში მქონდა
ყვავანების წინ, მარმარილოს ფილაქნებზე,
ტილოს ჭრელი სკოლების ქვეშ ხალხი წყნარად
ცვადა ყვავს, გაუხეობს კითხულთადა და ერ-
თმანეთს ენაუბრებოდა. ძირითადად ჯგუფ-
ჯგუფად იდგნენ, დროის მოსაკლავად ერთად
თავშეურიდნი. კანტიუნტად თუ დანახავდა
ადამიანი მარტო კაცს. ის მარტოკაცი შელია
რომ ეტება, სულ განაპირა სკოლის ქვეშ იდ-
გა, მაღალი და აწოწილი, დაუდევრად ეცვა,
საკმაოდ შეფერთხილი შლაპიდან ოკრობოკ-
როდ შეჭრელი გრძელი თმა გამოსჩრიადა.
ყავს სვამდა, გაუხეობს ათვალეირება და თან
გაფაციცებით გასცქეროდა ფილაქნის გასწვრივ
გამავალ ბულვარს, რომდევრს ახლა მოსეირნე
ხალხით იყო სავსე. შელიას მანქანა რომ და-
ინახა, ცალკეად გაიღმა, შლაპა ოდნავ ას-
წია, მერე გაუხეობს გაეცვა, უხეში ჩაიღო და
მოსახვევში შერგო თავი. სანაპიროსკენ აიღო
გეზი. მარტო ბუჭგამ და ჯაბუმ შენიშნეს ეს.
ბუჭგამ მანქანა შეაბრუნა. სასტუმროს წრე
დაარტყა და ახლა პურის ქარხნის მიმდებ-
რე ვიწრო ქუჩებით გაჰყვა პლაჟს ცერად.
მერე ერთ ბნელ შესახვევში ჩაყვინთა და მე-
ზღვაურთა კაფესა და პორტის პაკაშუს შუა



გაჩრილ ჩიხში ამოჰყო თავი. მანქანა გაჩერდა თუ არა იმავე წამს შეხტა შიგნით აწოწილი ბუღალავა.

— როგორ არის საქმე? — წყნარად იკითხა შელიამ და სიგარეტს მოუკიდა.

— ერთი სიგარეტი მომეცით, უფროსო! — წერილი ხმით წაიძვრა ბუღალავამ და ბუჭგას გადახედა. ბუჭგა უხმოდ ჩავიდა მანქანიდან და ჩიხში შემოსასვლელისაკენ წავიდა სტვენასტევისით.

ციხის ტალანებში მკვეთრად ისმის ფეხის ხმა და ღურსნენებით მოკედლილი ჩექმის წყარუნი, ჩაბუ მერცე კამერასთან ჩერდება. ერთხანს ფრთხილად იუურება საჭვრეტიდან, მერე შედამხედველს გასწავლულებას აძლევს — გააღვი შედამხედველი ხმაურით აღებს რკინის მძიმე კარებს და ჩაბუს უკან ისევ სწრაფად კეთავს. კამერაში დახუთული მათერია და სიგარეტის კვამლი დგას. საწოლზე დაუჩრდილებლად წამოწოლიდა გრძელფეხება, ქერათმიანი კაცი და ჩაბუს ცნობისმოყვარობითა და ფარული შიშით შესცქერის. მხოლოდ პოზას არ იცვლის. იცის, ფეხზე რომ წამოდგეს, მოძრაობით გათქვამს თავის მღეღვარებას და დაგროვოდ ბოდმას, ამიტომ ცდილობს, თვალბში მრისხანება დაიგუბოს და ასე პირისპირ და თამამად შეაგებოს მზერა გამომძიებელს.

— თავს როგორ გრძნობთ? — ფრთხილად, თითქოს თანაგრძნობით და თანაც ირონიით ეკითხება პატიმარს, თითქოს არ იცოდეს ბუღალავას დამუშავებული კაცი რა დღეში იქნება. მარტო ჩაბუმ იცის ბუღალავას ერთი შეხედვით სუსტი და გამხდარი თითების მარწუხი. იცის, რა ძალია და ენერჯის პატრონია ეს კაფანდარა, გაუცნობიერებელი ბუნების ადამიანი, ხანდახან საბავშვო ლეკვისხაც რომ წერს და რაიონულ გაჯეთებში აქვეყნებს.

— არა მიშავს, თქვენ კი მგონი დაგვიწყვლით! — თქვენ თავს რა დამავიწყებს! — ჩაიციხა ჩაბუმ, ამით პატიმარს აგრძნობინა, ჩემთვის მტად ძვირფასი შენაძენი ხართო.

— კიდევი ვიმეორებ!... — პატიმარი ოდნავ წამოიწია და ბოროტად დააკეცა თვალები. — —მე იმ ქალთან ძალა არ მიხმარია, თვითონ დამპატიოა შინ. სულ ორი საათის გაცნობილები ვიყავით. თავიდანვე თვითონ გამომელაპარკა პლაფზე. რესტორანშიც უთქმელად წამომყვა. შამანურს ჩემზე უკეთესად სწავლა, სიუვარულშიც თვითონ გამომიტყდა, პირველად თვითონ შემომთავაზა. მერე მასთან რომ მივედი და გაეშვიშვდი, მაშინდა ატეხა კივილი. თქვენი თანამშრომლებიც ისე საქაროდ გაჩნდნენ, თითქოს საწოლქვეშ მყოფი იყავით. — პატიმარი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, ძალა მოიკრიბა და განაგრძო: — ერთი სიტყვიც, ეს სრული პროვოკაციაა. მე პროტესტს ვაცხადებ. — ისევ შეი-

ცადა, ხელის ზურგით სახიდან ოფლი მოიწმინდა და გამომცდილად შეხედა ჩაბუს სასაცილოდ და ჩქარა ლაპარაკობდა, შესაძლებელია ბალტიისპირული აქცენტით. ლამაზი ვაჟი იყო, მაგრამ სიცხეს და მღელვარებას სრულიად დედაბუნებინა. — მწყურია! — უცრად წამოიძახა.

ზარბად და დიდხანს სვამდა ცივ წყალს, ცოტა სახეზეც შეისხურა. მერე ისევ ჩაბუს შეხედა. ერთიანად კითხვის ნიშნად იყო ქვეშლი.

— თქვენ უკვე ყველაფერი კარგად გესმით. რაღა თქმა უნდა, ქალი ჩვენგან იყო მოგზავნილი, მაგრამ ამას ხომ ვერავინ დაგიდასტურებთ? არადა, თქვენი ნამსახურებოთა სია იმის საშუალებასაც გვაძლევს, კარგად დავსაჯოთ. გაუპატიურების მცდელობა სამჭერ ნაციხარი კაცისთვის... გესმით, არა? მოდით პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, აქ, — ჩაბუ შეჩერდა და საქალაქის დაპარა ხელი, მუხლზე რომ ელო უტუც მოწმესავით. — ყველაფერია თქვენს შესახებ. ყველგან დავუკავშირდით, სადაც საჭირო იყო. უკელა საჭირო ცნობა ხელთა გვაქვს. უფრო მეტსაც გიტყვით, ცოტა ხანში გაგივებთ კიდეც. მაგრამ წერილი გინდა, მხოლოდ ამის შემდგომ იქნებით თავისუფალი. დროებით, ბუნებრივია, საღმე შორს წახვალთ, რომ თქვენიანებმა ისევ პატიმარად გიგულონ, მხოლოდ დროებით, მერე კი იცხოვრებთ როგორც გინდეთ, უკეთესია წესიერ კაცად იქცეთ. ამაზე თქვენ ბუღალავაც გელაპარაკათ.

— დიხას! — ზიზღით გაიქნია თავი პატიმარმა. — თქვენგანვე მოგზავნილი კრუხი. მაგარი ბრჭყალები კი მქონია. თავიდან თავს ვეველებოდა, რას ვფიქრობდი, ერთი სუსტი, საცოდავი, უბედური კაცი მეგონა. თურმე... ჰმ, — მერე ბალიშის ქვეშ სწრაფად შეჰყო ხელი და იქიდან კონვერტი ამოიღო, — აი წერილიც, მეტის თავი აღარ მაქვს. მისამართი ბუღალავამ იცის. დღეებე გადევით და მანქანაც ამოქმედდება. ჯანდაბას მაგათი თავი. მე აქ მეტს ვეღარ გავძლებ. სული ამომხდება ნამდვილად.

ჩაბუმ სწრაფად გამოართვა კონვერტი. გულში გაეცინა „წინდახედულ ბუღალავა ამაზეც უზრუნიაო“, სწრაფად ჩაიკითხა, კმაყოფილი დარჩა. მერე წერილი საქალაქში ჩალო, რომელიც ისევ საკულდაგულოდ შეკრა.

— გამადლობი! — გულითადად თქვა ჩაბუმ. — თქვენ ძალიან დაგვეხმარეთ. ჩვენი პრობაც შეისრულდება. სხვა ხომ არაფერი გინდათ?

პატიმარმა ცალკედ და ირონიით გაიციხა: — ვისცი და უკა!

— გექნებათ! — ჩაბუს გაახსენდა ამ ორი დღის წინ რომ მოუტანა ვიღაცამ ერთი



ბოთლი ვისკი. თვითონ მაინცდამაინც არ უყვარდა ნაირ-ნაირი სასმელები, ნამდვილად შემოუგზავნიდა, იმდენად ძვირფასი და ახლობელი გახდა ეს უცხო კაცი ახლა მისთვის. — გეპნებათ! — ისევ გაიმეორა და ფეხზე წამოაგება, პატიმარს ხელი ვაუწოდა, — მხნედ იყავით!

პატიმარმა გაოცებით და გამომცდელად შეხედა, მიხვდა, გამომჩიებელი ნამდვილად აპირებდა, იმას, რასაც ამბობდა, უკველგვარი ემპაქობის გარეშე.

„სიტყვის კაცი უნდა იყოს“, გაივლო გულში და თვითონაც ვაუწოდა თავისი დასუსტებული, ოფლიანი ხელი.

პალმების ჩრდილი საღამო უამს უფრო ჩამუჭარდა და ეხლა ძნელად თუ დაინახავდა აქ მდგარ ადამიანს ვინმე. ბუჭგას „ვილისი“ უფრო მოშორებით იდგა, ტრიფოლიატის ვიწრო ორღობეში. აქედან მოჩანდა შედარებით გაშლილი ადგილი და ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ცისფერი კოტეჯები. კოტეჯებს გარშემო მაღალი რკინის მესერი ევლო, რკინისავე კიშკრებით და შიგინი მანდარინი, ხურმა და ფეიხოა ხარობდა. კონდრიან ხასხასა ეკლებს მოკირწყლული, ღამაზი ბილიკები გასდევდა ფართო აივნებამდე. ყველა ეწოში მოჩრდილი გარაუთ იყო და შუქიც უხვად იღვრებოდა ფანჯრებიდან.

უკვე მერამდენედ მოდიოდა ჯაბუ შელია აქ და ასე მგელივით შესცქეროდა ამორჩეულ ფანჯრებს. ეს მარტო ბუჭგამ იცოდა, ალბათ, ასე კიდევ ბუალავამ, სხვამ არავინ ამქვეყნად. თვეების მანძილზე მოდიოდა და ასე თვალგაშტერებული შესცქეროდა, თითქოს რაღაც ძნელი ამოცანის ამოსხნას ცდილობსო. კაცმა რომ თქვას, მართლაც ასე იყო, აქ დავაროვილი სიმღიდრისა და სიუხვის წყაროს ამოსხნის სურვილი აწუხებდა ჯაბუს. გამოვლილ მაძებარს მარტო აქ ღლატობდა იღბალი, აქ ვერ შეაღწია მისმა უტყუარმა ალღომ არა, შეაღწია, მაგრამ ხელი ვერ მიაწვდინა. ეს ყველაფერი მის წემოთ იყო, მასზე მაღლა იდგა. აქ სხვა ნიღბებით ცხოვრობდნენ, მისთვის დღემდე უცნობი ნიღბებით. დანაშაულის სხვა მექანიზმი მუშაობდა აქ. აქ შოპენის ნოქტიურნი, ბროლის ჭაღების ელვარება, ღაღი სიცილი და ძვირფასი ფარდების ნაწი შრიალი მეფობდა. აქ ფრანგული სუნამოს ნაწ სურნელებსა და ძვირფას ტანსაცმელში იყო შემოსილი დანაშაული. ვერ მისწვდა და დაიღადა. მისი ალღო, მისი უტყუარი ალღო კი დღედაღამ არ ასვენებდა. აქეთკენ ეძახდა, აქეთკენ უზიძგებდა. ისიც ყოველ საღამოს ერთგული შეუვარებულებით აქ იდგა, დაბერილი ნესტოებით; ხარბად ისუნთქავდა ფარდების ნაწ სურნელს, ისრუტავდა ჭაღების ელვარებას და ლად სიცილს. ისუნთქავდა რესპექტაბელური

დანაშაულის სუნს და სისხლი ემღვრებოდა, საკუთარი უძლურება კრუნჩხვას მისი გულს ურევდა, იდგა და ქანცმილეული კბილებს აღრქიალებდა.

დღის დასრულდა ყველაფერი, უფრო სწორად, დღაც დასაწყისი დასასრულისა. აღსრულდა წლობით ნაფიჭრი და ნაოცნებარი. არასოდეს გამოუჩენია ამდენი გამჭირაობა შელიას, ამდენი ეშმაკობა. რამდენი ხლართა და აი, მოქსოვა კიდევ ბადე. ახლა ბევრი რამ უკვე მის ხელში იყო. ბევრი არ იცოდა, მაგრამ გუმანით იყო ყველაფერს მიხედვით. იცოდა, წერილი, დღეს რომ ამდენი წვალების შემდეგ ხელთ ივლო, თავისას იზამდა. ამოქმედდებოდა, ამოძრავდებოდა ის უხილავი მექანიზმი, რომლის დანახვაც ასრტივად ეწადა. არ იცოდა რატომ, მაგრამ უტყუარად გრძნობდა, რომ ანკესს უნეტად ის დღავი წამოეგებოდა, მას რომ უნდოდა. ამიტომ იდგა დღეს აქ, იდგა უკანასკნელად, რადგან უახლოეს ხანში ბოლოს მოუღებდა ყველაფერ ამას, ძირფეხიანიდ ამოძიკვავდა მძულვარებით.

ფრთხილად გატრიალდა და ბუჭგასკენ წავიდა. ბუჭგა ორღობეში მანქანასთან ჩაცუცქულიყო და ისე ეწეოდა სივარეტს. უფროსი რომ დანახა, სივარეტი ძირს დააგდო, ფეხით ჩააქუთიტა აუალო მიწას. მერე სიჩქარე გამორთო და მანქანა უკუსვლით დააცურა. შუქი ჩამქრალი ჰქონდა და ჩუმად მისრიალებდა სიბნელეში. მერე, გზაზე რომ დადგა და კოტეჯების თვალთახედვას მიეფარა, ფარგზა ჩართო და ჯაბუს დაუწყო უღადინი. ჯაბუც მალე მოვიდა, კარი გახსნა და სწრაფად შესტა მანქანაში. ბუჭგამ მანქანა დასძრა და თათარგორისაკენ აიღო გეზი. ახლა დანამდვილებით იცოდა, უფროსი რომ იქით მიიჩქაროდა.

ჭერ მალდავანკას აივლიდნენ, კობტა, პატარა-პატარა ხის სახლებით დამშვენებულსა და მწვანეანი ევოებითა და ბაღჩა-ბაღებით შებურთილს, მერე უფრო ზევით აიწვედნენ თათარგორისაკენ, საღაც ბოშებით, ბერძნებით და სირიელი ქურთებით ცხოვრობდნენ. თათარგორაზე ჭრელი მოსახლეობა იყო — ქვის მთელელები, ხუროები, წვრილ-წვრილი ხელფსენები და გაურკვეველი პროფესიის ბოშები.

ზინაც აქ ცხოვრობდა, პატარა ვარდებიანი ეწო ჰქონდა, სამოთახიანი ხის სახლი. ღამაზი და კოპანია იყო აქაურობა. ვიწრო ოთახები და ვარდების სურნელება განსაკუთრებულ მყუდროებასა და მიმზიდველობას ანიჭებდა სახლს. ერთი სული ჰქონდა ხოლმე დაღლილსა და დაქანცულ ჯაბუსს. ყოველ საღამოს აქეთ წამოსულიყო. აქ, იყო ერთადერთი ნავსაყუდელი მისი დაღლილი სულიხათვის, მხნეობის ერთადერთი წყარო. ზინა ამ ოროდენ წლის წინ გაიცნო. საკმაოდ საეჭვო საქმეში გაეხვიათ კონტრაბანდისტ ბოშებს, იმათ



ბარონს ჰყვარობდა და კონტრაბანდულ სა-
ქონელსაც ინახავდა. მერე უყვლა რომ დაი-
ჭირა ჭაბუმი. ზინაც ძალაუნიებურად გაება სა-
ქმეში. მაშინვე მიხვდა შელია, ამ ლამაზ
ქალს არავითარი კავშირი რომ არა ჰქონდა
მთელ ამ ბნელ-ბნელ საქმეებთან, მაგრამ მა-
ინც საქმეში გადიოდა და სასტილიც ეკუთ-
ვნოდა. ერთი იყო, პირველად რომ დააკით-
ხა და მის ფართოდ გახეილ შეშინებულ თვა-
ლებში ჩაიხედა, იგრძნო ქალის ძალა, გუ-
ნის შეუტოკდა და შეუვარდა ქალზე, მერე
უყვლა კიდევ იხმარა, განსაკუთრებით ვენსა
და იხსნა ლიდეც. მისდა უნებურად მოხდა
უყვლაფერი. ზინა ჭაბუს მიმართ თავს მოვა-
ლედ თვლიდა და ლამაზი სხეულითა და აღე-
რისით უზღვა ვალი. სიუვარულზე ლამაზაკი
შედმეტი იყო, დიდი ხანია გამოსულიყო სი-
უვარულის ასაკიდან და თანაც წლებით ან-
გარისწიანობასთან დაკავშირებული ურთიერ-
ობები დაუწერელ კანონად ქცეულიყო მის-
თვის. თავისივე მონდომებით გახდა ჭაბუს სა-
უვარელი, როგორც ადრე მოზოთა ბარონისა
იყო. კრელაპრულა კაბებისა და სხვა უხვად
ბოძებული საჩუქრებისათვის. ჭაბუ შელიას
რომ ასეთ საეჭვო კავშირში თავი არ უნდა
გაეყო, ეს თავადაც კარგად უწყოდა, მაგრამ
იმდენად ძლიერი იყო ლამაზი ქალის მიზი-
დულობის ძალა, ისე მოშვივებული იყო მთე-
ლი მისი არსება სიუვარულს, რომ თავი ვე-
ლარ შეიკავა და დაუფიქრებლად გადაეშვა ამ
მორევში.

ახლა უოველ საღამოს აქეთ მოიჩქაროდა.
შერგავდა თუ არა თავს ზინას ეზოში, სხვა
ცხოვრება იწყებოდა მისთვის. უყვლაფერი
მიძმო და დამდელი, მალდავანკას ქვემოთ,
ელნათურებით გავარვარებულ ქალაქში რჩე-
ბოდა. აქ სხვა იყო. აქ იყო სიმშვიდე და მორ-
ჩილება, აქ იყო ლამაზი ქალი და სიუვარულის
სუროვანი. მაგრამ მისთვის, სიუვარულგამოუ-
ცდელი კაცისათვის, ეს სუროვანიც ტბილი
იყო და მიმზიდველი. ზინა მისი მოსვლისას არც
აღვრთოვანებას გამოხატავდა და არც სიხა-
რულს. იღებდა, როგორც დაუცილებელ მოვა-
ლევებს, ისე, ექიმი რომ აღვხედება პაციენტს —
მრავალი ავადმყოფის მსახველი და თანაგრძნო-
ბის უნარდაკარგული, რომელსაც პროფესი-
ული ეთიკა უკარნახებს, მგრძნობიარედ და
აღერსიანად მოეცევა. ვახშამს გაუწყობდა, მე-
რე წინ დაუჭრებოდა და თვალბეჭეტი მორჩილ-
ბით შესცქეროდა. ჭაბუ სიამოვნებით ჭამდა
ზინას პელმენებს, კარტოფილის დვეგებს და
ათასგვარ უცხო სასუნავს და ნეტარებდა.
ერთ კერძს რომ მოთავებდა, ზინას ახლა მე-
ორე გამოქანდა, „აღარ მინდა!“ — იძახდა სი-
ცილით მამქალი ჭაბუ — „ჭამე, ჭამე, უფ-
როსო, ძალას შეგატებს!“ — ჭაბუს ეს „უფ-
როსო“ ნერვებს უშლიდა, მაგრამ არ იმჩნე-
და, ვერ შეაჩვია ქალი ნამდვილი სახელით

მემართა. ახლა თვითონ უწყებდა პატრუს
„შენცა ჭამე, უფროსო, შენ რა, არ გიკრძა
ძალა?!“ ზინა იცინოდა: — „მე არა, მე მთელი
დღე უფროსის მოლოდინში საჭმელს ვჭამ და
მინავს, მე ძალა ჭარბად მაქვს!“

მერე ჭაბუ მუნდრის გაიხიდა და ტრუსე-
ბის ამარა იქდა ფუმფულა სავარძელში, სიგა-
რეტს აბოლებდა და ზინას შესცქეროდა. ზინა
დაურიდებლად იხანდა მის თვალწინ ტანს და
ლოგინს აგებდა. ზინა გრილი იყო და მდუ-
მარე. ჭაბუ აღერსად იღვრებოდა და ლამის მო-
მკვდარიყო სურვილისაგან. ზინას ნახი, ქათქათა
სხეული დაუოკებლად იწიდავდა და ახლებდა.
თავდავიწყებით ეძლიოდა ვნებას. ქალი კი იწვა
მდუმარედ, შორეული, გრილი და უცხო. ეს
გაუწაწილებელი სიუვარული და აღერსი უფ-
რო ახლებდა ჭაბუს, სისხლს უფლვრევდა,
სულს უფორიკებდა. იცოდა, ამ ქალის კიით
გზა აღარ ჰქონდა, ვეღარავის შეიუვარებდა
ახლა, უკვე გვიანდა იყო. არადა, ვერ იქნა და
ვერ მიაღწია ვნებიან აღერსსა და სიტყვას.
სხვებისაგან დაფარულად მოძუქმულებდა ზვადი
მგელივით საკუთარი არჩივის დასანარჩუნებლად,
საკუთარ ნადვლზე. ისევ და ისევ ჭიუტი და-
ფინებთ ისაკუთრებდა მიმზიდველ სხეულსა და
სილამაზეს. მაგრამ გრძნობდა, ასე დიდხანს
რომ ვეღარ გაგრძელებოდა, დადგებოდა დრო
და ამასა ბოლო მოვლებოდა. დაუდგებოდა
დასასრული ზინას მიერ შეუცნობლად და-
დგენილ ვადას ვალის გადახდისა. მერე ზინა
სხვასთან წავიღოდა, ახლა სხვას გაუშლიდა
ლოგინს, სხვას მიართმევდა ძმუნად ლამაზ
სხეულს და ვნებებისაგან დამცხრალ, გაგრძე-
ბულ სულს. ამის გაფიქრებაც კი წარავდა და
აფორიკებდა. აფრთხობდა მოსალოდნელი და
შეუცნობელი დასასრული. არც კი იცოდა რა-
დის დადგებოდა ეს შემზარავი წუთი. შიშე
დაუფლავდა, ქანცამწყვეტი და სულის შემეჭმელი
შიში. და არსად ჰქონდა თავშესაფარი ამ
მთარგუნველი შიშისაგან.

კოტეჯების უბანში, დიდი, ცისფერი კოტე-
ჯის ქვემოთ, ტრიფოლიატის დაჩრდილულ ორ-
ლობისთან ლურჯი „ფიატი“ იღვა. მაღალი, შა-
ვწვერა, ლამაზი ახალგაზრდა კაცი სიგარეტს სი-
გარეტზე ეჭაჩებოდა და კოტეჯს თვალმოუშო-
რებლად შესცქეროდა. კოტეჯის წინ შავი,
კრიადა „ვოლგა“ იღვა და პატრონს ელოდებო-
და. ბოლოს როგორც იქნა, გაიხსნა კიშკარი.
ეზოდან მაღალი, ჩახსენილი, დიდათავა კაცი
გამოვიდა. მოხდენილად და მდიდრულად ეცვა.
სხარტად მიუახლოვდა „ვოლგას“ და სახელურს
მისწვდა. „ფიატი“ მდგარმა ახალგაზრდამ
სიგარეტი გადააგო, ბელი თავის ვასწვრივ დი-
ნჯად და მოლოდინად გამართა და იმევე წამს
წრულ იქეჭა. „ვოლგასთან“ მისული მამაკაცი
უკან გადაქანდა, მერე ისევ წინ გადმოიწინა,
ხელებით მანქანას დაეყრდნო და ნელა ჩაცუ-



რდა მიწაზე. ახალგაზრდა კაცი „ფიატი“ შე-
ბტა. მანქანა უყუსვლით თავდაღმართზე დაა-
გორა და სწრაფად, მოტორის გაძლიერებულ-
ღმუილით მოსწუდა იქაურობას. იმ ადგილზე,
სადაც „ფიატი“ იდგა, სიგარეტის ნაწამლევი „ფი-
ატი“ საბურავების ნაქდევი და აქ რამდენიმე
დღის წინათ გავლილი ვილისის ძველი. უკვე
გადარეცხილი კვალი მოჩანდა.

გერონტი ბელავა „სოკოს“ ქვეშ იდგა და
დინჯად სვამდა ყვავს. ცხელიდა. გერონტის მა-
ინც ძველებურად ეცვა. თხელი ტილოს ღაბა-
და, თავზე კი შეფერთხილი ფერის შლამა ეხუ-
რა. ქუდს ქვემოდან ორკობოკროდ გამოსჩროდა,
საკუთარი ხელით. უგერგილოდ შეჭრლი ჩალი-
სფერი თმა მისკენ მომავალ მწველ ფერის
მანქანას რომ მოჰჭრა თვლი, უჯანახვარი
ყლუქი ცხელი ყავა ერთი ამოსუნთქვით გადა-
ყლამა, მის წინ გაშლილი საღამოს გაზეთი
აიღო, უბეში ჩაიკურა და შლამას წაავლო ხე-
ლი. მანქანამ გვერდზე რომ ჩაუარა, შლამა მი-
სალმების ნიშნად ოდნავ აიწია კინკრისოდან,
მერე „სოკოდან“ ჭამოძგრა, ხანაპიროსკენ
გაუხვია და დინჯად გაუყვა ნაპირს. მზე ჩაღი-
ოდა, დიდი, წითელი დისკო წყალს ეხებოდა
წად დისკოს პირზე თოლიების მთელი გუნდი
ჩამჭდარიყო და გამრეებით კორტინად ზღვას.
ბელავას უყვარდა ბუნების ეს საოცარი მო-
ვლენა. ყოველთვის აოცებდა და აღტაცებაში
მოჰყავდა მზის ჩასვლას. მიდიოდა და ახალი
ლექსისათვის შესაფერის რითმას ეძებდა.

ბუჭგამ მანქანა რომ შემობარუნა, უეცრად,
თითქოს მიწიდან ამოძვრაო, წინ ლიტენანტი
გოგავა გადაუდგა. ავტონისპექტორი. ბუჭგამ
ჭაბუს გადახედა და მანქანა მკვეთრად დაა-
მუხრუჭა.

— ჩეპეა, უფროსო! — ძლივს ამოღერდა
გოგავამ. ოფლიშ იყო გაწურული და ნერვა-
ულად ატრიალებდა მოტოციკლის სახელურს,
მოტოციკლი გრუხუნებდა და გაუჩერებლად
ტარცალებდა — მკვლელობაა. სამმართვე-
ლოში ჭითხულობენ. რაკითი გადმოგვცეს
მოგანათო! — ჭაბუშ უჩუმრად გადახედა თავის
რაცანს. დიდიდან გამორთული ჰქონდა.

— შენ თვითონ რას ეძებ? — შეუბრუნა
კითხვა შელიამ. — „მკვლელებს ვეძებთ ყვე-
ლანი. მანქანით ყოფილან. ლურჯი „ფიატი“...
ა, გავიხვითქე სირბილით რამდენი ლურჯი „ფია-
ტი“ გაიფლის ამ ტრასაზე, ღმერთმა უწყის. ყვე-
ლის უნდა გამოვედევნო და მძღლოვის ვინაობა
დავადგინო. ჭგირ ორდა!“ — მოტოციკლი შემო-
აბრუნა და ცენტრალური გზისაკენ აიღო გეზი.

დიდნას არ ამოუღია ხმა ჭაბუს. დინჯად
იწმინდდა ცხვირსახოციო სახეზე მოდებულ
ცვარს, მერე ღრმად ამოიხვნეშა და ბუჭგას
დააკვირდა, დაკვირვებით შესცქეროდა, თით-
ქოს უცხო ყოფილიყოს, მერე ხმადალა, მა-

გრამ გარკვევით თქვა: — „სლაზე წამიყვ-
ნი!“ — ბუჭგას გოცებას საზღვარი ატეხა და
ნდა. უფროსი გოგავას შეხვედრის შემდგომ
თაქვედმოგლეტილი უნდა გაქცეულიყო სამმ-
ართველობსკენ. მერე, რაც მოვაგარია. შელია ერ-
თხელ და სამუდამოდ დადგნილ განრიგს არ-
ღვევდა, ეს კი ბუჭგასათვის სრულიად უცხო
და სასწაულებრივი რამ იყო. მაგრამ წესრი-
გისა და ბრძანების მორჩილი კაცი იყო ბუ-
ჭგა მებონია, იცოდა, რადგან უფროსმა თქვა
ასეა, ალბათ, საჭიროო. მანქანა შეაბრუნა და
პლაჟისაკენ გასწია.

მზე უკვე ჩასულიყო და ბინდბუნდი იკრი-
ფებოდა ირგვლივ; ზღვას ტუყისფერი დასდ-
ბოდა და თოლიებზე კანტიკუნტად მოჩანდ-
ენ აქა-იქ. შორის ხანაპირო შექურა აციცინი-
და და პირველი სხივით მოსინჯა სივრცე. შილია
ქვიშაზე იჭდა და რაღაცაზე ისევ დაძაბულად
ფიჭრობდა, მერე ისევ ხმადაბლა და გარკვე-
ვით თქვა: — წადი ბუჭგა სახლში, მარტო დამ-
ტოვე!... ტლურ კაცი იყო ბუჭგა მებონია, მაგ-
რამ ამ სიტუაციაში თან უნდა ამოძრავდა რა-
ღაც. — უფროსო!... ხმა ჩაუწყდა, ჩაახველა,
მაგრამ შელიამ აღარ მისცა ახალი ტირაღის
წამოწყების საშუალება. — წადი-მეთქი, ასე
მჭირდება მე ახლა. მერე ფეხით წავალ. მომი-
ხედა კიდეცა. წადი ბუჭგა, წადი. ხომ იცო,
არ დავიკარგები. ხუთი თითივით ვიცნობ აქა-
ურობას! — ბუჭგამ აღარ იცოდა რაღა ექნა, მა-
გრამ ძვალ-რბილში გამჭდარი კანონიერებისა და
უფროსისადმი მორჩილების გრძნობა თავისის
შერბოდა. მძიმედ, ფეხთარევიო წვადა მან-
ქანისაკენ. გული რაღაც უცხოა და შეუცნო-
ბელს ეუბნებოდა, თუმცა ვერ მიმხვდარიყო,
რას ნიშნავდა ეს მერე ძრავა ჩართო და ქა-
ლაქისკენ წვაიდა. კარგა მანძილი რომ გაიარა,
მანქანა გაჩერა და შელიას გახედა. შორის
მერთალად მოჩანდა ქვიშაზე მჭდარი კაცის
ღანდი, ჭაბუ გაუნძრევლად იჭდა და ისევ
ზღვას გასცქეროდა. ამან ცოტა დაამშვიდა.
მანქანა ისევ ჩართო და ადგილიდან დასძრა.

ჭაბუშ ტანთ გაიხილა. ცოტად გაქცა ტა-
ნსაცემლი და ქვიშაზე დასლო. მერე ფეხით მო-
სინჯა ზღვის წყალი და ნელა შევიდა შიგ.
მკერდამდე რომ მისწვდა წყალი, შეჩერდა.
ცას ახედა. მერე ისევ გადადგა რამდენიმე
ნაბიჭი. ესიამოვნა გრილი წყალი, დაშვიდა,
დაწუნარდა. კარგა ხანს იდგა ასე გარინდუ-
ლი და თანდათან ეუფლებოდა მისთვის აქაღდე
უცხო, აღერსიანი სიმშვიდე. თითქოს რაღაც
მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლდაო, ისეთი სი-
მსუბუქე იგრძნო სბეულში...

არის აღმანიის ცხოვრებაში ტკივილი, რომე-
ლიც ერთხელ და სამუდამოდ დაიბუღებს
მის არსებაში. დაიბუღებს და მას ვეღა-
რავითარი სხვა ტკივილი, ღროთა მსვლე-
ლობა თუ სხვა ბედნიერი ამბავი ვეღარ ამოაგ-



დებს მისი არსებიდან. რა არ შეხვედბა ადამიანს მისი ხანმოკლე სიცოცხლის ეკლიან გზაზე, რამდენ იმედის გაცრუებასა და ოცნებების მსხვერვის გადაიტანს, მაგრამ ბევრს შალე დავიწყებს, ბევრისათვის მრავალ კეთილ საზღაურსაც მიიღებს და, რაღა თქმა უნდა, მისი მხსნიერებიდანაც სწრაფად ამოშლის ადრე გადატანილ, მაგრამ იმ ერთადერთს აღზარდერი ეშველება, გალამბული იცხოვრებს ადამიანი თუ რიგითი მოკვდავის ცხოვრებით, ეს ტკივილი სამუდამო სევდის ბეჭედს დაასვამს მთელ მის ბედ-იღბალს. ასეთად იქცა ჯაბუხათვის ბოლოკიან ქაპრით მიუენებული ტკივილი, არა მარტო ფიზიკური, უფრო სულიერი, ის ერთადერთი, იმ ღამეს გადატანილი ბავშვური გაოცება და შეძრწუნება, უეცარი დამსხვრევა უველაფერი იმისა, რაც მის ნორჩ გონებაში მისი იყო მხოლოდ, სიყვარული, სითბო და აღერსი დედისა, სიმკვიდრე საკუთარი ბედისა. ეს უველა რწმენა ერთ შემადრწუნებელ წამში ჩამოგმსხვრა თავზე და მის სულსა და გონებას სამუდამო ქედე დაამჩნია. ისიც იცოდა, მარტო რომ არ იყო ამ ქვეყნად, კიდეც ბევრი დაიარებოდა მასავით ნაჭრილობები და ტკივილგამოვლილი. იცოდა და იმ ბევრთა ტკივილსაც ითავისებდა, იმ ბევრთათვისაც იღვწოდა.

ნიღაღ ჭარისკაცივით ცხოვრობდა. ერთი მცირე ბინა ეკავა, მაღლდავანის ქვემოთ, არსენალის უბანში, გასაშლელი საწოლი ედგა ოთახში, მაგიდა და კიდეც ერთი კარადა. არასოდეს დახარბებია დიდ ფულსა და შეძლებას, რადგან კარგად იცოდა, რაც იყო საფუძველი კაცობრიული სიბილწისა და მოუშუშებელი ტკივილებისა. თითქმის ფიზიკურად განიცდიდა ამ სიძულვილს. ერთხელ ზღვაში დამხრჩვალი ახალგაზრდა ქალი იპოვეს. მდიდრულად ეცვა. ხელზეც ძვირფასი ბეჭდები ეკეთა. ძალადობის ნიშნებიც არ ჰქონია — თვითმკვლელობააო, — დაასკვნეს ექსპერტებმა. მარტო ჯაბუ მითხვდა — დიდი ტკივილისა იყო ეს თავგანწირვა, ამას ნაწუქარი ბეჭდებიც ეუბნებოდნენ, ტკივილისა და შერცხვე-

ნის ფასად ნაშოვნი გამოუსადეგარი ქვები, მკრთალი სილამაზისა და ახალგაზრდობის საფესური. საკუთარი ხელით, დაუნდობლად ამოძირკვა დამბების უბანში ამალია ბენუელას ბინძური ბუდე, თვით ამალიას ციხეში უკრა თავი, მისი მუშტრები კი... ემ, მაშინ მაინც მოუხელთებელი დაურჩა მთავარი. უკვირდით მერე სამძებროში — საიდან სადაო. საიდან და... ეს მარტო ჯაბუს საიდუმლო იყო, ჯაბუსა და იმ წყალში დამხრჩვალი გოგონასი.

დღეს კი აღსრულდა.. — ხვალ მისი უეცარი გაქრობა მთელ სამმართველოს ააფორიაქებს. სიიფს გახსნიან და ზოლავა წითელი ფანქრით აღნიშნულ საქაღალდეს ხელმძღვანელობას გადასცემს. ამის შემდეგ მთელი სიმძლავრით ამოქმედდება სამძებრო მანქანა და ქვას-ქვაზე აღარ დატოვებს, ახლა ერთია საფიქრალი — ბუჯამ არ დააგვიანოს. არ დაჰდეს ზღვის პირას, ქვიშაზე დაყრილ ტანსაცმელთან და უფროსის გამოსვლას არ დაელოდოს დაღამებამდე, ტლუ კაცია ბუჯა მებონია, მაგრამ არც ისეთი ბრეყვია, რომ არ მიხვდეს. მიხვდება, უტეველად მიხვდება სიხარულმა და აღფრთოვანებამ გამოარკვია უეცრად. ჯაბუმ წინ გაიხედა და გაოცდა. იგი მიცურავდა, მიცურავდა ლაღად და თავისუფლად. ახლა უკან მოიხედა, შორს, ძალზე შორს, ბოლაზის გასწვრივ, მკრთალად ციმციმებდნენ ქალაქის ელნათურები. შუქურაც საღდაც შორს დარჩენილიყო თავის კლდოვან კონცხთან ერთად. ისევ მოუსვა მხიარულად. კარგა ხანს იცურა კიდეც, პირველად გრძნობდა ასეთ აღფრთოვანებასა და სიხარულს. დაიღალა, შეჩერდა. ხელები გაშალა და წყალზე გაწვა. ზღვა წინასავით გრილი იყო და შეუცნობელი, მაგრამ საამო და საოცრად მიმზიდველი, დინჯად დაიწყო ჩაძირვა, იძირებოდა ზღვაში, ზღვა სიყვარულში, „წინა წინა“ იძირებოდა და სიხარული ავსებდა მთელ მის არსებას. მერე საიდანღაც, ზღვის სიღრმიდან, ძლიერი, კამყამა შუქი გამოერთა და ისიც იმ შუქისკენ გაეშურა ხელებგაშლილი.



ზემოლაშქა

ზეცას აემღვრა სადაფის თვალი,
ნისლის ნამქერში კრთიან კორდები,
უკან დავტოვებთ ერწო და თრანი
და ივრის ქალებს ვუახლოვდებით.
მოსჩქეფს მდინარე მურყნიანებში,
ანკარა, როგორც ლაქვარდის ბროლი,
და მონანავე ნარინჯ ყანებში
ჩამავალი მზის ირწყევა ბოლი.
ქარს მოაქვს ფშატის ნაფერთალები

რძის სუნი დაპკრავს სიმინდის ყანებს,
ილეწებიან წყალში ვერცხლები,
ეს გაზაფხული შენ მოიყვანე
და ლამის გულზე გასკდნენ მერცხლები.
ჩამოუქროლებ ამღვრეულ გამზირს,
როგორც ირმები იალალს ნაჩვევს,
თვალეებში ველის მიმინო გიზის
და მზეზე ფერავს სურვილის კლანჭებს.

თოვს, დედამიწა თეთრ სამოსს იცვამს,
ბალიშს დაეცა შორი ხმა წვიმის
და მომეჩვენა, სციოდა მიწას,
თუმცაღა თოვლი არ იყო ცივი.

იღუმალეებით სავეს
და ჯადოსნური ხელით,
ამოქარგულა ცაზე
ვარსკვლავად ხობბის ყელი.

გამოედვიდა გათანგულ თბილისს,
ქუჩებს აბოდებს აგვისტოს ალი.
სააგარაკო ავტობუსს დილის
მიჰყვება უცხო, ლამაზი ქალი.
წიფლების ჩრდილებს საბუღარები
გზდაგზა აფენს, როგორც კილობებს,
ახლა სოფელში ლურჯი დარები
მოაშუშებენ სულის კრილობებს.

და ფუტკრებივით კვირიონებს
ნისკარტზე ახლის,
ქროდათვალეა ფშავლის ქალები
„დიდოს“ ძახილით არიდებენ
მანქანებს ნახირს.
გამოკრთა მთვარე და ფეხშიშველი
ლელიანებით წყაროსკენ მიდის
და, ვით ძაღლისგან დამფრთხალი
შველი,
სოფლის ბოლოში ფეხს ითრევს ბინდი.

ატმების ცეცხლში ჰყვავის ქუჩები
და შენ მალღდები, როგორც პირიმზე,
ველურ მარწყვივით გითრთის ტუჩები
ქარში გაბნეულ ხარის ყვირილზე.
მზე დაეკიდა გაფრენილ ალვეებს,
იღვიძებს მიწა მკერდშეჭირხლული
და აფეთქებულ ტყემლების ელვას
დამფრთხალ რაშების მოაქვს ჭიხვინი.

მე მომეჩვენა, თოვლსაც სციოდა
და მიწის მკერდზე ლამობდა შვებას,
...ქარში უბელო ცხენს მიჰკიოდა,
დასიზმრებული ჩემი ბავშვობა.

ღელეს ჩაუყვა მთვარე,
მოწყურებული ფური,
და ახელს ნუშის თვალებს
მთვლემარე გაზაფხული.

იღუმალი ხმით შრიალებს ლელი
და მოლოდინის წამები ჰჭრიან,
ტყემ თეთრ ავტობუსს მოხვია ხელი
და კალათივით ზღაპრებში მიაქვს.
სულში შემოდის სიჩუმე გრილი,
იღვრება მთებზე ცის მინანქარი,
სააგარაკო ავტობუსს დილის
მიჰყვება უცხო, ლამაზი ქალი.



იცი, რა ლამაზია!

კაცი ცხენზე იჯდა და ქალაქის ქუჩას მიუყვებოდა, ამაყად, რატომღაც ოდნავ გამომწვევად გამართულიყო უნაგირზე.

საოცარი შესახედი იყო.

ახლა ცხენოსანს სოფელშიც იშვიათად თუ შეხვდები. ისიც ვინმე ფეხშიშველ ახალგაზრდას, უბელო ცხენზე შემჯდარსა და თვითონაც ირონიულად მოლიმარეს.

გამვლელ-გამომვლელნი შეჩერდნენ.

გიორგის გვერდითაც რამდენიმე ფაფუკლიბიანი ახალგაზრდა დადგა. ხმამალა ალაპარაკდნენ. ცხენოსნის გაბაიბურებას ცდილობდნენ და, საერთოდ, თამამად, მეტისმეტად შინაურულად გრძნობდნენ ქუჩაში თავს.

— წკაპ, წკაპ! — უჩვეულოდ ხვდებოდა ყურს ცხენის ფლოქვების ხმა.

ყურს უჩვეულოდ ხვდებოდა, ეხამუშებოდა, მაგრამ გიორგის ესიაშვინა, მეგობრები და სტუდენტობის წლები მოაგონდა. ქალაქის მონოტონურ ხმაურს თითქოს მივიწყებული, რომელიღაც საკრავის წკრიალა ხმა შეემატა.

ქუჩაში მანქანები უწყვეტ ნაკადად მიმოქროდნენ. ზოგმა ცხენოსანს საყვირი დაუბიბინა, მანქანა ოდნავ დაამუხრუჭა.

კაცი ცხენზე იჯდა და მიდიოდა.

— ვაა, რა მაგარი ვინმეა!

— მანქანით სიარულსაც კი მოერიდება ასეთ მოძრაობაში გონიერი კაცი.

— ჩაიდულდუნა ერთმა.

— მოძულდება თავი ამ ყაძახს!

— კი მაგრამ, არ ეშინია?

— უზომო სმა-ჭამაც საშიშია! — ცაწყობად ჩაიცინა გიორგიმ.

ლიპიანები დადუმდნენ.

უცებ რომელიღაც მანქანამ უკანა ფეხზე ოდნავ წაარტყა ცხენს. ცხენი დაფეთდა. ყალყზე შედგა და მხედარი ასფალტს დაენარცხა. დამფრთხალი ცხენი მთელი სისწრაფით გაჭენდა.

დათარსეს ცხენოსანი.

მხედარი მაშინვე წამოდგა. ცხენისკენ არც გაუხედავს, ბულვარში ოდნავი კოჭლობით შევიდა და სკამზე ჩამოჯდა.

ცხენი გარბოდა. მერე გზიდან გადაუხვია და რომელიღაც მშენებლობასთან რკინა-ბეტონჩახერგილ ორმოში ჩაიჩეხა. მტვრის ბული რომ გაიფანტა, ორმოდან ამოვიდა და წელმოწყვეტილივით დადგა. ცემენტისანი ქვიშა ისე მოყნოსა, თითქოს ბალახი მოწიწკნაო — თფრო! — მკვეთრად გააქნია თავი და გვერდზე მოქცეულ, ცარიელ უნაგირს ახედა.

მოქალაქენი ამოძრავდნენ, თავ-თავიანთ საქმეებს მიუბრუნდნენ.

გიორგი ერთხანს გარინდული იდგა, შემდეგ გაზეთების ჯიხურთან მეგობარი დალანდა და მისკენ გაეშურა.

— დაინახე, როგორ დაფეთდა? — სევდიანად გაუღიმა.

— ცხენი?

— ჰო, აგერ, ახლა...

— ეეჰ, მშაო, საშიშია ცხენით სიარული.

— რატომ?

მეგობარმა მხარი აიწურა.

— კაცო, შენ უნივერსიტეტი გადაგვიწყდა?

— უნივერსიტეტს რა დამავიწყებს!

— მაშინ რომ თბილისის იპოდრომზე ცხენს დააქროლებდი?

— ეეჰ, რამდენმა წელმა ჩაიარა. ეგ



უკვე მართლა აღარ მახსოვს, — მეგობარმა ხელი ჩაიქნია.

გიორგიმ თავი ჩაღუნა და ნიკაპი მოისრისა. რამდენი მისი ქმაკაცი სიფრთხილემ და შიშმა დროზე ადრე დააბერა. შიში — საზიზღრობაა.

— გონიერი კაცი ცხენით კი არა. — დუმილი დაარღვია მეგობარმა და რაღაცნაირად ჩაახველა.

გიორგიმ არ უპასუხა. არც თავი აუწევია. გული სწყდებოდა, თუმცა ცხენისა და ცხენოსნობის დიდი მოყვარული არასოდეს ყოფილა... მაგრამ შორეული წინაპარი ხომ (კაცმა რომ თქვას, არც ისე შორეული) ქვეყნისა და მამულის დასაცავად ხმლით ხელში ცხენზე ამხედრებული გადიოდა. ცხენი საუკუნეების მანძილზე ერისა და ქვეყნის სამსახურში იდგა, მისი კეთილდღეობის განუყრელი ნაწილი იყო. წინაპართა ლანდები დაუდგა თვალწინ, თითქოს მათაც გაიზიარეს დაფეთებული ცხენისა და უნაგირიდან გადმოგდებული, უგულო მხედრის დანახვით გამოწვეული ნალველი.

— ცხენს ახლა ჩემი ოთო დააჯირითებს! — მეგობრის სიტყვებმა ფიქრიდან გამოიყვანა.

— ოთო? — გიორგიმ გაკვირვებით ახედა.

— ჰო, ოთო, შვილია ჩემი...

— დააჯირითებს?

ლიმილით ჩახედეს ერთმანეთს ლებში.

— მეექვსე კლასში სწავლობს, ხატავს, მუსიკაზე დადის და იპოდრომზეც.

— კი მაგრამ, ამ ხელოვნური თანამგზავრების საუკუნეში... — წამოცდა გიორგის, უცებ მეგობრის ნაცვლად შეშინდა, — კაცო, ბავშვს რომ რამე დაუშვადეს, არ გეშინია?

მეგობარსაც შიშის აჩრდილმა გადაურბინა სახეზე. ჩანდა, ბევრი ეფიქრა ამაზე.

— მაგრამ იცი, გაჭენებულ ცხენზე რა ლამაზია? — ბედნიერი, მეოცნებე კაცის ღიმილმა გაუნათა პირისახე მეგობარს.

გიორგი შეცბა.

— აა, — თვითონაც გაბადრულმა წამოიძახა და წამით ისინდევით გაქროლებული ცხენი და ბიჭი წარმოიდგინა. მართლა დიდებული სანახავი იქნებოდა.

შემდეგ ერთხელაც აავლ-ჩაავლო თვალი მეგობარს და გულიდან ნალველი სულაც გადაეყარა. მეგობარი ისევ ისეთი გახლდათ, როგორც მაშინ, ადრე, იპოდრომზე ცხენს რომ დააქროლებდა ხოლმე.

ნურცა მეგობარსა...

ძუკუ ტახტიდან ნელა, ზმორებით წამოდგა. ტილოფის ქუდი დაიხურა და შიშველ ფეხზე ფლოსტების ფლატუნით უქანა ეზო მოიარა, ხილის ხეები უგულოდ შეათვალიერა. ღმერთმა იცის, თავისი შესაფერი ხელმოსაჭიდი საქმე ვერაფერი იპოვა თუ ეპატარავა იქაურობა, უხალისოდ გამობრუნდა. მერე ჭიშკარს მიადგა და შარავზის გასწვრივ, რკინიგზის ლიანდაგს გაღმა, ზღვის ნაპირს რომ გახედა, პლაჟზე ჩასეირნება მოუხდა.

ნაშუადღევის მზე აცხუნებდა. გავარჯარებული ჰაერი თითქოს უმოძრაოდ იდგა და უკიდევანო, მოლაპლაპე ზღვაც ზუსტად ჰორიზონტამდე უხმოდ ციმციმებდა.

ტილოგადაფარებულ ჩარდახქვეშ სელაპებივით ერთიმეორეზე მიწოლილი დამსვენებლები შორიდან შეათვალიერა.

„გადაჰყვენ სხეულის გაკაქებას“. — გაიფიქრა და მოლუშულს, უნებურად გაელიმა. — ე-ე-ეჰ! — ამოიხვნე-

შა. ისევ გახედა დამსვენებლებს და მოულოდნელად ნაცნობს მოჰკრა თვალი.

გამოცოცხლდა.

ნაცნობს თითქოს უცხო, შორეული ქალაქის მიმზიდველობა ჩამოჰყოლოდა და ძუკუსაც იმწამსვე, შესაფერი თავგამოსაჩენი საქმეების ჩადენის სურვილი აღეძრა.

გადაეხვია სტუმარს, გადაკოცნეს ერთმანეთი.

დასასვენებლად თვითონ აღარასოდეს არსად ყოფილა. ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ არც დაფიქრებულა. სტუმარი პირდაპირ პლაჟიდანვე მიიწვია შინ. მისმა დანახვამ უსაზღვროდ გაახარა და დიასახლისიც მაშინვე დატრიალდა.

ქალს, მართალია, შორიდან ჩამოსული და უცხო სტუმრის შესაფერი და გასაბედი არაფერი ებადა. ძუკუს ოჯახში არასოდეს მოუტანია რაღაც, გარდა ფრონტიდან ჩამოყოლილი ზურგჩანთისა, რომელშიც გაყვითლებული საცელისა და შავი საპნის ნაკრის გარდა, არაფერი იყო. ჯარგვალი, ერთი მარჩენალი ძროხა და ორიოდ წიწილა გააჩნდათ. ეგ იყო და ეგ... მაგრამ მათ გვარს საუკუნეების მანძილზე მოსდგამდა ხელგაწლილობა და სტუმართმოყვარეობა და დიასახლისმა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა და სუფრას დაამშვენებდა, ტაბლასზე დადგა და დააწყო — დოქით ღვინო, პური, ყველი, ახლად დამყავებული კიტრი და მწვანელი, მოგვიანებით ხიდან საგულდაგულოდ ჩამობერტყილი ხილიც შემოუმატა.

სტუმარი აღფრთოვანდა, აქო მასპინძელი, მისი სამშობლო, დიდებული ზნე-ჩვეულებანი. ძუკუ ამყად გაიმართა წელში. გულაჩუყებულს ერთი პირობა თვალზეც კი დაენამა, წამით საუბარი შესწყვიტა, ტაბლასთან მოფუსფუსე ქალს მრავლისმეტყველად ახედა და რატომღაც თვალწარბი აუთამაშდა.

— 99

— მერე... რამე საჩუქარზეც თუ

ფიქრებ, კარგი იქნება! — ხმადაბლა აცნობა.

„სულელია ეს კაცი!“ — მისდა უნებურად გაუელვა ქალს და გაოცდა, წამოწითლდა. — აბა რა, რა თქმა უნდა! — მხურვალედ დაუმოწმა შემდეგ.

საუბარი გაგრძელდა.

სტუმარ-მასპინძელმა მრავალ საჭირობორტო საკითხზე ისაუბრა. მომავალს იმედიანი თვალით შეხედეს, იმსჯელეს, მართლა სამართლიანი, მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს და დიასახლისიც მშვენიერ გუნებაზე დადგა — იქნებ ჯარგვალს ეშველოსო, იფიქრა, საკუთარი ინიციატივით ბოლო ორ ვარიასაც წააცალა თავი და სუფრას უფრო დაამშვენა.

— გაწუხებთ. — მოუბოდიშა სტუმარმა.

— რა ბრძანებაა, — თავზიანად გაუღიმა ქალმა.

მოიცა, გამოჩნდება, კიდევ რამე-რამეები! — ძუკუმ ხელისგულები ერთმანეთს მისარისა, — ჩავუშვით? — დოქს წაეპოტინა და უნებურად, ეს უკვე მერამდენედ, მეგობრის ხალათზე ბრჭყვიალა სამკერდე ნიშანს შეავლო თვალი. ეუხებრბულა, რადგან სტუმარს მისი მზერა ამჯერადაც არ გამოჰპარვია.

შეიშმუშენენ.

— კარგი ღვინოა, — ჩაახველა სტუმარმა. — შენი დაყენებულია?

— კი, ჩემია.

— მშვენიერი კარ-მიდამო გქონია, — მსხალი, ვაშლი, ატამი, ბოსტნეული...

— ეეჰ, დიდი არაფერი.

— ვაზიც ბლომდაა... საკუთარი ღვინო, არაყი, ხომ?

— ძროხაც გყავს ერთი! — ცოტა არ იყოს, ირონიულად წამოსცდა ძუკუს, და — ეეჰო! — ისევ თავმდაბლად ჩაიქნია ხელი. — მთავარია, მშვიდობა იყოს, მშვიდობა და ჯანმრთელობა...

— აი, აი, აიი, — თავი გადააქნია სტუმარმა, თითქოს უსაყვედურა — მე კი ღარიბი კაცი მეგონე.

მასპინძელმა ერთი ახედა და უნებურად ისევ სამკერდე ნიშნისკენ გაექცა თვალი.

— რაო, მოგწონს?

— კარგია, — გამოტყდა ძუკუ. დღემილი ჩამოვარდა.

— ზღვა, თითქოს შედედებულაო, მაწონივითაა, — ჩაიდუღუნა მასპინძელმა და შარავზის ვადალმა პლაცს გახედა. შემდეგ სამფეხა სკამზე შეირხა, ხმადაბლა წაილიღინა:

„პარალე-პარი-პარალეე...“

მერე ისევ ქალს მიაჩერდა:

— ქალო, საჩუქრისა თუ მოიფიქრე რამე?

— არაყი?

— აჰ, აჰ!

— აბა?

— მოვიფიქრებთ... ყოველ შემთხვევაში სტუმართან არ უნდა შევრცხვეთ.

— აბა როგორ, რა თქმა უნდა! მაშინვე დაუმოწმა დიასახლისმა, რადგან თვითონაც ფრიად დიდ პატივსა სცემდა და აფასებდა, იცავდა ადათ-წესსა და ტრადიციას.

კარგა ხანს იჭყლიტეს ტვინი, ბევრს ეწვალნენ, მაგრამ სტუმრის შესაფერი და საკადრისი საჩუქარი ვერ გამოძებნეს. ძუკუ დადარდიანებული იჯდა ტაბლასთან.

— არა, არ ვარგა, — უარესად შეწუხებულმა დაუმოწმა სტუმარს, რომელმაც ამჯერად უკმაყოფილება გამოთქვა პლაცზე სიგარეტებით მოვაჭრე ვილაც ტიპის მისამართით.

— მიწის ნაკვეთი რომ ვაჩუქოთ? — თქვა ძუკუმ და დიასახლისი შეათვალიერა.

— ნაკვეთი? — ქალმა მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, ძალიან კი მოსწონს აქაურობა:..

— არა, არა... აგერ, ჩვინგიამ ხომ გააჩუქა და მტრალაც მოიკიდა ის ცხრამთასიქეთური მოყვარე.

ძუკუ დადუმდა.

ბინდი წვებოდა, როცა დაუსაჩუქ-

რბელი სტუმარი წამოდგა. კისკართან მასპინძელმა სახელოში ჩაავლონისხედა და ნამეტანი აფორიაქდა. არაფრით არ უნდოდა სტუმრის ასე ხელცარიელი გაშვება. ჯარგვლისკენ შებრუნებულმა მიიხედა-მოიხედა. სახეირო არა ჩანდა-რა, გაღმა ეზოშიც მეზობლის ბატებილა ყიყინებდნენ... რალაც ბედად, უცებ ღობესთან მდგარმა ძროხამ მმუუუო, — ხმადაბლა დაიზმუვლა და ძუკუსაც გონება გაუნათდა, მონუსხულივით მიაჩერდა პირუტყვს.

— მოიტა თოკი! — არც მოუხედავს, ისევ წამოიძახა.

— რრ-რაო? — დიასახლისს სიცილი წასკდა, ტუჩებზე ხელი აიფარა.

— თოკი-მეთქი!

ქალი ძლივს იკავებდა სიცილს, მაგრამ სარზე მივდებული ბაწარი მინც მიაწოდა. ძუკუ ძროხას რქებში სწვდა.

— რაშია საქმე? — სტუმარსაც რალაცის მოლოდინში ეღიმებოდა.

— ეგ ძროხა შენია!

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ!

სტუმარი მასპინძელს მიაჩერდა.

— ჰა-მეთქი!

სტუმარი უღიმოდა.

— შენ რა, მამასხარავებ თუ თავს ისულელებ? — გაეხუმრა ბოლოს.

— როგორ გეკადრება, ასეთია ჩვენი ადათ-წესი, — შორს დაიჭირა ძუკუმ.

— თქვენი ადათ-წესები მეც ვიცი, საჩუქარზე რომ უარი გითხრა, გეწყინება.

• — ჰოდა, ნუ მაწყენინებ! — ამყად იდგა ძუკუ.

— აი, კაცი, აი, ნამდვილი ქართველი! — აღფრთოვანდა სტუმარი, ბაწარი გამოართვა და ძროხას რალაცნირად ჩამოუსვა იდაყვი. შემდეგ ჯიბეში ჩაიყო ხელი, სამკერდე ნიშანი ამოიღო და მასპინძელს პერანგზე, ზედ გულთან მიაკრა. — აი, ძმაო, შენ ჯილდოდ!

— კაა-რგი რა! — ძალიან აღელდა ძუკუ.

— ეგ ჩემი საპასუხო საჩუქარია! —
ამაყად დადგა სტუმარიც, — იცოდე,
არ მაწყენინო!

ძუკუმ ჯერ სტუმრის სამკერდე ნი-
ჰანს შეხედა, მერე თავისიც შეათვალი-
ერა. — ერთნაირი იყო.

— ოოჰ, ჭირიმე შენი! — ცოტა არ
იყოს, თეატრალურად წამოიძახა და
ზვიადად, თავისი გვარის, მამულისა და
წინაპრის წინაშე ვალმოხდილმა, ბედ-
ნიერი კაცის იერით ჩააცილა სტუმარი
თავდაღმართზე.

ტაბლის ალებით გართულმა, ღიმ-
მორეულმა, კმაყოფილმა დიასახლის-
მა დაცარიელებულ, სიჩუმეჩამოვარდ-
ნილ ეზო-კარს გახედა და ელდა ეცა.

— ძროხა მართლა წაიყვანა? — გა-
ოცება ალებეჭდა პირისახეზე. — ასე
უნამუსოდ როგორ იჩუქა? — ტაბლის
გადასაწმენდი ჩვრით ხელში გარინ-
დულს დამცინავი ღიმილი გაუკრთა
ტუჩებთან.

საქმეს თავი ანება.

მოგვიანებით ჭიშკრის კარმა გაიჭ-
რიალა და მკერდდამშვენებული ძუკუ
ეზოში შემოვიდა.

— ახ-ვახ-ვახ! — წამოიძახეს მეზო-
ბლის ბატებმა და დადუმდნენ.

— კაცო, ეგ რა ჰქენი? — ესლა ჰქენი
თხა ქალმა.

— მერე რა მოხდა! — ბრაზი მოე-
რია ძუკუს. მაგრამ ცოლის თვალებს
რომ შეხედა, ჩაახველა. ყელი ჩაიწმი-
ნდა — კარგი რა, პირველი ხომ არაა.

— მიო უმეტეს...

— რაო, დაგენანა?

— ოხერო, არაფერს ვჩივი... შეგვი-
ხულებს, მტრად გადაგვეკიდება-მეთ-
ქი...

— არც ეგაა ახალი ამბავი! — დაამ-
შვიდა ძუკუმ. — ჩვენ ჩვენს ადათ-
წესს უნდა მივყევთ, აბა, თავს ხომ არ
შევირცხვენთ? — ხმას აუწია.

დღემ მშვენივრად ჩაიარა, თუმცა
თავიდან პირი არ უჩანდა. ხვალინდელ
დღეზე ხვლინდელმა დღემ იფიქრო-
სო, მალიმალ იმეორებდა გუნებაში
ძუკუ და თავის საყვარელ სიმღერას
ლიღინებდა:

„თარალე-თარი-თარალეე...“

ჯარგვლის კუთხეში მუხლებზე დაცე-
მული ქალი კი ღეთისმშობლის ხატს
ევედრებოდა: დედაო ღეთისა, დამი-
ფარე... ნუ მოგვივლენ სტუმარსა უღი-
რსაა... ნურცა შეგობარსა ცბიერსა...



სარკოფაგი

ტ რ ა ბ ე დ ი ა

რამდენიმე სიტყვა შურნალ „ცისკრის“ მკითხველებს

უკვე მრავალი თვეა ჩერნობილის ტკივილი არ მიყუჩდება. და ალბათ სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეტკიება, იმიტომ, რომ იქ, ჩერნობლში, ავიარის-თანავე იძენი რამ ვნახე — იმის დაეწევა შეუძლებელია.

ამ ტკივილით არის დაწერილი პიესაც, თანამედროვე ტრაგედიაა. ხან მსაყვედურობენ, ნუ ჩქარობო, მომხდარ ამბავს გააზრება, სიღრმეში ჩახედვა უნდა აუცილებლადო. ვუსმენ და არავის არ ვეკამათები, იმიტომ რომ ვიცი, თუ ჩვენ, ლიტერატორებმა ლოდინი დავიწყეთ, ადვილი შესაძლებელია, ისეთი რამ მოხდეს, აღარც არავინ დამწერი იყოს და აღარც არავინ ჩვენი პიესების მნახველი, ჩვენი მოთხრობების წამკითხველი... „სარკოფაგი“ გაფრთხილებაა. არა, ეს პიესა ჩერნობილის ამბების ილუსტრაცია არ არის, კონკრეტულ ფაქტებს მხოლოდ იმის გასააზრებლად მივმართავ, რაც დღეს ხდება... დედამიწის შვილებმა ერთი რამ უნდა გაიგონ და შეიგონ — ჩვენ ბირთვულ ხანაში ისეთივე ვიყავით, რომელი ხანაც ჩვენგან მოითხოვს როგორც მაღალ ზნეობრიობას, ისე ღრმა ცოდნას, სხვათადაც ყოველი ჩვენგანი ცალ-ცალკე და ყველანი ერთად შეიძლება რომ სარკოფაგში აღმოვჩნდეთ.

და კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა. ჩერნობილის შემდეგ ადამიანებს იმის მიხედვით ვაფასებ, თუ რა დამოკიდებულებას ამყდვენებენ ისინი მომხდარი ტრაგედიის მიმართ. და ეს დამოკიდებულება რენტგენით აშუქებს ადამიანის სულს. თუ კაცმა თანაგრძნობა და თანაღმობა გამოიჩინა, საერთო უბედურების უამს შემწედ გაუხდა მოყვასს და ყველა დასკვნა გამოიტანა ამ ტრაგედიიდან, იმაზე ალალია თქმა, ნამდვილად კაცური კაცი, ადამიანიაო. ზოგამ, პირობით, გულღვარძლიანობა, სილაჩრე, მეშხანობა (ვაი რომ, მსგავსი რამეც შემხვდა ჩერნობილთან დაკავშირებით) გამოავლინა, და ასეთმა ადამიანებმა ჩემთვის არსებობა შეწყვიტეს...

არ ვმაღავ, ბედნიერი ვარ, რომ „სარკოფაგი“ საქართველოში იბეჭდება. მე მიყვარს თბილისი, ყახეთი, საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, და რადგან იმათ თვითონ მშობლიურ ენაზე დავლაპარაკებო, ეს ამბავი კიდევ უფრო დაგვაახლოებს. განა ეს ბედნიერება არ არის?!

წლებულს „სარკოფაგის“ პრემიერას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დავესწარი — აესტრასასა და ინგლისში. შეეცინას და ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიაში, კიდევ ბევრგან, სპექტაკლს ყველგან გულმხურვალედ ხედებოდნენ. ჩერნობილის ტრაგედია სრულიად ჩვენი პლანეტის ტრაგედიაა. მაგრამ არ დავმაღავ, განსაკუთრებულმა გრძნობამ შემოპყრო ტამბოვსა და ბელგოროდში, სადაც სულ პირველად დაიდგა „სარკოფაგი“. ვიმედოვნებ, ასეთივე გრძნობა დამეუფლება თბილისისა და რუსთავის თეატრებშიც. „სარკოფაგი“ ხომ უწინარესად ყოვლისა საბჭოთა ადამიანებისათვის, ყველა ჩვენგანისათვის დავწერე...

აპრილი

ქ. მოსკოვი.
1987 წლის დეკემბერი.

მოქმედნი პირნი

ლიდა ჭიჭინა — პროფესორი.

ანა — მეცნიერებათა კანდიდატი.

ლევ სარაძე — ინსტიტუტის დირექტორი.

ვერა
ნადეჟდა
ლუბა

— ახალგაზრდა ექიმები,
პრაქტიკანტები.

პროკურორი.

კაილი — ამერიკელი პროფესორი.

გოძსი № 1. ველოსიპედისტი.

გოძსი № 2. დეიდა კლავა.

გოძსი № 3. მენაძე.

გოძსი № 4. შალო.

გოძსი № 5. ატომური ელექტროსადგურის
დირექტორი.

გოძსი № 6. დონიშვილისტი.

გოძსი № 7. ოპერატორი.

გოძსი № 8. შინაგან საქმეთა სამინისტროს
გენერალი.

გოძსი № 9. ფიზიკოსი.

გოძსი № 10. ბესმერტნი, იგივე კროლიკი.

ინსტიტუტის თანამშრომლები.

მოქმედება, სამწუხაროდ, ჩვენს დღეებში ხდება.

მოქმედება პირველი

რადიაციული უსაფრთხოების ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილება. დიდი ჰოლი, სადაც დგას რბილი, მოხერხებული სავარძლები, — აქ ჩვეულებრივ დილის ოპერატიული თათბირები იმართება. მარჯვნივ თხელი გამჭვირვალე თეჯირის უკან მორიგის მაგიდაა. მაგიდაზეა მინის თალფაქით დახურული ტელეფონი, მაგიდის ლამპა. სცენის სიღრმეში ბოქსებია განლაგებული. ყოველ ნახევრად გამჭვირვალე კარს ნომერი აწერია.

1

შუქი ანთია მხოლოდ № 10 ბოქსში, დანარჩენებში ბნელა. ბოქსიდან გამოვა ბესმერტნი. აქეთ-იქით იხედება, მორიგის მაგიდისკენ მიიპარება. თალფაქის ახლას ცდილობს, მაგრამ გასაღები საჭიროა, რადგან რაფერი გამოევა. შემოდის ანა, ბესმერტნიც უთვალთვალებს.

ანა. გასაღები მე მაქვს, ვის ურეკავ?
ბესმერტნი. ჩვენი ვნებები ჩვენზე ძლიერი... ვის ვურეკავ? სულ ერთია, ოღონდაც აღამიანის ხმა გამაგონა. მომწყინდა მარტოს... თქვენ რა, ქალბატონო ანა, შევბუღება უკვე დაგიშთავრდათ? ჩემი ანგარიშით, სამი დღე კიდევ უნდა გეხეირნათ.

ანა. სერგეევმა მოხივრა, აღრე გამოდიო. ორ კვირაში კონფერენციაა — გამოსასვლელია (ჰოლში გამოდის, სავარძელში ჩდება.) დავიდალე შევბუღებაში.

ბესმერტნი. აკი გირჩიე, სამხრეთში წადი,

სანატორიუმში-მეთქი. აგარაკზე რას დაისვენებ? სტაფილოს კვლებიო, ბლებიო...

ანა. ბლობამდე ჭერ კარგი სამი კვირაა დარჩენილი.

ბესმერტნი. საერთოდ, აგარაკზე საქმეს რა გამოლევს. თუმცა აგარაკი არასოდეს არ მქონია, მაგრამ, ვიცო, რომ ბევრი დავიდარება უნდა... სამხრეთში სულ სხვა იყო, ალუპკაში. პროფკავშირებმა მომცეს საფურთი... ათი წელიწადი იქნება იმის მერე, მაგრამ სამხრეთი კარგად დამამახსოვრდა... ბანაობით არ მიბანავია, უკვე ცივოდა — არ ვიცო. დეკემბერი იყო



თუ იანვარი, ოდონდ ბანაობა რომ ძალიან მიწოდდა. კარგად მახსოვს, ერთხელაც უკელი გავისველით და ზღვაზე წავიდით ბიჭები. ის იყო, გახდა დავიწყეთ, რომ თავს მესაზღვრეები წამოგვადგინენ...

ბნბ. აბა ალუპკაში მესაზღვრეებს რა უნდათ? ბესსმირტნი. არა? მაშ, მილიცია უოფილა. ერთი სიტყვით, წყალში ფეხი არ შეგვადგმენინეს. ბედი არ გინდა! ჩემს სიცოცხლემში ზღვაში ვერ ვიბანავე... შევბუღება რომ დამგმთავრებიათ, ძალიან კარგია. აქ სულ დროებითი მორიგებები არიან, მშობრები. აიფარებენ ნიღაბს და აღარ იხსნიან... ვცადე დაულოებია, მაგრამ საქმეში ხარ!.. როგორც კეთროვანს, ისე გამიბრბიან...

ბნბ. შენ უკვე მეთათვი გადახვედი? ბესსმირტნი. ძველში მომბეზრდა. ცოტა ხანს ვიქნები მეთათვი, მერე მებუთემში გადავალ — მაინც შუაშია. ან იქნებ სულ პირველით დამეწყუო?

ბნბ. როგორც გინდა... კროსვორდები მოგიგროვე. უკელა გაზეთიდან (ამონაპრებს აწვდის). ბესსმირტნი. არ მივიწყებდით, ესე იგი. მაღლობელი ვარ, მაღლობელი... უთქვევროდ მოწყურნობი ვიყავი. ინტელიგენტ ადამიანთან ურთიერთობა მაინც სულ სხვაა.

ბნბ. ინსტიტუტში ახალი პრაქტიკანტები გამოჩნდნენ. ახალგაზრდა ექიმები არიან, ატომურ სადგურებში მუშაობენ. წინააღმდეგი თუ არ ხარ, წარგადგენ.

ბესსმირტნი. განა შემიძლია თქვენთვის უარის თქმა, ქალბატონო ანა? თქვენი თხოვნა ჩემთვის კანონია. რადგან მედიცინას სჭირდება, მზად ვარ სამსახურად!

ანა მორიგის მაგიდასთან მიდის, გასაღებით აღებს თალფაქს, კრფებს ნომერს.

ბნბ (ყურმილში). გელოდებით... სამინ? კი, კი, ქალბატონო ლიდა, უკელაფერს დაწვრილებით ვუამბობ. მესმის, რომ მაგათ აუცილებლად უნდა იცოდნენ... ველოდებით...

ბესსმირტნი. მოიანა?

ბნბ. ორანფერეაში არიან.

ბესსმირტნი. მე იქ ნამყოფი ვარ — ექსკუსიასაზე ვიყავი. სერგეევმა დამართო ნება. საინტერესოა. მერე რა თეთრი სოკო იცის! მეც ავდექი და აი ამ ოთახის ხელა... სოკოს მოყვანა შევთავაზე. ბარემ ოიხსულიან ოჯახს ერთბაშად ეთოფა-მეთქი. გინდა შეწვით, გინდა მოხრაკეთ, ის კი არა, სოკოს საწებლის მომარაგებაც შეიძლება-მეთქი. იქ ერთი სანდომიანი... კიხისა ლაბორანტი ქალიშვილია... „თქვენ რა, სტრონციუმი და ცეზიუმი დაგვიწვდათო?“ მომიგო პასუხად და გადაიკისკისა. დამავიწყდა და ისიც მე? ასე რომ, ძვირფასო ქალბატონო ანა, ისწავლეთ თეთრი სოკოს რადიაციისაგან გასუფთავება, და მთელ ქვეყანას დათვის სოკოთი ავაკსებთ.

ბნბ (ილიმება). ნამდვილი ფანტაზიორი ხარ, ბესსმირტნი. მაგათ ვცოცხლობ, თქვენს მეცნიერებას ვარ მიჩაპუული. ბოლიში, საცაა სტუმრები მოვლენ, ცოტა უნდა მოვწეროგდე. არა უშავს, რა, დამიცადონ.

გაღის თავის № 10 ბოქსში. გამოჩნდებიან ვერა, ნადედა, ლუბა.

მირბ. მგონი, სწორედ აქ უნდა მოვსულიყავით.

ნადედა. აქ დამაზია. სრულებითაც ის არ არის, რაც ქვევით იყო.

ბნბ. მომბრბადლით... გამარჯობათ... გელოდებით.

ლუბა. უცნაური შენობაა.

ბნბ. ეს სპეციალური ბოქსებია. იმათთვის არის, ვისაც მეოთხე სტადია აქვს...

ნადედა. ცარიელი რომ არისი

ბნბ. საბედნიეროდ, ეგერა. ჭერჭერობით მხოლოდ ერთი პაციენტი გვყავს.

მირბ. მაშ, ამდენი რაღა საჭირო იყო?..

ბნბ. როცა ინსტიტუტი იქმნებოდა, ვფიქრობდით, რომ ცარიელები არ დარჩებოდა. მაგრამ ვიშეორებ: საბედნიეროდ, პაციენტები ცოტალი გვყავანან...

ლუბა. და ალბათ დიდხანს არ ჩერდებიან, არა?

ბნბ. უმთავრესად — კი. მაგრამ არის გამოწყალისი. სწორედ ის მინდა, რომ გიჩვენოთ... (გერა შექანთებულ № 10 ბოქსზე უჩვენებს, ანა თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.) ქვემოთ მოგეწონათ?

ნადედა. მეორე სართული... საშინელებაა. თანაც საცოდაობაა. განსაკუთრებით ძაღლები არიან ცოდონი.

ლუბა. თითქოს ყველაფერი ესმით...

მირბ. არ გინდა.

ბნბ. სისასტიკა, რასაკვირველია, მაგრამ საჭიროა.

მირბ. მე მეორე სართულზე ჩასვლას ვითხოვ.

ლუბა. მე კი პირველზე ჩავალ — იქ მცენარეებია, ისინი ძაღლებითო და კატებითო თვალეში მაინც არ დამიწყებენ ცქერას.

მირბ. ცოტაც რომ შევუმსუბუქოთ ტანჯვა, ისიც საქმეა...

ნადედა. მე მაინც ლუბასთან წავალ.

ბნბ. მაგას სერგეევი გადაწყვეტს. უურს კი დაგიგდებთ, მაგრამ გადაწყვეტით თვითონ როგორც უნდა, ისე გადაწყვეტს.

ლუბა. რაღაც რბილი, კეთილი კაცი მეჩვენა...

გამოჩნდება ბესსმირტნი. ელევანტური კოსტუმი აცოცა, თეთრ პერანგზე ცისფერი პებელა უკეთია.

ბესსმირტნი. აი მეც აქა ვარ.

ბნბ. სიტყვები არა მყოფნის!

ბესსმირტნი. იმის მერე, რაც გვარი გამო



ვიცვალე, ცხოვრების წესიც შევიცვალე, ქალბატონო ანა!

მპრ. ბოდბეში, როგორ თუ გვარი გამოიცვალეთ?

ბესსმირტნი. უბრალოდ: ავდექი და ვაშლი ვიკვალე! ... ამრიგად, სრულ თქვენს განკარგულებაში ვარ. მიმსახურეთ. რით დავიწყოთ? თუ შვენიერი ქალბატონი ანა თანახმაა, იქნებ პატარა შესავალი დამეწყოს, მერე კი თქვენს კითხვებზე ნაიშვინებით გიპასუხებდით. ჩემო ძვირფასო სტუმრებო.

ანა. წაიფიქრებ. აუცილებლობის შემთხვევაში აქა ვარ (მორიგის მაგიდისკენ მიდის).

ბესსმირტნი. დაბრბადით. ვაზოვთ (ნადეჟდის მკლავში ხელს სტაცებს, ის ინსტინქტურად გვერდზე გახტება)... ო, ნუ დღეღვთ: თქვენთვის მე არავითარ საშიშროებას არ წარმოვადგენ, სულ სხვაგვარად ხართ საშიში თქვენ ჩემთვის, მაგრამ მე გადავწყვიტე ჩემი შინაგანი შიშის დაძლევა, იმიტომ რომ მეცნიერების უსაზღვროდ ერთგული ვარ, მონა ვარ მისი, და ეს შეგნება მშველის სისუსტეთა დამარცხებაში, ასე რომ ახსიათებს ადამიანს, მის სულსა და მის ორგანიზმს...

ანა. იქნებ ეგრე ამაღლებულად არ იყოს საჭირო....

მპრ. რატომაც არა... აშხანავო...

ბესსმირტნი. ამ მომენტში ჩემი გვარია — ბესსმირტნი. მე თვითონ ამოვიჩიე. ოპტიმისტურად უღერს, ხომ მართალია?

მპრ. კი... რასაკვირველია...

ნადეჟდა. ადრე რა გვარი გქონდათ?

ბესსმირტნი. ადრე კროლიკი ვიყავი... დიახ, დიახ. სწორედ ის კროლიკი, ოღონდ ადამიანი კროლიკი! მეორე სართულზე რომ არიან, ისინი ადამიანები არ არიან. გამიგეთ?

მპრ. მერე, რატომ გამოიცვალეთ?

ბესსმირტნი. მე ემოციების კაც ვარ. მაშინ საშინელად ხანსიაზე ვიყავი, იმიტომ რომ ქალბატონ ლიდა პტიცინასთან კონფლიქტი მქონდა. მან დისერტაციის მხოლოდ ექვსი გვერდი მომიძღვნა, მე ვიწყინე და არც დამიძალა. მაგრამ ახლა, როცა უკვე გამოქვეყნებულია სერგეებისა და პტიცინას სამი სტატია, მიხვდი, რომ მართალი არ ვიყავი ქალბატონ ლიდის მიმართ. ის მუშაობს, მათსებს... მეც ავდექი და ბესსმირტნობა ვარჩიე... ისე, თუ რამე მოხდა, ძველი გვარის დაბრუნებაც შემიძლია...

ნადეჟდა (დაბნეულად). არაფერი არ მესმის! ბესსმირტნი. ეს არც ისე ადვილი საქმეა. იმიტომ დავიწყეთ. მაშ. მოისმინეთ ჩემი შესავალი სიტყვა... მე, რასაკვირველია, შემეძლო, რომ სულაც ჩამეკითხა, როგორც ამას ყველა წესიერ პრეს-კონფერენციაზე შვრებიან, — ტექსტი ბოქსში მაქვს. მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენმა შეხვედრამ უფრო პრივატული, ინტიმური საუბარისათვის განვკაფო, ამიტომ ზეპირად ვიწყებ!

ცენის უკანა ნაწილი განათებას იწყებს.

... მე აქ ვარ 147-ე დღეა. თავისთავად ეს ფაქტობრივად...

ტი ერთადერთი მსოფლიო მედიცინაში. ასე რომ, ჩემო თვალწარმტაცო სტუმრებო, ბედმა ძალიან გაგიღმათ. მე კარგად მესმის, რომ ეს ოდენ დაუჭერებელ. თითქმის ფანტასტიკურ ფაქტში ჩემი დამსახურება არც იმდენად მნიშვნელოვანია. მთავარი, რასაკვირველია, პროფესორების — სერგეების, პტიცინას და, რაღა თქმა უნდა, ქალბატონ ანას ცოდნა და ოსტატობაა. მაგრამ არც ის წვლილი მიწა დავაკინო, რომელიც მეცნიერებაში მაქვს შეტანილი ჩერ მართო თქვენსმეტი ოპერაციის გადატანა თქვით — ამათგან შვიდი ძვილის ტვინის გადასანერგავად, სამი — ფლტოვის. ექვსიც — ღვიძლის... ამ მოვლენებზე, ქალბატონო ანა, კიდევ სამი ან ოთხი დაგვიკვირდება არა?

ანა. ვფიქრობ, სამზე მეტი არ უნდა დაგვიკვირდეს.

ბესსმირტნი. მაღლობელი ვარ... ამრიგად, თქვენსმეტი ოპერაციის გადატანას ყველა როლი შესძლებს... რის გამოკრვევა მოხერხდა ეს ოდენ უნიკალური — ხაზს ვუსვამ, მსოფლიოში ერთადერთი — ექსპერიმენტის დროს? უწინარესად ყოვლისა ჩვენ ჩერ კიდევ საკმარისად არ ვიცნობთ ადამიანის ორგანიზმის შესაძლებლობებს სხივური დაჯადებით მისი დაზიანების შემთხვევაში, თანაც, არ დაგვიწყუდეთ. მეოთხე სტადიის დაზიანების დროს!

მპრ. შეუძლებელია.

ბესსმირტნი. აბსოლუტურად გეთანხმებით — ადამიანი სულ რაღაც რამდენიმე დღეში იღუპება! მე კი, როგორც მოვარც მყოფრვით, ცოცხალი ვარ და გესაუბრებით კიდევ. ჩემი ექსპერიმენტის ისტორია დღეისათვის გადმოცემულია თოთხმეტ სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც მომზადებულია ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, ორი იმათგან მალე პრესაშიც გამოჩნდება, ჩემზე მოხსენდა აგრეთვე სამ უდიდეს საერთაშორისო კონფერენციას, სადაც წასული იყო ჩვენი დირექტორი ლევ სერგევი. ორ სადოქტორო დისერტაციაში განხილულია ექსპერიმენტის ერთ-ერთი ასპექტი. სახელდობრ კი — ჩემი ძვილის ტვინის გადაწერვისა და ადამიანისათვის თავისებურებანი. ქალბატონი ანა ჩემი ღვიძლის მიხედვით მუშაობს დისერტაციაზე... თუ არ გასცნობიხართ, მზად ვარ, რომ წარმოგიდგინოთ ჩემზე დაკვირვებით შექმნილი და გამოქვეყნებული შრომების სია...

ნადეჟდა. მე წვაივითე და, მართალი რომ გითხრათ, არა მჭეროდა. ესე იგი, „პაციენტი კ“ თქვენ ბრძანდებით, არა?

ბესსმირტნი. ეგ ა ჩემი წინანდელი გვარის „კროლიკის“ პირველი ასოა.

ვლადიმერ გუზარაძე
სარტოვანი



ლუბა. ნამდვილი... რომელია?

ბისსმპრტნი. ჩათვალეთ, რომ დამავიწყდა.

ანბ. მაგას ნუ ეკითხებით. აქ გვარები არ არის, აქ მოსვლის უფლება არავის არა აქვს...

ლუბა. ბოლინი. ვიცი. წამომცდა.

ბისსმპრტნი. ჩვენი კაციენტების შესახებ ყველა ცნობის მიღება შეეძლება ჩანმრთელობის ხანინისტროში. თუკი... თუკი ვინმეა ცნობის მომცემი.

მპრბ. რა გაქვთ მხედველობაში?

დადიონი სცენის უკანა ნაწილში თანდათან სულ უფრო გამოიკვეთება.

ბისსმპრტნი. ჩემს შესახებ ვერავინ მოგცემთ... ჩემი ამბავი ძალიან რომანტიკულია (გამოცოცხლებდა). მიუვარდა კიდეც და ვუყვარდი კიდეც. თოვლივით თეთრი. ღამაში ქალი იყო — ყოველთვის, ვადმერთებდი ქერა ქალებს მაგრამ ერთხელ სხვას შეხვდა. შავტუხა ბიჭს, როგორ ბიჭებსაც ხშირად აჩვენებენ ტელევიზიით! შეხვდა და ვეღარ გაუძლო ახალი სიყვარულის ცეცხლს... თქვენთვის ალბათ ნაცნობი ამბავია. არა?

ლუბა. ხდება ხოლმე.

ბისსმპრტნი. სწორედ იმ ცეცხლმა დაგვლუპა, ისიც და მეც. ვიტანჯებოდი, ვწვალობდი. სიცოცხლე მომბეჭრა; სიკვდილს დაუწყვეტებნა და, ერთხელაც, გონებაწართმეულმა, იზოტაქების ლაბორატორიულად პლუტონიუმის ამხელა მოვიპარე — უთუოდ მოგეხსენებათ, რადიაციის რა ძლიერი წყაროც არის პლუტონიუმი — და გადავყვარდი. ისეთნაირი სიკვდილი მიჩლოდა, რომ სამუდამოდ დავხსომეხოდი ჩემს ქერა მზეთუნახავს. და ის შავი ბორცოქმედი კი...

ანბ. მამ (ახველებს).

ბისსმპრტნი. რა ვქნა, ქალბატონო ანა, ძალიან მიჭირს ამქერად, ალკოჰოლზე ლაპარაკი... ბრძანებულებაა გამოსული, ამდენს ებრძვიან...

ანბ. ამათთან შეიძლება.

ბისსმპრტნი. მაინც მრცხვენია... გამიგეთ — სად სამი ღამაში ქალი და სად ალკოჰოლი, არა, არ შემოძლია.

ანბ. ამ ჩვენს მერუვებაში მყოფმა, კარგა გვარისადაც მთვრალმა, პირდაპირ დანადგარის გვერდით დაიძინა. სამწუხაროდ, ვერავინ ვერ შენიშნა. ცა დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. რადიაციის საერთო დოზამ ექვსას რენტგენზე მეტი შეადგინა. ჩვენთან უგონოდ მოიყვანეს...

ბისსმპრტნი. ეგ საეკვო ვერსიას! მაგრამ თქვენ ანა როგორ დაგიწყებთ დავას, ქალბატონო ანა, თუმცა იმ ქერა ქალისა და შავგვრემანი ბიჭის ამბავს, ჩემი აზრით, აღმზრდელობითი მნიშვნელობაცა აქვს, ჩვენ კი, მე და თქვენ, უნდა ვზრდიდეთ ახალგაზრდობას.

მპრბ. წელიწადზე მეტია სულ ამ ბოქსში ხართ?

ბისსმპრტნი. 487 დღე და ღამეა... ისე, მართალი გითხრათ, სამი ექსკურსია მქონდა ჩერ პირველ სართულზე. ერთხელაც — მეორეზე. მაგრამ ჩემთვის არ შეიძლება ულტრაიისფერი ფარდის მიღმა ყოფნა. იმუნური სისტემის დაღვრა არ ხდება... მე არ შემოძლია მიკრობთა სამყაროში ცხოვრება, აი რატომ არის, რომ ყველამ სპეცტამბური უნდა გამოიაროს, ვისაც კი აქ შემოსვლის უფლებას აძლევენ. მაგრამ ქალბატონი ანა იმედოვნებს...

ანბ. ბევრი რამ გაუგებარია.

მპრბ. და ასე იქნება მუდამ?

ანბ. ჭერჭერობით.

ბისსმპრტნი. მაგრამ თავს აქ მშენებვად ვგრძნობ.

ნადემდბ. ბოიშს ვიხდი, მაგრამ ძნელი დასაჭერებელია... თქვენ, ალბათ, გყავთ ცოლი, ბავშვები, ნათესავები...

ბისსმპრტნი. მე წარსული არა მაქვს. ყველაფერი დამავიწყდა... ყველაფერი! მე არ ვიცი, რა არის ცოლი და ახლობლები! ჩემი ახლობლები, ვინც ჩემს გარშემოა, ესენი არიან. ქალბატონი ანა, დაეცა, ყველა, ვინც აქ მუშაობს. ამ კედლებს იქით კი არაფერია. გესმით, არაფერი!

ანბ. წყნარად... (ნადეკდას). მაგის შეკითხვა საჭირო არ არის.

ნადემდბ. როგორ?

ანბ. აქ მხოლოდ ისინი ხდებიან. ვისაც დასხივების დოზა მეოთხე სტადიაზე მეტი აქვს... ბევრად მეტი. ესე იგი, აქედან მხოლოდ ერთი გზაა... როგორ ავიხსნათ? სისასტიკეა? არა, პირიქით, — ჭუმანურობაა... ჩვენს კაციენტებთან ახლობლებს არ შეუძლიათ შეხებოდა, ისინი ამთ გვერდით ვერ იქნებიან... ხომ წარმოგიდგენიათ, რა არის იმუნიტეტის უქონლობა? თეორიულად კი არა, პრაქტიკულად? ერთი ბეწოც რომ გაგეაწროს ან ძიძიბი გამოგივადეთ, ინიქცია ზედა გაქვთ. ულტრაიისფერი დაცვის გარეთ ყოველი მიკრობი სიკვდილიან... ის კი არა, დამარბვითაც დამცველი ვმარხავთ, იმიტომ რომ სხეული ასხივებს...

მპრბ. მაშ ეს ყველაფერი რიდასთვის არის? (გარშემო უჩვენებს).

ანბ. იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ დავძლევთ იმ ექვსას რენტგენს, სიკვდილი რომ მოაქვთ. ამან (ბესმერტნიზე უჩვენებს) პირველი ნაბიჯი გადადგა. სწორედ ამის წყალობაა, რომ უკვე ცოტ-ცოტა რაღაც-რაღაცების გაგება დაიწყო. პირდაპირ გმირობაა, რომ ცოცხალია, გვეზმარება, თუმცა თავის წარსულს კი მოკლებულია. იძულებული ვაზდა, რომ წარსულზე უარი ეთქვა. შორიდან ეს ამბავი გაუგებარი ჩანს.

ლუბა. დანარჩენები...

ანბ. ცოტანი იყვენ, სულ რამდენიმე კაცი, მაგრამ ისინი ჩვენს შორის აღარ არიან.



ბესსმარტნი. ქალბატონო ანა, რომელი ამ-
ოვირჩიოთ სამთავან?

ანა. ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?
დავიღოთ უკანა პლანზე სულ უფრო კაშკაშ-
დება.

ბესსმარტნი. მე ძალდატანება არ შემძლია.
გოგონებო, რომელს გიყვართ კროსვორდების
გამოცონება?

მირა. თუ წინააღმდეგი არ ხართ, მე ვთხოვ,
რომ აქ დამტოვონ...

ბესსმარტნი. მადლობელი ვარ, ლამაზო! მა-
რთალი თუ გინდათ, აქ სასტიკად ვარ მოწყუ-
ნილი. ტელევიზორით საერთოდ არც არაფე-
რია საყურადღებო, ყველაფერი დაუჭერებლად
აშკარა... თავისუფალი კაცი ვარ, მეტადრე
დღის მეორე ნახევარში. დილით რაც უნდა
იყოს დირექტორი ოპერატიულ თათბირს მინც
მართავს... ვლავახობო, რადიაციული მედიცინის
ბოლო მიღწევებს განვიხილავთ...

ანა. ჩვენი კოლეგა ფრიად მომზადებულია
ამ დარგში. მართალია უნდა ითქვას, ჩვენ ხში-
რად მივმართავთ ცნობებისთვის.

ბესსმარტნი. ორი სტატია მოვუშვადე სამე-
დიცინო ენციკლოპედიას. როგორც ქალბატონა
ანა ბრძანებს, რედაქციას მიუღია.

მირა (ილიძეა). მერე მონორაო ვისია?

ბესსმარტნი. ო, მაგაზე არ მიფიქრია! იქნებ
ჯანმრთელობის დაცვის საპირიებათათვის გა-
მოვიყენოთ, მა?.. ან არადა, ჩეხოსლოვაკიიდან
კროსვორდებიან უურხალს გამოვიწერ, ამბო-
ბენ, ერთბაშად ახ კროსვორდს ბექდავენო. ნა-
მეტანი გატაცებული ვარ ამ ამბით. მოგახსენე-
ბათ, ჩვენს თავში სხვადასხვაგვარ ცნობათა
უდიდესი რაოდენობაა. მაგრამ სისტემატო-
ცია არა აქვს. მე მწყობრი სისტემა მოვიგონე,
რათა საპირო სიტუვა უმაღ წამოტეკავდეს მე-
ხსიერებაში. ამისთვის საპიროა, რომ მილიარ-
დ ნეირონი განსაზღვრული წესრიგით განლაგ-
დეს... მეტი არაფერი არიან აღმიაინები, რომ-
ლებსაც შეუძლიათ ექვსნიშნა ციფრების გამ-
რავლება ან გაყოფა. ასე და ამრიგად, ვქმნით
საგანგებო ცხრილს...

განსხვავებული განგაშის სივალე. კაშკაშით ინთება
წითელი ნათურები, შორს ისმის სირენის ხმები.

მირა. რაღაცა მოხდა?

ანა. რა უნდა იყოს?

მირა. ოშია? ვაიმე, დედა!

ბესსმარტნი. ნუ ღელავთ. სასწავლო განგა-
შია. აქ ხდება ხოლმე ახეთი რამეები.

ტელეფონი მკვეთრი ხმით რეკავს.

ანა. გისმენთ... დიახ, მე ვარ... შეუძლებე-
ლია რამდენი? დაუჭერებელია... ჩვენ სასწა-
ვლო განგაში გვევონა... კი, სამივენი აქ არიან...
კარგი.. კარგი..

ნელა გამოდის კოლში. დუმს. ყურადღებით ათ-
ვლიერებს იქ მყოფთ.

...ატომური სადგურის მეოთხე ბლოკში ავა-

რიაა. ძლიერი ხანძარია. რამდენიმე ათეული
აღმიაინი დაშავდა. ზოგიერთმა სხივური დაზი-
რობა მიიღო. რამდენიმე წუთში ისინი აქვე
ნებიან. თქვენ (ნიმართავს ვერას, ნადიას და
ლუბას). მობილიზებული ხართ, სპეცტანსაქმე-
ლი მეზობელ შენობაშია. სწრაფად გადაიცვი-
თ და მობრუნდით. თქვენ (ბესსმარტნი, მირა-
თავს) ბოქსში იყავით, ჭერჭერობით ნუ გამოხ-
ვალთ.

მირა. მაგრამ ჩვენ...

ანა (აწყვეტილებს). ბრძანება შეასრულეთ.
განსაკარგვეთ არ იყოს!

მირა. ჩვენ, ალბათ, ვერ შევძლებთ.

ანა. შეძლებთ! სხვა აქ არავინა გვეყავს.
ვერა რადიოსი თქმას ცდილობს. მაგრამ ანა
ყურადღებს არ აქცევს და ტელეფონთან მი-
დის). კონტროლის სისტემა მოამზადეთ. დო-
ზები განსაზღვრული არ არის, მეტი გულსაყუ-
რით იყავით. ჩვენ ჭერ ოთხნი ვართ, მაგრამ
მაღე სერგევიცა და პტიცინა მოვლენ. პა-
ციენტებთან იყავით. საოპერაციოები შეამო-
წმეთ, ნახეთ, რა დღეშია. ეგებ ერთბაშად დაგე-
პირდეს... ერთი სიტყვით, უმნიშვნელოვანესი
განგაშია არა, ოში არ არის, არა... ატომური
რეაქტორი აფეთქდა. არა, არა-მეთქი! ბირთვუ-
ლი აფეთქება კი არა, რეაქტორში წყალბადი
აფეთქდა.

შემოდინ ვერა, ნადეჟდა, ლუბა. სამთავს ცი-
სფერი სპეცხალათები აცვია.

ნადეჟდა. ჩვენ მზად ვართ. რა ვქნათ?

ანა. ჭერ დავიცადოთ.

ნადეჟდა. მერე?

ანა. განსაკუთრებული არაფერი. ან გაუტ-
კივარება იქნება საპირო. ან ჩაწვეთება. საერ-
თოდ, როგორც უველით ხოლმე ავადმყოფებს.

ბესსმარტნი (ფრთხილად აღებს თავისი ბო-
ქსის კარს, გამოიხედავს). არავინ არ არის?

ანა. მე ხომ ვთხოვე...

ბესსმარტნი. ხუთი ასობაგან შედგება... სა-
ფლავის ქვა... არაფერი მაგონდება... მეორე
ასობა „ა“...

ანა. მატური.

ბესსმარტნი. ნამდვილია... უნდა მიუღდეს...
უცნაურია, არც მიფიქრია, რომ მატური საფ-
ლავის ქვაა.

ანა. ლექსიკონში ნახე.

ბესსმარტნი. მადლობელი ვარ.
(შედის თავის ბოქსში).

მირა. საშიში მდგომარეობაა... რაღაც სულ
მოვიშლეთ.

ანა. ჩვენს საქმეში ემოციები არ ვარგა.
ფიხლად, თავდაპირვლად იყავით და გახ-
სოვლეთ ჩვენი სპეციალობა. ერთი შეხედ-
ვით, ისინი აბსოლუტურად ჯანმრთელები არ-
იან, მეტადრე, თუ ტყვილები არა აქვთ... მაგ-
რამ ტყვილმა უცებ იცივ ატეხა... ყოველ ბო-
ქსშია შეტანილი აუცილებელი პრეპარატები.



წითელი ფონი სულ უფრო ძლიერად ჩაღდება. მტკიცე ნაბიჯით შემოდის სერგეევი. უკანარი ლურჯბალთიანი თანამშრომელი შემოკვევება, ხელთ საცაყე უჭირავთ. ზედ შამაკაცი წევს.

სმარბეშვი. მეხუთე ბოქსში შეიყვანთ. (ანას) უგონოდ არის. პირველი დახმარება უკვე გავუწიეთ, რაც აუცილებელი იყო. ექველადერი გაეთებალია.

№ 5 ბოქსის კარი იხურება. შიგნით შუქი ინთება. შემოდის მძღოლი, გვერდით ინსტიტუტის თანამშრომელი მოკვევება.

სმარბეშვი. ბოქსი ნომერი ოთხი. თანამშრომელი სერგეევს ბარათს აწვდის, სერგეევი ათვალეურებს.

მძღოლი. ამხანაგი გენერალი იქ დატოვებს (კარზე უჩვენებს). ხომ არ დაფუცადოთ?

სმარბეშვი. თქვენ როგორა გრძნობთ თავს?

მძღოლი. ნორმალურად.

სმარბეშვი. თავებო აღარ გეხშით?

მძღოლი. მაშინვე გამიარა... სულ რაღაც ერთი წუთი მიბრუოდა... ასე მომეჩვენა... ახლაც ვქნა?

ანა. ვერა, გააცილებთ ამხანაგი, თუ შეიძლება. დაისვენოს. ტანსაცმელი გამოუცვალეთ... (მძღოლს). ერთხანს ჩვენთან უნდა დარჩეთ, უნდა გამოვიკვლიოთ.

მარბ. წამობრძანდით (მძღოლს ხელმკლავს გაუყრის და № 4 ბოქსისაკენ წაიყვანს).

ანა. სახის მსუბუქი გალიზიანება აქვს. რამდენა ნეტავი?

სმარბეშვი. ვერ გეტყვით. თავის უფროსს უცლიდა — შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალია — მეოთხე ბლოკთან. სამი საათი უცლიდა. იქ ი ზოგან საათში ზუთას რენტგენზე მეთია... მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანქანიდან არ გადმოსულა... საერთოდ, ჭერ არ შემოიძლია ვანსაზღვრა. ვიცი, რომ ბევრია.

ნადეჟდა. იქ რატომ იდგა?

სმარბეშვი. უფროსს ელოდა. ასეთი წესია.

ნადეჟდა. მერე იქ ხომ რადიაციანა?

სმარბეშვი. რადიაციას, გენაცვალე, არც სუნი აქვს და არც ფერი! უფროსები კი მოვლენათა შუაგულში ყოფნას არიან მიჩვეული — ახე.

ნადეჟდა. მაგრამ...

სმარბეშვი. „მაგრამ“ ის არის, რომ შავი ვოლგით პირდაპირ რეაქტორს მიადგა!

ლუბა. იქნებ არ იცოდა?

სმარბეშვი. მაგას ევალემა — უნდა სცოდნოდა..

№ 5 ბოქსიდან თანამშრომლები გამოდიან, ერთ-ერთს ცელოფნის ტომრით პაციენტის ტანსაცმელი უჭირავს.

გადიან. გამოჩნდება ვერა.

მარბ. სძინავს.

ანა. თვალის გეჭიროს. რომ გაიღვიძებს, ერთად გავსინჯოთ.

სმარბეშვი. ჭერჭერობით კიორხეული... არის ვა საჭირო არ არის.

ანა. სულ რამდენია დაზარალებული?

სმარბეშვი. ხანას კაცამდე. ეს ისინი არიან, ვისაც რენტგენზე მეთი აქვს დასხივებული. ჩვენები რამდენიმე კაცია. ჭერჭერობით ზუსტად ვერ ვიტყვი. თხოუმეთი ოკოლოგიურ ცენტრში გაგზავნეს, ნაწილი ადგილობრივ კლინიკებში დატოვებს... მე გვიან ჩამოვფრინდი. იქ დიღხანს ვერ მოისაზრეს, ნამდვილად რა მოხდა, და ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის მოსკოვს არ ატყობინებდნენ. რაღაცას უცდიდნენ...

ანა. თქვენ თვითონ ხომ არ...

სმარბეშვი. მე, ძვირფასო ანა, იმდენი ვიცი რადიაციანზე, რომ თავს ასე ადვილად არ მოვაკვლევინებ.

ანა. მაგრამ მაინც?

სმარბეშვი. წლიურ დოზაზე ოდნავ მეტი. ნორმალურია. ჩვენი ჩამოსვლის დღეს რადიაციული მდგომარეობა გარკვეული იყო.

ბესსმერტინი (ყურს უღდებდა, ახლა ბოქსიდან თავი გამოყო). მაინც რა მოხდა, არ იტყვი?

სმარბეშვი (ბესსმერტინს). თქვენ ფრთხილად იყავით. პაციენტთა დამუშავებას ვახდენთ. მაგრამ ისფრთხილდ არ ვაწყენთ.

ბესსმერტინი. ვასაგებია... ალბათ რაღაც საშინელი რამ მოხდა, არა?

სმარბეშვი. სამწუხაროდ, აქ არასაშინელი რამ არა ხდება.

შემოდის გენერალი.

ბენეშტალი (შებრუნდება). თანმხლებნი არა მჭირდებიან (სერგეევს). ეს რა წესები გაქვთ, დამოუკიდებლად ნაბიჯს არ მადგმევენებენ? მთელი საქლომი (ქალებს შეამჩნევს), ბოლიში მომხიბია, დამიხსრილდეს...

ანა. თქვენ ალბათ წელის ტკივილს უჩიოდით, არა?

ბენეშტალი. ცოტა ხანი წამომტკივდა და დამამდა! საერთოდ, ერთი-ორჯერ გამომიკვლიეს და გამომიშვეს!

სმარბეშვი. ბრძანება იცით?

ბენეშტალი. ჩვენი მინისტრი, ცოტა არ იყოს, ვაცხარდა! არ ვიცი, რა უთხარით ამისთანა... მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. ჩემი მძღოლი აქ არის?

სმარბეშვი. დიახ.

ბენეშტალი. უხებრხულობაში ჩავადგე... მაგრამ, იმედი მაქვს, სერიოზული არაფერია ხომ?

სმარბეშვი. თქვენ ნომერ რვა ბოქსში უნდა შეხვიდეთ. უწინარესად — ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოს..

ბენეშტალი. იქ ერთმა თქვენმა შავმა, თმახუტუქამ მითხრა, თქვენი ფორმა უნდა განადგურდესო. რა სისულელეა!

სმარბეშვი. არა, ფორმა პრობლემა არ არის...

(ლუბას). გააცილებთ, თუ შეიძლება, ამხანაგი გენერალი. აჩვენეთ რაც უნდა ჩაიკვას... ფორმას



რაც შეეხება, მე მოვუვლი... (ანას). ავადმყოფებს მიხედვით, თუ შეიძლება.

ბენიკარაძე. განმარტებული ვარ, ბაღბოს! ჩანმართელი ან ნახეთ (დაიხარება, სკამს ფეხში წაელებს ბელს, უნდა, რომ ასწიოს, მაგრამ გონებას დაჰკარგავს).

სპირბეძე. სწორად!.. მოდი ჩემთან!.. გამოჩნდება ორი თანამშრომელი, ხელს დასტაბებენ გენერალს და № 8 ბოქსში გაიყვანენ.

ბესსმერტინი (თავს გამოყოფს). ბატონო სერგეევ, მაინც რა მოხდა, არ იტყვი? მგონი, რომ ძალიან სერიოზული ავარიია. რადიოთი ჩვეულებრივ არაფერს ამბობენ...

სპირბეძე. გადმოსცემენ. აუცილებლად გადმოსცემენ. უსმინეთ.

ბესსმერტინი. მესმის, რომ ახლა ჩემთვის არა გცალიათ... მაგრამ, როგორც ყოველი ადამიანისათვის, ისე ჩემთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა იმდენად ბუნებრივია, რომ ახაროგორ არა გჯიბხობთ: ნუთუ ისინი უფრო მეტად არიან დახვებულნი, ვიდრე მე?

სპირბეძე. ისინი უფრო მეტად...

ბესსმერტინი. თუ ასეა, ჩემი იმედს გქონდეთ. მე ხელს აღარ შეგიშლით, მაგრამ მაინც მინდა, რომ მოვლენათა კურსში ვიყო. არადა, მოწყენილობა მკლავს.

სპირბეძე. (მოღუშულად). ვართობას, ნუ გეშინია, არ მოგაკლებთ. არც ბევრი ცდა მოგიხდება — სულ რამდენიმე საათია საჭირო.

ბესსმერტინი. მაშ, ზოგიერთს ათასზე მეტი აქვს?

სპირბეძე. მაგას ქალბატონი ლიდაც კი ვერ განსაზღვრავს ზუსტად... მაინც ფრთხილად იყავით — კონტაქტები არ არის საჭირო. ამასთანავე თქვენი დახმარების იმედი მაქვს. თქვენი მაგალითი — საუკეთესო წამალია. თანაც იქნებ ერთადერთი წამალი იმართვის.

ბესსმერტინი. ჩემი იმედი გქონდეთ. ზომ გახსოვთ, როგორ ვიმუშავე, საცდელი დანადგარიდან რომ მოიყვანეს, იმასთან? აქ ჩემთან ერთად აპირებდა ცხოვრებას, და საყლაპავი მილი დაზიანებული რომ არ მქონოდა... ამ მოგონებებზე, ბოლო „მაცენში“ მიაქციეთ ყურადღება ამერიკელი პროფესორის კაილის ინფორმაციას? ძვლის ტვინის გადაწერგვა საყლაპავი მილის დაზიანებასაც შველისო, კაილარების აღდგენა ხდება და ასე შემდეგ... ინფორმაცია მთლად კვალიფიციურად ვერ არის დაწერილი, მაგრამ თვითონ ამ კალზე უკვე მეშვიდედ წავიკითხე. მაგარი თავი აბია, იტყობა! ახალგაზრდაა, ჭერ ორმოციასაც არ არის, გადაწერგვის ოპერაციებიც კი უამრავი, მთელი სერია ჩაატარა, და თანაც სუყველა წარმატებით. სხვათა შორის, მილიონერია, თქვენი ასეთი რამდენი ოპერაცია გაქვთ გაკეთებული?

სპირბეძე. სამი ათეული. მაგრამ, სამწუხაროდ, წარმატებით-მეთქი, ყველაზე ვერ ვიტყვი. კაილი კი ნამდვილად კარგი ჭირურგია.

ბესსმერტინი. ჩვენი ქალბატონი ლიდა პტიცინა, ალბათ დიდი ხნის მილიარდერი იქნებოდა!

სპირბეძე. და! 162 ოპერაციას ეხუმრები... ცხოვრებით კი. ბატონო ლევა, ბლოკით ნაშენები სახლის ოროთახიან ბინაში ცხოვრობს. და, აი, უკვე მეოთხედ გიკავუნებთ — დროა, რომ მიხედოთ.

სპირბეძე. ის თვითონ არაფერს ამბობს. მარტო ცხოვრობს, მეტი არა სჭირდება.

ბესსმერტინი. ბლოკით ნაშენებ სახლში, ბატონო ლევა, ზამთრითი თბობა, ზაფხულში ცხელია. პირვეთ კი უნდა იყოს. ამიტომ არის, რომ ქალბატონი ლიდა უმეტესად აქ ათევს დამეს, თქვენთვის კი როგორც ხელმძღვანელისათვის ზელსაყრელია — ოღონდ სულ სამუშაოზე ტრიალებდეს. მაგრამ ეს უსამართლობაა, ამიტომაც...

№ 4 ბლოკიდან გამოდის ვერა.

სპირბეძე. როგორ არის მანდ საქმე?

ვერა (კითხულობს). მაქსიმემა ოდნავ მომატებულია. წნევა თითქმის ნორმალურია. მსუბუქი გულის არითმია, ჩივილი არაფერს უჩივის. მგონი, რომ შეგეშალათ...

სპირბეძე. მე — შეიძლება, რომ შემშლოდა, მაგრამ არა პროფესორ პტიცინას. თქვენი პაციენტი იმან განხიჯა.

ბესსმერტინი (ვერას). უტყვიფობა და შეუძლოდ ყოფნა სწორედ უფრო საშიში!

ვერა. წავიდე ისევ იმასთან?

სპირბეძე. თუ აუცილებელი არ არის, ბოქსებში არაფერი გეხსებათ...

ბესსმერტინი. არ დავაიწყებდეთ რომ ყოველი მათგანი ასხივებს...

სპირბეძე (აწყვეტილებს). ნუ აშინებთ... (ვერას) განსაკუთრებული საშინაობა არ არის, მცირე ფონია, მაგრამ, თუ არ გამოგიახსნებ, ბოქსებში ნუ შეხვალთ...

№ 8 ბოქსიდან გამოდის ანა და თანამშრომლები, ერთ-ერთს ტანსაცმლიანი პაკეტი მოაქვს

ანა. ჩაიძინა. ლუბა ცოტა ხანს დარჩება იმასთან.

ვერა. მერე, იქ ზომ რადიაცია!

ანა. ვოგონი, რადიაცია აქ ყველგან არის.

სპირბეძე. შეიძლება პულტის ჩართვა.

ანა. პულტი უკვე მუშაობს. ოღონდ შირმა არ ამიწვია, ახლავე... (მიდის მორგის მაგიდასთან, შირმა ნელნელა მალს იწვია. გამოჩნდება ბოქსების მართვის პულტი. ლურჯი, მწვანე, ცისფერი ნათურები აჩვენებენ ავადმყოფის მდგომარეობის საჭირო მონაცემებს — ბოქსებიდან აქ გამოდის მთელი ინფორმაცია. წითელი ნათურები არ ანთია. ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ინთებიან და ქრებიან)...

ანა (პულტს უყურებს). რადიაციული მდგომარეობა მერვე ბოქსში უმნიშვნელოდ არის აწეული. ჩვენი სამედიცინო ნორმების ფარგლებში. (ვერას). თუ შეიძლება, ემოციები არ იყოს — ავი გთხოვთ კიდევ...

შემოდის პტიცინა.

ბტინცინა. ვითომ რაღომ არ უნდა იყოს ემ-
ოციები? გაიღიმეთ. ქალიშვილებო... იტირეთ,
მაგრამ თან გაიღიმეთ.

სმარბამეში. რა კარგია, რომ მოხვედით, რო-
გორ არის იქ საქმე?

ბტინცინა ჩვენები ორმოცდაათმდე ცაყია. მე
ყველაზე მძიმეები წამოვიყვანე და პროკურორი.
ანბ. ის რაღად გინდოდა?

ბტინცინა. მთხოვა, იმას ახლა ყველაზე უფ-
რო სჭირდება...

შემოდის პროკურორი.

პროკურორი. უბრალო, მაგრამ ძალიან მნი-
შვნელოვანი საქმე მაქვს. ასხნა-განმარტებითი
ბარათები მიიწვია. ყველასი, ვისაც წერის თავი
აქვს, როგორ, სად იყო, რას აკეთებდა? გან-
საკუთრებით ავარიის პირველ წუთებში.

სმარბამეში. მაგ საქმეს მე მოვუყვლი.

პროკურორი. და რაც შეიძლება, დაწვი-
ლებით. სუყველას ცალ-ცალკე ზომ ვერ და-
ველაპარაკებ.

სმარბამეში. ყველაფერი რიგზე იქნება.

პროკურორი. ხვალ შემოვივლი. მეჩქარება.
კიდევ ორ კლინიკაში ვარ მისასვლელი.

სმარბამეში. ხვალამდე. ყველაფერს დაგახვე-
დრება.

ბანსმარტნი (თავს გამოყოფს). თქვენ მიგა-
ჩნიათ, რომ დივერსიაა?

პროკურორი. ყველაფერი შესაძლებელია...
ნახვამდის. (გადის)

ბანსმარტნი. ქალბატონო ლიდა, გულითადი
სალამი მითქვამს.

ბტინცინა. ძალიან მახარებს შენი ჭანმრთე-
ლად ყოფნა, ქაბუკო, უნდა მამატრო მოხუც
ქალს, რომ სამი დღე ვერ მოგინახულე, არ ვი-
ყავი, უცებ გაფრენაც მომიხბდა... რა უბედურე-
ბაც დაგავტუდა, თავად ზედაც... დიდი უბედურე-
რებაა.

ბანსმარტნი. არა, ნაწუყენი არა ვარ. ცოტა
რომ გათავისუფლდებით, შემოიარეთ, დაგე-
ოლდებით უნდა მოგელაპარაკოთ... მძიმედ
აღბათ ბევრია...

ბტინცინა. დიდი უბედურებაა, დიდი. ამ ხნის
ქალი ვარ და ამისთანა არაფერი მინახავს... ჭერ
კიდევ ეურჩატოვთან და შოკლინთან ვარ ნა-
მუშევარი... მტერს... მტერს... აი ისინიც მო-
ვიდნენ...

შემოდის ველოსიპედისტი, დეიდა ცლავა, მეზა-
ნძრე, დოზიმეტრისტი, ოპერატორი, ფიზიკოსი,
აქეთ-იქით იცქირებიან.

ველოსიპედისტი. მოვედით უკვე? უფურე
ერთი, რა საშხაპები მოუწევიათ... ისე, კვება
როგორი გვექნება ნეტავი?

ბტინცინა. კვებას, შვილო, ვერ დამედურე-
ბით. ჭერჭერობით კი ნომრებში დაბინავდით,
რომლებიც თავისუფალია.

ველოსიპედისტი. პოტემო... „პილტონის“
უყეთისი.

სმარბამეში. ერუდიცია მერე გამოჩინდა.
ჭერ მიდით, ტანს გამოიცვალეთ.

პაციენტები ბოქსებში შედიან.

ბტინცინა. ყველას დამშავადებელი მთად-
ბინეთ. ცოტა დაძინონ, თანაც თავაწინად;
ქალიშვილებო, გულთბილად და ალერსიანად
მოექცით — მთავარი ტყვილი წინა აქვს...

ვერა. ნადედა და ლუბა ნასთან ერთად ბოქ-
სიდან ბოქსში გადადიან. ინტრეტუსი თანამე-
რომლებს ტანსაცმლის რეკორდს გამოაკვთ.
ბტინცინა დადლილი ჩაეშვება სავარძელში.

სმარბამეში. ქალბატონო ლიდა, უნდა მამა-
ტიოთ. თქვენს ასაკში ასეთი გადაფრენ-განდო-
ფრენა, დატვირთვა სად გაგონილა, მაგრამ გან-
კარგულება ზევიდან მოვიდა — აუცილებლად
გთხოვლობდნენ...

ბტინცინა. სწორადაც მთხოვლობდნენ, ექი-
მები, იცოცხლე, ქვეყნისა მოაწუდნენ, საიდან
და არ ჩამოვიდნენ და დაიბნენ. თვითონ დას-
ხივდნენ... გამოცდილება არც ერთს არა აქონ-
და, თავს კი არ იზოგავდნენ, ზოგიერთი ისე-
თიც შემხვდა, მეც რომ დამანხა. გული მერე-
ვაო, თავებზე მეტვევაო, სისუსტესა ვგრძნობო...
კუბო რომ მიგეტანა, ჩაწვებოდა, საცაა მაინც
უნდა მოვკვდეთ, სინამდვილეში კი არცაა
სჭირდა. ეგებობთ იყო შეპურობილი, ხოლო
ისინი, რომლებიც შევარჩიე, საერთოდ არა-
ერთს უჩიოდნენ. მშველად ეჭირათ თავი... ორი
ერთბაზად დაიღუპა.

სმარბამეში. ვიცი, ერთი ჩვეულებრივი დამ-
წერობით მოკვდა.

ბტინცინა. ზედ სხივური დამწერობაც დაე-
რთო. ერთ წუთში დაიღუპა აფეთქების დროს
სმარბამეში. ვიცი რომ აფეთქება იყო?

ბტინცინა. რასაკვირველია, უბრალოდ ზო-
გიერთებს ხელს არ აძლევს რეაქტივის აფე-
თქება და ამტკიცებს, აუფეთქებლად დაიშა-
ლაო, ხანძარმა, სუყველაფერი ხანძარმა ქნაო.
სმარბამეში. მერედა, სხვაობა განა ეგრე ღი-
ლია?

ბტინცინა. ძალიან დიდია, შვილო, ძალიან!
აფეთქება უკვე დანაშაულია, ხანძარი კი მხო-
ლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი გულგრი-
ლობაა, აი როგორ არის საქმე! პასუხისმგებ-
ლობის წომაც სხვადასხვაა. ამიტომაც მოგვა-
დგა პროკურორი ასე უცებ. თუმცა, იმართვის
(თავს ბოქსებისკენ გაიქნევს) ამას უკვე მნიშ-
ვნელობა ადარა აქვს.

ჩამოხნულა, ბოქსები განათებულია, მათ უკან
კაშკაშა დაფიონია, ასეთი ნათება გრაფიტმა
იღის.

ინფორმაცია რადიოში (ქალი ხმა). ძვი-
რფასო რადიომხმენებლო, განვარძობთ გა-
დაცემათა ციკლს — „ეს ყოველმა ადამიანმა
უნდა იცოდეს“; მიკროფონთან არის რაიონის
სამოქალაქო თავდაცვის უფროსი ამხანაგი ნეს-
ტროვი. (კაცის ხმა). ატომური ბომბის აფეთ-



ქებას თან ახლავს თვალისმომკრელი ნათება და გრუხუნე, რომელიც ტეკა-ქუხილს მოგვაგონებს. ამის შემდეგ წარმოიშობა უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი. ის ბურთი ჩვეულებრივ ათობით და ასობით კილომეტრზეც კი მოჩანს. დარტყმის ტალღამ იქიდან შეიძლება რომ თქვენამდე ვერც მოაღწიოს, მაგრამ თავდაცვის თადარიგი მაინც დაიჭირეთ... (ხმა თანდათან მიწყნარდება).

2.

გვიანი საღამოა. სამორიგეთ ოთახში ანა და ვერა არიან.

ანა. ხედავთ, რანაირი პრაქტიკა მოგელით. თქვენ კი იმედი გქონდათ, მოსკოვში ვიხტიან-ლებთ, ვიხტირნებთო.

მირა. შემოწმებდნენ. აქ სიხევა, ჩვენთან კი ჭერ ისევ თოვლი დევს. იმიერპოლარეთია.

ანა. სამუშაოდ იყავი წასული?
მირა. მამა სამხედრო მყავს. თითქმის ათი წელიწადი ჩრდილოეთშია. განაწილების დროს მე თვითონ ვიბოხვე იქით წასვლა.

ანა. გათხოვილი ხართ?
მირა (იცინის). არააღი მთხოვლობს... ახლანდელი ბიჭები ცოლის მოყვანას არ ჩქარობენ. დიდხანს არჩვენ.

ანა. მე თვარამეტისა გავიქეცი. ცხრამეტისას უკვე მამა მყავდა. ორი წლის შემდეგ ბიჭი გაიჩინდა, ანდრეი. მამა ახლა გათხოვილია. ანდრეი სარაკეტო ჯარში მსახურობს. შევიღიშვილებით ჭერ ბედნიერი არა ვარ. მაგრამ მამა ამჟამად ქმართან ერთად უცხოეთშია, ჩეხოსლოვაკიაშია, ვფიქრობ, იქიდან ჩამომიყვანენ შევიღიშვილს. ანდრეის კარგი გოგო მყავდა, დელიანდენ, მაგრამ მერე გადაიფრტო, მგონი, წაიხსოვნენ, არაფერს იწერდა იმაზე...

მირა (თავს აქნევს ბოქსების მხარეს). მესამეში სულ ახალგაზრდა ბიჭია. მეხანძრე. ჯარიდან, ალბათ, ახალი ჩამოსულია. აი, აქ სად მოხვდა. ნუთუ მართლა?..

ანა (აწყვეტილებს). არ გინდა, მაგაზე ნუ ლაპარაკობ, ვეროჩკა, არ გინდა...

№ 7 ბოქსის კარი გაიღება, გამოჩნდება დოზიპეტრისტი. № 7 ბოქსისკენ მიიპარება.

მირა. უუუუუუ, უნდა გავიდეთ...

ანა. არ გინდა, არა უშავს რა... იბორიანო...

დოზიპეტრისტი კარს აკაკუნებს. გამოიხედავს ოპერატორი.

ოპერატორი. რა იყო?

დოზიპეტრისტი. არა გძინავს?

ოპერატორი. აქ კაცი დაიძინებს?..

დოზიპეტრისტი. მე უღანაშაულად ვარ, უღანაშაულად... სულ იმ ხელსაწყოს მჩაღია, სკალამ აურდაურია, სწორედ არ აჩვენებდას ოპერატორი. (აჭაერებს). სკალამ აურდაურ-

რას სხვა ადგილას და სხვა დროს უნდა ჩამვარდნოდი ხელში, რომ მეჩვენებინა, როგორ უნდა სკალის არე-დარევა!

ბოქსის კარს მოუჭახუნებს. დოზიპეტრისტი დაღლილი ჩაეშვება სავარძელში.

ანა. ბრანია ნაცნობი გყოლიათ.

დოზიპეტრისტი. არა, კეთილია. ეს ამბავი რომ მოხდა, მთელი აპარატურა აირდაირია. სკალა ას რენტგენზეა გაანგარიშებული, სულ ას რენტგენზე... მე კი მეგონა, ხელსაწყოს რაღაც მოეშალა-მეთქი... იმის გაფიქრებაც არ შემეძლო, თუ ასეთი რამ მოხდებოდა... მაგან მოიბინა და მკითხა: რამდენია? მეც ავდექი და დაუფიქრებლად ვუთხარი: ორ ათეულზე მეტი არ იქნება-მეთქი... გასაგებიაო, მომამხა და ბლოკისკენ გაიქცა. იქ მთელი ენერგეტიკა გატიალებული იყო... მივარდა, კახელებს შეეკეთება დაუწყო... ისინი კი შეაკეთა, მაგრამ თვითონ... ანა, რა ვიცოდი, რომ იქ ოცი კი არა, ორასი იყო?!

ბესსმირტინი (ყურს უღებდა). კანონების არცოდნა სასჯელისაგან არ გვთავისუფლებს. მაშ უფროსობა რისთვისაა? უნდა მოითხოვოს, თავისას ეცადოს! სკალამ აურდაურიაო... ჭერ კიდევ დიდი სკარატე — ძველი დროის ბრძენკაცი — გვაფრთხილებდა, ყველა უბედურება უვიცობას მოსდევსო.

ანა. რეჟიმს არ ღვევთ. თქვენ ეგრე არ იცოდით.

ბესსმირტინი. არ მეძინება. მომხდარ ამბავზე ვფიქრობ. მოუსმინეთ: რადიომ გადმოსცა? მაშასადამე, დაფარვა აღარ შეიძლებოდა.

მირა. ახლა ყველაფერში საქარობაა.

ბესსმირტინი. ხან დღემთი უკეთესია. ხალხი რომ არ ავადლევათ. მე, მაგალითად, რომ დავფიქრებდი ხოლმე, რა ვიცი, რა სისაუღელე არ მომდის თავში. მერე ველევა, ვშფოთავ. ბევრი რამ ვიცი და იმიტომ. აი (დოზიპეტრისტზე უჩვენებს) არც არაფერს დაფიქრებულა, არც აღელვებულა, და „სკალამაც აურია“.

დოზიპეტრისტი. ოპერატორს ოთხი შვილი მყავს... მოწინავეა, მთელი სადგური იცნობდა... შარშან ლენინის ორდენი მიიღო. ამ ატომური ელექტროსადგურის ასაშენებლად პირველი ბერი რომ დაჭერეს, იმ დღედან აქ არის. ჭერ აშენა, მერე სამუდამოდ დარჩა. (ანას). მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ორასი იყო. ამის გაფიქრებაც კი არ შემეძლო.

ანა. მჭერა.

ბესსმირტინი. (თავს გამოყოფს). მე კი არა, მეტისმეტად გულჩვილი ბრძანდებით, ქალბატონო ანა. მაგან ხომ სახელოვანი კაცი დაღუპა, თქვენ კი ამართლებთ. ჭერ კიდევ ძველი დროის დიდი ექიმი პიპოკრატე...

ანა. გაჩერდით!

დოზიპეტრისტი. ეგ მართალია. დავლუბე კაცი... დავლუბე...

№ 1 ბოქსიდან გამოღის ველოსიპედისტი.

ველოსიპედიტი. უური მიგდე, ექიმო, მი-
დი, სპირტი გაგვიჩინე სადმე. ამას ასი გრამი
დალუსხი, მე ერთ ჰიქას დალდევ. ამას ნუ უყუ-
რებ. ქალიშვილივით სლუკუნებს. საცაა აქვი-
თინდება კიდეც. მე კი მაქანკალებს, მიდი, მო-
იტა 'საიდანმე.

ანა. სპირტი არ არის!

ველოსიპედიტი. მიდი, ნუ მატულებს ვიცი,
რა მკურნალებიცა ხართ, შენ კარგა ლამაზად
ეწილებით. ამ რადიაციის შერე სუვევლას გვე-
რგება, მოიტა, ნულა მალაპარაკებ.

ველოსიპედისტი ჰოლს ათვლიერებს, სამო-
რიგეო ოთახში შედის, ცდილობს, რომ ყუთე-
ბი გახსნას.

მამა. ცოტა წესიერად მოიქეცით!

ველოსიპედიტი. შენ ვიღასი ტიკი-ტომარა
ხარ, ბებერო, ჭერ რძე არ შეგშრობია ტუჩე-
ბზე... ძალიან მოშლილი ვარ... არაფერი გამოშ-
ტყულო... ადექი, რომ გელაპარაკები... როცა და-
გიძახებ, ჩემთან გაჩნდი...

მამა. თქვენ... თქვენ...

ველოსიპედიტი. რა მე? რა? (ანას). მო-
იტა სპირტი. გირჩევნია, მოიტა...

დოზიმეტრისტი (დაღლილია). არ გინდა ეგ-
რი.

ველოსიპედიტი. იტირე... ისლუყუნე...
შენგე ვჭრუნავ, შე მათხოვარო.

ანა. ახლავე... (წვაა პირველი ბოქსისკენ).
ერთი წუთი მომიბინეთ.

ველოსიპედიტი. ეგ უკვე სხვა ლაპარაკია.
გელოდები. (ვერას ქამარს ქვევით მოსცხებს).
არა გიშავს რა... კარგად გითიმთიმებს...

მამა. გაჩერდით!

ველოსიპედიტი (ჩაიციუნებს). შენთვის ვა-
მბო, შე სულელო. მადლობელიც დაშრჩები.
შემოდის ანა. ხელში წამლის შუშა და ორიც
მენწურა უქირავს. ერთ-ერთში სპირტს ჩამოას-
ხამს და ველოსიპედისტს გაუწოდებს.

ანა. მიირთვით. ოღნავ გაჯავებულია.

ველოსიპედიტი (სუნთქავს). მოტყუება
არ იყოს... არ უნდა ვაგაჯავებინა. (სვამს, ძა-
ლიან კმაყოფილია) აი მესმის!

ანა (დოზიმეტრისტს უსხამს). დაღიეთ.

დოზიმეტრისტი. არ მინდა.

ანა. დაგამშვიდებთ. მიირთვით.

დოზიმეტრისტი სვამს. ველოსიპედისტს ამო-
ქნარებს.

ველოსიპედიტი. ხედავ, რა მალე გასჭრა...
კარგი რამეა. ცოტაც დამიმატე!

ანა. დილაზედ გეყოფა.

ველოსიპედიტი (მოქნარებით ვერას).
გამაკილებ, ბებერო?

ანა. მიბრძანდით, მიბრძანდით...

ველოსიპედიტი. რაღაც მოვიფიქრეთ, მგო-
ნი. კარგად გნახეთ. ეგ (წამლის შუშაზე მიუთი-

თებს) სადა დავს? სულ გადავქვიქე. მაინც ვერ
ვიპოვე.

ანა. ცუდად გიძებნიათ... მიბრძანდით.

ველოსიპედიტი. ცოტას წავთვლემ. (გა-
ღის).

ანა. თქვენი წასვლის დროც არის. მაგრა
დაგვიძინებთ.

დოზიმეტრისტი თანამობის ნიშნად თავს უქ-
ნებს, ნელ-ნელა წამოდგება და თავისი ბოქსის-
კენ წავა.

მამა. მერე შეიძლება ალკოჰოლი?

ანა. დამამშვიდებელი იყო. ერთი წვეთი სპი-
რტი ერთი. ზოგჯერ მოტყუებაც გვიხდება. აგ-
რესიულობა კი ერთ-ერთი ნიშანია...

ბისმარტი (თავს გამოყოფს). ხან ჭკუაზეც
იწლებიან... ზოგიერთს ვერც შეატყუებ. კრინტს
არა სძრავს, ჩუმად თავისთვის ზის და უცებ
გაგოფდება... ქალბატონმა ანამ დაწვრილები
აღწერა ეს ფენომენი თავის დისერტაციაში და
ძალიან დამაჭრებელი მაგალითი მოიმარჯვა.
მახსოვს, ამერიკელ პროფესორსაც აქვს ანა-
ლოგიური შემთხვევა აღწერილი...

ანა. იქნებ დაგეძინათ, პა? ხვალ მძიმე დღე
გაქვთ. თქვენც ხომ არ მიირთმევდით? (წამ-
ლის შუშაზე უჩვენებს).

ბისმარტი. არა, სასმელი ცუდად მოქმე-
დებს ჩემს თირკმლებზე. თქვენ ხომ იცით...

№ 3 ბოქსიდან თავს გამოყოფს მეხანძრე.

მისხანძრე. ბოდიში. შეიძლება, რომ გამო-
ვიდე?

ანა. რატომ?

მისხანძრე. პატაკი დავწერე. როგორც მთხო-
ვეს. მინდა რომ გადავიცე.

მამა. თავს როგორ გრძობთ?

მისხანძრე. გამოვიძინე, დავისვენე. მადლო-
ბელი ვარ თქვენი.

სამორიგეო ოთახში გაისმის ტელეფონის ზარი.
ანა უპრემილს იღებს.

ანა. არა, ქალბატონო ლიდა, სიმშვიდეა...

პლაზმა და სისხლი ყველას გადავუსხით... დი-
ლით კიდეც... უველას არა სძინავს, მაგრამ ბუ-
ნებრივი ამბავია: ახალი აღგილია, მიუჩვენებელი
არაიან... ჭკერჭკრობით ნორმალურად არის... აუ-
ცილებლად დაგირეკავთ... ღამე მშვიდობისა...

მისხანძრე (ვერას). შეიძლება, თქვენთან რომ
ჩამოვჯდე? წამიკოხტე ერთი, თუ და ხარ, იქ-
ნებ სულაც ისე არ დავწერე (აწვდის ფურც-
ლებს).

მამა. მე თვითონაც არ ვიცი, როგორ უნ-
და... (კითხულობს). გაკვირვებულო უყურებს
მეხანძრეს). ყველაფერი გინახავს და ეგ არი?

მისხანძრე. ჭერ გრუხუნი იყო. მერე აფეთქე-
ბა და სამანქანო დარბაზის სახურავზე უცებ
ცეცხლი ავარდა. გადავიცი განგაზის მაუწყე-
ბელი ნიშანი და მალა ავძვერი. ოცდაათ მე-
ტრამდე იქნება... სახურავი უკვე ბრიალებდა.
რეაქტორის დარბაზში რომ ჩავიხედე, რაღაც



უცნაურად კაშკაშა ცეცხლმა მომპკრა თვალი.
 იქ რა უნდა წაიკედებოდა ცეცხლი? არაფერს...
 და მივხედავ — რეპატორის აქტიური წონა გიჟი-
 ზებდა. თვალს დახამამებში დავეშვი სახუ-
 რავიდან და მორიგეს ერთბაშად ღია ტექს-
 ტით ვაცნობ, ხანძარი კი არა. აფეთქებაა-მე-
 თქი!.. და ისევ წემით ავძვერი. იქ კი უკვე
 ჩვენი იყვნენ. ცეცხლს სილას აურიდნენ. რომ
 სხვა ბლოკებზე არ გადასულიყო.

მპრბ. ნუთუ შიშს არა გრძნობდით?
 მიხსნდრძმ. იქ? არა... მერე, რასაკვირველია...
 მართალი რომ გიხსნათ, შიშს ახლაც ვგრძნობ...
 ზუსტად როგორც ავღანეთში.

მპრბ. იქაც მოასწარიო?
 მიხსნდრძმ. ვაღიანში ვიყავი. ხადესანტო სამ-
 სახურში... საზარელია დამცველ რაზმში ყოფ-
 ნა. მეტადრე განთიადისას. მოლაყ მაშინ იწ-
 ყებს ყვირილს... იმიტომ არის საზარელი, რომ
 ყველაფერი უცნობია. ენა, წეს-ჩვეულებები, ხა-
 ლხი. მთებიც. ჩვენი არაფერია. უჩვეულოა,
 მაშასადამე, საზარელიც არის.

მიუახლოვდება ანა.
 ანბ. გოგო გაუვს? დილით ვიცვლები, თუ
 გიწდა, დავურტყავ.

მიხსნდრძმ. გოგო არა. დედა მუავს.
 ანბ. ყველაფერს კლინიკაში გაიგებს. იქ სა-
 ცნობარო მაგიდაა. იქ ყველაფერს ვატყობი-
 ნებთ. ნათხავებს ჰგონიან, რომ თქვენ...

ბესსმირტრძნი. ბეი, მებანძრეც, შაშის თამაში
 იცი?

მიხსნდრძმ. ვიცი.
 ანბ. ხომ გაგაფრთხილეს: არავითარი კონტა-
 კტი! საიდან ასეთი სიკვირცხლეს? ადრე არ შე-
 მიმჩნევია...

ბესსმირტრძნი. მთელი საზოგადოება გაჩნდა...
 ურთიერთობა მომიწდა. მოვიწყინე.

მიხსნდრძმ. ვინ არის?

მპრბ. ბესსმერტნი.

მიხსნდრძმ. ვერ გავიგე...

ანბ. ჩვენი პაციენტია. მეორე წელია აქ
 არის.

ბესსმირტრძნი. ჩხბ-ე დედა!

მიხსნდრძმ. მაშასადამე, სიცოცხლე შენაძლე-
 ბელია.

ბესსმირტრძნი (ანას). სულ ორ-სამ ხელს ვითა-
 მავნებთ. გონების სავარჯიშოდ. ჰო, მართლა,
 კროსვორდი არ გამოვიდა. მატური არ უდგე-
 ბა. იქ მესამე ასოა „რაე“...

მიხსნდრძმ. მე მზად ვარ.

ანბ. ფრთხილად.

ბესსმირტრძნი. ორჯის დამუშავებულია. იქ,
 რეპატორზე და ულტრაიისფერ წინაოთახში...
 ასე რომ ჩემზე უფრო სუფთაა. რაც მიკრო-
 ბები ჰქონდა, სულ დაეხოცა, საშიში აღარ
 არის. რადიკ-რადიკები ვნახე ლიტერატურაში:
 მანძილის მიხედვით თუ ვიშკეტებთ, ამას
 არც ნეიტრონები აკლია და არც...

ანბ. ძალიან გაგვიანოლდი! შაშის საწინააღ-
 მდეგო არაფერი მაქვს...

ბესსმერტნი თავის ბოქსში გაუჩინარდებდა.

ანბ (მებანძრეს). სულ არავინ არ გუყვარებია...
 ვერ მოასწარი?

მიხსნდრძმ. ჩერჩერობით ვერ მოვახერხე.

ანბ. მერე და მოახერხე. აი, ნახე, რა ლამაზი
 ვერა გყავს.

მიხსნდრძმ. მართლაც, ლამაზია! (ილიმის).
 როგორ დავიწყო?

ანბ. უკვე დაიწყე და ეგ არის. ახლა განაგ-
 რე...

მიხსნდრძმ. ქალიშვილს ყვავილების მირთმევა
 უნდა, მე კი ამჭერად...

ანბ. მერე იყო.

მპრბ. უჩემოდ გამოხოვებს...

მიხსნდრძმ. თქვენ რა, გათხოვილი ხართ?

მპრბ. ჩერჩერობით არა.

მიხსნდრძმ. მაშ, ახა ვიწყებ... თქვენ ძალიან
 სანდომიანი, სათნო და გულთბილი ადამიანი
 ბრძანდებით...

ანბ. ეგ მართალია. ეგ მაშინ იგრძენით როცა
 ამან პლაშა გადაგისხათ და სისხლიც.

მიხსნდრძმ. სულ ოდნავადაც არ დამლურ-
 ჭებოა.

შემოდის ბესსმერტნი. ხელში შაშის
 დაფა უჭირავს.

ბესსმირტრძნი. დაუჩერებლად — უმადლესი
 კლასია. მე იმდენი ქალის ხელში ვარ გამოვლი-
 ლი, ვინ დათვლის. ნიჭი თუ არა გაქვს, ისე და-
 ულლურჭებლად ვერ იზამ... (მებანძრეს). მე თე-
 რებით თამაშს ვარ მიჩვეული, წინააღმდეგე
 ხომ არა ხართ?

მაგიდას მიუსდებოან. № 7 ბოქსში შეუქი აცი-
 მციმდება. ერთბაშად მორიგის პულტზე აინთე-
 ბა წითელი ნათურა და გაისმის ზუმერი.

ანბ (ვერას). წავიდლიმ ძლიერი არითმია...

№ 7 ბოქსისკენ გარბიან.

მიხსნდრძმ. რა მოხდა?

ბესსმირტრძნი. არაფერი განსაკუთრებული
 არითმია, ჩვეულებრივი. თქვენი სვლა...

მიხსნდრძმ. ცუდად არის.

ბესსმირტრძნი. ახლა კარგად ვინ არის?.. ერ-
 თი, ორი — და გასული ვარ... არა, ეგრე არ
 გამოვა... ითამაშებთ თუ არა? საშიში არაფე-
 რია.. დასხივებამ ჩუმად იცის თავისი საქმე,
 ხოლო თუ აშკარად არითმია ან გულსრკევაა,
 ექიმებმა იციან, რაც უნდა ქნან. აქ სუყველა
 უმადლესი კლასის ექიმია!

მიხსნდრძმ. უცნაური... სრულებით არაფერს
 არ ვგრძნობ!

ბესსმირტრძნი. მაშ, ვიხაროდეს!.. (ლილინებს).
 „რა მშვენიერი დრო განვიცადე...“

№ 9 ბოქსიდან გამოვა ფიზიკოსი.

ფიზიკოსი. უარს ნუ მეტყვი, ნუ გაბან-
 ლებთ, საიდან შეიძლება დარეკვა?

ბესსმარტნი (ლილინებს). „ცენტრალურ ტე-
ლეგრაფში, არხატა და ვაჭალში...“

ფინიკოსი. სულგრძელად მაპატიეთ, ვერ
გავიგე-

ბესსმარტნი. სულგრძელად შიპატიებია...
თქვენი სვლაა, მანეტრო. არ შეგეშალოთ!..
(ლილინებს.) „თუ მოჰყიდე, ითამაშე...“

ფინიკოსი. მაპატიეთ, რომ გაცდენთ, მაგ-
რამ ჩემთვის აუცილებელია, რადღაც-რადღაც გა-
ანგარიშებები მოვახდინე...

შინხანძარი. აქედან არ შეიძლება დარეკვა.
თქვენ რა, ვერ გავიგე, სად იმყოფებით?

ფინიკოსი. ვმადლობთ, რასაკვირველია, მე-
ნის, მაგრამ წუთთ ასეთი ძლიერი იზოლაცია
შეტისმეტად არ მიგაჩნიათ?

ბესსმარტნი. არა, არ მიმაჩნია. ის დროა,
დამწვდეთ, მანეტრო.

ფინიკოსი (დაფას დახედავს). ჭერ აღრეა.
წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ვუყარნა-
ხო?

ბესსმარტნი. ვიქნები, თუ გნებავთ, ჩაეწე-
რეთ გასაფრენად.

ფინიკოსი. რა ექნა?

ბესსმარტნი. რიგში, რიგში ჩადექით... უმ-
ჯობნია თქვენი განგარიშებანი გაცვაყანით.

ფინიკოსი. გაინტერესებთ?

ბესსმარტნი. ჩვენ აბსოლუტურად უველა-
ფერი გვაინტერესებს. ყოველ ჩვენგანში ხომ
კაცობრიობის მიღწევებია კონცენტრირებუ-
ლი. თითოეული ინდივიდუუმია — და ერთბა-
შად ყველაფერია!

ფინიკოსი. საქმე უფრო მარტივია, ვი-
დრე შეიძლება რომ მოგვეჩვენოს. არამდგრად
რეჟიმში, რეპატორს აჩერებდნენ ხოლმე ამ
დროს, მოხდა ადგილობრივი გადახურება —
არის ასეთი ზონა. ვინაიდან საავარიო სისტემა
გამორთული იყო, ამიტომ ტემპერატურის
ზრდამ გამოიწვია სწორედ პირველი, მცირე
აფეთქება, რამაც დააზიანა გამანელბელი სი-
სტემა... და ამ აქ დაიწყო ფრიალ თავისებური
პროცესი: წევვა მატულობდა, წყალი ორთქლად
იქცა...

შინხანძარი. მე ვნახე, როგორ გამოხეტია ორ-
თქლმა, მაგრამ ასეთი რამ აღრეც მომხდარა.

ფინიკოსი. თქვენ აბსოლუტურად სწორედ
შეგინიშნავთ. მაგრამ აღრეც რეგულაციებს ახდე-
ნდა საავარიო სისტემა. ახლა კი — არა. ამი-
ტომაც პროცესი ელვისებურად ძლიერდებოდა.
ტემპერატურის ამაღლებასთან თანადროულად
მთელი გამანელბელი წყალი დაიშალა უანგბა-
დად და წყალბადად, და ბოლოს და ბოლოს...
ბესსმარტნი. რეპატორს დედა ეტარა —
სულ ნამსხვრევებად იქცა!..

ფინიკოსი. თქვენ აბსოლუტურად ზუს-
ტად შენიშნეთ — „ნამსხვრევებად იქცა“, უფ-
რო სწორად კი, ვადაიქცა სამაწქანო დარბაზის
შხარეს და დიამეტრალურად საწინააღმდეგო

მიმართულებით. ასახნელად არც დაგვრეც
ხსიანთა ძნელი. ეს მოდელი აუცილებელია
და ინახოს გამომთვლელ მანქანებზე. ანტიმაც
უნდა დარეკო.

შინხანძარი. ყველას სთხოვს პატაქების და-
წერა... თუმცა, მე არ ვიცი, თქვენთან ამას რა
ქვია, ჩვენთან პატაქებს ვეძახით...

ბესსმარტნი. მაგათთან ამას „მეცნიერული
გამოკვლევა“ ჰქვია... მაგრამ, ბოდიში მომხდლია
წყალებად ლიტერატურული სიტყვის ხმარები-
სათვის, ვინ მამამაღლმა გამორთო საავარიო
სისტემა?!

ფინიკოსი. მაგ კითხვაზე გამიპრდება პა-
სუხის გაცემა. არავითარი რეგლამენტით ეს
გათვალისწინებული არ არის.

ბესსმარტნი. კაცი რომ მოსკოვში მუხრუ-
ჭებმოშლილი მანქანით წავიდეს, ეს გათვალის-
წინებულია?

ფინიკოსი. ბოდიში, ვერ გავიგე.

შინხანძარი. ამას იმის თქმა უნდოდა, რომ ეს
თვითმკვლელობააო.

ბესსმარტნი. მაგის თქმა სრულებითაც არ
მინდოდა. მე იმის თქმა მინდოდა, რომ ეს
მკვლელობაა თვითმკვლელობა კი არა, მკვლე-
ლობა!.. თქვენ მოიგეთ, მანეტრო. (ფინიკოსს).
თქვენი რიგია.

ფინიკოსი. მადლობელი ვარ. ოღონდ, თუ
ნებას დამრთავთ, ჩემს ნომერში წავაღ, წა-
ვიშუშავებ, საჭიროა უფრო დაწვრილებითი ახ-
სნა და განმარტება. თუკი ტელეფონით დაკავ-
შირება არ შეიძლება.

ბესსმარტნი. ეს სამართლიანი ნაბიჯია. მა-
გრამ მე მაინც მინდა, რომ ერთი ხელი ვითამა-
შოთ. არ დაგვიმალავთ, წაგებულის ანაწალურე-
ბა მინდა...

№ 7 ბოქსში შუქი აღარ ციმციმებს, ისე ან-
თია. გამოდის ანა, უკან მოჰყვება ვერა.

ანა (ვერას). ორ საათში კიდევ ერთი ამბულა
იქნება საჭირო, საგულე. დილიდანვე საომერა-
ცილო გავაშალო... (ბესსმარტნის). აღარ არის
დრო? რაც ითამაშეთ, გუჟოფათ.

ბესსმარტნი. საბოლოო ხელია. რევანში.
როგორც კარპოვ-კასპროვის მატჩში...

ანა. სათამაშო დარბაზი გამართეს, თითქოს
კულტურის პარკში იყვენო.

ბესსმარტნი. დასვლეთში არის კლუბები
რჩეულთათვის. სხვადასხვა ჯურის მილიონერ,
თათვის. იქ მსჭელობენ, პოლიტიკას ქმნიან. რა-
ტომ ჩვენც არ უნდა შევექმნათ ასეთი კლუბი.
და სახელი მარჯვედ მოვუძებნოთ, მაგალი-
თად, „უკვდავთა კლუბი“ ცუდი არ იქნებოდა!
№ 1 ბოქსი აციმციმდება. მორიგის პულტ-
ზე სიგნალობაცია მუშაობს.

ანა (ვერას). ანტიმოკური ღონისძიებაა სა-
ჭირო... მაღლი

შერბიან ბოქსში.

შინხანძარი. იქაც?



ბესსმერტინი. არა, ეს უფრო რთული საქმეა. მაგრამ ისევე ჩვეულებრივი... მოკლედ, წავიდით. თამაშით უკვე აღარ გვათამაშებენ. მაღლობელი ვარ მოგვრილი ხაიმოვებისათვის. ზვლამდის. (გაემართათ თავისი ბოქსისავენ, შეჩერდებიან). შენ, ბიჭო, წადი შენთან და დაწევი. იწყები და არაფერზე არ იფიქრო. შენთვის ახლა ფიქრი მავნებელი... ზოლო როცა ვერა გათავისუფლდება, გაუარშოყდი. გეგმები დაწევი. თასგვარი... ვერას ცოლად მოყვანისაც კი... სულ ერთმანეთზე უკეთესი გეგმები დაწევი. ერთმანეთზე ლამაზი. არ იძულები და არც თავი შეიკავო... თამაში თუ მოგიწოდებს, დამოკიდებული. ნუ გეშინია, მე დიდი ხანია უკვე ძილი არა მაქვს, გადავივიტო... მსიამოვნების კიდევ, როცა, მანუხებდები. მაშინადევი, ვიღაცას უჭირდები...

აცემობდები ბოქსი № 4, ანა გამოდის პირველი ბოქსიდან, მიდის მორიგის შავიდასთან. აცემობდები ბოქსი № 6, ანა ახდის ტელეფონს. კრეფს ნომერს.

ანბ. საერთო შეკრება... მგონი, დაიწყოს... მე თვითონაც არ მეგონა, თუ ასე მალე... მაგრამ მე და ვერა თავს უკვე ვეღარ ვართმევთ. აცემობდები ბოქსი № 8, შემდეგ № 8 და № 2. სცენა თანდათან სიბნელეში იძირება, უკან პლანზე კი სულ უფრო მძლავრად ენთება კაშკაშა წითელი დაფიონი.

ინფორმაცია რადიოთი (მომავლის ხმა)... უნდა იცოდეთ, რომ შემოკრიბილი რადიაცია ადამიანს აზიანებს მხოლოდ იმ მანძილზე, რომელიც ბირთვული აფეთქების ადგილს დაშორებულია არა უმეტეს 2-მ კილომეტრისა. მას შემდეგ, რაც დინამიკით კაშკაშა ნათებას, ღარტყმის ტალღა რამდენიმე წამში მოგადგებათ. ეს დრო საქმარისა იმისთვის, რომ დაიკავო გვერდითი მდებარე თავშესაფარი ანდა უფიქრულ შემთხვევაში მიწაზე დაწვეთ...

3

მეორე დღის დილა. მიმდინარეობს „ხუთწუთიანი“. პოლში არიან სერგეევი, ბტიცინა, ანა, ეერა და ლუბა. ბესსმერტინი, როგორც ყოველთვის, თავისი ბოქსიდან ჩუმად უვლდებ ყურს.

სმარბმევი. უველაფერი ნათელია, მაგრამ მიღებულ განაწესს მაინც არ შევცვლით. სიტუვა თქვენ გეკუთვნი, ქალბატონო ანა.

ანბ. ნომერი პირველი — მდგომარეობა და მკამყოფილებელია, ტემპერატურა ნორმალურია, მაჩისტემა უცვლელია... ნომერი მეორე...

ბტიცინა. კარგი, ანუშკა. მთავარია, რომ მოულოდნელობანი არ არის, საქმეს მოველო, ბატონო ლევ, საქმეს მოველო. და ეს მახარებს. შემდგომ კი უველაფერი პროგრამის მიხედვით მოხდება. ზელმეორედ გადახმას ინტენსიური თერაპია დაემატება...

სმარბმევი. არ დაიდაღეთ ქალბატონო ლდა?

რაც უნდა იყოს, თითქმის მთელი დამე ფეხზე იყავით... ხომ არ შეგანაცვლოთ ვინმე? ბტიცინა. ვინ უნდა შეგანაცვლოთ იქნებ „მცენარეულობიდან“ აპირებ გამოგზავნას? ისინი ჭერ უჭრედულ დონეზე მუშაობენ... სმარბმევი. ანა ეგ რა ლაპარაკია, ქალბატონო ლდა?

ბტიცინა. დიდი ხანია გეუბნები: იფიქრეთ, იმეტი მომავალზე, იფიქრეთ-მისტი. შტატები გაგებთა, საფურჩიანი ცოშივით გაგოფვდა, მესამე სართულზე კი ეკონომიას ეწევი. რამდენჯერ მაქვს ნათქვამი: ჩვენ ნუ გვივიწყებ-მისტი. ხმას რომ არ ვიღებდით... აი რა მოხდა... მილი ახლა და გამოგვიგზავნენ ბოტანიკოსები... რა უნდა გააკეთონ იმათ?.. სიმშვიდის მოყვარული ხალხია, ნერვებს აგრე ადვილად არ იშლიან...

სმარბმევი. კრებაზე ხომ არა ვართ, ქალბატონო ლდა?

ბტიცინა. არც კრებაზე დაგაქვლები და ვერც პენსიაზე გამოსტუმრებ, პირდაპირ გეუბნები... არ გამოვივა!

სმარბმევი. ეგ აწრადეც არ მქონია...

ბტიცინა. უფროსები ეშვებები ხართ. ტყბილი ლაპარაკით იცით თქვენი საქმეების მოკაზრება... ესაო, ისაო და მერე ვითომ ასეთია კოლექტიური აზრობა. ორი განაკვეთი ვინ გამომტყუა შარხან? მამშვიდები, უველაფერი კარგად იქნებაო. თქვენს აზრს გავითვალისწინებთო, თან ადგილს და პირველ სართულზე ორი უფროსი მეცნიერი-მუშაკი აიყვანენ... ვიცო, ვისი ქალშვილიც მოაწყუ. სამწუხაროდ, გვიან გავიბე...

სმარბმევი. ცოდვილი ვარ. ვინაიბე.

ბტიცინა. მავთ მქონი — იცი, რომ მიყვარს, როცა ინანიბენ. ეშვები ხარ, ეშვები. მაგრამ სხვა რამე გშველის — ოქროს ხელები გაქვს. შენი ფასი მაშინ გენახა, უფროსობისთვის რომ არ კვდებოდე. შენი ადგილი აქ არის, მესამე სართულზე. უკვე აკადემიკოსიც იქნებოდი, მაგრამ თავში შევიტყებთა კი არ გიტრიალებს, რომელ დედაკეთან რა ურთიერთობა გააბა, სულ იმაზე ფიქრობ. მერე, მე შენ გეტყვი, ერთი და ორია. ბევრნი არიან, ბევრნი. სწრაფადაც იცვლებიან.

სმარბმევი. თქვენ რაღაც ფილოსოფიის ხასიათზე ხართ, ქალბატონო ლდა.

ბტიცინა. დაქანცული ვარ და, ვატყობ, ჭუჭლუნა უხდება.

ანბ. მე დავრჩები... მაინცდამაინც არ დავღლილვარ.

ბტიცინა. არა მიწავს რა. დისვენეთ... გოგოები მომეშველებიან. ჰო, მართლა, ესენი ხაშნი იყვნენ... ერთი საღდა?

ლუბა ნადეჟდა არ არის... წვაიდა.

სმარბმევი. როგორ თუ წვაიდა?



ლუბა. წუხელ წავიდა. არ შემიძლიაო, თქვა და წავიდა.

ბტიცინა. დასხივებისა შეეშინდა თუ რა?

ლუბა. პო. მე ჩერ კიდევ შვილები უნდა გა- ვაჩინოო, თქვა, აქ კი ეს ამბავიაო...

ბტიცინა. მერე შენ რაღას უყურებ? შენ რა, არ აპირებ შვილების გაჩენას?

ლუბა. როგორ არ ვაპირებ.

ბტიცინა. მაშ რაღად დარჩი?

ლუბა. ვიღაც ხომ უნდა დარჩეს.

სმარბეშვი. იმ წაღველას მე მოვუვლი. ყველა იმისი საბუთი აქა მაქვს. ავღებები და ვინც ის გამოგვიგზავნა, იმათ მივწერ. უფროსებს.

ბტიცინა. ზისწერ კი არაა რას ერჩი, არ ეყო გოგოს ვაჟაკობა. ძალიანაც კარგი ქნა, რომ წავიდა. რაბან შეეშინდა... გაანებ თავი...

შეიშო უანგვით არის, ბელად სქამს ადაშიანს. (ვერას და ლუბას.) ასე რომ, შვილებო, თუ გე- შინააო, თქვენც წადით. უთქვენოდაც მოვუყუ- ლით საქმეს. (სერგეევს.) არ ვანდა, ნურც დაი- ჭერ და, მით უმეტეს, წურც დაემუქრები. რა- დიაცია მართლაც საშინელი რამ არის. ვინც ვინდა, ყველას შეაშინებს. მე და შენც გვაშინ- ნებდა, მაგრამ საქმეში გადაგვაგოწყდა და აქ იმითკომ ვმუშაობთ... არც გამოვიკირდება, შვი- ლებო, რომ ვაიქცდეთ.

ბმსსმარტნი (თავს გამოყოფს). წაღველა გა- იქცა... გაქრა... აორთქლდა... მიგვატოვა... რა ვქნათ უწაღველოდ?!

ბტიცინა. ჭი-ტა, ჩემო კარგო. როგორ გე- ძინა?

ბმსსმარტნი. სიწმარო არ მინახავს. წუხელის ყველაფერი ცხადად იყო.

ბტიცინა. მე შენი იმედი მაქვს. კოლექტივ- ში ზორალურ-პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. შენ ჩვენი მთავარი წამალი ხარ.

ბმსსმარტნი. არ გიმტყუნებთ. შაშუი პირვ- ელი მატრი გავმარტეთ.

ბტიცინა. არის კიდევ დომინო, ჰედარაკი, კროსვორდი... კიდევ რა არის?

ბმსსმარტნი. კიდევ დაქერობანა.

ბტიცინა. გეყოფა! კმარა მიხსურე კარი. შენ უკვე, ჩემო კარგო, ყველაფერს ამასხარავებ.

ბმსსმარტნი. მე მიჩვეული ვარ, ქალბატონო ლიდა, თქვენს უსიტყვო მორჩილებას... (კარს უკან მიიმალება.)

ბტიცინა. ეგ დღეს ნამდვილად ჩვენი მთავა- რი წამალია.

მმარა. მე აქ ვიქნები. ქალაქში არავინ მყავს, არც არაფერი საქმე მაქვს. ცოტას წავიძინებ დასასვენებელ ოთახში და მოგვეშვილებით.

ბტიცინა. გმადლობთ.

სმარბეშვი. და კიდევ ერთი საქმეა დღეისა- თვის. თორმეტზე პროკურორი მოვა... (ხედავს პტიცინას გაოცებულ სახეს). უპირველესად რე- აქტორის ავარიას მთავარი. პროკურორი ჩქა-

რობს. ჩერ ერთი. პირდაპირი დავკვირვებო- სკირდება მეორედ. დაგვიანების ეშინებაო... რის თქმა არ შემიძლია.

ბტიცინა. როდენ მხოლოდ იმათთან... და ვალაპარაკებ... სმარბეშვი. რასაკვირველია, რასაკვირველია... იმას ყველაფერი ესმის... დაგმეშვიდობებით... (გაემართება უარისაგან). თორმეტზე მოვად. იმ დროისთვის ტუნიის გადაწერვის ბანკიდან მო- ნაცემებსაც მივიღებთ თითოეული პაციენტისა- თვის. დონორებსაც უნდა დავუკავშირდეთ.

ბტიცინა. დაგელოდები. აქაჩრებაა საკირო. მეშვიდე და მეოთხე ძალიან მაფიქრებენ.

სმარბეშვი. მაგათი დონორების ამბავს თორ- მეტზე მოგახსენებთ. ოპერაციას ალბათ ბვლი- სათვის დავნიშნავ. თქვენ იქნებით ჩემი ასი- ტენის თუ მე — თქვენი?

ბტიცინა. დაწყებით თქვენ დაიწყებთ. მიყ- ვარს, საქმის ღამაზად კეთება რომ იცით და საოპერაციოში მუდამ ეტაბები ხოლმე თქვენი ყურებით. ხოლო მომდევნო სერიას მე თვია- თონ...

ლუბა (შეშინებულია). მომდევნოს? ბტიცინა. ახლა, შვილო, ჩვენ უკვე ყოველ- დღე მოვიწვევს ოპერაციების კეთება, დასვენე- ბის დღე არ გვექნება... ასეთი სამსახური გვაქვს.

სერგეევი გადის.

ბოქსიდან გამოვა დიდა კლავა.

დემიდო კლავა. შენ უნდა წავიდეთ... დაშკა მოსაწველი მყავს.

ლუბა. წუ დედავთ. მიხედავენ.

დემიდო კლავა. არც ფრინველი დამიბუ- რებია.

ლუბა. თქვენ რა, მარტო ცხოვრობთ? დემიდო კლავა. მე და დაშკა ვართ. მოსაწ- ველი დამჩნა. ახა, აქ რა მინდა?..

ლუბა. ყველაფერი კარგად იქნება. წამობრ- ძანდით, დაისვენეთ.

დემიდო კლავა. დაშკა მოსაწველია... ცურის გაუსკდება... დამეღუბება.

ლუბა (ბოქსისკენ მიჰყავს). მე დავურთავ. ვთხოვ, რომ მოწველონ. აუცილებლად დავუ- რთავ.

დემიდო კლავა. ბარემ ფრინველიც დააბუ- რონ. საეკეი საკუნაოშია... დაშკა ავად გამიხ- დება. იმის მეტი არავინა მყავს. ბებერია და ჰირკოლიდა, მაგრამ მაინც მარჩნეს. დღეში ერთ ვედრომდე იწველის. სთხოვე, გენაცვალი...

მაგრამ ისიც არ ვიცი. შეიძლება თუ არა, რომ აქამონ ან დაალევიონო? სუყველა იმას ამბობს, აზინდა გაშავდება... და მდინარეებში წყალი გამოწარდებაო. რაღაც კარგად ვერა ვარ, აღარ შემიძლია.

ლუბა. წაბრძანდით, წამოწეით. (დიდა კლავა გადის). ქალბატონო ლიდა, მგანი, უნდა დავურთავო.



ლუბა. შავი აბზინდა... მწარე წყალი... აბ-
ოდებს?

პტიცინა. აპოკალიფსია. ამ დროს ღმერთიც
გაგონდება და ემზავიც.

ლუბა. აქ როგორ მოხვდა?

პტიცინა. რეაქტორი რომ ამოიფრქვა, ექვს-
ცილომეტრიანი ზოლი გაჩნდა. ეგ ბოსტანში
ფუსფუსებდა თურმე. დილიდანვე მაგის დაშ-
კაც იქვე ახლოს მინდორში უფილა გაშვებუ-
ლი და ორიენი ეგრევე იმ ზოლში მოქვენენ...
ქათმებიც... ოღონდ ქათმები ძალზე გამძლეები
არიან. გაუგებარია რატომ, მაგრამ ქათმებისა-
თვის საშიში დოზა ორმოცდაათჯერ მაღალია.
ყველა და ყველაფერი, რაც ცოცხალია, ადამი-
ანი, ზე თუ ხალახი, იღაპება, ქათმებს კი არა-
ფერი მოსდით. მხოლოდ ძალიან აგრესიულ-
დებიან. დასხივებული ქათმები ბოცვრებსაც
კი ეხსნიან. თავებს შუაზე უპობენ სვავებივით.
ლუბა. საშინელებაა.

პტიცინა. ნამდვილად საშინელებაა.

ლუბა. მე მაინც დაფურეავ დაშკაზე.

პტიცინა. არ გინდა, შვილო. იმას არაფერი
უთხრა... დაშკაცა და სხვა ფრინველ-ცხოველიც
იმ ზონაში სულ ერთიანად მოსებს. ასეა საკი-
რო.

ბოქსიდან გამოდის გენერალი.

ბენეარალი. ძალიან ცუდი წყალი გაქვთ. თა-
ვი დავისვდე, დავივარცხნე და მთელი თმა სა-
ვარცხელს აყვავა... მოშამბული წყალია, დაუქ-
ვრილი.

პტიცინა (დაქანცულია). გასაგებია...

სამორიგეო ოთახიდან გამოვა ანა.

ანა (პტიცინას). ჩემთან ვიქნები. ცოტას და-
ვისვენებ და მოვალ — თუ რამე იყოს, დამირე-
კეთ...

გასასვლელისკენ მიდის. თავისი ბოქსიდან გა-
მოვა მენახძრე, ანასთან მივა, რაღაცას ეუბნება
ჩუმად.

...ვეცდები, აუცილებლად შეგისრულებთ
თხოვნას. ნახვამდის. (გაღის).

ბენეარალი (მებანძრეს). ყოჩაღ!.. აქედან გა-
ვალთ თუ არა, მთავრობის ჩილდოზე წარგად-
გენთ. სუსუველას, ვინც სამანქანო დარბაზში
იყავით. თქვენ აუცილებლად.

მენახძრე. ვემსახურები საბჭოთა კავშირს!..
გამადლობთ...

ბენეარალი. ეგრე ოფიციალურად არ გინდათ.
სამწუხაროდ, ამჭერად სამსახურში არა ვართ.
უფრო თავისუფლად.

მენახძრე. გასაგებია, ამხანაგო, გენერალო.
შემოდის მძღოლი.

მძღოლი (იზმორება). მგონი, ჩემს სიცოცხ-
ლეში ასე პირველად გამოვიძინე...

№2 ბოქსში შუქი ჩაქრობას იწყებს. პულტზე
მანხივე წითელი ნიშანი აინთება და ზუმერი
გაისმის.

პტიცინა (ლუბას). წავიდი... გულის შეფე-
რებებია.

ორივენი მეორე ბოქსში შედიან. თავისი ბოქსი-
დან გამოდის დოზიმეტრისტი.

ბენეარალი. მოუსვენარია სამსახური აქვთ.
მძღოლი. თქვენი რა ნაკლებია? ხან ვილა-
ცას ქურის გამორთვა ავიწყდება, ხან თვითან-
თება ხდება, ხანაც ტყეები იწვის...

ბენეარალი. ტყეების ხანძარი დიდი უბედუ-
რებაა. იცი, რამდენი მილიონი ზარალია უო-
ველდლიურად? უზარმაზარი ციფრი გამოდის...
შენ მართალი ხარ: ჩვენს პროფესიაზე უფრო
სახიფთო და ვაჟკაციური პროფესია არ არსე-
ბობს. მუდამ თითქოს ომში ვართ.

№2 ბოქსში შუქი ჩაქრობას იწყებს. გამოჩნ-
დება „ფიზიკოსი“.

ფიზიკოსი. მამაკითხ. თუ შეიძლება, ის ამ-
ხანავე მოხსენებით ბარათებისთვის არ მოსუ-
ლა?

მენახძრე. ჭერ არა.

ფიზიკოსი. ცოტა ხნით თუ გავიდი... ან
გულიდან თუ გადავმარდა... უთხარით თუ შეი-
ძლება, რომ ის ჩემი გაანგარიშებები ბოქსში
მაგიალზე აწყვია.

მენახძრე. თქვენ თვითონ გადაეცით...

თავისი ბოქსიდან გამოვა ბესსმერტნი. სავა-
რეოდ არის მორთული, პეპელა უყვითა, შლაპა
ახურავს. ხელთ რაღაც ჭოხი უჭირავს, იქნებ
ხელჯოხიც არის. ყურადღებას არავის არ აქ-
ცევს, ისე დასეირნობს ჰოლში. რამდენიმე ხანს
სუყველა გაცეხული უყურებს. ბესსმერტნი
კმაყოფილია, რომ ასეთი შთაბეჭდილება მოახ-
დინა.

ბენეარალი. ეს ვილა... ჩიტია?

მძღოლი. აქაური მკვიდრია... აქაურობა ზუ-
თი თითვით იცის.

ფიზიკოსი. მამაკითხ, თუ შეიძლება, რო-
გორ ფიქრობთ, ჩვენ აქ დიდი ხნითა ვართ?

ბესსმერტნი. პირადად მე 488-ე დღეა...

მძღოლი. ფორმა რატომ არ გაცვიათ?

ბესსმერტნი. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული
მუშაობას ვეწევი.

ბენეარალი. ვისთან?

ბესსმერტნი. კოლექტივთან. დასანანია, რომ
ყველანი არ არიან.

შემოდის ველოსიპედისტი.

ველოსიპედისტი. სად არის აქ რომ ტურ-
ფა გოგო იყო, კულულებიანი... და კიდევ იმა-
ზე უფროსი ექიმი ქალი?

ბესსმერტნი. ექიმი ანა და პრაქტიკანტი ვე-
რა ამჟამად ისვენებენ შრომით დადღილები.

ველოსიპედისტი. ეს ვილახი ტიკი-ტომა-
რია?

ბესსმერტნი. თავხედობასა და უტაქტობაზე
საქიროთა თავდაკერილად და მშვიდად რეაგ-
რება. მე ამას უბრალოდ ვერ ვამჩნევ.



ველოსიპედისტი. ერთს რომ მოგდებ მაგ კისერში, მერე შემაჩნევ.

გენერალი. უხეშობა არ იყოს!.. თქვენი სახე რაღაც მეცნობა. სად შეგხვედრივართ? მძღოლი. მეც მეცნობა. მინახავს.

ველოსიპედისტი (ერთგვარი შიშით). გეშლებათ, მოკლაქენო. მე აქაური არა ვარ. თქვენს კამანიაში შემთხვევითი კაცი ვარ. (თავისი ბოქსისკენ იხევს).

№ 2 ბოქსში უჭეი ქრება. შიგ ჩაბნელდება. მძღოლის პტიცინა, დაღლილი ნაბიჯით შედის სამპორიეროში, მაგიდასთან დაჯდება, წერს. ბესსმერტნი ევალდაქველ შემოპყვება.

ბესსმერტნი. რა იყო, ქალბატონო ლიდა, ცუდად ხომ არ არის საქმე?

პტიცინა. გათავდა.

ბესსმერტნი. (შლაპას იხდის. ლუბა ატირებული გამოდის).

დონუნიშტარსტი (ყვირის). არ მინ-და! (თავისი ბოქსისკენ გაბრძნის).

პტიცინა. ლუბა, დამამშვიდებელი მიეცი, გენაცვალე...

ლუბა თვალებს იწმენდს! შედის № 6 ბოქსში.

გენერალი (ფიზიკოსს). სულ თქვენი ბრალია — ფიზიკოსების, ატომური ენერგია ცივილიზაციის მომავალია... ატომური ბომბებით, რაქტორებით, სადღურებით... რა ციცი, რაღა არ გამოიგონეთ!

ფიზიკოსი. ვითომ რატომ არის ჩვენი ბრალი?.. რაქტორი სრულყოფილება, სასწაული! მაგრამ ასე როგორ შეიძლება...

გენერალი. როგორ ასე?

ფიზიკოსი. როგორ და, მშაბით, მაგრამ რაქტორს არ შეიძლება... რომ დაუდევრად მოყვებოდ. ვანა ყველაფერს იტანს. ბევრს უძლებს მაგრამ არა ყველაფერს... ადამიანისა არ იყოს.

გენერალი. რა გაქვთ მხედველობაში?

ფიზიკოსი. მე, რასაკვირველია, შეიძლება რომ შევცდე კიდევ, მაგრამ, განგარისებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაცვის საავარიო სისტემა გამორთული იყო. მაშასადამე, გამორთვა ვილაცამ ბრძანა.

გენერალი. ვინ ვილაცამ?

ფიზიკოსი. სამწუხაროდ, პასუხის გაცემა მეძნელება...

მძღოლი. ვინმე უფროსმა?

ფიზიკოსი. იქნებ მართალიც ხართ. არადა, ვერც ერთი ოპერატორი ამას ვერ იწამდა. თავის თავს ვერ მისცემდა ამის უფლებას.

ბესსმერტნი. ალბათ სადღურის დირექტორის ბრძანება იყო, არა?

ფიზიკოსი. სადღურის დირექტორს შეუძლია ბრძანების გაცემა, მაგრამ უნდა ესმოდეს, რას რა მოსდევს...

№ 5 ბოქსის კარი გაიღება. გამოდის ატომური ელექტროსადღურის დირექტორი.

ამს-ის დირექტორი. მე ატომური ელექტროსადღურის დირექტორი ვარ და ასეთი რამ არ მიბრძანებია.

თანდათან სცენა წყველიაღი იძირება. უკან კი კაშკაშა ალი სულ უფრო ძლიერად გიზგიზებს.

ინფორმაციის კამერა (კაცის ხმა). ...და-იმახსოვრეთ, რომ რადიაციის დონე, რომელიც ატომური აფეთქების შემდეგ ერთ საათში შეიქმნა, ორი საათის გასვლის შემდგომ თითქმის ორჯერ შემცირდება, ხოლო სამი საათის გასვლის შემდგომ — ოთხჯერ. ორ დღე-ღამეში რადიაციის დონე, აგრეთვე სურსათისა და წყლის მოწამვლის ზარისხი ასჯერ იკლებს.

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

ვებრუნდებით პირველი მოქმედების უბანასანამელ წუთებს

ბესსმერტნი. ალბათ სადღურის დირექტორის ბრძანება იყო, არა?

ფიზიკოსი. სადღურის დირექტორს შეუძლია ბრძანების გაცემა, მაგრამ უნდა ესმოდეს, რას რა მოსდევს...

№ 5 ბოქსის კარი გაიღება. გამოდის ატომური ელექტროსადღურის დირექტორი.

ამს-ის დირექტორი. მე ატომური ელექტროსადღურის დირექტორი ვარ და ასეთი რამ არ მიბრძანებია.

ფიზიკოსი. მაგრამ, მშაბით, ვილაცამ ხომ ბრძანა საავარიო დაწყველის გამორთვა?

ამს-ის დირექტორი. მე პასუხს ვერ ვაგებ ყოველი სულელის მოქმედებისათვის!.. თავი დამაჩვენებ — ავადა ვარ, ძალიან ავადა ვარ!

ბესსმერტნი. ასე მგონია, რომ ყოველი ჩვენგანი იღვალურად ჩანმართელია.

ყველა დუმს.

მძღოლი. მალე, ზენდროს შემოვა...

გენერალი. რა ზენდროს?

მძღოლი. ადრეული ჭიში. ტუბილია, მსხვილი. კილო ხუთ მანეთად.

გენერალი. მერე ცოც აქ რა შუაშია?

მძღოლი. ჩემი ცოლი მყიდის ზოლმე. ჩვენი ბალისას. ექვსას-შვიდასი მანეთისას...

გენერალი. ვერაფერი გამოიგია.

მძღოლი. აბა ზენდროს ახლა ვილა იყიდის? მუქთადაც რომ მისცე, ხელს არავინ მოპკილებს.

ბესსმერტნი. მართალია! ეკოზი ნაცარში ჩაუვარდათ „ზენდროს მეფეებს“, და მართო სადღურის გარშემო კი არა, მთელ ოლქში. აი ნახავთ, დედა ეტირებათ.

მძღოლი. ბრალი ჩვენი, თორემ ისინი მაინც გაიტანენ ჩრდილოეთში ანდა ციმბირში.

გენერალი. შენ რა, არა გუფინის?



მძღოლი. ასოციათ მანეთად ცოლი და
ორი შვილი როგორ უნდა ვარჩინო?
გენერალი. პრემიებს რას უშვებენ?
მძღოლი. თვეში თუმანზე მეტი არ გამო-
დის.

გენერალი. მერე რატომ ხმას არ იღებდი?
მძღოლი. ხენდრო მქონდა. სამი ვაშლის ხე,
ორი ქლიავი, მსხალი... კაი მსხვილი ჭიშისა...
იცოცხლე, იყიდებოდა.

ფინანსი. ძალიან მეტრადებით, უბედურ
დღეში ხართ. უნდა გიხიბოთ, რომ ხენდრო,
ხოსტანული, ხილი, აგრეთვე რძე...
ლუბა. დაშვა ჰყავდა იმ საწყალებს...

ფინანსი. რძესთან ფრთხილად უნდა ვი-
ყოთ, მთელი ზონა მოწამულია. რძეში რა-
დაქტიური „კუჭუკი“ ხდება — ძროხა იმას ბა-
ლახთან ერთად სჭამს... არა, რძესთან ზუსტობა
არ შეიძლება. რომ გამოვთვალოთ, სულ ცოტა,
ექვსი თვე...

გენერალი. თქვენი პროგნოზები, ამხანაგო
მეცნიერებო, ერთ გახვრტილ გროზად არა
ღირს.

ფინანსი. მბატიეთ, თუ შეიძლება, მაგ-
რამ ეგრეთ დასკვნას ვერ დავეთანხმები.

ამს-ის დირექტორი (გონს მოეგო). მარ-
თლს ამბობს (გენერალზე უჩვენებს). რამდენს
გემტკიცებდით: „ატომური სადგურები ყვე-
ლაზე უფრო უხიფათოაო“. „ატომური სადგუ-
რები სრული საიმედოობით გამოირჩევაო“. ეჰ,
რა ვიცი, რაღას არ ამბობდით თქვენ, ფინანსი-
სები!

ფინანსი. მბატიეთ, მაგრამ თქვენგან მა-
გის მოსმენა...

ამს-ის დირექტორი. ჩემგან თუ ვიღაც
სხვისაგან, მაგალითად, ამისაგან (გენერალზე
უჩვენებს თავით), რა განსხვავებაა?!

გენერალი. აბა, აბა, თავს სხვისეკენ ნუ აქ-
ნევი სადგურის დირექტორი თქვენა ბრძანდებით
და პასუხიც თქვენ უნდა აგოს!

ამს-ის დირექტორი. თქვენ — არა?

გენერალი. მე? მე ჩემი მოვალეობაა ვიცი.

ფინანსი. მბატიეთ, თუ შეიძლება, მაგ-
რამ, საწუხაროდ, ბევრი რამ არ ვიციო... აი
უკვე ახალი თაობა დაიბადა და გაიზარდა კი-
დეც, როცა ადამიანები სულ ერთთავად კოს-
მოსში დაფრინავენ და ატომურ სადგურებს
აგებენ. ამ თაობამ თვალი და ყური მიაჩვია
ყველაფერ ამას, ჩვენ კი, უფროსებმა არ ჩავა-
გონეთ, რომ ეს საშიშრო, ძალიან საშიშროა...

მძღოლი. ეშმაკი მიმალული იყო. წყნარად
იქდა, ელოდა, ახლა კი გამოძვრა.

გენერალი. ეგ მანკიერი შეხედულებებია,
ეგ ჩვენი შეხედულებები არ არის! გაკვირვებ-
ბული ვარ...

მძღოლი. გონება რაც უფრო ძლიერია, მით
უფრო (სუსტია სული).

გენერალი. ეგ მაგენ ფილოსოფიაა!
გამოდის ლუბა.

ლუბა. დამშვიდდა. მაგრამ არა სძინავს.

პტიცინა. (წერას ამთავრებს; პოლში გამო-
დის, აეს-ის დირექტორს მიმართავს). ნუ ღე-
ლავთ, გავიკოთხე...

ამს-ის დირექტორი. ბევრია?

პტიცინა. საწუხაროდ კი, მაგრამ მომაკვ-
დინებელი არ არის. სახედნიეროდ, ისინი მან-
ქანიდან არ გადმოსულან. ასე იყო ხომ?

ამს-ის დირექტორი. სულ შიგ იყვნენ. მე
არ ვაღმავუჭვი.

პტიცინა. სწორედ მაგან უშველა. ორ-სამ
თვეში ყველაფერი ნორმაში ჩადგება.

ამს-ის დირექტორი. მერე?

პტიცინა. არ ვიცი. ეგ არავინ არ იცის...
ჭერჭერობით, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ყველა-
ფერი ნორმაში ექნებათ.

ამს-ის დირექტორი. გმადლობთ, ძალიან
დიდი მადლობელი ვარ თქვენი!

პტიცინა. თქვენი თავის მადლობელი იყავით
მანქანიდან რომ არ გადმოუშვით.

ამს-ის დირექტორი. უაზრო ამბავი მოხდა...
უაზრო!

გენერალი მაგიდაზე დაწყობილ ფურცლებს
კითხულობს.

გენერალი (მეხანძრეს). ყოჩაღ! მშვენივრად
მოკცეულხარ... მაგრამ აქ ერთი უწყუხტობაა.

მისხანძრე. როგორც იყო, ისე დავწერ.

გენერალი. აფეთქებაზე სწორედ არ წერ.
აფეთქების ამბავი შენ არ გადაგიცია.

მისხანძრე. მე ქალაქის მორაგებს ვუთხარა,
ღია ტიქსებით ვუთხარა, რეაქტორის აქტი-
ურ ზონას ვხედავ-მეთქი, ვხედავ, რომ გა-
შეშვდებულა-მეთქი. მერე ის გადავიცი, სა-
დაც ჭერ არს შეტაცობინეთ-მეთქი. მე ინ-
სტრუქციებს ვიცნობ.

გენერალი. რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინც-
დამაინც აფეთქება იყო?

მისხანძრე. სამაქანო დარბაზის თავზე შავი
ბურთი გაჩნდა, მალა-მალა წავიდა.

გენერალი. ჰოდა, სამაქანო დარბაზის თავ-
ზე და არა რეაქტორის თავზე.

ამს-ის დირექტორი. (დალლილია, ძლივს
ლაპარაკობს). მაგას რა მნიშვნელობა აქვს...

ფინანსი. მბატიეთ, თუ შეიძლება, მაგრამ
ეს ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია.

პტიცინა. მე პირველ აფეთქებასაც დახსწრე-
ხივარ... სულ პირველს... ჭერ ისეც ახალგაზრდა
ქალი ვიყავი, სულმთლად ახალგაზრდა... სა-
კვირველიც კია, რომ მე გამგზავნეს, მინდნენ,
თუმცა ჩემცა გამოვდილი ექიმებიც იყვნენ...
ბუნკერში ვიყავი. კურჩატოვი, შროლენი, ხა-
რიტონი... სუყველანი იქ იყვნენ, ბერიაც იყო...
სტალინისაგან გამოგზავნილი... პასუხს აგებდა
ბომბისათვის... ბუნკერს ერთი კარა მქონდა,
აფეთქების საწინააღმდეგო მხარეს. ოღნავ

ღია დაეტოვებინათ, რომ დაგვეხანა... ჰოდა, მალე განათლა კიდევ, წათებას გუგუნი მოჰყვა, და ბატონი იულიოსი, ხარიტონი, ესე იგი, კარისკენ გავარდა, რომ დაეკეტა — არადა, დარტყმის ტალღა დაძრული იყო... მაგრამ ბერიამ ხელი სტაცა, გულში ჩაიჭრა, კოცნა დაუწყო... ხარიტონი კარისკენ იწვედა, ის კი არ უშვებდა... სუველლას სუნთქვა შეგვეკრა. მაგრამ ბატონი იულიოსი დაუსხლტა, მოასწრო კარის დაკეტვა... ო, ღმერთო, რა სისულელე მომავლდა!

ბისსმირტნი. ქალბატონო ლიდა, ეგ ისტორიაა.

ბტიცინა. ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, ისე დიდი ხნის წინათ, რომ უკვე მგონია, სხვის ამბავს გაუყვებით-მეთქი.

ფიციანოსი. კურჩატოვი... მშაპით, ნუთუ ასეთ დიდ ადამიანებს იცნობდით?

ბტიცინა. ვმკურნალობდი კიდევ ზოგიერთს, სამწუხაროდ, მკურნალობას ყოველთვის შედეგი არ მოსდევდა... ყველას გთხოვთ, რომ ბოქსებში დაბრუნდეთ. შე და ლუბა ახლავე შე-მოვალთ. სამწუხაროდ, ზოგიერთ თქვენგანს კიდევ სჭირდება გადასხმა. ხომ არ გეშინიათ?

ბენარალი რახან საჭიროა...

მისხანძრძი. ვერა, ალბათ, მალე მოვა. მე იმას დაველოღო?

ბტიცინა. ლოდინის დრო ყოველთვის არ არის.

თანდათან სცენა წყველიაღი იძირება. ძველებურად შორს კაშკაშა დაფიონი მოჩანს.

რადიო (კაცის ხმა)... ატომური თავდასხმის მუქარა მაშინვე გამოცხადდება რადიოთი, ტელევიზიით და პრესით. სადაც უნდა ცხოვრობდეთ, ქალაქად თუ სოფლად, ამ ცნობის მოსმენისთანავე დაუყოვნებლივ მიიღეთ თავდაცვის ზომები. გახსოვდეთ! ამ პირობებში ძვირფასია ყოველი წუთი! უპირველესად ყოვლისა უზრუნველყავით საკუთარი თავი და მთელი თქვენი ოჯახი თავდაცვის ინდივიდუალური საშუალებებით. გაიმზადდეთ სურსათის, წყლის მცირეოდენი მარაგი და საშინაო აფთიაქი, რომელშიც უნდა იყოს სიცხის საწოლი, ნიშადურის სპირტი. იოდი, სახვევი, ბამბა, ანტიბიოტიკები და სხვა მედიკამენტები...

4.

შუალღია. № 6 ბოქსი ციმციმებს. პოლში არიან არ არის, გამოჩნდება ანა, მივა მესამე ბოქსთან, აკაკუნებს, გამოიხედავს მეხანძრე.

ბან. როგორც ითხოვდით, ვარდი მოგართვით, ალისფერი.

მისხანძრძი. დიდი მადლობელი ვარ, აუცილებლად გადაგიხდით...

ბან. როგორ გვაკადრებათ...

მისხანძრძი. ვერა სადღაა?

ბან. მალე მოვა. ტელეგრაფში შეიკრიბა. თავისიანებს უნდა დაურეკოს, დამაგვინდებოდეს. **მისხანძრძი.** მერე... ვითომ აუცილებლად დაბრუნდება? იქნებ, ისიც ნადეუდასავით დაბრუნდეს.

ბან. აქედან ან მაშინვე გარბიან, ანდა... არასოდეს. ქალები, რასაკვირველია. კაცები, სამწუხაროდ, ვერ უძლებენ.

მისხანძრძი. მე გავუძლებ. იმასავით (ბესსმირტნის ბოქსისაკენ გაიქნევს თავს). სიტყვა გაძლებთ, ჩაგვძლებ.

ბან. მჭერა.

ბისსმირტნი. (თავს გამოყოფს). მე კი, ქალბატონო ანა, უკვე მომენტარეთ. იცოდეთ, რომ დღეის ამას იქით უთქვენოდ ყოველთვის მოწყენილი ვიქნები! ახალგაზრდა თაობისაგან ვიღებ მაგალიტს: ეგენი თუ ივარებენ ერთმანეთს, მე რა შეუვარება არ შემიძლია?

ბან. გმადლობთ, ძვირფასო. დამიჭერე, მალიან მასიამოვნე.

ბისსმირტნი. ამის შემდეგ სულ სააღერსო სიტყვებით უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. როგორც ტრისტანი და იზოლდა.

ბან. გმორჩილებ, ჩემო რომეო!. მაგრამ უპირველესად ყოვლისა მოდი ჩერ გაგსინჯავ და მოგიხმენ. შენ რაღაც სულმთლად დაგვივიწყდი...

ბისსმირტნი. დრო ჩერ კიდევ გვეყოფა.

ბან. ნულა დავობთ, მალე ბოქსში, გაიხადეთ.

ბისსმირტნი. ასე ერთბაშად? ეს-ეს არის დავიწყე შეუვარება, ჩერ პირველი ეტაპია, სიუვარული უფრო გვიან მოვა, თქვენ კი, გაიხადეთო, უკვე მეუბნებით...

ბან. სულ უსიარცხვილო გახდი! პროფილაქტიკისათვის და იმისთვის, რომ ზუსტურმა აღარ მოგიაროს. ამჭერად ორ ნემსს გაკმარებ...

ბისსმირტნი. გნებდებით, ჩემო განუმეორებელი! ოღონდ დამამზვიდებლები არ მიწდა, არ გამომიგზავნო. დაე ვიწვოდ!

ბან. (ბოქსისკენ მიდის). ამწუთას გაგინებლბ მაგ ცეცხლს...

შემოდინ სერგეევი და პროკურორი.

სარბაშვი. რაც შეიძლება თავზაიანდ... ყველაფერი გამწვავებული აქვთ, თავად მოგეხსენებათ.

პროკურორი. მხოლოდ ყველაზე აუცილებელს ვკითხავ.

შემოდის პტიცინა.

ბტიცინა. იმათი ბარათები მაგიადაე აწყვია. მეტყვესბოქსელმა ბევრი დაწერა.

პროკურორი. აქვე გვერდზე ვნახავ. ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

ბტიცინა. პირველს, მეხუთეს, მერვეს — არ დაუწერიათ. მეორემ ვერ მოასწრო, ალბათ არ შეიძლო...

პროკურორი. არა უშავს რა, საქარისია. აიღებს ფურცლებს, კითხულობს. № 3 ბოქს-



ში შუქი ქრობას იწყებს. პტიცინა დიდხანს შე-
სკეპრის პულტს, ამოიხრებს და ნელი ნაბი-
ჯით წავა მენახმრის ბოქსისაკენ.

სმარბამეში. გადასანერგავად... თითქმის ყვე-
ლას მოუფლებნით დონორი. მეხუთის გარდა.

პტიცინა. ეგ მერე.
შედის ბოქსში.
გამოჩნდება ლუბა.

პროპაშორი (სერგეევს). შეიძლება ოპე-
რატორს რომ დაველაპარაკო?

სერგეევი გაოცებულად შესცქერის ლუბას.
ლუბა. მეშვიდესთან შეიძლება. ვეძახი.

გამოიხრებადს დოზიმეტრისტი. შენიშნავს, რომ
ლუბა მის მეზობელთან მიდის.

დოზიმეტრისტი. გამოვა?
ლუბა. წეგს, დუშს, კედელს შესცქერის.

დოზიმეტრისტი. დაუძახე. ვენაცვალე, უნდა
ვუთხრა, რომ არ ვიცოდი, ზუსტად რამდენი
იყო. ნაკლები მეგონა, იქ კი ორასი ყოფილა...

პროპაშორი. სად იყო ორასი?
დოზიმეტრისტი (გამოცოცხლებად). ტრანს-
ფორმატორებთან. მთელი აპარატურა აირღაი-
რია. ვიფიქრე, ოცია — მეტი არ იქნება-მეთქი.

პროპაშორი. მერე, იმის შემცველი აპა-
რატურა არა გქონდათ?

დოზიმეტრისტი. ხელსაწყობზე მეტიოხე-
ბით? საიდან... რაცა გქონდა, ისიც შეიკეთ-
ბულ-შემოკლებული იყო, სულ ცოტა, ოცდა-
ათი წლის ნახმარი...

პროპაშორი. სადგური ხომ ახალია, სულ
ათი წლისაა.

დოზიმეტრისტი. ჩვენ არაფერ შუაში
ვართ... სანამ ჩვენ ვაღმოგვიცემდნენ, მთელი
ის ჩვენი აპარატურა სადღაც ხაწყობებში ეყა-
რა. რომ არ ჩამოეწერათ, ადგენენ და ჩვენ გა-
მოგვიგზავნენ.

სმარბამეში. რაღაც არა მჯერა.

დოზიმეტრისტი. ვიღრე ეს უბედურება მო-
ხდებოდა, იოლას გავდიოდით, შევაკეთებდით,
შემოვაკეთებდით და ვითვლიდით. საჩქარო
არაფერი იყო. წესრიგი კი, იცოცხლე, გვქონდა
თვითონ მოსკოვიდან ვინ იცის რამდენი კომი-
სია ჩამოდიოდა შესამოწმებლად. ჩვენთან წე-
სრიგი სულ მუდამ იყო. გადასხივების არც ერთ-
ი შემთხვევა არა გვქონია, იმიტომ რომ გვა-
მოწმებდნენ... არ ეგონათ, თუ ასე დაიქცეოდა
და დაიშლებოდა...

პროპაშორი. მაშასადამე, თქვენც მიგაჩ-
ნიათ, რომ აფეთქება იყო? თქვენი თვლით
ნახეთ?

დოზიმეტრისტი. ამბობენ. მე თვითონ არ
მინახავს.

შემოდინა ოპერატორი და ლუბა.

ოპერატორი. მე ვნახე!

დოზიმეტრისტი. მე არ ვიცოდი. აპარატუ-
რა აირღაირა.

ოპერატორი. თუ კაცი ხარ, შეეშვი მაგ შენს

მრიცხველებს! შენ არ იცოდი, მე ვიცოდი.

გრაფიტი ვარვარებდა, რეაქტორის დარბაზში

ძირს ნატეხ-ნატეხ ეყარა. სულ ცისფრად კაშ-
კაშებდა. (დოზიმეტრისტი). შენი მრიცხველები
რა შუაშია, ისედაც კარგად ჩანდა, რომ ოცი

და ორასი კი არა, კაი ათასამდეც იქნებოდა!
დოზიმეტრისტი. ხედავდი, იცოდი და წა-
ხვედი?

ოპერატორი. ტრანსფორმატორები სულ სა-
ხსრებში დაიშალა. უენერგიოდ კი რა გინდა
ქნა ვერაფრით რეაქტორს ველარ გააცივებ;

და აკი დაიძრა კიდეც. აბა მალე, გაცივდით-
მეთქი, შევძახე ბიჭებს...

დოზიმეტრისტი (პროკურორს). იქ ამის
მოწაფეები იყვნენ. პროტექტიკურის ბიჭები.

სულ იმთ ამბავში იყო. ხელახლა ზრდები.

ოპერატორი. ამიყავნდნენ, არ წავალთო.
ერთი მაგრისა დავეუტატანე და, იცოცხლე, მო-
ცოცხეს.

პროპაშორი. მაშასადამე, იცოდით...

ოპერატორი. რას ჰქვია ვიცოდი? ატომურ
ენერგეტიკაში ჭიბი მაქვს მოჭრილი. მე თვითონ

ვაშენებდი ამ სადგურს. მერე მეოთხე ბლოკზე
დავრჩი. ბევრი სხვაც დარჩა... კარგი ბლოკი
იყო... ძალიან კარგი...

შემოვა ფიზიკოსი.
ფიზიკოსი. მაგრამ საავარიო დამცველი მო-
ხსნეს!

ოპერატორი. არ დამინახავს. ეგ ჩემი საქმე
არ არის. (პროკურორს) ეს სათვალაინიც იქ
იჯდა, რეაქტორთან. აბა, ჰე, გაიქციე-მეთქი,
შევეუძახე...

ფიზიკოსი. მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თვი-
თონ რატომ არ...

ოპერატორი. სუყველა ტრანსფორმატორი
ერთად გაიჩერდა. უნდა ამემუშავებინა თუ
არა.

ფიზიკოსი. მაპატიეთ, მაგრამ არც მე შემე-
ძლავს ვასვლა! ტემპერატურას ვწომავდი. მეს-
მოდა, რომ ჩემს მეტი გამოზომი აქ არავინ ჩან-

და. რეაქტორმა გახურება დაიწყო, ფრიალ მნი-
შენელვანნი იყო პროცესის დინამიკისათვის
თვალყურის დევნება... აბა, როგორ უნდა წა-
ცხულიყავი?

პროპაშორი. ხომ წახვედით...

ფიზიკოსი. მაპატიეთ, მაგრამ აღარ მახ-
სოვს. მერე მითხრეს, რომ თურმე წამიღეს.

დავეკმულვარ უგონოდ, მაპატიეთ.

პროპაშორი (ოპერატორს). თქვენ?
ოპერატორი. მე თვითონ ვწავდი. ჩავრთე
ტრანსფორმატორები და წავიდე. მეტი მე იქ
აღარაფერი მესაქმებოდა.

№ 3 ბოქსში შუქი ქრება. იქიდან გამოვა
დადლილი პტიცინა. რაღაც უცნაურად უყუ-

ვლადიმერ გუბარევი

სარკოფაგი



რებს სუყველას, მას არავინ ყურადღებას არ აქცევს. სერგეევთან ზოდის, იდაყვზე ხელს მოჰკიდებს. სერგეევი მაშინვე ყველაფერს ხვდება. ორივენი მორიგის ოთახში გადიან.

პროპაგანდისტი (ფიზიკოსს). მე ჩახხედდეთქვენს გაანგარიშებებს, მაგრამ, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ბევრი ვერაფერი გავიგე.

ფიზიკოსი. სპეციალისტებს გადაეცით... იქ ყველაფერი მარტივი და გასაგებია... თქვენთვის მთავარია — გამოარკვიეთ, თუ ვინ მოხსნა საავარიო დამცველი.

ბისმარტნი (თავს გამოყოფს, მიუხრატლებული იყო), ვინ მოხსნა? ვინ მოხსნა და, საავარიო სისტემა სისტემამ გამოთიშა. უპასუხისმგებლობის სისტემამ.

პროპაგანდისტი. ჭავჭავეძით... (ფიზიკოსს). მეტს აღარ გააჩერებთ.

ოპერატორი. შეიძლება, რომ გკითხოთ? ქალაქი როდის გახიზნეს?

პროპაგანდისტი. კვირას, დღისით. ძალიან სწრაფად. სულ ორსაათნახევარში, ათასი ავტობუსი მიაყენეს და დღიან-პატარიანად სუყველა წაიყვანეს.

ოპერატორი. რატომ რადიოთი მაშინვე არ გამოაცხადეს? ერთ საათში მთელი ხალხი ფეხით წავიღოდა...

პროპაგანდისტი. მთავრობის კომისიის ჩამოსვლას უტყვიდნენ.

ოპერატორი. ვითომ რატომ უტყვიდნენ? კომისია რა, სხვაგვარად გადაწყვეტდა? მოცდა და ლოდინი რა საჭირო იყო?

პროპაგანდისტი. ვერავინ წყვეტდა და იმიტომ...

ოპერატორი. ვერავინ თუ აუტკივარი თავის ატყვება არ უნდოდა?

პროპაგანდისტი. ვერავინ გადაწყვიტა...

ოპერატორი. მერე მიდით და იმათ ჰკითხეთ, რატომ არ გადაწყვიტეს! ჩვენ რას გვკითხებთ?

პროპაგანდისტი. კვითხავთ, აუცილებლად კვითხავთ.

ოპერატორი. ვწუხვარ, რომ პასუხს ვეღარ მოვისმენ... წავალ, თუ აღარ გჭირდებათ. (დოზიმეტრისტს.) მიდი, უთხარი ამას, პროკურორს, რამდენჯერ ითხოვე, რომ ახალი აპარატურა მოეცათ.

დოზიმეტრისტი. ოთხჯერ.

ოპერატორი. ჩვენ კი სულ ვჩქარობთ, ფვაციფუცობთ, ჯალდებულლებებს ჰკისრულობთ, ვადაზე სამი თვით ადრე შევასრულებთო, ორი დღე-ღამით ადრე ვამოქმედებთო. ხოლო ამან რომ მრიცხველები ოთხჯერ ითხოვა, არავინაც არ აჩქარებულა იქ, ზეით, ასეა... თუ ჩვენა ვთხოვთ, უფროსები კრინტს არ სძრავენ, თუ ისინი გვთხოვენ, სულ ვაშას ძახილით უნდა გავყაროთ არემარე და წინ გავიჭრათ.

პროპაგანდისტი. სამი თვით ადრეო? ხოლო...

გაშვებას გულისხმობთ არა? **ოპერატორი**. ნამდვილად. აი ახლა ავარიის

ლიკვიდაციას დაიწყებენ, მაგრამ ვერ გაერკვივინ, რა მოხდა, რა მოუვიდა რეაქტორს. მშენებლები იქიდან, ქვაბულიდან, თითქოს რაკეტაზე სხედნენ, ისე ამოიჭრნენ, რა არი ადრე ჩაებარებინათ. აქ რეაქტორის ქვეშ მართო შეტონის ლოდები კი არ აწყვიდა, თუ კაცი მონღოლებს, ერთ-ორ ექსპეკატორსაც იპოვის. ყველაფერი კი პატრისათვის, პრემიისათვის კეთდება... ვის უნდა ამისთანა დაჩქარება? ეს იგივეა, რომ ქალაქში მანქანები საათში ასი კილომეტრის სიჩქარით ვაჭროლოთ, მერე რა, თუ ხალხს გაიტანენ, მთავარია — ჩქარა იაროს.

პროპაგანდისტი. ორი დღე-ღამეო. რეაქტორზე თქვით?

ოპერატორი. პირობა დავთქვით, რომ დღე სასწაულის შემდეგ ერთბაშად სრულ სიმძლავრეზე გავიყვანდით. ვადაზე ორი დღე-ღამით ადრე. ყველგან ვალდებულებებს იღებენ... ჩვენ რა, მურს ხომ არ ჩამოვსვამდით?

ფიზიკოსი. აი მაგისთვის მოუხსნით დამცველი.

ოპერატორი. რაც არ ვიცი, არ ვიცი. მეოთხე ბლოკი კი ნამდვილად მენანება — კარგი მანქანა იყო. სხვა მანქანებს სჯობდა. მაგრამ რად გინდა... რა ვიცი, აქვთ გაიხედავ, ქიმიურ ქარხანაში ავარია მოხდა — და ასობით ადამიანი დაიღუპაო, იქით გაიხედავ — თვითმფრინავი ჩამოვარდაო, ახლა მიწისძვრებს არ იკითხავ? ხან რომელი ქალაქი ინგრევა, ხან რომელი... ის კი არა, ზოგჯერ კოსმოსური ბომბილიც ფეთქდება სტარტის დროს... კოსმოსის, ატომისა და ქიმიის საუკუნეა...

ბისმარტნი (თავს გამოყოფს). ეს ატომის კი არა, კატასტროფების საუკუნეა!

ოპერატორი. სამწუხაროა, მაგრამ ახლა ყველა ეგარ იტყვის. ძალიან სამწუხაროა! ჩვენი რეაქტორები ყველაზე უფრო საიმედო რეაქტორებია... წავიდი, თორემ რაღაც ვერა ვარ ქარგად...

პროპაგანდისტი. გმადლობთ. გავარკვევთ და ყველას პასუხს მოვთხოვთ, ვინც დამნაშავეა.

ოპერატორი. ღმერთმა ქნას. მაშ, აზრი ჰქონია, რომ არ გავტყულებდით. თუ არადა, სულ ტყუილად გამოგვიღია ხელი...

გაღის.

ფიზიკოსი. მამატით, თუ შეიძლება, მაგრამ გადაჭრით უნდა დავთანხმო ამხანაგის აზრს. ამ ტრაგედიაში მთავარი მისი გავეთილებია. უფლება არა გვაქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჰკუთარ ვისწავლოთ, სხვათადად უგუნურება იქნება. ექსპერიმენტული მასალა ბევრია — ყველა მიმართულებით.

ბოქსიდან გამოდის გენერალი. ყურს უღებებს საუბარს.



პარლამენტში. ექსპერიმენტული?

ფიციკოსი. მამაკით, იქნებ ისე ვერ გამოვთქვი, როგორც საჭიროა. მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ასეთი გამოცდილება. რეაქტორის აფეთქება და მისი შედეგები. გამორიცხული არ არის, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა. უფრო სწორად — პირველი შემთხვევა. საჭიროა, რომ უკანასკნელი გახდეს. ამისათვის ყველა პარამეტრის მიხედვით უნდა შევისწავლოთ. მეცნიერულად, ტექნიკურად, ფსიქოლოგიურად. კომპლექსურად უნდა გამოვიკვლიოთ. არა ფორმალურად, არამედ ღრმად, ყოველმხრივ.

პარლამენტში. ხიროსიშისა და ნავსაკის მაგალითი ხომ არ დაგვიწყობს? რაღაც მსგავსი რამ უკვე მომხდარია...

ფიციკოსი. შედარება, მამაკით, არ შეიძლება. იქ ყველაფერი დაიღუპა ერთბაშად. დარტყმის ტალღით და დასხივებით... რადიობიოლოგიის განხრით კი ამერიკელებს ყველა მონაცემი დღემდე არ გამოუქვეყნებიათ. სამუშაოები მაშინვე გაასაიდუმლოეს... აქ სხვა ამბავია. აქ, როგორც ხალხი ამბობს, ატომური ემშიკი გამოქვრა. წარმოიდგინეთ, მართლაც ასეთ გვეგონა, ჩვენ, ფიზიკოსებმა, ყველაფერი ვიცოდით, ატომის შესახებ, მაგრამ, მამაკით და, შეცვლით. მასალაზე, უნდა შევისწავლოთ, დამიჯერეთ, ფასდაუდებელი გამოცდილებაა. დიან, საშინელია, დიან, სასტიკია, მაგრამ ფასდაუდებელია.

პარლამენტში. კიდევ ერთი შეკითხვა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ სადგურის თანამშრომლად არ ირიცხებით არა?

ფიციკოსი. მე მოსკოვიდან ვარ. რეაქტორების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის. სადგურში მივლინებთ ჩამოვედი. რეაქტორის შესაკეთებლად დაყენების დროს საზოგადოებას რატორა უნდა შემემოწმებინა.

პარლამენტში. და აფეთქების შემდეგ დარჩით?

ფიციკოსი. მამაკით, რომ გამორება მიხდება, მაგრამ უნდა გვცოდნოდა ტემპერატურის აწევის ხასიათი... შემდეგ ხომ რეაქტორი პრაქტიკულად იმავე სქემით ცვიდება. ჩემ გარდა, არაფერ იყო... აბა, როგორ წავსულიყავი?

ბენეშაშვილი. ბევრი მიდიოდა. მე ვნახე. პარლამენტში. გარბოდნენ კიდევ... უკან მოუხდებოდა.

ფიციკოსი. ისინი იქ ალბათ საჭირონი აღარ იყვნენ. წავიდოდნენ, აბა რას იზამდნენ...

ფიციკოსი. ფიზიკოსთან მივა პტიცინა.

ბენეშაშვილი. აბა წავიყვანე.

პარლამენტში. მადლობელი ვარ. კარგად იყავით!

ფიციკოსი. ჩემი გაანგარიშებები აუცილებლად გადავიტოვებ. ვიცი, გამოადგებათ...

პარლამენტში. დღევანდელად ვადავცემ...

ფიციკოსი. დიდი მადლობა. (პტიცინას მადლობა)

გადაწყვიტეთ? ბტიცინა. სერგეევთან და ლუბახთან ერთად ცოტას გაჭაღოსნებ, დიდებულნი დონორი შეგირჩიეთ, რძე და ღვინო...

ფიციკოსი. მადლობელი ვარ... და კიდევ ერთი: ჩემებს, ესე იგი ცოლსა და შვილს, ჯერჯერობით ნურაფერს შეატყობინებთ. ფიზიკოსები არიან და ხელად მიხვდებიან ყველაფერს. ცოლი ჩვენს ინსტიტუტშია, ბიჭი კი — ატომურ ნავზე... იმათ არ იციან, რომ იქ ვიყავი...

ბტიცინა. მაგრამ...

ფიციკოსი. არა უშავს რა, მერე, გვიან გაიგონ... რაც მოხდა. ჩემი გაანგარიშების ამბავიც, იამყებენ. ფიზიკოს ისტორიაში პირველია გვიანგარიშე. სიმწარეს უფრო ადვილად გადაიტანენ...

ბტიცინა. ცდებით. ფიციკოსი. მამაკით, მაგრამ მე მაინც ჩემსას გთხოვთ...

გაღის № 9 ბოქსში. ბენეშაშვილი. სუყველა აფეთქებაზე ლაპარაკობს, მე კი, წარმოიდგინეთ, ვეკვობ, უფრო მგონია რომ ძლიერი ხანძარი გაჩნდა...

პარლამენტში. აი თქვენმა ხელქვეითმაც დაწერა: „დავინახე აქტიური ზონა“.

ბენეშაშვილი. ძლიერი ემოციური აგზნების ბრალია. სტრესულ მდგომარეობაში ყოველთვის შესწორება უნდა შევიტანოთ...

პარლამენტში. სწორედ მაგითომაც არ შეატყობინეთ აფეთქების ამბავი არა?

ბენეშაშვილი. რა გაქვთ მხედველობაში?

პარლამენტში. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაგზავნილი თქვენი პირველი ინფორმაცია... და მეორე ინფორმაცია...

ბენეშაშვილი. უნდა ავიხსნათ...

პარლამენტში. მეც სწორედ ეგ მინდოდა, რომ მეთხოვნა თქვენთვის.

კარი გაიღება. ორ თანამშრომელს შემოჰყავთ ველოსიპედისტი.

თანამშრომელი. გიბრუნებთ. გაქცევა უნდა.

ველოსიპედისტი. ხელები დადამიგრიხეს. ჯალათები!

თავისი ბოქსიდან იქვითებოდა მძღოლი.

ბენეშაშვილი (მძღოლს). მოდი აქ. ერთად მივცემო ჩვენებს. (პროკურორს). სულ ჩემ გვერდით იყო, დამიდასტურებს.

პარლამენტში. მე თქვენიც მჭერა. (ველოსიპედისტი). რატომ ცდილობდით გაქცევას?

ველოსიპედისტი. შენ თუ აქ ძალიან მოგწონს, დარჩი, ბატონო. მე კი იქ მიჩვევნი (სადაც გვერდზე იშვერს ხელს). შემოდის ანა, მიდის ველოსიპედისტთან. უსინჯავს მაჯას.



ველმსიპმდისტი. ნორმალა. იქნებ კიდევ მომცე ის წამალი, მა? საზოგადოება, მაგრამ რას ვიპა... მასაქმებს და ცოტა მომეშვება.

ბნბ. ახლა არ შეიძლება. საღამოს მოგართმევ. (თანაშრომლებს). გაანებეთ ამას თავი, წადით, აღარ გააქცევთ.

ველმსიპმდისტი. მაგას კიდევ ვნახავთ...

პროქსორსი (გენერალს). განვაგრძოთ. პირველი. მეოთხე ბლოკის მიღების აქტს თქვენი ხელმოწერა აქვს.

ბენმარალი. არა მარტო მეოთხისას. ყველა აქტს მე ვაწერ ხელს. აქ თხუთმეტი წელიწადია, რაც ვმუშავებ.

პროქსორსი. სამანქანო დარბაზის მიღების აქტსაც თქვენ აწერთ ხელს?

თავისი ბოქსიდან გამოდის აეს-ის დირექტორი. გვერდით ჩამოუჭდება, ყურადღებით უსმენს საუბარს.

ბენმარალი. ბუნებრივია.

პროქსორსი. ხომ არავის დაუჭალებია, ვინდა თუ არა, მიღების აქტს ხელი მოაწერეთ?

ბენმარალი. არასერიოზული კითხვაა. რახან მოვაწერე, მაშასადამე, თანახმა ვიყავი.

პროქსორსი. თორმეტი წლის წინათ ბუხარის საფეიქრო ფაბრიკაში ხანძარი რომ გაჩნდა, ცნობილი ამბავია თქვენთვის?

ბენმარალი. კრესტომათიული მავალითია...

პროქსორსი. ცნობილია თუ არა?

ბენმარალი. ცნობილია, რასაკვირველია.

პროქსორსი. ბაკიალა-ამურის მაგისტრალზე, ანუ ბამზე რომ ქარხანა დაიწვა, ისიც ცნობილია? როგორც ბუხარაში, ისე ქარხანა ბამზე ადვილაალებადი მასალით იყო გადახურული. ორივე ობიექტი ხელ ეკვს-შვიდ წუთში დაიწვა. დამნაშავენი დაისაჯნენ...

ბენმარალი. კი, მაგრამ...

პროქსორსი. მაშ, რაღატომ მოაწერეთ სამანქანო დარბაზის მიღების აქტს ხელი, როცა იცოდით, რა მასალითაც იყო გადახურული, და ისიც ძალიან კარგად უწყოდით, რომ სამრეწველო ობიექტებზე იმ მასალის გამოყენება აკრძალულია?

ბენმარალი. მე წინააღმდეგი ვიყავი... სამინისტროს ხელმძღვანელობას ვაცნობე.

პროქსორსი. ხელი რომ მოაწერეთ?

ბენმარალი. კი, მაგრამ... ხომ იცით, რა დონეზეც მიიღეს სადგური. ჩემი ხელმოწერა წმინდა წყლის ფორმალობა იყო! (აეს-ის დირექტორზე უთითებს). სხვათა შორის ამისიც ხელი ყველამ მოაწერა. ხელმოწერას რა ჰკუთვნის ფორმალობა და მეტი არაფერი!

პროქსორსი. მაგრამ სამანქანო დარბაზს ფორმალურად არ გასჩენია ცეხილი. დენთივით ენთო. სახურავი დნებოდა, მენანძრეებს ფეხები ეფლოზობდათ, თავებს არ იწოვავდნენ, ოღონდ სახურავი ჩაეჭრათ. უფრო სწორად ის გადახურული მასალა, რომლის გამოყენებაც

უკვე თორმეტი წელიწადია, რაც აკრძალულია (აეს-ის დირექტორს). როგორ მოხვდა მისი ხელი აქ?

ბნბ-ის დირექტორი. ეს მასალა საწყობებში ბევრია... ჩვენ კი გარდევთა ვკვირდით. მშენებლები ხომ ვაღაწე სამი თვით აღრე აბარებდნენ სადგურს.

პროქსორსი. გასაგებია...

ბენმარალი. რა არის გასაგებო? ჩვენი ხელის მოწერას რა მნიშვნელობა აქვს... მე არ მოვაწერ, სხვა მოაწერს... თქვენ რა, ღღეს გაჩნდით ამ ქვეყანაზე? თუ ყველმთვის იმას აწერთ ხელზე ხელს, რის გამოც სინდისი დამშვიდებული გაქვთ?..

პროქსორსი. კარგი, მაგას შევეშვათ... მოვიღწე თქვენ ერთი საათის შემდეგ მოხვედით. ბენმარალი. შეტყობინების შემდეგ ორმოცდაექვს წუთში.

პროქსორსი. მერე რატომ მოხვედით?

ბენმარალი. როგორ თუ რატომ? იმიტომ, რომ ადვილზე განმეხსავდრია... ხანძრის ჩაქრობის ტაქტიკა და სტრატეგია... იმიტომ, რომ უზრუნველყო...

პროქსორსი. ხომ შეგატყობინეს, რომ არა მარტო ხანძარი გაჩნდა, არამედ აფეთქებაც მოხდა?

ბენმარალი. მაგის ერთბაშად დაჭერება ძნელი იყო... ანდა ვინ იფიქრებდა?

ბნბ-ის დირექტორი. ნამდვილად, არავინ...

პროქსორსი. შეატყობინეთ აფეთქების ამბავი სადაც ჭერ არს? მთ თუ არა?

ბენმარალი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში დავერეკე. სიტყვა-სიტყვით ასე მითხრეს: „შის დიდი თვალბოი აქვსო. შენს საქმეს მიხედ. შენი საქმე კი ხანძრის ჩაქრობაა... და ყველაფერი იღონე, რომ ხანძარი მალე ჩააქროსო...“ მეც ვიდექი და ყველა ღონეს ვხმარობდი.

პროქსორსი. სამ საათში აცნობეთ თუ არა, ხანძარი ჩაქროლიაო?

ბენმარალი. დიახ, ვაცნობე... ისე, სხვათა შორის, რა უფლება გაქვთ, რომ დაკითხვას მიწყობთ? მიღით და იმით ჰკითხეთ, ვისაც მე მოვახსენე... მე კი მოვახსენე... მოვახსენე... პროქსორსი. თქვენ მანქანით პირდაპირ რეაქტორის კორპუსს მიადგილდით. იცოდით თუ არ გესმოდათ, რომ რადიაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს დაუშვებელია?

გენერალი ღუმს.

პროქსორსი. იცოდით თუ არ გესმოდათ?

მძღღლი. ამხანაგმა გენერალმა მე მიითხრა, აქ საშიში არაფერიაო. რეაქტორი თუ მართლაც ჩამოიქცა, მთელი რადიაცია შეგ არის დარჩენილიო. ბეტონის კედლებს ვერ გამოატანდაო. ზუსტად ასე მიითხრა.

პროქსორსი. კარგით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. რატომ არა ჰქონდათ მენაძრეებს დამ.



ცველი ტანსაცმელი? თანაც არც ერთს ინსტრუქციით, ვინც სადგურის სახანძრო ნაწილში მუშაობს, აუცილებლად დაკმაყოფილებული უნდა იყოს იმ ტანსაცმლით.

გენერალი ღუმელო.
 ანს-ის დირექტორი. ნაკლებ ხარწმუნოდ იყო მიჩნეული, უფრო სწორად, — სრულიად შეუღლებლად მიჩნდათ, რომ ის ტანსაცმელი ოდესმე საჭირო გახდებოდა.

პროკურორი. ეგ აგი, ტანსაცმლის ნარჩევ ეკონომიას ეწეოდით არა?

გენერალი. ჩემიან პასუხს ნუღა ეღობებოთ! თქვენ ჩემი დავითების უფლება არა გაქვთ...

ველოსიპედისტი პროკურორთან მიდის.

ველოსიპედისტი. მე ის „ველოსიპედისტი“ ვარ.

პროკურორი. მერე რა? მძღოლი, მომავლდა! საშინო დამნაშავეა, ეძებენ, ქურდია. ველოსიპედით დაღის საქურდლად...

ველოსიპედისტი. მართალი ხარ, ისა ვარ. ახლავარდობაში მაგრა დამყვდა... სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვიყავი, მერე ფეხი მოვიტეხე... და კიბრაც წედ მივაყოლე... სამჯერ ნაჯღამი ვარ, ახლა აქეთ გაღმავლებენ... ქალაქში ორი ბინა ვატეხე... ცოტა ფული ვიშოვი, სამასამდე, ერთი წყვილი საყურეც... ჩემი „მერნით“ ხილზე რომ გაღმავდიოდი, ეგ ატომურია თუ რაღაც მამამადლობა, უკვე გიზგიზებდა... სწორედ იმ მხრიდან ჩამავლეს... ვამხადეს, სუყველაფერი წაიღეს, სამხილიც არაფერი დამიტოვეს...

პროკურორი. ვითომ რა? გულანდილად აღიარე?

ველოსიპედისტი. თუ გინდა, დამიჭირე, მოქალაქე პროკურორო, მაგრამ ჩემი ნაქურდული ვერ შეედრება იმას, რაც ამან ჩაიღინა (გენერალზე უთითებს). მე ჩემი მუხლი მაქვს, ამას რომელიღა მუხლს მიუყენებ მა?

გენერალი. ჩუმად, სისხლის სამართლის დამნაშავე... (შეტრიალდება თავის ბოქსში შვეც).

ველოსიპედისტი (პროკურორს). •სინებე... (ხელეც წინ გაიწვდის). ნუთუ ბოროტად თან არა გაქვს: ხომ იცოდი, სადაც მოდიოდი, ცოტას შეგვაშინებდი წინაც...

ნელ-ნელა იკეცება. ანა ხელს სტაცებს.

ანს. მიშვედეთ...

მძღოლისა და პროკურორის დახმარებით ველოსიპედისტს ბოქსში შეათრევს.

პროკურორი და მძღოლი უკან ბრუნდებიან.

პროკურორი (სახეზე ოფლს იწმენდს). ემ, რა მძიმე იყო...

მძღოლი. ამხანაგ გენერალს სულ ტყუილად შეუტეოთ. კეთილი კაცია. თუ სთხოვ, დახმარება იცის... ქალიშვილი საავადმყოფოში მო-

მიწყო... მაგის ბრალი არაფერია. როგორც ყველა, ისე ეგ იყო.

პროკურორი. მაგან შენი სიცოცხლე... (სიტყვას ეძებს). საფრთხეში ჩააგდო. შენ კი... მძღოლი. მაგონ, ამხანაგ გენერალი ძალიან

უნდა იტანებოდეს... ვატეხე, ბოღმა ჰქვავს, რატომ არაფერი ვიცოდი ამ რადიაციულად... მეც არაფერი ვიცოდი. არ მისწავლია... ალბათ წიგნები უნდა მეკითხა, აზრიანი წიგნები, მე კი ვიდექი და შვიონებზე დაწერილ წიგნებსა და ათსგვარ ლექტივებს ვკითხულობდი... ამხანაგი გენერალი უფრო სიყვარულზე კითხულობდა. „სურტიწანი ქალების სიღარიბესა და ბრწყინვალეობას“, ანდა „ოკინი-სანის სამ ახაკს...“ სიყვარულზე კი არა, რადიაციულ უნდა ეკითხა. მაგრამ აბა, რა იცი კაცმა, აგური საღ დაგეცემა. ისე, თავს არც თვითონ იზრავდა.

პროკურორი. ძალიან გულკეთილები ვართ. სამწუხაროა.

ანს-ის დირექტორი. მერე გულკეთილობა ცუდია?

პროკურორი. გააჩნია როგორი...

შემოდის ვერა, აქეთ-იქით იყურება. მერე ფრთხილად აღებს № 3 ბოქსის კარს და შედის.

ანს-ის დირექტორი. ჩემი რიგია... დამკითხეთ!

პროკურორი. სულ რამდენიმე შეკითხვა მექნება. თქვენთან დაკავშირებით ჩემთვის ისედაც ყველაფერი ნათელია. თქვენ სადგურში არ ყოფილხართ, ხომ მართალია?

ანს-ის დირექტორი. ვერ მოვასწარი, მაგრამ დასაწყისში იქ ვიყავი. რომ დანიყო.

პროკურორი. მაშინვე მიხვდით, რაც მოხდა?

ანს-ის დირექტორი. თითქმის. წოგადაღ.

პროკურორი. და წახვედით?

ანს-ის დირექტორი. ცოტა ხნით გავიქეცი... იცით...

პროკურორი. შინ შვილიშვილები გელოდებოდნენ. ვიცი.

ანს-ის დირექტორი. ბლოკზე ვისაც უნდა ემუშავა, მუშაობდნენ... ჩემი თვალით ვნახე... აქვე მუშაობდა, რვა კილომეტრზე, ჩემი სიღიდრია. ვიფიქრე, მივირბენ სოფლამდე, შვილიშვილებს დავტოვებ და მაშინვე მავბრუნდები-მეთქი.

პროკურორი. რატომ მთელი ქალაქი ფეხზე არ დააყენეთ? სუყველა მიირბენდა სოფლამდე, თანაც უფრო ახლოა, ხუთ კილომეტრზე. ფენითაც წავიდოდნენ... საჭირო იყო მხოლოდ რადიოთი გამოცხადება, რომ სუყველას გაეგო... და ოფიციალურ ევაკუაციამდე მთელი ერთი დღე და ღამე არ უნდა დაგეკარგათ.

ანს-ის დირექტორი. ეგ არც ისე იოლია.

პროკურორი. საკუთარი „თეგულით“ შვილიშვილების წაყვანა... უფრო იოლია არა?



თქვენ ხომ სხვაზე უკეთ გესმოდათ, რაც მოხდა... დილით მთელი ქალაქში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ. მაღაზიებში ახალი კიტრი შემოიტანეს, პირდაპირ ქუჩებში ვაჭრობდნენ.

ამს-ის დირექტორი. დაბრუნება ვეღარ მოვახერხე, ხომ იცით, რაც მოხდა. ალბათ გეტყვოდნენ...

პროკურორი. მოჩქარეს დაგაგვიანდა. მანქანა გზიდან გვერდზე გადავიარდა. თხუთმეტი წუთი ადგილიდან ვეღარ დაღმარა. საბედნიეროდ, შვილიშვილები არ გავსოხლანა... ვიცი, ვიცი. აქეთობას კი ექიმებმა შეგამოწმეს.

ამს-ის დირექტორი. შიგ „კუჭუჭის“ მოვხვდი... გამონაფრქვევში. გამოდის ანა. შეამჩნევს მესამე ბოქსის შეღებულ კარს. შედის.

პროკურორი. სხვა რამ უნდა გკითხოთ. თქვენი ანექტა ვნახე. სკოლა, ინსტიტუტი... ფიზიკასა და ტექნიკურ საგნებში მაინცდამაინც დიდი წარმატებები არა გქონიათ — ისე რა, საშუალო იყავით! მაგრამ მთელი თქვენი ჭკუფიდან ერთი თქვენ გახდით სადგურის დირექტორი. სხვებმა რაღაც ვერ ივარგეს. რით შეგიძლიათ ამის ახსნა?

ამს-ის დირექტორი. უფროსობისათვის თავი არ მომიკლავს. ვმუშაობდი. ეტუობა, სხვებზე უკეთესად, ამიტომაც მაწინაურებდნენ. ნულელავთ, ხელი არავის წამოუტყავს. მამა მინისტრი არა მყავს, სიმამრი მუშაა. რაცა ვარ, ჩემითა ვარ.

პროკურორი. მაშ, თქვენითა ხართ... წინადადელი დირექტორი რატომ მოხსნეს, არ იცით?

ამს-ის დირექტორი. რატომ და, სუყველამ იცის, დიდი აყალმაყალის თავი ჰქონდა, თანაც ოთხ საყვედურს ეხუმრებოდა მთავრობის დავალებათა ჩაშლისათვის.

პროკურორი. სუყველა პატივისცემით იხსენიებს, სიყვარულთაც კი.

ამს-ის დირექტორი. რა ვიცი, უშუალო კაცად კი მიაჩნდათ და... ვერავის ვერ ეგუებოდა.

პროკურორი. იმიტომ, რომ სუყველას ნაბრძანებ არ ასრულებდა! დავობდა... სხვათა შორის, ამ მეოთხე ბლოკის გაშვების თაობაზე კატეგორიული წინააღმდეგე იყო!

ამს-ის დირექტორი. ეგ უფროსებმა გაარკვიონ. იქ, სამინისტროში უვიცები არა სხედან. იციან, სად რა მდგომარეობაა, ჩვენს სადგურსაც კარგად იცნობენ.

პროკურორი. თქვენ რატომ არასოდეს არავისთვის არ გაგიწევიათ წინააღმდეგობა? თუ საბაბი არა გქონდათ?

ამს-ის დირექტორი. მაინცდამაინც „წინააღმდეგობა“ რატომ უნდა გამეჩნა? ვთხოვდი... ვეწერდი... საერთოდ, ვმუშაობდი, როგორც წესია! პროკურორი. სულ უსაყვედუროდ?

ამს-ის დირექტორი. დიას, უსაყვედუროდ რა ცუდია?

პროკურორი. თქვენს წინამორბედს საყვედური ჰქონდა, მაგრამ იმის დროს არც ერთი სერიოზული რამ არ მომხდარა. თქვენ არც ერთი საყვედური არა გაქვთ და ავარია მოხდა...

ამს-ის დირექტორი. უველაფერი გასაგებია! მაშ, განტევის ვაცს ეძებთ არა? არ გამოგვივთ.

პროკურორი. ნამდვილად, ხელს არ მოსდევთ... სხლტებით...

მესსმარტნი (გამოდის ბოქსიდან, ხმამაღლა ფიქრობს). მიქელანჯელო. რაფაელი... ლეონარდო...

პროკურორი. რა დაგემართათ? ცუდად ხომ არა ხართ?

მესსმარტნი (ყურადღებას არ აქცევს). პირამიდები ჩამოიქცევა... ქალაქები გაქრება, გაცამტვერდება... ჩვენი შვილთაშვილთაშვილთა — და ასე შემდეგ — შვილები დაიხოცებიან... რეპტორზე აგებული სარკოფაგი კი იდგება... ათასი, ასჯერ ათასი, მილიონი წელიწადი... (აეს-ის დირექტორს) აი რანაირ ძეგლებს უტოვებენ მომავალს XX საუკუნის ლეონარდოები, მიქელანჯელოები და რაფაელები! (გაღის).

ამს-ის დირექტორი. ტყუილად ცდილობთ ჩემს დადანაშაულებას. ასეთი რამ რატომ უნდა მომხდარიყო-მეთქი, მეც ვფიქრობ, განა არ ვფიქრობ, მაგრამ პასუხს ვერა ვპოულობ... შემთხვევის ამბავია და მეტი არაფერი. წაბრძანდით, სხვა სადგურებიც ნახეთ, ნულთ ჩვენი უარესია? არა, ავტორიტეტულად შემოძლია თქმა — მე ბევრად უყოფილვარ და ბევრი მინახავს, — ჩვენი სხვებზე უკეთესია... მარტო სამინისტროს გარდაშავალი დროშა საჩქერ ნივინდო და გეგმასაც ნორმალურად ვასრულებდით... ასე რომ დანაშაუვებს ჩვენთან ნულ ეძებთ! ნულ... ამისხენია ერთი, ამ ათ წელიწადში რატომ გაუარესდა აკომური ელექტროსადგურების მოწყობილობის ხარისხი? რატომ ვინდებთ ხელსაწყოებს და აპარატურას უკვე მოძველებულს? და ერთსაც გკითხავთ... რატომ არის, რომ მოთხოვნებს, რომლებსაც სამინისტროში ვაჭვავით, მაგალითად, იმავე გამომართვების შეკეთების თაობაზე, იქითაც სამი თვე სჭირდება და აქეთაც? რამდენიც გნებავთ, იმდენ ამისთანა „რატომს“ გეტყვით და განა მარტო მე? ჰიდროენერგეტიკოსებს ჰკითხავთ თუ თბოელებს, სულ ერთია, იმათაც იგივე აწუხებთ. და არც მანქანათმშენებლებს ანდა ელექტრიკოსებს მდგომარეობაა უკეთესი. სატივარმა ჩვენს სადგურში იჩინა თავი — სხვებს გაუმართლა, რა ვქნათ, უბედური შემთხვევა მოგვიხდა... პროკურორი ბრძანდებით, გაგებული გექნებთ, როგორ ნიშნავდნენ მოსკოვში მაღალის დირექტორებს. არ გაგვიანო?



მაშ, მე ვეტყვით... ამტკიცებდნენ ღირებულებას და თან ეუბნებოდნენ, ვიცით, რომ უნდა იქუ-რღო, ხელს არ ვახლებთ, მაგრამ არ დაგვძრა-ხთ, თუ ჩავსვით — გეგმით წელიწადში ერთი ღირებულებით პასუხისმგებანი უნდა მივცეთ, რომ სარგებლობას გული მოვაუხანოთ... მოკლედ, მიღი იქურდებ, სანამ შენი საცხებ რიგი არ მოსულა... ისინიც იდგნენ და ქურ-დობდნენ, რომ დაჭერის შემთხვევაში ოჯახი მშვიდი არ დარჩენილათ და ციხიდან რომ გამო-ვდოდნენ, მერეც მყოფნილათ...
პროკურორი. მაგ ფილოსოფიის კაცი რო-გორ ხელმძღვანელობდით სადგურს?

ა.მ.-ის დირექტორი. ვითომ რათაო? ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინათ ჩემს მიმართ განა ვინმეს რამე პრეტენზია ჰქონდა? არავი-თანი, ჩემზე მხოლოდ საუბრეთსა აზრისანი იყ-ვენენ... თუ გეგნებთ, შეამოწმეთ.

პროკურორი. მეზობელი ატომური ელექტ-როსადგურის ღირებულებით უფრო დაკვირვებ-ულად მოქცეა — რადიაციის დონე ამაღლდა თუ არა, განგაში ატეხა იფიქრა, რომ იმის სა-დგურში მოხდა რაღაც უბედურება...

ა.მ.-ის დირექტორი. მეც მანდა ვარ! იმან იფიქრა, ჩემს სადგურში მოხდა. მეც ვარ მი-ფიქრია, რომ ჩემსაში მოხდა. მე ჩემი ვთქვი. მშვიდობით. არა მგონია, რომ იქ შევხვდეთ...

პროკურორი. მაინც ვისურვებთ, რომ...

ა.მ.-ის დირექტორი. არა, მხედველობაში ეს არა მქონია (ბოქსებზე მიუთითებს). აქედან თუ გამოვდი, მაინც არ შევხვდებით. სამუშაოდან მოხსნიან, ცხადია, მაგრამ პასუხისმგებნი არა მოვახსენოთ! ძალიან ბევრის გასამართლება მო-უდგებთ ამ ავარიისათვის... ჩავეური რეაქცია დაიწყება, და ჯერ კიდევ არავინ იცის, შეჩერ-დება თუ არა. მაშ, როგორც ვითხარით, მშვი-დობით ბრძანდებოდეთ რაც უფრო მალე დავი-ვიწყებთ ამ ავარიას, მით უფრო უმჯობესია... ყველასათვის უმჯობესია... ასეც იქნება... მარ-ტო მე ვი არა, ვი რამდენს ვარ უნდა ეს ავა-რია... ისეც მშფოთვარე ცხოვრება გვაქვს, და ახლა რეაქტორიც აფეთქდა! თითქოს განგებ... როგორც დივერსია...

ბისმარტი (თავს გამოყოფს). მე ვალწავ-ლით, რაც უნდა ქნათ, მთელი ჩვენი ცოდვები იმპერიალიზმის ზეგავრცელებს უნდა მიაწეროთ!

ა.მ.-ის დირექტორი (პროკურორს). აი მაგას (ბესმარტისკენ იქნებს თავს). გაესაუბრეთ, მა-გან ყველაფერი იცის. მშვიდობით! მე უფლება მაქვს, რომ თქვენს კითხვებს არ ვუპასუხო — დამელოდეთ, სანამ აქედან გამოვალ...

თავის ბოქსში შედის.

ბისმარტი (პროკურორს). სულ ერთი კი-თხვა მაქვს: თქვენ ნამდვილად გინდათ მაგის (უთითებს ა.მ.-ის ღირებულების ბოქსის მხარეს) და დანარჩენების გასამართლება? თუ ისე, შეა-შინეთ?

პროკურორი. მიმაჩნია, რომ უნდა გასაწარ-მოვდნენ, თანაც ღია პროცესით!

ბისმარტი. მერე მიადევით?

პროკურორი. არ ვიცი, მაგრამ შევეცდები.

ბისმარტი. რაც გნდობებითა, ყოველთ-ვის გამოვსვლიათ?

პროკურორი. ყოველთვის არა, მაგრამ ხში-რად კი.

ბისმარტი. მაშ, დამილოცინიხართ.

პროკურორი (ილიძე). მადლობელი ვარ, მაგრამ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკლ-ებული...

ბისმარტი. კაცს ეგერე მგონია, თუ ეგერე უნდა...

პროკურორი. თქვენი უფროსები რაღაც იგვიანებენ...

ბისმარტი. ოპერაცია... ძნელი სათქმე-ლია, როდის მორჩება. ხშირ-ხშირად შემოი-არეთ ხოლმე. აქ კიდევ ბევრი რამის გარკვევა შეიძლება.

პროკურორი. კიდევ ორი შეხვედრა მაქვს საავადმყოფოში. აქ ბევრი მოწმეა. ზოგ-ზოგი რამ უნდა ვითხოვ...

ბისმარტი. ფერფლიდან რომ აღდგე, ჯო-ჯობეთის ყველა წრე უნდა გამოიარო. მხო-ლოდ მაშინ შეხვალ განსაწმენდელში.

პროკურორი გადის. მესამე ბოქსიდან გა-მოდის ანა და ვერა.

ვერა ტირის.

ანა. დამშვიდდით! ცრემლი ვეღარაფერს უშ-ველის.

მირა (სლუტუნით). ვარდი გულზე ადევს, როგორ ჩაუყარეს.

ანა. შენთვის უნდა. უნდა ეჩუქებიან.

მირა. ტელეგრაფში გავიქეცი. საქალაქთა-შორისო შევუკეთეთ. დედამის უნდა დავლაპა-რაკებოდი, მაგრამ არავინ მიპასუხა. კარგად არის-მეთქი, უნდა მეთქვა.

ანა. კიდევ კარგი, რომ ხმა ვერ მიავლინე...

მირა. მამაკეთ, ქალბატონო ანა, ცოტა ხანს კიდევ მივალ, დავხედავ... სახე თითქოს დამშვიდებული აქვს...

ანა. უკვე ჩააწვინეს. იმის სახეს ვეღარავინ ნახავს. ტყვიის კუბო ბეტონის სარკოვარში ჩა-დგეს... სხვანაირად არც შეიძლება, სხეული სა-ათში ორ-სამ რენტგენს ასხივებს. და კიდევ რამ-დენიმე ათეულ წელიწადს გამოასხივებს...

№ 8 ბოქსი აციციმდება.

... სწრაფად! ცრემლები მოიწმინდე! ბოქსში დიმილით უნდა შეხვიდე. ისინი ელოდებიან შენს დიმილს, ელოდებიან... წამო, გოგონო... ციციმდებენ მერვე, მეექვსე, მეოთხე ბოქსები. სტენის უკან კაშკაშა დაფიონია. ისეც ისე იწვის გრაფიტი.

ინფორმაცია რადიოში (კაცის ხმა)... მო-სახლეობის ევაკუაციის დასაწყისი და თანამი-დევროს გამოცხადებული იქნება რადიოთი,



ტელევიზიით, დაიბეჭდება პრესაში და შეგატყობინებენ სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის იზრუნებენ ევაკუირებულთა კვების ორგანიზაციისათვის, მაგრამ თუ ოჯახში სურსათის მცირეოდენი მარაგი აღმოვაჩნდათ, თან წაიდეთ... ვახსოვდეთ, ატომური თავდასხმის შემთხვევაში საჭიროა გამოავლინოთ მაქსიმალური სიფხილედ და დისციპლინა...

5.

ამავე დღის მეორე ნახევარი. № 9 ბოქსი აღარ ანთია. სერგეევი, პტიცინა, ანა, ვერა და ლუბა პოლში არიან. ბესსმერტნი, როგორც ყოველთვის, მიყურადებულთა.

სმარბეშვი. დეპრესია სჭირთ. სუყველას. პტიცინბ. ისინი ხომ ყველაფერს ხედავენ და თან დროც მოვიდა. ტკივლები აუტყდათ. (ლუბას) ყველას გაუყეთეს დასაამებელი?

ლუბა. კი.
მპრბ. ხმას არ იღებენ. ჩუმად არიან.
სმარბეშვი. დეპრესია... ვახსოვთ. ქალბატონო ლიდა, ის, ჩვენი პირველი? როგორც მაშინ, ახლაც განწირულების გრძნობა მაქვს...

პტიცინბ. ხელში აიყვანე შენი თავი. უფლებდა არა გვაქვს. იმ პირველის გადარჩენა კი აღარ შეიძლებოდა. ეს შენც მშვენიერად იცი. მაგრამ დღეს გადავარჩენდით, მაშასადამე, მთელი ეს ათი წელიწადი ტყუილად არ გვიცხოვრია.

სმარბეშვი. არ შეგონა, თუ ფიზიკოსს ამდენი ექნებოდა! უფრო ნაკლებს ვფიქრობდი...

პტიცინბ. ეგ რეაქტორის გვერდით იყო და იცოდნა, რომ არ გადაარჩებოდა. იმიტომაც ჩქარობდა გაანგარიშებების დამთავრებას. მოასწრო კიდეც. სამუდამოდ დარჩება შეცნიერებაში.

სმარბეშვი. შეტისმეტად ძვირი დაუჭადა.

პტიცინბ. იცის კი ვინმემ ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი ფასი? ან როგორ განვსაზღვროთ, რა პრესიკურანტებით?

მპრბ. ნუთუ... ყველაფერი დამთავრდა? მაშ, ეს რაღად გვინდა (გარშეშო ათითებს), აბა რაღად გვინდა?

პტიცინბ. რაღად გვინდა და, სხვები რომ გადარჩენენ, შვილო... სხვები... მაგრამ, სამწუხაროდ, მომავალში...

სმარბეშვი. ვერ მივეჩვიე. ვერა და ვერ მივეჩვიე.

პტიცინბ. მადლობა დმერთს. მიეჩვიე და უნდა წახვიდე კიდეც. მაშინვე უნდა წახვიდე.

მპრბ. ნუთუ არავის არცერთი შანსი არა აქვს?

ბნბ. აქვს, რასაკვირველია. (ბესსმერტნის ბოქსის მხარეს ათითებს). მაგას თითქოს არც ერთი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ცოცხალია.

სმარბეშვი. მეხუთეს, მგონი, დვიძლისა და ფილტვების საქმე უკეთესადაა აქვს. მაგრამ ძვლის ტვინის გადანერგვა სჭირდება... პირველ

რიგში. მაგრამ დონორი არ არის... თითქოს ჯობრზე სუყველას ჰყავს, იმას კი, ვისი რეაქცია დახმარებაც შეიძლება, — არა ჰყავს.

პტიცინბ. ამერიკელი რომ ჩამოფრინდა, არც იმასა ჰყავს? რა ვიცი, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ევროპისა და ამერიკის ბანკებიდან როცა გინდა მაშინ გამოვიტხოვო. იქნებ იქ ჰყავდეთ?

სმარბეშვი. გამოთხოვით გამოთხოვენ, მაგრამ დიდი დრო უნდა — ჯერ მოძებნა თქვი, მერე აქ ჩამოყვანა... დიდხანს გასტანს... ხანდახან საყუთარი უძღურების შეგნება ჭკუას მაკარგვინებს.

ლუბა. ახლა სულ სიზმრებში უნდა ვიყო, ყოველ დამე.

პტიცინბ. მე რა, სულ სიზმრებში არა ვარ, შვილო? უკვე მთელი ორმოცი წელიწადია. შეუტყვენელად.

ლუბა. ხომ გაგიჟდა ადამიანი!

პტიცინბ. გაგიჟებულან კიდეც, შვილო, მაგრამ რას ვიზამთ, როცა ჩვენს მტერ სხვა არავინ არის.

ლუბა. წაველ. აღარ შემოდლია...

პტიცინბ. არ გიჭერ, მაგრამ უკვე არხად წამსვლელები აღარა ხართ, შვილებო, მოდით (სერგეევისკენ იქნევს თავს), სთხოვეთ, რომ ჩვენთან გინდათ სამუდამოდ დარჩენა და აგიყვანთ, აუცილებლად აგიყვანთ, იმიტომ რომ ვერსად ვეღარ შესძლებთ... მხოლოდ აქ... ოდესღაც მე და ანაც თქვენისთანები ვიყავით. ერთხელ დავრჩით აქ. და მერე ფეხი ვეღარ მოვიცვალეთ იმიტომ, რომ იქ გარეთ, ცხოვრება სხვანაირია. თითქოს მარბილი აკლიაო... აქ კი, შვილებო, ტკივილია, გამუდმებული ტკივილი, იმათ არასდღეს არ უყუჩალებთ (ბოქსებისკენ იქნევს თავს), და ჩვენი ცხოვრება ამ ტკივილშია. მე და ანა რომ აღარ ვიქნებით, თქვენ შეგვცვლით. მერე სხვა თქვენისთანა გოგოები მოვლენ და ასწავლით, როგორ აიტკივონ იმათი (ბოქსებისკენ იქნევს თავს) ტკივილის სული. და მუდამ გეტყივებთ აქ, გულის არეში...

გაისმის ტელეფონის ზარი. ყურმილს იღებს ანა. თავს უქნევს სერგეევს.

ანბ. თქვენ გირეკავენ, ბატონო ლევ, სამინისტროდან არიან.

სმარბეშვი (ყურმილში). დიახ, მე ვარ... აუცილებელია?... ვერა გვაქვს საქმე კარგად, სატრაბახო არაფერია... ნახეთ, როგორც გნებავთ, რახან დაფინებით ითხოვთ, კი ბატონო... მობრძანდით... (ყურმილს დადებს). აი კაილიც, ვახსენეთ და... ჩვენთან მოდის. უნდა, რომ თავისი თვალით ნახოს, რაც აქ ხდება...

პტიცინბ. ამისთანა რამეს სხვაგან კიდეც სად ნახავს...

სმარბეშვი. რამდენიმე წუთში მოვლენ. ცოტა მოაწესრიგეთ აქაურობა, რაც უნდა იყოს,



მინც ამერიკელი პროფესორია, პირველად მოდის... შხად იყავით. საკონსულტაციოდ მოდის... პტინცინბ. ვნახოთ, რა კონსულტაციასაც გავიწვევს...

სმრბმამნი. თუ შეიძლება, ცოტა უფრო რბილად, ქალბატონო ლიდა... მინც დიდი პოლიტიკის ამბავია... ჟურნალისტებს ხვდება, ელპარაკება. დასავლეთში სჭერათ მავისი.

პტინცინბ. სამწუხაროა, რომ ჩვენი არა სჭერათ... ნუ დელავთ, პატივცემულო დირექტორო, მაღალ დონეზე მივიღებთ.

სერგეევი გაღის.

მპრბ. ვნახვ ერთი, რა ამბავია იქ (ბოქსებზე მიუთითებს).

პტინცინბ. გაიქც-გამოიქცნენ, შეიღებო ცოტას დავისვენებ, დაქანცული ვარ. რამდენიც უნდა თავი გამოვიღო, სიბერე სიბერეა... ლუბბ. როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ლიდა.

პტინცინბ. მოდი, მოდი, შვილო. ჭერ ფახიფუხის თავი კიდევ მაქვს. შენ რა, ხომ არა ფიქრობ, რომ ამერიკელთან შეხვედრა არ მინდა? მოვასწრებ, სანამ ისინი ტანსაცმელს გამოიცვლიან და დასამუშავებლად სპეცტამბურს გამოივლიან... მოვასწრებ.

ანა, ლუბა და ვერა ბოქსებში შედიან. შემოდის ბესმერტნი.

ბესმმარტნი. ის ცნობილი კაილი მოდის? ძალიან საინტერესოა. მე სწორედ მის ერთერთ სტატიაში აღმოვაჩინე წინააღმდეგობა...

პტინცინბ. შენც აღქეი და დისკუსია გაუმართე. გაიგოს, რა განათლებული პაციენტებიცა გვეყვანან.

ბესმმარტნი. მე არა ვხუმრობ...

პტინცინბ. არც მე. ეს ძველი, ამ ქვეყნიერებასავით ძველი წარმოდგენაა, რომ ჩვენ, რუსები, აუცილებლად ვიდაცისგან უნდა ვსწავლობდეთ. ან ფრანგთაგან, ან გერმანელთაგან, ან ინგლისელთაგან, ანდა ამერიკელთაგან...

ბესმმარტნი. რადიოთი ვაღმოსცეს, კაილმა წამლები ჩამოიტანაო. თითქმის ნახევარი მილიონისაო.

პტინცინბ. მაგისტვის მაღლობა. მაგრამ მე კაილთან არა მაქვს საქმე. შემოგვთავაზებენ დეპუტაციუციის სხვადასხვა ხერხსა და ათასგვარ წამლებს... უღიფთ, რასაკვირველია, ვიყიდით, ისინი კი ყურებას დაგვიწყებენ, აბა, რა გამოუვათო. ჩვენზე გამოსცდიან. ექსპერიმენტს მოახდენენ.

ბესმმარტნი. რაღაც ძალიან მუქად ხატავ...

პტინცინბ. ვბუზღუნებ? შეიძლება. მაგრამ საწყენია, რომ ისევ ჩვენზე სცდიან. და არა პირველად. ამჭერად ხმაური აქვთ ატეხილი რუსები ასეთები და ისეთები არიანო — ავარიანზე არაფერი გამოაცხადესო. ჩვენს გემებსა და თვითმფრინავებს თავიანთ ქვეყნებში არ უშვებენ. რუსებისა ყველაფერი მოწამულთაო, წე-

რენ... იმისთანა ბუმი ატეხეს, ის დროა, რომ თეთრ სულარაში გავხვებით და ჩვენივე ფეხსწრის წავიღებთ სასაფლაოზე... სულ რამდენიმე დღეში კი ხმაურით დაიღლებიან და, ავარიის ზონაში შემოგვიშვითო. თხოვნას დაგვიწყებენ. რომ ჩვენს ხარჯზე გამოცდილება შეიძინონ. ჩვენც ავადგებით და პირს დავადებთ, სახეზე დიმილს მოვიფენო — მოზრძანდით ძვირფასო სტუმრებო, მოზრძანება თქვენი იყოს, პურ-მარილი ჩვენო...

ბესმმარტნი. რუსული სულის ამბავი ეგერა. პტინცინბ. გვასწავლიან, სულ გვასწავლიან, და ჩვენც პირდაღებულები ვუსმენთ.

ბესმმარტნი. ეგერ იყო, არის და იქნება! სხვაგვარად არ შეგვიძლია. შინ ბავშვი გვტირის, ტაბლა კი გართო გავაქვს. მაგრამ კილოწი არაფერი გვეთქმის. კაცი შეიღებინა და ჩამოვიდა. სხვებს მიჰყავთ, იმან კი ჩამოიყვანა. კარგი აღამიანია. ჩვენი ჰირო კირად უჩანს. ეს კი მილიონებზე ძვირფასია.

პტინცინბ. ეგ მართალია. ეტყობა, მეც დეპრესია მჭირს, როგორც სერგეევა თქვა. აი, ისევ უცხოური სიტუა ვინმარე. სხვანაირად არ გამოღის. თითქოს ჩვენებური ნადველი და თანაც მოუწუნებელი, ჩვენებურივე უბრალო სიტყვით არ გამოითქმებოდეს. მიდი, აბა თუ ბიტი ხარ, სადღე გაქეცი ამ ჩვენებურ უსაზღვრო ნადველს.

ბესმმარტნი. თუ გაქეცავა, მხოლოდ საქმეში თუ გაქეცევი.

პტინცინბ. პირდაპირ ნუგეშისცემელი მაღამო ხარ. ყოჩაღ! მინც წამოღეკი ფეხზე, ოდესღაც კი ვალეშილი თვითონი ეგდებ ხოლმე. მურიასავით სხვისი ნარჩენებით ცხოვრობდი.

ბესმმარტნი. ისევ ის მურია ვარ. ჩემი არსით...

პტინცინბ. კარგი, სევდას ნუ მისცემიხარ უკანასკნელი ოპტიმისტო.

ბოქსიდან გამოღის ანა.

ბესმმარტნი (დღიბრება, ჩურჩულით ეუბნება პტინცინს). ერთი პატარა საკითხი მაქვს. მართლა დაწერეთ ჩემზე, თითქოს ძვლის ტვინში ცვლილებების გამო ინდივიდუალობა დაკარგული მქონდეს.

პტინცინბ. კი, დავწერე. მერე რა?

ბესმმარტნი. მაშ, აბა, გამოღის, რომ ჩემი ტვინი ეტალონურია არა?

პტინცინბ. ვერ გავიგებ.

ბესმმარტნი. ყველასათვის გამოდგება?

პტინცინბ. პრინციპულად, კი.

ბესმმარტნი. მაღლობელი ვარ ინფორმაციისათვის. წავალ ჩემს ბოქსში, საპატიო უცხოელი სტუმრის შესახვედრად მოვემზადები.

ბნბ. ოღონდ შლამა და პეტელა არ გინდათ.

ბესმმარტნი. ვიცი, ვისთანაც მაქვს საქმე უბრალოდ, ელეგანტურად, ღირსეულად. რაც უნდა იყოს, თქვენს საქმეში ჭკუა შეიკოებთა.

ბტიცინბ. მართლაც, არ ვიცი, უშენოდ რა უნდა გვექნა ჭაბუკო!

ბმსსმპრტინი. მე უშლაპოდ მოვალ, არც პე-პელა შეეეთება და ნურც თქვენ მომმართავთ „ჭაბუკობით“. მოვილაპარაკეთ? აჯობებს, უბრალოდ „ამხანაგი“ დამიძახოთ, ანდა უქადურეს შემთხვევაში, მდგომარეობის საერთაშორისო სობახს თუ გავითვალისწინებთ, პირდაპირ „ბატონო ბესსმერტინი“ მირჩევნია.

მიდის თავის ბოქსში.

ბტიცინბ. რა ხდება?

ბნბ. სამწუხაროდ, დინამიკა აღრინდელია. ჩანს, ესოდენ დიდი დოზების დროს ჩვენი მე-თოდოკა ძალიან ეფექტური ვერ არის. ოდნავ უკეთესობაა, ოღონდ მხოლოდ ოდნავ...

ბტიცინბ. როცა ვიწყებდით, ოთხსაინების გადარჩენაც გვიკირდა... ახლა კი უკვე ექვსასს იქით გადავედით. აღრე ვინც აქ თეობით იწვა, მდგომარეობიდან ყოველთვის ვერ გამოდიოდა, ამჟამად ჩვეულებრივ კლინიკაში მკურნალობს. შენ კი ამბობ, „ოდნავო“. სხვა საქმეა, რომ უფრო ჩქარი ნაბიჯით გვიწდა სიარული, მაგრამ ძალიან ვერაგი რამ არის ეს სხივური დაავადება, კიბოზე ოხერია...

ბნბ. ეგ გასაგებია, მაგრამ რაღაც გული არ მითქვამს, რომ რაზეც გავხდებით ამ ჩვენი მე-თოდოკით.

ბტიცინბ. შენ ჭერ კიდევ სულ ახალგაზრდა მახსოვხარ. პრაქტიკაზე მოხვედი, როგორც ვერა და ლუბა. გაქცევაც გინდოდა, წვალობდი, არა გჯეროდა...

ბნბ. კარგი გოგოები არიან... ორივენი...

ბტიცინბ. ჩვენთან აქიყვანოთ. ჩაწერასაც მოვუხერხებ და პირველ ხანებში ერთ ოთახსაც. ისეთი საშინელება გამოიარეს, კარგი ექიმები დადგებიან.

შემოდიან სერგეევი და პროფესორი კილი.

სმრბმეჰი. ეს, პათვიცემელო კოლეგა, ჩვენი მესამე სართულია. სწორედ ის სართული, რომლის შესახებაც გსმენიათ და რომლის ნახვაც ასე რიგად გინდოდათ... ნება მიბოძეთ, რომ წარმოგიდგინოთ პროფესორი პტიცინა და პროფესორი...

ბნბ. დოქტორი.

სმრბმეჰი. ჩვენი ძვირფასი ქალბატონი ანა ყოველთვის რაღაცას იკლებს, თავმდაბლობს...

ბბილი (პირველ ფრაზას მსახიობი ინგლისურად წარმოთქვამს და მაშინვე თარგმნის). მისხარია, ძვირფასო კოლეგებო, დიდად მიწარია თქვენი გაცნობა.

სმრბმეჰი (ვერასა და ლუბაზე უთითებს). ჩვენი ექიმები არიან, პრაქტიკანტები. როგორც უკვე გითხარათ, ისტიტუტში მუდამ გადინა პრაქტიკას ამა თუ იმ ატომური სადგურებისა და კლინიკების ექიმები, რომლებიც რადიობიო-

ლოგიაში სპეციალისტებიან. რამდენიმე მანისინი ლაბორატორიებში მუშაობენ, ბაზილილი დროინდელ განოკლებებს უცნობიან. უშტაღისებუ. — როგორც თქვენთან.

ბბილი. დაახ, ჩვენს ცენტრებში ჩამოყალიბებული სისტემა ყველაზე უფრო უპასუხებს პაციენტთა ინტერესებს. არსებითად, კოლეგებო, ჩვენცა და თქვენც ხომ იმათთვის ვმუშაობთ. ასე არ არის?

სმრბმეჰი. რასაკვირდელია. მე ნამყოფი ვარ თქვენს ცენტრებში. იდეალურია.

ბტიცინბ. რასან სიტყვამ მოიტანა, ჩვენში უფრო აღრე გაჩნდა ისინი.

ბბილი. სამწუხაროდ, ინფორმაცია თქვენგან ყოველთვის ფართოდ არ ვრცელდება, კოლეგა. ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანია — ამერიკელ და ევროპელ საზოგადოებრიობას გავაცნო საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ბარემ აქვე აღვნიშნავ: თქვენი ინფორმაცია სავსებით შეედაბამება სინამდვილეს, თუმცა ჩვენ, დასავლეთში, სხვას ვართ მიჩვეული. მაშაბით კრიტიკული შენიშვნისათვის, მაგრამ, როგორც მითხრეს კრიტიკა თქვენთან ამჟამად მოდაში ყოფილა. ასეა არა, კოლეგებო?

ბტიცინბ. თქვენი საზოგადოებრიობა რომ ცულად არის ინფორმირებული, ჩვენი ბრალი კი არ არის, თქვენი უბედურებაა.

სმრბმეჰი. ქალბატონო ლიდა!

ბტიცინბ. ვჩუმდები, ვჩუმდები.

ბბილი. როგორ გეკადრებათ, პროფესორო! თქვენ მართალი ბრძანდებით, უეჭველია. თქვენს დიდაბულ შრომებს მე რეგულარულად ვაქვიყვნებ ჩემს ჟურნალში. სამწუხაროდ, ბოლო ორსამ წელიწადში არც ისე ხშირად მქონია ამის ბედნიერება, მაგრამ ყოველი თქვენი შრომა ნამდვილი მარგალიტია!

ბტიცინბ. ვბერდები, ძველებურად ვეღარ ვმუშაობ. წერა ისე აღარ მებაღისება.

ბბილი. ო, ეგ ძალიან სამწუხაროა, პროფესორო! თქვენი გამოცდილება, თქვენი ცოდნა ფასდაუღებელია. და, მერწმუნეთ, მე ყოველთვის გულწრფელად ვწახობდი, რომ არ ესწრებით ხოლმე ჩვენს კონგრესებსა და კონფერენციებს. მერე რამდენჯერ გთხოვეთ ჩამობრძანება.

ბტიცინბ. ნუ დამძრახავთ — შინაყუდა ვარ.

ბბილი. პროფესორი სერგეევი რეგულარულად ჩამოღის და ყოველთვის ბრწყინვალე გამოსვლა აქვს.

სმრბმეჰი. მადლობა, გთხოვთ, კოლეგა (სტუმარს პირველი ბოქსისკენ იწვევს), სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს პაციენტს...

ბბილი. მესმის. ღრმად ვწუხვარ და თანაგვიტყობთ. სხვა კლინიკებში გავეცანი საქმის ვითარებას — რაც მოხდა, საშინელება, მაგრამ



თქვენი მშვენიერი სპეციალისტები ყველაფერს აკეთებენ, რაც შესაძლებელია. მე მსოფლიოს საზოგადოებრიობას მივმართე, ვფიქრობ, ყველა დაგებმარებათ. ალბათ იცით, რომ მე ნახევარი მილიონი დოლარის წამლები ჩამოვიტანე საჩუქრად. ეს პირველი შესატანია. ჩვენი დახმარება უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება რამ იყოს... შუად ვარ.

სერგეევი და კაილი პირველ ბოქსში შედიან.
 ანა (პტიცინას). დისკუსიები რა საჭიროა?

პტიცინა. ოხერი ხასიათი მაქვს. თავის შეკავება ვერ ვისწავლე.

მირა. ეს ამერიკელი პროფესორი საკმაოდ კარგი ვინმე ჩანს. ნაპატივები კაცია.

ლუბა. მაგათ თავიანთი თავი არ ავიწყლებათ...

პტიცინა. ნუ შეუტეით, ეგ ნამდვილად მაგარი სპეციალისტია, მაგრამ...

სერგეევი და კაილი მომდევნო ბოქსში გადადიან.

ლუბა. რა „მაგრამ“?

პტიცინა. რა და, ქორუგო დიდებულია, მაგრამ ძვლის ტვინის გადანერგვა შეეძლებს დასხივების მხოლოდ განსაზღვრული დოზის დროს. როგორც კი ექვსასხს აღემატება, აღარაფერი გამოდის. მაგას კი გადანერგვა პანაცეად მიაჩნია...

ანა. ვიწრო სპეციალისტია. ეგენი ყველანი გეგთეები არიან.

სერგეევი და კაილი გამოდიან. ამერიკელი პროფესორი მწუხარე იქნევს თავს. მომდევნო ბოქსში შედიან.

ლუბა. ამერიკაში არის ასეთი ინსტიტუტები, როგორც ჩვენია?

პტიცინა. ვეკვობ. ძალიან ძვირი ჯდება, თუ პაციენტები არ არიან. მაგათ კი თვლა იციან.

სერგეევი და კაილი მორიგ ბოქსში გადადიან.

ანა. ვფიქრობ, ახლა შექმნიან. რაც უნდა იყოს, მაინც ატომური საუკუნეა.

პტიცინა. ნახავენ, ჩვენთან როგორ არის. ამისთანასვე ჩამოაყალიბებენ, დაუძახებენ ურნალისტებს, ისინი შეალამაზებენ, რა მშვენიერი ცენტრიაო, მერე კი, ჩვენთან რომ ჩამოვლენ, იტყვიან, როგორც ამერიკაში გვაქვს, თქვენც ისეთი გქონიათო.

მირა. თქვენი აზრით, გამოდის, რომ რუსეთი სპილოების სამშობლოა.

პტიცინა. არა. სპილოები ჩვენები არ არიან. მაგრამ რადიობიოლოგიაში ჩვენ წინა ვართ, ეს ზუსტია. აი ნახავთ, როგორ რეაგირებას მოახდენს...

სერგეევი და კაილი ბესმერტნისთან შედიან.

პტიცინა. ახლა ჩვენი ჰაბუკი გამზიარულდება! კაილი მაგისტრის პირდაპირ მოწყენილო-

ბის წამალი... (ანა). შენ უთხარი ძვლის ტვინის ამბავი?

ანა. მაგან თვითონ ყველაფერი იცის. ცნობისმოყვარეა...

პტიცინა. არ მომეწონა რაღაც მაგის განწყობილება.

სერგეევი, კაილი და ბესმერტნი ბოქსიდან გამოდიან.

ბესმერტნი (ეურნალს აწვდის). ბატონო კაილ, აქ ყველაფერი ჩემზეა დაწერილი. რაც შეიძლება დაწვრილებით. რაიმის დამატება შეძლებდა.

პტიცინა. მადლობელი ვარ. ძალიან დამავალეთ. საოცარი პაციენტი ბრძანდებით.

სერგეევი. ამახსოვრებთ უფუარს! ბესმერტნი. არა. უბრალოდ ბატონო კაილთან გლობალურ პრობლემებზე მივლოდა გასაუბრება. ჩემი პირადი ბედი ერთი პაწაწინა ქვიშის მარცვალა საერთო-სამლანეტო ქარიშხალში...

პტიცინა. თქვენ ძალიან ზუსტად განსაზღვრეთ ვითარება, ბატონო...

ბესმერტნი. ... ბესმერტნი.

პტიცინა. დიახ-დიახ, ბესმერტნი. და თქვენი ცენტრის ნახვამ ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა.

მირა. თქვენთან, ამერიკაში, ასეთი ცენტრი არის?

პტიცინა. ჭრჭერობით არა. მაგრამ ახლა მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სრულიად აუცილებელია. და ამაში მე დამარწმუნა ბატონმა... ბესმერტნიმ. ცოტა უცნაური გვარი კია...

ბესმერტნი. ფსევდონიმა. როგორც სტენდალი ანდა შოპუ სანდი რომ იყო... ამერიკელთაგან რაღაც არავინ მაგონდება. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს.

პტიცინა. გეთანხმებით... თანახმა ვარ. და რაც ვნახე, ყველაფერმა ძალიან ამაღლვა. ფანტასტიკურია!

პტიცინა. კი, დოზები ნამდვილად ფანტასტიკურია.

პტიცინა. მე ვიზიარებ თქვენს აზრს, პროფესორო პტიცინა. ეს საშინელი ტრაგედიაა, და ამ ტრაგედიამ სუყველას ჰკუა უნდა გვასწავლოს. ჩვენი წარმოდგენით, დასხივების ასეთი დოზების დროს დასასრული წინასწარ მომენტალურად იყო გადაწყვეტილი... თქვენ კი თვალსაჩინო შედეგებს აღწევთ!

სერგეევი. ჩვენი მუშაობის მაღალი შედეგება, პროფესორო, სასიამოვნოა. რისთვისაც დიდი მადლობა მოგვიხსენებია.

პტიცინა. ხვალ პრეს-კონფერენცია მაქვს.



გთხოვთ, პროფესორო, სერგეევ, და თქვენ, კოლღეა პტიცინა, რომ ჩემ გვერდით იყოთ, როცა ეურნალისტები შემოიპოვიან.

პტიცინა. არ შემიძლია. ვმუშაობ
პაილი. მესმის. მაგრამ თქვენ უბრალოდ ვაღივლებთ ხართ, პროფესორო, რომ ჩემს გვერდით იყოთ. მე უნდა დავანახო პრესას, თუ რა ჩინებული სპეციალისტები მუშაობენ თქვენს ქვეყანაში. ეს ჩემგან აუცილებელია.

სერგეევ. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვიქნები.

პაილი. და რაც მთავარია, მსოფლიოს პრესის წარმომადგენლებს ერთად უნდა ვუთხროთ, რომ ატომურ სანდგურში მომხდარი ის ტრაგედია უმნიშვნელო ინციდენტია ატომურ ომთან შედარებით. ის ომი კი დღეს უკვე ცხადად შეიძლება რომ წარმოვიდგინოთ.

მერა. მერე თქვენ თვითონ... იქ თქვენთან ამერიკაში...

სერგეევ. ვერა!
პაილი. მე მივუხვედი ჩემს მშვენიერ ახალ-ვაზრდა კოლეგას. მართალია, ჩვენთან ათასგვარი შეზღუდვებებია და სულ სხვადასხვა ვაგებაა ყოველივე იმისა, რაც ქვეყანაზე ზღვება, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ, ექიმებს, ერთი რამ გვაერთიანებს: ატომური აფეთქების შემთხვევაში შეკრნალი არავინ იქნება. უბრალოდ ჩვენ, ექიმები, არ ვეყოფითი ეს ყველას დაღუპვა იქნება.

ბესსმერტნი. სარკოფაგი.
პაილი. რა? ვერ გავიგე?
ბესსმერტნი. კოლექტიური, საერთო-საპლანეტო სარკოფაგი.

პაილი. შედგამოჭრილია თქვენის ნებართვით აუცილებლად გამოვიყენებ ამ სახეს?
ბესსმერტნი. მიჩუქებია. არ მენანება...

პაილი. თქვენზე ვუამბობ, თქვენს იუმორზე, თქვენს განსაკუთრებულ წვილიზე. სამწუხაროდ, ამერიკაში ვერ მივიწვევთ, მესმის, რომ შეუძლებელია, მაგრამ...

ბესსმერტნი. მეტანებტად შორია, მე კი ფრენა არ მიყვარს. ხომ შეიძლება რომ თვით-მფრინავი უცებ აფეთქდეს?

პაილი (იკინის). აუმორისტო პირდაპირ არ ვიცი, როგორ მომწონხართ რუსები — ასეთ მძიმე წუთებშიც კი ზუმრობის ხასიათზე ხართ!
ბესსმერტნი. (მორღუწულია). მართლაც, ძალიან ხასიათილია.

პირველი და მეორე ბოქსები ციმციმს იწყებენ, ისმის ზუმერის სიგნალი.

პტიცინა. გვაპატიეთ, ჩვენ უნდა...
პაილი. აღარ დაგაკავებთ. მშვიდობით!
სერგეევ. მე სტუმარს ვავაცილებ.
ბესსმერტნი (კაილს). ერთი წუთით, პროფესორო. უბრალოდ, შინაურულად უნდა დავ-

ლაპარაკო... არც ეტიკეტი მინდა, არც დიპლომატია. კარგი? დავიწყებ, რომ ამერიკელნი და რუსებში ხარ... პატიოსნად მოთხარი, საშინელია ეს ყველაფერი? (ბოქსებზე უჩვენებს).

პაილი (დაბნეულად). ძალიან... და დაჭერებაც ძნელია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია...

ბესსმერტნი. მაშ, აბა, იქ, ამერიკაში, უთხარი თქვენებს, იმათზე ვამბობ, ატომურ-ომბიანებზე... უთხარი, თუ გავარდა, მორჩა, აღარაფერი ღარჩება, აღარაფერი... ანდა მართო ჩემსთანებთან იქნებან, მაგრამ მე გინდა ვყოფილვარ, გინდა არა. აბა, ჩემს ყოფნაში რა სიხარულია ასეც უთხარი.

პაილი. აუცილებლად...

ბესსმერტნი. კარგი ვუკაცო ხარ... დასანანი, რომ ჩვენში ბრძანებულია მოქმედებს, თორემ შენთან ბრუდერშაფტს დავედვდი, ას-ასი გრამი მოგვიხდებოდა კიდევ... კარგად ბრძანდებოდეთ, პროფესორო, დიდხანს იცოცხლეთ და სულ ბედნიერი იყავით!

კაილი და სერგეევი გადიან. პტიცინა ვერასთან ერთად, ხოლო ანა ლუბასთან ერთად ბოქსებში შედის.

ბესსმერტნი (დაფიქრებულია). მორჩა. მგონი, უკვე მივალწი მსოფლიო სახელს...

პირველი ბოქსი ჩაბნელებდა. იქიდან პტიცინა გამოდის.

ბესსმერტნი. ქალბატონო ლიდა, შეიძლება რომ სერიოზულად მოგელაპარაკო?

პტიცინა. საჩქაროა?
ბესსმერტნი. კი. გახსოვთ, პირველი ოპერაციის შემდეგ მოთხარით: „მთხოვე, რაც გინდა, შეგისრულდებო?“

პტიცინა. მართალია. ვითხარი.
ბესსმერტნი. უნდა გთხოვოთ.

პტიცინა. ამდენ ხანს რას უცდიდი?
ბესსმერტნი. დროა. წაიდეთ ჩემი ძვლის ტვინი და მიეცით იქ, მესუთეში ვინც არის...

პტიცინა. რას არ იტყვი, ჭაბუკო!
ბესსმერტნი. მე სერიოზულად გეუბნებით.

პტიცინა. ეგ ძალიან ღიღი რისკია შენთვის. მაგის უფლება არა მაქვს.

ბესსმერტნი. რახან მე გთხოვთ, მაშ, უფლებაც მაქვს. ასეა საჭირო.

პტიცინა. დაშვიდდი...

ბესსმერტნი. მე სრულ ჭეშუაზე ვარ. 488 დღის განმავლობაში იქნებ პირველად. მე უფლებაც მაქვს, რომ სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ მაინც ვადავდეგ რაღაც ნაბჯი! სიცოცხლეში პირველად...

პტიცინა. არ გინდა ეგრე...
 ბოქსიდან გამოდის ანა.

ბესსმერტნი მინდა! ბესსმერტნი? სახაცილო... ბესსმერტნი კი არა, კროლიკი ვარ. და მუდამ კროლიკი ვიყავი... მთელი სიცოცხლე?



კროლიკის როლიში? რა ვუყო, იოლას გავალ, ოღონდ ერთი პირობით, — ვალდებული ვარ, რომ ის გადავარჩინო (№ 5 ბოქსზე უთითებს).

პნბ. რატომ მაინცდამაინც ეგ?

ბისსმირტინი. მაგან უნდა იცოცხლოს, ვალდებულია. მაგას უფლება არა აქვს, რომ იმასთან ერთად (ბოქსებზე უთითებს) მოკვდეს... გახსოვთ, როგორ იყო შუა საუკუნეებში? კეთროვანს კისერზე ზანზადაკს ჰკიდებდნენ. ქალაქში რომ დადიოდა, ყველას ესმოდა, ყველამ იცოდა, რომ კეთროვანი მოდიოდა. საჭიროა — ყველამ იცოდეს, ყველა ზედავდეს. რომ ერთი იმთგანი მოდის, ვინც დამნაშავეა. დაე სუყველა თითს იშვერდეს იმისკენ, დაე იმით ბავშვებს აზინებდნენ... მე იმის პორტრეტს ყველა გაზეთში დავბეჭდავდი, პირველ გვერდზე... სკოლაში ვასწავლიდი, როგორები არ უნდა გაიზარდონ ბავშვები... ქალაქიდან ქალაქში ვატარებდი და ყველას ვაჩვენებდი: ნახეთ, აი, ეს არის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე-მეთქი. მიიწა, რომ სიცოცხლე... მივუსაჯო.

ყველა ბოქსში, მეხუთისა და მეათის ვარდა, თანდათან ქრება. პტიცინა გულში იკრავს ბესსმერტინის და იმასთან ერთად № 10 ბოქსში

შედის, გაისმის ტელეფონის ზარი. ყურეკმანუშის იღებს ანა.

პნბ. გისმენთ, ბატონო ლევ... ერთ საათში? გელოდებით... (ვერას და ლუბას). კიდევ ექვსი კაცია... მაღე მოიყვანენ. ბოქსები უნდა მოვუშვალოთ...

გალიან.

სცენის უკან დაფიონი თანდათან ცხრება. № 5 ბოქსი ნელ-ნელა ბნელდება.

ინფორმაცია რადიოში. თეატრის კოლექტივისაგან და ავტორისაგან: „პრავიკს და ლელენკოს, კიბენოკს და იგნატენკოს, ტიშჩუჩას და ვაშუკს, ტიტენოკს და ტელიატნიკოს, ბუსიგინს და გრიცენკოს, მებანძრეებს და მერევაქტორებს, ფიციკებსა და გამწყობ-გამმართველებს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, ვერტმფრინავთა პილოტებსა და მუშახტებებს, დიდებსა თუ პატარებს — ყველას, ვინც თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად ჩააქრო ჩერნობილის ბირთვული ცეცხლი, ეძღვნება ეს სპექტაკლი“.

სცენის უკან დაფიონი ქრება. სცენაზე სიბნელეა. სიგნალს იძლევა მხოლოდ მეხუთე ბოქსი. ფარდა ნელ-ნელა იხურება.

თარგმანი გუარამ გომბიაშვილმა



ჯანსუღ ღვინჯილია

ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო

(საუბრის დასაწყისი)

ლიტერატურული ატმოსფერო მარტოდენ ლიტერატურის სფეროს არ გულისხმობს. იგი თავისთავად მოიცავს უამრავ საგანს თუ პრობლემას, რასაც დახატიალებს მწერლის ფიქრი. მწერლის ფიქრი კი უნდა დახატიალებდეს ქვეყნისა და ხალხის ყოველგვარ საწუხარს, მის სულიერ ცხოვრებას, მის ეკონომიკას, პოლიტიკას, არსებობის სტილს, ერის ცხოვრების მიზანს. მწერლის ფიქრი უნდა დახატიალებდეს თანამედროვე მსოფლიო ცხოვრების ამინდს, დროის უმთავრეს მოვლენებს, ტენდენციებს, მსოფლიოს ცხოვრებასთან მშობელი ხალხის უწყვეტ კავშირს...

ეს ყველამ იცის, იგი აქსიომატური კემშარტებაა. ისიც ყველამ იცის, რომ ამ ამოცანის გადაჭრა ურთულესი რამ გახლავთ, და ისიც ყველამ იცის აგრეთვე, რომ ამ ამოცანის გადაჭრა ძალუბს მხოლოდ მაქსიმალურად მოზილიზებულ, მთელი თავისი შესაძლებლობებით გამოვლენილ ეროვნულ მწერლობას.

ეროვნული მწერლობის ძალთა მაქსიმალური მოზილიზება და მისი პოტენციის სრული გამოვლენა კი შეუძლია მხოლოდ ჩანსად ლიტერატურულ ატმოსფეროს.

არც მეტი და არც ნაკლები: ლიტერატურული ატმოსფერო ის პაერია, რითაც ვსუნთქავთ ჩვენ. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ამ პაერიით სუნთქავს მთელი ქვეყანა. თუ პაერი მაცოცხლებელია, მაშინ ლაღად შლის ფრთებს მწერლის ფანტაზია, აღმავლობის გზაზე დგება ქვეყანაც. თუ პაერი მოწამულელია, ზარადდება უკლებლივ ყველა.

ჩანსად ლიტერატურული ატმოსფეროს გარემოცვაში ერთმანეთს შეეკრის ხალხისა და მწერლობის სულიცკეთება, ფიქრი, მიწწრაფება. ერთიანდება ყველა ძალა და არ არსებობს დაბრკოლება, რისი დაძღვევაც არ შეეძლოს ამ ერთობას. მწერლის ფიქრი ასეთ დროს სულ

საქვეყნო საქმესთან არის მიჭაკვეული. ერთი წამითაც არ წუდება მისი მზერა მთავარ ხანიშენს. პირთამდე ივსება ლიტერატურის კალაპოტი წმინდა ეროვნული და საკაცობრიო მასშტაბის ადამიანური ვნებათაღველით. ამ დროს გვევლინება ლიტერატურა შინაგანად სრულყოფილი, გვევლინება მშობელი ხალხის სულიერი ცხოვრების წარმმართველად. მხოლოდ ასეთ დროს ხერხდება ძნელად გადასაპრელი საქვეყნო პრობლემების გადაჭრა, ყოველი ეროვნული სატკივარის მოშუშება.

შევექმენით ჩვენ ჩვენს ირგვლივ ჩანსად ლიტერატურული ატმოსფერო. რაც შეგვაძლებინებდა პირნათლად მოგვეხადა ვალი?

ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები წარსულშიც იდგნენ და ახლაც დგანან მაღალი ინტერესების სადარაჯოზე. შეუძლებელია, დავიწუებულ იქნას ის დამსახურებანი, რაც თანამედროვე ქართულ მწერლობას აქვს თავისი ქვეყნის წინაშე. თუ დავივიწყებთ, მაშინ თავს ჩვენვე გავიღარებთ. ის ფაქტები, რომლებიც დამსახურებაში იგულისხმება, ერთ მუშტად შეკრული ძალაა და დღესაც იბრძვის თავდაუზოგავად. ის უკვე გამოცდილებია და ამდენად სულიერი ენერჯის დაუფახებელი მარაგია, რაც ჩვენ ასე გვეიმედება. გაკეთებული საქმე მზნეობას გვმატებს სისხლში გვიღვას. ამიტომ გაკეთებული საქმის დავიწყება მარტო უმადურობას კი არა, გუნების მოწამვლასაც გულისხმობს და ამის დაშვება არასგზით არ შეიძლება.

არც გაკეთებულის გაწვიადებაა ნაკლებ საზარალო. ილუზიებში გაბვეული მწერლობა დიდ სიმაღლეს ვერ შესწვდება! ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა გვაკეთეთ და რისი გაკეთება ვერ შევქელით. სწორად უნდა შევაფასოთ ჩვენი ლიტერატურული ატმოსფეროს ღირსებაც და ნაკლიც, რათა ვირწმუნეთ,



რამდენი რამ გვაქვს მოსაგვარებელი, ხანამ იმ მდგომარეობას მივალწვედეთ, როდესაც მწერლობას ქვეყნის სულიერი ცხოვრების სრული გამოხატვა და სწორი გზით წარმართვა შეეძლება.

ბოლო ხანს არაერთი წერილი დაიბეჭდა, რომელთა ავტორები, განსხვავებული ასაკისა და ხასიათის მწერლები, დაუფრავად გამოხატავენ აღფრთხილებას ლიტერატურის კულუარებში მიმდინარე პროცესის გამო. ბევრ საგანგაშო შემთხვევაზე და ტენდენციანე მიუთითებს მათ უკვე. ხალხის წინაშე კიარის დაფარვამ აზრი დაკარგა, ხალხმა ყველაფერი ისედაც მშვენივრად იცის. ეს საყოველთაო საუბარი განკურნებისაკენ მიმავალი გზაა. ამ გზაზე ყველანი უნდა შევდგეთ.

სად იყავით თქვენ ქართველი მწერლები, როდესაც თქვენს ირგვლივ ასეთი ამბები ხდებოდა? — არ იკითხავს ამას დღეს თუ ხვალ ქვეყანა?

საგანგაშოდ დაზიანდა ჩვენი მწერლური ცხოვრების ფორმა და შინაარსი. მაგრამ ხანამ ვიტყვოდე, რა დაზიანდა და როგორ, მკითხველს ერთბაშად უნდა შევახსენო, რომ ქართული ლიტერატურის დღეი სული არ ჩამქრალა. გვყავს მწერლები მაღალი მწერლური სულისკვეთებისა, გვაქვს მდიდარი ლიტერატურა, პრეტითული და სახეივანო მუშა, შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებიც გვახსენებენ კანონიერი სიამოვნის გრძობით.

მაგრამ ქართული ლიტერატურის განვითარებას უკვე აფერხებს და ხვალ, ალბათ, უფრო მეტად შეაფერხებს ფიორივით მოდებული ავადმყოფობა.

მოსალოდნელია მწერლის სახელის კომპრომეტირება მთელი ერის თვალში.

მწერლის გზა არასოდეს ყოფილა ივარდებით მოფენილი. მან უნდა გადაიტანოს დიდი სულიერი ტკივილები, დაძლიოს შინაგანი წინააღმდეგობანი, რათა შემოქმედების საგანს მიავნოს და სრულყოფილად გამოხატოს ის საგანი. გაშუღმებული ძიება და სულიერი წვა, ყოველდღიური ფიქრი და შრომა თავისთავად უშიშმისი ტვირთია. ნამდვილი მწერალი მუდამ მზად არის შეეტიდის ამ ტვირთს.

მაგრამ თუ ან სიძნელეებს სხვა სიძნელეებიც დავყრთ, ეშმაკური გონებით მოგონილი სიძნელეები, თუ გავაქუპუყანეთ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, დავამძიმეთ ურთიერთობანი? ყველას გავვიჭირდება, უკლებლივ ყველას. რაც მთავარია, დიდ ქართულ ლიტერატურას გაუქირდება თავისი მისიის აღსრულება. შედეგი სავალალო იქნება და თანაც გლობალურ ხასიათს შეიძენს ის სავალალო შედეგი.

ქართულ მწერლობაში ჩვეულებიანა გავრცელდა. ამ ჩვეულებიანას ლიტერატურისა არაფერი სცხია. მით უმეტეს, შედეგითა ლიტერა-

ტურულ ბანაკზე საუბარი. დიდი მანძილი არის დაცილებული ნავლისხმევი ჩვეულები ლიტერატურული ინტერესებს, ხაერთოდ, ამჟამებულ კატეგორიებს.

ამ ჩვეულებს უნდათ ხელთ იგდონ მწერლობის საღვეები, რათა შემდგომ თავისი ნება უკანახონ გალიაში მომწყვედელ მწერლის სულს, შეცვალონ საზომები იმდაგვარად, რომ მიჩქმალოს ქემწარები მწერლის ღირსებანი და წინახედზე მოექცეს სათუო შესაძლებლობის ავტორები, შეიქმნას ამ უკანასკნელთა უპირატესობის ილუზია.

კარგის მიჩქმალვის ტრადიცია ჩვენში სამწუხაროდ არსებობს. ახლა ამ ტრადიციის აღორძინება სწადილია.

ლამისაა შემოქმედებითი ორგანიზაციები ხმის გამავრცელებელთა ნებას დაქვემდებარონ, რომელთაც ხელს აძლევთ, ქალაქს ამბავი მოედოს, რომ მავანს ხსნიან, მავანი გადაწყვეთ, მავანს აწინაურებენ, მავანს აწვეითებენ, მავანი ინიშნება იქ, მავანი — აქ... ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი გადაწყველება. აწინაუბედენ ისე, როგორც თავად სურთ იყოს განაწილებული. საგულდაგულად შერჩეული კაცები მუკვთ, ისინი მწერალთა კავშირში, გამომცემლობებში, რედაქციებში, თეატრებში... თვით პანაშვილებზეც იმიტომ დაღიან, რომ დამუშავებული ხმა გაავრცელონ, კორი აავგონ და ზეგვივით დაუშვან მთელი ქალაქისა და ქვეყნის თავზე. მათი აზრით ასე იქმნება ფენი, ასე უფლებდა საზოგადოებრივი აზრი, შეზადდება ნიადავი. საბოლოო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება ასე საგულდაგულად დამუშავებულ ხმას.

გადავივის ერთი ტალა კორისა, არაფერი მოხდება მათი ინტერესების შესახამისად. შეისვენებენ მცირედს და აავგორებენ ახალ კორს. ახლა სხვა ვარიანტი აქვთ არჩეული.

თითქოს ეს იყოს მთავარი — ვის ხად დასვათ, ვის ხად გადასვირიან, ვის აამაღლებენ, ვის დაამაღლებენ, ვის ამოატრევიებენ... თითქოს ამ გადასმა-გაღმამით გაკეთდება დიდი ლიტერატურის საქმე. დარაც ყველაზე სასაცილოა, თითქოს ის ვარიანტი აგვაშენებს, ხმის გამავრცელებლები რომ სთავაზობენ ხალხსა და ქვეყანას ბრუნავს კორი დღეების, კვირების, ზოგჯერ თვეების განმავლობაში — გაქიანურებულ კორი კანონის უფლებას იძენს თითქოს საზოგადოების თვალში. კორის კაპრიზების შესატყვისად აეწყობა ურთიერთობანი ადამიანებს შორის, გადაფხადება პატივისცემისა და რიდის საზომები, შეიცვლება მიმართვის ფორმა და შინაარსი.

ცოტანი არიან სულით ამაღლებული ადამიანები, ვისზეც მსგავსი რამ არ შემოქმედებს. ბევრს, ძალიან ბევრს აცდუნებს კორი, ხოლო როდესაც კორის ტალეები განუწყვეტლივ გა-

დადის ჩვენს თავზე, ხელთ გვრჩება ადამიანთა დეფორმირებული ფსიქიკა. გაჩნდნენ მოკორავე მანიაკები. ისინი დღითიდღე მრავლდებიან და ესწრაფვიან საზოგადოების ინტერესები ჰკაობში ჩათრონონ.

უფრო ვერაგული მოწანი აქვს კორს, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. კორი ჭეშმარიტი მწერლების რეპუტაციის შეღახვას ისახავს მიზნად. უნდა ნიჭიერი მწერლების სრული კომპრომეტირება მოახდინონ ხალხის თვალში? იმას იტყვიან, რასაც მოისურვებენ, გაუგონარს გაგავლენებენ, თითქოს ხალხს აქამდე უყურე ეძიან, თითქოს აქამდე არ იცნობდა თავის უნიჭიერეს მწერლებს. ისინი თურმე წევობაზედღახული ადამიანები ყოფილან, ამბიციურები, გამომძაღველები. ცდილობენ პატარა ნაკლი ისეთი კუთხით დაგვანახონ, პიროვნების ღირსებებს მთლიანად რომ დაფარავს.

გავრცელდა ბრძოლა სტრესებით. ალბათ, ამაზე უფრო ვერაგული იარაღს ადამიანის გონება ძნელად შექმნიდა. არადა სტრესი არც ცვი იარაღია, არც ცხელი, რომ მისი ტარება ვისმეს აუტრძალო. მაგრამ სტრესი საშინელი იარაღია, პირდაპირ სულსა და გულს უმიზნებს — სულს წამლავს, გულს ხეთკავს. ადრესატამდე აღწევს ყველა უსიამოვნო ხმა, რაც მას არაადამიანურ ტკივილს მიაყენებს. ხმა მიდის მავანის და მავანის მეშვეობით: ზოგი კეთილისმსურველის პოზით აწვდის, ზოგიც დაურიდებლად, პირდაპირ მიახლის სათქმელს, რამაც სასიკვდილოდ უნდა იმოქმედოს, დათრგუნოს, აიძულოს ასპარეზოდ გაცლა. ისმის ტელეფონის ზარი... შემპარავი ხმა, შემოჩრჩებული ინფორმაცია... ზედიზედ, უანტრაქტოდ, ამ საქმეში ჩათრეულია ადამიანთა ფსიქიკა და ბევრი გაუცნობიერებლად ემსახურება უკვე ბნელ საქმეს. ინფორმაცია ინფორმაციაზე... ინფორმაციაში შხამია გახვეული — მოწამლული გუნება, წართმეული ხალისი.

გავრცელდა ბრძოლა მხატვრული ნაწარმოებებით. არა ლიტერატურული, არა ამაღლებული, არა საზოგადოებრივი მასშტაბისა, არამედ ბრძოლა არაკაცური მიზნებისათვის! რომანი, მოთხრობა, ლექსი, პოემა, პიესა, წერილი... ქვეყნდება ისინი ცენტრალური ურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ყველა ხედავს, ვინ ვის გულიხსნობს, ვინ ვის ესხმის თავს, ვინ ვის უწამლავს ცხოვრებას, საით არის ისარი გასროლილი! ეს გახლავთ ქვენა გრძნობების სამსახურში ჩაყენებული ლიტერატურა.

ჩვენ ვერ ვმართავთ ლიტერატურულ საღამოებს, ჩვენ უბრალოდ ვარქმევთ მათ ლიტერა-

ტურულს! ასეთ საღამოებზე უსათუოდ არის მოსალოდნელი ხოლმე ავენიანი მოპაექრის გამოსვლა. მან ლაფში უნდა ამოსვაროს მწერალი, რომელიც თანამართლებული გულზე არ ახატიათ. ძალით გაიბრაზებენ ასეთი მოპაექრენი თავს, რათა სიტყვას მეტი დამაჭერებლობა შესძინონ, რათა ლიტერატურული სატიკვარით შეწუხებული მოქალაქის პათოსი მიანიჭონ.

ჩვენ არ უნდა გვემტობოდეს ბრძოლაში ნებისთუ უნებლიეთ ჩაირეული არც ერთი მწერალი გასარიყავად. მათი ენერჯია ქვეყანასა და ლიტერატურას მათთვის კირდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ხელს ვუშლით ერთმანეთს მუშაობაში, სამწერლო და საქვეყნო საქმიანობის კეთებაში. დღევანდელი ქართული მწერლობის საქმეს ჩვენს გარდა სხვა ვერავინ გააკეთებს, ჩვენ კი ყველანი ლიტერატურული ბრძოლისა კი არა კორების ალში ვართ გახვეული, ისინიც კორების ალში ვართ გახვეული, ვისაც გვეგონია, განვუვდავართ პათოსნად და ეს ტალახი ჩვენ არ მოგვეცხება. განვუ ვი არ ვდავართ, სოროცხეში ვართ შემძვრალი აუხსნელი შიშით და იქიდან ვუყურებთ სერის.

გვაქვს კი უფლება, როგორც მოქალაქეებსა და როგორც მწერლებს ვიპიზნოთ ასეთი მდგომარეობა, თანაც ამდენი ხნის განმავლობაში? სტიქიურმა უბედურებამ მძლავრი ნიაღვრებით დაანგრია დასავლეთ საქართველოს შეხანიშნავი რაიონები, არანაკლები ძალითა ის „სტიქიური“ უბედურება, ქართული მწერლობის მეობას რომ არბევს.

დღეს სხვა დროა. მწერლები სხვა დროსაც წაპკიდებთან ერთმანეთს, მაგრამ, ჭერ ერთი, დიდი ლიტერატურული მიზნებისა და საქვეყნო გზების ძიების გამო იყო ის წაყიდება, მოქალაქეობრივი და მწერლური პოზიციების შეჩახება გახლდათ ის წაყიდება და თუ მანაც უსიამოვნო ფორმა მიუღია, ძნელად გააღწევდა ხოლმე ამბავი, გასაგები მიზეზების გამო, საქართველოს ყოველი კუთხე-კუნულისაკენ.

დღეს ათასობით ტელეფონი აწკრიადდება მთელს საქართველოში ერთბაშად, როგორც კი საგანგაშო ამბავი მოხდება მწერლობაში. უმაღერისთვის ხდება ცნობილი ყოველი ჩვენი ნაბიჯი. ამაზე გვმართებს დაფიქრება, სანამ ჭერ კიდევ თვალეში შემოგვეყურებს ბევრის მომლოდინე და ბევრის მომთმენი მკითხველი.

ვინ დგას მოვლენების უკან, ვისი ნებითა და კარნახით ტრიალებს უსიამოვნო ამბები? თუ დროულად არ მოგებთან გონს და არ შეწყვეტენ ბნელ საქმიანობას, ხვალ მოვალენი ვიქნებით მივაკვლიოთ და დავაკონკრეტოთ მათი სახელები. უკან დასახევი გზა ქართულ მწერლობას აღარ დარჩა.



სამწუხაროდ, ზემოთქმულით არ ამოიწურება სათაკილო საქმენი. ჩვეულებრივი ამბავია დასაწინაურებლად გამიზნული პიროვნების რეკლამირება. ინფორმაციის უველა საშუალებას ჩართავენ ამ მიზნის აღსასრულებლად. ააჩხრიალებენ ბამბას, ნებისმიერ ტრიბუნაზე შეყავნებენ „ჩრქულს“, რათა როგორმე მნიშვნელოვან პიროვნებად წარსდგეს მათთვის სასურველი კანდიდატურა. და სანამ მიზნისთვის არ მიუღწევიათ, გრძელდება ეს კამპანია, მცირედი ინტერვალებით. მაქსიმალური ინტენსიურობით. მკითხველმა რეკლამასა და რეკლამას შორის უნდა ეძებოს ნამდვილი სახე და გასომოს ნამდვილი შემოქმედებითი ძალა მავანი მწერლისა. ეს ის შემთხვევა არ გახლავთ, როცა სტრიქონსა და სტრიქონს შორის ვკითხულობთ რაღაც დიადს!

ხოლო თუ მათთვის არახასურველი კაცის წახედნა მოინდომეს, ასეთივე ოპერატიულობით ასრულებენ სულ სხვა რიგის სამუშაოს. ასპარეზი ფართოა; ლიტერატურული და არალიტერატურული უფრანდ-გაზეთები, განხილვები, შეხვედრები... უველგან და ყოველთვის შეიძლება ათვალწუნებული მწერლის გაეყენვლა, დაუნდობელი კრიტიკა. ვინ განსჯის სიმართლეს აგრე ადვილად! ყოველი მხრიდან გვესმის იმ კაცის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ღანძღვა. ბოლოს და ბოლოს საზოგადოების ერთი ნაწილი მიინც ირწმუნებს, ალბათ, მართალია, რასაც ამ კაცზე ამბობენო.

საქმე გვაქვს საზოგადოებრივი აზრის დანგრევის ცდასთან — ის არ უნდა არსებობდეს! რადგან, თუ საზოგადოებრივი აზრი იარსებებს, მაშინ ხომ იგი განჩხრეკს მტყუნასა და მართალს, ნაღდა და ყალბს. ამიტომ ესწრაფვიან დაანგრვიონ საზოგადოებრივი აზრი და დაამკვიდრონ მათთვის სასურველი შეხედულებანი.

ყურადღება მივაქციოთ თუნდაც ლიტერატურული ფაქტების შეფასების კულტურას. ისტამბება პოეტური, პროზაული, დრამატურგიული, კრიტიკული ნაწარმოებები ცალკე წიგნებად... აზიდავენ ფარზე მათთვის სასურველ წიგნებს, დუმილით აუვლიან გვერდს მათთვის არახასურველ ავტორთა კარგ წიგნებს. დუმილით ჰქლავენ ლიტერატურულ ფაქტს! სხვისი სიკეთის არდანახვის ვნება ჰყვავის. არაერთი კარგი წიგნი მიჩქმალა ასე, არაერთ მწერალს ატკინეს გული უყურადღებობით. წაერთვათ ხალხის და სამუდამოდ მოეწამლათ გუნება. იწერება იმ წიგნებზე წერილები, საბედნიეროდ, არიან დამნაშავენი, მაგრამ წიგნსაც და წერილსაც განწრაბ უველიან გვერდს. ხოლო წიგნი, რომლისკენაც საქვეყნო გულისყურს არ მივაპყრობთ, თავის მიხიას ვერ შეასრულებს! ასეთი წიგნები უსამართლოდ დავწყებულ ნაწარმოებთა რიგში დგებიან. ეს კი იმას ნიშნავს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში

ქვეყნის უმთავრესი ძალა არ გაიყვანო, უსარგებლოდ გაავდეს ტუქში გადაშალული.

ხომ წარმოუდგენილია, დასწამო ჩვენს უკეთეს მწერლებს, თითქოს ისინი არ ფიქრობდნენ ქვეყანასა და ხალხზე. მაგრამ ჩვენს ლიტერატურულ ატმოსფეროს მთლიანობაში თუ განსჯი, დინახავ, რომ იმ უკეთესთა კარნახით კი არ არის მოწესრიგებული სამწერლო ასპარეზის კანონები, არამედ სრულიად საპირისპირო ძალთა ნება-სურვილით. ლიტერატურულ ატმოსფეროზე, როგორც ურთულეს მოვლენაზე, ეტყობა, ნაკლებ გვიჭრუნია. და დღეს იმ ტემპირით ქართველი მწერლებს მოვალეობად იქცა განკურნონ ლიტერატურული ატმოსფერო, სხვაგვარად მათი შესანიშნავი ნაწარმოებები და სანაქეო საქმენი მტვერსა და ბუქში გაიხვევა, კორიანტელივით რომ ბრუნავს დღეს ჩვენს ირგვლივ. თუ ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, ჩვენგან შექმნილი დაინახოს ხალხმა, ეს მიზანიც ჩაიფუშება, რადგან მტვერი აეფარება უველაფერს. ხოლო თუ ჩვენი საზრუნავია მთლიანად მშობლიური მწერლობა, მაშინ აუცილებელია დროზე ჩარევა, ლიტერატურული ცხოვრების შეუვალი კანონებისა და უღალატო ფორმების დამკვიდრება.

შევიძლებთ ზემოთ წარმოჩენილი თვისებებით ჭერ ლიტერატურული პროცესის, ხოლო შემდეგ ხალხის სულიერი ცხოვრების მართავს? მით უმეტეს, ქვეყანაზე ზრუნავს? ხომ თანდათან ჩაწყდება ის ძაფები, რომელიც მწერლობასა და ერს შორის არის გაბმული. დღეს ერთი ჩაწყდება, ხვალ — მეორე. ჩაწყდა — კიდეც არაერთი მართოლვარე ნერვი ყოველივე იმის შედეგად, რაც ჩვენს ურთიერთობაში სდებოდა და რაც მართოდენ საჩვეო, მხოლოდ პირადული გვეგონა.

თუ დროზე არ მოვეგეოთ გონს, ერთიანად შემოიქარცვება ეროვნული და საკაცობრიო იდეალები ქართულ მწერლობას. ან კი დაქსაქსულნი, ერთმანეთს მტრად მოკიდებულნი რა ჯალბს წყალშით ავკინძავთ მალაღ ფიქრებს. როგორ გავამთლიანებთ ჩვენს ზრახვებსა და სწრაფვას.

როდესაც მწერლობა დარწმუნული ეგებება ქართველი ხალხის შურთაცხმყოფლის გამოხდომას, როდესაც ქართველ მწერალთა ნაწარმოებები გამოხატვენ ქართველი ხალხის ღრმად დაფლულ სატკივარსა და მისწრაფებებს, როდესაც თამადა ამხელს ნაკლსა და აკვადმყოფობას, როდესაც საქვეყნო სულიერებას წარმოაჩენს, მაშინ კავშირი ხალხსა და მწერლობას შორის უწყვეტია. ეს გახლავთ ღირსეული შეხვედრა. ასეთი შეხვედრა არაერთ-

ჯანსუღ ღვინჯილია ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო

გზის შედეგად, რადგან დაგრძობდა ასეთი ფაქტები, ლექსები, პოემები, რომანები, მოთხრობები, პიესები, წერალები, ლიტერატურული ნაშრომები. ქართული მუსიკის, ფერწერის, კანდაკების, თეატრის და კინოს ვიდეოებს არც ადრე ჩამორჩებოდა და არც ახლა ჩამორჩება ქართული მხატვრული სიტყვა. მაგრამ მწერლობას მოთხოვნილება უფრო კრებსითი ენერჯის საქმე, მარგანიზებელი უნარი და ამ გზაზე მარტოაღდენ კარგი ნაწარმოებების შექმნით არ განესრულება დანიშნულება. ის უფრო მეტია, ვიდრე შესანიშნავ ნაწარმოებთა ჯამი. ის დამოუკიდებელი ერთეულია — ის ყველაფერს თავის თავში იკავებს და ლიტერატურულ ატმოსფეროდ გვევლინება. ლიტერატურული ატმოსფერო კი თავისებებით განისაზღვრება და სწორედ ეს თვისებებია დაინახული სადღესოდ.

მაგრამ თუ სამართლიანი შენიშვნების გვერდით ვინმეს უსაფუძვლო კრიტიკაც წამოცდა, მაშინვე მიწასთან გაავსწორებთ.

ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო ამჟინად ვერ აღვივებს შემოქმედებით პროცესს, არ გამოსთხოვს მაქსიმუმს მწერალს, არ ამოთლიანებს მწერალთა რიგებს. იგი ფაქტურად აქრობს შემოქმედებით ხალხს, უშოქმედლობისათვის განაწყოებს ნიქს, ქსაქსავს ტეშმარტ მწერლებს.

განუწყვეტლივ კი უნდა მოძრაობდეს და ვითარდებოდეს შემოქმედებითი აზრი, ბატონობდეს უმჯობის გრძნობა, მიღწეულით ათუკმაყოფილებლობა, ნამდვილი შეჭიბობი. ათმაგად მეტს უნდა ქმნიდეს ნებისმიერი ქართველი მწერალი, ათმაგად უკეთესად უნდა გამოხატავდეს სათქმელს... მაგრამ ხალხი უნდა ყველაფერ მას, ლიტერატურული ატმოსფეროს მაღალი შემოქმედებითი წინევა სჭირდება. ასპირეზე ღრმად აღმაინაური ვნებები უნდა ფეთქდებოდეს და არა ვერაგულად ჩადებული ნაღებები.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, თითქოს მწერლის სიტყვა შევლოდეს და კურნალებს დღეს ყველაფერს, მაგრამ ბევრი რამე კი ძალუძს და ფაქტია, რომ დაფანტულმა შემოქმედებითმა ძალებმა დაკარგეს საერთო დარტყმის ძალა, ერთად ყოფნის მხნეობა დაკარგეს და ამიტომ კიდევ უფრო მეტად მოგვერია სოფლის დაცარიელების საშინელი პროცესი, კიდევ უფრო იმძლავრა ნარკომანია — ამ ერთვანულმა უბედურებამ. ჩვენგან მოუვლელი დარჩა მთა და ბარი, საზღვრისპირა რაიონები... ვინგრავით დემოგრაფიულად, ეკოლოგიურად.

ამ დაქსაქსულობის ბრალია, რომ ღირსეული პასუხი ვერ გავეცით ერთს შეურაცხყოფელ არაერთ გამოხდომას. არაერთს ჩვენი ეროვნული თვისებების შეურაცხყოფასა და ჩვენი ისტორიის, მწერლობისა და მეცნიერების დაკნინებას ათეული წლების გან-

მავლობაში კამპანიური ხასიათი ჰქონდა. როგორც გამოხატვის გარდა ღირსეულ შესაძლებლობებს ვერ გავიხსენებთ. მხოლოდ ავფუსფუსებით, მცირედით დავკმაყოფილებთ. პასუხი კი გავუცემელია. პასუხის გაცემა კი ჩვენ შევივარად ვიცით, გვასწავლეს იგი დიდმა კლასიკოსებმა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში საამისო ნიშნულში მოგვცა ილია ჭავჭავაძემ. შეიძლება და პასუხი ისე გავცეცა, რომ ნებისმიერი ერის საქართველოსთან ურთიერთობას ოდნავი წიანიც არ მოვსვლოდა. ამის ხელოვნებაც გვასწავლა ილია ჭავჭავაძემ. მას არასოდეს დავიწყნა ერთა ურთიერთობის საიდუმლო შევცემლო, მაგრამ ვერ შევიძელით. ვერ შევიძელით, რადგან დაქსაქსულნი აღმოვჩნდით იმ დროს, გრძნობებ და ვნებებდამატარებულნი და ვერ აღსდგა ჩვენი შინაგანი ნება რაინდული წამოდგომით, ხმა დვისისა და ხმა ერისა ვერ შეერთდა. ღირსეულ პასუხს მართო ერთი კაცი არ წერს. ის ერთ კაცში მთელი მწერლობისა და ხალხის უსწავლა შევავსირდება და სიტყვა საპირო სიმაღლეს პოულობს. ჩვენ ვკინკლაობდით.. და ის ფიქრიც კი, რომელიც ყველის თითქოს ერთგვარი გვექნოდა, შედაპირე ვერ ავარდა. საერთო სულსკვეთებამ მიგავტოვა.

ამიტომ გახდენ იძულებული ჩვენი თანამეამულინი სხვადასხვა დროს პირადად მიეწერათ თავიანთი აზრი ქართველი ხალხის „კეთილმოსურნეთათვის“. დაინახეს ჩვენი უშოქმედობა, გველოდნენ, გველოდენ და მათ ხელი არსებული საშუალებით გამოხატეს სათქმელი. რატომ უნდა დასჭირდეთ „რიგით“ მოქალაქეებს იტაკქვეშა არხებით თავიანთი გულისტკივილის გამოხატვა, თუ არ ისევ ჩვენი დაქსაქსულობა და შინაგანი გულკლევებულობა?

ჩვენ ძალიან ბევრი გულდაწყვეტილი მწერალი დაგვიგრძობდა თითქმის ყველა თაობაში. მათ გამოხატეს და მძაფრადაც თავიანთი საწუხარი. ხედავთ, ისიც კი მნიშვნელოვანი ყოფილა, საიუბილეო საღამოებზე, პლენუმებზე და კონფერენციებზე სიტყვით ვინ გამოვიდა. პრესაში გულსტკივილით აღნიშნა უკვე, რომ ერთი და იგივე სახელები გვხვდება ყველგან და ყრველთვის. და მართლაც დამაფიქრებელია ეს გარემოება. ე. ი. რაღაც მნიშვნელობას ვანიჭებთ საზოგადოების წინაშე იმ სიტყვატურ წარდგენას, ერთი და იმავე პიროვნებების გამოჩენას. ე. ი. ხელოვნურად ვჭრდით მათ ავტორიტეტს! ასევე ხელოვნურად ვაყენებთ ჩრდილში სხვებს! მაგნი ტენდენცია აქ არ წყდება, იგი ღრმავდება. იშტამპება აზრი, რადგან იშტამპებთან თვალსაჩინო მოღვაწენი, ვისაც ტრიბუნაზე ვხედავთ გამოდებიან. — ძნელია, ასე ხშირად, ასე შედეგად ცინცხალი სიტყვის მომზადება და რაიმე ახლის თქმა და იმიტომ კი არა, თითქოს ორატორთა „შედმივი შემადგენლობა“ ცუდი იყოს, იმიტომ რომ ილ-



ლებს ადამიანი არა და არ გვემეტება სხვისთვის ტრიბუნა.

ქართული მწერლობის ანგარიშგასაწევი ძალები გამოთიშულნი არიან ამგვარი შეხვედრებიდან, არ არის მოხმობილი და გამოყენებული მათი საულიერი ენერჯია და ამდენად ხალხმობებიცა და იუმბილებიც გაუფერულდა. ამწელად გაიგონებთ იუმბილარი მწერლის საკადრის სიტყვას ტრიბუნადან, იუმბილები კი ჩვენ იმისათვის დგებიან, სრულად ვიგრძნობთ ნებისმიერი დიდი მწერლის სულისკვეთებას, სიბრძნე, შემოქმედების მაღლი, კიდევ ერთხელ გავიმსჭვალთ მათი იდეალებით და გავხდეთ უცეთესნი. ამისთვის ჭირდება ხალხსა და ქვეყანას ყოველი მწერალი საერთოდ და საიუბილეო დღეებში განსაკუთრებით. ჩვენ კი რა გამოგვდის, მხოლოდ აღვნიშნავთ, მხოლოდ ვალს ვიხდით...

ყოველ თაობაში დაიძებნება ღრმად მოაზროვნე, ორიგინალური თვალთახედვის შემოქმედნი, რომელთა მონაწილეობა გააღრმავებდა საიუბილეო ხალხმობის შინაარსს. გვყვანან ახლანდელა მწერლები და მათგან სწორედ ღირსეულნი, ჩუმნი, თავდადრეკილნი უნდა შეირჩეს და დაეთმოს ტრიბუნა.

ჩვენს ლიტერატურულ ატმოსფეროში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა ლიტერატურაში, ახლა დიდი ძვრები ხდება. გაჩნდა ყველა ჩვენთაგანისათვის სასიხარულო რუბრიკა „დაბრუნებული სახელები“ („ლიტერატურული საქართველო“). ქართულ სინამდვილეს უბრუნდებიან დიდი მწერლები და მეცნიერები, რომლებიც ჩვენს საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიული კატაკლიზმების წყალბობით ფაქტიურად მოკვეთილნი იყვნენ ეროვნული ნიადაგიდან. ჩვენ ყველამ უფრომკვირთ ვიცოდით მათი არსებობის შესახებ. სულ მალე ქართველი ხალხის წინაშე ისინი წარსდგებიან მთელი სიმაღლით. მთელი სისასხით წარმოჩნდება მწერლებისა და მეცნიერების პროგრესული ნააზრევი და თვალნათლივ დავინახავთ, რა განძის პატრონი ვყოფილვართ. გრიჯოლ რონაქის დახახებლებაც კმარა სათქმელის საილტობრაციოდ უკვე გამოქვეყნდა მისი მოთხრობები და წერილები. გამოიცმა წიგნები დიდი სამუშაო იქნება ჩასატარებელი ყველაფრის გამოსამწეურებლად, რაც კი დროის უკუღმართობით არქივებში გაფანტულა და გამოკეტილა. მაგრამ ასეთი მაღლი ანი საქმისათვის ძალას ვინ დაიშურებს. მთავარი ამინდია, ამინდი, რომელიც დადგა მთელს საბჭოთა ლიტერატურაში და აგრეთვე ჩვენთან, საქართველოშიც. ამ ამინდს მაღალი ლიტერატურული და მოქალაქეობრივი წესობობობით უნდა შეხვდეთ. ამინდ არ შემოიხსნადრება მხოლოდ დაბრუნებული სახელებით, თუმცა თავისთავად იგი იმდენად მნიშ-

ვნელოვანი ფაქტია, ალბათ, საქმაოც არის ჩვენი დღევანდელობის მდიდარი შინაარსის, ჩვენი საზოგადოების შინაგანი განწმენდისა და ამაღლებულობის დასადასტურებლად. ჩვენ ამ თვალსაზრისითაც უნდა გავიანზროთ მომხდარი მოვლენა, პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, ამინდი, რომელიც დგას. ბოლოსდაბოლოს ჩვენ ვთავისუფლდებით არტახებისაგან, შემწულდელი დომინანტიზმისაგან, ცალმხრივობის, ერთპიროვნულობის თვისებებისაგან. როგორც იქნა, ვაკვირთ ვიწრო თვალთახედვან, თვითშეღუფდვის კონცეფციებს, ჩვენი ქვეყანაც და მსოფლიოც უფრო ჯანსაღი, უფრო ფხიზელი თვალთ დავინახეთ. დავინახეთ და ვაღიარეთ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დიდი ძმა შევილი მოუქეთითა, დიდი ნააზრევი გაუნაპირებიათ და მიუჩქამლიათ იმდროინდელი ზოგიერთი პოლიტიკოსის კაპრიზების გამო. და დღეს დიდი სიფრთხილით, მაგრამ ძალზე თამამად, სიხარულით აღვსილნი ვაკლით მტვერს ძვირფას ფურცლებს.

მდიდრდება, ღრმავდება, ფართოვდება საბჭოთა ლიტერატურა. ფართოვდება ქართული მწერლობის სამანები. ერთ-ერთი დიდი მოვლენა, რაც ქართული მწერლობის სინამდვილეში ხდება, ეს გახლავთი მისი შინაარსის სრულფასოვანი გააზრება ხვალ თუ ზეგ მოხდება. აქ მხოლოდ გაკვირთ მივანიშნე მასზე. ეს გააზრებაც გარდაუვალი მოვლენაა, რადგან ისიც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების დღის წესრიგში დგას. ისიც მოსაგვარებელი საქმეა, ჩვენ განვე აღსასრულებელი. ცხადია, ყოველგვარი გაზვიადებისა და ხმაურის გარეშე.

საბედნიეროდ, საქარობისა და დემოკრატიის პრინციპმა სხვა სასიკეთო ძვრაც გამოიწვია: ქართულ მწერლობას შემუშლია უფრო თამამად უფრო გაბედულად ასახოს ყველა მოვლენა, რაც კი მისი ინტერესების სფეროში შემოდის, გადაჭრას მწერლობისა და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, რომლებიც სწორად მწერლის სიტყვას ელოდება, გაჩაღოს დისკუსიონებისმიერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტზე. ამ მისიის აღსასრულებლად ქართული მწერლობა მაშინაც კი გამოიღებდა ხოლმე ხელს, როდესაც თანხი დაბრკოლება ელოებოდა. დღეს ჩვენ, უბრალოდ, ვალდებულნი ვართ დიდი ლიტერატურის ინტერესებით ვიცხოვროთ, ვიბრძოლოთ და ვიღვაწოთ.

ჩვენ მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაპყროთ კეთილისმალეყნებელ ფაქტებს. ისინი დადებით ტენდენციებზე მიგვანიშნებენ. ისინიც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ორგანული ფაქტებია და მათთან უნდა ვაკვირდებთ გარკვეულ იმდებთან.

თანამდროვე ქართული მწერლობის რიგი ნაწარმოებების წარმატება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთს ამ სურათის არც ზედმეტა



შეღამაზება სასურველი და არც ზედმეტ უფალბეზღყოფა. დღითიდღე იზრდება ინტერესი ქართული მწერლობისადმი. უცხოელი მკითხველის წინაშე თანდათან გამოიკვეთება რამდენიმე მწერლის სახელი. სწორედ ამ გამოკვეთის, თანდათანობითი დამკვიდრების პროცესია საინტერესო და ის უთუოდ მიეკუთვნება ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტების რიგს. მართალია, საქმაოდ ხშირად ინფორმაციებში ისეთი სახელებიც გაიჩვენებენ, რომელთაც „საზღვარგარეთის საგზური“ ასე იოლად არ უნდა ეძლეოდეთ, რადგან ისინი მხოლოდ თუ დაახნვევენ უცხოელ მკითხველს და დააბეჭებენ ჩვენს გაფრთხილებაში. ზედის ისიც, რომ რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა ჯერ კიდევ ვერ პოულობს საზღვარგარეთის ასპარეზს, თორემ, შესაძლოა, ქართულ ლიტერატურას უფრო მეტი პატივისცემული და დამფასებელი მყოლიდა უცხოეთში. პირადი ინციდივის ფაქტორი წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე ხშირად ცვლის ეროვნული მწერლობის ორგანიზებულობას.

და მაინც აშკარაა ქართული მწერლობის პრესტიჟის ზრდა. დემოკრატიისა და საქარობის პრინციპი ხვალ უფრო გაზრდის ამ პრესტიჟს. ასეა მოსალოდნელი და არ შეიძლება ყოველივე ამან კეთილისმყოფელი გავლენა არ იქონიოს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ეს მაღალი რიგის მოვლენები უნდა იქცეს ჩვენი ლიტერატურული ატმოსფეროს მამოძრავებელ ბიძგად. ამ რანგის ფაქტებზე უნდა გაიმართოს ჩვენი შეინაგანი მშეკრა, ჩვენი დამოკიდებულება და ჩვენი ურთიერთობაც.

ცხადია, შესაძლებელია თავი მოუყარო ყველა სასიკეთო ფაქტს, რაც ჩვენს მწერლობაში ხდება. ისიც საგულისხმოა, ალბათ, და დიდად საგულისხმო, როდესაც ახალგაზრდა მწერლები მშვენიერ რომანებს აქვეყნებენ, როდესაც გარდაქმნის სულიკვეთებით გამსჭვალული მძაფრი პუბლიცისტური წერილები დაისტამბება და ჩვენს დამღვრებულ ვნებებს „მისძრავს-მოსძრავს“. დიხაც, უნდა გავწყვიდინოთ მშეკრა ყოველივე კარგს, ყოველივე კარგის ჯამსაც. მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის: ჩვენი ფაქტორი მუდამ ჭეშმარიტ ლიტერატურულ ვნებებთან უნდა იყოს მიჭაჭვული, ლიტერატურის სიმალღებთან ტრიალებდეს, რადგან ქვეყნის სულიც იქ არის და ქვეყნის „მაჩისცემაც“ იქ იგრძნობა. მოვწყდებით თუ არა იმ სიმალღებს, ქვეყანაც თვალს მიიფარება და ხალხიც, დიდი მოწინებიც და დიდი ლიტერატურული ვნებებიც.

მცირე გაუგებრობებს არ ვგულისხმობ. უსიამოვნო შემთხვევათა ტოტალურ მანშტაბს ეხება საქმე, რომელთა გამო ყოველ კუთხესა და კუნძულში ერთი და იგივე კითხვები ჩაგვესმო-

და: რა ხდება? რა გვემართება? ჩაგვესმოლა.

საქარობისა და დემოკრატიის დროში ბევრი დიდი საქმე შეიძლება გაკეთდეს. მეტი ითქმის სიმართლე, მეტია აზრის სითამაშეც. აზრის მრავალფეროვნებაც ამის კვალდაკვალ არის გარანტირებული. სიტყვის თავისუფლებას ათსი მალე ახლავს, მაგრამ იზრდება ფსევდოსიმართლის საფრთხეც. მოსალოდნელია, რომ საქარობა ბევრმა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის.

გარდაქმნა ყველაფერს უნდა შეეხოს. ჩვენ უნდა ვიშრობოთ და ვიცხოვროთ გაცილებით უკეთ, ვიდრე გვიშრომა და გვიცხოვრია. ეს რომ შეიძლოს, უნდა მოვხსინოთ კრიტიკული შენიშვნებიც. მაგრამ კრიტიკა რომ მოხსინო, უნდა გრძნობდე ოპონენტის სიმართლეს და კეთილსინდისიერებას, უნდა გრძნობდე, რომ შენიშვნა საფუძვლიანია და მისაღები. მოყვრულად რომ არის ნათქვამი და არა მტრულად. ყველა ეს პირობა უნდა იყოს დაკული, რომ შენიშვნამ დაგაფიქროს და დაგითანხმოს. სამისოდ საჭირო იქნება, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, შენიშვნისა და გაკრიტიკების ტექნიკოგია გარდაიქმნას ჩვენში, შეიცვალოს ანალიზის, შეფასების, კრიტიკის პრინციპი და სტრუქტურა.

ყველა მხატვრულ და არამხატვრულ შურნალ-გაზეთს, ისევე როგორც მთელს ჩვენს ცხოვრებას, გარდაქმნა უნდა შეეხოს და შეეხება კიდევ. მაგრამ ისევე როგორც ყველა დანარჩენს, შურნალ „ციხარის“ რედაქციასაც სურს-გარდაქმნის რთულ პროცესში ესმოდეს სწორედ ის პრინციპულად შეცვლილი სტრუქტურა-განახლებული კრიტიკა. ე. ი. სურს არ იგრძნობოდეს ტენდენციური დამოკიდებულება, ჩასაფრებულ კაცის გესლი, არ იგრძნობოდეს ერთი ლიტერატურული ორგანოს მიღწევათა დაუნებაობა, მეორის წარმატებათა გაწვიაება. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მომრავლდნენ აღამიანები, რომელთაც გარკვეული მიწინების გამო ხელს აძლეოთ ნამდვილი სურათის დამახინჯება.

ზოგჯერ არაქანსადი დამოკიდებულება იქამდეც მიდის, რომ დაკინებულები ჩანს 70-80-იან წლებში მოსულ მწერალთა თაობების შემოქმედება.

ახლა კონკრეტულად „ციხართან“ დაკავშირებით: ვიმეორებ, ყველა ლიტერატურულმა ორგანომ და მთ შორის „ციხარმა“ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და შეუფარდოს იგი ჩვენი უაღრესად საინტერესო დროის მოთხოვნებს, იმ ლიტერატურულ ამინდს, რის შესახებაც წემოთ ვლასარაკობდი.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ 1987 წელს გამოქვეყნდა უმწვავესი პუბლიცისტური წერილები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ

პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე, აგრეთვე, ახალგაზრდა მწერლების შესანიშნავი რომანები, მთავარი საქმე მაინც წინ არის. გვაკლია დისკუსიები, დიალოგები, გვაკლია დროის სული ჩვენს ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებსა და რომანებში. საქირთა მეტი პუბლიცისტური სიმახვილე წერილებსა და ნარკვევებშია. საერთოდ, შურნალი უნდა იქცეს პრობლემათა და საკითხთა ერთ დიდ მდინარებად, რათა შეიძლოს მაქსიმალურად გამოხატოს დღევანდელიაობის სუნთქვა. ეს ის სუნთქვაა, რაზეც ოცნებობდა მწერლობა, და რაკი დადგა მისი გამოხატვის ამინდი, არც უნდა დაგვირდეს მითითება. ეტყობა ინერცია ძნელი დასამდგეია. ამიტომ დიდი შრომა მართებს რედაქციას, მართებს დიდი შრომა ამ წერილის ავტორსაც, როგორც „ციცქარის“ მთავარ რედაქტორს.

ოდონდ ამ ძნელ გზაზე უმართებულო, დაუნახებურებელ შენიშვნებსაც უნდა გადაეკტოს გზა. და „ციცქარიც“ მოვალეა სწორი და დროული რეაგირება გააკეთოს. ახლა, ასე დაგვიანებით მხოლოდ ორ მაგალითს გავიხსენებ:

„ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა ბაკურიანის თაბიბ-სემინარის ანგარიში. დასკვნით წერილში კორესპონდენტი წერდა: გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ „ციცქარი“ ამ ბოლო ხანს უდიდებოდა გახდა. გაზეთის იმავე გვერდზე დასტამებული იყო გამომსვლეთა სიტყვები, და არც ერთი მათგანი სიტყვაში ნახსენებებიც კი არ იყო შურნალი. უფრო ადრე 1988 წლის ივნისის თვეში „ლიტერატურულმა საქართველომ“ ზედოზედ გამოაქვეყნა ორი ინფორმაცია. ერთი მათგანი ეხებოდა მწერალთა კავშირის პრეზიდენტის ხელშეწევ „ციცქარის“ განხილვას, ხოლო მეორე საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილებაში მოწყობილ შეხვედრას „ციცქარის“ რედაქციასთან. ორივე ინფორმაცია იუწყებოდა, რომ დადებითად შეესადა „ციცქარის“ მუშაობა. აღნიშნავ, ამიტომ აღნიშნა საგანგებოდ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტმა შურნალი „ამ ბოლო ხანს“ გახდა უდიდებოდა. მაგრამ იმ ავადსახსენებელ „ბოლო ხანს“ „ციცქარის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა რეკა პეიშვილის ვრცელი მოთხრობა „მეოთხე სიფონია“ და გურამ ჟანჭიჭიძის რომანი „ნაწირალი“. როგორც ერთმა, ასევე მეორე ნაწარმოებმა მკითხველთა უჩვეულო დაინტერესება გამოიწვია. შეიძლება „უდიდებოდა“ უწოდო შურნალის იმ ნაშრომებს, სადაც ეს ორი ნაწარმოები იყო დასტამებული? შეიძლება „უდიდებოდა“ უწოდო შურნალს, რომლის სტუმომწერთა რიცხვი „ბოლო ხანს“ მშათას სუთასი კაცით გაიზარდა და მაშინაც განუხებრებლად იზრდებოდა, როდესაც კორესპონ-

დენტმა ვიდაცის სურვილისდა თანახმად უსმართლო მსჯავრი გამოიტანა?

აქვე უნდა აღვნიშნო მაღლიერების გრძობით ისიც, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს მოყვრული პოეტიკებიდან დაწერილი სტატიებიც გამოქვეყნდა „ციცქარზე“. მით უფრო მოულოდნელი იყო ზემოთ მითითებული კრიტიკა.

1987 წლის ზაფხულში ერთი სასიამოვნო ფაქტი მოხდა. ასეთი რამ იშვიათად ხდება. როგორც წესი, ზაფხულის თვეებში შურნალის ტირაჟი იკლებს ათასიან ორიათასი ცალით (თბილისი ხომ სანახევროდ იკლება ზაფხულოდით!) ამჯერად სწორედ ზაფხულის თვეებში გაიზარდა შურნალის ტირაჟი სუთი ათასი ცალით და საერთო ტირაჟმა 70.000-ს მიაღწია. ისიც უნდა ითქვას, რომ 1987 წელს, როდესაც ეს სასიამოვნო ფაქტი მოხდა, შურნალის ფურცლებზე მთელი წლის განმავლობაში ძირითადად ახალგაზრდა ავტორების რომანები და ვრცელი მოთხრობები, მათვე პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები ქვეყნდებოდა. ეს მოწმობს ახალგაზრდა მწერლების საგულისხმო პოტენციას, მათ მიერვე მკითხველში აღძრულ ინტერესზე, მოწმობს მათ ძაღას.

შურნალ „ციცქარს“ თავისი დიდი პოპულარობისა და გავრდილი ტირაჟის წყალობით მიღებული მოგება საშუალებას აძლევდა დაუყოვნებლივ გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. ეს იმ შრომის ნაყოფია, რასაც რედაქცია ეწევა. ეს უველაფერი აგრეთვე „ციცქარის“ გარშემო შემოკრებილი უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა თაობების საერთო დამსახურებაა.

ბრმად ვერ გაიზარებს „ციცქარის“ რედაქცია ვერც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის იმუამინდელი მდივნის მწერალ ვიტალი ოზეროვის განცხადებას იმის შესახებ, რომ შურნალი „ციცქარი“ კრიტიკას ახშობსო (ასე განაცხადა მან საკავშირო მწერალთა ყრილობაზე 1988 წლის ივნისში. ამხანავ ვიტალი ოზეროვის სიტყვა შემდეგ „ლიტერატურნაია ვაზეტას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა). კრიტიკის ჩახშობის მაგალითად ვიტალი ოზეროვი ასახელებდა მწერალ რევაზ ჯაფარიძის წერილს „ლიტერატურული ტერორიზმის აღსაქვითა“ (შურნალი „ციცქარი“ 1988 წ. № 8). თუ „ციცქარის“ მუშაობაში ეხოდენ ღრმად იყო ჩახედული ვიტალი ოზეროვი, მაშინ მას სულ სხვა რამ უნდა სცოდნოდა. კერძოდ, უნდა სცოდნოდა, რომ „ციცქარი“ არათუ ახშობს კრიტიკას, პირიქით, მეტიმეტად დიდ თავისუფლებას აძლევდა მას. იგი დაინახავდა, რომ 1988 წელს, მთელი წლის განმავლობაში „ციცქარის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა უმწვევესი კრიტიკული წერილები ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებზე. გაკრიტიკებულ იქნა მრავალი მათგანი



თემურაზ ლიაიშვილის, გურამ პეტრიაშვილის, გივი აღმაშვილის, ვახტანგ ხარჩილავას, რენე კალანდიას, ლევან ბრეგვაძისა და სხვათა წერილებში, მოპაექრებებს საშუალება მიეცათ შეუღლდეთ და ეკამათო ერთმანეთთან. თუ ასეთი ინტერესით ჩაიხედავდა ჟურნალის საქმიანობაში, ვიტალი ოზეროვი უსათუოდ დაინახავდა, რომ იმავე „ციცკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა უმწვავესი პუბლიცისტური წერილები. ნოთუ ეს არის კრიტიკის ჩახშობა? ვიტალი ოზეროვს ასევე შეეძლო დაეხება, რომ „ციცკრის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობილი ქართული მწერლების კრიტიკული წერილები ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსებზე, ცალკეულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურის ზოგად ტენდენციებზე. ან თავად რევაზ ჭაფარიძის წერილი „ლიტერატურული ტერორიზმის აღსაკვეთად“ რატომ გვეჩვენება კრიტიკის ჩახშობად? ნოთუ ცნობილ მწერალს პასუხის გაცემის უფლება არ ჰქონდა? მით უმეტეს, რომ სამიოდ ნომრის შემდეგ კრიტიკოს თამაზ წიფჩივაძის სრული თავისუფლება მიეცეით გაეცა პასუხი რევაზ ჭაფარიძისათვის.

ან იქნებ რედაქტორის „აუცილებელი განმარტებანი“ მიიჩნია ვიტალი ოზეროვმა კრიტიკის ჩახშობად?

ვიტალი ოზეროვმა, ცხადია, არ იცოდა უკლავფერი ეს. რომ სცოდნოდა, ასეთ ბრალდებას როგორ წაგვიყენებდა. უკლავფერი, უკლავფერი, მაგრამ „ციცკარი“ კრიტიკას ახშობსო, ამას არავფიქროს არ იტყუა იმ წერილების შემდეგ რაზეც ზემოთ ვისაუბრე. მაშ ვინ მიაწოდა ასეთ ინფორმაცია? ვის სურდა პრობლემის მაღალი ტრიბუნლიდან „ციცკრის“ მისამართით ხმა მალდა, ქვეყნის გასაგონად თქმულიყო საუკუნდური: ვინ თქმევინა ვიტალი ოზეროვს მტკანარი სიცრუე?

და საერთოდ ზოგიერთი ჩვენი რუსი კოლეგა რატომ ცდილობს ასე იოლად, ერთი ხელის წამოკვირით შეაფასოს ესა თუ ის ქართული მოვლენა?

საქიროებს თუ არა შენიშვნების ასეთი პრაქტიკა, ასეთი ტრადიცია, ასეთი სტრუქტურა საბოლოოდ დაგმობას და უკუგდებას?

სამართლიან, საფუძვლიან შენიშვნებს კი მოვისმენთ უკვლახგან.

არც ის უნდა გაიკვიროს ვინმემ, გაკეთებულის დანახვაც გვიწოდდეს. კარგი ლექსი იქნება

თუ მოთხრობა, რომანი თუ პიესა, პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილი. რაც ასე იზიდავს მკითხველთა ფართო აუდიტორიას. უნდა იქნას დანახული. რადგან გამხმევებაც, წახალისებაც ქირდება რედაქციის კოლექტივის. გარდა ამისა, ამ პრინციპით სამართლიანობის რელსებზე შევადგებთ ჩვენს დამოკიდებულებას და უფრო გამართული ნაიჩიო ვივლეთ წინ შედგვიან იქნება შრომაც, ბრძოლაც და ცდაც.

„ციცკარს“ თავისი არსებობის მანძილზე ბევრჯერ მოუსმენია დაუმსახურებელი კრიტიკა, ამდენად არც არაფერია გასაკვირი, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს მავნე ტრადიცია წარსულისა, რომელსაც ჩვენ სამართლიანად უარყოფთ დღეს? მე მხოლოდ ორიოდ ტიპური მაგალითი დავახსნიათ საეჭვო მონებით ნაკარნახევი კრიტიკისა, ვფიქრობ, ეს ორიოდ ტიპური მაგალითი საქმარისია საილუსტრაციოდ. ჩასაფრებული კრიტიკის შემთხვევები მრავლობს. ცხადია ყველა მათგანს ვერ გამოვუდგებთ, მაგრამ არსებობს და მნიშვნელოვანს დროული განჩხრეკა ესაჭიროება, რათა მკითხველი საზოგადოება სიმართლეში იმთავითვე გაერკვეს.

„ციცკრის“ სატიკვარი იმიტომ ვახსენე, რომ მასაც შეუტრა სუნთქვა ლიტერატურული ატმოსფეროს გაქუჭყუანებულმა პაერმა.

ქართული მწერლობის საზრუნავი არ დაღუულა. დრო ახალ-ახალ პრობლემებს სვამს. ახალ-ახალ განსაცდელს გვიწაადებს. პრობლემები დრმად ეროვნულია და, რისი გადაჭრაც თანამედროვე ქართულ მწერლობას ევალება, მას სხვა ვერ გაგვიკეთებს. თუ ლიტერატურული ატმოსფერო არ მოვაწესრიგებთ, ტერავითარ სერიოზულ საქმეს ჩვენ ვერ შევებმებით. გავისხენოთ, აქა-იქ როგორი მწარე ტკივილით წამოვიძახებთ ხოლმე ჩვენს ამათიმ ეროვნულ საწუხარზე, საქმარისია ეს ხმები შეაერთო და ნათლად დაინახავ, რამდენი რამ უყოფლია ჩვენს მიერ მოსავლელი. საკითხებს კი, სხვადასხვა დროს დასმულ საკითხებს, თავს ადვილად მოუყრი კაცი, მაგრამ ჩვენს დაფანტულ ძალებს რა გააერთიანებს, რა შეკრებს ერთად, რომ საქვეყნო ღონედ იქცეს, იმ ღონედ, რაც ქართველი კაცის ცხოვრებაში შემოჭრილ ბოროტ ძალებს გაუმკლავდება? და მაინც იოტისოდენა უფლება არ დაგვრჩა, არ ვიპოვოთ „საერთო მხარი“.





გ უ ლ ი

უკვე მეოთხე წელი დაიწყო...

შენი წასვლით გაჩენილი სიცარიელე კი არა და არ ივსება. ან კი როგორ უნდა შეივსოს, ვინ უნდა შეავსოს...

საოცარი სიარული იცოდი, თითქოს მუდამ სადღაც მიგეჩქარებოდა, შენი საყვარელი „ციხის“ კედლებს დღესაც შერჩენილი აქვს შენი ნაბიჯების ექო, შენი გულის ამოვარდნამდე გახშირებული სუნთქვა...

ჩემს და ჩემს მომდევნო თაობებს შენი ბაღალი გზის გამკვლევი და მეგობარი იშვიათად ჰყოლია. რაღაც რთულ, ძვირფას ლითონთა მძებნელ დოზიმეტრს გავდი. ოღონდ შენს შკალაზე ახლად აღმოჩენილი მწერლის თუ პოეტის ნიჭი უნდა აციმციმებულიყო და, თუ ვინმეს აღმოაჩენდი, საოცრად გიხაროდა, უაღრესად გეამაყებოდა და ახლად მოვლენილ შენს უმცროს თანამოკალმეს გვერდით მწედ და მშველელად, პატრონად დაგვიდგებოდი, სანამ ჩვენს გზას და სახილველს არ მოვნახავდით. მერე კი ტოლივით გვექცეოდი, ერთგვარი კაცური რილით, საოცარი მსმენელი იყავ, ნაღდი ჭირისუფალი და ფაციცი ყურადღებით, თუ რამე მოგეწონებოდა, აღტაცებას ვერ მალავდი, უფრო სწორად, არც ცდილობდი დამალვას.

ხანდახან უმადურებიც გხვდებოდით, ხანდახან იმედსაც გიცრუებდით, თუმცა არავისთვის საყვედური არ გითქვამს: ყველას მოგვიტყვებდი, ყველას შეგვინდობდი. მიმტყვებელობა, დათმენა იყო შენი ცხოვრების მთავარი ძარღვი და ნერვი.

არადა, ცხოვრებამ სად არ გათრია, რა დოლაბმა, რა შავეთმა არ გადაგაარა. მერე რა, ვერც ვერაფერი დაგაკლო და ვერც ვერაფრით გაგტეხა, ბუნებით ძალზე ფაქიზი და ესთეტი ვერავითარმა მწიკვლმა და ჭუჭყმა ვერ შეგბილწა. პირიქით, იმ შავეთსა და მწიკვლშიც ფაქიზსა და ნათელს ეძებდი. ეძებდი და პოულობდი კიდევ. ხანდახან, როცა ბაგე გაგეხსნებოდა და ავადმოსაგონარ წარსულს გაიხსენებდი, ისეთ ნათელ სხივს ამოძებნიდი იმ წკვარამიდან, მსმენელს უნებურად შურსაც კი აღუძრავდი; რატომ ამის მხილველი და მომსწრე მეც არ ვიყავი.

საოცარი თბრობა იცოდი — გონიერი, ლაღი, სახიერი.

იშვიათი, არტისტულად ნაძერწი ფრაზა გქონდა, უბრალო ლიტერატურული ფაქტის სამწერლო დღესასწაულად ქცევა შეგეძლო. ცხოვრებაში ხელგაშლილი, მწერლობაში, სიტყვაში, ფრაზაში უაღრესად ძუნწი და მომჭირნე იყავი; ამიტომაც იყო, შენს სიტყვას. შენს ფრაზას ძვირფასი ლითონის საამო წყარუნი და ელვარება ჰქონდა ყოველთვის!

ჩინჩხვარის სიფიცხე გქონდა: წამსვე ააღებოდი, წამსვე აინთებოდი და წამსვე ჩანელდებოდი. შენი დიდი და მოყვასი გული ივიწყებდა წყენას, ივიწყებდა ტკივილს, ხანდახან შეურაცხყოფასაც კი... გაიბუტებოდი. სულ რამდენიმე წამით, წუთით თუ საათით, მეტით არასოდეს... მიუტევებდი მერე, დაუთმობდი... ძლიერი იყავი, სულიერად ძლიერი და შეგეძლო წვრილმან წყენაზე მალლა დადგომა.

იშვიათად მინახავს შენნაირი მიმტევებელი, დამთმობი და მომფერებელი გული...

შენ იყავი ყველაზე დიდი მფლანგველი, ვისაც კი მე ცხოვრებაში შევხვედრივარ. შენ ყველაზე დიდი სალარო და საუნჯე უცნაური პოეტური დარღვიანობითა და რაღაცნაირი ბავშვური მიამიტობით გაფლანგე და დახარჯე.

შენი ყველაზე დიდი სალარო და საუნჯე კი გული იყო: თბილი და წრფელი, მოყვარული და კეთილი, ულალატო და მიმტევებელი გული, ჩემო ბატონო ოტია.

ხანდახან ვფიქრობ, თუ შეიძლებოდა შენი სხვანაირი სიკვდილი: სიბერით დაუძღურება, ავარია ან რაღაც ამგვარი... აბსურდული...

სამწუხაროდ, პასუხს მაშინვე ვპოულობ — არავითარ შემთხვევაში, ვერაფრით ვერ წარმომიდგენია ბებერი, დაუძღურებული ოტია პაქკორია.

შენ გული უნდა გაგსკდომოდა.

ვაგლახ, რომ ასეც მოხდა!

სიცარიელეს კი რაღა შეავსებს...

ავთანდილ ჩხიკვიშვილი



სულხან უორდანია

„პრაგმისათვის“

ვინმე რომ გითხოს, რა წარმოადგენს იორამ ქემერტელიძის მხატვრული სამყაროს მთავარ დევიზს, რა რწმენა, რა მსოფლგანცდა, რა განწყობილება ჩაღვრილი მისი პოეზიის მრავალფეროვან ქარგაში, დაუყოვნებლივ ვუპასუხებ: ადამის მოდგმის უსაზღვრო სიყვარული, კაცობრიობის რიგითი წევრის მიმართ უანგარო ერთგულება, ადამიანის პატივისცემა, სიყვარული მისი მრავალრიცხოვანი ღირსებების განურჩევლად, მოკლედ, ადამიანის სიყვარული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ადამიანია:

- გიყვარს ის კაცი?
- მიყვარს და, რა ვქნა!
- რატომ?
- უბრალოდ, კარგი კაცია!
- მაშასადამე, შენ თვალში ამ კაცს ნამცეცი ნაკლიც არ გააჩნია!
- მე ნაკლს, თუ მიყვარს, არც ვეძებ კაცში...
- ნამდვილად?
- ისე მე გავიხარო!
- და თუ არ გიყვარს?
- მაშინ...
- ჰო, მაშინ?
- ვეძებ ღირსებებს, რომ შევიყვარო.

შორს წაგვიყვანს იმის ჩამოთვლა, თუ როგორ შეიძლება ამ ორსტროფიანი ლექსის განხილვა, მაგრამ ერთ რამეში, ალბათ, მაინც ბევრი დამეთანხმება: უპრეტენდენტოდ სადა, უპრეტენზიო ენობრივი საშუალებებით ნაპოვნია აქ საქმის შიგთავსი, დაჭერილია მთავარი, არსებითი მომენტი კაცთმოყვარეობის უსასრულო თემაში, ლოგიკური სრულყოფილებით თუ არა პოეტური ინდივიდუალიზაციით მაინცაა მძაფრად გამოკვეთილი ის, რაც აქამდე ჩვეულები-სამებრ ჩვენს ბუნებაში გაფანტული, დაქაჩსული, ბუნდოვანი იყო, რაც შეუმჩნევლად, ქვეცნობიერად გვადიდებდა, რაც ზოგადად გვწამდა. იორამ ქემერტელიძის ბევრი ლექსი, ბევრი სტროფი, პწკარი, თუ ცალკეული მომენტი, განსაკუთრებული, წამიერი ხილვა ადამიანისა მის

მხატვრულ სამყაროში უცნაურად გვიარტლებს სინდისის წულუღებს, გვიფორიაქებს სულს, კვებავს გონებას, მოქმედებაში მოჰყავს ჩვენი მთვლემარე ინტელექტუალური პოტენცია. იგი თითქოს ანაზღად, გარჯის გარეშე, მოუმზადებლად პოულობს სიკეთის ძირებს პრიინციპულად არა — დრამატულ, არა — კონფლიქტურ, არა — პერსიკულ ვითარებაში.

არც მზის სხივების თვალისმომჭრელი ბრჭყვიალი, არც უწმინდესი ცის ლაფვარდი, არც მწვანე, ყვავილებით მოქარგული ველი, არც პირველქმნილი ტყის წიაღი, არც თვალუწვდენელი ყინულითის მელოდითური ქარბუქი თუ ვერცხლისფერი მტვერი არაა ის გარემო, სადაც ვიხილავთ ჩვენ იორამ ქემერტელიძის სიყვარულის ობიექტს: რიგით ადამიანს. სიკეთისა და ჰუმანიზმის ქეშმარიტი მოსაგრე თითქოსდა ერიდება საგნის ზედაპირის, გარეგნული ეფექტის ზედმიწევნით გამოსახვას და მთელი ყურადღება „კანის“, ოქრონაქსოვი საბურველის მიღმა მყოფ სულიერ რეალობაზე გადააქვს. ასე იბადება ადამიანური თანაგრძნობისა და მიმნდობელობის იშვიათი განცდა —

- სძინავს ყველაფერს...
- და გგონია თუ გეჩვენება,
- შენ გაბარია ეს სიმშვიდე და მოსვენება
- და დაბაბულად,
- გულშაგივით ჭვინობო, იცი რომ მიწამ და ზეცამ
- ასე მშვიდად უნდა იძინოს
- სიო თუ ატყდა,
- ან თუ მოწყდა ხიდან აყირო —
- უნდა წამოდგი, თავი უნდა წამოაღირო;
- მაგრამ უეცრად:
- ღამის ბინდში ომახიანად
- ლილინ-ლილინით გზაზე მგზავრმა თუ
- ჩაიარა, —
- გაგებარდება
- და იქცევი უტებ ხალისად: —
- თითქოს დროებით, ვინმე გცვლიდეს
- გულშავს ღამისას.

„თურმე“ — ასე უწოდა პოეტმა თავის ახალ წიგნს. ერთ დიდ თაგულში რუდუნებით შერჩეულ გამოცდილებათა საგანძურსა და თანდაყოლილი ნიჭისა თუ შექმნილი სიბრძნის ნაყოფს. უჩვეულოდ ვრცელია ამ წიგნის ლირიკული გმირის შორიზონტი, რადგან იგი მოიცავს როგორც სადა, უბრალო, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო უოფავსოვრებით სურათებს, ასევე დიად, მასშტაბურ ისტორიულ ძვრებსა და კატაკლიზმებს; როგორც ზოგადსაკაცობრიო, მარადიულ პრობლემებს, ასევე ეროვნულ პატრიოტულ თემებს, მოტივებს, მისწრაფებებს...

ქიციც ვიცი და ქიცმაცურიცო, გვეუბნება პოეტი „საუბარში“ შევილთან“ და მართალიც არის. მის გაშქრიახ, მახვილ გონებას არც ის რჩება შეუმჩნეველი, რაც უსასრულოდ ამაღლებს ადამიანს, არც ის, რაც უსასრულოდ ამცირებს მას, რაც ოდითგანვე მიუღებელი და დასაგმობია. იორამ ქემერტელიძის მთელი შინაგანი ენერჯია, მთელი შემოქმედებითი ალღო და ნიჭი ძირითადად ნაკლსა და ზადს კი არ ებრძვის, ბოროტებას, ღვარძლსა და შურს კი არ თრგუნავს ადამიანში, მაცოცხლებელი, ცხოველმყოფელი სიყვარულითა და სიკეთით ავსებს ადამიანის სულსა და გონებას —

ტყუილუბრალოდ
გაიბუტა
წელან
ტირადი...
(ერთს რომ კარგს ეტყვი,
სხვა ამ ნათქვამს გითვლის სიავედ), —
გულის საკინძე გავისხენი
და გავშლიფდო,
და აკაცის ვეფერე და
ველოლიავე...

რად გაახელა სხვა
უბრალო, ტკილიმა სიტყვებმა, —
ჩემს აკაცის ჩაეხვიე და ჩაეკარა...
არც შე არ ვიცი,
და არც
არვის
არ ეკითხება,
რად მირჩენია ტირიფის თმებს
მისი ეკალო.

იქნება სიკეთე? არ იქნება ბოროტება. სიძულვილის, ღვარძლის, უსულგულობის მოსპობა ვაკუუმს წარმოქმნის, ვაკუუმი კი ბერწია: სიყვარულით უნდა შეავსო იგი.

პოეტის კრიტიკული, სატირული მიახლოება ადამიანთან, საზოგადოებასთან, ბუნებასთან, ბედისწერასთან არ ამახინჯებს სინამდვილეს, ცილს არ სწამებს ჭეშმარიტებას. პოეტი გვიჩვენებს რეალობას ისე, როგორც მას თვითონ განიცდის, თვითონ იმასსოვრებს, თვითონ ითვისებს უღმობელი, გარდაუვალი სიმკაცრითა

და პრინციპულობით. იქნებ ესაა იმის მიზეზი, რომ იშვიათად სცდება მისი სიტყვა საზღვრებს, სამიზნეს და თუმცა ლექსებში „უტყვიონი“, „ერთი წიგნი“, „წუთისოფელი“, „ინერცია“, „ძველი ისტორია ანუ რა გვიკრს ძველიდან“, „ზოგიერთი წიგნისა და მისი რეცენზიის წაკითხვისას“, „არაინ ქვეყანაზე ადამიანები“, „დიადლექტია“, „თუკი რამე მისარია“, „ლექსი ზუსტი მისამართით და ირიბი ეპიგრაფით“ სათნოება იტანება, ბიწერება, სიკეთე, ნიჭი, სულგაფრელობა იჩაგრება, ბიწერება, ბოროტება კი დღესასწაულს იხდის, ზემოხს, ჩვენ არა გვშურს გამარჯვებულისა და მთელი სულითა და გულით დამარცხებულის მხარეზე ვდგებით.

დილია პოეტის სიყვარული მთებისა და ნაკადულების, დილისა და სუფთა, წმინდა, გამჭვირვალე ჰაერის, სიჩუმის, მყუდროების, მიწის სუნისა და ცაცხვების მიმართ. ეს, მეტნაკლებად თითქმის ყველგან იგრძნობა. აი, იორამ ქემერტელიძის მიერ შეგრძნობილი ბუნების სიღრმე —

სხედან — ათ-ათი!
ზოგან — ოც-ოცი? —
გამოქცევაში ამ თაკარა მზეს, —
ვინც სად მოასწრო,
ხორხოც — ხორხოცით
ჯგროდ ჩამომსხდარან
მთები არაგვზე.
შებორცებთან ფუტე-ლიბოებს,
თვალსაწიერის სიგრძე სიგანეს...
დაკარწყახებულ წვიგებს ილბობენ,
ბარში დასიცხულ ფეხებს იბანენ.

მთებო — კაცებო დარბაისლებო,
ვითომ რა მოხდა, —
დიდი ამბავი! —
ნება მომეცით,
თმა დავისველო
თქვენი მაგ წმინდა ფეხის ნაბანით.

განა არა გრძნობთ თქვენ, რომ არ შეიძლება ამ პეიზაჟის მხოლოდ ესთეტიკური ჰვრეტა? შეუძლებელია არ მოინდომო გონებით, გულით — ჩაწვდენ, გაიგო, გასწომო მისი თვალუწყვედენელი სიღრმე?! სულს უხარია, რომ ეს ბუნება არა დგას განმარტებით, რომ იგი აურაცხელი ზმანების, ხილვის, ასოციაციის, განცდის, სიკეთისა და ერთგულების სამშობლოა. მდინარის წყალი უსასრულოდში მიედინება, ლოკავს, ეფერება კლდეს, ლოდებს, ქვებს, კენჭებს, სილას, მიედინება ზემითა და სიხარულით. მოაქვს მას ჩვენთან წარსული, ისტორია, მითი, ლეგენდა.

„ნება მომეცით, თმა დავისველო თქვენი მაგ წმინდა ფეხის ნაბანით!“ კარგია... გვიწოდებდა ადამიანისა და ბუნების ამ უპრეცედენტო ურთიერთგაგებაში პატრიოტულის ზოგადსაკაცო-



ცობროსიდან გამოყოფა. პოეტს მშობლიური პე-
ნიანი ხიბლავს, მაგრამ ეს ხიბლი ზოგადსაკა-
ცობროსი სივრცეში გადის, მარადიულ ფასეულო-
ბათა სამყაროში, ყოველგვარ დროსა და სივ-
რცეს მოწყვეტილსა და მოშორებულში. იორამ
ქემერტელიძის ჯონების თვალი ხშირად ჩერდე-
ბა უსასრულობის, მარადისობის, დროის დინე-
ბის პრობლემებზე. ზოგჯერ გეჩვენება, რადაც
აღდგომის ცდომილებს იგი მარადისობის, დროის
დინების სივრცეში უკუგარდაქმნას. მშვენიერი
რამა დროის პოეტური აღქმა: გულს უღმობს
იგი აღმინანს: „...ვითარცა წელი სიბერისფერი,
გემატებიან თანდათან წრენი... და ყველაფერი
თავის გზით მიდის, ო, შენში ამ წრეს ვერარა
წაშლის, იგი მატულობს, იზრდება იგი, თითქო-
სდა, კენჭი ჩააგდეს ტბაში...“ ამბობს იორამ ქე-
მერტელიძე ლექსში „დაცხვი“. დაჭერილია ერ-
თი წამი მატერიის განვითარების უსასრულო
პროცესში, ერთი წერტილი დროსა და სივრცე-
ში, სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნე-
ბაში:

წლები წავიდნენ...
ვერ დაგესენი,
შენ დიდიცა ხარ და სახიერიც,
შენ ირწოდი, მაგრამ ფესვებით
გეჭირა ჩემი მიწა ფხვიერი.
შენი ფესვების მლაშე სინესტე
დამშლის და ასე შენში გადმოვალ:
და, ერთი სიტყვით,
მე გავიმეტებ
სხეულს, ვით ძვირფას გამოსათხოვარს.

გემატოს წელი,
ვით წრეთა რიგი,
ო, შენში ამ წრეს
ნურარა წაშლის,
იგი მატულობს,
იზრდება იგი,
თითქოსდა, კენჭი
ჩააგდეს ტბაში.

ზუსტად ვერ ვიტყვი მერამდენად გადავიტოხე
იორამ ქემერტელიძის პოეზია. მოგონებებს მი-
ვეცი თავი, მისი პოეტური ხილვებით მოგვრალ
მოგონებებს, მივეხვედრე საქართველოს ტყისა და
მთების, ველებისა და მდინარეების თავისუფალ
ასოციაციებს, რადაც უცნაური სიბოძისა თუ
ნოსტალგიის მსგავს იმ მსუბუქე ქროლას, მხო-
ლოდ პეშმარტი ხელოვნება რომ აღძრავს ხო-
ლმე აღმინანსი. ერთმა ლექსმა დარიალის ხეობა
გამახსენა, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც
ტყვისსფერ თერგს ჩემთვის უცნობი, უსახელო,
მაგრამ ღვთაებრივად წმინდა, ცივი, ბრჭყვინლა
შენაკადი უტევს, სძიძვისა, ამაღლებებელსა და
თავად აღმღებულს, კიდევ უფრო აღმღებებს...
ვიცი, მტკვით რომ ყველაფერი ეს სავსებით
რეალურია, ლოგიკურია, იქნებ მშვენიერიც,
მაგრამ მთელ კატეგორიას მოიცავს, ტიპური-

სკენა გამოწვეული, არა ერთსა და ორ პოეტს
ეხება, ახასიათებს, გვაგონებს, ასე ვთქვათ, ან-
ბოლოო ჯამში, მაინც აბსტრაქცია, იორამ ქე-
მერტელიძის პოეზიას, მის სულიერ სამყაროს,
მის პიროვნებას, მის განსაკუთრებულ, თავისე-
ბურ, განუმეორებელ ბედ-იღბალს კი ასეთი
უხეში ფაციტით ძნელად თუ დავიჭერ. არ შე-
მიძლია არ დაგეთანხმოთ ერთი პირობით: ფა-
ცური უხეში იმიტომ, რომ მთლიანობაში უნდა
დაიჭიროს პოეტის ნაწარვეი, მაგრამ თუკი მას
ერთ კონკრეტულ თემსა თუ განცდაზე, იდეასა
და განწყობილებაზე, პოემასა და ლექსზე მივ-
მართავთ, სტრუქტურულად შეიცვლის თავისე-
ბას და უმალ გადაიქცევა გაცილებით უფრო
დახვეწილ, ნატურ, წმინდანაქვს ბადელ. ერთ-
მა ლექსმა თერგი და მისი ანკარა შენაკადი გა-
მახსენაო, ვთქვი. აი, ამ ლექსის პირველი
სტროფა:

მტკვარო,
რა უყავ ჩემი არაგვი,
სასე —
მერცხლებით და ვარსკვლავებით!
— მე
უსუსური და ჩაჩანაყი
შმაგი არაგვის თავს გეღავები.

აქ ჩაქსოვილი აზრის მნიშვნელობა ლექსის ძი-
რითადად მხატვრული იდეისათვის რომ თავიდა-
ნეე ნათელი იყოს, უნდა აღვნიშნო, რომ პირ-
ველი სტროფის პირველი პქარი ბოლო სტრო-
ფშიაც მეორდება და ერთგვარად კრავს, ასრუ-
ლებს, აკონკრეტებს ლირიკული გმირის პრე-
ტენზიასა თუ მოთხოვნას პერსონიფიკირებულ
მტკვარის მიმართ —

მტკვარო, რა უყავ ჩემი არაგვი,
თეთრ დორბლს რომ ანთხევ ყვითელ
სილაზე...
შენი მსხვერპლია,
შენი ზვარაკი
და პასუხს აგებ შენ ჩემს წინაშე.

ლექსის დანარჩენი ოთხი სტროფიდან სამი არა-
გვის დახასიათებას ემსახურება, არაგვის საქმე-
ნამოღვაწარზე მოგვითხრობს და მხოლოდ ერ-
თი, მეხუთე სტროფი წარმოადგენს მტკვარის
პოეტური დეტალებით, არტისტული ნიშან-თვისე-
ბებით დახასიათების ცდას. პირქუში, ზვიან-
დი, თავისუფალი, მარადიული კავკასიონის
მთებიდან აღმართული არაგვის ეს პოეტური ინ-
ტერპრეტაცია აოცებს სისწრაფით უსწრაფეს
აზრს! —

ქერბო,
საფიხნო,
ციხე-გოდოლი
ჩამოგიზიდა ღველაღ-ღველაფით,
სულ ფოთოლ-ფოთოლ,
სულ ტოტ-ტოტობით
გამოვატანე ტყენი-მანდარი.



ბუზღუნ-ბუზღუნით,
 ყბედობ-ყბედობით,
 დგაფუნ-დგაფუნით,
 თქარუნ-თქარუნით, —
 სულ კურცხალ-კურცხალ,
 სულ წვეთ-წვეთობით
 გიგროვა სევდა და სიხარული.
 ღეჰა ლოდები,
 ლოკა ხარკით
 და მშობლიური ფუტი-ლიბოდან
 ჩამოზიდული გრილი მარილით
 გამომტანარებულ ხახას გიღობდა...

არაგვისა და მტკვარის დაუსრულებელი ჭიდილის ავტორისეული ხილვა, ერთი შეხედვით, ბუნების სრულყოფილი ფორმებისაყენ ღტოლვის იდეას ეხმარება, ბუნების სრულყოფილებისკენ ღტოლვის იშვიათ ინდივიდუალიზაციას წარმოადგენს, თუმცა ერთდროულად თითქოს არც ბუნების სიწმინდისა და ხელშეუხებლობის, გამაჩანსაღებელი და გამაყეთილშობილებელი იდეის აპოლოგიასა და ურბანიზაციისადმი გარკვეულ სიცივისა თუ უნდობლობას გამორიცხავს, ვინაიდან მტკვარი, საბოლოო ჯამში, მინც თბილისის კონტექსტში იაზრება, დიდა ქალაქის ნარჩენებით შერყენილი თუ შეურაცხყოფილი. „თეთრი ღორბილისა და ყვითელი სილის“ გარდა ასეთი ასოციაციებისკენ შემდეგი პუკარებიც გვიბიძგებენ:

გადაგებვია მცხეთის კარებთან,
 ბერი არმაზის ციხე-ტინებთან, —
 ამღვრეულ სხეულს გაიანკარებდა,
 გავარაგებულ გულს გიგრილებდა...
 ... შემოვიღოკავს ორივე ნაიბი,
 ბორგავს სტომაქი — მღვრიე მორევი;
 ვეებერთელა გველეშაპივით
 ტანს ვერ იკავებ და იზმორებდი...

ჭემშარტი პოეზია ძირითადად შრავალასოციაციურია, გაუგებარი და ბუნდოვანი კი არა, შრავალასოციაციური, ე. ო. ერთდროულად რამდენიმე აზრის გამოშხატვითი. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ კატეგორიულად გამოვრიცხავთ ყოველგვარ ბუნდოვანებას დიდი პოეზიის სფეროდან. მსოფლიო პოეზია საქმას რაოდენობით გვთავაზობს ბუნდოვან, სემანტიკურად შეუღწეველ ლექსებს, სტროფებსა თუ ცალკეულ პუკარებს, რომელთაც თავისთავადი, მაღალი მხატვრული, მუსიკალური თუ ესთეტიკური ღირსებები გააჩნიათ. მაგრამ აქ, ამ ლექსის შემთხვევაში, პოეტმა რომ „არაგვისათვის“ დაარბია, საქმე აშკარად გამჭვირვალე, მრავალასოციაციურ ხელოვნებასთან გვაქვს და ამიტომაც თავს ნებას ვძლევდ ლექსის მხატვრული იდეის ისეთი ინტერპრეტაციაც შემოგთავაზოთ,

პოეტის შემოქმედების გლობალური კონტექსტიდან რომ არის გააზრებული.

თუკი სათანადოდ ჩავვედებით დედაქალაქის იმ უცნაურად სათუთ, თბილსა და უშუალო ჩანახატებს, იორამ ქემერტელიძის პოეტურ სამყაროში, რომ ვხვდებით, თუკი მივიღებთ მხედველობაში შემოქმედის არტიკულ მიხაზობას თბილისთან და თბილისელებთან, უფლებბა არ გვექნება არ შევიწწოთ, თუ რამოდენი სიყვარულია მის კატეგორიულ ტონში, პროფესიული მოვალეობა ნებას არ მოგვცემს უგულბებლევით ირონია, იუმორი ნტკვრისადმი მიმართულ სიმპაცირეში. „იივანი მიყვარს, დგომა მიყვარს აივანზე, თრიალეთის ჭიდა მთები ლურჯად აივანძენეს“, ანბობს პოეტი ლექსში „აივანი ვერის ხეობასთან“. განსაკუთრებულ ტიკვილით შემოლის მის გულში თბილისის გარეყრავი:

ყველაზე ადრე იღვიძებენ ჩიტები
 დილით...

გათენება,
 აივანზე ვდგავარ და ვუცქერ —
 შეიძღვრა ბინდი
 რუხმა ფერმა გადაპკრა თბილისს,
 და რუხი ფერიც აიპრა უცებ...

ლექსში „აივანი ადამიას გახსენება ღამის ორ საათზე, ხილზე“ მტკვარი ლურჯად ლივლივებს. საზარელია პოეტისათვის იმ აპოკალიპსური უბედურების წარმოდგენა, ღმერთი რომ გაწყრეს „და ჩავარდეს ხიდი მდინარეში“... ვამთენიისს კი, აივანიდან დანახული გაჭარბული მეწოვე რადაც ღვთაებრივი სინარულით ავუნებს მის სულს. როგორც დაჭირილი იცლება სისწილისგან, ისე დაცილებოდა იორამ ქემერტელიძის პოეზია აზრისა და გრძობებისაგან, ახე მტკივნეულად რომ არ უყვარდეს მას თბილისი და თბილისელები.

იორამ ქემერტელიძის სრულიად საქართველო უყვარს, უყვარს ადამიანი, კაცობრიობა; ბუნება, პროგრესი, ამიტომაც გვეჭრა ჩვენ, რომ, საბოლოო ჯამში, „არაგვისათვის“ უძღვი შევილის ცივილიზაციისგან განდგომასა და ბუნებასთან დაბრუნებას კი არ ქალაგებს, შეფარული იუმორითა და ირონიით გაძლიერებული, სიმბოლო, მოწოდება, ნისწრაფებაა მარშონისაკენ: დაბადებას სიკვდილი უბირისბირდება, დაისს აიბი, რაციონალურს ირაციონალური, იდილია, ბუნებას დიდი ქალაქის მშფოთვარე, სმართიანი სიციცხლე და მძლავრ გულისცემა; დაე, იბობპროს ვნებაში, კაცობოყვარებაში და ღვარძლმა, უნდობლობაში და ერთგულებამ, შიშმა და იმედმა, — სამყარო მინც ვადარჩება, ვინაიდან ჩვენში, ადამიანებში, ადამიანთა აზრებას და ნამოქმედარში სიკეთე მინც გაცილებით მეტია ვიდრე ბოროტება.

გიორგი ახვლედიანი — ლიტერატორი

I

გამოსათხოვარ სიტუა-წერილში — „ქართული ლინგვისტიკის საიამაე — გიორგი ახვლედიანი“ 1978 წლის 9 ივლისს ჩვენ მოკრძალებულად აღვნიშნეთ: „გრაზმობის მოვლენების ღრმად მცოდნე და დაუღალავი მკვლევარი, გიორგი ახვლედიანი ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხებსაც ორიგინალურად იკვლევდა. გამოჩენილ ქართველ მწერალთა გარდა, ის ენებოდა ბოკაჩოს, თავორის, ევროპული და რუსული ლიტერატურის პრობლემებს. შეადგინა „რუსული ლიტერატურის“ სახელმძღვანელო და „რუსული ენის გრაზმობა“ ქართული სკოლებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა“ *.

სულ ეს იყო, რაც მაშინ მოვახერხებ გვეთქვა ჩვენი საყვარელი მასწავლებლის ლიტერატურული ინტერესების შესახებ. მოველოდით, რომ შემოთქმულ სიტყვებს მოჰყვებოდა ვიორგი ახვლედიანის მოწვევა რაიმე ფორმით გამოხმაურება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, სავსებით გასაგები მიზეზის გამო. ცხადია, ის არ იყო ლიტერატურის მკვლევარი ჩვეულებრივი გაგებით. სპეციალურად არ უმუშავებია მისი არც ისტორიის, არც თეორიის დარგში. მაგრამ შეუძლებელია მას, როგორც დიდ ენათმეცნიერს, თავისი ცხოველი ინტერესები არ ჰქონდა ლიტერატურის მიმართ, რომელიც ლინგვისტიკისაგან ოდითვე განუყრელია. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ გიორგი ახვლედიანი, მრავალი ენის მცოდნე, ფართო განათლების, ღრმა ერუდიციის მქონე, ენციკლოპედიურობითაც გამოირჩეოდა, ხოლო ასეთი მკვლევარი ვერ შეძლებდა ლიტერატურისადმი გულგრილი დარჩენილიყო. დღემდე ამ საკითხს, როგორც ვთქვით, არავინ მიაქცია სპეციალური ყურადღება, გარდა მისი წმინდა ენათმეცნიერული, ფონეტიკური, ზოგადკულტურული თვალსაზრისით დანახათებისა, რაც აუცილებელია, მაგრამ საქარისი არ არის. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საქარია ყველა მეცნიერი შეფასდეს სრული მონაცემებით, როგორც მოღვაწე და პიროვნება.

თვით გიორგი ახვლედიანი განასახიერებდა იმ მკვლევარს, რომელსაც კარგად ესმოდა შემდეგი ჭეშმარიტება: ჩვენს დროში, როცა თანდათან ძლიერდება მეცნიერებათა დიფერენცია — ინტეგრაციის პროცესი, შეუძლებელია არსებობდეს „მონროს დოქტრინა“, როგორც ეს გამოთქმა მოსწრებულად გამოიყენა ერთმა საბჭოთა მეცნიერმა. გიორგი ახვლედიანი ენებოდა მრავალ დარგს, წერდა სხვადასხვა პრობლემაზე, ჰქონდა კონკრეტულთან ერთად ზოგადი ინტერესები. მისთვის ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა მეცნიერებათა ურთიერთშეკრა ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ყოველი მეცნიერი, ენციკლოპედიურობის მიუხედავად, ერთ-ერთ დარგში ყველაზე ძლიერი უნდა იყოს. თუ ასე არ არის, მეცნიერებათა არავითარ ურთიერთშეკრაზე მის შემოქმედებაში ლაპარაკიც არ შეიძლება. გიორგი ახვლედიანი კი იმდენად დიდი ფიგურაა ჩვენს ეროვნულ მეცნიერებაში, რომ არცერთი მისი ნაშრომი გვერდავლილი არ უნდა დარჩეს, თითოეულ შესაფერი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ამ სფეროშია მოთავსებული საკუთრივ ლიტერატურული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ჭრჭერობით არც შეკრებილია და არც სისტემაშია მოყვანილი. ჩვენი მიზანია არა ამ საკმაოდ შრომატევადი საქმის გაკეთება, არამედ ზოგიერთი სავარაუდო მოსაზრების წარმოდგენა და ერთგვარი პრობლემეტიკული მისიის შესრულება.

ვერ დავმაღავთ, ჩვენთვის არაერთი პრობლემა ძნელად გადასაწყვეტი შეიქნა, როცა ამ თემზე უშუალოდ შევუდექით. ლაპარაკია არა თეორიის შესახებ, არამედ საქმის წმინდა პრაქტიკულ მხარეზე, საკითხი უშუალოდ ენება ლიტერატურული შრომების ძიებასა და პოვნას. მაგალითად, გიორგი ახვლედიანის ზოგიერთი ლიტერატურული ნარკვევი ჩვენთვის ჭრ კიდევ ხელმოუწყვლად იყო, ვინაიდან ისინი გამოქვეყნებულია უცხოეთში, ქართულ ან რუსული ტექსტი კი არსად ჩანს, ამ მდგომარეობაშია, კერძოდ, 1947 წელს ინგლისურ-ინდურ ჟურნალში დაბეჭდილი ესე — „ისტორიული და ლიტერატურული ცნობები, თუ რომელი იცნობდა საქართველო ინდოეთს“. ნაშრომი ერთი ფორმის მოცულობისა, და სხვა

* გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები. თბ., 1981 წ., ტ. VI, გვ. 440.



ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წმინდა ისტორიული ხანიათის მახალბეობა უძველესად ძალიან საინტერესო იქნება. გიორგი ახვლედიანი, რომელიც ჰინდის ენას ფლობდა და თბილისში ჩამოსულ პრემიერ-მინისტრს ჭავჭავაძეს ნერუს თავის მშობლიურ ჰინდის ენაზე მიესალმა, ინდოეთში იყო საბჭოთა დელეგაციასთან ერთად. უთუოდ ამან გამოიწვია როგორც შემოხსენებული წერილი, ისე მეორე ნარკვევი სათაური — „ისტორიული მარშრუტი „საქართველო-ინდოეთი (რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნის მიხედვით „მოგზაურობა ინდოეთში“)“. ეს ნაშრომი მოცულობით ნახევარი თბახია, გამოქვეყნებულია ინდურ პრესაში 1948 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ჩანს რა ენაზეა დამბეჭდილი ან რომელ ორგანოში. იმედი მაქვს გიორგი ახვლედიანის რომელიმე მოწაფე ამ საკითხებით დაინტერესდება და საშუალებას მოგვცემს უშუალოდ გავცნოთ ჩვენს სახელგანი მეცნიერის დღემდე უცნობ ამ ორ ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომსაც. მას შეეძლება საკვლეფიციო მონოგრაფიაც დაწეროს თემაზე — „გიორგი ახვლედიანი — ლიტერატორი“ ან „გიორგი ახვლედიანის [სალიტერატურო კვლევა-ძიება-ნი“. მასალა, როგორც იტყვიან, საქმარისზე მეთი იქნება.

II

მცირე მოცულობის ჩვენს ნარკვევში არ შეგვიძლია გამოვიყენოთ კვლევა-ძიების ქრონოლოგიური პრინციპი. სისტემატიურობას სხვანაირად დავიცავთ — თვით პრობლემების ანალიზით. მიგვაჩნია, რომ გიორგი ახვლედიანის გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაშრომთაგან ცალკე განხილვას იმსახურებს ლექცია-ნარკვევი — „რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა“, რომელიც 1949 წელს ცალკე ბროშურად გამოიცა და რომელშიც გიორგი ახვლედიანმა აბრეშოთ უაღრესად სწორი, მართებული, ფრიალ მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა. ნაშრომის შესავალშივე მან აღნიშნა, თუ რა ძირითადი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როცა ხელს ჰკიდებდა ზემოხსენებულ თემას. მიაჩნდა, რომ „რუსული ლიტერატურა სრულიად განსაკუთრებული წვლილია, რომელიც დიდმა რუსმა ხალხმა შეიტანა უდიდეს კულტურულ საუნჯეთა მსოფლიო საგანძურში. ეს ლიტერატურა საოცრად მოკლე ხანში შეიქმნა რუსი ხალხის გენიის მიერ“*. მისი განვითარების მთავარი ფაქტების

ანალიზით გიორგი ახვლედიანმა ერთხელ დევ ცხადყო, რომ დღესაც რუსული მხატვრობა სანიმუშოა, ამჟამადაც უკავია ეს დიდი ადგილი მსოფლიო კულტურაში „თავისი მაღალი მხატვრულიზობა და იდეულობით“.

ძირითად საკითხთან შედარებით მინიატურულ ნაშრომში გიორგი ახვლედიანმა სცადა ფართო თვლით შეეხებოდა პრობლემისათვის, უმართებულოდ მიენიან შეხედულება, რომელიც არაერთ „ჩვენს საამაყო მწერალს“, რუსთაველი იქნება თუ პუშკინი, ლერმონტოვი თუ რომელიმე სხვა, აცხადებდა აღმოსავლეთის ან დასავლეთის ლიტერატურისაგან დავალბუღა; პარალელურად წამოაყენა მოთხოვნა გაძლიერებულიყო კვლევა-ძიება საწინააღმდეგო მიმართულებით; „გაიზარა დებულება, რომ „ლერმონტოვის შემოქმედების წყარო იყო არა ბაირონი და ბაირონიზმი, არამედ ისინამდვილე, რომელიც ლერმონტოვი ცხოვრობდა“ (გვ. 82). ეს დებულება თითქმის უცვლელად უნდა მიუყენოთ რუსეთის ყველა დიდ მწერალს, ლომონოსოვი დაწყებული და მაიაკოვსკით დამთავრებული. ავტორი სწორად მოიქცა, როცა სპეციალურად განიხილა რუსული ლიტერატურის კონკრეტული ფაქტების ასპექტში რუსული ენა — მდიდარი და ხატოვანი, რომელიც ასე მიმწოდებელია დიდი რუსი მწერლების შემოქმედებაში.

ეს პატარა ნაშრომი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელ გამოკვლევად ღირს, იმდენია მასში საგულისხმოდ ნათქვამი და ლიტერატურული ასპექტებით სწორად, ღრმად გააზრებული. თითოეულ მწერალს მიცემული აქვს მოკლე, მაგრამ მისი შემოქმედების ზუსტად გამომხატველი შეფასება. ყოველი დებულება დატენილია აზრით, რომელიც ქემართებას შეუძლიაოლად წარმოგიადგინს და არ არის წიგნის არცერთი გვერდი, სადაც ავტორის ფართო ლიტერატურული დიაპაზონი არ ჩანდეს. ამიტომ როცა ავტორი გვეუბნება — „დარწმუნებით შეიძლება ითქვასო“, ჩვენ უკვე ვგვერა, რომ ეს „დარწმუნება“ ყოველმხრივ სანდოა, როგორც იქ, სადაც გიორგი ახვლედიანი ამბობს: „...XIX საუკუნისა და მეტადრე მისი მეორე ნახევრის მანძილზე არც ერთ სხვა ლიტერატურის მსოფლიოში არ მოუხდენია ისეთი ძლიერი გავლენა დანარჩენებზე, როგორც მოახდინა რუსულმა მხატვრულმა ლიტერატურამ“ (გვ. 4). ამას გვეუბნება ავტორი „დარწმუნებით“ და მთელი მისი ნაშრომი წამოყენებული დებულების მშვენიერი ილუსტრაციაა.

სწორედ ამ ილუსტრაციისათვის დასპირდა მას ის ფაქტებიც მოეწველიებინა, თუ რა სისწრაფით და რაოდენობით თარგმნიდნენ ევროპელები დიდ რუს კლასიკებს. მარტო პუშკინისა და ლევ ტოლსტოის მაგალითების დასახელებაა საქმარისი. „პუშკინი მთლიანადაა შესული მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში

* გიორგი ახვლედიანი, რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა, თბ., 1949 წ., გვ. 3. ქვემოთ ყველა გვერდი ამ გამოცემიდან თვით ტექსტში იქნება მიითებული.



— წერს გიორგი ახვლედიანი. — ოქტომბრის რევოლუციამდე პუშკინი ითარგმნა 55 დასავლურსა და აღმოსავლურ ენაზე“. მისი „ეპიგრამები“ ითარგმნა გერმანულად ექვსჯერ, ფრანგულად ხუთჯერ, იტალიურად სამჯერ, ჩეხურად სამჯერ და ა. შ.; „ბორის გოლდოვი“: გერმანულად ცხრაჯერ, ფრანგულად ათჯერ, იტალიურად ოთხჯერ და ა. შ., „პიკის ქალი“: გერმანულად თორმეტჯერ, ფრანგულად ოთხჯერ, ინგლისურად ექვსჯერ, ჩეხურად ოთხჯერ და ა. შ.; „კაპიტნის ქალიშვილი“: გერმანულად თორმეტჯერ, ფრანგულად შვიდეჯერ, ინგლისურად შვიდეჯერ, ჩეხურად რვაჯერ, იტალიურად ოთხჯერ. საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი გამოცემა ფრანგულად (1958 წლიდან) ოცდაექვსჯერ, გერმანულად თოხმეტჯერ; „ბორის გოლდოვი“ გამოცემა ფრანგულად ჩვიდმეტჯერ და ა. შ.“ (გვ. 15) ნაშრომში თვით პუშკინი დახასიათებულია, როგორც გენოსის პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (დეკარისტების მეგობარი), რომელმაც შეძლო გენიალურად ჩასწვდომოდა „ყოველი ქვეყნისა და ხალხის სულს, ყოველი ეპოქის არსს“. კარგად არის აღნიშნული, რომ „პუშკინში გასაოცრად იყო შეზავებული ეროვნულ-პროგრესული საწყისები და მსოფლიო კულტურის ელემენტები. მართალია, ფრანგი კრიტიკოსი ემილ ღამე, როცა ამბობს: „პუშკინი რუსეთისაა, მაგრამ ეკუთვნის საფრანგეთსაც და მთელ მსოფლიოსაც“ (გვ. 18), საინტერესოა შემდეგი ფაქტის მოტანაც: „როცა დასავლეთის 1828 წელს „კავკასიის ტყვე“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „ეპიგრამი ონგინის“ პირველი თავი და პუშკინის ზოგი სხვა ნაწარმოები გამოცემა, მთელი დასავლეთის კრიტიკა აღაპარადა მასზე, როგორც ამოწვეულ მსოფლიო მნათობზე. ფრანგი კრიტიკოსი პროფ. ეფენ დე გერლ წერდა 1828 წელს: „როცა დასავლეთურლებით, რომ ამდენი შესანიშნავი ქმნილების შემოქმედი მხოლოდ 27 წლისაა, რამდენი იმედი უნდა ჰქვებადებოდეს!“... დასავლეთის კრიტიკა განცვიფრებაში მოჰყავდა პუშკინს იმით, რომ მის შემოქმედებაში ახლებურად შეუქმდებოდა და აღმავდებოდა სხვა დიდ მწერალთა მიერ თითქმის უკვე ამოწურული სიუჟეტები (სხვათა შორის, პოეტის ეს თავისებურება გოეთეს გენოსობის უტყუარ ნიშნად მიაჩნდა); ამას ამბობდნენ, მაგალითად, „ქვის სტუმარი“; რომლის სიუჟეტი (დონ-უიანი) თითქმის უკვე ამოწურული უნდა ყოფილიყო მოლიერის, მოცარტის, ბაირონისა და სხვების მიერ. „პუშკინმა გენიალურად დაამტკიცა, — ამბობს ბიუშნერი, — რომ ასეთი სიუჟეტები შეიძლება ახლებურად გაშუქდეს“ (გვ. 14).

ამ ძირითადი მონაცემების ანალიზის შემდეგ გიორგი ახვლედიანი აკეთებს დასკვნას, რომ

მსოფლიო ლიტერატურაში პუშკინი შევიდა როგორც „მისი ჭაწურელი ეტაპი, როგორც მისი მდიდარი შენამატი და მისი განუწერელი თვალსაჩინო ელემენტი. პუშკინმა სამუდამოდ წარუბოცელი კვალი დატოვა მსოფლიო ლიტერატურაში; ამიტომ იგი საერთო-საკაცობრიო კულტურის ერთი დიდი შემოქმედთაგანია“ (გვ. 16).

პუშკინს რაღაც საოცარი მხატვრული ძალა და მიმწოდველობა ჰქონდა. სანიშნულო იყო აგრეთვე მისი ენა, რომელიც გიორგი ახვლედიანმა სპეციალურად შეისწავლა და ამ თემაზე ჯერ კიდევ 1987 წელს ცალკე ნაშრომში გამოაქვეყნა. როცა დღეს, ნახევარი საუკუნის შემდეგ ვკითხულობთ მას, ვგრძნობთ, თუ რა ღრმად ესმოდა ჭიორგი ახვლედიანს პუშკინის ლიტერატურული მიმკვიდრება საქართოდ. მისთვის პუშკინი იყო როგორც მე-19 საუკუნის, ისე თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელი. ეს ენა წარმოადგენდა არა მარტო სალიტერატუროს, არამედ „ნამდვილად ეროვნულ რუსულ ენას“, პუშკინმა „მისცა რუსულ სალიტერატურო ენას ის გამართობა და უჩვენა ის წყარო, რომელთა მეშვეობით რუსული სალიტერატურო ენა გადიდრდა, მოიქნა და გამშვენიერდა მანამდის მიუღწეველი ზომით; გამართობადა იგულისხმება უცხოური (ძველი სლავურისა და ევროპულ ენათა) ელემენტების ზომიერად შემოტანის გამართლება, ხოლო წყაროდ — მღაბიურ-ხალხურ ენათან აგრეთვე ზომიერი დაახლოება რუსული სალიტერატურო ენისა.“* მთელი ნაშრომი მკითხველს აძლევს მეცნიერულად გამართულ, სრულ წარმოდგენას ყოველივე იმის შესახებ, რას პუშკინის გენიამ რუსული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის გააეთა ლომონოსოვის, დერჟავინის, ბატიუშკოვის, შუკოვსკის, კარამზინის შემდეგ.

და არის რაღაც სიმპტომატური, როცა პუშკინის მსოფლიო დიდების შარავანდედი თავისებური ნიუანსებით ედგმება გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გოგოლის. უკვდავი კომედიის — „ვაი ჰეუსიგანს“ უღროდ დაღუპულმა ავტორმა, როგორც ბელინსკი ამბობს, უდიდესი საქმე გააკეთა. მისი გენიალური ნაწარმოები იყო „ენერგოული (და ამასთან ჯერ კიდევ პირველი) პროტესტი რუსეთის საზოგადოების სინამდვილის წინააღმდეგ“. ეს პროტესტი განვითარდა ჭოგოლის შემოქმედებაში, მაგრამ არანაკლები ძალით ლერმონტოვმა ასახა თავისი პოეტური და ბელეტრისტული შედეგებით. „მან პროტესტი და წყევლა-კრულვა წარმოთქვა „თავისუფლების გენიისა და დიდების“ ჯა-

* გიორგი ახვლედიანი, „პუშკინის ენა“, თურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, თბ., 1937 წ., № 1-2, გვ. 44.



ლათების მიმართ. არავის არ უშეილებია მანამდე ეს ჭალათები ისეთი გამანადგურებელი სიძლიერით, როგორც ლერმონტოვს თავის ლექსში „პოეტის სიკვდილი“ (გვ. 17) მაგრამ ამ უკვლავ ოსტატთა გვერდით აღმართულია კოლოსალური ფიგურა ბესარიონ ბელინსკისა, რომელმაც „პირველმა გაიფო და მაღალი შეფასება მისცა გენიალური რუსი მწერლების პუშკინის, ლერმონტოვისა და ჭოგოლის შემოქმედებას“. ეს ბელინსკი იყო, საოცრად რომ უწინასწარმეტყველა თავის ერს დიდებული მომავალი: „მეტავე ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომელთაც უწერიათ იხილონ რუსეთი 1940 წელს, როდესაც იგი განათლებული მსოფლიოს სათავეში იდგომება, მეცნიერებისა და ხელოვნების კანონმდებელი იქნება და როცა მთელი განათლებული კაცობრიობისაგან იგი მიიღებს პატივისცემის მოკრძალებულ ხარკს“ (გვ. 19). ბელინსკიმ პუშკინის შემდეგ აღწარდა რუსი მწერლების თაობები, მათ შორის ისეთი სახელგანთქმულნი, როგორც არიან ტურჟენევი და ნეკრასოვი, ხოლო კრიტიკაში ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი, განა სალტიკოვ-შჩედრინიც ბელინსკით შთაგონებული არ არის?!

არა, ბელინსკის არ აღუწრდია, მაგრამ რუსეთის დიდმა სინამდვილემ დაბადა დიდი ტოლსტოის გენია, რომლის შედეგებმა — „ანა კარენინა“, „ადგომა“, „ომი და მშვიდობა“, ყველა სხვას თავი რომ დაეანებოთ, მთელი ევროპა შესძრეს. მერე-და რა კოლოსალური მხატვრული ძალით, ხალხის ფსიქოლოგიის რა ღრმა ცოდნით! ტოლსტოი გრაფი იყო, მაგრამ „ამ გრაფამდე, — როგორც ლენინმა უთხრა გორკის — ნამდვილი გლეხი ლიტერატურაში არ ყოფილა“. მისი შემოქმედება რუსულად რომ შეაფასო, მონოგრაფიების სერია იქნება საჭირო. ამიტომ სთქვა გიორგი ახვლედიანმა: „ყოველად გაუმართლებელი გაბედულება იქნებოდა შევცდარიყვით ამ მოკლედ მოხსენებაში მეტ-ნაკლები სისრულით დაგვეხასიათებინა ტოლსტოი-მხატვარი — საამისოდ იგი მეტისმეტად დიდიაო“ (გვ. 24). მკვლევარი დაკმაყოფილდა მარტოოდენ „ომისა და მშვიდობის“, როგორც „რუსი ხალხის გმირობის ამ გენიალური მატრიანის“ მოკლედ ანალიზით. მოიშველია უცხოელების აზრიც, რომ „მთელ მსოფლიო ლიტერატურაში „ომისა და მშვიდობის“ ბადალი რომანი არ მოიპოვება“, ხოლო ფლობებმა წამოიძახა: „ეს ხომ შექსირია, ეს თვით შექსირიაო“. რა აზრის იყო თვით ტოლსტოი? „თავის ქებად არ ჩამომერთვას და ეს ილიადასავითაა“, — უთხრა გორკის მუდამ თავმდაბალმა და თავის ნაწერებისადმი სასტიკად მომთხოვნელმა ტოლსტოიმ“ (გვ. 24).

როცა „ომისა და მშვიდობას“ კითხულობ,

ერთბაშად გრძნობ, თუ რა დიდ ოცენებს გაქვს საქმე არამართო ცხოვრების, თანამედროვე ტვრულობის მხრივ. ამიტომ გიორგი ახვლედიანი მართალია, როცა ამბობს: „ტოლსტოიზე ადრე სხვას არავის დაუხატავს ომი ასეთი სიპართით, ტოლსტოიმ პირველმა გამოხსახა არა მისი გაზვიადებული საჭირო გაორგნობა, არამედ მისი რეალური ყოველდღიურობა. მან პირველმა გამოაჩინა უსახელო უბრალო რუსი მეომრის ხალხის ადამიანური გმირობა. აი, მაგალითად, ერთი მომენტი მოსკოვის დაწვის ტრაგედიაზე: მიტოვებულ კემლოში შემოსულ მტერი გამანადგურებელი სრულით შეხედუნე უსახელო გმირები. „ვიც იყო ეს ხალხი, არავინ იცოდა“ — ამბობს ტოლსტოი. ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო ლიტერატურაში გმირობის უფრო ამაღლებებელი სურათი, რომელიც დახატული იყოს ამაზე სადა ხერხით, ერთი მოკლე წინადადებით („ვიც იყო ეს ხალხი, არავინ იცოდა“).

განა ეს ხალხთა ფსიქოლოგიის ღრმად ცოდნისა და მისი გენიალური ოსტატობით გამოხატვის დამადასტურებელი არ არის?

საგულწინაა შემდეგი ფაქტიც: თუ „რამდენად განსაკვიფრებელია ტოლსტოის მთელი შემოქმედება და, კერძოდ, „ომი და მშვიდობა“, იქიდანაც კი ჩანს, რომ ამ რომანში დახასიათებულია, ფსიქოლოგიურად გაანალიზებული და გაშლილია ნაწილად მთელი პირი. ეს რაღაც უმაგალითო ამბავია ყველა დროისა და ყველა ხალხის ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. მართალია გორკი როცა ამბობს, რომ „ტოლსტოი მთელი მსოფლიოა... მართლ ერთი წლის განმავლობაში (1899-1900) „ადგომა“ 8-ჯერ ითარგმნა ფრანგულად და იმავე წელს 8-ჯერ გამოიცა; გერმანულად იგი 2-ჯერა თარგმნილი; ინგლისურად 2-ჯერ ითარგმნა და 6-ჯერ გამოიცა, „ბავშვობა და ყრმობა“ აგრეთვე ერთი წლის განმავლობაში (1886-1887) 8-ჯერ ითარგმნა და 5-ჯერ გამოიცა საფრანგეთში, ხოლო 8-ჯერ ინგლისში. „ომი და მშვიდობა“ 2-ჯერაა ნათარგმნი გერმანულად და 8-ჯერ გამოიცა ერთი წლის განმავლობაში; ფრანგულად იგი 4-ჯერ გამოიცა, ინგლისურად — 7-ჯერ და ა. შ.“ (გვ. 26-27). მართლაც, „ტოლსტოი წინადადებული ნაბიჯი მთელი მსოფლიოს მხატვრულ განვითარებაში“, როგორც ლენინი ამბობს.

ტოლსტოის გარდა, მსოფლიო ლიტერატურაზე წარუშლელი კვალი დატოვა ნოველა — მოთხრობებითა და დრამატული თხზულებებით ანტონ ჩეხოვმა, რომელმაც „თავის შემოქმედებაში საკვირველი სიზუსტით ასახა მე-18-19 წლების რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნებული მაჩისცემა“. შესანიშნავად სთქვა ბერნარდ შოუმ: „ევროპის დიდ დრამატურგთა პლეადაში იხსენის თანამედროვეთა შორის ზე-

ხოვი ბრწყინავს, როგორც პირველი სიდიდის ვარკვლავი — თვით ტოლსტოისა და ტურგენივის გვერდით“ (გვ. 28).

საერთოდ, მცირე მოცულობის თავის ნაშრომში გიორგი ახვლედიანი ბევრი რამ გვითხრა საკუთარსმოდ. მოკლე, მაგრამ ნიშანდობლივად დახასიათა „ორი საუფლის მიჯნაზე მღვდომი“ გიგანტური ფიგურა შაქსპირ გორკისა, რომელიც არამარტო დიდი მწერალია, იგი „მთელი სოციალური სამყაროა“ (გვ. 28). ამ სამყაროს გარეშე გორკი ვერც წარმოიდგინებდა. როგორც გიორგი ახვლედიანი ამბობს, გორკი „მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატობით ხდიდა ნიღაბს ღოღარის ქვეყანაში (იგულისხმება „ქვირთელი ეშმაკის ქალაქი“, „მორალის ქურდები“ და ანალოგიური თხზულებანი — ბ. წ.) გამოფხვნილ წესრიგსა და პულტორაბის ბატონობას“ (გვ. 29). აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა დიდმა რუსმა მწერალმა მსოფლიო ლიტერატურაზე, რასაც ანასტურებენ ანრი ბარბიუსისა და შერვუდ ანდერსონის სიტყვები, თუმცა ანალოგიური აზრების ციტირება დაუსრულებლად შეიძლება.

გორკის შემდეგ ცალკე არის დახასიათებული მიაკოვსკი, აღნიშნულია მისი როლი ახალი პოეტის, კერძოდ, „პოეზიის ახალი, ეპიკური უნარების“ განვითარებაში. გიორგი ახვლედიანი-მა საამისო მდგალითავე დაასახელა პოემა „ლენინი“ და არ დაავიწყდა ეთქვა, რომ „საზღვარგარეთის მოწინავე მწერლების აზრით, მიაკოვსკიმ უდიდესი ჭარბატება მოახდინა მსოფლიო პოეზიაში, რადგან მან პირველმა მიუყენა იგი რევოლუციის რეალური მოთხოვნებებს“ (გვ. 81). მართლაც უდიდესი თუ მიაკოვსკის გავლენა დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ხუთივე ყონტინენტის პოეზიაზე, და რამდენიმე ქვეყნის პოეტის მოხსენიება (არაგონი, ბებერი, ვასილიევი) მხოლოდ ცალკეულ ილუსტრაციას წარმოადგენდა სხენებულ დებულებებისათვის. მასაღები კი, რომ იტყვიან, ამოუწურავია.

III.

როგორც ენათმეცნიერს, გიორგი ახვლედიანს კარგად ესმოდა, რომ მწერლობა ენის გარეშე წარმოუდგენელია და ყველა მწერალი თავისი ენობრივი სტიქით ვამოირჩევა. ამ სტიქიას მრავალი ნიუანსი ჰქვია თითოეული მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები თავისთავად მთელ სამყაროდ გვევლინება, რის გამოც ცალკე შესწავლას მოითხოვს. აღბათ ამ ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობდა გიორგი ახვლედიანი, როცა ჩვენს მიერ შემოთხენებული ცალკე ნაშრომები გამოაქვეყნა პუშკინის ენის შესახებ, 1948 წელს შეისწავლა დანიელ ჰონკაძის ენა და განსაზღვრა მისი ადგილი ოსური ენის განვითარების ისტორიაში, 1928

წელს კი გამოაქვეყნა სოციალური ნარკვევი იონანე იალღუზისძის შესახებ, რომელშიაც ახასიათა პოემა „იალღუზიანის“ ავტორი, როგორც მთარგმნელი.

რატომ დაინტერესდა გიორგი ახვლედიანი იალღუზისძის პიროვნებით? მანამდე ხომ ჭრიკიდე კორნელი კეკელიძემ თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში, რომელიც თომა ჩიქვანიამ 1925 წელს გამოსცა, საქმას სისრულით გააანალიზა „იალღუზიანი“, როგორც პოემა, და მისი ავტორის ბიოგრაფიული მონაცემები? ნუ დავავიწყებება, რომ „ოს-ჩრქვეთა მეფის იალღუზისის საგმირო საქმეთა“ ამსახველი, ქართულად დაწერილი ეს პოემა, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მაღალ შეფასებას არ იმსახურებს. მისი შინაარსის გადმოცემის შემდეგ (სულ ზუთი თავია, არსებობს მოსაზრებაც — „დაბეჭდილი იალღუზიანი მხოლოდ ერთი მეთავედ ნაწილია აწ დაკარგული დედნისა“*), კორნელი კეკელიძემ პირდაპირ აცხადებს, რომ „პოემა დაწერილია 16 მარცვლოვანი რუსთველური ლექსით; ენა მისი მეტად უხეშია, ლექსი მძიმე და უგემური. ავტორს უბრალო საზომიც კი ვერ დაუცავს ყველგან: სტრიქონში ზწირად ხან 17 მარცვალია, ხან 15; რითმის გულსათვის სიტყვები დამახინჯებულია, ერთი სიტყვით, ანეთ უხეში და უნიჟო მიმბაძველი „მეფხინსტაშანსინსა“ მეორე ძეგლად მოაღივება აღორძინების ხანაში“.**

მაგრამ ვინ არის ან რას წარმოადგენს თვით პოემის ავტორი?

იონანე იალღუზისძე აღზრდილი ყოფილა „...ერეკლესა და გიორგი მეფეების კარზე, ქართულს მწიგნობრულს ტრადიციებში, „ქართულისა ხალმრობა წერილითა და ღრამატიკოსობითა და ფილოსოფიითა“, მცოდნე რუსული ენისა და რუსის „ლუბერცი სერეტარი“, რომელიც იმდენად იყო განმსკვალული ოსური ეროვნული იდეითა და ტენდენციით, რომ მან 1820-1825 წლებში ოსებს შეუქმნა ანბანი და უთარგმნა ქართულიდან ოსურად ლოცვანი, სახარება, კურთხევანი და ლიტურდიის წესი. ამ იონანე იალღუზისძეს შეეძლო ანეთ პოემა დაეწერა, ვინაიდან ცნობილია, რომ ის ქართულად ორიგინალურ ლექსებას წერდა და სხვისი ლექსების გადაწერითაც ურთობოდა ხოლმე. როგორც დავიანხეთ, პოეტს მიწადა მქონია დასახული აეწერა: „ვის გვარ ვართ შთამომავალი, ვინ ვისგან იწვდის ყოფასა, ვის

* კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1925 წ., ტ. II, გვ. 200.

** იქვე.

გიორგი ჯიბლაძე

გიორგი ახვლედიანი — ლიტერატორი



გვართა გამოშავალი ვინ ვის გვართავან ძიხბედეს, ვინ ვისგან არს მოშავალი“, ესე იგი — სხვათა შორის მას განუწრახავს საკუთარი გენეალოგიის წარმოდგენაც და ამ მიზნით აღუწერია საგმროო საქმენი დიდებულის ოსთა მეფის ალღუზისა, უეკველია, იმ მიზნით, რომ ალღუზისაგან გამოყევანა თავისი გვარი ალღუზისაგან და თავისი თავი აღეარებია ალღუზის შთამომავლად.*

ქართველ მეცნიერთაგან, კორნელი კეკელიძის შემდეგ, გიორგი ახვლედიანი პირველი იყო, ვინც სპეციალურად შეისწავლა იოანე იაღლუზისძის ლიტერატურული მემკვიდრეობა. კონკრეტულად ჭანბიხლა მისი თარგმანები ქართულიდან ოსურზე, საკმაოდ დადებითი შეფასება მისცა ძველი მწერლის მთარგმნელობის საქმიანობას და ხელი შეუწყო ქართული ხუროთა ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავებას. ეს ნაშრომი გიორგი ახვლედიანისა ცალკე უნდა იქნას შესწავლილი როგორც ენათმეცნიერული, ისე საკუთრივ ლიტერატურული თვალსაზრისითაც, პირველად იგი გამოქვეყნდა 1928 წელს „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეთში“ (№ VI, გვ. 889-848), გერმანულ ენაზე სათაურით:

„Zum geschichte des Ossetischen, II, Iohannis Ialugisidse und seine in ossetischin sprache geschriebenen Werke“, ხოლო მეორედ 1928 წელს ოსურ ენაზე უფრნალ „ფიდიუაგ“-ის მეორე ნომერში (გვ. 97-99). ოსური ტექსტები უბრალოდ განსხვავებულ სახელწოდებას — „ივანი იაღლუზისძის ირგვლივ“ შეცვლილია, მაგრამ ორივე — გერმანულიც და ოსურიც ძირითადად იდენტურია, განხილულია პროფესორ ვ. მილერისა და სხვათა მოსაზრებანი იოანე იაღლუზისძის შესახებ, აგრეთვე ცნობები „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტებისა“, საერთოდ, თავმოყრილია დიდძალი ფაქტობრივი და ენობრივი (ქართულ-ოსური) მასალა.**

როგორც აქ, ამ ნაშრომში, ისე ყველგან გიორგი ახვლედიანის სამეცნიერო კვლევა-ძიების სფეროები ძალიან ფართოდ მოიცავენ პრობლემის არსებას და წყვეტენ მას სრულიად ახალი კუთხით, ორიგინალურად.

IV.

ერთ-ერთი ამგვარი ხასიათის გამოკვლევა, მაგალითად, 1941 წლის ნოემბერში დაწერილი და 1942 წელს თბილისის უნივერსიტეტის „შრომების“ XXII ტომში გამოქვეყნებული ბრწყინვალე ნარკვევი — „როგორ ეძებენ

დოიჩლანდის გერმანელი ფაშისტები თავიანთ „წინარესამშობლოს“. ავტორი განიხილავს მტრურ რწმინებს — „ინდო-გერმანული“, „არიული“, იძლევა საკითხის ისტორიას (ბოპში, კლასიკით, შლიახერი, ფრიდრიხ შლეგელი, სეპირი, დე-სოსიური, მეიე, შარადერი, ლოტცე, შერერი, ვუნდტი მარი) ცალკე ჩერდება აგრეთვე ლონდონ-შმიდტის, მუხის, კუნის, პიტეს შეხედულებებზე, მოჰყავს არაერთი სხვა მოსაზრება და ქვას — ქვაზე არ ტოვებს მირტის ყოვლად მიყრდნობილი მტაცობიდან, თითქოს „გერმანელები ათასწლიანი სხედან თავიანთ უძველეს მიწაზე როგორც ტაციტუსი ამბობს“*. დიდძალი ისტორიულ-ფილოლოგიური მასალების კონკრეტული ანალიზით გიორგი ახვლედიანმა ცხადებით ნათელი გახალა, რომ „ტაციტუსის ცნობები „გერმანელთა“ შერეულგვარობისა და სხვა მრავალი სიკეთის შესახებ ეყრდნობის რომელიღაც კელტურ ტომს და არა დღევანდელი მხეცი ფაშისტების წინაპრებს. ვარდა ამისა, სრულიად აშკარად ირკვევა, რომ ხედავს სახელწოდება გერმანელ ტომთა არ არსებობდა. შესაძლოა „გერმანია“ ერქვა აღდგომის, ხოლო გერმანელი — ამ ქვეყნის ადამიანს, კელტი იყო თუ სხვა ვინმე.** ანეთია დასკვნა.

მიუხედავად პუბლიცისტური მიზანდასახულობისა, გიორგი ახვლედიანის ეს ნაშრომი დრამად მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც გვხიბლავს მასალის სიმდიდრითა და მისი უზაღო, გონებაშავილური ანალიზით. ამგვარი დაკვირვებულები, ღრმა ანალიზით გამოირჩევა აგრეთვე მისი ლიტერატურული ესეები, კერძოდ, რენესანსის ისეთ დიდ წარმომადგენელზე, როგორც ჯოვანი ბოაჩიო იყო.

V.

ბოაჩიოზე სპეციალური ნაშრომის დაწერა შემთხვევითი არ არის. გიორგი ახვლედიანმა ერთ-ერთმა პირველმა წაიკითხა ქართულ უმილტის სკოლაში იტალიელმა ციკლი ევროპული ლიტერატურის შესახებ. დასავლური ენების შესანიშნავი მცოდნე, ის უზაღლოდ სარგებლობდა უცხოური წიგნებით ხსენებულ კურსის შედგენის დროს. რუსულ წყაროებთან ერთად (ა. ვენსლესკი) ბოაჩიოს ცხოვრება და შემოქმედება გიორგი ახვლედიანმა გააანალიზა ა. ოვეტის, მ. მონიერის, ა. ჯივლეგოვის და სხვა ნაშრომებზე დაყრდნობით, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით „დეკამერონის“ ორივე ნაწილის ღრმა ცოდნის შესახებ. ხსენებული გამოკვლევა დართული აქვს, წინასიტყვაობის სახით, თედო სასოკიას მიერ იტალიურად

* კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1925 წ., ტ. II, გვ. 204-205.

** თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, თბ., 1926 წ., ტ. VI, გვ. 339-346.

* გიორგი ახვლედიანი, „როგორ ეძებენ დოიჩლანდის გერმანელი ფაშისტები თავიანთ „წინარესამშობლოს“, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, თბ. 1942 წ., XXII, გვ. 10.

** იქვე, გვ. 11.



თარგმნილი „დეკამერონის“. პირველ ნაწილს, რომელიც სახელგამმა 1934 წელს გამოსცა. ნაშრომი ორი საბუდედი თაბახია და მეითხველს სრულ წარმოდგენას აძლევს როგორც ნაწარმოების, ისე მისი ავტორის შესახებ. იგი დაყოფილია სამ ნაწილად: I — ეპოქა, II — ცხოვრება, III — შემოქმედება. თითოეული მათგანი გამოირჩევა, საკითხის ფართო მიმოხილვის პარალელურად, დიდი მეცნიერული სისუსტითაც. ქართველმა მეითხველმა პირველად სწორედ ამ ნაშრომით შეისწავლა ჯოვანი ბოკაჩიოს ცხოვრება და შემოქმედება მშობლიურ ენაზე რეალური სახით, ვიდრე მანამდე შეეძლო ეს გაეკეთებინა. ჩვენ შორსა ვართ იმ აწრისაგან, რომ დეტალურად გავარჩიოთ გიორგი ახვლედიანის ეს შრომა, მაგრამ წოვიერთი მომენტის ხაზგასმა მინც საჭიროდ მიგვაჩნია.

ბოკაჩიოს მოღვაწეობის ეპოქა, რომელიც მოიცავს 1318-1375 წლებს, დახასიათებულია, როგორც მდელვარე ხანა იმდროინდელი იტალიის ისტორიაში. მიმდინარეობს ბრძოლა ახლადფუზადგმულ ბურჟუაზიასა და ძველ ფეოდალურ არისტოკრატიათ შორის, რომელიც მოიცავს როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, ისე ეკონომიკურ სფეროებს. ჯოტო დი ბონდონეს, დანტე ალიგიერის, პეტრარკას, ფილო ბოკაჩიოს სახელს უკავშირდება იტალიური რენესანსის დაწყება, როცა შუასაუკუნეების წყვილიდან გამოდის არამარტო ფერწერა და ლიტერატურა, არამარტო ხელოვნება და მეცნიერება საერთოდ, არამედ ცხოვრების თითქმის ყველა დარგი. ბოკაჩიოს მშობლიური ქალაქი ფლორენცია ამ მხრე ნამდვილად სამაგალითოა. ამიტომ წერს გიორგი ახვლედიანი: „ფლორენცია იყო ის ქალაქი-სახელმწიფო, რომლის საკმაოდ მომძღვარებულმა ბურჟუაზიამ ჯერ კიდევ ბოკაჩიოს დაბადებამდე (18 საუკუნის დამლევს) იტალიის (და მით უმეტეს დასავლეთი ევროპის) ქალაქი შორის პირველმა შეუტია ფლორენციის ფეოდალობას და მრავალ პრივილეგიებზე აღებინა მას ხელი და საგრძობლად შეუკვეცა უფლებები.“* მაგრამ ეს ცოტაა ითქვას, როცა გვსურს რენესანსული იტალიის დახასიათება. იმის დამატებაც აუცილებელია, რომ „საერთოდ დადასველთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ იყო ისეთი ხელსაყრელი პირობები საშუალო საუკუნეებში ვაჭრობისა და ქალაქური კულტურის განვითარებისათვის, როგორც იტალიაში, სადაც ფეოდალიზმის სისუსტისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ახლო ურთიერთობის გამო თვით საშუალო საუკუნეების მანძილზე და მის წიაღში განმტკიცდა ქალაქური წყობილება და წელში გაიმართა ქალაქის მთავარი ფიგურა —

მოქალაქე, ვაჭარი“ (გვ. IX.) სახეობით მართებულად არის აღწერილი ის გარემოებაც, რომელიც „უძველესი შეიქნა საერთოდ საციკლსიო-საკეტური და ფეოდალურ-არისტოკრატული კულტურა იმ პერიოდში ამომავალი კლასის — ბურჟუაზიის კულტურასთან ბრძოლაში“ (გვ. XI).

ყოველივე ეს ბუნებრივია, თავისებურად განსაზღვრავდა „საკმაოდ შეძლებული ფლორენციელი ვაჭრის“ უკანონო შვილის ჯოვანი ბოკაჩიოს ცხოვრებას და შემოქმედებას. შემთხვევითი არ იყო ვირგილიუსის, ოვიდიუსის, სართოდ, ანტიკური კლასის შემდეგ მისი გატაცება დანტე ალიგიერისა და პეტრარკას შემოქმედებით. ჩამოყალიბდა აზრვნების, კერძოდ, ხელოვნების თეორიის ახალი სისტემა, რომელმაც ანტიკურს მაღალი შეფასება მისცა და მისი განვითარებაც დაიწყო.* ყოველივე ამას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ჩინიო ჩენინის ტრატატში ფერწერის შესახებ. შემდეგ კი იტალიური რენესანსის ისეთი გიგანტების ნაწერებში, როგორც იუვენე ლეონ-ბატისტა ალბერტი, ბენვენუტო ჩელინი, ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი, ვაჭარი, კონდივი და მრავალი სხვა. ამიტომ შეუძლებელია ბოკაჩიო — ადრეული იტალიური რენესანსის წარმომადგენელი, არ განვიხილოთ მთელი თავისი შემოქმედებით, როცა გვსურს „დეკამერონისა“ და მისი ავტორის დახასიათება. გიორგი ახვლედიანი სწორედ ასე მოიქცა. გამოჩენილი მწერლისა და მეცნიერის ჰაბუკობის წლების ანალიზში თავისი ადგილი დაუთმო სატრფიალო გატაცებებსა (მარია-ფიამეტისად) და ადრინდელი თხზულებების მიმოხილვას. „დეკამერონამდე“, რომელიც 1350-1353 წლებშია დაწერილი, ბოკაჩიოს არაერთი ნაწარმოები (მათ შორის მეცნიერულიც) ჰქონდა შექმნილი: „შესანიშნავი ქალიები“, „შესანიშნავი ვაჟთა უბედურებანი“, „მთების ტყეები, მდინარეები“, „წარმართულ ღმერთთა გენეალოგია“ და მრავალი სხვა.

ვიდრე ბოკაჩიოს ყველაზე დიდ, ყველაზე სახელგანთქმულ „დეკამერონს“ შეეხებოდეს, გიორგი ახვლედიანმა სპეციალური დახასიათებანი მისცა იტალიელი მწერლის ევრთ წოდებული პირველი პერიოდის ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა დიდი რომანი „ფილოკოპო“ (დაუწერია თავისი სატრფოს — მეფე რომბრტის „უკანონო“ ქალის — მარია (ფიამეტის) თხოვნით, როგორც არაერთი სხვა თხზულება), პოემა „ფილოსტრატო“, პანტორალი „ამეტო“, პოემა „სასიყვარულო ხილვა“, აგრეთვე პოემა „თეზიდა“, მცირე მოკულო-

* ჯოვანი ბოკაჩიო, დეკამერონი, ნაწილი პირველი, თბ., 1934 წ., გვ. 9.

* დაწერილი იხ. გიორგი ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, თბ., 1961 წ., განყოფილება — „რენესანსის ესთეტიკური იდეალები“, გვ. 202-268.

ზის ლამაზი პოემა „ფიფოლელი ნიშები“, რომანი „ფიამეტა ანუ მადონა ფიამეტას ელევია“, რომლის უფრო დაწვრილებითი შინაარსიც ვააცნო თავის მოკთველს. გიორგი ახვლედიანმა მოკლედ შეფასება მისცა აგრეთვე ბოკაჩიოს ლირიკას (ისიც შენიშნა — პოეზიის ეს დარგი მის სტიქიას არ წარმოადგენდა), მეცნიერულ გამოკვლევებსაც — დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ კომენტარებსა* და პეტრარკას ბიოგრაფიას.

სავსებით მართალია გიორგი ახვლედიანი, როცა წერს: „მეორე პერიოდს ბოკაჩიოს ლიტერატურული შემოქმედებისას ჩვენ ვაკუთვნებთ მხოლოდ „დეკამერონს“... მხოლოდ ამითა იგი ცნობრივ და სახელგანთქმული, განსაკუთრებით — შეიხვედლა ფართო წრეებში (ამიტომაც, რომ დეკამერონი და ბოკაჩიო იმდენად სინონიმებად ვახდენენ, რომ ლიტერატურაში სუსტად განსწავლულნი ერთმანეთში ურევინ ავტორს და ნაწარმოებს)... ბოკაჩიომ გადაუხადა ხარკი საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ ტრადიციებს და იმავე დროს ნეაპოლის სახანის წრეებს — რაინდული რომანებით, მრავალგვარი ხილვებით, ალფაბრისებითა და მისტრიკებით, საერთოდ, თავისი შემოქმედების პირველი პერიოდის პროლექციით“ (გვ. XXX-XXXI). მართებულაა აგრეთვე მითითება, რომ თავისი შემოქმედების პირველ პერიოდშიც, „დეკამერონამდე“, ბოკაჩიო ძირითადად მაინც რეალისტად რჩება. მისი, როგორც მწერლის, დიდი დამახაზრება ის არის, რომ თავის შემოქმედებაში „ასახა თანამედროვე იტალიისა და კერძოდ ფლორენციის სინამდვილე მთავარ ხაზებში; საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ ნოველას და განამტკიცა იგი, სასაცილოდ აიღო ადამიანის სისულელე მისი გამოკვლევების მრავალგვარ ფორმებში; ადამიანს მიზნად დაუსახა აშქვეყნიური ცხოვრების მოწყობა სასიამოვნოდ და სასიხარულოდ; სასტიკად გააკრიტიკა და სასაცილოდ აიღო „ღვაწლი სულის ცნობებისათვის“ ეპოპეაშარავა რელიგიის მსახურთა გათახსირება, რითაც შეაყვია თვით რელიგიაც; ხელი შეუწყო პიროვნების განთავისუფლებას ეკლესიურ-ფეოდალური მონოპოლიზაციდან“ (გვ. XXXVII). არც ის არის დავიწყებული, მითითებულია, რომ — „ითქმის არცერთი ნოველის სიუჟეტი ბოკაჩიოს არ ეკუთვნის: ზოგი მათგანი ხალხურიდანაა აღებული, ზოგიც — ლიტერატურულად ცნობილი იყო ბოკაჩიოსათვის... მაგრამ ამით სრულიად არ მცირდება ბოკაჩიოს ორიგინალობა და მთი უფრო — მისი მხატვრულობა“. ცალკე გამოყოფილი დიდი მწერლის „ცდუნების“ ისტორია, როცა

მასთან 1888 წელს „მივიდა ვინმე კარტოქელი ბერი, ჯოჯიშო ჩიანი და თავისი უცნაურ გარდაცვლილი მანწავლებლის სახელით და დავალებით გააფრთხილა ბოკაჩიო იმ საშინელი სიკვდილისა და ჯოჯოხეთური ტანჯვის შესახებ, რომელიც მას (ბოკაჩიოს) მოეღის აშქვეყნიური ცოდვებისა (უკანონო ცოდვები, უკანონო შვილები, რომლებიც ჰყავდა ბოკაჩიოს და ადრე დაიღუპენ — გ. წ.) და — განსაკუთრებით — მისი „ურჯული“ თხზულებისათვის; უკეთუ არ მოინანიებს... ბოკაჩიო შეძრწუნდა: მზად იყო დაეწვა თავისი თხზულებები და მწერლობაზე ხელი აეღო“ (გვ. XVI). მაგრამ ამ განზრახვის შეხრულებიანგან ბოკაჩიო შეაჩერა მისმა დიდმა მეგობარმა პეტრარკამ, რომელმაც წონასწორობადაკარგული მწერალი „ანუგეშა, რომ ხშირად რელიგიას მატყუარობა ამოეფარება ხოლმეო; დაიკადე, — სწერდა მას პეტრარკა, — სანამ ის ბერი ჩემთანაც მოვა ჩემს მოსაქცევად, და მე შევატყუებ მას გარეგნობაზე — სიარულზე, ქცევაზე და ლაპარაკზე, შეიძლება თუ არა ვენდოთ მასო“ (გვ. XVI-XVII). და გიორგი ახვლედიანი იქვე შენიშნავს: „ფრად და მახასიათებელი ფაქტია ისტორიულ-კულტურულად: ახალი კულტურის ორი ბუმბერაზი საუკუნეთა გასაყარზე შეიპყრო შოშია ძველის დღატისათვის...“ მაგრამ ისიც „ცნობილია, რომ ბოკაჩიო ამის შემდეგაც იკავდა თავის „დეკამერონს“ — მისი ცხოვრების, შემოქმედების ყველაზე დიდ „შეცოდების“.

VI.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ბოკაჩიოსა და მისი „დეკამერონის“ პარალელურად შევხვთ გიორგი ახვლედიანს ისეთ შრომას დასავლეთ ევროპის ლიტერატურის შესახებ, როგორცაა მისი წერილი-რეცენზია „ტრისტან და იზოლდას“ ქართული თარგმანის გამო, როგორც კი გერონტი ქიქოძემ ფრანგულიდან თარგმნა ძველექლტური თავდასასავალი (ფრანკა მწერლის ყოფი ბედელი „წიგნი ტრისტანის და იზოლდასი“), გიორგი ახვლედიანმა 1928 წლის გაზეთ „კომუნისტის“ 14 ნომბრის ნომერში მოათავსა მისი პირველი განხილვა. ასევე მოკლებული ვართ შესაძლებლობას სპეციალურად დავახასიათოთ სილოვან ხუნდაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წერილი, რომელიც 1928 წელს გამოქვეყნდა უფრანკოში — „ჩვენი მეცნიერება“, № 7-8. ცნობილი პედაგოგი, პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი და ენაშემცნიერი სილოვან ხუნდაძე იყო გიორგი ახვლედიანის მანწავლებელი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის დროს. მისდამი პატივისცემა სახელოვანმა მოწაფემ ბოლომდე შეინარჩუნა და როცა მანწავლებელი გარდაიცვალა, ზემოხსენებული წერილი გამოაქვეყნა. სილოვან ხუნდაძემ მოასწრო 1927 წელს

* დანტეს შესახებ იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1974 წ. ტ. V, გვ. 211-218.



გამოცემა თავისი „ფუნდამენტური გამოკვლევის — „ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები“. გამოცემა მოხდა ახალგაზრდა პარტიული კაცის, მასწავლებელ გრიგოლ შანიძის ინიციატივით. ჩვენ ხელთა გვაქვს სილოვან ხუნდაძის სასწავლებელი წერხილი — „ქართული მწერლობის მოყვარულთა მიმართ“, რომელიც დაწერილია სილოვან პედაგოგის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1937 წლის 14 აგვისტოს, ქალაქ ქუთაისში.² იქ ვკითხულობთ: „მასწავლებლის გრიგოლ შანიძის დამხარებთ გამოცემა წიგნი, „ქართული მართლწერისა და სწორების“ ძირითადი საფუძვლები“, რომელმაც წარსულშიც დიდი შრომა მიმიძღვის და დღესაც დიდი შრომა გავსწიე და, 40 წლის ჩემი დაკვირვების მიხედვით, ძველი ნაშრომი შევასწორე და შევავსე.

თუცა გრიგოლ შანიძე გამოცემულია, მაგრამ ნივთიერ მხარეში მე, როგორც ავტორი, განსაკუთრებით ვარ დაინტერესებული, რადგან ჩემი მონორარი, წიგნის გაყიდვით შემოსულ თანხაზე დაამოკიდებული, და მე ვი, ამაშია მძიმე ავადმყოფი, ხაჩქაროდ შევირგება ნივთიერი საშვადლება, რათა ცოტა ხნით ქობულეთში ცხოვრება შევძლო, რაც ჩემთვის აუცილებელია.

გრიგოლ შანიძე ნივთიერათ ბელმოკლე ადამიანია — და ჩემი წიგნის გამოცემა ინიციატივისა და გახედვა, რომ, ავტორთან ერთად, მისი შინაარსი დღევანდელი მასწავლებელ ახალგაზრდობისა და საერთოდ — ქართული მწერლობის მოყვარულთათვის, ურთოდ სასარგებლოდ მიაჩნია, და თანაც დაინახა, რომ უფრო შეიძლებული გამოცემული არაფერ აღმოჩნდა. დიდი გაკვირვებით მან მხოლოდ წიგნის გამოცემა შეძლო, ხოლო მონორარის ავანსახათვის საშუალება არა უქონდა, და ვინაიდან, წიგნის გაყიდვით შემოსული ფულის განაწილებაში, გამოკრებილი მე, როგორც ავტორს, განსაკუთრებულ უპირატესობას მანიჭებს, ამიტომ ჩემს თავს უნებობ რივ მოვალეთა ვსთვლი — ჩემი სახელით მივამართო თხოვნით იმათ, ვისაც ჩემი წიგნის გარეგნულად საწამო და ჩემი სიცოცხლე და ქანობილია უმნიშვნელო სახანათ არ მაინათ, გამოცემულ გრიგოლ შანიძეს ჩემი წიგნის დაჩქარებით გაგრძელებაში ხელი შეუწყუნ, დაჩქარებით-მეთქი ვამბობ, ვინაიდან ამ ენათ მე თავის მოვლისათვის სხვა წყარო არ მომეპოვება.

სილოვან თომაშ ძე ხუნდაძე ქუთაისი, 1927 წლის 14 აგვისტოს.
ამ მიმართვის დაწერიდან რამდენიმე თვის

შემდეგ სილოვან ხუნდაძე გარდაიცვალა. უნდა აღვნიშნავ, რომელმაც სხვა ილეროინდელ მოწვევებთან ერთად მეც ვესწერა, აღწერილი მაქვს ეტაუდში — „გიორგი დედგარანი“.

თავის წერილში გიორგი ახვლედიანი მოკლედ ეხება სილოვან ხუნდაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ახასიათებს მას, როგორც პედაგოგს, მწერალს, ქართული ენის იმ დროისათვის ფრიალ ნაყოფიერ მკვლევარს. რა თქმა უნდა, ქართული ენის შესწავლა უკანასკნელი ექვსი ათეული წლის მანძილზე იმდენად უპირატესობა, რომ დღეს ბევრი რამ სულ სხვაგვარად არის გადაწყვეტილი, მაგრამ ისტორია ისტორია და უვლადფერს იქ თავისი ადგილი უკავია. აკაკი შანიძესთან გასაუბრებელი, როგორც შემიხვედრია შეტად დაძაბული წერილობითი კამათი, რაც 1919-1928 წლების მანძილზე გაძელდებოდა,³ ნათლად მოწმობს, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროს ქართული ენის შესწავლა და რა ისტორიული მიღწევები გვაქვს დღეს, როცა ქართველოლოგია, როგორც მეცნიერება, საყოველთაოდ აღიარებულია უცხოეთშიც. ერთგან სილოვან ხუნდაძე არც გიორგი ახვლედიანს ეთანხმება, მაგრამ ეს წმინდა მეცნიერული შენიშვნა და არავითარი სხვა საფუძველი არ გააჩნია.⁴

VII.

დასასრულ გვიანდა ერთ საკითხსაც შევხვდეთ, ეს არის ავესტა.

1944 წლის „ლიტერატურული ძიებანის“ II წიგნში, რომელიც აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავს მიძღვნიდა, გიორგი ახვლედიანმა გამოაქვეყნა „ავესტას“ მეცნიერ დახანს თარგმანი და კომენტარი (გვ. 1-4). მხოლოდამა მეცნიერმა თოქმის ორმოცი წელი იმუშავა „ავესტას“ თარგმანზე პირველი ნიმუშები გამოაქვეყნა 1924 წლის უუჩრანად „მეცნიერების“ ნეორე ნომერში.

² გიორგი ჭიბლაძე, კრიტიკული ეტაუდები. თბ., 1985 წ., ტ. VIII, გვ. 162-171.

³ სილოვან ხუნდაძე, „ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები“, ქუთა. გრიგოლ შანიძის გამოცემა, 1927 წ., გვ. 89-107.

⁴ იქვე, გვ. 113. სილოვან ხუნდაძე წერს: „პროფ. გ. ახვლედიანი თავის გამოკვლევაში („მკვეთრი ხშულნი ქართულში“, თფილ. უნივერსიტეტის მოამბე II, 1922-1923) ამბობს: „შუხარდტის მიერ ტბს-სთვის მიღებული „მტიკი“ (har) გულისხმობს ძმის „რბო“ (weich) თანხმობებდად, რაც მიუღებელია ყოველი თვალსაზრისით“-ო. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ეს „თვალსაზრისები“ განემატებოდა. ამის შემდეგ სილოვან ხუნდაძე ასაბუთებს თავის მოსაზრებას, დასძევს, რომ ის კვლავ რჩება უცვლელად თავის აღრინდელ პოზიციებზე.

² წერილის ასლი ვადმოძემა თვით გრიგოლ შანიძემ 1975 წლის 25 აპრილს, სილოვან ხუნდაძის შემოსენებულ წიგნთან ერთად, რისთვისაც მას დიდი მადლობა მოვასხენეთ.

მთლიანად კი „ავეტას“ პირველი წიგნის 17 გათი (ანუ გალობა) დაიბეჭდა ცალკე გამოცემად 1980 წელს, მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ.* რაც შეეხება მეცხრე მასნას, კომენტარებში გიორგი ახვლედიანს მითითებული აქვს, რომ მისი „4-მ მუხლების შინაარსთან გარკვეულ კავშირშია ქართული ზღაპარი „თრითინო.“** იქვე დასახელებული არიან კორნელო კეკელიძე და სოლომონ ყუბანეიშვილი, როგორც „თრითინოს“ ანალიზის წყაროები. მოხსენიებული არ არის ალექსანდრე ბარამიძე, ვინაიდან იგი ამ საკითხს მოგვიანებით, 1971 წელს შეეხო.*** გიორგი ახვლედიანმა გამოიტანა დასკვნა, რომ ავეტის მაიმა მცვე, რაც უდრის ხშაჭეტას და ქართული ზღაპრის ჯემშიდი ერთიდაიგივეა; ასევე ავეტას თრატეაონა და ქართული თრითინო; აუ (ი) დაჰაკი და აქეჰაკი (აქეხაკი). „ქართული შამანის წააკ წარმოადგენს დაჰაკ-ის არაბიზირებულ ფორმას“. გიორგი ახვლედიანმა შეადგინა სამინე „ირანული საკუთარი სახელის ურთიერთშესატყვისობისა და ქრონოლოგიური ურთიერთობის“ სკალა „ქართული ზღაპრის მოქმედ პირთა სახელწოდებებთან“ ავეტის, ფალაურის, ხალხური ქართულის, ახალი სპარსულისა და ლიტერატურული ქართულის მონაცემებით, რითაც სცადა ცხადეყო, რომ „ქართულ „თრითინოს“ ძირითადი სიუჟეტი და, ყოველ შემთხვევაში, სახელი თრითინო მომდინარეობს ძველი ირანული ლეგენდიდან (და არა შამანედან), რაც სწორად აქვთ შენიშნული აკად. კ. კეკელიძეს და სხვა გზით დასაბუთებუ-

ლი დოც. ს. ყუბანეიშვილს (გვ. 4). ეს მითაბრუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ერთხელ კიდევ მოწმობდა გიორგი ახვლედიანის არა მარტო ფართო ლიტერატურულ ინტერესებს, არამედ მისი ერთდროის მასშტაბსაც.

ყოველივე ამის პარალელურად გამოცემა არამარტო ავეტას გათების თარგმანი, ის კომენტარებიც თითოეულ მათგანს რომ დაურთო მეცნიერმა-მთარგმნელმა. ზოგიერთ მომენტს ხელი რომ არ შეეშალა გიორგი ახვლედიანის საშინიერო-კვლევითი მუშაობისათვის, ის გაცილებით მეტს გააკეთებდა როგორც ენათმეცნიერების, ფონეტიკის, მთარგმნელობით და რეგეში, ისე ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნებისათვის, ვამბობ მეტს-თქო არა იმიტომ, თითქოს ბევრი არ გაკეთებინოს, არამედ ერთგვარი გულისტკივილით, ვინაიდან მისი ცოდნის, მისი ტალანტის, მისი რუღუნების შედეგად მოხალღნული იყო სიუჟვის მომძლავრება. რაღაც დიდი შინაგანი ძალა წარმართავდა გიორგი ახვლედიანის შეუპოვრობას რთულ სამეცნიერო პრობლემებთან ჰიდილში.

როგორც ადამიანი და მოქალაქე გიორგი ახვლედიანი იყო უაღრესად გულისხმიერი, სათნო, ობიექტური, პრინციპული და დაუღალავად შრომისმოყვარე. მას ჰქონდა ლიტერატორის გრძნობიერი გული, მეცნიერის დიდი გონება, მოქალაქის გამბედაობა და შეუპოვრობა. მზურვალე პატრიოტიზმს უმშვენებდა სხვა ერებისადმი მოკრძალებული პატივისცემა, ის, რასაც ჩვენ ინტერნაციონალიზმს ვეძახით. იცოდა, რომ დღეს უამისოდ ცხოვრება არამარტო შეუძლებელია, უგუნურებია, ამ მხრივაც გიორგი ახვლედიანი თანამედროვე კაცი იყო. მეცნიერებასა და ლიტერატურულ აზროვნებაში რომ სავსებით იდგა თავისი მიღწევერე ეპოქის მოწოდების დონეზე, ეს იმგვარი ჭეშმარიტებაა, რომელიც არავითარ დამამტკიცებელ არგუმენტებს დიდი ხანია აღარ საჭიროებს.

* დაწვრილებით იხ. Георгий Джибладзе. «Системы Авиценны», Тб., 1986 г. с. 13.

** „ლიტერატურული ძიებანი“, თბ. 1944 წ. II 33-4.

*** ამ და „თრითინოს“ ზოგიერთ სხვა საკითხებზე იხ. გიორგი კიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, თბ., 1985 წ., ტ. VIII, გვ. 101-103.



პოეტის სტუდენტური ღვაწლის გახსენება

ლალო ასათიანის დაბადების 70 წლისთავისათვის

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ლალო ასათიანის სახელი და გვარი გამოჩნდა ქართულ პრესაში.

ლალოს პირველი ლექსები ქუთაისის საქალაქო გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი სტუდენტობის წლებში. ბოლო ხუთ წელშია მისი თბილისში მოღვაწეობდა. 1948 წელს 28 წლის მაგონის ნეშტი 25 წლით მიიზარა ვაკის სასაფლაოში. ბოლო შემდეგ, 1985 წელს, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის მანეთონში ბაოვა სამუდამო განსასვენებელი.

ლალოს გარდაცვალების შემდეგ მის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ნიჭიერად დაწერილი ბევრი ნარკვევი, სტატია და რამდენიმე წიგნი გამოქვეყნდა. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ნიკა აგიაშვილს, მიხეილ ალავექის, გურამ ასათიანს, ვანო ბეჭტაძეს, ნელი დუმბაძეს, მურმან ლებანიჭეს, შოთა ქურიძეს, სიმონ ჩიქვანს, გიორგი ჭიბლაძეს... ჭეროვნად დაფასდა პოეტის დეაწლი და როლი თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ნათელი მოეჩინა მისი ბობოქარი ცხოვრების მრავალ საკითხს, მაგრამ ნათქმელიც ბევრია, განსაკუთრებით მისი სტუდენტობის დროინდელი ცხოვრების შესახებ. ჭერ კიდევ ცოცხალი არიან ლალოს თანაკურსელები, 70 წელს მიღწეულნი თუ მერვე ათეული წლის მძიმე აღმართზე შემდგარნი, ზოგი — მეგობარი, ზოგიც — ამხანაგი, ვისთანაც ერთად გაუტარებია პირტიტველა პოეტის ოთხი წელიწადი.

მეც ლალოსთან ერთად გავატარე ქუთაისში ოთხი წელიწადი — 1984 წლის შემოდგომიდან 1988 წლის გაზაფხულამდე. ერთად გვისვამს სტუდენტური ცხოვრების ტბილ-მწარით სახვტ ფაღალა, ერთად მოგვასმენია საყვარულ პროფესორ-მასწავლებლებთან ლექციები, ერთად გვიოცნებია ვარდისფერ მომავალზე, ერთად გვიუღაპავს ქუთაისის სტამბის მტვერი, ერთად გვიყენოსავს საღებავშეუშრობელი გაზეთების სურნი და ერთადვე განგვიცდია პრესაში ჩვენი მასალების გამოქვეყნებით გამოწვეული სიზარულთი.

მოგონებათა ამ დაფანტულ ფურცლებს იქნებ უფრო სრული წარმოდგენა მოეცა ჩვენი სტუდენტური ცხოვრების შესახებ, ლალოს შვიდი ბარათი რომ შემომჩრჩნოდა. ისინი, ომის

წინა წლებში გამოგზავნილი, 1941 წლის 28 ივნისს, სამშობლოს წინაშე სამხედრო მოვალეობის მოსახდელად გამოგზავრების დღეს, სხვა მასალებთან ერთად ფანერის პატარა ყუთში ჩავაღაგე და ჩემ ოდის სხვეწში ავიტანე შესანახად. ომის წლებში ძველისძველი ყავრის სახურავიდან ჩამონადენ წვიმას ჩემი ფანერის ყუთი სულ ერთიანად დაეღო. 1945 წლის 16 ოქტომბერს დემობილიზაციით დაბრუნებულს ლალოს წერილები და ჩემი სხვა საარქივო მასალა მთლიანად განადგურებული დამხვდა და ამით გულში ფიტქოს ის ერთადერთი ძარღვიც ჩამწყვდა, რომელიც ლალოს სულიერ საქყაროთან მაკავშირებდა.

იმდროინდელი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი თბილისის უნივერსიტეტს მოგვარს ნებდათ. ლექციებს გვიკითხავდნენ კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი და არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი და გაბტანგ კატეტიშვილი, მიხეილ წანდუკელი და მიხეილ აბრამიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე და მოსე გოგობერიძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, გაბრიელ ჩაჩანიძე და სხვები.

ოქტომბრის ერთ ღრუბლიან საღამოს, ლექციის დაწყების რამ ველოდებოდი, ბიჭები ინსტიტუტის შენობის წინ სპორტულ მოედანზე დადგმულ დერძთან ვიყავით შეკრებილი. ზოგი თავისი მკლავის ძალას ცდიდა — დერძზე ხელდებით ჩამოეკიდებოდა და სამ-ოთხჯერ რომ აიწევდა ტანს, მერე ტომარასავით იყო ჩამოეკიდებოდა.

ერთი ყმაწვილი, რომელსაც მუქი ლურჯი მალისი კიტელი ეცვა, მომიახლოვდა და მკითხა:

- სადაური ხარ, ყმაწვილო?
- სენაკელი. შენა (სენაკის რაიონს 1988 წელს ცხაკაის რაიონი ეწოდა, მაგრამ ჭერ კიდევ არ ვიყავით შეჩვეული ახალ სახელს).
- მე ლეჩხუმელი ვარ, ცაგერიდან. ჩემს სოფელს ბარდნალა ჰქვია.
- ხელში გაეკიცილი გაზეთი „სიტყვა და საქმე“ მეჭირა.
- შე ნაკელო, — ხაგანგებო პალუით წარმოთქვა კიტელიანმა ახალგაზრდამ, — ახალია ეგ „სიტყვა და საქმე“.

ერთი გაბრაზებით ავხედე შემოიხვევს. ჩემი თავი ენამახვილი მგონა, მაგრამ მოულოდნელად ისეთი დარტყმა ვიწვინე, რომ პასუხის გაცემა გამიჭირდა. ჭერ ვიფიქრე, ალბათ ს და შ ბგერებს გარკვევით ვერ ამბობს-მეთქი, მაგრამ „სიტყვა და საქმე“ ხომ სწორად წარმოთქვა? „სიტყვა და საქმე“ არ უთქვამს. სახეზე სიწინდელ მომედო და ერთხანად მივახალა:

— ჩემთვის უკვე ძველია, შენთვის — ალბათ ახალი! ისე კი ნაკელი, ვხედავ, ძალიან გუყვარებია!

— ოჰო, ერთი ამას უყურეთ, რა ბრაზიანი ყოფილა პატარა მებრელი! გეხუმრე, ბიჭო! ყოჩაღ, რომ მიმიხვდი! თუ ძმა ხარ, არ გეწყინოს...

— წყენა რა შუაშია, მაგრამ ს და შ ბგერების სწორად წარმოთქმას ჭერ კიდევ საბავშვო ბაღში ასწავლიან, — არ ვცხრებოდი მე.

— კარგი ახლა... მათხვევ ერთი ეგ გავითი, გადავათვალეებ!

გავითი გავუწოდებ. უმწიფელია სწრაფად გადათვალეებრა, მერე დამიბრუნა და შიბინა:

— საინტერესო წერილებია დაბეჭდილი. ლექციაზე მათხვევ, უკან დაჯდები და წაკითხავ.

ლექცია რომ დაიწყო, ის უმწიფელი სულ უკანა მერხზე დაჯდა, მე პირველ რიგში მოვინახე ადგილი. დროდადრო უკან ვიხედებოდი. იმ უმწიფელს თავი ჩაერგო და რაღაცას გატაცებით კითხულობდა.

ზარის დარეკვის შემდეგ გავითი დამიბრუნდა და მითხრა: კარგი ნომერიაო.

„სიტყვა და საქმე“ ქუთაისში გამომავალ ლიტერატურულ გავითს ერქვა, რომელიც თავისი გაფორმებით, შინაარსით დღესაც კარგად ამავე დღისწილების [გავითს] არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ასე გავიცანიე ერთმანეთი მე და ლადო. ერთ სკამბოს ჩვენს ჭკუფში რომელიღაც უფროსკურსელი შემოვიდა და გამოცხადდა: მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასთან ახალგაზრდა მწერალთა წრე უკლებილება და ვისაც გსურთ, ჩაეწერეთო. თან აგვიხსნა: წრის მეცადინეობა პერიოდულად ჩატარდება. სარწმუნო კავშირის კლუბში, რის შესახებაც განცხადება საქალაქო გავითში დაიბეჭდებოა.

მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მათ შორის — ამ სტრიქონების ავტორიც. ლადო იქვე იდგა და იცინოდა: — ეს რამდენი მწერალი გვყოლია ჩვენს კურსზე. აღდენი პოეტის ქუთაისის კი არა, მთელ საქართველოს ეყოფო. თვითონ ლადო მწერლობის მსურველთა სი-
აში არ ჩაწერილა. — პოეტს წრე არ უნდა,

იქ ვერაფერს ისწავლის. კაცი ბუნებით უნდა იყოს პოეტი, ამისათვის კი ნიჭია საჭირო, ნიჭი, სურვილი არ კმარა, — ამბობდა ლადო.

ერთ დღეს ქუთაისის გავითში, მეოთხე გვერდზე, მართლა დაიბეჭდა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების განცხადება, რომელიც იუწყებოდა, რომ დანიშნული იყო ახალგაზრდა მწერალთა წრის მეცადინეობა, მას უნდა დასწრებოდნენ ახალგაზრდა მწერლები (შემდეგ ჩამოთვლილი იყო მათი გვარები). ლადომ ლექციის დაწყების წინ აუდიტორიაში გავითი ააფრიალა და ხმამაღლა, იძახოდა: — ახალგაზრდა მწერლებო, აბა, თქვენ იცით, მეცადინეობაზე არ დაიგვიანოთ.

თავისი სითამამით, პირდაპირობით, ავტორიტეტების წინაშე ქედმოუხრებლობით, მაღალი ლიტერატურული გემოვნებით, ენაძუნწობით ლადო ყველა სტუდენტის ყურადღებას იპყრობდა; ერთი-ორჯერ ლექციაზე გადაკრულიც კი გამოცხადდა. მაშინ უფრო ენაწყლიანი იყო. ლექსები შეფაკლოდა, თავლისფერ თვალბეჭდში რაღაც უცნაური ცეცხლი უგზავნიდა. ხშირად უყვარდა თქმა:

მე რათ მინდა ლექცია,
ან სიტყვების რაბუნე?
გულზე გადაამეტიკა
ღვინის წვენი კახური.

— ლადო, „კახური“ რომელი სიტყვის მსაზღვრელია, „ღვინისა“ თუ „წვენისა“? — ვკითხე ერთხელ.

— მოეცი მაგ შენს გრამატიკას! ნუ ჩხირკედელიაობ!

ღვინო კახურია, რა არის აქ გაუგებარი?
— კი, მაგრამ ვინ ამბობს, ღვინის წვენიო?
— არ მოვეცი. — თუ წვენზეა ლაპარაკი, ალბათ უფროსის წვენი უნდა გეთქვა.

— იცი, რა ვითხრა? „უფროსის წვენი“ შენთვის დამილოცნია, შენი სასმელია. კახური ძეგლ ღვინოს კი რა ჭობია შენ რა იცი!..

ბევრს კითხულობდა. იმუამდ გატაცებული იყო საფო მგელაძის „ლიანა ლორღითი“ და „ქარიშხლის ფრთებით“, რ. გვეტაძის „ლაშაური საღამოებით“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტახებით“. ზეპირად იცოდა გალაკტიონის თითქმის ყველა ლექსი (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვგვგონა) და ლიტერატურული ფაქტების ცოდნაში ბადალი არ მყავდა.

ლადო თანდათან დაუახლოვდა თანაკურსელებს. მასთან ხშირად ნახავდით მიხეილ ალაფიძეს, რაუდენ გაერჩავას, არკადი კაჭკაჭიშვილს, ლევან კიკნაძეს, ავსტანტი მიშვილაძეს, შოთა ქურიძეს, დავით ჰიტილიშვილს, მართამ ბარქაძეს, ნელი დუმბაძეს, მართამ ტრაპაძეს, ზინა ხონელიძეს. რაუდენ შკუბუღიანი ხომ ერთხანს მასთან ცხოვრობდა ბი-

ნაშ. კამათობდნენ, მსჯელობდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს ამა თუ იმ წიგნის ან ნაწახი კინოფილმის შესახებ: ლადო თავისი შეხედულებებით გამორჩეულად, ზოგჯერ უველასაგან მოწონებულ რაიმე ლიტერატურულ მოვლენას სულ განსხვავებული პოზიციებიდან აფასებდა. კამათის დროს ცხარობდა, ხანდახან მწარე სიტყვებსაც მოიშველიებდა: ძნელად იტანდა, თუ არ ეთანხმებოდნენ, მის აზრს არ იზიარებდნენ.

— ვინ არის ეს ბიჭი, ასეთი ამაყი? — ჩურჩულებდნენ ლადოს საქციელით გაკვირებული კლდეშვილები.

იმ წლის ოქტომბერსა თუ ნოემბერში ჩვენი ფაკულტეტის პირველ კურსზე აკადემიური შევებულებიდან დაბრუნდა რაჟდენ გაბეჩავა, რომელიც 1988-84 წლებში სენაკის მანქანატრაქტორთა სადგურის პოლიტექნიკური განყოფილების გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა. რაჟდენს გაზეთ „ავანგარდში“ თანამშრომლობით დავუახლოვდი.

იმ ხანებში რაჟდენი ქუთაისის საქალაქო გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ გადმოიყვანათ. რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო გიორგი ჭიბლაძე, რედაქტორის მოადგილე — პარმენ შედეგია, რედაქტორი — ცნობილი უფრანგისტი ნიკოლოზ ცხაკაია (იგი ცოტა ხანს გაწ. „სისტემა“ დეპარტამენტის რედაქტორობდა), რომელიც შემდეგ გამოცდილმა პარტიულმა მუშაკმა კალი შეროზიაშვილმა შეცვალა.

რაჟდენის მეშვეობით ლადო და მე რედაქციის თანამშრომლებს დავუახლოვდით. ვებედავდით კორესპონდენტებს. გავიცანი ნიკა აგიაშვილი, გიორგი ჭიბლაძე, პეტრე ბახტურიძე, ელიოზ ხუციშვილი, პლატონ გუგულუა, დავით ცვარიანი, დოროთე ეგუტიძე, პავლე ლომიძე, ნიკოლოზ კოვზირიძე და სხვები. სარედაქციო დავალებებს გვაძლევდნენ და ჩვენც გულმოდგინედ ვასრულებდით.

ინსტიტუტის საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ ლადო ლექსებს წერდა, რომლებიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა სტუდენტთა შორის. ეს ლექსები მეტწილად სამიჯნურ რეპორაჟზე იყო დაწერილი.

1988 წლის 15 სექტემბერს გაზეთ „სტალინელში“ დაიბეჭდა ლადოს ორსტროფიანი ლექსი „ჩვენ კვლავ მოვედით“. ეს იყო პოეტის პირველი გამოქვეყნებული ლექსი. იმ დღეს ლადო განსაკუთრებით გახარებული იყო, თავი მოსწონდა, რამდენიმე ცალი გაცემილი გაზეთი ილიაში ამოეჩარა. ამხანაგების თვალში ლადოს ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. ქუთაისის ახალგაზრდა მწერალთა-

გან ვიცნობდით უფროსკურსელ სტუდენტებს გიორგი გაბეჩავს (სამხარაძეს), სევერიან მანუჩარაძეს, ვანლორ ლორთქიფანიძეს, ვ. ჭობის-პირელს. ჩვენს თანაკურსელ მიხეილ ალავიძეს რამდენიმე ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული. მათ ლადოც შეემატა. თავისი სიხარული ლადომ დედამისს წერილით გაუზიარა. 1988 წლის 16 სექტემბრით დათარიღებულ ბარათში იგი დედას სწერდა:

„სტალინელში“ 15-ის ნომერში ლექსი დაბეჭდულ ვიგზავნი ამონაგებს გაზეთიდან. გაგახარდება, მიუხედავად იმისა, რომ კუბლეტები ამომგდეს, მაინც არ ვჩივი. ეს პირველია და არცაა გასაკვირი. 4 კუბლეტიდან ორი დატოვეს. სასაცილოა“ (ლადო ასათიანი, ერთ-ტომეული, თბილისი, 1979, გვ. 808).

ცოტა უფრო გვიან „ძველი და ახალი ქუთაისის“ ლექსების ციკლიში (1988 წ.) ლადო ამ ფაქტს იხსენებდა და წერდა:

მე აქ დავწერე ლექსი პირველი, ვარდებსაც ესმით ამ გულის ფეთქვა.

ჩვენი ურთიერთობა რედაქციასთან სულ უფრო ფართოვდებოდა. დღე ისე არ გავდიოდა, რომ რედაქციის რაჟდენი არ მოგვეხსებებინა. მაღე პარმენ შედეგიამ რედაქტორად დააწინაურეს, გიორგი ჭიბლაძე — მის მოადგილედ, რაჟდენი კი — პასუხისმგებელ მდივნად. რაკი ლექსები ნაშუადღევს გვეწერებოდა, ყოველდღე საშუალება გვქონდა რაჟდენს გვეწავა, ხანდახან, როცა კორექტორები რაიმე საპატიო მიწევის გამო საშუალოზე არ გამოცხადდებოდნენ, მე და ლადოს დავავალებდნენ ხტამბაში მორიგე კორექტორებად წასვლას. ასეთ მორიგეობას ზოგჯერ ლექსებიც ეწერებოდა, მაგრამ გარეთში მუშაობა გვიტაცებდა. თანაც ერთ მორიგეობაში თითოეს ჩემ მანეთს გვიწერდნენ გასამრჩელოდ, ეს თანხა კი ხელმოკლე სტუდენტებისათვის დიდ რამეს ნიშნავდა.

1988 წლის შემოდგომაზე უკვე მეორე კურსის გადასული სტუდენტები ინსტიტუტში რომ დავბრუნდით, უფრო დაღინჯებული ვჩანდით. ზაფხულის არდადეგები ზოგს მშობლიურ სოფელში გაეტარებინა, უფრო შეძლებული — აგარაკებზე. ლადო ბარდალაში ყოფილიყო.

მსოფლიოს ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. 1988 წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, წითელი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ქვეყანაში, რომელსაც მაშინ უფრო ზნორად აბისინიის სახელწოდებით იხსენიებდნენ (მისი ოფიციალური სახელწოდებაა ეთიოპია), ფაშისტური იტალიის ქარაშეიქარა, ცოტა უფრო გვიან, 1988 წლის მაისში კი აბისინიის დედაქალაქში — აღის-აბებაში შევიდა. ერთა ლიგამ აგრესიის მსხვერპლს დახმარება არ აღმოუჩინა. საბჭოთა კავშირი, რომ-

მელმაც არ ცნო იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა, თავიდანვე აქტიურად უჭერდა მხარს აბისინიელთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

გაზეთები აქტიურებული იყო ინფორმაციებით აბისინიის ომის შესახებ. იარაღის უღარუნი და ყუბმარების აფეთქებათა ხმა ისმოდა ესპანეთიდანაც, სადაც ფაშისტი გენერალი ფრანკო ხოზე დიასისა და დოლორეს იბარურის ქვეყნის ხალხთა დამონებას ცდილობდა.

ეს ამბები ჩვენც, სტუდენტებსაც, გვადევნებდა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა მიმართ სოლიდარობის სულიკვეთებით განგვაწყობდა.

კარგად არ მახსოვს, 1985 წლის მიწურული იყო თუ მომდევნო წლის იანვარი, ორი ლექსი დავწერე: ერთი — „ხელები შორს“ — აბისინიის ომს ეძღვნებოდა, მეორე — „სტახანოველი ქალის სიმღერა“ — სტახანოვერ შიძრარობას.

ერთხელ, შინ რომ მივიდიოდი, ლადოს ვუთხარი: — შეშოდი ჩემთან, ლექსი უნდა წაგაკითხო. თუ მოგეწონა, მიწა გამოვქვეყნო-რეთქი.

ლადომ ერთი კი გაცოცხობ შეგომხედა, მაგრამ უარი არ უთქვამს. ეს კი მითხრა: — ლექსი რა შენი საქმეაო.

შევდიოთ ოთახში, დავსხედით. საგულდაგულად გაბათიერებული ხელნაწერები მოვანახედა ლადოს გავუწოდე. — შენ თვითონ წამიკითხე, მითხრა.

დავიწყე კითხვა:

ჩაღდება ომი.... დენთის სუხია...

პრესის ფურცლებზე დადის ამბებად:

ხანძარში იწვის აბისინია,

ციცხლი ეღება აღის-აბებას.

ლადომ შემაჩერა. ვიფიქრე, ალბათ რითმა „აღლის ამბებად“ და „აღის-აბება“ მოეწონა-მეთქი.

შეგბედე. სახე უღიმოდა. მოწონების ნიშნად მივიჩინე.

— აბა, წაიკითხე თავიდან, — მითხრა ლადომ.

მე ეს პირველი სტროფი ხელახლა წავიკითხე და შეგჩერდი.

— მანდ ორი სტროქონი უნდა დაუმატო, — დამიძლით მითხრა ლადომ.

— რა სტროქონები?

— რა და:

უნდა იცოდე, ჩემო გოგამ, რომ ცუდი ლექსი არ ისტკმებდა..

გავჩიო. რა უნდა მითქვა?! ხელნაწერი სწრაფად დავეცი და ჩაბეში ჩავიდე.

— თუ არ ისტამბება, იმასაც ვნახავ! — მივასაღე გაბრაზებულმა და პაპროსს ვეცი-თან ვიჭირობდი: საიდან მოაგონდა რითმა „არ ისტამბება“-მეთქი.

კარგი აღმატებული ნუ ფხუყიანობ, დამეშვიდა ლადომ. — მერე რა გიწერია წამიკითხე. გაბრაზებულს ანუ იმ ლექსის გაგრძელება წამიკითხავს და არც მეორე ლექსი მიჩვენებია. გაბრუნებული დავშორდი ერთმანეთს, აღონდ ეს გაბუტვა სულ ერთ დღეს გაგრძელდა. მეორე დღეს, ლექციებზე რომ მივედი, ლადომ მთხოვა „სტახანოველი ქალის სიმღერაც“ მიჩვენებინა, მაგრამ, აბა, როგორ წაგაკითხებდი!..

ლადოს სიტყვები თავში მიტრიალებდა: გაგულსებულმა მეორე დღეს ორივე ლექსი ერთ კონვერტში ჩავდე და უფრანდ „შრომელი ქალის“ რედაქციას გავუგზავნე.

გავიდა ორი თუ სამი თვე. ჩემი ლექსების შესახებ ლადოს კრიტიკა არავისთან დაუძრავს, თუმცა ერთმანეთს როცა შეხვდებოდით, ხანდახან ჩაილაპარაკებდა: „აღლის ამბებად“ აღის-აბება — არ ისტამბება“.

„შრომელი ქალის“ ყოველ ახალ ნომერს გულსიფანქარით ვათვალიერებდი. ერთ დღეს, — მგონი 1988 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში — თუ შიშის დასაწყისი იყო, — ქუთაისის ცენტრალურ საგანგებო კომისიის უფროსის მეოთხედი ნომერი რომ ვიციდე და გადავფურცლოთვალე არ დავუჭერე: ჩემი ლექსი „სტახანოველი ქალის სიმღერა“ უცვლელად დაბეჭდათ. იმავე ნომერში ჩემდა გასაკვირად დაბეჭდილი იყო ლადოს ნარკვევი ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სტახანოველ ქალზე სონია ხოზაშვი, რომელიც მაშინ ერთი პირველთაგანი ჩაება ამ მოძრაობაში.

ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი ინსტიტუტში, რომ ლადო მენახა და უფრანდი მიჩვენებინა (სულ მ. ნომერი ვიციდე). მაგრამ, თორმე იხიც. არანაკლებ მოუთმენლად ეძლია თავისი ნარკვევის დაბეჭდავს და გაცოცხობით ადევნებდნ თავალს ყოველი ნომრის გამოსვლას. ინსტიტუტის ეკოში, რომ შეგვვდი, დამიძლით შემომეგება: — ციგანი ხარ, გოგია, შენს რატომ დამიძლით, თუ ლექსს თბილისში წაგაღწიდი?

საუფედურეს საყვედურითვე ვუპასუხე, თან დავსძინე: ეს რა ვუთქვამა, უკვე გამოქვეყნებული ნარკვევი რომ გაგაგზავნა, უფრანდისათვის მეფქი. ეს ნარკვევი ლადომ ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის დაფარებით დაწერა და იმავე გაზეთში გამოაქვეყნა).

ლადო იფიცებოდა: მე არ გამიგზავნია, უფრანდის რედაქციამ, ალბათ, თავისით გადაბეჭდა გაზეთიდან.. აბა, ვინ დაუჭერე და? ეს იყო ჩვენი გვარების პირველი გამოჩენა რესპუბლიკური უფრანდის ფურცლებზე, დაახლოებით ერთ თვეში ორივემ ერთდროულად.



ლაღ-მივიღეთ ინსტიტუტის მისამართით თბილისიდან გამოგზავნილი ჰონორარი და იმავე დღეს „გრანდ ოტელი“ რესტორანში დიდი მოწიებით ვადღებრძელი მშრომელი ქალები, მათ შორის ჩვენთვის უცნობი პატრიცეზული ქალბატონი ნინო ჩარკვიანი, რომელიც მაშინ იმ ეურნალის რედაქტორი იყო.

1988 წლის 15 სექტემბერს ლადოს პირველი ლექსის გამოქვეყნების შემდეგ მთელი ხუთი თვის განმავლობაში მისი გვარი პრესაში არ გამოჩენილა. და აი 1988 წლის 25 თებერვალს, სამშაბათს, „სტალინელის“ 45-ე ნომერში, შენობა გვერდზე, გაიჩნდა ლადოს მეორე ლექსი. ეს იყო „თებერვლის დღია“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და შკოთხველის ყურადღება მიიპყრო შინაარსით, ფორმით, პოეტური პათოსით. ლადო აღფრთოვანებული იყო და ამტკრავდა გიორგი ჯიბლაძის მიმართ მადლობის დიდ გრძნობას გამოთქვამდა.

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ 18 მარტს იმავე გაზეთში დაიბეჭდა ლადოს ახალი ლექსი „მოსაგონარი“, რომელიც პარიზის კომუნისათვის წამებული მიძღვნიდა. ლექსში მძლავრი პოეტური მგზნებარებით არის ახასუთლი პარიზის სისხლიანი ქუჩები, მკვდართა ღიმილი პერლაზეზე, ტიერის ბღავილი, ზარკადელი მღვრე იქნენ პოტი, კომუნის რაშების მეთაური დედეკლოუსი, ხმაირღებნი მარხელიოზას გუგუნი, ვანდომის ძეგლთან დაცემული ოფიცრის ცხენი...

10 აპრილი. ისევ თვეც არ არის გასული. „სტალინელის“ 81-ე ნომრის ფურცლებიდან კვლავ ახალმა ლექსმა გამოაშუქა: მეორე გვერდზე, მარჯვნივ, ორ სვეტად იყო დაბეჭდილი ლამაზი შრიფტით აწყობილი „ქუჩა პალმებში“. ლადო და მისი მეგობრები აღტაცებულნი არიან. „ამდენი ვარდი, მზით გამთბარი ამდენი პალმა, მხარებს, როცა ქალაქის მკერდს დავაკვირდები“... — ბუბუნებს გახალისებულნი ჰაზუკი.

ახლოვდება პრესის დღე — 5 მაისი. ლადოს რედაქციამ სურათი და პატარა ლექსი სთხოვა გაზეთში გამოსაქვეყნებლად. ეს უკვე აღიარება, პოეტად საბოლოო აღიარება!

5 მაისის მესამე ნომერში, მესამე გვერდზე, გარდა ლადოს სურათისა, დაბეჭდილია მისი წერლი „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო“.

„პირველად გაწით „სტალინელის“ ფურცლებზე ვიგწენ დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი, — წერდა ლადო, — და დღეს როცა ბოლშევიკური პრესის მეოცდაოთხე გაუფხულოთ-საც ვუვიმბო, არ შემიძლია სიყვარულით და

ჭერ არგანცილილი აღტაცებით არ მივესალმო ბოლშევიკური პრესის ჯანმავარ თაობას. და ვანა სასიხარულო არაა? ვანა უამესი ყრუანტელის მომგვრელი არაა, როცა შენი ლექსები დღითი შენზე უფრო ადრე გამოვლენ, გამოვლენ და მერე სალ? უკავილებით შემორკალულ ინდუსტრიულ ქალაქში.

შე ეს სიხარული განვიცადე. შე ამ სიხარულს უფრო მძლავრად კიდევ განვიცდი. ეს სიხარული, ეს აღტაცება შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო, და ამიტომ ეს სიტყვები შენი დღე-გრძელობისა და შენი გამარჯვების იყო.

მოხლებლად შექვამს ერთ მწერალს: არსებობს ღრმა სიხარული და ღრმა სევდა; ასეთი სიხარული და ასეთი სევდა უტყვიანო. უკანასკნელისა რა მოგახსენოთ, ხოლო პირველს (ღრმა სიხარულს) ახლა განვიცდი, მამუნებს ეს სიხარული, მაგრამ მაინც ვმდერი და როგორ არ ვიმდერო, როცა:

ზევით ცა მხურავს — კრიალა, ღია, ირგვლივ მთებია მკერდდაგუჯილი. ჩემი სამშობლო იალალა, ზედ საამური ხარობს ჯეჭილი; და თუ მოაწყდა მტერი იალალს, ვერ შეძლოს გულმა ბოღმის დატევა, მოვიხმარ ლექსებს, როგორც იარაღს, მოვიხმარ ლექსებს, როგორც სატევარს!

ცხრაშეტი წლის ჰაზუკისათვის ეს დიდი აღიარება იყო... ლადოს სახელი დღითიდრე სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. იქნებ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ იგი თავაწიული უფრო ამაყად დაბეჭდებდა ვარდ-ყვავილებით მოქარულ ქუთაისის ქუჩებში, სადაც არაერთ ზელ-მოყარულ პოეტს გაუყოლებია მისთვის შურიანი თვალი.

ქუთაისის კულტურული ცხოვრების ფერხულში აქტიურად ჩაბმული ლადოს ლექსები სულ უფრო ხშირად იბეჭდებოდა საქალაქო გაზეთში. „სტალინელის“ 1988 წლის მეორე ნახევრის კომპლექტს თუ გადაათვალიერებთ, ნახავთ, რომ 25 სექტემბრის, 18 ოქტომბრის, 2 ნოემბრის, 26 ნოემბრის, 22 დეკემბრის, 1987 წლის 14 იანვრის, 9 მარტის, 18 აპრილის, 17 მაისის და სხვა ნომრებში ლადოს ლექსებია დაბეჭდილი. ამ გაზეთის 1988 წლის 18 ოქტომბრის მესამე გვერდი ლიტერატურულია და მთლიანად ეძღვნება ესპანეთს. გვერდს აქვს ანშლაგი „ამაყად ფრილებდეს ესპანეთის რესპუბლიკის დროსა!“ აქ დაბეჭდილია გიორგი ვაისელის (სამხარაძის), ილია ხოშტარას, ლადო ახათიანის, ვ. გუგუშვილის ლექსები, და ჩიანელის (დავით ჩხეიძის) „ესპანური ნოველებიდან“, შამია ასათიანის „არა, ვერ შეძლებთ!“ გვერდის ბოლოს არის რედაქციის მინაწერი: „დღევანდელი ლიტერატურული გვერდის ჰონორარი ქუთაისელ მწერლებს შეაქვთ



ესპანეთის მშრომელთა დამარების ფონდში“.
 ლადო დაუზარებლად მონაწილეობდა მწერ-
 რალთა კავშირის ქუთაისის მცირერიცხოვანი
 განყოფილების ლიტერატურულ საკმიანობაში.
 ვაცხოველებული მზადება იყო ი. ჭავჭავაძის
 დაბადების მეასე და ა. შუშკინის გარდაცვალები-
 სის მესხ წლისთავებისათვის. ქუთაისში ჩამო-
 დიდნენ ცნობილი მწერლები, იმართებოდა
 ლიტერატურული საღამოები.

ამასობაში ლადო მწერალთა კავშირის წევ-
 რობი კარდიატობდა შიიღეს.

1936 წლის 24 ნოემბერს „სტალინელი“ შე-
 ოთხე გვარდზე აქვეყნებს ინფორმაციას.
 ქუთაისის მწერალთა კავშირთან დაარსდა ფოლ-
 კლორის სეკცია... სექციაში შედიან: დ. თომა-
 შვილი, მ. ალაფიძე, ლ. ხახიანი. სექცია უკვე
 შეუდგა მუშაობას“. იმავე ნომრის შესამე ვერ-
 დო კი ეძღვნება სახლურ შემოკმედებას.

1927 წლის 14 იანვარს. სუთუბათის, „სტა-
 ლინელი“ მესამე გვერდზე დაიბეჭდა ლადოს
 ლექსი „ბუშკინი ჩემთან“, რომელიც ლადომ
 შემდეგ ბუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნულ სა-
 ლამოზე წაიკითხა.

იმავე წლის 24 იანვრის ნომერში, მესამე
 გვერდზე, დაიბეჭდილია ლ. ა-ს (ლადოს) ინფო-
 რმაცია, რომელიც ვაჟუწყებს, რომ 31 იან-
 ვარს, 7 საათზე, საბჭოების VIII საფანგებო
 ყრილობას დედუგატი გიორგი ლეონიძე წი-
 თელი არმიის სახლში შეხვდა ქუთაისის გარ-
 ნაწილის მეთაურებსა და წითელარმიელებს.
 გ. ლეონიძის შემდეგ ლექსები წაიკითხეს ს.
 ელუმა, ვ. გორგაძემ, ა. ადამიამ, ს. ისიანმა,
 ლ. ასათიანმა.

მე თებერვალს პედაგოგიურ ინსტიტუტში
 ჩატარდა ბუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი
 საღამო.

28 მაისს კულტურის სახლში მოწყობილი
 ჭავჭავაძის დაბადების მეასე წლისთავისადმი
 მიძღვნილი საღამო, ლექსები წაიკითხეს შ. ჩა-
 რკვიანიამ, ბ. კეშელავამ, ს. ისიანმა, ლ. ასათი-
 ანმა, ვ. ხულაბერიძემ. წ. ალაფიძემ წაიკითხა
 ნაწყვეტები „მეზავრის მ. არაღობიდან“, --
 ვკითხულობთ „სტალინელის“ 1937 წლის 3
 ივნისის ნომერში.

2 ივნისს, 7 საათზე, პედაგოგიურ ინსტიტუ-
 ტში გაიმართა ი. ჭავჭავაძის დაბადების მესხე
 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; მოხე-
 ნება გააკეთა ვახტანგ კოტიტივილიმა, ლექსე-
 ბი წაიკითხეს ლ. ასათიანმა, ა. ადამიამ, გ. გია-
 ხელიმა, ს. ისიანმა, -- გვამცნობდა იმავე გაზე-
 თის 8 ივნისის ნომერი.

8 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული განცხ-
 ადებას კი იწყებოდა, რომ 8 ივნისს მწერალ-
 თა სახლში გაიმართებოდა ილია ჭავჭავაძის
 ხსოვნის საღამო. ლექსებს წაიკითხავნო ილ.
 ხოშტარია, დ. თომაშვილი, ალ. ადამია, შ. ჩა-

რკვიანი, ვ. ლორთქიფანიძე, ლ. ასათიანი,
 ალაფიძე, მ. გიხელი, ს. ხახიანი, ევ. ფურცლ-
 ნიძე, გ. სულაბერიძე.

ეს საღამო ი. ივნისს, მართლაც, გაიმართა.
 ლადო ჩვენთან დაბაწაში იქნა, გამოდოლდენ
 პოეტები და ლექსებს კითხულობდნენ. ტრი-
 ბუნაზე ლადოს გამოჩენასაც ველოდით, მაგ-
 რამ საღამო ისე დაშთარდა, რომ მისთვის
 სიტყვა არ მიაუციათ.

— რა მოხდა? — ვკითხე ლადოს.
 ადრევებოდა ჭაბუკმა ენის ბორბიით მი-
 პასუხა: — ვიცო, ვინც ეს გამოქვთა, მგარამ
 თუ შევარჩენ, მერე დაიკვებოხო.

გახოცარი იყო: გუშინდელ გაზეთში ლა-
 დოს სახელი და გვარი ეწერა, დღეს კი...

11 ივნისს გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმა-
 ცია იმ საღამოს ჩატარების შესახებ. ლადო მა-
 სში, ცხადია, მოხსენიებული არ იყო.

აქედან იწყება ქუთაისის ლიტერატურული
 ცხოვრებიდან ლადოს თითქმის მთელი წლით
 გარიყვის სევდიანი პერიოდი.

1937 წლის 17 მაისის გაზეთ „სტალინელში“
 დაიბეჭდა ლადოს სტუდენტობის დროინდელი
 ბოლო ლექსი, რომლის შემდეგ პოეტის ნაწი-
 რმელები ქუთაისში კარგა მანს აღარ გამოქვე-
 ყნებულა. დანიყო ერთგვარი დუნილის, უფ-
 რო წაბრად — ნაძადადვი დუმილის პერი-
 ოლი სწორად ცხოვრებაში. ინტრიგებმა და
 ენის შიტან-მეჭანამ ისეთი ვითარება შექმნა,
 რომ ლადოს ლექსებს აღარ ბეჭდავდნენ, ამას
 დავრთო მისი ოჯახური პირობების მკვეთრად
 გაუარესება. გაუგებრობის შედეგად ლადოს
 დედა, რომელთანაც შეიღეს მშობლიური სიუ-
 ვარულის უფაქიზესი ვრძნობა აკავშირებდა,
 ავად მოხავონარმა ქარიშხალმა საღდაც შორს,
 „უცხო მხარეში“ გადაკარგა. პოეტის სულში
 სასოწარკვეთილებამ დაისადგურა. ოჯახს მო-
 შორებულნი დედის ტანჯული სახე იურად თვა-
 ლწინ ედგა ჭაბუკს და მოხვინებას არ აძლევ-
 და. სევდაშემოყრილი პოეტის ლექსები არა-
 ერთხელ ატირებულა ამის გამო.

ან კი რა გასაკვირია, რომ ერთბაშად აღზე-
 ვებული ნიჭიერი პოეტის ბოლოქარი სულში ასე-
 თი გარდატეხა მომხდარიყო. ხანმოკლე დროში
 საყოველთაო აღიარების მოპოვება, ლიტერა-
 ტურულ საღამოებში აქტიური მონაწილეობა,
 თაყვანისმცემელთა ფართო წრე და... ერთბა-
 შად ყველაფრისგან ჩამოშორება, ეკონომიკუ-
 რი სივიწროვე, „უსახლკარობა, შიში, შიშიში-
 ლი“.

გულშემოყრილი სევდის გასაქარებლად
 შიზრად პარათაშვილის სიტყვებს იმერებდა:
 დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა
 უკვლი, მაცხოვრებელი სიციცხლის, სუნუნულითა
 აღვსილი...
 მაგრამ ეს იყო პოეტის მწუხარების მხოლოდ



გამოვლინება და არა პენიშიონში, არა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ზედის უიმედოდ ჩაქნევა. ლაღო ყოველთვის ოპტიმისტურად შეტყუებულა და მომავალს და მღელვარებით ბუბუნებდა:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა
გარსა მოვავლო,
სალამოს მისთვის ჩავიდე, რომ დილა უფრო
ვატოვოლო,
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა
მორბედა,

რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა
ფრინველნი და ვარდი.

პოეტს ღრმად სწამდა, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“

1985 წელს გამოცემილმა „საბჭოთა აქარამ“ ბათუმში ჩვენი მეგობრის შოთა ქურძინის მოკრებების მშვენიერი წიგნი გამოსცა — „ქაბუჯი იყო, ქარბუჯი იყო“, რომელშიც ლაღოს სტუდენტური ცხოვრების ამსახველი ბევრი საინტერესო ეპიზოდია გაცოცხლებული. ავტორი გვაცნობს მეგობრის სიკაბუჯის სამახსოვრო დღეებს და ნახევარი საუკუნის ვადასახედიდან დღევანდელ თაობას შექმნებისდაგვარად ახედებს კაბუჯის სულის სიღრმეში.

სიყვარულით დაწერილი ეს წიგნი რამდენადმე ავსებს ლაღოს ბიოგრაფიას, მაგრამ მასში გვხვდება ზოგი დასაწუსებელი ადგილი. მთავალითაღ. წიგნის 95-ე გვერდზე ნათქვამია: „ლაღო ასათიანი შეუპოვრად იბრძოდა სიმაართლისათვის. სჭეროდა, რომ ადრე თუ გვიან შტრებს უთუოდ დაამარცხებდა. მალე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს აღ. საჭაია, რომელმაც ქუთაისში განიხილა მისი საქმე და ლაღო დაუყოვნებლივ გადადგინეს ინსტიტუტში, მისცეს დარჩენილი საგნების სახელმწიფო გამოცდებამდე ჩაბარების ნება“.

ინსტიტუტიდან გარიცხული ლაღოს აღდგენა ასე „დაუყოვნებლივ“ არ მომხდარა. ამ საკითხზე დაწერილებით სხვა დროს ვილაპარაკებ აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იმ პერიოდში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა ამხ. გრიგოლ ნარსია, რომელმაც ჯერ კიდევ 1988 წლის თებერვალში შეცვალა ამხ. აღ. საჭაია. ლაღო ინსტიტუტში აღადგინეს 1988 წლის 29 მარტს. ქალაქკომის ბიუროს სხდომაზე ინსტიტუტიდან უსამართლოდ გარიცხული სტუდენტების (ლ. ასათიანის, გ. შალამბერიძის, აგრეთვე სახუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან გარიცხული სტუდენტი ქალიშვილის სვანიძის) აღდგენის საკითხი გაიტანა ამხ. დევან გაბრიძემ, გამოცდილმა პარტიულმა მუშაკმა, ობიექტურმა, პრინციპულმა ადამიანმა, რომელიც იმ ხანებში ჯერ ქალაქკომის ავტაცია-პროპაგანდის

განყოფილების გამგედ მუშაობდა, შემდეგ მდივნად. თვითონ ლაღო 1988 წლის 10 მარტს ტიო დათარიღებულ წერილში ნიკა აგიაშვილს აცნობებდა: „ჩემი საქმე კარგად მიდის. ლევა გაბრიძემ მოთხოვა, თხოვლობისთვის ინსტიტუტში მაგიდაზე დასკვნა გაეთებული მაქვს და მდივანთან უნდა შევთანხმდეთ“ (ლაღო ასათიანი, ერთგომეული, თბილისი, 1979. გვ. 841).

წიგნის 181-182-ე გვერდებზე ავტორი მოკვითხრობს ლაღოს მოწინააღმდეგეთა მოწყობილ სტუდენტურ ოინზე და წერს: „მასოვს, ერთხელ მოლხენა მოგვწყურდა, მაგრამ ხად იყო საამისო ფული! ლაღოს უცებ მოაგონდა, მიხეილ ალავეიძემ რომ გვითხრა, ჩემი სტიპენდია ხელუხლებლად შევიწახეო ამა და ამ წიგნში, მაგიდაზე რომ მიდევსო. ვიცოდიო, მიშა შინ არ იყო (ბიბლიოთეკაში მეცადინეობდა) და ლაღომ გიორგი შალამბერიძეს უთხრა: „მიბიქო, წადი და დედამისს უთხარა, მიშამ ვამომგზავნა. ფული დასპირდა, ამა და ამ წიგნში მქონია და გამობანერო“. გიორგიმ უნაკლოდ ჩაატარა ეს „ოპერაცია“ და სხვ.

იქნებ ამ „ოინზე“ ლაპარაკი არც ღირდეს, მაგრამ რაკი ავტორი მას იგონებს, საჭიროდ მიმაჩნია დავაწუსტო და მკითხველს სწორ ინფორმაცია მიეცე მის შესახებ.

ეს მოხდა 1988 წლის 7 თებერვალს. ამ დღეს დაიწყო სასწავლო წლის მეორე სემესტრი — ინსტიტუტში მეცადინეობა განახლდა. მე და ლაღო, რაკი ინსტიტუტიდან გარიცხულბო ვიყავით, ლექციებს, ცხადია, ვერ დავეყურებოდით. წინა საღამოს ჩვენმა თანაკურსებმა ნელი დუშაძემ და მისმა ამხანაგებმა ოვიანმა ბინაში მიგვიწვიეს და სოფლიდან ჩამოტანილი პურ-მარლით გავვიმასხინდლდნენ. მაგრამ ეს იყო 6 თებერვალს, მას შემდეგ მთელი 24 საათი გავიდა, ჩვენ კი პირში ლუქმა არ ჩავვიღო...

და აი 7 თებერვალს, საღამოს, ვდგავართ ქუთაისის ბაღის კიდეზე ერთი ლამპონის ქვეშ. თოვს. ლაღოს შოთა ქურძინის ნაჩუქარი ქურთუკი აცვია, საყულო აუწევია, ქული მოუხდია, წყალწყალა თოვლის ფიფქები თავზე ეცემა და უმაღლე დნება. ფეხები სველი გვაქვს. უცებ თვალი მოგვართი მიშა ალავეიძეს. მოგვესალმა. მშვენიერი შავი პალტო ეცვა, ლურჯი შვეიცოტის ქული ეხურა, კაშენი ეცემა, კროალი კალოშები ეღექტრონის შუქზე ლალაპებდა.

— საით გავიწვია, მიშა? — ჰკითხა ლაღომ — ინსტიტუტში, საწარმოო პათობიზე.
სემესტრის დაწყებისას ტრადიციისამებრ ფაკულტეტის საწარმოო თათობი იმართებოდა. ვანიხილავდენე პირველი სემესტრის შედეგებსა და მეორის ამოცანებს.
— წადი, წადი, არ დაგავიანდეს! — ვუთხარით მიშას და მანაც მშვიდად განაგრძო გზა.



უცბე ლაღოს სახე გაუბრწყინდა. მომბრუ-
ნდა და მითხრა:

— ბედნიერი კაცია მიშა არც ში, არც
სწყურია, არც სცივა... პატფონის საყიდლად
სტიპენდიის ფულს აგრძობს... გოგოლის „რე-
ვიზორში“ აქვს შენახული თავის კარადაში.

მიშას მართლაც ნათქვამი ჰქონდა, რომ პა-
ტფონი უნდა ეყიდა. პატფონი მაშინ მო-
დაში იყო, ქალაქის კულტბალაშია ჩვენმა
ამხანაგმა რაუდენ გაბეჩავამ უკვე შეიძინა —
მან მანეთი გადაიხადა.

— გოგია, მოდი, მიშას მაგივრად დავწერო
წერილი დედამისისადმი, რომ ვითომ მიშას
ინსტიტუტის კოსკში წიგნების შესაძენი ფუ-
ლი დაავალდა და გამოუგზავნოს...

— მერე?

— მერედა, იმ ფულით ერთი კარგად ვივახ-
შმოთ.

ლაღოს ჩანაფიქრი ჰქუაში დაშიჯდა.

— მერე ვინ მიიტანს წერილს მიშას სახლში?

— ეგ მართლა საფიქრალია. მე და შენ ვერ
მივალთ, დედამისი ორივეს გვიცნობს.

ჩვენ ამ მისიით არცერთს არ მიგვესვლებოდა.

— გამოჩნდება ვინმე.

მართლაც, სად იყო, სად არა, ნანატრივით
გამოგვეცხადა ჩვენი ერთი ამხანაგი, ბიჭიკო
შოთაძე, ქუთაისელი ბიჭი იყო, ძალიან ცკვიტი,
შედობილი ოჯახის შვილი. დაუსწრებელზე
სწავლობდა. მერე ომში დაიღუპა...

— აქ რას ელოდებით? — გვკითხა ბიჭიკომ.

— შენ გელოდებით... შენ უნდა გვიხს-
ნა! ან ფული უნდა გვიშოვო სადმე სასხეზე-
ლად, ან ერთ ადგილას მიგვეგზავნო, — უთხ-
რა ლაღომ.

— წუხანდელს შემდეგ პირში ლუქმა არ
ჩაგვიდა, — დავსძინე მე.

— ფული მე არა მაქვს, — გვიპასუხა ბიჭი-
კომ, — მიგზავნით კი სადაც გინდათ, მიგეგ-
ზავნებით...

ლაღომ ჭიბიდან ფანქარი ამოიღო, მე ბლოკ-
ნოტი აღმომაჩნდა, ერთი ფურცელი ამოვიბე
და იქვე სახურსათო მაღაზიაში შევედი.

ლაღოს ზელი ძალიან მკაფად მიწასას. ამი-
ტომ წერილის დაწერა ლაღომ იკისრა.

ოვალურ ვიტრინაზე დაყრდნობით ლაღომ
სწრაფად დაწერა დაახლოებით შემდეგი ში-
ნაარსის წერილი:

„დედა! ინსტიტუტის კოსკში ახალი წიგ-
ნები მოუტანიათ. ფული არ მეყო. ამის მომ-
ტანს ჩემი ფულიდან (კარადაშია) 40 მანეთი
გამოატანე. შენი მიშა...“

წერილი ბიჭიკოს უნდა მიეტანა ადრესატი-
სათვის, მაგრამ მან არ იცოდა, სად იყო მიშას
სახლი. ჩვენ ვასწავლეთ: ბაგრატის ტაძრისა-
კენ მიმავალი კიბეები უნდა აველო, იქ ეკი-
თხა ალავიძის სახლი და ყველა მიასწავლიდა.

ჩვენ ჭაჭვის ხილამდე მივაცივდით.

ბიჭიკო დამის სიბნელეში აუუვა კიბეებს...

ველოდებოდით. დრო წოწინით გადიოდა
ბიჭიკო არ ჩანდა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ჩვე-
ნი ღელსანი გამოჩნდა.

თავჩაქინდრული მოდიოდა, დაღვრემილი.

რომ შევეგებეთ, ჭიბიდან ლაღოს მიერ და-
წერილი ბარათი ამოიღო და გვითხრა:

— შინ არავინ იყო. აი თქვენი წერილი. ერ-
თხანს ვიცადე და მერე წამოვედი.

უკანასკნელი იმედი გავვიცრუვდა. რა უნდა
გვექნა? თან თოვას უმატა.

— ცოტაც დაგეცადა. ამ თოვლ-ჭყაპში სად
წავიღოდა? — ვუსაუვედურე მე.

— იქნებ მეზობელთან იყო გადასული. იქაც
გვეითხა — დასძინა ლაღომ.

უცბე ბიჭიკომ იქვე, ჭაჭვის ხიდის თავში
მდებარე სასადილოში შერგო თავი და მას-
ლობელ მაგიდას მიუჭდა. გაგვივირდა. იმედის
ნაბერწალმა გამოანათა.

— მოდით, ბიჭებო, დასხედით, — გვიოხ-
რა ბიჭიკომ. თან სახე უღიმოდა. — არის ოთხი
თუმანი!.. რაც შეეხება წერილს, ქალბატონმა
მაგიდაზე რომ დადო და კარადის გამოსაღე
ბად შებრუნდა. მაშინ ავიღე და ჭიბეში ჩავიდე.
ყველაფერი გასაგებია ვახსნა. ბიჭიკოს თურმე
სურდა გამძლეობაში გამოვეცადეთ.

იმ ოთხმა თუმანმა სამი კაცი კიდევ დაგვა-
ნაყრა. კიდევ შეგავარაზნოხა და კარგადაც გვა-
გვათხო... ორი კოლოფი პაპიროსი „ტემპი“
შევიძინეთ.

ასე დამთავრდა ოთხი თუმნის „ექსპრობრა-
ცია“.

ჩვენი მეგობარი შოთა ამ სტუდენტური ოინის
მონაწილე არ ყოფილა.

მიშა მეორე დღეს ლაღოს შეხვედრია და
უთქვამს: — ვიცი, გუშინ რაც გამოიკეთეთ. შე-
ნი და გოგის მებტი ამას ვერავინ მოიფიქრებ-
და.

ჩვენი და მიშას ურთიერთობა ამ სიტამამებს
არ გაუზარავს.

მიშას ვალი ჭერაც გადაუხდელია...

საინტერესოა ერთი დეტალიც. 87-ე გვერ-
დზე მოთხრობილია, თუ ერთ-ერთ ლექსში რო-
გორ ავაწყობინე ჩემი მორიგეობის დროს სტა-
მბაში რომელიღაც სიტუვის პირველი მარც-
ვალი ორკერ, რათა ამით ლაღოს გული მოს-
ვლოდა.

ახეთი, რამ მართლა მოხდა. „სტალინელში“
იბეჭდებოდა ლაღოს ლექსი „ილიასდში“. იმ
დღეს სტამბაში მორიგეობა მიწვედა როგორც
კორექტორს. ლაღომ მთხოვა: თუ ძმა ხარ,
ჩემი ლექსი კარგად წაიკითხე, რაიმე შეცდომა
არ გამოთვარო. საღამოს მოვალ და მეც
წავიკითხავო.

— შეცდომა როგორ გამომეპარება, აბა, ეგ
რა სათქმელია-მეთქი, — დავამშვიდე ლაღო.

ამ ლექსის საჩაროდ კითხვის დროს ლაღოს
ერთი სტრიქონის წარმოთქმისას უკველთივს

შეცდომა მოხდოდა. სტრიქონს — „თუ ეს სიმღერა გულს გწვავს და გთუთქავს“ — ვერადა ვერ წარმოთქვამდა ისე, რომ „გთუთქავს“ სიტყვასთან ენა არ დაბოლოდა. ალბათ იმის გამო, რომ ამ სტრიქონის სამივე სიტყვა ბ ზეურთიან იწყებოდა და ერთმანეთთან იყო მიწყობილი გწ, გთ, თქ თანხმდებოდა.

ასოთამწყობის ვიზოვე, რომ „გთუთქავს“ სიტყვა შეცდომით აიწყო ასე: გთუთგთუთქავს. მე და ლადო ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და ასეთი ხუმრობისა არ გვერდიებოდა.

ლადო მართლაც მოვიდა სტამბაში; სანამ გვერდში ჩადებულ ლექსს კითხულობდა, სიცხლის ძლივს ვიკავებდი. ხოლოს, იმ სტრიქონამდე რომ მივიდა და თვალი მოჰკრა შეცდომას, გაწითლდა, — ეს რა არისო, — წამოიძახა და შემომიტია:

— ციგანო ხარ, გოგია, შენ ახლავე გაასწორებინე, თორემ გატეტყავ, იცოდღ!

ასეთ შეცდომას განა მართლა გავუშვებდი, მაგრამ სანამ ასოთამწყობს არ ჩავსწორებინე, მანამ ლადოს სტამბიდან ფეხი არ მოუცვლია. გვიან დამემდე დარჩა, ხოლო როცა გაზეთის ბეჭდვა დაიწყო, რამდენიმე ცალი გაქცა, ილიაში ამოიჩარა და შინსაკენ გავუღვიძეთ გზას.

გზადაგზა მიბუზღუნებოდა: — გაზეთში იტყვ რომ დაბეჭდილიყო, ცოცხალი ხომ ვერ გადამირჩებოდაო.

რა ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მე ჩემს მშობლიურ სოფელში დავიწყე მასწავლებლობა, ლადო კი ჭირ კიდევ 1938 წლის გაზაფხულიდან გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ რედაქციაში მუშაობდა. დროდარო წერილებით ვებმეზობლივით ერთმანეთს.

1939 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში რაიონის განათლების განყოფილებამ თბილისში გამოგზავნა ქართული ენისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებელთა რესპუბლიკურ შეკრებაზე.

შეკრება ფურცელადის ქუჩაზე მდებარე მასწავლებლის სახლში ჩატარდა. მეორე დღეს თავისუფალი ვიყავი და „ნორჩი ლენინელი“ რედაქციას მივასურე. რედაქცია ოპერის შენობის პირდაპირ მდებარე სახლში იყო მოთავსებული გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის გვერდით.

დღიის ათი საათი იქნებოდა, რედაქციის კარი რომ შევადე, თანამშრომლები უკვე შეკრებილიყვნენ, ზოგი ახალ გაზეთებს ათვალიერებდა, ზოგს ქაღალდებში ჩაერგო თავი. ასათიანი ვიკითხე.

— გვერდით ოთახშია, — მიპასუხა ერთმა თამაქოჩორა ახალგაზრდამ.

ოთახის კარი დაუკითხავად ნელა შევადე. ლადოს თავი არ აუწევია, რადაცას წერდა...

— შეიძლება? — ხმადალა ჩავილაპარაკე. ლადომ წერას უცებ თავი დაანება, შემიხედა, ლოყები შეუწითლდა, თვალები გაუბრწყინდა და ესლა წარმოსთქვა:

— გოგია, ბიჭო, შენა ხარ?.. ერთმანეთს გადავხევი.

— წუხელის მორიგე ვიყავი, გაზეთი გვეკუნდა. ბიჭებაც იმიტომ იგვიანებენ, — თითქოს თავი იმართლა ლადომ.

გავიგე, რომ ლადო რედაქციაში მუშაობის ძალიან კმაყოფილი იყო. — კარგი ამხანაგები არიან, ნიჭიერები. აქ მუშაობა სახალისოა. ბევრი რამ დავბეჭდე და მომავალშიც დავბეჭდავო, — მუუხნებოდა იგი.

მე ნასაუბრები არ ვიყავი. როგორც საუბარში გარკვევა, დილით ლადოსაც ვერ მოესწრო ჭამა. ჭინები ათას მანეთზე მეტი მდო. თბილისში წამოსვლის წინ ზაფხულის შევბუღების ხელფასი დაგვირიგდა. ასე რომ, ფინანსურად წულგამართული ვიყავი და ლადოს ვთხოვე წამოვლიყო და ხაღმე პური გვეჭამო. თან შევთავაზე, ერთი-ორი ამხანაგი, ვისთანაც ახლოს იყო და ვინც ჩვენი მეგობრობის ღირსად მიაჩნდა, წამოეყვანა.

ჩემი წინადადება მოეწონა, მაგრამ მიპასუხა: — ცოტა დაიცადე, რაღაც საქმე მაქვს, დავამთავრობ და მერე წავიდეთო.

ვიფიქრე: ნეტავ რა საქმე აქვს ისეთი, რომ გადადება არ შეიძლება? ალბათ რედაქტორისაგან რაღაც სასწრაფო დავალება აქვს ან ახალი ნომერია გასარჩევი-მეთქი და ლოდინი დავიწყე.

ლადოს მოუხვენრობა იტყობოდა, წამდაუნუმ საათს დასცქეროდა. ხან შე მომიბრუნდებოდა და შეწყვეტილ საუბარს განაგრძობდა ვიგონებდით ქუთაისში გატარებულ დღეებს, სტუდენტობის დროინდელ ამხანაგებს. მეთხმა, როგორ შევიჩვიე პედაგოგობას, თანამშრომლობ თუ არა ადგილობრივ გაზეთში, გამოწერილი მაქვს თუ არა „ნორჩი ლენინელი“, მისი რომელი ლექსი მომეწონა და სხვ.

დრო ტაატიტ გადიოდა.

— წავიდეთ, ლადო, ხომ ხედავ, რომ საქმე არაფერი გაქვს. რაღა უცად?

— ცოტაც მოიცადე. ამხანაგებს ველოდები, აუცილებელი საქმე მაქვს.

გავიდა ხუთი, ათი წუთი. ლადო გავიდა. მე უცხოს გარემოში თავს უხერხულად ვგრძნობდი.

ბოლოს კარი გაიღო და მოლიმარი ლადოც შემოვიდა.

— აბა, წავიდეთ!.. ისედაც დაგვაგვიანდა... თან ერთი ახალგაზრდა გამოგვეყვა, ლადოზე უფროსი ჩანდა.

იქვე სასტუმრო „თბილისის“ შენობაში ლედის ბარი იყო. ლადომ იქ შეგვიყვანა.

— აქ რა გვინდა? სადმე ისეთ ადგილას შევიდეთ, რომ სასმელ-საჭემელი ბლომად იყოს. ფული მაქვს, ნუ გეშინია, — ვუთხარი ლადოს.



— შენ რა იცი აქაური ამბები.. მე დამიჭერე აქ ყველაზე უკეთესია, — მიპასუხა.

მაგიდას სამნი შემოვუსხედით. მესამის ვინაობა არ მახსოვს, ის კი დამამახსოვრდა, რომ შალვა ერქვა.

მშვენიერი კერძებით გაგვიმასპინძლდნენ. იცლებოდა ღვინოს დაკუთხული, წოწლოკინა ბოთლები.. შიგადაშიგ კონიაკსაც ვწრუპავდით.

საუბარი დრო შეუმჩნევლად გაიპარა. თბილისის ქუჩებში ელნათურები აციმციმდა.

ფულის გადახდის დრო რომ დადგა, ლადომ თავი მოიკლა: — ჩემი სტუმარი ხარ, შენ ფულს როგორ გადაგახდევინებო.

აბა, რა შექნა? თვითრჩული იყო, ჭიუტი... არამც და არამც დანახარჯი მე არ გადამახდევინა.

გაბრუებული გამოვედით ბარიდან. შალვა საღვთო წავიდა. მე და ლადო იქვე, ალექსანდრეს ბაღში შევედით და ერთ მერხზე ჩამოვსხედით.

უცებ თვალი მოგვარი ერთ ჩემს ნათესავს. ლადოს ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, ახლავე დავბრუნდები-მეთქი. ლადო მარტო დავტოვე მერხზე.

იმ ჩემს ნათესავთან სერიზოზა და საუბარში ძალიან გავერთე. ამასობაში თითქმის ნახევარი საათი გავიდა. ლადოსთან რომ დავბრუნდი, ის იხვე მერხზე იჯდა, ორივე ხელი სკამის საჯურჯგეზე გადაედო, ჩასძინებოდა.

შევანჯდრიე. გამოიღვიძა, თვალები მოიჭმინა. საათზე დაიხედა, მაგრამ საათი აღარ მჩვენებდა. მაგაზე, ვილაცას შეეხსნა. ლადომ მიწაზე დაიხედა, ხომ არ დამიფარდაო, მაგრამ, აბა, რას იპოვიდა! ახლა პიჯაკის ჭიბეში ჩაიყო ხელი, ჭერ ერთი, მერე მეორეში, შარვლის ჭიბეებიც მოიქექა. ერთი სამამანეთიანი შემოორჩენოდა.

მწარედ გაიღვიძა: — სამამანეთიანი შექვრა მდღეო პიჯაკის ჭიბეში. ისიც ამოუცლია იმ ცაგანსო, — წარმოთქვა და მაგრად შეუკურთხა.

მე, რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა. — ლადო, აი სამამის მანეთი, გამომართვი, ფული მაქვს, შენ კი, ხომ შედავ, გაუსუფთავებინარო.

— რას ამბობ! ჩვენი ჰირიც წაუღია! დღეს არა მაქვს — ხვალ შექნება! წამო ერთი, რედაქციაში შევიარო.

წავეცი. გზაში მითხრა: — ფეხს იმიტომ ვითრევდი და არ მოგყვებოდი, რომ მონორარი და ხელფასი მქონდა ახალები, მოღარეს ვუცდიდი, თორმეტამდე ხანკიდან არ მოდისო.

რედაქციის შესასვლელთან ერთი მოხუცი ყარაული იდგა. ლადო მიესალმა, ამოიღო უკანასკნელი სამამანეთიანი და ჭიბეში ჩაუღო: — აბა, ვანო ძია, ხვალ დღით ჩემს სახელზე ასი გრამი გადაჰყარი! შეტი არა მაქვს და რა გიყოს! ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. იმ ღამის მატარებლით ცხაკაიაში ვბრუნდებოდი.



ჭმუნვის ფურცელი ან ალექსანდრა პუშკინის ავადმყოფობის ისტორია

„ჭმუნვის ფურცელი“ — ასე უწოდებდნენ ა. ს. პუშკინის ეპოქაში დოკუმენტს, რომელსაც დღეს „ავადმყოფობის ისტორია“ ჰქვია. ეს ახალი სახელწოდება მედიცინის პროგრესს შეესაბამება. ავადმყოფობა ჩვენს დროში, უმეტეს შემთხვევაში ხანმოკლე, ზოგჯერ უსიამოვნო. მაგრამ მაინც მარტოდენ ეპიზოდია ადამიანის ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. გარდა ამისა, სიტყვა „ისტორია“ გულისხმობს ექიმის შენიშვნების ობიექტურობასა და მიუღვამობას დაავადების განვითარებაზე, პაციენტის გაშკაფების შედეგებზე, მის მკურნალობასა და პროგნოზზე.

ამიტომაც, როცა საუბარი პუშკინის ავადმყოფობაზე ჩამოვადრდება, სურვილი გვებადება კვლავ დავუბრუნდეთ ძველებურ დასახელებას — „ჭმუნვის ფურცელი“ რაკილა გვახსოვს, რომ ჭმუნვა უკიდურესი გამოხატულებაა სევდისა.

სასიკვდილოდ დაჭრილ პოეტის მკურნალ ექიმთაგან არც ერთს არ დაუწერია ავადმყოფობის ისტორია.

პუშკინის სიცოცხლეში, მისი დაჭრის თაობაზე შეუდგენიათ ერთადერთი დოკუმენტი, ისიც უფრო საპოლიციო, ვიდრე სამედიცინო-პოლიციის უფროსი ექიმის იოდელიჩის მოხსენება: „პოლიციამ შეიტყო, რომ გუშინ, დღის ხუთ საათზე ქალაქის სასლვარს გარეთ, კომენდანტის აგარაის უკან, შედგა დუელი კამერ-იუნკერ ალექსანდრე პუშკინსა და მისი უდიდებულესობის კავალიერგრაფის პოლკის პორუჩი ბარონ გეკერენს შორის. პირველი მათგანი დაჭრილია ტუჩვით მუცლის არეში. მიუხედავად ყოველგვარი დახმარებისა, რომელიც მისმა უდიდებულესობამ, ლეიბ-მედიკმა არენდტმა აღმოუჩინა, ბატონი პუშკინის სიცოცხლე საფრთხეშია, რის შესახებაც მაქვს პატივი მოვასხნო თქვენს აღმატებულებას“.

გარდა ამისა, მოკაზე მდებარე სახლის ვესტიბულში ვ. ა. შუკოვსკის მიერ შედგენილი რამდენიმე ბიულეტენი გამოაკრეს.

სულ ხუთიოდე სიტყვისაგან შემდგარი უკანასკნელი ბიულეტენი: „ავადმყოფი ფრიალ სა-

ხიფათო მდგომარეობაში იმყოფება“, ტრაგიკულ ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწერა.

ყველაფერი, რაც კი ვიცით პუშკინის ფიზიკური და სულიერი წამების შესახებ სიცოცხლის უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში, დაწერილია უშუალო მოწმეთა მიერ. მათ შორის იყვნენ ექიმებიც: ვ. ბ. შოლიც, ვ. ი. დალი, ი. ტ. სპასკი. ტრაგიკულ პუშკინიანს დასაბამი დაუღო ვ. ა. შუკოვსკის ცნობილმა წერილმა განსვენებულის მამისადმი, რაც გააგრძელა პოეტის მრავალმა ბიოგრაფმა, პირველ რიგში კი პ. შჩეგოლევა.

იმხანადვე კარგად ესმოდათ რუსული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს, რომ მამავალი თაობა პუშკინის შესახებ ყველაფრის შეტყობას მოისურვებდა: „ახლა ვკრებთ, რაც ყოველ ჩვენგანს უნახავს ან გაუგონია, რათა აღვწეროთ ჩვენი და ექიმების მიერ დადასტურებული ქეშმარიტი სურათი“, — ატყობინებდა 1887 წ. ნ თებერვალს ა. ი. ვიაზემსკი ი. ბულგაკოვს.

როცა მოთხრობის წერა დავიწყებ, ა. ს. პუშკინის გარდაცვალების მიზეზებზე რაიმე ახალი კონტაქტების წამოყენება მიწნად არ მქონია. უკვე გვიანაა, აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება, ისღა დამჩრჩნია, პოეტის სხეულთან თავმოყრილ ექიმებთან ერთად მწარედ ვინანო, რომ მან ასე ცოტა იცოცხლა, ასე უღროოდ გარდაიცვალა.

საღამოს ექვს საათზე, ეტლი, რომელშიც პუშკინი და დანჯასი იმყოფებოდნენ, მიადგა თავად ვოლკოვსკის სახლს, სადაც პუშკინი ცხოვრობდა. საღარბაოსთან პუშკინმა დანჯასს სთხოვა, დაწინაურებულიყო და მოსამსახურეები გამოეხმო, რათა იგი ეტლიდან გადმოეყვანათ, აგრძელებს გაეფრთხილებინათ მეუღლემ, თუკი იგი შინ იყო, რომ ჭრილობა არაა სახიფათო.

მსახურები უმალ გამოცვივდნენ და ბატონი ეტლიდან გადმოეყვანეს. კამერდინერმა იგი ხელში აიყვანა.

„გვიმჩნის, ასეთ ყოფაში რომ მივყავარ ხელით?“ — ჰკითხა მას პუშკინმა.

შეიყვანეს კაბინეტში. სუფთა თეთრეული

* იბეჭდება შემოკლებით.

მომიტანეთ, მოითხოვა, გამოიცვალა და დი-
ვანზე დაწვა.

პუშკინი ხასიკვილილო სარეცელზე იმყოფე-
ბოდა¹.

პ. ვ. შჩაბოლვიკი. „პუშკინის დუელი და
სიკვდილი“.

ა. ს. პუშკინი პირველად არ იღვა ბარიერ-
თან. ზოგჯერ საქმე გასროლამდე არ მიდიოდა,
შევიდობიანად შთავრდებოდა.

ბ. ვ. ციავლოვსკიამ პოეტის ხელნაწიბ-
ზე ნახატო რევოლვერები რომ ნახა, „დუელთა
სიგნალიზი“ უწოდა. მან ექვსი ასეთი სიგან-
გაშო სიგნალი დაითვალა. სამი ლიცუემის დამ-
თავრების პირველ წლებში, სამი ციციოსტლის
უკანასკნელ წლებში იყო დახატული. საერთოდ
კი თხოუბეტი „ღირსების საქმე“ გაიხენა. იხე-
დაც ხდებოდა, რომ ორთაბრძოლა ტრაგიკომი-
კურ ხასიათს იღებდა. ვიღებლემ კიუხელბეკერმა
პუშკინი სახუმარო ლექსის გამო გაიწვია დუ-
ელში:

За ужином обелся я,
А Яков запер дверь оплошно —
Так было мне, мои друзья —
И юхельбекерно и тошно.

პირველად შეურაცხყოფილ კიუხელბეკერს
უნდა ესროლა და როდესაც მან პისტოლენტი
შეპართა დასამიწენებლად, პუშკინმა მის სეკუნ-
დანტს ანტონ დელივიგს დაუყვირა: „მოდი,
ჩემს ადგილას დადექი, აქ ნაკლები ხიფათი გე-
ლინ“. პისტოლენტი შეირისა კიუხელბეკერის
ხელში და ტუყამ დელივიგს ქუდი გაუხვრიტა.
პუშკინმა სროლაზე უარი თქვა.

თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ ორთაბრძო-
ლისას პოეტს მუდამ ვაჟაკურად ეჭირა თავი.

კიშინოვში ზუბოვთან ორთაბრძოლის დროს
პუშკინმა ბალი მოიტანა და თავისი მოთხრო-
ბის — „გასროლის“ ერთ-ერთი გმირის მსგავს-
ად, გულგრილად არჩედა მწიფე ნაყოფს,
სანამ მოწინააღმდეგე უმზნებდა. სახედნიეროდ
ზუბოვმა ააცდინა, ხოლო პოეტმა კვლავ უარი
განაცხადა გასროლაზე, როგორც შემდეგ მო-
იქცა მისი მოთხრობის მეორე გმირი.

იარაღით ხელში ღირსების დაცვის აუცი-
ლებლობა აიძულებდა პუშკინს გამუდმებოთ
ევარკიშინთან თვალს და ხელი. განსაკუთრებულ-
ად გულმოდგინებით ემზადებოდა ორთაბრძო-
ლისათვის გრაფ ფ. ი. ტოლსტოისთან, რო-
მელსაც მტკსახელად ამერიკელს ეძახდნენ.
გრინოელოვს ნათქვამი აქვს მის შესახებ, „ლა-
მის უაჩილ და დუელისტი, კამჩატკას გადასახ-
ლებული, დაბრუნდა აღმუტელად!, კარგა მარ-
ჯედაც ხელმწიფეობს“.

პისტოლენტი მოწინაში სროლა პუშკინის
დღის განაწესში შედიოდა, ჭერ სამხრეთში გა-
დასახლებულში ყოფნისას, შემდეგ მიზაილოვსკო-
ვიშიც, სადაც ამ მიზნით სარდაფში ტირიც კი

გამართა. თუ შემთხვევა მიეცემოდა, სიამოვნე-
ბით იბრძოდა რაპირთ, ამაშიც დიდ უსტუ-
ტობას იჩენდა. ახალგაზრდა ოციტერმა ფ. გ.
ლუგინინმა, რომელიც კიშინოვში ყოფნისას
ხვდებოდა პუშკინს, თავის დღიურში ჩაიწერა:
„პუშკინს ვერბძოლედ რაპირით და ძალზე ძლიერ
დამკრა მკერდში“. რამდენიმე დღის შემდეგ
ახალი ჩანაწერი გვხვდება, „...კვლავ შევებრ-
ძოლე პუშკინს. იგი ჩემზე მარჯვედ იბრძვის და
ცხადია, მამარცხებს“.

სტაქანდანტაბის მიმარ დადებანილი დუელის პირობები.

1. მოწინააღმდეგეები დგებიან ერთიმეორი-
საგან ოცი ნახიჯის დაშორებით, თითოეული
მთავანის წინ, ხუთი ნახიჯის მანძილზე აღნიშ-
ნულია ბარიერი. მანძილი ბარიერებს შორის
ბოი ნახიჯის ტოლია.

2. პისტოლენტი შეიარაღებული მოწინა-
აღმდეგეები ნიშნის მიცემის შემდეგ ერთმა-
ნეთისკენ მიდიან. ამ დროს უფლება აქვთ ის-
როლონ, ხოლო ბარიერის გადაბიჯება არავითარ
შემთხვევაში არ შეიძლება.

3. დადგენილია აგრეთვე, რომ გასროლის
შემდეგ მოწინააღმდეგეებს უფლება არა აქვთ
ადგარი შეიცვალონ, რათა ის, ვინც პირველი
ისვრის, იმავე მანძილზე შეეგებოს მოწინააღ-
მდეგის ტუყავს.

4. როდესაც ორივე მხარე გაისვრის, თუ
სროლა უშედეგო გამოდგება, მაშინ ორთა-
ბრძოლა კვლავ განახლდება ანალოგიური პი-
რობების მიხედვით.

5. ორთაბრძოლისას სეკუნდანტებს ევალება
შუამავლობის გაწევა, იმ შემთხვევაში თუ
მოწინააღმდეგეთა შორის მოლაპარაკება იწარ-
მოებს.

6. ქვემოთ ხელის მომწერი, ყველგვარი
რწმუნებულობით აღებურვილი სეკუნდანტები
თავის მხრით დუელის პირობების მკაცრად და-
ცვას უზრუნველყოფენ. ამის თავდება მათი
საკუთარი ღირსება.

დუელის სახედისწერო შედეგი წინასწარვე
გადაწყვეტილი იყო (მოწინააღმდეგეთა შორის
მანძილის სიმცირით და აცდენის შემთხვევაში
ორთაბრძოლის განახლებით). მით უფრო, რომ
სროლის ისეთი ოსტატებისთვის, როგორც
პუშკინი და დანჯასი იუვენე, აცდენა თითქმის
გამორიცხული იყო, ხოლო ლეპაუის სისტემის
მსხვილოპობიანი პისტოლენტი მომკვიდრე-
ბელი ძალბა, ამ მანძილზე, მეტი რომ არ ვთქვათ,
„ორმაგ“ გარანტიას მაინც იძლეოდა.

ახლა საქმის სხვა მხარის შესახებ:

დუელიები რუსეთში ჯერ კიდევ 1702 წელს
პეტრესეული განკარგულებით აიკრძალა. დუე-
ლის ყოველი მოწინააღმდეგე, სეკუნდანტებისა და
ექიმის ჩათვლით მკაცრად ისჯებოდა.

პუშკინმა იცოდა, რომ ეს დუელი დიდად

¹ აღუტეტი — კუნძული აშშ.



განმარტებოდა და უშედეგოდ არ ჩავლიდა, ამიტომაც გადაწყვიტა სეკუნდანტობა უცხოეთის ქვეშევრდომისთვის, ინგლისის საელჩოში მომუშავე მეცენსისათვის ითხოვა, მაგრამ როცა მან უარი უთხრა, თავის ლიცეუმელ მეგობარს დანჯანს მიმართა.

ჩანს, რომ არც პოლოცენიო კ. ვ. დანჯანი იყო შემთხვევით ჩარეული. ბრძოლებში დაჭრილი, მალად კარდევობით დასაბუქრებულ, დამსახურებულ ოფიცერს შეეძლო შეწყალების იმედი ჰქონოდა, ამასთან იგი არც კარიერაზე წრუნავდა, რადგან მარტოხელა კაცი იყო.

დუელის შემდეგ ნიკოლოზ I-ს სტეციალური განკარგულების თანახმად დაადგინეს, „როგორც ვეკერნის, ასევე პუშკინის საქმე გაარჩიოს სამხედრო სასამართლომ. პასუხისგებაში მიეცნენ დუელთან დაკავშირებული პირები, ხოლო თუ მათ შორის აღმოჩნდებიან სხვა ქვეყნის ქვეშევრდომნი, ნუ შეიტანენ მათ სასამართლო სენტენციაში და ნუ დაკითხავენ. მათ შესახებ უნდა წარმოადგინონ განსაკუთრებული ბარათი, რომელშიც განსაზღვრული იქნება თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი შემოხსენებულ საქმეში“.

კომისია მხოლოდ დანტესის და დანჯანის საქმეს იხილავდა, რადგან დანტესის სეკუნდანტობა დ. არშიაკმა სასწრაფოდ დატოვა რუსეთი, ხოლო პუშკინი მეფის განკარგულების გამოქვეყნების დღეს გარდაიცვალა.

დანტესს სამხედრო სასამართლოს საბოლოო ინტენციაში მსგავსი შემთხვევისათვის განკუთვნილი სტანდარტული სახელი ვანუსაღვრა:

„კამერ-იუნკერ პუშკინის დუელში გაწვევისა და მოკვლისათვის, აყუაროს სამხედრო წოდებები და მის მიერ რუსეთში მოპოვებული თავადის წოდება. ჩამოჭვივებულ იქნას რიგით ჯარისკაცად და ხანისპეტციო დეპარტამენტის მიერ გამწესდეს სამსახურში“. მაგრამ ეს განაჩენი ნიკოლოზ I-ს მეტად მკაცრი იქნა და მან საკუთარი ხელით დაწერა: „ვიინადან გეკერნეი რუსეთის ქვეშევრდომი არ არის, ჩამოერთვის ოფიცერის პატენტები და უნდარმის მიერ გაყვანილ იქნას საზღვარგარეთ“.

ხოლო რაც შეეხება დანჯანს, პუშკინის ვარაუდ საფუძვლიანი გამოდგა, სამხედრო სასამართლოს საბოლოო განაჩენით კომისიამ იგი მსუბუქი დისციპლინარული სახელით დასაჯა (პაუტჯახტა), რის შემდეგაც იგი სფსგებით რეზიდენტირებული იქნა.

ორთაბრძოლის ადგილზე ექიმის ბარათი მარტო დუელის ნაჩქარევი მომზადებით არ აიხსნებოდა, არამედ იმითაც, რომ მოწინააღმდეგებს არ უნდოდათ კანონის დამრღვევთა რიცხვში კიდევ ერთი ადამიანის გარევა.

დუელი პეტერბურგის შემოგარენში, კომენდანტის აგარაკის მაზლობლად შედგა. მოგვანებით პოეტის ბიოგრაფიმა, ქალაქის ძველ რუკაზე მოხიზკავენ პუშკინისა და დანჯანის

გზას „რორნაია რჩკასენი“, გადავილიან ტროიკის ხილს, გაუუვებიაან კამენოოსტროვსკის პროსპექტს და გამოთვლიან, რომ მანძილი მოიკავე მდებარე სახლიდან დუელის ადგილამდე რვა კილომეტრია. რადგენ ეს გზა ყველაზე მოკლე იყო, ერთი საათის შემდეგ, გეკერნის ეტლში მყოფი დაჭრილი პუშკინი იმავე გზით დაბრუნდა შინ.

ცნობისმოყვარე თვალთმა და გამოვლ ქარს რომ დამალოდნენ, ორთაბრძოლისათვის შეარჩიეს პატარა ხეივანი, რომელიც ნაწილობრივ დღემდე არსებობს. პუშკინის დაბადების ასი წლისთავისათვის იმ ადგილზე მოკრძალებული ობელისკი აღმართეს, მაგრამ იმ დღეს დატრიალებულ ტრაგიდიაზე, ძველზე უკეთ ვგვარობიქვე მაზლობლად აშენებული მეტროს სადგური „რორნაია რჩკა“ მეტყველებს, რომელსაც უჩვეულო სკულპტურა ამშვენებს. ნ. ვ. ანიკუშინს პოეტი ფეხზე მდგარი გამოუძერწავს, მხრებზე წამოსხმული ფრილიანა ამოსახსნილად ძირს დაშვებული და თითქოს სალოცავად დადობილი ხელები მოუჩანს. მისი გარეგნულად გულგრილი, აუღელვებელი იერის მიღმა, განცდათა ურთულესი გამა იმალება: რისხვა, ტკივილი, გულოვნობა და ქედუხრელობა გარდაუვალის წინაშე.

1887 წლის ზამთარი უხვთოვლიანი იყო და სეკუნდანტები იძულებული იყვნენ ბილიკი გაეტკეპნათ. ღრმა თოვლი ფართე ნაბიჯების გადაადგმის საშუალებას არ აძლევდათ, რამაც თავის მხრივ უფრო დიდი საფრთხე შეუქმნა ორთაბრძოლის მოწინააღმდეგეებს.

ბარიერები ფარაჩებით მონიშვნს. დათვის ქურჭში გახვეული ალექსანდრ სერგეევიჩი თოვლის ბორცვზე წამოშდარიყო და დუელისთვის მზადებას მშვიდად ადევნებდა თვალს.

ზამთრის ხანმოკლე დღე იწურებოდა. მოწინააღმდეგეებმა საწყისი პოზიციები დაიკავეს და დანჯანის ნიშანზე დაიძრნენ ერთმანეთისკენ. პუშკინი სწრაფად მიუახლოვდა ბარიერს და მოწინააღმდეგის მიწანში ამოღება დაიწყო.

დანტესმა დაასწრო და სანამ ბარიერს მიაღწევდა, ესროლა.

პუშკინი პირქვე ჩაეშო თოვლში. მაგრამ ვასროლის ეკო ჭერ კიდევ არ იყო მიმჭრალი, რომ დაჭრილმა ოდნავ წამოიწია, შეაჩერა პოზიციიდან ჩასული მოწინააღმდეგე და ადგილზე დაბრუნება მოსთხოვა, რათა თავისი უფლებით ესარგებლა და ესროლა.

პუშკინს ეყო ძალია ხელის აუთრთოლებლად დაემიჯნებინა და ჩახშობისთვის გამოეკრა, როცა დაინახა, რომ დანტესი პირქვე ეცემოდა, შესძახა, „Bravo!“ და გრძობდა დაკარგა. პუშკინმა არ იცოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხელში დაჭრა მოწინააღმდეგე. იმ ხელში, რომლითაც იგი

მკერდს იფარავდა. როდესაც პოეტის გონს მო-
ეგო დანტივის უკვე ფეხზე იდგა.

პოეტი მარხილზე დააწვიანეს და ნახიჯით
გაუდგინა ოღრო-ჩოდრო გზას. კომენდანტის
ავარჯიან უფროსი გეკერენის მიერ ყოველი
შემთხვევისათვის გამოგზავნილი ეტლი დახვე-
დათ. პუშკინი ისე ჩასვეს ეტლში, რომ მისი
პატრონის ვინაობა არ გაუმხელიათ. გზაზე
აღექსნადრ სერგეევინის ძლიერი ტყვილელები
სტანკავდა, მაგრამ არ ჩიოდა, მხოლოდ დრო-
დადრო გონს მკარავდა.

ორთაბრძოლის ადგილზე მას ეგონა, რომ
ბარძაყში იყო დაქრული, მაგრამ ეტლში უკვე
ნათელი გახდა, რომ ტყვიის მუცელში მქონდა
მოხვედრილი.

„— ვნისობ, რომ შერბაჩევივით ვარ დაქ-
რილი“, უთხრა მან დანჯასს. გაახსენდა ნაც
ნობი ოფიცირის ადრინდელი დუელი, რომელიც
მუცლის სასიკვდილო ჭრილობით დასრულდა.

მკურანალოვბა

უკეთ, რომ გავრცევეთ, რა სახის ჭრილობა
მქონდა პუშკინს, ვცადოთ მის სხეულში ტყვიის
ტრაექტორიის განსაზღვრა.

იმ დროს, როცა ეს ამბავი მოხდა, დუელში
ორი სახის კლასიკურ პოზიციას მიმართავდ-
ნენ: პირველი პოზიციის თანახმად პისტოლეთ-
მომარჯვებული მოწინააღმდეგეები მკერდგაშლი-
ლი დგებოდნენ ერთმანეთის პირისპირ, ხოლო
მეორე პოზიციის თანახმად, გვერდულად იდგ-
ნენ და წინ გაშვებული ხელი ნაწილობრივ
უფარავდნენ სახესა და მკერდს.

შ. ი. უდერმანმა ღრმად შეისწავლა ეს სა-
კითხი და იგი თვლის, რომ პუშკინმა (ისევე,
როგორც დანტესმა) მეორე პოზიციას აირჩია,
მაგრამ მან ვერ მოახსრო ამ პოზიციის თანახ-
მად სხეულის ნახევრად შებრუნებას, რომ
მოწინააღმდეგემ უკვე ესროლა. სწორედ ამან
განაპირობა ჭრილობის მდებარეობა: თქმის
ძვლის ფრთიდან ასხეტებულმა ტყვიამ ისე
გაიარა ორგანიზმის სიღრმეში, რომ მნიშვნე-
ლოვან სასიცოცხლო ორგანოებს არ შეხებია.
შემდეგ გავის ძვალს დაეჭვება, ორად ვაპო
იგი და მჭიდროდ ჩაქდა მის სიღრმეში.

3. ი. დალი თავის ჩანაწერში. — „პუშკინის
გვამის გაკეთება“, სისხლდენის საფარაულო მი-
სენაში — ბარძაყის ვენის დაზიანებას ახახე-
ლებს, მაგრამ იგი კატეგორიულად არ ლაპარაკობს
ბარძაყის ვენიდან სისხლდენაზე, მხოლოდ
ვარაუდობს — „უთუოდ გაგლეჩილი ბარძაყის
ვენიდან“.

ჩემის აზრით, დალის შეცდომის მიზეზი შემ-
დეგში მდგომარეობს:

პუშკინის გარდაცვალების შემდეგ ვ. ი.
დალს, როგორც მის მეგობარს, სახსოვრად ერგო
ორი ფასდაუდებელი წიგნი: ზურმუხტისთვლი-
ანი ბეჭედი და შავი სერთუკი, რომელიც პო-
ეტს 1837 წლის 27 იანვარს ტანზე შემოარდ-

ვიეს, რომ მისთვის ტანგვა შეემსუბუქებინათ.

1858 წ. ი. ბ. პუშკინი, რომელიც ცნობილი
კატორღიდან ბრუნდებოდა, ვ. ი. დალს ესტუმრა
წინეინ-ნოვგოროდში მასპინძელმა მას ტყვიით
გახვრეტული პუშკინის სერთუკი უჩვენა. სა-
ზარდულთან მარჯვენა მხარეს სერთუკის კალ-
თას ფრჩხილისოდენა ნახვრეტი აჩნდა. ეს
სახედისწერო ტყვიის კვლი იყო. სწორედ
ამ ნახვრეტმა მიიყვანა დალი იმ აზრამდე, რომ
პოეტს ბარძაყის ვენა მქონდა დაზიანებული.

მაგრამ ვ. ი. დალმა ვერ გაითვალისწინა ერთი
გარემოება: როდესაც პუშკინი ახლო მანძილიდან
უმიზნებლად თავისზე მაღალ დანტესს, მის
გამართულ ხელთან ერთად, სერთუკის მარჯვენა
კალთამაც აიწია და ფაქტიურად ტყვიას იმ
ადგილზე მაღლა მოხვედა, რომლის განსაზღვ-
რაც სერთუკის საშუალებით შეიძლებოდა.
ამით ნათლად გამოჩნდა, თუ რამდენად მქონდა
პუშკინს ხელი მაღლა აწეული.

სალამოს ექვს საათზე, ქალაქში უკვე ბნე-
ლოდა, როდესაც სასიკვდილო დაქრული პუშ-
კინი შინ მიიყვანეს. მან იმდენი ძალა კიდევ
მოიკრიბა, რომ ნატალია ნიკოლაევანა დაემშ-
ვიდებინა და ტანთ გამოეცვალა.

დანჯასი ქემის მოსაყვანად გაეშურა.
აქლით რომელი იყო საღამო მანს პეტროვარად-
ში ქირურგის პოვან. პირველი, ვისაც მიავანო
შოსპისტელსა და ექიმთა ბინებში სიარულით
ქანცაწყვეტილმა დანჯასმა, სამშობიარო საქ-
მისა და მეანობის დიდი სპეციალისტი ვ. ბ.
შოლცი განხლდა. მას არ დასჭირვებია ბევრი
ახსნა-განმარტება, უმალ აღუთქვა დანჯასს,
რომ ქირურგის ოანლებით სასწრაფოდ ეწვი-
ოდა პუშკინს.

მართლაც სულ მალე კარლ ზადლერთან ერ-
თად მივიდა. ის, რომ პუშკინი ფრიად მშიმედ
იყო დაქრული, შოლცი უკვე იცოდა, როგორც
დანჯასისაგან, ასევე თავის კოლეგისაგან, რო-
მელსაც ის-ის ხყო გადაეხვია ხელი დანტესი-
სათვის.

ზადლერისაგან განსხვავებით ვ. ი. შოლციმა
მეტისმეტად მარტივი, თითქმის ოქმის ყუი-
დაზე დაჭრილი მოგონება დატოვა. მისი ჩა-
ნაწერი, თუმცა სტილისტურად საკმაოდ მოი-
კოკლებს (ცხოვრებაშიც ეს პრუსიელი როტ-
მისტრის ვაჟი, რომელმაც სამედიცინო განათ-
ლება ღერბტის უნივერსიტეტში მიიღო, მუდამ
დამტკრული რუსულით ლაპარაკობდა), მაინც
გვიქმნის წარმოდგენას არამარტო იმდროინდე-
ლი ქირურგის უძღურებაზე, არამედ აღექ-
სანდრ სერგეევინის ვეჟაკობაზე, რაზეც ნათ-
ლად შეტყვევებს დაქროლის სურვილი. სრული
სიმართული სცოდნოდა თავისი მდგომარეობის
შესახებ.

აი, რამდენიმე სტრიქონი ამ ჩანაწერიდან:
„ჭრილობის ვასინჯვისას ავადმყოფმა მო-
ითხოვა, ცოლი და უველა შინაური ოთახიდან
გავიდნენ. მე რომ დამინახა, ხელი გამომიწო-



და და თქვა: „ცუდადაა ჩემი საქმე“. ჩვენ ჭრი-
ლანის განიჭვას შევუდგეთ. ექიმო ზადლერი
კი ინსტრუმენტების მოხატვანად გავუშურა.

დაჭრილობა ზამთარში, ვარკვევით შეიხრა: „ჩას
ფიქრობს ნემო ჭრადლობის შესახებ“. ვასროლი-
ხას ძლიერი ნიჭი ვაგრძენი შევრღვი და წილ-
ში უშინდ გამოვალა. სისხლი თქრიალით წამო-
წვიდა. გულახდილიდ მითხარით თქვენი აზრით“.

„ვერ დაგიმალავთ — ჭრილობა სახიფათოა“.

„მითხარით, სასიკვდილოა?“

„ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, არ დაგიმალავთ
ეს, მაგრამ დავულოდლო არენდისა და ხალო-
მინის აზრს. იმათ მოხაყვანად უკვე წავიდნენ“.

„მადლობელი ვარ, სიმატილე რომ მოხა-
რიო, როგორც პაციოსან კაცს შეეფერება...
ახლა ჩემს საქმეებს მივხედავ“. — რამდენიმე
წუთის შემდეგ თქვა: — ისე მერყევენა, თით-
ქოს ძლიერი სისხლდენა მაქვს“.

ჭრილობა გავუხიწყე. ძლიერი სისხლდენა
არ ჰქონდა. ახალი კომპრესი დავადე.

როგორღე ახლო მეგობრის ნახვას ზომ არ
ისურვებდით?

„მშვიდობით მეგობრებო!“ (თქვა მან და
ბიბლიოთეკას თვალი მოავლო).

„ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ერთ საათსაც
ვეღარ ვაკვატან?“

„ო, არა, არა! ეგ არ მივუღისხნია. უბრა-
ლოდ ვიფიქრე, იქნებ რომელიმე მათგანის ნახ-
ვა გესიამოვნებოდათ...“

დროებით შევწყვიტეთ ექიმ შოლციის თხრო-
ბა და ვცადოთ იმის წარმოდგენა, ვინ ნახვას
მოხსურებდა პუშკინ ამ კრიტიკულ მომენტში.

პუშკინს უამრავი მეგობარი ჰყავდა, მაგ-
რამ იმდროისათვის ბევრი მათგანის ნახვა შე-
უძლებელი იყო: „ვინ სამუდამოდ დავტოვა,
სხვები კი შორეთს არიან...“

უბრალოდ წავიდა ანტონ დევივიტი და მისი
დამტრებელი პოეტი ასე სწერდა პლტერნოვს:
„ჩვეყნად არავინ მყავდა იმაზე ახლობელი“.
1831 წელს ლიკუბოში „წმინდა წლისთვის“
აღნიშვნისას, პუშკინმა წინასწარმეტყველურად
თქვა:

«...И мнится очередь за мной,
Завет меня мой Дельвиг
милый...»

სიცოცხლის უკანასკნელ საათებში პოეტი
კიდევ ორ სიყრმის მეგობარს იხსენებდა, ივანე
პუშკინსა და ივანე შალიფოვსკის, ნანობდა „რომ
გვერდით არ ედგენ ისინი. „სიკვდილი ნაკლე-
ბად გამიჭირდებოდა“.

შოლცი თვის პორტრეტში კატეგორიული
არ იყო. იგი თვლიდა, სპიროს ავტორიტეტუ-
ლი აზრის მოხმენაო. ყველაზე დიდი ავტო-
რიტეტით ექიმთა შორის ხარგებლობდა ლეიბ-
მედიკი ნ. ფ. არენდტი, რომელმაც შემდგომში
თავის თავზე აიღო პუშკინის მეტრანალობის
ხელმძღვანელობა.

მის დაბრუნებულმა არენდტმა, როგორც კი
დანახის მიერ დატოვებული ბარათი ნახა, უშინდ
ჩაქდა იმავე ეტლში, რომლითაც ის იყო მო-
ვიდა. შეიტლეს ჭრ ვერ მოეწრო გაბრუნება
და შეიკის ქუჩაზე მდებარე ვოლკონსკის სახ-
ლდესხეი გააქროლა. იქ მას მოუთმენლად ელოდ-
ნენ.

შესვლისთანავე კამერდინერს ხელმეზღვე დაუგ-
დო ქურდი და ფორმის სერთუქში დარჩა, „მად-
დამირით“ ეისერზე. არენდტი ისეთი თანამდ-
ბოზა ეჭირა, რომ ზიარად უხდებოდა სახაბლის
კარზე ყოფნა, ამიტომ უნდა ეტარებინა ეს
ფორმა, რომელიც ავადმყოფებთან ურთიერ-
ობისას მოხაბრებელი არ იყო.

ლეიბ-მედიკი თავის დაკვირთ მიხსალმა ოთახ-
ში მყოფი და უხიტყვოდ მიუახლოვდა პუშ-
კინის საწოლს. ყველამ შეშფოთებით მიაპყრო
მწერა დაკვირთ პოეტის სარეცელზე დაბრძო
სახელგანთქმული ექიმს.

გამოცდილი ქირურგისთვის, ვინც დაჭრილებს
ოცდაათამდე ბრძოლაში უწევდა სამედიცინო
დახმარებას, უშინდ ნათელი გახდა პოეტის უი-
მელო მდგომარეობა.

ექიმის ჩვეულებრივი ნიღაბი — კეთილი
ღმილი, პირმრგვალ სახეზე უშინდ შეაშრა
არენდტს:

„პუშკინს, ამ შორსმჭრეტელ ადამიანს, აღარ
ესაჭიროებოდა ჩაიჩენა ჩაიჩენა, მაგრამ მან
მაინც კითხა, თუ რას ფიქრობდა ჭრილობაზე
ნიკოლაი ფეოდოროვიჩი და დაუბაძა, რომ
არ შეშფოთებდა, როგორი პასუხიც უნდა
მიიღოს. აუცილებლად ესაჭიროება კემშარტე-
ბის ცანკარა, რათა დროზე ვასეთი გადაუღებე-
ლი ედაკარგულიყნის.“

ა. ამოსოფმა დანახის მონაყოლი ამ სცენის
შესახებ, ასე ჩაიწერა:

„თუ ასეა, — უპასუხა პოეტს არენდტმა, —
ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ თქვენი
ჭრილობა ძალზე სახიფათოა და ფაქტიურად
არ მაქვს თქვენი გამოკეთების იმედი“.

პუშკინმა გულახდილობისათვის მადლობა გადა-
უხადა და სთხოვა, ჩემს ცოლს ნუ გაუმე-
დავენთ ამ ამბავს.

დამშვიდობებისას არენდტმა პუშკინს უთხ-
რა, რომ მისი ვალია, ყველაფერი ხელმწიფებს
მოახსენოს. პუშკინმა არაფერი უპასუხა იმის
გარდა, რომ მისი სახელით ეთხოვა ხელმწიფე-
სათვის, არ დაეხატა სეკუნდანიტი.

გასვლისას არენდტმა უთხრა დანახს,
— ცუდადაა საქმე. სიკვდილს ვერ გადაურ-
ჩება.

მაგრამ ვიდრე წავიდოდა, ავადმყოფს რამდ-
ენიმე უმარტივესი დანიშნულება მაინც დაუტო-
ვა: სრული სიმშვიდე, ცივი საფენი მუცელზე
და ცივი სახმელი — მადლი უფალს, ზამთარში
იდეა და ყინული საძებარი არა ჰქონდათ.

ალბათ არენდტმა მაშინვე გადაწყვიტა ჭრი-

ლობის ზონდირებაზე ხელი აეღო, რომ უფრო არ გაემდიერებინა „სისხლდენა“.

პოეტის ბედმა ურიცხვი ხალხი ააღელვა. რაც მის ისეთ დიდ მოპულარობაზე მეტყველებდა, რომლის მასშტაბების გათვალისწინება მის საუკეთესო მეგობრებსაც კი არ შეეძლოთ.

სახლთან შეყრილებს ემატებოდა და ემატებოდა ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა მირავლობდა, ცოტადა აკლდათ, რომ ბინაში შეჭრილიყვნენ. წესრიგის დასაცავად დანაშაუს პრეობრაიეტისის პოლიცია უარაუღოთა განაწესის გამოძახება დასჭირდა. ოზივატელს ვერ გაეგო პოეტის სახლთან თავმოყრილი ხალხის გლოვის არსი და გაოცებას ვერ მალავდა. მოციკის სანაპიროზე გამგელემა ერთმა მოხუცმა გოგონამ ასე გამოხატა:

— დმერთო ჩემო! მახსოვს, როგორ კვდებოდა ფელდმარშალი, მაგრამ ასეთი ამბავი მაშინაც კი არ მომხდარა.

ამ ოზივატელს არც კარგად ცნობილი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და განათლების მინისტრი ს. ს. უფაროვი ჩამორჩა. მან „ლიტერატურული დამატების“ რედაქტორს და პუშკინზე დაწერილი ნეკროლოგის ავტორს ა. ა. კრავესკის ასეთი სიტყვებით უსაყვედურა:

— რას ნიშნავს ეს შავი ჩარჩო, იმ განცხადების ირგვლივ, რომლითაც გვაცნობებთ ისეთი პიროვნების გარდაცვალებას, ვისაც არა თუ გააჩნდა რაიმე ჩინი, არამედ სახელმწიფო სამსახურშიც კი არ იმყოფებოდა? „მზე პოეზიისა“, გეთყუვათ, რით დამსახურა მან ასეთი პატივი? „პუშკინის სიცოცხლე გრანდიოზული სარბიელის შუა აქვს შეწყდა“. ნეტავ რომელ სარბიელზეა აქ ლაპარაკი? მხედართმთავარი იყო, მინისტრი, სახელმწიფო მოღვაწე? შაირების წერა როდი ნიშნავს გრანდიოზული სარბიელის გავლას!...

სახალხის მოედნიდან მოიკავე მოვარდნილი ცივი ქარი თოვლს სახეში აყრიდა პოეტის სახლთან თავმოყრილ ხალხს, თითქმის მათ გაფანტვას ცდილობდა, მაგრამ ადგილიდან არავინ იძროდა, ყველა მოთმინებით ელოდა ცნობებს პუშკინის მღვამარეობაზე. ბინიდან გამოხსული ყოველი მხრიდან ესმოდათ შეკითხვები.

დაჭრილი რომ ხმაურს აკ შეეწყუებინა, მეგობრებმა შემოსასვლელიდან წინა ოთახში გამავალი კარი ჩაარაჭეს და კაბინეტის მომიჯნავე ოთახში შედწევა ახლა მხოლოდ პატარა სახალილოს გავლით შეიძლებოდა.

ვესტიბიულში ვუკოვსის მიერ დაწერილი ბიულეტენი გამოაკვს:

„ღამის პირველი ნახევარი შფოთიანი იყო, შემდეგ მღვამარეობა შედარებით გაუმჯობესდა, არ გაჩენილა არავითარი ახალი საშიში ნიშნები, მაგრამ ასევე არ ჩანს და არც შეიძლება იყოს შევების იმედი“.

პუშკინი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და მისი დაჩქარება სურდა:

— ნეტა კიდევ დიდხანს უნდა ვეწამო? — და ისე შესთხოვა დალს, თითქმის მასზე იყო დამოკიდებული ყველაფერი: — გეთაყვა, ჩემო...

სისუსტე და ქოშინი ლაპარაკს უშლიდა. ვლადიმერ ფანოვიჩი „სახეში მისჩერებოდა, ხედავდა მის ჩათეთქველ ნაკეთებს, როგორც პერიტონიტი დაავადებას აჭებოდა და ცდილობდა დამეშვიდებინა იგი:

— არა, მე აქ ყოფნა აღარ მიწერია, — სასუზობდა პოეტს, როდესაც დაიმედებას უპირებდნენ. — დადგა ჩემი აღსასრული. რას იზამ, ალბათ ასეა საჭირო...

იგი არ ჩიოდა, არავის აბტყუნებდა, მადლიერი იყო ყოველგვარი უმნიშვნელო წვრილმანისთვისაც კი: წყალს მიაწოდებდნენ, ლოგინს გაუსწორებდნენ თუ გვერდს შეუწაცვებდნენ. — ძალიან კარგი, დიდებულია, — გამოდმებით იმეორებდა, ცდილობდა ერთგვინა ყველასათვის, კმაყოფილი ვარო.

მისი სიტყვები ცრემლს ჰგვრიდა იქ მყოფთ. თვით არნედტოც კი, რომელსაც მრავალჯერ ენახა სიკვდილი, ჩუმად ვასცილდა დაჭრილს, თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა და თქვა, ასეთი მომთმენი ავადმყოფი არასოდეს შემხვედრიაო. ვ. ი. დაღმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაივიწყა აუტანელი ტანჯვისგან გაწამებული დაჭრილის დაკრებილი კბილები, მასინაც კი, როცა გონს ჰპარავდა, ტუჩებს კრუნჩხვა უზიროლებდა..

ალექსანდრ სერგევიჩმა იკითხა, რა ხდება ჩემს სახლშიო.

— ბევრს აშფოთებს შენი მღვამარეობა, დარბარი ხალხითაა სავსე.

ამ სიტყვებმა დაჭრილს გული აუჩუყა.

— მადლობელი ვარ... — თქვა და სთხოვა, ნატლია ნიკოლაევნა გაამხნევეთო. „უთხარით ჩემს ცოლს, რომ მადლობა დმერთს, არც ისე ძალიან მიჭირს, თორემ ვინ იცის, რას მოურჩაბავნენ“.

როდესაც ავადმყოფს მუცელზე ოცდახუთი წურბელა დაასხეს, პულსი შედარებით რბილი და თანაბარი გაუხდა.

„როგორც წყალგაღებული ექილმე ბავს, — იხსენებდა ვ. ი. დალი, იმედის ამ პაწაწინა ნაპერწყალს მოვატყუებინე თავი და მეგობრებიც. პუშკინმა შემამჩნია, რომ გავმხნევი, ხელზე ხელი წამავლო და მკითხა: „დალ, სიმართლე მითხარო, მალე მოვკვდებიო?“. ჩვენ ჭირ კიდევ ვაქვს იმედი, მართალს გეუბნები, იმედი გვაქვს!“ ხელზე ხელი მომიჭირა... მაგრამ უთუოდ მხოლოდ წამით ირწმუნა ჩემი იმედინაობა. არც მანამდე და არც მას მერე აღარ ამაულია ცთუნებას“.

ცოტა ხანში ტკივილი მიუფურჩა, მაგრამ



ახლა უსაზღვრო სევდა მოვაძალა და ეს როდი იყო ტანჯილზე ცხელი მხედველობა. — დრო-დადრო ვმეორებოდა პუშკინი, — გული მიღლოდებოდა.

ნოზავედებებში სევდამ, ტკივილის ამ ექვივალენტში გაუშსება დაჭრილ შთელი არსება, სული ეხუთბოდა, იგი კვიდობობდა ამ მიმდებარეობისგან განთავისუფლებას და წარამარა სთხოვდა დაღს ბალიშის გასწორებას, წამოწევას, ან გვერდის შენაცვლებას.

უეცრად დაღს მკლავზე ხელი მოუჭირა და ნათქვამი:

— ამწი, რაღას უყურებ, წავიდეთ მაღლა, უფრო მაღლა. წავიდეთ-მეთქი და უცებ თავისივე სიტყვებზე ჩაეცინა.

— მომჩვენა, თითქოს მე და შენ ამ წიგნების თარობებზე მივბოლავდით, მაღლა, მაღლა და თავბრუ დამებოდა.

დალით ადრე ექიმი სპასკი მოვიდა. წინა ღამით ალექსანდრ სერგევიჩი ცოტა იმედმოცემული დატოვა, რადგან წურბილების დასმოსამდე ვყვებოდას მოჩვენა, რომ ავადმყოფს უკეთესი პირი უჩანდა, მაგრამ პუშკინი თვალდათვალი „დნებოდა“, როგორც ჩაიწერა ივანტატიშვილისგან. ავადმყოფს ხედები გასციმბლდა, მაჟა ოდნავ ესინებოდა, სუნთქვა გახსნარბული და წვეტილი ჰქონდა.

ოთხი ექიმისაგან შემდგარი კონსილიუმი: პრინცი, სპასკი, დალი და ანდრეევსკი ერთხმად მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ აგონია იწყებოდა.

„საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. 29 იანვრის შუადღე იდგა, — იხსენებდა დალი, — პუშკინს საათის სამი მეოთხედი და რჩენოდა სიცოცხლე“.

შემოსასვლელში თავმოყრილი მეგობრები მიუახლოვდნენ. მოულოდნელად პუშკინმა თავი გაახილა და მიწამყვალს მოითხოვა.

გაგზავნის მის მოსატანად.

დაჭრილი მოუთმენლად ეღობა მიწამყვალს მოტანას. ნატალია ნიკოლაევნამ თავისი ხელი მისცა მიწამყვალს რამდენიმე მარცვალი და წვენიც დააღვირა.

პოეტს სიმშვიდე მოეფინა სახეზე და მეუღლედ ცოტა ამდმომცემული გავიდა ოთახიდან.

მაღლა ამწითო, ითხოვა ალექსანდრ სერგევიჩისგან.

დაღმა იოლად ასწია ზევით. უეცრად პუშკინი შეაჩერდა მას და წარმოთქვა:

— დასრულდა სიცოცხლე!

დაღმა კარგად ვერ გაიგო მისი ნათქვამი და ხმადაბლა ჩაეკითხა:

— რა დასრულდა?

— სიცოცხლე დასრულდა, — გარკვევით უპასუხა მან. — სუნთქვა მიმძიმბ, გულზე რაღაც მაწევბა.

ეს პუშკინის უკანასკნელი სიტყვები იყო. პოეტის სიკვდილის კონსტატირებისას დალი იხსენებდა:

„ითელ სხეულში მოეფინა სიმშვიდე. ხელეტი მხრებამდე გაუცვიდა, ასევე ფეხის თითები, ტერფები და მუხლები. ხშირი, წყვეტილი სუნთქვა თანდათან მიუხედავად, ჩაუწყნარდა, კიდევ ერთი სუნთქვით, თითქმის შეუმჩნეველი ამოფრთხივდა და გაუწოხმებდა, უკიდევანო უფსკრულმა მოსწყვიტა იგი ცოცხალთ. ისე მშვიდად მიიცივალა, გარშემო მყოფთ ვერც კი შეამჩნიეს, რომ იგი აღარ იყო.“

1887 წლის 29 იანვრის შუადღის ორი საათი და ორმოცდახუთი წუთი იყო.

შეიძლებაოდა თუ არა პუშკინის ბადარჩენა?

ეს საკითხი იმდენად ბუნებრივია, რომ ვერც ჩვენ ავუვლით გვერდს.

ვ. ი. დალის ჩანაწერიდან „პუშკინის გვაშის გაკეთა“, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ცეცხლმხროლელი იარაღის ტყვიით დამსხვრეული მენჯის ძვლისა და მუცელში დატარებული მცირე რაოდენობის სისხლის გარდა, ავადმყოფს განუვითარდა მუცლის ფჯრის ანთება, რის მიზეზიც უთუოდ წვრილი ნაწლავის კედლის გარკვეული მონაკვეთის კვდომა იყო („გროშის ხეღა“, როგორც აღნიშნა დაღმა).

ნაწლავის კედლის ცვლილების მიზეზი დღემდე არ არის დაწესტებული. ზოგს მიაჩნდა, რომ ეს ტყვიით დაწინებამ გამოიწვია, ზოგი კი მენჯის ხასრი ნამსხვრევებით მიყენებულ ჭრილობას ასახელებს, თუმცა პერიტონიტის განვითარებისათვის ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

„გაკვეთამ ცხადყო, რომ ჭრილობა უდავოდ სასიკვდილო იყო“, — დადასტურა ვ. ი. დაღმა.

მაგრამ ვიდრე გამოვარკვევდით, თუ რატომ გამოიქნა ვ. ი. დაღმა ასეთი კატეგორიული დასკვნა, რამდენიმე სიტყვა თვით გაკვეთის პროცედურის შესახებ:

გაკვეთა შესრულებულ იქნა თანახმად სამხედრო კოლეგიის 1779 წ. დადგენილებისა, რომლის მიხედვითაც სავადმედიკოლო იოვლებოდა ყოველი ძალადობის მსხვერპლის გვაშის გაკვეთა. მაგრამ საფუძვლიანად ვერ გააკეთეს, ყველაფერი ზერტლედ შესრულდა. ეს ესმოდა დაღს, რომელმაც ჩაიწერა: „დრომ და გარემოებამ საშუალება არ მოგვცა გავგებრძლებინა დრმა გამოკვლევა“.

მკვლევართა დადანაშაულება არ შეიძლება, ვინაიდან გვერდითა ოთახიდან აღწევდა ნატალია ნიკოლაევნას მოთქმა და ქუჩაში შეტროვილი ხალხის შეუხელებელი გუგუნა. ეს კი მათ ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. დროის უდერმანისეული გამოთვლის თანახმად, გაკვეთა ჩატარებით 18 საათსა და 20 საათს შორის.



ვ. ი. დალის ჩანაწერები გაცემის თაობაზე ვერ ჩაითვლება ოფიციალურ დოკუმენტად, რადგან შედგენის ფორმა არა აქვს დაცული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაცემა ჩაატარა ექიმმა სპასკიმ, ვინაიდან იგი დიპლომირებული სამართლო-სამედიცინო ექსპერტი იყო და ამის სრული უფლება ჰქონდა. ალბათ, ოფიციალური ოქმიც მის მიერ იქნებოდა შედგენილი და შესაძლოა იგი ოდესმე აღმოჩნდეს კიდევ. ხლო დალის ჩანაწერი კერძო შთაბეჭდილებაა იმ ადამიანის, ვინც უბრალოდ დაესწრო ამ პროცესს, იქნებ ი. ტ. სპასკის ემხარებოდა კიდევ. მაგრამ ის მცირე ინფორმაცია კი, რომელსაც შეიცავს აღნიშნული წერილი, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დავეთანხმოთ ი. ვ. დალის დასკვნას — ჭრილობა სასიკვდილო იყო.

მკითხველი უთუოდ უკვე დარწმუნდა იმაში, რომ პოეტის სარეცელთან იმდროის სამამულო მედიცინის ჭეშმარიტად ღირსეულმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. მათ მიერ მიღებული ზომები დღევანდელი თვალსაზრისით შეიძლება არც მთლად რაციონალური მოგვეჩვენოს, მაგრამ აღნიშნული ზომები მედიცინაში მაშინ გაბატონებულ, ცეცხლსასროლი იარაღით მუცელში მიყენებულ ჭრილობათა მკურნალობის პრინციპებს სავსებით პასუხობდნენ.

იმისათვის, რომ პუშკინმა გადაერჩინა, პირველ რიგში საჭირო იყო მუცლის ღრუზე სერიოზული ოპერაცია, მაგრამ ამგვარი ქირურგიული ჩარევა, ისიც დიდი სიფრთხილით, მხოლოდ 19 ს-ს უკანასკნელ მეოთხედში დაიწყეს, ხოლო იმაზე თუ არაღენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსგავს შემთხვევაში ანტიბიოტიკებს, სისხლის გადასხმას და სხვა მკვებავ ხსნარებს, რომელთა შესახებაც მაშინ წარმოდგენაც არა ჰქონდათ, საერთოდ არ ღივს საუბარი.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ხაზი გავუსვათ ერთ ფსიქოლოგიურ მომენტს: არავის პოეტის თანამედროვეთაგან, მის ახლობელთა და ნათესავთა ჩათვლით, აზრადაც არ მოსვლია საყვედური იქვეა ნ. ფ. არენდტისა და მისი კოლეგებისათვის, იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს პუშკინის გადარჩენა.

საყვედურებმა და ბრალდებებმა კი მათი მისამართით, გაცილებით გვიან იჩინეს თავი, მაშინ, როდესაც ქირურგებმა შეძლეს ამდაგვარ ავადმყოფთა მკურნალობა. ა. ს. პუშკინის ბიოგრაფმა, მწერალმა ლ. პ. გროსმა ასე ჩამოაყალიბა ეს ბრალდებები: „საუკუნის შემდეგ რუსულმა მედიცინამ გაამტყუნა პოეტის სარეცელთან თავმოყრილი თავისი უძველესი წარმომადგენლები“.

მაგრამ ეს მკვებ ფორმულირება არც მთლად ზუსტია.

გამოჩენილმა საბჭოთა ქირურგმა ს. ს. იუდინმა, მართალია აღნიშნა პოეტის მკურნალობაში დაშვებული მთელი რიგი შეცდომები, მაგრამ მაინც სცნო, რომ იმდროისთვის ჭრი-

ლობა ნამდვილად სასიკვდილო იყო. ასეთივე დასკვნა გამოიტანა სხვა, არანაკლებ ცნობილი ჩვენმა ექიმმა და მედიცინის ისტორიკოსმა, პროფესორმა ი. ა. კოსირსკიმ.

1987 წ. პოეტის გარდაცვალების ასი წლის თავზე, ვოლხოვაში, მეცნიერებათა აკადემიის ძველ შენობაში, პუშკინის კომისიის უჩვეულო სხდომა ტარდებოდა. პრეზიდიუმში საბჭოთა მედიცინის ყველაზე სახელოვან წარმომადგენლებს მოეყარათ თავი, ხოლო პირველი რიგები პუშკინის შთამომავალთ დეკავებიანთ.

კომისიის თავმჯდომარემ, ავტორმა ცნობილი წიგნისა „პუშკინი სიცოცხლეში“, მწერალმა და ექიმმა ვ. ვ. ვერსეაევმა, სიტყვა მისცა სახელგანთქმულ ქირურგს, პროფესორ ნ. ნ. ბურდენკოს, რომელმაც პუშკინის ჭრილობასა და მის მკურნალობაზე მოხსენება წაიკითხა.

სამწუხაროდ ნ. ნ. ბურდენკოს მოხსენების სტენოგრამა დღემდე მიუკვლეველია, ხოლო მწერალმა ანატოლი გუმინოვმა, მრავალი წლის შემდეგ თავის სტატიაში „თლილ ლულაში გადაიან ტყვიები“, აღიარა, რომ პუშკინის კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაციის მომზადებისას თავისით ჩაამტა რამდენიმე აწკარო იმის შესახებ, რომ დაკრძალი პუშკინის გადარჩენა შესაძლებელი იყო.

„შვებას ვერ ვპოვებ, ვიდრე არ მივაგნებ და არ გამოვაჭყვეყნებ ნ. ნ. ბურდენკოს მოხსენების სტენოგრამას“.

მწირალი ისე გარდაიცვალა, თავისი გადაწყვეტილების შესრულება ვერ შეძლო, მაგრამ განა ნ. ნ. ბურდენკოს მოხსენების ტექსტი აუცილებელია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ასეთი მეცნიერი უბრალოდ არ იტყოდა პუშკინის გადარჩენა შესაძლებელი იყო? ნ. ნ. ბურდენკო ხომ სახმედრო-საველე მედიცინის უდიდესი სპეციალისტი გახლდათ, ხოლო განათლება მიღებული ჰქონდა იმავე უფილი დერპტის უნივერსიტეტში. სადაც თავის ღრუბ დიდი პიროგოვი კითხულობდა ლექციებს.

მეორე მოხსენებას, იმავე პუშკინის კომისიის სხდომაზე 1987 წ. კითხულობდა ნ. ნ. ბურდენკოს მოწაფე ა. ა. არენდტი, რომელიც ასევე ამტკიცებდა, რომ მედიცინის განვითარების იმ ეტაპზე, ა. ს. პუშკინის ჭრილობა უდავოდ სასიკვდილო იყო.

ძნელი წარმოსადგენია, რომ მასწავლებელი და მოწაფე, ასეთი მაღალი ტრიბუნლიდან ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით გამოსულიყვნენ.

ა. ა. არენდტის არქივში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გამაცნო აწ განხეივებულმა ევგენია გრიგორიევამ არენდტმა, ანდრეი ანდრეიჩ არენდტის ქვრივმა, არის ორი მოხსენების ტექსტი. ერთი მათგანი („ა. ს. პუშკინის ჭრილობა და მისი მკურნალო ექიმი ნ. ფ. არენდ-



ტი“) ასეთი სიტუციებით იწყება: „სსსრ მშა პუშკინის კომისიამ დიდი პატივი დამლო, შემომთავაზა მოხსენებით გამოვხუთიყავი საზიემო სხდომაზე, რომელიც ეტდენება ა. ს. პუშკინის გარდაცვალების ახი წლის თავს. ეს დიდი ყურადღება ნაწილობრივ იმ გარემოებას უნდა მიუწეროთ, რომ პუშკინის მკურნალობის პროცესს ხელმძღვანელობდა ჩემი პეტერა, ნიკოლაი ფედოროვიჩ არენდტი“. ამ მოხსენების ავტორი ვინაობა ეტვს არ იწვევს.

ა. ა. არენდტი ხელს აწირს აგრეთვე მეორე მოხსენებას თენისებსაც „პუშკინის დროის ქირურგია პუშკინის ტრილობა და მკურნალობა“. მაგრამ წვენ ვიცით, რომ არენდტი მხოლოდ ერთი მოხსენებით გამოვიდა, ხოლო ამავე დროს ისიც ცნობილია, რომ ნ. ნ. ბურდენკოს მოხსენებას სწორედ ასეთი სათაური ჰქონდა. მამაშასადამე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნ. ნ. ბურდენკოს მოხსენების მასალები მოუშადა ა. ა. არენდტმა და სწორედ ამ მიზეზით ნ. ნ. ბურდენკომ არ შეიტანა იგი თავისი შრომების კრებულში.

ამ მოხსენების ბოლო აბზაცში შეჯამებულია მთელი მისი შინაარსი:

„პუშკინის პერიოდის ექიმების სამედიცინო შესაძლებლობათა არსენალი მეტად ღარიბი და სუსტი იყო ისეთ მრისხანე მოვლენასთან საბრძოლველად, როგორცაა პერიტონიტი და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბრალი დავდოთ პუშკინის დასტაქრებს იმაში,

რომ არასწორად მკურნალობდნენ დატრილს, რომ ვერ გამოიჩინეს სატირო გამბედაობა მკურნალობის ამა თუ იმ ხერხის გამოყენებისას. მათ ამოწურეს ყველა შესაძლებლობა, რის უნარსაც იძლეოდა იმდროინდელი მედიცინა, მაგრამ პუშკინის ტრილობა, მიუხედავად ყოველგვარი მეცადინეობისა, არ ტოვებდა პოეტის გადარჩენის არავითარ იმედს“.

სტატისტიკური გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ მუცლის არეში დატრილობა ახი პროცენტის გადაჩენა დღესაც ვერ ხერხდება, მაგრამ საოპერაციო მაგადასთან მდგარ ქირურგს, მუდამ სტერა წარმატებისა და ამიტომ მე ვერ გავიზიარებ იმათ აზრს, ვინც თვლის, რომ პოეტის სიცოცხლე „ბედის სასწორზე ილო“, მაშინ, 1887 წლის 29 იანვარს საკითხი ასე არ იღვა.

დასრულდა ალექსანდრე პუშკინის ტმუნვის ფურცელი.

იმ დღით ვ. ი. დალის მომავალი ლექსიკონი კიდევ ერთი ცნებით შეივსო: „უკვდავება — სიკვდილთან უთანაზიარობა, კუთვნილება, თვისება, ატრიბუტი უკვდავისა, მარად არსებულის, ცოცხალის, ცხოვრება სულისა, უსასრულო. ხორცისგან დამოუკიდებელი.“

უსასრულო ანდა ხანგრძლივი ხსოვნა ადამიანისა, დატოვებული დედამიწაზე მისთა დამახურებათა და საქმეთა გამო.

დაუვიწყარი, მარადსამახსოვრო“.

თარგმნა ცოტნე ჩიქოვანმა.



ნართული ნოველა გრ. აბაშიძის ისტორიულ რომანში „ცოტნე, ანუ ქართველთა დანება და ამაღლება“

გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანების ერთ-ერთი კომპოზიციური თავისებურებაა ისტორიულ-მხატვრულ ქსოვილში მოხდენილად ჩართული ნოველათა სისტემა. ამჯერად შევჩერდებით „ცოტნეში“ ჩართულ ნოველებზე;

როგორც ცნობილია, ნოველა დასაბამს მე-18, მე-19 საუკუნეების იტალიის რენესანსიდან იღებს. იგი მცირე ფორმის თხრობითი უანრის სახეა. მკვლევართა აზრით, ნოველის ძირითადი თავისებურება იმით გამოიხატება, რომ იგი ხატავს აღმავლის ცხოვრების ერთ ეპიზოდს ერთ გარკვეულ ასპექტში, ნოველისათვის დამახასიათებელია კომპაქტურობა, მოკმედი პირთა სიმცირე, ხასიათების, ყოფითი დეტალებისა და გარემოს ძალზე შეკუმშულად გადმოცემა.

ისტორიულ თხზულებაში ნოველის ჩართვის ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი ქართული საისტორიო მწერლობიდან მოდის. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერდა, „ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა სურს, არ შეუძლება და არც უფლება აქვს ქართულ საეტიკოსო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტვილთა და წმინდანთა ცხოვრებებს გვერდი აუხვიოს და განუხილველი დასტოვოს“.

საერთოდ, რომანში ნოველების ჩართვა ლიტერატურულ კანონს არ წარმოადგენს, მაგრამ ამის მაგალითები გვაქვს. დღეისათვის ქართულ რომანისტიკაში ცნობილია ნოველის ჩართვის ორი ხერხი: პირველი, როდესაც რომანში გვხვდება გარკვეული მონაკვეთები, რომლებიც ნოველის თვისებებით არიან აღჭურვილი და, ცალკე აღებული, შეიძლება ნოველებად მივიჩნიოთ, მაგრამ ნაწარმოების სიუჟეტურ ქსოვილში ორგანულად არიან ჩართულნი (ე. გამსახურდიას „დიონისოს დიმილი“, ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“), მეორე, როდესაც ნოველა დამოუკიდებელი სათაურით განცალკევებულადგას ტექსტიდან (გრ. აბაშიძის ისტორიულ რომანებში).

თანამედროვე კლასიკური ტიპის რომანის ნიმუშია გრ. აბაშიძის ისტორიული ტრილოგიის მესამე ნომერი „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. მე-18 საუკუნის ქართული ქრონიკა ცოტნე დადიანისა და კობახიძის სხვა შეთქმულთა თავგადასავადს მოგვითხ-

რობს. თვით ავტორი კი რომანის წინასიტყვაობაში მიუთითებს: „მათი ცხოვრება და მოღვაწეობა რომ უფრო ღრმა და საგანგებო დაკვირვების საგნად მიქცია, მათგან უფრო ღირსეულნი ცალკე გამოვეყვი და თითოეულს ცალ-ცალკე ნოველა თუ ისტორიულ-მხატვრული ესეზ მივუძღვენი“. ამგვარად მივიღეთ რომანში ჩართულ ნოველათა სისტემა, რომელიც სასწაულოდ მაღალმხატვრულ ნოველას შეიცავს. ესენია: „მე მოვკალ ჩალატა“ „ეგარსდან ბავუროსხელი“ და „ოორღვა პანკელი“.

რომანში ამ ნოველების ჩართვა პირველ რიგში, მწერლის მიერ წინეობრივი ვალის მოხდას მგავს იმ დიდი ქართველი წინამძღვრის წინაშე, რომლებიც ისტორიის მთელ, უმეტესწილად ტერიტორიულზე და კრიტიკულ მომენტებში, ეპოქის გზაჯვარედინებზე ერის ცხოვრების საკუთარი სიცოცხლის განწირვით განამტკიცებენ.

„მე მოვკალ ჩალატა“ ერთგვარი წინეობრივი ხარკია დიდი ქართველი მოჭირნახულე ერისთვის, გრიგოლ სურამელის ჩაინდული სულსიყვეთებისადმი გაღებული. როგორც თვით გრ. აბაშიძე მიუთითებს, გრიგოლ სურამელის მიერ გადადგმული ნაბიჯი „უკვდავების“ გზაზე დადგომასაც ნიშნავდა, რადგან, მოუვასისათვის, თავგანწირვის მაგალითი ყოველთვის იყო კეთილშობილები უმაღლესი გამოხატულება და მარტვილის კუთვნილებად რჩებოდა მუდამ: „ნაოს“.

„ცოტნეში“ ჩართული ნოველებს წერისას ავტორი „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობა, კი შემთავადმწერელს ეერდნობდა. პირველი ნოველის „მე მოვკალ ჩალატა“ პირველწყაროს ხსენებულ მატანეში საკმაო მოცულობისა და შეიცავს ცნობებს ალამუთის ბრძოლის შესახებ, რომელიც თურმე „შვიდისა წლისა გამოა განგარმელდა“. ალამუთის ციხე-სიმაგრე მსუღილითა სამფლობელო ყოფიდა. შემთავადმწერლის დახასიათებით „მსუღილით არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა“. ამ ციხე-ქალაქის ასაღებად წარემართნენ მონღოლები „და ქართველნი თანა წარიტანეს“.

ქართველნი რომ დიდ გაჭირვებას და ტანჯვას მამბას იტანდნენ ალუის დროს, ეს კარგად ჩანს შემთავადმწერლის თხზულებაში. „დღესა ერთსა წარმოგზავნის ალმუთელთა მულიდი ხელოვანი,



მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნოინისათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა დახდვა დაწა გულსა მისსა და მოკლა იგი, რომელ კარავინ ცნა. და ვითარ განთენდა, იხილეს ვარვის მცველთა, ჩაღატა ნოინი მოკლული იყო, იწყეს ტირილად და ტყუად და ვაეხად, რომელ იხილეს სპათა ჩაღატა ნოინისათა, მირბიოდეს და იხილეს მათცა, რომელ მომკულად იყო ჩაღატა, არა უწყოდეს ვისგან მოკლულ იყო“.

მაშინ თქუეს ყოველთა: „ვინათგან ქართველნი დიდსა ჰირსა შინა არიან ჩუენ მოალთაგან, შუერთ ქართველთა მიერ მოკლულა“. აქ, თუმცა შეფარვით, მაგრამ მაინც აშკარად ჩანს ქართველთა წარის აუტანელი ყოფა.

გრ. აბაშიძე ნოველაში უფრო ცხადად გვიხატავს ქართველ მეომართა შეჭრებებს. შვიდ წელიწადს იბრძოდა ალამუთის ომში ქართველთა ლაშქარი, მონგოლთა ინტერესებს ეწირებოდა ბევრი ქართველი მეომარი. ვითარებობით სტრატეგისა და თვალწინ გვიდგას მიუღღსომელ ქარაფე აღმართული ალამუთის ციხე, შიმშილითა და სახადით ილაჯგაწყვეტილი მხედრები, რომელნიც სახლ-კარზე და ახლობლებზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ციხის აღებაზე.

გრიგოლ სურამელი ნოველის ერთი მთავარი გმირთაგანია. ნოველაში კარგად არის გახსნილი ქართლის ერისთავის სახე. იგი, უპირატვენი ყოვლისა, თავისი ხალხის ერთგული მებატრონეა და მამობრივ მზრუნველობას არ იშურებს არა მარტო ქართველთათვის, არამედ უცხო ტომის ადამიანის მიმართაც. ნოველის მიხედვით ჩაღატას მკვლელი, მულიდი ბაღრაღინი იცნობს ქართველებს. ეს ნაწინაობა, რა თქმა უნდა, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. აქ მწერალი მშვენივრად ახდენს ამბის ფსიქოლოგიას. იგი წინასწარ გვიხატავს სურამელის მამობრივ მზრუნველობას მულიდის მიმართ (გრიგოლისა და ბაღრაღინის საუბრიდან ჩანს, რომ ქართლის ერისთავს მისთვის თავშესაფარი მიუცია და მძიმე ავადმყოფი მოურჩენია). მუღლიდი საკუთარი სარწმუნოებრივი ინტერესებისათვის კლავს ჩაღატას და ერისთავს ეუბნება: „ჩაღატა ნოინის სიკვდილით ჩემს საღვთო ვალსაც ვისილდი და შენც გადაგარჩენდი. ამიტომ, როგორც კი მოვალი, შენსკენ გამოვეშურე, რომ შეგარბინა. ახლა შენს ხელთა ვარ, თუ ჩემი გაცემა ქართველებს დამსახურებლად ჩაგეთვლება და მტრის რისხვა ამით აგშორდებათ, ერთ წუთსაც ნუ დაფიქრდები, შემოიპყარ და ჩემი თავი მონგოლებს ჩააბარე“, ხოლო როდესაც გამხტებულნი მონგოლების წინაშე სისხლიანი დანით ხელში გამოდის მუღლიდი შეშახილით, „მან ქუშტიმ ჩაღატაი“ აქ იგი მხოლოდ საკუთარი სულიისთვის კი აღარ ზრუნავს, არამედ ქართველებისთვისაც. მას სურს, სამაგიერო სიკეთე მიაგოს ერისთავს და მთელ ქართველობას.

უმათააღმწერლის მიხედვით ლერწმების ტყუმი დამალულ მულიდს მარამ ღვთისმშობელს მოეცილება და მოუწოდებს უდანაშაულო ქართველთა ხსნას. ნოველაში კი მძინარე ბაღრაღინს ღვთისმშობლის ნაცვლად ანგელოსები — მუნჯირი და ნაკირი უპირებენ დასჯას ჩადენილი ცოდვის გამო. არავინ იცის, თუ რამ ჩააგონა მულიდს ქართველთა ხსნა. ანგელოსებმა თუ თვით ქართველთა რჩეულმა სულიერმა ღირსებებმა, კერძოდ კი, ქართლის ერისთავის დიდმა ადამიანურმა გულმა იხსნა ქართველები. რელიგიური საბურველის მიღმა კი ასე მოჩანს ეს ფაქტი უმათააღმწერელიდან და გრ. აბაშიძემაც სწორად შეიცნო იგი.

აღნიშნულ ნოველაში ძალზე მცირეა მოქმედ პერსონაჟთა რიცხვი, მოკლედ არის წარმოდგენილი ამ გმირთა ცხოვრება, ხასიათი, გარემო, პორტრეტი. რამდენიმე სიტყვით არის მითითებული მოქმედების ადგილი და დრო. სამაგიეროდ, სიტუაციები, ხასიათები, მოქმედებათა განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია ყალიბდება და ქმნის ერთ მთლიან სიუჟეტურ ღერძს. აქ წინა პლანზეა წამოწეული კონფლიქტები ქართველთა ლაშქარსა და მონგოლ ნოინთა შორის, რომელნიც ნოველაში სიუჟეტის განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად ჩანან. ნოველის დასაწყისში ავტორი გვაძლევს ექსპოზიციას, სადაც დაწვრილებით აღწერს ალამუთის ციხის მდებარეობას და მის გარშემო აღყად დამდგარი ქართველების გაჭირვებას, ამ გაჭირვებით გამოწვეულ აჯანყებას და შემდეგ ბრძოლაზე უარის თქმას. კვანძი იკვრება მაშინ, როცა ქართველთა ბანაკში მოსული ჩაღატა ნოინი მორჩილებისკენ მოუწოდებს შიმშილითა და სახადით სასომხიდლო ქართველებსა და ცოცხალი ძლივს გადაურჩება მათ. მოქმედება კულმინაციურ წერტილს აღწევს, როდესაც მონგოლთა ლაშქარი ქართველებს დასჯას უპირებს. კვანძის გახსნაც სწრაფად ხდება და საკმაოდ ემოციურია — სისხლიანი დანით მოსილი მულიდი აღიარებს ჩაღატას მკვლელობას.

საერთოდ, ალამუთის ბრძოლაში მომხდარი ფაქტი მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ამ საკითხს ეხება მწერალი თამაზ ნატროშვილი მხატვრულ-ისტორიულ ნარკვევში „მე ვარ მუღლიდი“. მწერალი, ფართოდ აშუქებს რა აღმოსავლურ წყაროებში შემონახულ ცნობებს, დაწვრილებით ცნობებს გვაძლევს მულიდებისა და მათი სამფლობელოს შესახებ.

კრიტიკოსთა აზრით, ნოველაში გამოხატული ხასიათი მწერალმა უნდა მოგაწოდოს ისეთ ფორმაში, რომელიც ერთგვარი მონუმენტურობით და ფსიქოლოგიური სიმძაფრით იქნება გამორჩეული. ეს ხასიათი თავისთავად ძლიერ უნდა იყოს და თავისი მგზნებარებით ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებდეს სიუჟეტის ერთიან ქსოვილში. აი, სწორედ ასეთი მონუმენტური



ხასიათი დახატული მეორე ნოველასი იგვარს-
ლან ბაკურციხელი“.

როგორც უამთაღმწერელი გადმოგვცემს,
ეგარსლანი მდებარე წარმოშობის, უმეტესობის ხა-
ნაში აღწევებული პირი ყოფილა. მონგოლთა
ბატონობის დროს მას დუმინისთვის თანამდე-
ბობა სჭერია. ეგარსლანი შემკული ყოფილა
ყველა იმ დღისებით, რაც გამოჩენილ გვარის შეი-
ლებსაც კი შეშურდებოდათ. ისტორიკოსი
ექსტრარ იხსენიებს ამ პიროვნებას მატიანის ფუ-
რცლებზე;

ნოველის ავტორმა შესანიშნავად იცის, რომ
ბაკურციხელი რთული პიროვნებაა, ამიტომ სი-
ფრთხილით ეკიდება მისი ხასისა და ხასიათის
ფხვნას. უამთაღმწერლის მხგავსად, პირუთენე-
ლია განსჯის დროს. თუმცა ისტორიული ანა-
ლიზის შედეგად იგი აღიარებს, რომ მონგოლე-
ბთან შეირგებამ ბევრი სიკეთე მოუტანა რო-
გორც თვით ეგარსლანს, ისე მის ქვეყანასაც,
დამპყრობლებთან თანამშრომლობას მაინც
„უზადურ საქმეს“ უწოდებს. მიუხედავად ამი-
სა, სტრიქონებს მიღმა ადვილად შეიგრძნობა
ჩუმი, უსიტყვო თანაგრძნობა „ამ გამოჩენილი
მამულიშვილის“ მიმართ.

გრ, ანაშიძე სვეტიცხოველს მუწწია პერსონაჟის
პორტრეტის ხატვისას. ეს იმით არის გაპრო-
ბებული, რომ მწერალი შინაგან ბუნებას უფე-
რო ღრმად წვდობა. ასეა ჩვენი საყვლევ ნოვე-
ლასშიც. მოკლედ, სულ რამდენიმე სიტყვით იძ-
ლევა მწერალი ეგარსლანის პორტრეტს. ეს
ტანბრგე ვაჟაკი, „მოკლედ შეგრებილი შავი
თმა-წვერით და მოუსხენარო მოძრავე შავი თვა-
ლებით“, გასაოცარი მიმზიდველობით სიხლავდა
კაცს ერთი შეხედვისთანავე. შემდეგ კი, თბრო-
ბის მიუღე მანძილზე მწერალი დაუფარავი აღ-
ტაცებით ვეხატავს ეგარსლანის შწიან მისზე-
რა-მოხვრას და სიტყვა-პასუხს. ნოველასი ხა-
ტოვანდ არის აღწერილი ბიჭუ-წიანისა და ეგა-
რსლან ბაკურციხელის დროსტარება კახეთ-მე-
რეთში.

ავტორს არც ის რჩება შეუნიშნავი, თუ რა
შეიძლება მოჰყოლოდა უგვაროთა აღწევებას.
ისინი თავს უტოლებდნენ დიდგვაროვან ფეო-
დალებს, უფართოვდებოდათ მომხვეჭელობითი
ინტერესებში.

უამთაღმწერლის გადმოცემის თანახმად, ყაენის
სიგელთა და წყალობით დატვირთული ვაწირი
ავაგ მხარგრძელი ყარაყორშიდან საქართვე-
ლოში ბრუნდება. „ვიტარ მივახლა ავაგ, ზღო-
ნებდა მუწწიან გარდმოხლოვად და ეგრეთ ხი-
ლვად ეგარსლანისაგან. ხლოდ იგი განლაღე-
ბულ იყო და არა იწემა წესისაგერ პატვით ხა-
ლვა და ამბორის ყოფად ავაგისა. და ვითარ
ისილა ავაგ, განძინდა და თავსა მათრახითა
უხეტქნა...“

ასეთივე თანმიმდევრობით ხდება მოქმედე-
ბის განვითარება ნოველასშიც, მხოლოდ უამთა-
ღმწერლის ძუნწ ფაქტობრაფიულ მასალას გრ-
ბაშიძე მხატვრულად ავრცობს და აცოცხლებს.

ნოველის ფინალი მკეტორი და შთამბეჭდველი
მწერალი, მემატიანის მხგავსად, საბურციხელი
აღსასრულს მიაგებს ბაკურციხელს და შემდეგ
მი ხსენებს ღირსადაც აღარ თვლის.

უნდა ითქვას, რომ ნოველის მთავარი პერ-
სონაჟის, ეგარსლანის სახეს დამაჩერებლობა არ
აქლია. აკი აღნიშნავს კრიტიკოსი გურამ ასათი-
ანი 1978 წელს გამოცემული რომანის ბოლოს
დართულ წერილში: „ცოტნეშე შემდეგ ყველაზე
დიდი შთაბეჭდილება პირადად ჩემზე ეგარსლან
ბაკურციხელის სახემ და თავგადასხვალმა მოა-
ხლინა“.

უამთაღმწერლის გადმოცემას ეურდნობა
„ცოტნეშე“ ჩართული მესამე ნოველაც „თორ-
ღვა პანკელი“, თუმცა, პირველ ორ ნოველასთან
შედარებით, მასში უფერო მეტია მწერლის მხა-
ტვრული ფანტაზიის ნაყოფი. მემატიანის გად-
მოცემის მიხედვით, თორღვა კოხტისთავის შე-
ტყმულები ერთ-ერთი მწერია, შემდეგნე პო-
ლიტიკურად აღნიშნავი, მეფის ტახტისგან გამო-
დგარი და საყოფარ საერისთავოში ჩაქცეული.
მემატიანის სიტყვებით „მგონა თორღვამან
არღვა მოსვლა მეფისა, უყუდგა პანკის ცი-
ხნა და ოვსად დაიჭირა კახეთი და აღარა მკა-
რჩილბედა დედოფალსა და მესტუმრესა ჩიჭუ-
რსა“.

ნოველასში პანკელი მეფეს განუღებება. სანამ
ეს უკანასკნელი ყაენთან წავა ურდლოში. განუ-
ღებება თავისი მეუღლის ციციანს კაღნითი საქ-
ციელის გამო. აქ ერთმანეთს უპირისპირდება
წინააღმდეგობრივად განწყობილი ორი მხარე-
ერთის მხრივ, მესტუმრე ჩიჭური და დედოფალი,
და, მეორე მხრივ, პანკელი თავისი მეუღლით.

უამთაღმწერლის მონათბრობისგან განსხვავე-
ბით, ნოველასი მთავარ მოქმედ პირობად ვხე-
დავთ დედოფალსა და ერისთავის ანდგარდა
ცოლს, რომელთა შორის ჩამოვარდნილი შუ-
ღლი ნოველის სიუჟეტური ღერძია. წინა კლან-
ზეა წამოწეული ორი ღამაში ქალის პაქტობა.
ეს უფლლი იმხვეგრამებს თორღვა პანკელსაც,
ნოველას ელფერს მატებს ხალხური თქმელები-
ბა მითითრი თორღვას შესახებ. ავტორმა ეს
ორი პიროვნება გააერთიანა თავიანთი ბე-
დითაც. ისინი მკაცრად ისჯებიან თავიანთი
გულშევილობის გამო.

როგორც უკვე ითქვა, ნოველებში ასახულია
ისტორიული სინამდვილე. სწორედ ამ სინამდ-
ვილმს ახლებური გაანრება უმაგრებს ფუძეს
გრ. ანაშიძის ნოველებს. სამივე ნოველა დიდი
ინტერესით იკითხება და აღსანიშნავია, რომ მათ
თავისუფლად შეუძლიათ რომანისაგან დამოუკი-
დებლად არსებობა.

ჩვენი აზრით, „ცოტნეშე“ ჩართული ნოველებს
უფრო დიდი მისია აუხსრია. ეს არის თანამედ-
როვე ისტორიული რომანის ახალი ფორმებისა
და გამომსახველობითი საშუალებების ძიება.
ჩვენი მთერ განხილული ჩართული ნოველები
გარკვეულ სტრუქტურულ სიახლეს ანიჭებენ
რომანს.



ბადრი გუგუშვილი

„ჩემი სიყვარულის თავსასთუგალთან“

გარემოს, კონკრეტული სიტუაციების დოკუმენტური, რეალისტური ასახვა, რომელიც დამახასიათებელია შადიმან შამანაძის პოეტური კრებულისთვის „ფასადი“ (თბილისი. მერანი. 1988), სრულებითაც არაა მშრალი ჰერტის შედეგი. ეს რეალიზმი გამოწვეულია იმით, რომ პოეტი განსაკუთრებული სიმამართლი აღიქვამს იმ სივრცეს, იმ ადგილს, რომელშიც თვითონაა მოქცეული.

მეოთხედი გარკვევით იგრძნობს, რომ პოეტის პირველი წიგნი სწრაფვდა გარემოს თანმიმდევრული კვლევისკენ. სათაურიც ხომ იმას მიგვანიშნებს, რომ ჰერტიკობით მხოლოდ ფასადზე, გარეგნულზეა გამახვილებული ყურადღება. ლირიკულმა გმირმა თითქოსდა იცის, მას და გარემოს, მას და მოვლენებს შორის იმდენად და ვაწყვეტილი კავშირი, რომ ის მხოლოდ გარკვეული ძალისხმევით, დამძვთ თუ დაიშვიდრებს ადგილს „ჩავალი წლებსა და ქორნიკონებს...“ შორის, და რადგან სამყარო, გარემო ყველაფერს „ქვესკენის ფსკერზე დაიტანს...“, ის ამბობს: „თავად ვუშველი თავს რაიმეთიო“ და ზღვება, თუკი თვითონ არ გამოიგონა, მას ხომ არც სიხარული ექნება, არც ცა და არც მიწა. ეს კი იმის მცდელობაა, ბედის მიერ შემოთავაზებულზე მეტისკენ ისწრაფვოდეს ადამიანი.

თუკი შევეცდებით, კრებულში შედარებით გამოკვეთილი ხაზი დავინახოთ პოეტური მსოფლგანცდობა, ეს ბავშვობასა და მის შემდგომ პერიოდს შორის უწარმაწარი ნაპრაღის წარმოშობა იქნება. პოეტის ლირიკული სვლა რეალური მოვლენებისკენ, რაიმე სანუკვარში სწრაფვა კი არა, მხოლოდ იძულებითი ნაბიჯია, რადგან ლირიკულ გმირს ხელჩასაბიდი არაფერი დარჩენია. ყველაფერი იქ დარჩა, წყალგამა, ბავშვობაში, სიუმაწვილში. თუკი მისი „ფიქტებს ცაში მიჰქონდათ დარდი“, ახლა:

თვალრიბლიანი შემოდგა მთვარე
ციხ ტატნობზე და ივსება ხორციით.

ამოიძირკვა უმოთვრესი — „ბავშვობა თოვლივით გაღა“, იმდენად მტკივნეულია ეს დანაკარგი, რომ პოეტს მისთვის სახელის დარქმევის სურვილიც კი არა აქვს, თითქოს თამაშობს კიდევ გულმახვიწყობას:

ვერაფრით გავიხსენე
რა ერქვა ყვავილს;
რომლის გვერდითაც ჩაიშულენ,
რათა კი არ მოგეწყვიტა,
ფესვიანად ამრგელო...
...შენ იმ ყვავილსთვის
უნდა შემედარებინე...

ეს „ყვავილი“ კი, როგორც უკვე ვთქვით, განვლილი დღეებია, ბავშვობა, პირველი სიყვარული. თუკი ადრე მისკენ „აფრებაშლილი მოპქროდა მარია“, ლექსს „გზაში“ — „მგონი სიყვარულსაც გავცდი“ — ამბობს პოეტი. რითი უნდა იყოს გამოწვეული ასეთი მტკივნეული განცდა სიყვარულის შეუძლებლობისა სიუმაწვილის გავლის შემდეგ?

ამის მიზეზი კი ისაა რომ, რაც „ადრე გავლევბისა თვალმოკირულს გავდა“, ახლა „ხელშესახები გამზდარა“ (ლექსი „ქალი“), თუკი სიუმაწვილში საყვარელ არსებასთან სიშორე სიახლოვეს განცდასთან იყო შერწყმული, ზრდადსრულელებული ლირიკული გმირისთვის ყველაფერი საპირისპიროდ ხდება, სიახლოვე უცხოობის განცდას იწვევს — „თბილმა სხეულმა“ დათრგუნა სიუმაწვილის იღვლი:

ხმაურიანი ქუჩა და ტახტი,
გათენებისა ყვავის ყრანტალი,
აუ, რა უცებ, რა უცხო გახდი,
რა უცნაურად მოხდა, ნატალი...

ლექსში „ქალმა ფოთლებს დაადგა ფეხი“ — პოეტი ერთმანეთს ადარებს სიყვარულს და ქადრის ფოთლებს, როგორც ხეებს, ასევე ქალებსაც სცვივთა ფოთლები. მათგან „ზაფხულის და გაზაფხულის ნელთბილი ნაცარი“ თუ რჩება. მტკივნეულია ამის განცდა:

როგორ დამქნარან სიყვარულის
ხელისგულები!

გაყვითლებულან, გახეშეშებულან.
დრო იყო — მაგ მხრებს ეალერსებოდნენ,
მაგ უღრანებში გზებს იკაფავდნენ,
მკლავებზე და მუხლებზე შრილებდნენ,
ტუჩებსა და თვალებში იფურჩქნებოდნენ
უცხო ცეცხლით დამუხტულები
კონცამიტარები.

ამ ლექსის წყაითვის შემდეგ, შეიძლება ისეთი განცდაც კი დაგებადოს, თითქოს ქაღვლის



„კონკრეტარია“, ნაწი სხეულიდან ჰადრის უხეში მერქანისა შეგარჩება ხელში. იდეალი — სხეულმა, ტრფობა — ხორციელმა ღტოლვამ შეცვალა, რამაც გამოიწვია კიდევ სიყვარული დასწეულმა:

ჩემი სიყვარულის თვისსათუმალთან ვზივარ, მომავლადის გამხდარ თითებს ვეალერსებო... გრიშვეყრილი ბავშვობის სურნელია ირგვლივ, ოფლის და კალცის,

ზურგსუკან დამალული ნემსის ორანი... მომავლადის გამხდარ თითებს ვეალერსებო.

ლექსში „ვერონა“ — პოეტი ამ სახელისწერო მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობს. სურს დღევანდელ დღეში „გადმოიტანოს“ რომეოს და ჭულიეტას უსბეტაკები სიყვარული. ამ ლექსისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ბოლო ორი სტრიქონია:

ტუჩები ტუჩებს შეაწებებს (ჩემს მაგივრად) და დრო და სივრცე ძველებურად

გაერთიანდა...

ამ სტრიქონებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ წარსულის, საწყვარის დასაბრუნებლად ერთადერთი გზა არსებობს, შექსპირის გმირების საფრთხილი მხოლოდ რომეო, ლირიკული გმირის ორეული თუ გადავლდება. ამიტომ აღმოჩნდა ლექსის რეალურ გმირს უმწარესი გოდებასავით: „ჩემს მაგივრადაცო“. აქ თავს იჩენს რეალური სიყვარულის შეუძლებლობა, რადგან ის“ — „ღრუბელია — თმებაბერილი მალისფრო ნისლით და ჭანყით“ (ლექსი „ღრუბელი“). ასეთი გაგება სიყვარულისა ეხმიანება წოგერიით დასავლეთევროპელი მოაზროვნის კონცეფციას სიყვარულის განუხორციელებლობაზე. ლირიკული გმირი გრძობს — ამაღლებულს, ყველაფრის მომცველი სიყვარულის ღრობის და სივრცის ფარგლებში მოქცევა შეუძლებელია, ყოველგვარი „ხორცად ქცევა“ დამღუბელია. მიუხედავად ამისა, რომ ლექსი „ღრუბელი“ შემდგომ დახვეწას მოითხოვს, მასში არის მწვენიერი სტრიქონები:

მოკვივარ შენსკენ — შენ ღრუბელივით ათასნაირად მწუხარი ჩანხარ! შენ უდროობა გიტრის თხემზე, ნელი ცრემლების მზე გიბრჭყვიანლებს...

ერთადერთი ხსნა შეყვარებულისთვის იდეალისკენ სწრაფვაა, მაგრამ თუკი მსწრაფველმა მოახერხა იდეალში შესვლა, თვითონ დიკარგება. — ამბობს პოეტი. „მწიქოს ხსნა არ ჩანს და ეს მართლაც ასე ხდება, ლირიკული გმირი დაღუპვის პირას მიდის. შეგჩრდეთ ლექსზე „ცოდვაზე“, რომელშიც პოეტი საკუთარი პოზიციების გამოშლავნებს ცდილობს.

გამოცალა რა მთავარი, დანახა რა სიყვარულის განუხორციელებლობა, ჩაბარდა რა წარსულს სიყმარვით, პოეტი ცხოვრებასთან კომპრომისზე მიდის, თმობს სინათლის დანახ-

ვის უიშვიათეს უნარს და ამით ნაპირზე არღნოლ თევზს გვაგონებს. ის უკვე უნახავს იმ ცოდვას, რომელიც „გზაშია“ და „დაღამებებს“ კიდევ „გამხეილს“. მას უკვე დაუკარგია ღვთის შიში, რაც ერთგვარი გაბორტებაა მამიბელი სულისა, საყრდენი რომ ვერ უპოვია. სული არჩევანის გარეშე დარჩენილი, რომელიც „გამოსავლის ძებნაში“ და „სინდისის გადმონათობთან ბრძოლამ დაღალა“. მან თუმც იცის, რომ „ცალუბად წერა ძნელია“, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტყავაო“ — აცხადებს. ხომ არა ასეთი პოზიცია საკუთარი თავის ღალატი, ღალატი ყოველივე იმ სბეტაკისდში, რითაც გვიზიდვს ეს წიგნი. მაგრამ ამ ლექსის ასეთი წაკითხვა ჩვენთან, მკითხველებისგან, უსამართლობა იქნებოდა, რის საშუალებასაც სხვა ლექსებისათვის დამახასიათებელი სიწრფელი იძლევა. ეს ხომ აგონიაა უსიყვარულოდ, უნიადაგოდ, უმაროდ დარჩენილისა. ხომ არ დაიწყო სვლა, რაღაც ყველაზე უფრო შტიკინეულში, თავდაუღწეველში? — იქნებ იმისათვის რათა გადარჩე, ხელმეორედ უნდა გამოიგონო, აღმოაჩინო — „სინახარული“, „ცა“, „მიწა“, „მეგობრები“ და რაც ყველაზე უფრო მძიმეა — „სიყვარული“.

იმდენად ღრმაა პოეტის კავშირი ბავშვობასთან, მოგონებებთან, სოფელთან, რომ ყველაზე მძაფრად სწორედ ამ თემებზე დაწერილი ლექსები აღქმებათ: „მართის კაბა“, „სტატისტიკის მოყვარულთათვის“, „მარილზე“, „ჩემი ბავშვობის ძმაკაცი“, „ფილმში“ და სხვა. რეალისტური მანერით დაწერილი ლექსებიდან აღსანიშნავია „ბურახის გამყიდველი“, „რა ვქნა“. აღნა, ჩვენი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა არ შეგვენიშნა ერთი პატარა, გულში ჩამწვდომი ლექსი:

დაეკარგეთ საყვარელი ბები. ქარს თუ გაატანეს ახალმა დიასახლისებმა. ქალადლებს თუ გადააყოლეს. კაცმა რომ თქვას, გარეთაც შეიძლება დაეკარგულიყო —

პარკში ხომ არ დაგვრჩა, სკამზე რომ დავსვით და მზეს მივეფიცებთ? ...ჩამოვიყვანეთ კი საერთოდ? იქნებ ახლაც სოფელშია?

პოეტი თანაბრად ფლობს, როგორც ტრადიციულ ფორმას, ასევე ვერლიბრს. თითქმის ყოველ ლექსში მიღწეულია ის, რომ წარმოჩენილი იყოს აღწერილი მოვლენის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რითაც ზემოთ განხილული კრებულში განსაკუთრებულ, დასამახსოვრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩვენ, მკითხველებს, ისღა დაგვრჩენია, მაღლობა ვუთხრათ პოეტს შემოთავაზებულ კრებულისთვის და ვუსურვოთ, მომავალში ის საშუაროდ დაგვანახოს, რომელიც „ფასადს“ მიღწეა.

თუმცა თანამედროვე ინგლისური დრამის სახეს კვლავადღებურად განსაზღვრავენ „გაჭავრებული“ ახალგაზრდების“ პლეადის წარმომადგენლები: ჰაროლდ პინტერი, ჩონ პრედენი, ედვარდ ბონდნი, დიდი ბრიტანეთის თეატრალურ სამყაროში ბევრი ახალი სახელიც გაჩნდა.

ბოლო ათწლეულის ინგლისური სცენის ახალ აღმოჩენად სტინჰენ ლონგის პიესები ითვლება. პირველად მისი პიესები 70-იან წლებში დაიდგა კვეუნის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის ლონდონის „როიალ-კორტი“ სცენაზეც და დღეისათვის ისინი უკვე საქაშაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

კრებულში ოთხი პიესაა წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე ადრეულია — „ვარსკვლავები“ (1978). პიესა მარტივი, სადა კომედიაა, რომლის მოქმედებაც მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში ხდება. ნაწარმოებში მხოლოდ ოთხი მოქმედი პირია და სიუჟეტი ტრადიციულ კომედიურ ხერხზეა აგებული. კომიქში ხელაღწერად გამოყენებული მოულოდნელობის ეფექტით მიიღწევა.

პიესაში ომი მხოლოდ შორეულ ფონს წარმოადგენს და ყოველდღიური სიძნელეების მოტივირებისთვის გამოიყენება.

ეს თემა სხვაგვარადაა გაშუქებული პიესაში „ძალა“ (1988), რომელიც ლოუს ნებით თუ უნებლიედ ადრეული ნაშუაგების გაგრძელებად ჩაიფიქრა. სიუჟეტი კვლავინდებურად მარტივია. გოგონა ფოლკლენდიდან შინ დაბრუნებულ „გმირს“ ხვდება. ამერიკელი ტელეკომენტატორი კი ახალი ამბების პროგრამისთვის მათი შეხვედრის კადრზე აღებულის უფლებებს ითხოვს. სასიყვარულო შეხვედრა თანდათან პოლიტიკურ დისპუტში გადაიზარდება...

ლოუს პიესა „მოძრავი სურათები“ ორი მუშის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, პარალელურად კი ასახულია ახალგაზრდა გმირების მიერ ფოლმის გადაღების ცდები. პიესის მოქმედება ნოტიანებში ხდება, სადაც პიესის ავტორი დაიბადა, ხოლო 1986-1988 წლები მისი ახალგაზრდობის პერიოდს ემთხვევა.

1984 წლითაა დათარიღებული ლოუს პიესა „წვდით გარდაქმნილი“.

სტივენ ლოუს მსგავსად რუმბერტ ბოლმანის შემოქმედებითი გზაც სამოცდაათიან წლებში დაიწყო. დღეისთვის იგი ათამდე პიესისა და რამდენიმე სატელევიზიო დრამის ავტორია.

პიესა „დღეს“ — ესპანეთის სამოქალაქო ომის ეტაპა. მთავარი მოქმედი პირი — ელისონი ოორკირში პატარა ქალაქში ასწავლის მუსიკას.

ნაწარმოებს მოზაიკური სტრუქტურა აქვს. მოქმედება არაერთგზის ბრუნდება ოციან წლებში, რითაც პერსონაჟების წარსულსა და მათ ურთიერთობებს ვიკებთ.

თანამედროვე დრამატურგთა რიცხვშია ბენი პინტერიც. მისი პიესა „უფსკრულის პირას“ საქაშაოდ პოპულარულია ინგლისში.

სტივენ ლოუ, რობერტ პოლმანი, გაი პიბერტი ყურადღებით აღიქვამენ ვარე სამყაროს. ისინი ცდილობენ გაერკვნენ თანამედროვე ინგლისის ბევრ პრობლემში. პროფესიული თვალსაზრისით მათი პიესები საქაშაოდ ხარისხიანადაა „დამუშავებული“, მაგრამ მათ ჭარ კომედე არ უთქვამთ თავისი სიტყვა დრამატურგიაში, ისინი უცილობლად უნდა ამალდნენ დამოუკიდებელი მხატვრული ხედვის სიმამლურებამდე

ამჟამად ილია ილივი 90 წლისა იქნებოდა, პეტროვი კი თითქმის ოთხმოცდაათისა. მათი პროზა კი ისევ თანადროული და ახალგაზრდაა. იუბილეებზე ხშირად იგონებენ მივიწყებულს, მაგრამ „12 სკამი“ და „ოქროს კერპი“ ეს უპირველეს ყოვლისა დღევანდელი დღეა. მთელი ეპოქა, სიცილის რენესანსი რუსულ ლიტერატურაში. „ოქროს კერპის“ და „12 სკამის“ გარეშე არ იქნებოდა მიხილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“. ეს კი ნიშნავს, რომ რუსული ლიტერატურის წარსული თუ მომავალი ასე თუ ისე დაკავშირებულია ამ ორი, საოცარი მწერლის სიცილთან. სიცილთან, რომელიც ხან მწარეა, ხან ნაღველი, ხან კი მზიარული.

ილვის იუმორი როგორღაც „არამიწერიან“, თუმცა თვით ყოფის სიღრმეებიდან მომდინარეობს. აქ ყოველი ფრაზა ფრთხიანია, რომელსაც დიდაქტიკური იგავისა და ფელეტონის საზღვრებს გარეთ ვაყვავართ. „ერთს მოგადებდით სიფათში კისა, მაგრამ წარატუსტრა მიკრძალავს“. რატომ წარატუსტრა? რა შუაშია აქ წარატუსტრა? საქმე სწორედ იმაშია, რომ არაფერ შუაშია.

ილვისა და პეტროვის იუმორის ყოველმხრივი, ნიუანსობრივი აღქმა არც ისე ადვილია. როგორც ჩანს, ამას არ უნდა ვეწრაფოდეთ. „ოქროს კერპი“ სწორედ ეს მიუწვდომელია მშვენიერი. არის ოქროს კერპი, რომლისადმი სამხსაური ცოდვად ითვლება. მაგრამ არც იგია მარადიული, წავა, განქარდება „ბრილიანტის კვამლად“. მგზავრობს უღაბნოში ორი მილიონერი — უფლით გატენილ ტომრებიან აქლე-



მეზღე ამხედრებული ოსტატი და კორეიკო. ბენდერისათვის მილიონი — ოცნენა, კორეიკოსათვის — ყოველდღიური რეალობა. ბენდერი მხარულა, კორეიკო ნაღვლიანი. აქ უკვე თავს იჩენს მორალი. რომელიც რომანში, სახედნიეროდ, არ ჩანს.

სამაგიეროდ, სამწუხაროდ, არის „ჰერკულესი“ — ბიუროკრატ-ავაჯაკთა სამეფო. არის რეზინივით მოქნილი და თითქოს მარადიული პოლიხავეი თავი რეზოლუციებით: „არც საწოლებს მოგცემთ და არც პირსახეებს“.

ავტორები, მათდაუნებურად, წინასწარმეტყველნი აღმოჩნდნენ. მათ სულაც არ უნდოდათ, რომ „ჰერკულესს“ აგერ ჩვენს დღეებამდე ეარსება. ეჩვენებოდათ, რომ ეს იყო რაღაც წარმავალი, დროებითი რამ, რაღაც ავადმყოფობის მსგავსი. კუბო წარწერით „სიკვდილი ბიუროკრატიზმს“, რომელსაც „ჰერკულესელები“ დემონსტრაციებზე დაატარებდნენ, ჭერ ისევ ცარიელია, ბიუროკრატიზმი მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

ვკითხულობთ ილფსა და პეტროვს. თანვედილობთ გავიგოთ რა მოძველდა მათი 20-

80-იანი წლების სატირაში? თითქმის არაფერი. ვეცნობით ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე ლექსებს, პოემებს — ეს ხომ იგივე უკვდავი „გავრილიადა“.

ქ. კოლოკალაშკის მცხოვრები საშინელ სიზმარს ხედავს: 7 პარტიული ფეხქვეშ ჩაუვარდა, თავვანი სცა მას. — უპარტიოს. განრისხებულმა მცხოვრებლებმა თანამოქალაქე ქალაქიდან გააძევეს — „რა იცი, რა ხდება!“ ასეთივე „კოლოკალაშკელები“ კრძალავენ ილფისა და პეტროვის რომანებს 40-იან წლებში. მე-20 ყრილობის შემდეგ ისინი კვლავ დაგვიბრუნდნენ, თუმცა არა სრულიად: რატომღაც აღარ გამოსცემენ ილფის „უბი წიგნაკის ჩანაწერებს“, არ ჩანს რომანი „ნათელი პიროვნება“, რომელიც, „არაფრით არ ჩამოუვარდება „ოქროს კერპს“. იმედი გვაქვს გარდაქმნა შეარყევს გამოცემლობათა რუტინას და ილფისა და პეტროვის მრავალ ნაწარმოებს დაუბრუნებს დღევანდელ მკითხველს, დაუბრუნებს მათ ჯადოქრულ სიცოცხლს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 280007, დალიანის ქ. № 2.
 ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32.
 პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-25
 პრესის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწუბოდ 12. 11. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 1. 88 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.საგ. აბაზი 15,85. შეკვეთა 2661. უე 01212. ტირაჟი 70.350.

10/29

ფანკ 60 333.

0560360 76288

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ